

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი
ИНСТИТУТ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ И ЭТНОГРАФИИ
ИМ. И. А. ДЖАВАХИШВИЛИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

14



საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები
VIII

მუსტაფა ნაიფა

ცნობები საქართველოსა და კავკასიის
შესახებ

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვეთვითა
და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა
ნ ო დ ა რ შ ე ნ გ ე ლ ი ა მ

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე).

სერიის რედაქტორი: ს. ჯიჟია

ტომის რედაქტორი: ს. ჯიჟია

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзигური (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликшвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштария.

Редактор серии С. С. ДЖИКИЯ

Редактор тома С. С. ДЖИКИЯ

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ზ. ალექსიძე, ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, თ. გამყრელიძე, კ. გრიგოლია, ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, რ. კიკნაძე, ქ. ლომთათიძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), ე. მეტრეველი (თავმჯდომარის მოადგილე), ა. სურგულაძე, ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (თავმჯდომარე), მ. შანიძე, ნ. შოშიაშვილი, ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია, ს. ჯიქია.
კომისიის მდივანი მ. აბაშიძე.

КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

З. Н. Алексидзе, А. Г. Барамидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Т. В. Гамкрелидзе, К. Г. Григолия, Н. С. Джанашиа, С. С. Джинкя, Ш. В. Дзидзигური (председатель), И. С. Долидзе, М. К. Думбадзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе, К. В. Ломтатидзе, М. Д. Лордкипанидзе, Г. А. Меликишвили (зам. председателя), Е. П. Метревели (зам. председателя), А. Н. Сургуладзе, М. А. Шанидзе, Н. Ф. Шошпашвили, Э. В. Хоштария.

Секретарь комиссии М. Д. А б а ш и д з е.

საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976. წიგნი 1.
2. აბრაამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976. წიგნი 2.
3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ელ. ფუთურიძემ, თბ., 1977. წიგნი 3.
4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთას“ ძველი ქართული თარგმანები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978. წიგნი 4.
5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამთალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977. წიგნი 5.
6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978. წიგნი 6.
7. ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977. წიგნი 7.
8. სომხურ ხელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდლაძემ, თბ., 1978. წიგნი 8.
9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1978. წიგნი 9.
10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978, წიგნი 10.
11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа, Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тб., 1978, книга 11.

შინაარსი

მუსტაფა ნაიმა და მისი „ისტორია“	9
ქართული თარგმანი	81
შენიშვნები	245
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	270
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)	288
საძიებლები	315
თურქული ტექსტი	337

СОДЕРЖАНИЕ

Мустафа Найма и его «История»	9
Грузинский перевод	81
Замечания	245
Резюме на русском языке.	270
Резюме на английском языке	288
Указатели	315
Турецкий текст	337

CONTENTS

Mustafa Naima and his «History»	9
Georgian Translation	81
Notes	245
Summary in Russian	270
Summary in English	288
Index	315
Turkish Text	337

მუსტაფა ნაიმა და მისი „ისტორია“

ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად, ქართულ მასალებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალურ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფიული ნაშრომები, რომლებშიც უხვად არის გაბნეული ცნობები საქართველოსა და მისი ცალკეული სამეფო-სამთავროების შესახებ. ოსმალთა ისტორიკოსები დაწვრილებით მოგვითხრობენ სამხედრო-პოლიტიკურ ამბებს, აგვიწერენ ბრძოლების ეპიზოდებს, მეფეთა და მთავართა საქმიანობას, საქართველოს ცალკეულ პროვინციებში ოსმალთა ლაშქრის შემოსევებს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული თხზულებების, ნარატიული, დოკუმენტური და სხვა ხასიათის წყაროების სიუხვით ოსმალეთის იმპერია წარმოადგენს ბედნიერ გამოჩაკლისს. ჯერ კიდევ სელჩუკთა სახელმწიფოში სახელმწიფოს მეთაურების გარშემო შემოკრებილი იყვნენ ისტორიოგრაფები, ქრონიკის ავტორები, მეცნიერ-ფილოსოფოსები, პოეტები და სხვა დარგის სწავლულები, რომლებიც აღწერდნენ სელჩუკთა სახელმწიფოს ისტორიას. ისტორიული ქრონიკების შექმნის ტრადიცია განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ოსმალთა სახელმწიფოში. XVII საუკუნის ბოლოსათვის საკმაოდ მომრავლდნენ მოხალისე მემატიანე-ისტორიკოსები, რომლებიც თავიანთი თხზულებების წერის დროს ამბების გადმოცემას, ჩვეულებრივ, იწყებდნენ უძველესი დროიდან. ისინი დაწვრილებით გადმოგვცემდნენ ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიას მისი შექმნის პირველი დღეებიდან თავიანთი თანამედროვე ხანის ჩათვლით. როგორც სამართლიანად შენიშნავდა ა. ტვერიტინოვა, ამ ქრონიკების ავტორები, სულთნის კარისადმი სიახლოვისდა მიხედვით, სხვადასხვანაირად განიცდიდნენ სასახლის წრეების ოფიციალური შეხედულებების ზეგავლენას, რითაც შეიძლება აიხსნას ამ კატეგორიის მემატიანეთა თხზულებებში ერთი და იმავე მოვ-

ლენის სხვადასხვანაირი შეფასება¹. მათ შორის აღსანიშნავია: აშიკ ფაშა-ზადე, ორუჯ ადილი, მეჰმედ ნეშრი, იბნ არაბშაჰი, იღრის ბითლისი, ქათბე ჩელები (პაჯი კალფა), იბრაჰიმ ფეჩევი, კოჯა ჰუსეინი და სხვ.

ამ მემბტიანეთა თხზულებებში დაცული ცნობები საკმაოდ ვრცელ და დაწვრილებით სურათს იძლევა XV—XVII საუკუნეთა ოსმალეთის იმპერიის ისტორიის ცალკეულ საკითხებზე, აგრეთვე ამ პერიოდის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებაც.

ოსმალური ისტორიოგრაფიული თხზულებების შექმნა იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ XVII საუკუნის მიწურულისათვის სულთნის კარზე შეიქმნა ოფიციალური ისტორიოგრაფის, ე. წ. „ვაკა-ი ნევისის“ თანამდებობა, რომელიც ოსმალთა სულთანთა კარზე ოსმალთა დინასტიის უკანასკნელ დღემდე არსებობდა. სულთნის კარზე პირველი ოფიციალური ოსმალთა ისტორიკოსი იყო მუსტაფა ნაიმა (1655—1716), რომელმაც აღწერა ოსმალეთის ისტორია 1591 წლიდან 1660 წლამდე. მისი მომდევნო ოფიციალური ისტორიკოსები იყვნენ: მეჰმედ რაშიდი, რომელმაც აღწერა 1660—1722 წლების ოსმალეთის ისტორია, ჩელები-ზადე ასიმ ეფენდი (1722—1729), სუბჰი, სამი, შაჰირი (1730—1743), სულეიმან იზი (1744—1751), აჰმედ ვასიფი (1752—1774), სადულ-ლაჰ ენვერ ეფენდი (1775—1779), აჰმედ ჭევდეთი (1774—1820), აჰმედ ასიმი (1791—1808), ათაულა მეჰმედ შანი-ზადე (1808—1820), მეჰმედ ეს 'ად ეფენდი (1821—1824), აჰმედ ლუთფი (1825—1876). ოსმალეთის იმპერიის უკანასკნელი ოფიციალური ისტორიოგრაფი იყო აბდურაჰმან შერიფი, რომელიც 1925 წელს გარდაიცვალა. ამრიგად, ძნელია ოსმალეთის ისტორიაში მოინახოს პერიოდი, რომელიც აღწერილი არ იყოს ოფიციალურ ოსმალთა ისტორიოგრაფთა თხზულებებში.

„XVII საუკუნის ოსმალეთში ისტორიოგრაფიული მწერლობის ეგზომ აღმავლობა ხასიათდება არა მარტო რაოდენობით, არამედ თვისებრივი მაჩვენებლებითაც“². ამიტომ იყო, რომ აესტრიე-

¹ Аграрный строй Османской империи XV—XVII вв. Документы и материалы, составление, перевод и комментарии А. С. Тверитиновой, М., 1963, с. 4.

² იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიქიაშვილი, თბ., 1964, გვ. 9.

ლი მეცნიერი ფრ. კრელიცი შენიშნავდა, ოსმალთა თურქთა კულტურის ისტორიაში XVII—XVIII საუკუნეებს შეიძლება ეწოდოს ისტორიკოსთა საუკუნეო³.

ოსმალთა ისტორიკოსთა თხზულებებში დაცული ცნობები ყოველთვის არ იძლევა ოსმალეთის სახელმწიფოს ისტორიული განვითარების რეალურ სურათს. მათ ნაწერებში შედარებით ნაკლები ადგილი უჭირავს ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ქვეყნების მიმართ მის ნამდვილ დამოკიდებულებას, ძნელდება სულთნის ხელისუფალთა სოციალური საფუძვლებისა და ნამდვილი ბუნების გაგება, საკუთრების გაბატონებული ფორმებისა და გაბატონებულ კლასებსა და ხალხის მასებს შორის სოციალურ ურთიერთობათა არსის შესწავლა. სავესებით ბუნებრივია, რომ ოფიციალური ოსმალთა ისტორიოგრაფები იყვნენ სულთნის ხელისუფლების, გაბატონებული კლასების ინტერესების გამომხატველები, ამიტომ მათ მიერ ჩატარებულ ამა თუ იმ ღონისძიებას კანონზომიერად და გამართლებულად მიიჩნევენ. სულთნის კარის ოფიციალურ ისტორიკოსს ევალბოდა ოსმალეთის ისტორიის შესწავლა დასაბამიდან თანამედროვე ხანამდე, აგრეთვე მიმდინარე ამბების ზუსტი რეგისტრაცია არსებული დოკუმენტებისა და წინამორბედი ისტორიკოსების შრომების საშუალებით.

ბუნებრივია, რომ ოფიციალურ ისტორიკოსთა თხზულებებში გარკვეული ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოსთან ოსმალეთისა და ირანის ურთიერთობის საკითხებს. ზოგიერთი ოსმალთა ისტორიკოსისა და მოგზაურის ცნობები საქართველოზე ცნობილია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თარგმნილია ქართულ ენაზე. მაგრამ აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა ისტორიკოსთა თხზულებებში გაბნეული ბევრი ცნობა საქართველოს შესახებ ჯერ კიდევ უცნობია ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

შუა საუკუნეთა მდიდარ ოსმალურ ისტორიოგრაფიაში ძნელია მოინახოს რომელიმე ოსმალთა ისტორიკოსი, რომელსაც თავის თხზულებაში ვრცლად არ ჰქონდეს გადმოცემული ცნობები საქართველოს და, საერთოდ, ამიერკავკასიის ქვეყნებში ოსმალთა ლაშქრობებზე. ასევე შეუძლებელია იმ უამრავი დოკუმენტური მასალის უარყოფა, სადაც კონკრეტულადაა მითითებული ოსმალთა

³ F. V. Kraelitz, Der Osmanische Historiker Ibrahim Pecewi, Der Islam, ტ. VIII, სტრასბურგი, 1918, გვ. 252.

თავდასხმებისა და საქართველოში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღების ცდებისა და გარკვეულ პროვინციებში ოსმალური მართვა-გამგებლობის გატარების შესახებ. თურქეთის არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულია აგრეთვე მრავალი მასალა, რომელთა შესწავლა შექს მოპოვებს ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მრავალ კარდინალურ საკითხს.

XVII საუკუნის ოსმალური ისტორიოგრაფიის საუკეთესო წარმომადგენელი და სულთნის კარის პირველი ოფიციალური უამთაღმწერელი იყო მუსტაფა ნაიმა⁴.

მუსტაფა ნაიმა დაიბადა ალეპოში. იგი ახალგაზრდა ჩამოვი-

⁴ ნაიმას ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი თხზულებისა და თარგმანების შესახებ იხ. Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke. Leipzig, 1927, გვ. 245—246; Ali Canib (Yön Tem), Naima Tarihi, Istanbul, 1927; Ahmed Refik, Naima. Istanbul, 1932; Ahmed Refik (Altınay), Mênfada Naima Efendi, Tarihi Osman-i Encumeni Mecmuası, Yeni Seri, 24/101, 51—55, Istanbul. Y, 1931; Elmas Tahtacı, Naima Tarihinin III cildinin Yndeksi, Edebiyat Fakültesi Tarih Semineri, No. 418, 1947; Naima, Hayatı, Sanatı, Eserleri, Hazırhyan Asaf Halef Çelebi. Istanbul, 1953; M. Cavid Baysun, Naima, İslâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 90, 1960, Istanbul, გვ. 44—49; Naima, Annals of the Turkish Empire from 1591 to 1659 of the Christ. era. Transl. CH. Fraser, J. London, 1832; Thomas, L. V. A study of Naima Ed. by Ytzkowitz. New York, 1972; M. Münir Aktepe, Naima Tarihinin Yazma Nüshaları Hakkında. Istanbul Üniversitesi Edebiyat Fakültesi Tarih Dergisi. Cilt I, sayı I, 1949; Istanbul; Istanbul Kütüphaneleri Tarih-Cografya Yazmaları Katalogları. 2. fasikül. 1944. Istanbul, გვ. 200—207; В. Д. Смирнов, Образцовые произведения османской литературы в извлечениях и отрывках. СПб, 1903, с. VII.

უკანასკნელ ხანებში სტამბოლში დაიბეჭდა ნაიმას თხზულების პირველი ტომი ლათინოზებულ შრიფტით. იხ. Naima Tarihi, birinci cilt. Istanbul, 1967 (Tarihi Naima Ravzat el-Hüseyn fi Hulusat Ahbar el-Hafikayn, cildi evvel). 1928 წ. 27 თებერვალი. «جمهورية»، نعيما، كوبريلى زاده محمد فواد، ნაიმას თხზულებაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების ზოგიერთი ადგილი თარგმნილია ქართულად და გამოქვეყნებულია. იხ.: ს. ჭიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ენობის მოამბე, XIII, 1942, თბ., გვ. 207—217. ს. ჭიქია, ეპიზოდი XVI ს. საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 53—56; 6. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 253—264; რადგანაც წინამდებარე გამოცემაში სრულად ქვეყნდება ნაიმას ცნობების ქართული თარგმანი საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ჩვენ ტექსტში უცვლელად შევიტანეთ ზემოაღნიშნული ქართული თარგმანები, სათანადო მეცნიერული კომენტარებით.

და სტამბოლში და იმთავითვე გამოამყლავნა მეცნიერების მრავალი დარგისადმი ინტერესი. მან ყურადღება მიიქცია თავისი განსწავლულობით და სასახლის ბალთაჯიების ოჯახში მიიღეს სამუშაოდ. იქიდან გამოსვლის შემდეგაც აგრძელებდა იგი განათლების მიღებას და ბაიაზიდეს მეჩეთში ისმენდა ლექციებს. ბალთაჯიების ოჯახში ყოფნის დროს ნაიმამ დაიმსახურა სულთნის სიძისა და დიდვეზირის — ნევშეპირლი იბრაჰიმ ეფენდის განსაკუთრებული ყურადღება და სიმპათიები. ნაიმა მას მოუთხრობდა ოსმალეთის ისტორიის საინტერესო ეპიზოდებს და ხოტბას ასხამდა სულთანთა და დიდვეზირთა საქმიანობას.

მუსტაფა ბალთაჯიების ოჯახიდან გადავიდა სახელმწიფო დივანის სამდივანმწიგნობროში, სადაც უბოძეს სახელმწიფო მოხელის თანამდებობა. იგი მალე გახდა დივანის ეფენდი. რადგანაც ამ სამდივანმწიგნობროში მომსახურე პირებს იმთავითვე არქმევდნენ ზედმეტ სახელს (მაჰლასს), მასაც ზედმეტ სახელად „ნაიმი“ უწოდეს. შემდეგი ეს სახელი დაუმკვიდრდა მას და დღეს იგი მუსტაფა ნაიმას სახელითაა ცნობილი.

ნაიმა იმთავითვე გატაცებული იყო ლიტერატურით, ასტრონომიით, მაგრამ განსაკუთრებული მიდრეკილება მაინც ისტორიისადმი გამოამყლავნა. დიდვეზირსა და სახელმწიფოს სხვა წარჩინებულებთან ახლო ურთიერთობისა და ისტორიისადმი განსაკუთრებული სიყვარულის გამო 1699 წელს ნაიმა დაინიშნა ოსმალეთის ოფიციალურ ისტორიოგრაფად — ე. წ. ვაკა-ი ნევისად და სტამბოლის საბაჟოდან გარკვეული რაოდენობის თანხა დაენიშნა სარჩოდ⁵. ამ თანამდებობაზე დანიშვნისთანავე ნაიმამ დიდვეზირს მალე წარუდგინა თავისი ნაშრომის შესავალი ნაწილი, რომელიც მოიწონა დიდვეზირმა და გასამრჯელოც გაუზარდა. ნაიმას ნათესავებისა და ახლობლების სასახლის კარზე დაწინაურების გამო ნაიმამ არაერთი მალალი თანამდებობა მიიღო.

1704 წ. კალაიკოზ აჰმედ ფაშამ, როგორც კი დაიკავა დიდვეზირის პოსტი, ნაიმა ანატოლიის საფინანსო-სააღრიცხვეო უწყებაში მალალ თანამდებობაზე დანიშნა. მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ნაიმა საერთოდ ჩამოაშორეს სახელმწიფო საქმიანობას და დედაქალაქიდან გაასახლეს. ნაიმას გადაყენებისა და გასახლების მი-

⁵ I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Tarihi, IV, cilt, 2 kısım, XVIII yüzi. Ankara, 1959, გვ. 594; შტრ. M. Cavid Baysun, Naima, İslâm Ansiklopedisi, Cilt 9, cüz 90. İstanbul, 1960, გვ. 44.

ზეზად მიიჩნევენ მის პირდაპირობას, რეტიციალური პირების გაკილვას და სხვ. ი. უზუნჩარშილის მიხედვით, ეპკვი შეუტანიათ ნაიმას ასტრონომიულ ცხრილებსა და, საერთოდ, მის საქმიანობაზე, ამიტომ გადაუყენებიათ იგი თანამდებობიდან და ჰანიამში გაუგზავნიათ, მაგრამ იგი არ ჩაუყვანიათ გადასახლების ადგილას, დაუტოვებიათ ბოსფორის ციხეში, საიდანაც დიდი თხოვნის შედეგად ბრუსაში გადაუყვანიათ. ერთი წლის შემდეგ ნაიმა კვლავ სტამბოლში დაბრუნდა⁶.

ნაიმას ისევ გაუღიმა ბედმა. იგი კვლავ დააწინაურეს მაღალ თანამდებობაზე და სასახლის მსახურთუხუცესი გახდა, შემდეგ დანიშნეს სადავთარდაროში, ხოლო 1712 წელს მიიწვიეს ანატოლიის მონაგარიშის თანამდებობაზე. ამ პერიოდში ნაიმას კარგი ურთიერთობა ჰქონდა დიდვეზირ დამად ალი ფაშასთან. 1713 წელს დიდვეზირმა ნაიმას დავთარ ემინის თანამდებობა უბოძა და თან წაიყვანა ედირნეში რუსეთთან ურთიერთობის საბოლოოდ მოსაწყესრიგებლად.

ნაიმა ამ პერიოდში იყო სასახლეში მიღებული და პატივცემული პიროვნება, მაგრამ მტკიცე ხასიათის, სამართლიანობისა და პირდაპირობის გამო თავნება დიდვეზირმა დამად ალი ფაშამ მალე შეიძულა, გადააყენა მაღალი თანამდებობიდან და სილაჰდარის ქათიბის თანამდებობაზე ჩამოაქვეითა⁷. ოსმალთა ჯარის მორავიაში ლაშქრობის დროს ნაიმას კვლავ ებოძა ანატოლიის მონაგარიშის თანამდებობა და ლაშქართან ერთად გაგზავნეს მორავიაში. ჯარის დაბრუნების შემდეგ ნაიმა დარჩა მორავიაში, სადაც დანიშნეს დავთარ ემინის ვეჟილის თანამდებობაზე. ნაიმა აქვე, ბალიო ბადრაში, გარდაიცვალა 1716 წელს.

როდესაც მუსტაფა ნაიმა პირველად ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში ოფიციალურ ქამათალმწერლად — კარის ისტორიკოსად დანიშნა, მას გადასცეს ოსმალეთის ისტორიის შავი ხელნაწერები, რომლის ავტორი იყო სასახლესთან დაახლოებული პირი — შარიჰულ მენარ მეჰმედ ეფენდი ზადე აჰმედ ეფენდი. მის ხელნაწერებში გადმოცემული იყო ოსმალეთის ისტორია სულთან აჰმედ I-ის დროიდან (1604—1617)—1656 წლამდე. ამ თხზულების პირველი ნაწილი ჰასან ბეი-ზადეს თხზულებიდან იყო გადაწერილი⁸. ნაიმა

⁶ I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრ., გვ. 596.

⁷ იქვე.

⁸ Naima, Hayatı, Sanatı, Eserleri. Hazırlıyan Asaf Halef Çelebi, İstanbul, 1953, გვ. 6—7.

თავისი ნაშრომის წერისას ძირითადად ამ თხზულებით სარგებლობდა. იგი გადაამუშავა, ზოგი რამ დაუმატა და 1591—1655 წლების ოსმალეთისა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორია გამართა. ქრონოლოგიურად მას დაუმატა ხუთი წლის ისტორია და პირველი ნაწილი 1660 წლის ამბებით დაასრულა⁹. ნაიმამ ამ ექვსტომიან თხზულებას უწოდა “Ravzat ül-Hüseyñ fi Hulasat-ı Ahbar-ül Hafikayn” („აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო ამბები ჰუსეინის ბალებზე“). იგი შემდეგში ნაიმას „ისტორიის“ სახელით განდაცნობილი Ravzat ül-Hüseyñ ნაიმას ბიძაშვილის — ჰუსეინ ფაშას სახელი იყო.

ნაიმამ დიდვეზირ ენიშთე ჰასან ფაშას ბრძანებით ხელი მოკიდა ოსმალეთის ისტორიის შემდეგი პერიოდის, ე. ი. 1660—1699 წწ. ამბების აღწერას, მასალები მოაგროვა და “Tarihi Rana” უწოდა, მაგრამ მისი დაწერა ვერ მოახერხა. ნაიმას მასში სიტყვა-სიტყვით ჰქონდა აღწერული თავისი თანამედროვე ამბები. ნაიმას გარდაცვალების შემდეგ მის მიერ მომზადებული მასალები ხელნაწერის სახით გადაეცა შეპრზადე მეჰმედ საიდ ეფენდის და შემდეგ დაიკარგა¹⁰. ამრიგად, ნაიმას მიერ შეგროვილი 1660—1699 წლების ოსმალეთის ისტორიის მასალები ჩვენთვის უცნობია. იგი ნაიმასათვის მხოლოდ ისტორიის გასამართავად მომზადებული სამუშაო იყო. თურქი ისტორიკოსი მ. ჯავიდ ბაისუნი შენიშნავს, რომ ნაიმას ისტორიის დარგში არაფერი რომ არ გაეკეთებინა, მარტო შარიჰ-ულ მენარ მეჰმედ ეფენდი ზადე აჰმედ ეფენდისა და სხვა ავტორების ცნობების ჩვენ დრომდე მოტანა ეყოფოდა დამსახურებადო¹¹.

ნაიმას ისტორიას იმთავითვე მიიჩნევდნენ ოსმალეთის ისტორიის საუკეთესო წყაროდ. იგი პირველი ნაშრომია ოსმალეთის ისტორიის შესახებ, რომელიც დიდვეზირ ჰეჰიმოლლუ ალი ფაშას ბრძანებით იბრაჰიმ მუთეფერიკას სტამბაში დაიბეჭდა¹². ნაიმას ისტორია თურქეთში ოთხჯერ გამოქვეყნდა. პირველად დაიბეჭდა

⁹ I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრ., გვ. 596.

¹⁰ იქვე, გვ. 597; Naima, Hayatı, Sanatı, Eserleri. გვ. 3.

¹¹ M. Cavid Baysun. Naima, Islâm Ansiklopedisi, cilt 9, cüz 90, 1960, İstanbul, გვ. 49.

¹² I. H. Uzunçarşılı, დასახ. ნაშრ., გვ. 597.

1734—1735 წწ., მეორედ — 1843 წელს, მესამედ — 1863—1864 წწ., მეოთხედ — 1866—1967 წლებში. ნაიმას თხზულებიდან არაერთი ნაწყვეტი თარგმნილი და გამოქვეყნებულია სხვადასხვა ენაზე.

ნაიმა ოფიციალური ისტორიკოსის თანამდებობაზე ყოფნის დროს უხვად იყენებდა წინამორბედი ისტორიკოსების — ქათიბ ჩელების, იბრაჰიმ ფეჩევის, ვეჯიჰის, მან ოლლუ მირ ჰუსეინის, ჰასან ბეი-ზადეს, კარა ჩელები-ზადეს, მეჰმედ ჰალიფეს, თევჯი აბდურაჰმან ფაშასა და სხვა ნაკლებად ცნობილი მეცისტორიკების თხზულებებით და ხშირადაც იმოწმებდა მათ. საქართველოს შესახებ ამბების გადმოცემისას იგი იშველიებს ქათიბ ჩელებისა და იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებებში დაცულ ცნობებს და უთითებს კიდევ. მან იცის, რომ ფეჩევი გიორგი სააკაძის ზოგიერთი ამბის თანადამხედური და თვითმხილველია. იგი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ, როდესაც გიორგი სააკაძის კაცები მოვიდნენ ხუსრევ ფაშასთან და სთხოვეს მას „საქართველოსა და შირვანის ქვეყნებში გალაშქრება“, ფეჩევიც ესწრებოდა ამ აუდიენციასო. ამის შემდეგ ისტორიკოსს მთელი გვერდები მოაქვს ფეჩევის თხზულებიდან.

ნაიმას, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, ხელი მიუწვდებოდა ყველა იმ თურქულ დოკუმენტურ მასალასა და ფირმანზე, რომლებიც ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში ინახებოდა.

ნაიმა თავისი „ისტორიის“ შესავალში გამოთქვამს შეხედულებას ისტორიის დანიშნულებასა და მიზნებზე. მისი აზრით, ისტორია უნდა იყოს ზუსტი, მართალი და მოვლენების პირუთვნელად ამსახველი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსი არ იყოს ტენდენციური ისტორიული მოვლენების აღწერისას და გადმოცემისას. მიუხედავად ამისა, ნაიმა გაცილებით ობიექტურად და სისრულით აღწერს ბევრ რამეს, ვიდრე მისი წინამორბედი ისტორიკოსები. მისი „ისტორია“ საუკეთესო წყაროდ ითვლება ოსმალეთის ისტორიის შესასწავლად. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მას საქართველოს ისტორიისთვისაც, რადგანაც „ისტორიის“ სხვადასხვა ადგილას უხვად არის გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ; საყურადღებო ცნობებია დაცული აგრეთვე სომხეთისა¹³

¹³ ნაიმას ცნობები სომხეთის შესახებ სომხურად თარგმნა ა. საფრასტიანმა. იხ. Турецкие источники об Армении, армянах и других народах Закавказья. Извлечения из турецких оригинальных текстов в переводе на армянский язык с предисловием, комментариями, терминологическим словарем и при-

და აზერბაიჯანის, საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების — არზრუმისა და ტრაპიზონის შესახებაც. ამბები ძირითადად ეხება XVII საუკუნის პირველ ნახევარს და ვრცლად წარმოგვიდგენს ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიას ირან-ოსმალეთის განუწყვეტელი ომების უქუჩე. ნაიმას თხზულებაში ამბები მოთხრობილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მისი ცნობების უმეტესობა ეხება ბრძოლის ეპიზოდებს, სალაშქროდ სამზადისსა და სხვ. ნაიმა სავსებით ბუნებრივად განსაკუთრებით ამხვილებს ყურადღებას ბრძოლებსა და სამხედრო ექსპედიციებზე.

ნაიმას იმ პერიოდში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა, როდესაც ოსმალეთის იმპერიის როგორც საშინაო, ასევე საგარეო მდგომარეობა თანდათანობით უარესდებოდა: მიმდინარეობდა გამწვავებული ბრძოლები ცალკეულ ფეოდალურ დაჯგუფებასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის, სულთნის კარზე ხშირი იყო გადატრიალებები, იანიჩართა გამოსვლები და სხვ. აშკარად იყო გამოკვეთილი ქვეყნის შიგნით დეცენტრალისტური ტენდენციები. ამას თან ერთვოდა ოსმალთა შეიარაღებული ძალების წარუმატებლობანი. ოსმალეთის ლაშქარი უწინდებურად წარმატებით ვერ ახორციელებდა დაპყრობით ომებს. სამხედრო ექსპედიციები უზარმაზარ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ იანიჩრები და სიფაჰიები ნადავლისა და ქონების მოსახვეჭად ისე ხალისით აღარ მიდიოდნენ ლაშქრობებში. მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო მეურნეობის გამართვა და მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიური ექსპლოატაციის ხარჯზე შემოსავლის გაზრდა. სამხედრო ფეოდალური არისტოკრატისათვის ომი უკვე აღარ წარმოადგენდა შემოსავლის წყაროს, რამდენადაც ხშირი იყო წარუმატებლობანი დაპყრობით ლაშქრობებში. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითებისა და მწარმოებელი საზოგადოების ინტენსიური ექსპლოატაციის შედეგად გაიზარდა სოციალური მოძრაობები.

მუსტაფა ნაიმა შესანიშნავად იცნობდა ქვეყნად შექმნილ საშინაო და საგარეო ვითარებას. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე სხვადასხვა მაღალ თანამდებობაზე ყოფნისას სწავლობდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, XVII საუკუნის პირველი ნახევრის ოსმალე-

თის ისტორიის თანმიმდევრული გადმოცემისას ნაიმა იყენებდა აღრიხდელ ავტორთა ნაშრომებს. იგი ამ შემთხვევაში კომპილატორად გვევლინება. მიუხედავად ნაიმას თხზულების ასეთი ხასიათისა, მასში საქართველოსა და კავკასიისა შესახებ დაცული ცნობები ჩვენთვის საინტერესოა და იგი გარკვეულ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულ მკვლევართ, რამდენადაც ნაიმას თხზულების ზოგიერთი წყარო ჭერჭერობით გამოვლენილი და შესწავლილი არ არის. გარდა ამისა, ნაიმა უყრდნობოდა ისეთ დოკუმენტურ და უტყუარ წყაროებს, რომელთა შესახებ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით. ასე რომ ნაიმას ცნობები მეტად საინტერესო და ანგარიშგასაწევია.

ჩვენ მიერ ქვემოთ მოტანილი თურქული ტექსტი ამოკრებილია ნაიმას „ისტორიის“ I—IV ტომებიდან, სადაც ძირითადად თავმოყრილია ჩვენთვის საინტერესო ცნობები.

ნაიმას „ისტორიაში“ დაცული ცნობების მცირე ნაწილი, გიორგი სააკაძისა და სიმონ ქართლის მეფის ოსმალთა მიერ დატყვევების შესახებ, თავის დროზე ქართულად თარგმნა და სათანადო მეცნიერული კომენტარებით გამოაქვეყნა აკად. სერგი ჭიქიამ¹⁴. ჩვენ მთლიანად შევიტანეთ აკად. სერგი ჭიქიას თარგმანი წინამდებარე გამოცემაში, რამდენადაც ვცდილობდით სრულად წარმოგვედგინა ყველა ის ცნობა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რაც ნაიმას მოეპოვება. გარდა ამისა, აქვე იბეჭდება გიორგი სააკაძეზე ნაიმას ის ცნობებიც, რომლებიც თავის დროზე ჩვენ ვთარგმნეთ ქართულად და გამოვაქვეყნეთ¹⁵, აგრეთვე მასალები ყირიმის ხანების შესახებ, რამდენადაც ოსმალეთის ხელისუფლება ხშირად იყენებდა მათ კავკასიის ხალხთა წინააღმდეგ.

მუსტაფა ნაიმას მიერ გადმოცემული ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მეტად მრავალფეროვანია და უდავოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიისათვის, ამ ხალხთა ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესასწავლად. ცნობილია, რომ საუკუნეთა მან-

¹⁴ ს. ჭიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. ენიშის შობებ, XIII, 1942, გვ. 207—217; ს. ჭიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 53—58.

¹⁵ ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბ., 1960, გვ. 253—264.

ძილზე ირან-ოსმალეთის დაუსრულებელი ომების ასპარეზი სწორედ ამიერკავკასიის ქვეყნები იყო. ნაიმა ამ ორი მუსლიმანური სახელმწიფოს ჭიდილის ფონზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოსა და კავკასიის ხალხებზე. ნაიმას თხზულებაში დაცული ცნობები ავსებენ და აკონკრეტებენ სპარსულ, სომხურ, ქართულ და ევროპულ ენებზე არსებული წყაროების მონაცემებს XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ.

ვფიქრობთ, ნაიმას აქ წარმოდგენილი ცნობები გარკვეულ სამსახურს გაუწევს XVII საუკუნის პირველი ნახევრის თურქეთ-საქართველოსა და თურქეთ-კავკასიის ურთიერთობათა ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართ.

* * *

მუსტაფა ნაიმა, როდესაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოსცემს ამბებს, საქართველოს შესახებ პირველ ცნობებს გვაწვდის ჰიჯრის 1008 წლის (24.7.1599—12.7.1600) ამბების გადმოცემისას. კერძოდ, იგი მიუთითებს ქართლის მეფის სიმონის ოსმალთა მიერ დატყვევებასა და სტამბოლში გაგზავნას. ნაიმას ისტორიის ეს ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, თარგმნა და გამოაქვეყნა აკად. სერგი ჭიქიამ. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ადგილის თარგმნისას აკად. სერგი ჭიქიას ხელთ ჰქონდა მ. ნაიმას ისტორიის ორი სხვადასხვა (III—IV) გამოცემა, ამასთანავე მის განკარგულებაში იყო, აგრეთვე, სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში დაცული ხელნაწერი ნუსხაც [შიფრი: №2323/59, გვ. 722]. აკად. სერგი ჭიქია ხელნაწერი და ბეჭდური გამოცემების შედარების საფუძველზე ადგენს ტექსტს და ზუსტად თარგმნის ბეჭდური გამოცემის სათანადო ადგილს.

ნაიმას „ისტორიის“ ამ ადგილის მიხედვით ჩანს, რომ ვანის ბეგლარ-ბეგს ჯაფარ ფაშას ქართველთა მეფე სიმონი დაუტყვევებია 1599 წელს. სიმონ მეფის დატყვევების შესახებ ქართულ დოკუმენტურ წყაროში ვკითხულობთ: „ქკსა სპზ: მეფემან სვიმონ ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აილო, მის შინა მყოფნი ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუქციეს ბრძოლა-

თა შინა მეფესა თულაშვილმა. დაიჭირეს თათართა მეფე სვიმონ და სტამბოლს ხონთქართან გაგზავნეს, იედი ყულეში დაატყვევეს¹⁶.

ამ ქართული წყაროს მიხედვითაც სვიმონ მეფე დაუტყვევებიათ 1599 წელს. მუსტაფა ნაიმას მიერ მოტანილ ცნობებს სიმონ მეფის შესახებ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მას ხელი მოუწვდებოდა სანდო პირველ წყაროებზე. იგი პირდაპირ აცხადებს კიდევ, რომ „გასულ წელს აღწერილი საქართველოს მმართველის სიმონის სტამბოლს დატყვევებულად ჩამოყვანისა და მისი იედი ყულეში მოთავსების ამბავი „ფეზლეჟეში ამა წლის (ე. ი. ათას ცხრა წლის) ამბებთან არის მოტანილი“. ე. ი. ნაიმა სიმონ მეფის შესახებ ცნობებს იყენებს მისი წინამორბედი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ქათბი ჩელების თხზულებიდან — „ფეზლეჟე“, რომელიც 1592—1654 წლების ამბებს შეიცავს. ნაიმა ამ პერიოდის ისტორიას გადმოგვცემს, მაგრამ ქათბი ჩელებისაგან განსხვავებით იგი მის მიერ აღწერილი ამბების თვითმხილველი არ ყოფილა, ამიტომაც იგი სწორედ ქათბი ჩელებისა და სხვა ავტორთა თხზულებებით სარგებლობს.

ნაიმა აღნიშნავს, რომ ჯაფარ ფაშამ „ალექსანდრე ხანს თავი მოჰკვეთა, მისი შვილები დაიჭირა და ზემოხსენებულ სიმონთან ერთად იმავე წლის რეზი ულ-ეველის თვეში ხონთქრის სასახლეში წარგზავნა“. აქ მოხსენებული ალექსანდრე სიმონ მეფის ძმაა.

ნაიმას „ისტორიის“ სხვადასხვა ტომებში გაბნეული ცნობები ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ საუკეთესო წყაროა მათი ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიის რიგი საკითხების ნათელსაყოფად. ნაიმას „ისტორიაში“ განსაკუთრებით უხვადაა დაცული ცნობები სომხეთზე. ნაიმა მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრის სამზადის სომხეთის ტერიტორიაზე მდებარე ამა თუ იმ ციხესიმაგრის ასაღებად; ერევნის ციხის გარემოცვისა და მისი აღების შესახებ; აღწერილი აქვს ბრძოლის ეპიზოდები, სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულებანი, რომლებიც ამიერკავკასიის ქვეყნებს ეხება და სხვ. ამა თუ იმ ამბის გადმოცემისას აშკარად ჩანს თუ ვის მხარეზეა ავტორის სიმპათიები. ნაიმა საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე საქართველოს მოსახლვრე ტერიტორიების — არზრუმისა და ტრაპიზონის შესახებაც. ნაიმას ცნობების

¹⁶ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, თბ., 1897, გვ. 431.

უმეტესობა ეხება ბრძოლის ეპიზოდებს, სალაშქროდ სამზადისს და სხვ. სავსებით ბუნებრივია ნაიმას ყურადღების გამახვილება ბრძოლებსა და სამხედრო ექსპედიციებზე, რადგან ის სახელმწიფოში გაბატონებული იდეოლოგიის გამომხატველი იყო, ხოლო სახელმწიფოს ძირითად საქმიანობასა და ქვეყნის შემოსავლის წყაროს ახალ-ახალი დაპყრობითი ომების წარმოება შეადგენდა. ოსმალეთის იმპერიას სხვა ქვეყნების ძარცვა-გლეჯის გარეშე არსებობა არ შეეძლო. საუკუნეთა მანძილზე განუწყვეტელი დაპყრობითი ომების შედეგი იყო ის, რომ ოსმალეთის იმპერია XVI საუკუნეში სამ კონტინენტზე იყო გადაჭიმული.

ნაიმა საყურადღებო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის ათიანი წლების სომხეთის შესახებ. როგორც ცნობილია, 1602 წლის ბოლოს ირანმა განაახლა რამდენიმე ათეული წლის წინათ დაწყებული ომი ოსმალეთთან, ამ ომში შაჰ აბასის საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულების განახლება. ბრძოლაში ირანი სერიოზულ წარმატებებს აღწევდა, რადგან ამ პერიოდში ოსმალეთი ანტიფეოდალური აჯანყებების აღში იყო გახეული. ოსმალეთის მთავრობას ყურადღება გამახვილებული ჰქონდა აჯანყებულთა წინააღმდეგ, ამიტომ მან ვერ მოახერხა ამიერკავკასიის ქალაქებში ჩაყენებული თავისი გარნიზონებისათვის დახმარების აღმოჩენა, რის გამოც შაჰ აბასმა ადვილად დაამარცხა ოსმალთა მეციხოვნე ჯარები. 1602—1607 წლებში მათგან გაწმინდა აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ სომხეთი, შირვანი. ყიზილბაშებმა დაიკავეს აგრეთვე ლორეს, დმანისისა და თბილისის სიმაგრეები და ჩააყენეს თავისი გარნიზონი. ასეთი ღონისძიებებით იზრდებოდა ირანის როლი ამიერკავკასიაში, რასაც ოსმალეთი ვერ ურიგდებოდა.

ამიერკავკასიის ციხე-ქალაქებში ჩაყენებული ოსმალთა ჯარის მოძალებისაგან ადგილობრივი მწარმოებელი საზოგადოება უკიდურესად შევიწროებული იყო. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ქურთი ბეგები, რომლებიც იძულებული გახდნენ ოსმალთა ქვეშევრდომობისაგან თავი დაეღწიათ და ირანის შაჰისათვის შეეფარებინათ თავი, ეს უკანასკნელი კი წაექეზებინათ ოსმალთა წინააღმდეგ. ნაიმა ვრცლად მოგვითხრობს ქურთი ბეგების ოსმალთა მორჩილებისაგან გამოსვლისა და ირანის შაჰის მათ წინააღმდეგ წაქეზების შესახებ. ნაიმა ვერ მალავს ოსმალთა თავაშვებულობას სალმასის გამგებლის ქურთი ღაზი ბეგის მიმართ, რომელიც იძუ-

ლებელი ვახდა შაჰ აბასთან წასულიყო დახმარებისა და ოსმალთა წინააღმდეგ ღონისძიების თაობაზე¹⁷. ფაქტიურად, ირან-ოსმალეთის ომების კანალობის საბაბი ვახდა ოსმალთაგან შევიწროებულ ქართუბის გადასვლა შაჰ აბასის მხარეზე.

ნაიშის ცნობებს ადასტურებენ მეორე ოსმალთა მისტიკორიე იბრაჰიმ ფეჩევი¹⁸ და სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი. ეს უკანასკნელი პირდაპირ მიუთითებს, რომ ქურთების წარჩინებულნი ვახდე დაზი ხანი, ოსმალთაგან შევიწროებული, იძულებული ვახდა შაჰთან ვაცი ვაეგზავნა, მორჩილება გამოეცხადებინა და გამოეოქნა მზადყოფნა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ქურთთა ბევრნი უშუალოდ ვახდნენ შაჰ აბასს და ოსმალთა წინააღმდეგ ვალაქებში მონიხობეს¹⁹.

როგორც აღვნიშნეთ, ქურთებივით მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ანკარავეჯისის ცალკეული პოლიტიკური ერთეულები. არაქელ თავრიზელი პირდაპირ მიუთითებს ქართველების ოსმალეთთან დამოკიდებულებასა და მდგომარეობაზე. მისი სიტყვით, ქართველები იმე ვეყნენ შევიწროებული ოსმალთაგან, რომ ერჩიათ სპარსელები დამატარებოდნენ მათ ქვეყანას. ქართველებისათვის მეტად მძიმე იყო სიონ მეფის დატყვევება, ამას ვარდა ირანშიაც არათო ქართველი მეფე იყო მძევლად. არაქელ თავრიზელი ჩამოივლს ირანში მძევლად მყოფ უფლისწულებსა და წარჩინებულებს. ასევე გვიჩვენებს სომხეთის მდგომარეობას და სომეხ წარჩინებულთა მისწრაფებებს — ირანის შაჰის დახმარებით ოსმალთა ბატონობისაგან თავის დაღწევას. მისი სიტყვით, მთელი სომხეთი ოსმალთა მოძალების გამო გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიტომ ნებოვრებლები იძულებული ვახდნენ ირანში ვაქცეულიყვნენ²⁰.

ანკარავეჯისის ხალხთა მდგომარეობითა და მისწრაფებებით ვარდა ისარგებლა შაჰ აბასმა, ხელიდან არ ვაუშვა ხელსაყრელი ნებთხვევა და სასწრაფოდ ვაემართა თავრიზის ასალებად. ნაიშას

17 გვ. 340—343. تاريخ نيسا، جلد ۱

18 გვ. 258 — 259. تاريخ چوقی، جلد ۲; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და ვეჯისის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დართო სერგი ჭიქიაშვილმა. თბ., 1964, გვ. 79—80.

19 არაკელ დავრიჯეში, Книга истории, Перевод с Армянского, предисловие и комментарии Л. А. Ханларян. М., 1973, с. 46.

20 იქვე, გვ. 46—47.

სიტყვით, შაჰ აბასმა სასწრაფოდ ორ-სამ ათასიანი ლაშქრით ოცი დღის სავალი ცხრა დღეში გაიარა და თავრიზს მიაღწა. გზად შემოიერთა მომთაბარე ტომები — თულენგი და გოქ დოლაქები და არდებილის გამგებლის ზულფიკარ ხანის ლაშქართან ერთად 15000-იანი ჯარით თავრიზში მივიდა²¹. თავრიზში გამგზავრების წინ შაჰ აბასმა საიდუმლო ბრძანებით შეატყობინა არდებილის გამგებელს ზულფიკარ ხანს თავრიზში გალაშქრების შესახებ და დაავალა თავისი სამხედრო ძალებით სასწრაფოდ შეერთებოდა მას. ამასთანავე ზულფიკარ ხანს ურჩევდა, რომ ღებინფორმაცია მიეწოდებინა აზერბაიჯანის ხანებისა და სხვა პროვინციების გამგებლებსათვის, თითქოს შაჰი მათხედრანს მიემართებოდა, რითაც მოედუნებინა მათი ყურადღება²².

შაჰ აბასის ჯარი მოულოდნელად დაადგა თავზე თავრიზში ჩაყენებულ ოსმალთა ლაშქარს. არაქელ თავრიზელის ცნობით, ოსმალთა ლაშქარი ალი ფაშას სარდლობით ქურთი ლაზი ბეგის დასასჯელად სალმასისაკენ გაემართა, რამდენადაც მათთვის ცნობილი იყო მისი ღალატი და შაჰისადმი მიმხრობა. ლაზი ბეგმა თავი შეაფარა ურმიის ტბის სანაპიროზე მდებარე გოგარჩინის ციხე-სიმაგრეს. როდესაც ოსმალებმა დაინახეს, რომ ლაზი ბეგი გახიზნულია, დაიწყეს ერთ-ერთი ძლიერი ციხე-სიმაგრის — კარნარუქის გარემოცვა, მაგრამ სამი თვის განმავლობაში, დიდი მონდომებისა და ღონისძიების მიღების მიუხედავად, ვერ მოახერხეს მისი აღება²³.

სწორედ ოსმალთა მიერ კარნარუქის ციხის გარემოცვის დროს მიაღწა შაჰ აბასი თავრიზს. ნაიმა დაწვრილებით გადმოგვცემს შაჰ აბასის ბრძოლას ოსმალებთან თავრიზის ახლოს სოფელ სუფიანთან²⁴. სოფელ სუფიანთან ოსმალთა ლაშქარი დამარცხდა, თვითონ თავრიზის გამგებელი და ოსმალთა გაერთიანებული ლაშქრის მეთაური ოსმან ფაშა თავისი შვილით შაჰ აბასთან გამოცხადდა და შეწყალება ითხოვა²⁵. გამარჯვებულმა შაჰმა თავრიზი აიღო,

²¹ გვ. 344. « 1 جلد ، نعيمًا ، تاريخ ; შდრ. არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

²² Персидские документы Матенадарана, I, Указы, выпуск второй (1601—1650). Составил А. Д. Папазян. Ереван, 1953, с. 309—310.

²³ არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 48.

²⁴ გვ. 344—346. « 1 جلد ، نعيمًا ، تاريخ

²⁵ არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ქალაქის ციხე დაანგრია. ირანელებმა თავრიზის „მოსახლეობა თავიანთი ოჯახებით დაატყვევეს, გაძარცვეს, მათი ქონება იაყარ-ჰყვეს და გაანადგურეს“²⁶. თავრიზის ალებისა და გაძარცვის შემდეგ შაჰი იქ დიდხანს არ დარჩენილა, იგი ჩქარობდა, მიზნად ისახავდა მთელი ამიერკავკასიის ქალაქებიდან ოსმალთა ჩაყენებული ლაშქრის განდევნას, ამიტომ შაჰი თავრიზიდან ერევნისაკენ გაემართა, გზად არაერთი ციხე-სიმაგრე წაართვა ოსმალებს. ნაიმა დაწვრილებით მოგვითხრობს შაჰის ლაშქრის საქმიანობის შესახებ. მისი სიტყვით, თავრიზის ალების შემდეგ ირანელებს ქალაქი ორდღუბადი აუღიათ, შემდეგ ალინჯასა და ჯუვანშირის ციხეებიც ხელთ უგდიათ²⁷.

1603—1604 წლების ამბების გადმოცემისას ნაიმა მოგვითხრობს ყიზილბაშთა ლაშქრის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე. როდესაც ყიზილბაშებს თავრიზის ციხე აუღიათ, გაუციათ ბრძანება ნახიჩევნისა და ერევნის ალების შესახებ. ნაიმა ძალიან ძუნწად მოგვითხრობს ამ ციხეების აღებაზე. იგი ერთი წინადადებით აღნიშნავს, რომ ყიზილბაშებმა ჯერ გაავრცელეს თავიანთი ძალაუფლება ნახიჩევნის ციხის მოსახლეობაზე, შემდეგ ერევნის ციხეც აიღეს და დაიმორჩილეს. ამის შემდეგ უფრო მეტი წარმატებები ჰქონიათ ყიზილბაშებს აზერბაიჯანში. ყიზილბაშებმა ამიერკავკასიაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ოსმალებთან ბრძოლაში, რაც უშუალო შედეგი უნდა ყოფილიყო შაჰ აბასის იმ რეფორმებისა, რომლებიც მან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნებზე განახორციელა ირანში. შაჰ აბასმა ამ რეფორმებით ეკონომიკურად დააწინაურა ირანი და განსაკუთრებით ხელი შეუწყო მის მომავალ სამხედრო პოლიტიკურ წარმატებებს. რამდენადაც ირანის ყიზილბაშური სახელმწიფო ძლიერდებოდა, იმდენად XVII საუკუნის დასაწყისიდან თანდათანობით სუსტდებოდა ამიერკავკასიის ქვეყნებზე ოსმალეთის გავლენა ქვეყნის შინაგან და საგარეო ვითარებათა გართულების შედეგად, რასაც კარგად იყენებდა შაჰ აბასი.

ნაიმა, როგორც ოფიციალური ისტორიკოსი და ოსმალეთის სასულთნო კარის ინტერესების დამცველი, არაფერს ამბობს თავრიზის დაკარგვის შემდეგ ოსმალთა ლაშქრის მიერ სომხეთის ტერიტორიაზე ჩადენილ ძარცვა-გლეჯასა და მოსახლეობის შევიწრო-

²⁶ გვ. 349. « ١ جلد ، تاريخ نعيما » არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

²⁷ გვ. 349—352. « ١ جلد ، تاريخ نعيما »

ებაზე. სამაგიეროდ, სომეხი ავტორი არაქელ თავრიზელი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ თავრიზში დამარცხებულმა ოსმალებმა თავი ნახიჩევანის ციხეს შეაფარეს და, დარწმუნებულებმა იმაში, რომ შაჰი მოკლე დროში ნახიჩევანსაც აიღებდა, გადაწყვიტეს ადგილობრივი მოსახლეობის განადგურება. მისი სიტყვით, ოსმალებს გადაუწყვეტიათ შაჰის მოსვლამდე ქვეყნის აოხრება, გაძარცვა და სასწრაფოდ წასვლა²⁸, მაგრამ ოსმალთა ეს ზრახვები ცხადი გახდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომლებმაც დატოვეს თავიანთი ადგილსამყოფელი და მთებში გაიხიზნენ. ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის ასეთი პასიური ფორმის — აყრა-გაქცევის გამოვლინება ოსმალეთის ხელისუფლების მიმართ ძალიან ხელსაყრელი იყო ირანის შაჰისათვის, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის თვალში ირანის შაჰი ისეთივე დამპყრობელი იყო, როგორც ოსმალეთი. არაქელ თავრიზელი პირდაპირ შენიშნავს, რომ როგორც კი გაიგო ნახიჩევანის მოსახლეობამ, ყიზილბაშთა მიერ თავრიზის აღებისა და იქიდან ოსმალთა სამხედრო ძალების განდევნის, აგრეთვე ირანელების მათ წინააღმდეგ მზადების შესახებ, შიშისაგან გაოგნებული სასწრაფოდ დაიფანტა და მთელ ქვეყანას მოედო²⁹.

ოსმალთა დამარცხებული ლაშქარი თავრიზიდან ნახიჩევანს მოვიდა, იქვე დაბანაკდა, მაგრამ იქ დიდხანს ვერ დარჩა, რადგანაც, ნაიმას ცნობით, ციხე არ იყო გამაგრებული, ციხის კედლები დაბალი იყო, არ გააჩნდათ საბრძოლო იარაღები, სურსათ-სანოვავე, ამიტომ გადაწყვიტეს ციხის დანგრევა და ერევნის ციხისათვის თავის შეფარება³⁰.

თავრიზიდან ერევნისაკენ მიმავალმა შაჰ აბასმა გზად აიღო ჯულფა, რომელიც უბრძოლველად დაიკავა. არაქელ თავრიზელი ვრცლად აღმომოგვცემს შაჰის მიერ ჯულფის აღებას, მის ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან³¹. შაჰი ჯულფაში რამდენიმე დღე დარჩა, ხოლო არდებილის გამგებელი ზულფიკარ ხანი ნახიჩევანისკენ გააგზავნა. ნაიმა საგანგებოდ აღწერს ზულფიკარ

28 არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 49—50.

29 იქვე, გვ. 50.

30 გვ. 352. « تاريخ نعيما، جلد 1 ». შდრ. გვ. 259—260. « تاريخ جوى »، جلد 2. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 81.

31 არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 52—53.

ხანის მიერ ნახიჩევანის ალებას, მის განადგურებას, ყიზილბაშთა მიერ ქალაქის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას³². ნაიმას ცალკე სათაურად აქვს გამოყოფილი „შაჰის მიერ ქალაქ ნახიჩევანის დაპყრობა“.

1603—1604 წლების ამბების გადმოცემისას ნაიმა თავის „ისტორიაში“ ძირითადად აღწერს ირან-ოსმალეთის ბრძოლის ეპიზოდებს. „ისტორიიდან“ ჩანს, რომ გაძლიერებული შაჰ აბასი შიშის ზარს სცემდა მთელი ამიერკავკასიის მოსახლეობას. შაჰ აბასისათვის წარუდგენიათ სომხეთის წარჩინებული არისტოკრატიის წარმომადგენლები, პროვინციის გამგებლები, მაგრამ შაჰი მათ ჩვეული ტირანიით მოქცევია და დაუხოცია.

თავრიზისა და ნახიჩევანის დათმობის შემდეგ ოსმალთა სამხედრო ხელმძღვანელობა ცდილობდა კარგად მომზადებას და ყიზილბაშებთან გადამწყვეტი ბრძოლის ერევანთან გამართვას. ოსმალეთის ხელისუფლება ერევანს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ შემთხვევაშიაც ყოველნაირად ცდილობდა მის შენარჩუნებას. ამიტომაც იყო, რომ ოსმალებმა სასწრაფოდ დაიწყეს ერევანის ციხის შეკეთება, ზღუდეების გამაგრება, ამასთანავე მათ ახალი ციხეც ააშენეს და შიგ თავიანთი შეიარაღებული ძალები ჩააყენეს³³.

როგორც აღვნიშნეთ, ნაიმას ცნობები უმეტესად ბრძოლის ეპიზოდებს შეიცავს. იგი გატაცებულია ამა თუ იმ ციხის დაპყრობაზე ამბების მოთხრობით, შედარებით დაწვრილებით აგვიწერს 1603—1604 წწ. შაჰის მიერ ერევანის ციხის ალების ამბავს, ყიზილბაშთა მიერ ერევანის ციხის ალების შემდეგ მათ მიერ ჩადენილ ხოცვა-ჟლეტას, ქონების ხელში ჩაგდებას და ტყვეების წასხმას. ის ამ შემთხვევაში გამოწვლილვით აღწერს ყიზილბაშთა საქმიანობას დაპყრობილი ციხის შიგნით. ნაიმა მაინც ტენდენციურად წერს ყიზილბაშთა ლაშქრის სიმკაცრეზე, უფრო სწორად, შედარებით რეალურად გადმოგვცემს ყიზილბაშთა სისასტიკეს ადგილობრივი, დაპყრობილი მოსახლეობის მიმართ, მაგრამ იგი, საერთოდ, არაფერს ამბობს ოსმალეთის ლაშქრის მიერ ჩადენილი მსგავსი უსამართლობის შესახებ, რადგან მისი სიმპათიები ოსმალეთის ხე-

1 ³² გვ. 355—357. تاريخ نعيما، جلد 1

³³ გვ. 353—335. تاريخ نعيما، جلد 1 არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 50.

შაჰის უშუალო მონაწილეობას ოსმალებთან ბრძოლის დროს. იგი ცალკეულ ეპიზოდებსაც კი აღწერს³⁵. ოსმალებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს შაჰ აბასის ლაშქარს. შაჰი ყოველნაირ ღონეს ხმარობდა ერევნის ციხის ხელში ჩასაგდებად. ერევნის ბრძოლის დროს ნაიმას გამოანგარიშებით 1500-მდე ოსმალო დაილუბა, ჯარის ნახევარი შაჰის მხარეზე გადავიდა, ოსმალთა ლაშქრიდან მხოლოდ 500-მდე კაცი დარჩა³⁶.

არაქელ თავრიზელის ცნობით, შაჰმა თავრიზის ალების შემდეგ ამირგუენე ხანი გამოგზავნა განჯაში, სადაც ორი თვე დაჰყო და შემდეგ ერევანში მოსულ შაჰს მიეშველა. გარდა ამისა, შაჰის ბრძანებით ახლო-მახლო რაიონების მოსახლეობას იძულებით მონაწილეობა უნდა მიეღო ერევნის გარემოცვაში, მათ ყოველგვარი სამუშაოები უნდა შეესრულებინათ შაჰის ლაშქრისათვის³⁷. ვიდრე შაჰს ერევანი ალყაშემორტყმული ჰქონდა, იგი ანადგურებდა მომიჯნავე ტერიტორიებს და ტყვეებს ერეკებოდა. ყიზილბაშები არზრუმამდე და არჭეშამდე აწყობდნენ თარეშს და დიდი ნადავლითა და ტყვეებით ერევანში ბრუნდებოდნენ³⁸.

ნაიმას ცალკე სათაურად აქვს გამოყოფილი თავი: „ბრძოლა ერევნის მოსახლეობასთან“, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორ თავგამოდებით იბრძოდა ერევნის მოსახლეობა თავისი დამოუკიდებლობისათვის. ისტორიკოსი დაწვრილებით აღწერს ყიზილბაშთა მიერ სომეხი ხალხისა და ერევანში მცხოვრები სუნიტური სექტის მიმდევარი მაჰმადიანების საშინელ ხოცვა-ჟლეტას.

ერევნის გარემოცვასა და ალებში აქტიურად მონაწილეობდნენ ალექსანდრე კახთა მეფე და გიორგი ქართლის მეფე. ნაიმა, როდესაც აღწერს ერევნის ალყის დროს შაჰის მიერ გამართულ მეჯლისს და ჩამოთვლის მასში მონაწილე პირებს, შაჰის გვერდით, ასახელებს ალექსანდრე კახთა მეფესა და გიორგი ქართლის მეფეს. მისი სიტყვით, შაჰ აბასმა მეჯლისის დროს „მარცხენა მხარეს ლევან ხანის შვილი ალექსანდრე ხანი დაისვა, მარჯვენა მხარეს კი

³⁵ გვ. 359—365, « ١ تاريخ نعيما، جلد ١. შტრ., გვ. 260—261 تاريخ ;
« ٢ جوى، جلد ٢، იბრაჰიმ ფეჩევი. საქართველოსა და კავკასიის შესახებ,
გვ. 81—82.

³⁶ გვ. 385. « ١ تاريخ نعيما، جلد ١

³⁷ არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 53—54.

³⁸ იქვე, გვ. 55—56.

სიმონის შვილი უსახლკარო გურგენი. მის ქვემოთ თავრიზის ბეგლარ-ბეგი ალი ფაშა და იმის შემდეგ ქუთოთი ლაზი და მისი მსგავსნი ისხდნენ. ალექსანდრეს ქვემოთ შერიფ ფაშა და სხვა სამხედრო წარჩინებულები დასვა“³⁹.

ქართველი მეფეების მონაწილეობა ერევნის გარემოცვაში არ იყო შემთხვევითი ამბავი. შაჰ აბასი თავისი ვასალებისაგან — ქართლ-კახეთის მეფეებისაგან მოითხოვდა ოსმალთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას. ისქანდერ მუნშის ცნობით, „ერევნის ციხის გარემოცვის დროს კონსტანტინე მირზა დაეთანხმა შაჰს და საქართველოში წამოვიდა, რათა თავისი მამა შაჰის კარზე მოეყვანა... მან ტკბილი სიტყვით, დაპირებებითა და მუქარით დაითანხმა მამამისი დამორჩილებოდა ამ სამეფო გვარს [სეფიანებს] და მოსულიყო შაჰის კარზე და ნებით თუ უნებლიეთ ერევანში მოიყვანა“⁴⁰. ურჩი ვასალის ერევნის ციხესთან მისვლა შაჰ აბასისათვის დიდი წარმატება იყო. ამიტომაც იყო, რომ როდესაც ალექსანდრე კახთა მეფე ერევნის ციხესთან შაჰის ბანაკს მიუახლოვდა, შაჰის ბრძანებით „ყველა ამირა და სახელმწიფოს დიდებულები მის შესახვედრად წავიდნენ და ის სრული დიდებითა და პატივით მოიყვანეს... მან ხელში აიღო თაბახი ოქროს ფულებით, რომელიც თავის ქვეყანაში მოეჭრა შაჰის სახელზე, და თავზე დააფრქვია ხელმწიფეს“⁴¹. შაჰ აბასმაც დიდი „სიყვარულით“ და პატივისცემით მიიღო კახეთის მეფე. შაჰმა ასევე თავისი მოხელე გააგზავნა ქართლის მეფის გიორგის მოსაყვანადაც. გიორგი ქართლის მეფემაც „თავის ბედის ყველა კარი გადაკეტა, ციხისძირას მაღალ ბანაკში მოვიდა, სამოთხისებურ მეჯლისში [ე. ი. შაჰთან] საუბრით განდიდებული შეიქნა, ხელმწიფური წყალობით შეიმოსა და გამორჩეულ იქნა“⁴².

შაჰის მიერ დიდი პატივითა და მოწყალებით მიღებულმა ქარ-

³⁹ გვ. 386. « ١ جلد ، نعیمًا ، سارخ . შდრ. გვ. 260 , ٢ جلد ، سجوی ، سارخ . შდრ. იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 81. ფეჩევი შეცდომით ერევნის ციხის აღების დროს შაჰ აბასთან მოსული ქართველი მეფის ალექსანდრე ლევანის ძის მაგივრად იხსენიებს ალექსანდრეს მამას — ლევანს. ფეჩევის, ჩანს, აერია მამა-შვილის სახელები.

⁴⁰ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ელადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1969, გვ. 43.

⁴¹ იქვე, გვ. 43.

⁴² იქვე, გვ. 44.

თველმა მეფეებმა ნებსით თუ უნებლიეთ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ერევნის ციხის აღებაში⁴³. ქართველი მეფეების ასეთი სამსახურის სანუქფოდ შაჰ აბასმა „უხვად“ დაასაჩუქრა ისინი. გიორგი ქართლის მეფეს ირანში მისცა მთელი რიგი სოფლები [ფუშთუქუნი, გილანი, ლაჰიჯანი], ამავე დროს 300 თუმანი ჯამაგირიც დაუნიშნა⁴⁴, ამ „წყალობის“ სანაცვლოდ შაჰმა მოსთხოვა ლორეს ოლქი და დებედას ხეობა. ლორეში შაჰმა სახანო შექმნა და ადგილობრივი გამუსლიმანებული წარჩინებული დანიშნა, ხოლო დებედას ხეობაში „ბორჩალუს“ თურქმანული ტომი ჩაასახლა და აღჯაყალას გამგებელს დაუქვემდებარა. ასეთი ღონისძიებით შაჰ აბასმა ლორე-დებედას საკითხი საბოლოოდ გადაჭრა, „ქართლის ალაყაფი მოარღვია და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ერთის დაკვრით დამბლა დასცა“⁴⁵.

არანაკლები „წყალობა“ უყო შაჰმა ალექსანდრე კახთა მეფესაც. მას ყოველწლიური ჯამაგირი 700 თუმანი დაუნიშნა, ხოლო ამის სანაცვლოდ კაკ-ენისელის პროვინცია წააზრთვა და მუსლიმანური სასულთნო შექმნა, მის მმართველად რენეგატი კახელი თავადი დანიშნა და თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა. აქვე ერთ-ერთი თურქმანული ტომი ჩამოასახლა⁴⁶.

ამრიგად, ერევნის ციხის აღებისას შაჰ აბასმა არაერთი საკითხი გადაჭრა თავის სასარგებლოდ, ხოლო ერევნის ციხის აღების შემდეგ „გიორგი ქართლის მეფე და დიდი ფეოდალი ნუგზარ არაგვის ერისთავი თავიანთი ჯარებით საქართველოში დააბრუნა და ქართლის ციხეებში მდგარი ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა. ალექსანდრე კახთა მეფე კი, როგორც არასანდო პიროვნება, თავისთან დაიტოვა და ირანში იახლა“⁴⁷.

ერევნის ციხის აღებაში ქართველი მეფეების აქტიური მონა-

⁴³ ბ ე რ ი ე გ ნ ა ტ ა შ ე ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, 1959, გვ. 380—381.

⁴⁴ ე ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, 1913, თბ., გვ. 52.

⁴⁵ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. მიჯნაზე. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, თბ., 1967, გვ. 127.

⁴⁶ Б е л о к у р о в С. А. Сношения России с Кавказом, вып. I. 1578—1613, М., 1889, с. 484; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ე ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 127—128.

⁴⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, 1973, თბ., გვ. 248; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 44.

წილები სრულებითაც არ ნიშნავდა შაჰისადმი მათ ერთგულ სამსახურს. შაჰ აბასის თვალსაზრისით საქართველოში მისი გეგმის რეალიზაციისათვის აუცილებელი იყო ალექსანდრე კახთა მეფის ჩამოშორება და შაჰიც საამისო მომენტს ელოდა. შაჰის ზრახვები ნათელი იყო კახთა ბატონისათვის. „ეს დაუნდობელი ბრძოლა გარეგნულად „წყალობა“ — „ერთგულებისა“ და „სიყვარულის“ ფორმებში მიმდინარეობდა. ალექსანდრე მეფე „თავს არ ზოგავდა“ ერანის ხელმწიფის „სამსახურზე“, შაჰ აბასი „უშურველ წყალობას“ არ აკლებდა კახთა მეფეს“⁴⁸. ალექსანდრე კახთა მეფის მოშორება შაჰ აბასისათვის ჭერჭეროვით ადვილი საქმე არ იყო, რამდენადაც მას მკვიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა მოსკოვის სამეფოსთან და, ამდენად, ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მიუხედავად ამისა ირანის შაჰი ყოველნაირად ცდილობდა კახეთში თავისი პოზიციების განმტკიცებას, იგი გარშემო იკრებდა და ირანში ამრავლებდა ალექსანდრე კახთა მეფის მოწინააღმდეგეთა ჯგუფებს, ცალკეულ უფლისწულებს.

ერევნის ალება შაჰისათვის დიდი წარმატება იყო. მან ერევნის ბეგლარ-ბეგად ამირგუხე ხანი დანიშნა. შაჰ აბასმა ააოხრა მთელი აღმოსავლეთი სომხეთი, ერთიანად აყარა ჯულფის, ნახიჩევანისა და ახლომახლო მიდამოების, აგრეთვე არაქსის მარცხენა სანაპიროს სოფლების მოსახლეობა და ირანში გადაასახლა. არაქელ თავრიზელი დაწვრილებით ასახელებს იმ პუნქტებს, საიდანაც აყარეს ადგილობრივი მოსახლეობა და ირანისკენ წაასხეს⁴⁹. შაჰ აბასმა ირანში, 300 ათასზე მეტი სომეხი გაასახლა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გზაში დაიღუპა, ნაწილი კი უფრო მოგვიანებით ამირგუხე ხანმა დააბრუნა. ასევე დიდი რაოდენობით გაასახლეს აზერბაიჯანის მოსახლეობაც⁵⁰. სომეხი ავტორი ზაქარია კანაკერცი ჩამოთვლის ირანის იმ ადგილებს, სადაც ჩაასახლეს სომხური მოსახლეობა⁵¹.

⁴⁸ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 128.

⁴⁹ არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 59—60.

⁵⁰ История Армянского народа, Ереван, 1951. Часть первая, с. 219—220. И. П. Петрушевский, Азербайджан в XVI—XVII веках. Сборник статей по истории Азербайджана, выпуск I. Баку, 1949, с. 277—278.

იხტანდერ მუწის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 45.

⁵¹ Закарний Канакерци, Хроника, Перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян. М., 1969, 48, 60—83.

მოსაზამთრებლად ვანში წასულიყვნენ, რადგან სომხეთის ტერიტორია ყიზილბაშთაგან გავერანების გამო სადგომებად არ გამოდგებოდა. ნაიმა პირდაპირ მიუთითებს, რომ როდესაც შაჰ აბასმა დასახლებული პუნქტებისა და სოფლის მოსახლეობა გარეკა და ქვეყანა მოუხენელ-დაუთესელი დარჩა, გაჭირვებამ და მოუსავლიანობამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია⁵⁵. ნაიმა ვრცლად გადმოგვცემს ოსმალთა უზარმაზარი ლაშქრის გამოსვლას დედაქალაქიდან, მის შემადგენლობას, სომხეთში მოსვლას და, ბოლოს, ვანში დაბანაკებას⁵⁶.

ამ პერიოდისათვის ირანს ამიერკავკასიაში არცთუ ისე მყარი პოზიციები ჰქონდა, ამიტომ იგი იძულებული იყო ოსმალებთან პირველი წარმატებების განსამტკიცებლად და სომხეთის დაპყრობილი ციხე-სიმაგრეების შესანარჩუნებლად საგანგებოდ მომზადებულიყო ოსმალებისათვის გადამწყვეტი ბრძოლის გასამართავად, მითუმეტეს, რომ ოსმალეთის ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ღონისძიება გაატარა, მოაგროვა უზარმაზარი ლაშქარი და შაჰის წინააღმდეგ საბრძოლველად ვანში დაბანაკდა.

სტამბოლიდან გამოსულ ლაშქარს გზად შეუერთდნენ ჩილდირის, არზრუმისა და ვანის ბეგლარ-ბეგები თავიანთი ლაშქრით. იმ დროს, როდესაც ოსმალეთის ლაშქარმა მთელი ანატოლია გამოიარა და გზადაგზა პროვინციის გამგებლები თავიანთი ლაშქრით შეიერთა, „შაჰ აბასი მთელი თავისი სამხედრო ძალებით ერევნისა და აღჩაყალას რაიონში დაბანაკდა“.

მიუხედავად შაჰ აბასისთვის არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარებისა, მან დიდძალ ლაშქარს მოუყარა თავი და ოსმალეთის წინააღმდეგ გამოემართა. ნაიმა დაწვრილებით აღწერს ამ ომის ცალკეულ პერიპეტეებს, მის მსვლელობასა და შედეგებს. შაჰ აბასმა სასტიკად დაამარცხა ოსმალთა ლაშქარი სინან ფაშას მეთაურობით⁵⁷. ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი ომის ბედი, როდესაც ირანის კარზე მყოფმა კახთა მეფე ალექსანდრემ მოხერხებული დრო მონახა და შაჰს შესთავაზა შირვანში ლაშქრობა. რამდენადაც კახთა მეფის ირანში გაჩერება კახელთა უკმაყოფილებას იწვევდა,

⁵⁵ გვ. 395. « تاريخ نعيماء، جلد 1»

⁵⁶ იქვე, გვ. 393—397. შდრ. არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 60—74.

⁵⁷ გვ. 398. 425—430. « تاريخ نعيماء، جلد 1» შდრ. არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 83—88.

ამასთანავე შაჰს აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ომის გაგრძელება უჭირდა და ნათლად ხედავდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობა უფრო და უფრო ვითარდებოდა, ამიტომ შაჰმა ანგარიში გაუწია მთელ რიგ საგარეო პოლიტიკურ მომენტებს და ალექსანდრე კახთა მეფე შირვანში სალაშქროდ გამოისტუმრა. მას თან აახლა მისი შვილი კონსტანტინე მირზა, რომელიც ბავშვობიდან ირანის კარზე იმყოფებოდა მძევლად. შირვანიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ იგი კონსტანტინე მირზას უნდა გადასცემოდა. თუ ალექსანდრე კახთა მეფე შვილს სათანადოდ დახმარებას არ აღმოუჩინდა, კონსტანტინე მირზას შაჰისგან დავალებული ჰქონდა მანის მოკვლა და კახეთში გაბატონება⁵⁸.

შაჰი ამ ღონისძიებით შირვანთან ერთად კახეთის ხელში ჩაგდებასაც ითვალისწინებდა. მართალია, ნაიმა მოკლედ გადმოგვცემს შაჰის მიერ შემახისა და შირვანის დაპყრობისა და განადგურების შესახებ⁵⁹, მაგრამ არაფერს ამბობს ამ ლაშქრობაში შაჰის მხარეზე ქართველთა აქტიურ მონაწილეობაზე, ამ პერიოდში საქართველოსა და ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარების შესახებ. ამ მხრივ უფრო უხვ და დაწვრილებით ცნობებს იძლევა სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში⁶⁰.

1605 წლის შემოდგომაზე ოსმალთა უზარმაზარი ლაშქრის დამარცხების შემდეგ შაჰ აბასს შეეძლო უფრო თავისუფლად ემოქმედა ამიერკავკასიის ქვეყნებში. თავრიზში გამოზამთრების შემდეგ 1606 წლის გაზაფხულზე შაჰმა გაილაშქრა ამიერკავკასიის ქალაქებში მოკალათებული ოსმალების წინააღმდეგ. ყარაბაღის საქმეთა მოწესრიგების შემდეგ განჯას მიადგა, დიდი ხნის გარემოცვისა და მეცადინეობის შედეგად განჯის ციხე და მისი მიდამოები ხელთ იგდო⁶¹.

განჯის აღების შემდეგ შაჰი ლორე-დმანის-თბილისის დასაპყრობად გამოემართა. ამ ადგილებში ჩაყენებული ოსმალთა მეცი-

⁵⁸ ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 136; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 45—61. ისქანდერ მუნშის აქვე მოცემული აქვს თუ როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ. იხ. აგრეთვე, ნ. ბერძენიშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 131—150; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. თბ. 1973, გვ. 247—253.

⁵⁹ გვ. 387—388. *تاریخ نایما، جلد ۱*

⁶⁰ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 47—61.

⁶¹ ა რ ა ქ ე ლ თ ა ვ რ ი ზ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 99—100.

ხოვნებისათვის აშკარა იყო, რომ შაჰის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და მხოლოდ საკუთარი თავის გადარჩენისთვის უნდა ეზრუნათ. „ლორის ციხისათვის მაჰმად ფაშამ იმდენი მოახერხა, რომ არა მარტო შაჰისაგან უვნებლობას ეღირსა, არამედ მან იგივე ციხე ახლა უკვე ერანელთა გარნიზონით შაჰისაგან სამმართველოდ მიიღო“⁶².

შაჰ აბასმა ოსმალთა მეციხოვნეების ნაწილი ამოეღო, ნაწილი კი მის სამსახურში ჩადგა. მან სასწრაფოდ დაიკავა მთელი რიგი ციხე-სიმაგრეები. ლორის დამორჩილების შემდეგ „დმანისის ციხიდან მოვიდა მორჩილების არზა. ითხოვეს, რომ თუ ყოზილბაშთა ძლევამოსილი ლაშქარი არაფერს გვავენებს... ჩაგაბარებთ ციხეს და მორჩილებით მოვალთ ხელმწიფის კარზეო“⁶³. შაჰმა სიამოვნებით მიიღო დმანისელთა არზა, აღუთქვა შეწყალება და ორმაგად ანაზღაურება ულუფისა და თიშარისა იმათთვის, ვინც მორჩილებით დარჩენას დააპირებდა⁶⁴.

ამრიგად, შაჰმა დმანისის ციხე უბრძოლველად დაიმორჩილა. მდ. ალგეთის ნაპირას დაბანაკებულ შაჰს თბილისის მეციხოვნეთა არზაც მიუვიდა. მათ „გაითვალისწინეს განჯის, ლორეს და დმანისის ხალხის მაგალითზე ხელმწიფის წყალობისა და რისხვის შედეგები და ფხიზელი ბედის მითითებით თავისი კაცი გაგზავნეს შაჰთან მორჩილების არზით და იგივე ითხოვეს, [რაც დმანისელებმა]“⁶⁵. შაჰმა შეიწყნარა მათი თხოვნა. მან თბილისი ალი ყული ხანს ჩააბარა. მალე შაჰიც მოვიდა თბილისში. არაქელ თავრიზელის სიტყვით, შაჰი თბილისში მშვიდობიანად შევიდა და ასევე წავიდა იქიდან, რამდენადაც სპარსელებსა და ქართველებს შორის შეთანხმება არსებობდა⁶⁶.

ამრიგად, თბილისსა და სხვა ქალაქებში ოსმალთა ბატონობა ყოზილბაშობამ, ყოზილბაშთა ბატონობამ შეცვალა. შაჰი ელვის სისწრაფით მოქმედებდა და დაჟინებით ერეკებოდა ამიერკავკასიის ქალაქებში ჩაყენებულ ოსმალთა გარნიზონებს. იგი თბილისიდან ნახიჩევანსკენ წავიდა. საქართველოში ყოფნის დროს შაჰმა აქაური საქმეები მოაგვარა. იმ ხანებში მოულოდნელად გარდაიცვალა ქარ-

62 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 149.

63 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 63.

64 იქვე, გვ. 63.

65 იქვე, გვ. 63.

66 არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 101.

თლის მეფე გიორგი, მის ნაცვლად შაჰმა ტახტზე დასვა მისი მცირეწლოვანი შვილი ლუარსაბი.

საქართველოს საქმეების მოგვარებისა და ყველგან ყიზილბაშთა მეციხოვნეების დაბინავების შემდეგ შაჰმა გადაწყვიტა შირვანის დაპყრობა, ამასთანავე ოსმალთა მოსალოდნელი შემოტევისათვის მზადყოფნა და საამისოდ ერევნის ციხის შეკეთება და შემაგრება. „თბილისიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ, ქართლში ფაქტიურად დამთავრდა ე. წ. „პირველი ოსმალთა“ (1578—1606), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. მართალია, შაჰ აბასმა ქართლ-კახეთში ქრისტიანი მეფეები დაამტკიცა და ქართლის ციხეებიდან ოსმალები განდევნა, მაგრამ ქვეყანას თავისუფლება მაინც არ მოუპოვებია“⁶⁷.

შაჰმა თავრიზში გამოაზამთრა ლაშქარი და 1607 წ. გაზაფხულზე შემახას მიადგა. მან თეიმურაზ კახთა მეფეს მოუწოდა მონაწილეობა მიეღო შემახის აღებაში, მაგრამ თეიმურაზმა მოზოდიშებით უარი თქვა შემახის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებაზე⁶⁸. მიუხედავად შაჰის მიერ განმეორებითი მოთხოვნისა, თეიმურაზ კახთა მეფემ უარი თქვა და თავისი დედა ქეთევან დედოფალი აახლა ათასკაციანი რაზმით. „რამდენიმე დღის შემდეგ მაღალ ურდოში მოვიდა დედამისი ქართველთა ჯარის ერთი რაზმით, რომელიც სულ ათასზე მეტი კაცისაგან არ შედგებოდა, და შესაფერის ადგილზე დადგნენ. თუმცა ხელმწიფეს ეწყინა ეს უხამსი საქციელი (თეიმურაზისა), მაგრამ იმ პატიოსანი მანდილოსნის ხათრით ის ხელმწიფური ალერსით და მოფერებით პატივცემული და ამბღლებული გახდა“⁶⁹. შაჰი ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა „ურჩი“ თეიმურაზის დასასჯელად.

შაჰმა დიდი ბრძოლით აიღო შემახა, ოსმალთა მეციხოვნეები ამოწყვიტა და შიგ თავისი ხალხი ჩააყენა ზულფიკარ ხანის მეთაურობით, თვითონ კი თავრიზს გაემართა. სწორედ ამ პერიოდში ოსმალთაგან შევიწროვებულმა ბაქოს მოსახლეობამ აჯანყება მოაწყო და ოსმალთა გამგებელი მოკლა. ამით ისარგებლა შაჰ აბასმა, სასწრაფოდ მაშველი ჯარი გაგზავნა ბაქოში და შიგ თავისი მეციხოვნეები ჩააყენა, ბაქო უბრძოლველად დაიკავა.

⁶⁷ შ ი ხ ე ი ლ ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII სს. თბ., 1971. გვ. 237.

⁶⁸ ო ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი ს ც ნ ო ბ ე ბ ი საქართველოს შესახებ, გვ. 69.

⁶⁹ იქვე, გვ. 70.

ბაქოს მსგავსად, მალე დერბენდის მოსახლეობამაც განაცხადო პროტესტი ოსმალთა ხელისუფლების მიმართ. შაჰ აბასმა მაშინვე გაგზავნა მაშველი ჯარი და დერბენდსაც დაეუფლა. ასე რომ, შაჰ აბასი შაქის, დერბენდისა და შამხალის დაპყრობით მთელ შირვან-აზერბაიჯანში გაბატონდა და თავისი მართვა-გამგებლობის წესები შემოიღო. შაჰ აბასი ამიერკავკასიაში ზედიზედ აღწევდა წარმატებებს.

ამიერკავკასიის ქალაქების დაპყრობასთან ერთად ყიზილბაშთა ლაშქარი, სინან ფაშას უზარმაზარი ლაშქრის დამარცხების შემდეგ, სისტემატურად არბევდა არზრუმის, არტაანისა და ახალციხის მხარეებს. 1607 წლის გაზფხულზე ქართველთა დახმარებით ყიზილბაშებმა მოახერხეს ახალციხის დაპყრობაც. ისქანდერ მუნშის ცნობით: „ათაბეგ-ხანის დედამ მიმართა შაჰის ბედნიერ კარს და ითხოვა, რომ ამ სამეფო გვარის მოხელეთა დახმარებით მოეპოვებინა ისევ თავისი დაკარგული ქვეყანა“⁷⁰.

ახალციხის დაპყრობით შაჰ აბასმა ძირითადად აღადგინა 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულების პირობები. მაგრამ შაჰს ეს არ აკმაყოფილებდა, იგი უფრო ფართო გეგმებს ისახავდა ოსმალეთის მიმართ. იგი დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილის დაკავებით ცდილობდა შავ ზღვაზე გასვლას და იქიდან დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან დაკავშირებას⁷¹.

ირანის უპირატესობანი ამიერკავკასიაში აშკარა იყო. ოსმალეთი თანდათან თმობდა თავის პოზიციებს. ოსმალეთის პოზიციების შესუსტება ამიერკავკასიის ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, გაპირობებული იყო ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით. ოსმალთა ბატონობით შევიწროებული ადგილობრივი მოსახლეობა ცდილობდა ირანის შეიარაღებული ძალებით გასწორებოდა მათ, მაგრამ ფაქტიურად ოსმალთა ბატონობა ყიზილბაშთა ბატონობამ შესცვალა. ირანმა კარგად გამოიყენა ოსმალეთის როგორც საშინაო, ასევე საგარეო გართულებული მდგომარეობა, ამასთანავე მისი პოზიციები ამიერკავკასიაში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია. ოსმალეთი ამ პერიოდში ევროპაში ავსტრიას ეომებოდა; ჩანს, ოსმალეთმა ორ ფრონტზე ვერ შეძლო სათანადო ძალების გამოყვანა. ამავე დროს ქვეყნის შიგნით სოციალური მოძრაობები ბობოქრობდა. ოსმალეთის ხე-

⁷⁰ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 72.

⁷¹ მხ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 245.

ლისუფლება იძულებული იყო შეეწყვიტა ომი ავსტრიასთან და ირანთან გაემართა მოლაპარკება.

საინტერესოა, რომ ნაიმა არაფერს ამბობს ამიერკავკასიის ქვეყნებში შაჰ აბასის ლაშქრის წარმატების შესახებ. იგი საერთოდ არ ეხება იმ ღონისძიებებს, სადაც ოსმალთა ლაშქარი მარცხდება. როგორც ოფიციალური ისტორიოგრაფი, ის გვერდს უვლის იმ მოვლენების აღწერას, რომლებზედაც სპარსელი და სომეხი მემოტიანეები დაწვრილებით ჩერდებიან.

ოსმალეთის ხელისუფლება დაჟინებით ცდილობდა ამიერკავკასიის ქვეყნებში თავისი უფლებების რესტავრაციას. ოსმალეთისათვის ყველაზე მძიმე იყო ახალციხის დაკარგვა. ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთმა თავის შეიარაღებულ ძალებთან ერთად ყარსის ხანის სამხედრო ძალებიც ახალციხისაკენ დაძრა და 1608 წლის მიწურულისათვის ახალციხე დაიბრუნა⁷². ოსმალეთმა უფრო გაააქტიურა თავისი საქმიანობა, ახალციხის დაპყრობის შემდეგ ყირიმის თათართა ორათასიანი ჯარითა და ოსმალთა ფაშათა ორგანიზებული ძალებით ქართლში შემოიჭრა. „ისინი შეესივნენ იმ ქვეყანას, დაარბიეს, გაძარცვეს და უკან გამობრუნდნენ“⁷³, მაგრამ ქართველთა ლაშქარმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ტაშისკართან სასტიკად დაამარცხა ოსმალები⁷⁴.

ოსმალთა მიერ ახალციხის დაბრუნება, ყირიმის თათართა ლაშქრის გამოყენება და მათი გაუთავებელი თარეში შაჰ აბასს აიძულებდა, მზად ყოფილიყო ოსმალთა მოსალოდნელი შემოსევისაგან. ამიტომ მან საგანგებო ღონისძიება გაატარა, ჯარი გამოგზავნა ერევანში და დაავალა იმ მხარეში სისტემატური რბევა-თარეში ეწარმოებინა, „ახალციხის ყარაჯას არდაჰანამდე და არზრუმის საზღვრებამდე შესეოდნენ, უკუეგდოთ მოწინააღმდეგენი, მოერბიათ ის ქვეყანა და დაეწვათ საძოვრები და პურეული“⁷⁵. ოსმალთა ლაშქარი წინ ვერ დაუდგა ყიზილბაშებს, უკუიქცა და ციხეებში ჩაიკეტა. ყიზილბაშები კი საქართველოს ტერიტორიას შეესივნენ და გაანადგურეს ყოველივე, მუშის ველზე დაბანაკებულ ოსმალებსაც თავს დაესხნენ და ამოხოცეს⁷⁶.

72 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 72—73.

73 იქვე, გვ. 73.

74 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 254—257.

75 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 74.

76 იქვე, გვ. 74.

1610 წლის გაზაფხულისათვის ოსმალეთის ხელისუფლებამ საგანგებო ღონისძიება მიიღო, უზარმაზარ ლაშქარს მოუყარა თავი და მურად ფაშას სარდლობით ირანის წინააღმდეგ გააგზავნა. ნაიმა აღწერს ამ ბრძოლისათვის სამზადისს, ლაშქრის გამგზავრებას, საზღვრის გადალახვას და პირდაპირ თავრიზისაკენ წასვლას, თავრიზთან გამართულ ბრძოლას და ოსმალთა მიერ თავრიზის აღებასა და განადგურებას⁷⁷. ოსმალეთისათვის თავრიზის აღება გარკვეული წარმატება იყო ირანთან ურთიერთობაში. მაგრამ ოსმალეთმა დიდხანს ვერ შეინარჩუნა თავრიზი. იგი ველარ გამაგრდა იქ და იძულებული გახდა ქალაქი დაეტოვებინა. ამის შემდეგ ირან-ოსმალეთს შორის ბრძოლები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ირანი დაინტერესებული იყო ოსმალეთთან ზავის დადებით და 1555 წლის ამასიის ზავის პირობების შენარჩუნებით. საამისოდ იგი ყველაფერს აკეთებდა. იმისათვის რომ ოსმალეთის ხელისუფლება დაეთანხმებინა ამასიის ზავის პირობებზე, შაჰ აბასმა „ახალი მომენტი შეიტანა საზავო მოლაპარაკებაში: ის ყოველწლიურად ორას საპალნე აბრეშუმს აღუთქვამდა ოსმალეთს, თუ ეს უკანასკნელი 1555 წლის ზავის პირობებზე დათანხმდებოდა. ბოლოს, ოსმალეთი, რომელმაც ვერ შეძლო მეტოქის დამარცხება, იძულებული გახდა მიეღო შაჰის წინადადება“⁷⁸. ნაიმას თავის „ისტორიაში“ მოტანილი აქვს ამ ზავის პირობების შინაარსი⁷⁹. ზავის მიხედვით, ირანს დაჩა ქართლი, კახეთი და აღმოსავლეთ მესხეთი. „ირან-ოსმალეთის ძალთა წონასწორობის პირობებში ოსმალეთის მიერ ირანის „უფლების“ აღიარება აღმოსავლეთ საქართველოზე მათ შორის დაზავების პირობას წარმოადგენდა“⁸⁰.

1612 წლის ზავი ძირითადად 1555 წლის ამასიის ზავის პირობებს შეიცავდა, მაგრამ მასში მნიშვნელოვანი ცვლილებებიც იყო ოსმალეთის სასარგებლოდ. კერძოდ, ამ შემთხვევაში ირანის შაჰი კისრულობდა ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმის გადახდას, ოსმალეთისათვის აღმოსავლეთ მესხეთის დატოვებას და სხვ⁸¹.

⁷⁷ გვ. 84—85, «تاريخ نعيماء جلد ۲»

⁷⁸ ვ. ჩოჩიევი, ირან-ოსმალეთის 1639 წ. ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 342.

⁷⁹ გვ. 113—114, «تاريخ نعيماء جلد ۲» ნიქსინქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 79, 82. შიხ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 250—251.

⁸⁰ ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 342.

⁸¹ შიხ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

ზავის მიხედვით, საქართველო ორ მტაცებელ სახელმწიფოს შორის იყო დანაწილებული: ქართლ-კახეთი ირანის განკარგულებაში გადადიოდა, ხოლო დასავლეთ საქართველო და სამცხე ოსმალეთს რჩებოდა. ზავის შედეგებით შაჰი არ იყო კმაყოფილი, მან ვერ მოახერხა მთლიანად აღედგინა 1555 წლის ზავის პირობები, ამ მხრივ ოსმალეთი უფრო მოგებულნი რჩებოდა. ცხადი იყო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოებმა ოსმალთა ბატონობა თავიდან გადაიგდეს და მის ნაცვლად ქართლ-კახეთი ყოზილბაშებმა დაიკავეს, მაგრამ ირანის პოზიციები ქართლ-კახეთში არ იყო მყარი, რადგან იქ ჯერ კიდევ ქრისტიანი მეფეები ისხდნენ. რასაც ვერ ურიგდებოდა შაჰ აბასი. ქართლ-კახეთსა და მთელ ამიერკავკასიაში ირანის ბატონობისათვის შაჰ აბასი აუცილებლად მიიჩნევდა ქრისტიანი სახელმწიფოების ლიკვიდაციას და მათ სეფიანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში გაერთიანებას. მაგრამ შაჰი კარგად გრძნობდა, რომ ამ ამოცანის შესრულება მოითხოვდა რუსეთის განდევნას და ოსმალეთის დამარცხებას ამიერკავკასიაში. ამიტომ შაჰი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა ამ ამოცანის შესასრულებლად, თვით ოსმალეთის დიდგვზირი ნასუჰ ფაშაც კი მოსყიდული ჰყავდა შაჰ აბასს, მაგრამ შაჰმა მანც ვერ აიცილია ოსმალეთის ჩარევა ამიერკავკასიის საქმეებში. ოსმალეთი ხელს არ იღებდა ამიერკავკასიის დაპყრობაზე. მას კარგად ესმოდა ამ ტერიტორიების სტრატეგიული მნიშვნელობა. შაჰ აბასის მიზნების განხორციელების შემთხვევაში ოსმალეთი უშუალოდ ირანს გაუმეზობლდებოდა⁸².

1612 წლის ზავის შემდეგ ორივე სახელმწიფოს თავისი გეგმები ჰქონდა ამიერკავკასიის ქვეყნების მიმართ. შაჰი, როგორც აღვნიშნეთ, ვერ ურიგდებოდა ვერც 200 საპალნე აბრეშუმის გადახდასა და ვერც იმას, რომ ზავის პირობით ნაბოძები ქართლ-კახეთი არ ჰქონდა შემომტკიცებული. ამიტომ ამჯერად იგი ძირითად მიზნად ისახავდა „გურჯისტანის საკითხის“ საბოლოოდ გადაწყვეტას, ხოლო მისი რეალიზაციისათვის აუცილებლად მიიჩნევდა მთელი საქართველოს დაპყრობას, ქართველთა აყრა-გადასახლებასა და მის ადგილას თურქმანთა ტომების ჩამოსახლებას, ქართლ-კახეთის სამეფოს საბოლოო გაუქმებასა და მათი სახანოდ გადაქცევას. შაჰის ასეთი ფართო გეგმები ქართლ-კახეთის მიმართ უცნობი არ უნდა ყოფილიყო ქართველი პოლიტიკოსებისათვის. ქართლ-კახეთში თანდათანობით მრავლდებოდა ანტიირანული ორიენტაციის მოღვა-

⁸² ვ. ჩ. ო. ჩ. ი. ე. ვ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 343.

წეთა ჯგუფი. „საქართველოს ქრისტიან მმართველებს (ნეფეები, მთავრები) თავისი ქვეყნები ირანის განუყოფელ ნაწილად სრულიადაც არ მიაჩნდათ და თავიანთ თავს უფლებამოსილად თვლიდნენ შესაფერის პირობებში ამ მოძალადეს ჩამოშორებოდნენ და, თუ ამას საქართველოს ინტერესები მოითხოვდა, ირანის მტრის მხარეზედაც კი დამდგარიყვნენ“⁸³.

შაჰი დარწმუნებული იყო, რომ გურჯისტანის საკითხში ჩარევა გარკვეულ რეაქციას გამოიწვევდა. ოსმალთა ხელისუფლებისაგან, ამიტომ საგანგებოდ ემზადებოდა ქართველთა წინააღმდეგობის სწრაფად გასატეხად. შაჰი ცდილობდა ფაქტის წინაშე დაეყენებინა ოსმალეთი. საამისოდ შაჰმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. შაჰის ამოცანა ამჭერად იყო დიპლომატიური მოლაპარაკებით გაენეიტრალებინა ოსმალთა სამხედრო ძალების ჩარევა „გურჯისტანის საკითხში“. შაჰმა ოსმალეთის დიდგვირს ნასუჰ ფაშას, რომელიც მისი მოსყიდული იყო, მოციქული გაუგზავნა და აუწყა თავისი გეგმები. ისქანდერ მუნშის გადმოცემით, ირან-ოსმალეთს შორის ზავის პირობა რომ არ დარღვეულიყო და საქართველოზე შაჰის გალაშქრება სხვანაირად არ წარმოედგინათ, შაჰმა „სულთან მოჰამედ ბეგ თალიში არდებილიდან გაგზავნა მოციქულად ოსმალეთში ნასუჰ ფაშასთან და ნამდვილი მიზანი საქართველოში გალაშქრებისა — ირანის ქვეშევრდომთა დასჯა აცნობა“⁸⁴.

ოსმალეთის ხელისუფლებისათვის შაჰ აბასის ქართლ-კახეთში გამოლაშქრება და მისი დაპყრობა არახელსაყრელი იყო, ოსმალეთის ხელისუფლებას კარგად ესმოდა, რომ შაჰის მიერ ქართლ-კახეთის დაპყრობით ოსმალეთი იძულებული ხდებოდა საბოლოოდ ხელი აეღო ამიერკავკასიაზე. ამიტომ „ოსმალეთი, თუ თვითონ ვერ შეძლებდა საქართველოს დაპყრობას, იმის მომხრე იყო, რომ ის ვერც ირანს დაეპყრო. „გურჯისტანის“ სახანოს ნაცვლად მისთვის გაცილებით ხელსაყრელი იყო ფეოდალური საქართველოს მეზობლობა. ასეთ ქვეყანას, მისი აზრით, ის უფრო ადვილად გადააქცევდა „გურჯისტანის“ ვილაიეთად“⁸⁵.

წინასწარი საწინააღმდეგე შაჰ აბასმა საქართველოში გაილაშქრა. ქართული, სომხური, რუსული, აღმოსავლური და ევროპული წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე მ.ი. სვა-

83 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

84 ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 82.

85 ვ. ჩოხიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 343.

ნიძე ადგენს, რომ შაჰ აბასმა საქართველოში 1613 წელს ილაშქრა და არა 1614 წელს, როგორც ეს აქამდე იყო მიღებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში⁸⁶. ქართლ-კახეთის მეფეები იმერეთში გაიხიზნენ. შაჰ აბასმა ქართლ-კახეთში დაიწყო თავისი გეგმების განხორციელება⁸⁷. ქართლ-კახეთის მეფეებს არ შეეძლოთ საკუთარ ძალებით დაპარისპირებოდნენ ირანის შაჰს, ამიტომ მათ დასავლეთ საქართველოში გააჩაღეს დიპლომატიური საქმიანობა. ჩქარა სტამბოლში ჩაეიდნენ ქართველ მეფე-მთავართა ელჩები, დაწერილებით აუწყეს ყოველივე და ირანის წინააღმდეგ დახმარება ითხოვეს⁸⁸. ქართველი ელჩების ჩასვლით ოსმალეთის ხელისუფლებისათვის ნათელი გახდა ბევრი რამ, რაზედაც დიდევზირი ნასუჰ ფაშა ოსმალეთის ხელისუფლებას არასწორ ინფორმაციებს აწვდიდა. ამ ელჩობის შედეგი იყო ის, რომ მალე ნასუჰ ფაშას თავი მოკვეთეს, ხოლო საქართველოს წინააღმდეგ შაჰის გამოლაშქრება ოსმალეთის ხელისუფლებამ მიიღო, როგორც ირანთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევა. გარდა ამისა, ირანის შაჰმა ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების ის პუნქტიც დაარღვია, რომელიც ითვალისწინებდა ოსმალეთისათვის ყოველწლიურად 200 საპალნე ძვირფასი საქონლის გამოგზავნას.

ნაიმა გვაუწყებს, რომ ხელშეკრულების დადებისთანავე ირანის ელჩს თან გააყოლეს სულთნის სასახლის ერთ-ერთი ჩაუში — ინჯილი მუსტაფა, რომელიც ირანში დააყოვნეს ორი წელი და ამ ხნის განმავლობაში შაჰმა ნაკისრი ვალდებულება — 200 საპალნე ძვირფასი ქსოვილი არ გამოგზავნა. ნაიმას სიტყვით, „პირობის შეუსრულებლობა ამაზე მეტი არ შეიძლებაო და ცეცხლივით განრისხებული ფადიშაჰი ელვარებდა“⁸⁹.

ასე რომ, ირანის შაჰის მოქმედება როგორც ოსმალეთის სულთნის მიმართ, ასევე მის მიერ მოწყობილი ლაშქრობა ქართლ-კახეთში ოსმალეთის ხელისუფლებისათვის სრულიად მიუღებელი

⁸⁶ მიხ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 257—259.

⁸⁷ 1613 წ. შაჰ-აბასის ქართლ-კახეთში ლაშქრობის და იქ ჩატარებული დონისძიების შესახებ დაწერილებით იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII სს.), II, თბ., 1965, გვ. 312—315; გ. ჭამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1964, გვ. 83—100; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 262—269; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 82—102; არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 112—136.

⁸⁸ მიხ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 260.

⁸⁹ გვ. 137. تاريخ نعيما، جلد ٢، ص 137.

იყო, ამიტომაც იყო, რომ ოსმალეთმა ჰაშინვე მოახდინა სათანადო რეაგირება. „ვეზირ მეჰმედ ფაშას უზუნაესი სიგელი გაუგზავნა და უბრძანა ლაშქრობისათვის მომზადება. ისინიც კაფი კულუს, რუმელიისა და ანატოლიის ლაშქრით ირანზე გასალაშქრებლად მოემზადნენ“⁹⁰. ნაიმა იქვე აღწერს ოსმალთა ლაშქრის სამზადისს, უსქუდარში გადასვლას და ალექოსაკენ გზგზავრებას. მიხ. სვანიძე 1613—1615 წლების ირან-ოსმალეთის ურთიერთობის გაანალიზების საფუძველზე იმ დასკვნამდე მიდის, რომ „შაჰ აბასის ლაშქრობა საქართველოში იყო მთავარი მიზნები ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებისა (1615 წ.)“⁹¹.

1616 წ. შაჰ აბასი მთელი შეიარაღებული ძალებით კახეთის საბოლოოდ მოსასპობად წამოვიდა. საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროები კახეთს ვერ მიეშველნენ, მოძმის აოხრებას შორიდან უყურებდნენ და თავიანთ ჯერს უტყდიდნენ. კახეთის მეფე თეიმურაზი იძულებული გახდა დასაყვით საქართველოში გახიზნულიყო. მთელი კახეთი ციხე-სიმაგრეებში ჩაკეტა, ამავ დროს მორჩილებაჲ გამოუტყხადეს შაჰ აბასს. მაგრამ შაჰ აბასს კახეთის სრული მოსპობა სწადდა. შაჰი სავანებოდ მოემზადა კახეთის საბოლოოდ მოსასპობად. ასეთი საშინელი ტრაგედიის ყამს, რომელიც შაჰ აბასმა დაატრიალა კახეთში, მთელი მოსახლეობის ორი მესამედი დაიღუპა. დაღესტნელმა ყაჩაღებმაც დრო იხვლთეს და ხელი მოითბეს. მტერმა გაანადგურა ყველაფერი, რასაც კი მისწვდა. ნანგრევებად აქცია ქალაქები, დაწვა სოფლები. კახელი ტყვეები ირანს გარეკეს. დაცარიელებულ კახეთში შაჰმა თურქმანები ჩამოსახაღა.

ირანის შაჰმა, როგორც კი მიიღო ცნობა ოსმალთა ლაშქრის გამომგზავრების შესახებ, სასწრაფოდ ელჩი გაუგზავნა ოსმალეთის ხელისუფლებას და შეპირებული აბრეშუმი — ორი წლის ვალი — თან გაატანა. მაგრამ სულთანმა მას ყურადღება არ მიაქცია და განავრძო თავისი ღონისძიებების გატარება. ოსმალეთში თითქმის ერთი წელი უყურადღებოდ დატოვეს ირანის ელჩი. ამ ხნის განმავლობაში „არც მისი მოტანილი წერილისათვის მიუტკევიათ ყურადღება და არც საჩუქრები მოეწონათ“⁹². ნაიმა უფრო ქვემოთ შენიშნავს: „როდესაც მათ შეიტყვეს, რომ ამას წინათ ირანის შა-

⁹⁰ იქვე, გვ. 137.

⁸¹ მიხ. სვანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 269.

⁹² გვ. 137. « ٢ جلد ، میما ، تاریخ

ჰის წინააღმდეგ სალაშქროდ სარდალი დაინიშნა, მაშინ ორ წელიწადს გადუხდელი ნაკისრი აბრეშუმისა და საჩუქრებიდან ერთი წლის აბრეშუმით კასიმის სახელწოდების ელჩი გამოგზავნეს... ამასობაში ხსენებული ელჩი ფადიშაჰის განრისხების ღირსი გახდა და იედი ყულეში იქნა დაპატიმრებული“⁹³.

ასე რომ, ოსმალეთს საკმაო საბუთი ჰქონდა იმისათვის, რომ ზაეის პირობის დარღვევის გამო ირანის წინააღმდეგ გაელაშქრა. ამასთანავე ირანის წინააღმდეგ გაერთიანებულ საქართველოს მეფე-მთავრებსაც ოსმალეთის ხელისუფლება დახმარებას აღუთქვამდა. ირანის წინააღმდეგ დაძრულ ოსმალთა შეიარაღებულ ძალებს არ შეიძლებოდა არ გაემხნეებინა ირანის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმული საქართველოს მეფე-მთავრები.

ნაიმა აღწერს 1615—1616 წლებში ირანის წინააღმდეგ ლაშქრობისათვის ოსმალეთის მთავრობის ღონისძიებებს. იგი აღნიშნავს, რომ 1615 წელს ლაშქარმა ცალკეულ პროვინციებში გამოიზამთრა და 1616 წლის გაზაფხულზე ლაშქარი შეიყარა. მასში გაერთიანდა სხვადასხვა ვილაიეთის ჯარი, საერთო ხელმძღვანელი იყო დიდგეზირი. სხვადასხვა პროვინციის მეთაურებს არზრუმის მხრისკენ გამგზავრების შესახებ ბრძანებები დაეგზავნათ. არზრუმის ციხიდან შეიდი ზარბაზანი გამოუტანიათ და ბოლოს რამდენიმე ვილაიეთის გაერთიანებულ ლაშქარს ყარსამდე მიუღწევიან⁹⁴.

ოსმალთა ლაშქარმა სასწრაფოდ შეაკეთა ყარსის ციხე, გარკვეულ დრომდე იქ გამაგრდა, შემდეგ კი ერევნისკენ გაემართა. ერევნის ციხეს ამირგუნე ხანი იცავდა. ოსმალებმა ალყა შემოარტყეს ერევნის ციხეს, მაგრამ, ნაიმას სიტყვით, „ამირგუნე ხანმა ეს ციხე მტკიცედ გაამაგრა, ჯარითა და საჭურვლით გაავსო, შაჰი კი თავისი ლაშქრით ნახიჩევანში იყო“⁹⁵. მიუხედავად ოსმალთა ლაშქრის დიდი მეცადინეობისა, მათ ვერ მოახერხეს ერევნის აღება. ოსმალები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ⁹⁶.

ნაიმა, როგორც ყოველთვის, დეტალურად აღწერს ლაშქრობის სამზადისს, ამა თუ იმ ციხის აღებას, მაგრამ არაფერს ამბობს

⁹³ გვ. 146. تاريخ نعيما، جلد ۲

⁹⁴ იქვე, გვ. 141—142.

⁹⁵ იქვე, გვ. 142.

⁹⁶ იქვე, გვ. 142.

ნამდვილ მიზეზებზე, პოლიტიკურ სიტუაციებსა და სხვა ობიექტურ მხარეებზე, რომლებიც განაპირობებდა ორივე ქვეყნის კიდილს საუკუნეთა მანძილზე.

1616 წელს, როდესაც შაჰ აბასი კახეთს აოხრებდა, ირან-ოსმალეთს შორის ომი გრძელდებოდა. მაგრამ ოსმალთა ლაშქარს ამიერკავკასიაში წარმატება არ ჰქონია. ერევნის, ნახიჩევანისა და სხვა ქალაქების ციხეებში ჩაყენებულმა ყიზილბაშთა მეციხოვნეებმა მოიგერიეს ოსმალთა ყველა შემოტევა. ოსმალებმა ვერცერთი ციხე ვერ აიღეს. წლის ბოლოსათვის, მოახლოებული ზამთრისა და პროვიანტის უქონლობის გამო ოსმალეთის დიდგვზირსა და შაჰ აბასს შორის ზავი დაიდო, რომლის მიხედვით, 1616 წლის ბოლოს განახლდა 1612 წლის ზავის პირობები⁹⁷. ოსმალეთთან ომის შეწყვეტა ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა შაჰ აბასს ახალი ძალებით მოეგვარებინა კახეთის პრობლემა. ირანთან ოსმალთა ლაშქრის წარუმატებლობანი და მათ შორის დაზავება კახეთისათვის არ იყო ხელსაყრელი. კახეთი შაჰ აბასის პირისპირ განმარტოებული აღმოჩნდა.

ოსმალთა ლაშქრობის წარუმატებლობითა და ირანთან დადებული ზავით ოსმალეთის სულთანი უკმაყოფილო იყო. სულთანმა მთავარსარდალი სასწრაფოდ გადააყენა და ზავის პირობები გააუქმა. ახლად დანიშნულ მთავარსარდალს—ჰალილ ფაშას დაევალა ირანის წინააღმდეგ ხელახალი ლაშქრობის მოწყობა. ჰალილ ფაშა ოსმალთა ლაშქრით სტამბოლიდან გაპოვიდა 1617 წ. 15 ივნისს და, ნაიმას სიტყვით, „რადგანაც ირანი შორ მანძილზე იყო, იმისათვის, რომ მრავალრიცხოვანი ჯარი არ მოქანცულიყო, ბრძანება გაიცა დიარბექირში გამოეზამთრათ“⁹⁸. სარდალი აყოვნებდა ლაშქრობის დაწყებას. ნაიმას ცნობებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ხელისუფლება მაშველ ძალებს ელოდებოდა ყირიმის სახანოდან. მისი სიტყვით, 40000 შეიარაღებული თათართა ჯარი კაფადან გამოემართა და, ვიდრე დიარბექირში ოსმალთა ლაშქარს შეუერთდებოდნენ, ითხოვეს ყიზილბაშებზე თავდასხმის ნებართვა. როდესაც ოსმალთა ხელისუფლებისაგან ნებართვა მიიღეს, თათართა ჯარებმა „განჩის, ნახიჩევანისა და ჯულფის მილამოები იავარპყვეს და ათასამდე

⁹⁷ გვ. 143. « تاريخ نعيما، جلد ۲، Mufasssal Osmanlı Tarihi, Cilt IY. Istanbul, გვ. 1801.

⁹⁸ გვ. 151. « تاريخ نعيما، جلد ۲

ტყვე და მისი შესაბამისი ხარი და სხვა საქონელი გარეყეს. ამ მხარეების გავერანების შემდეგ დაბრუნდნენ⁹⁹ და დიარბექირში ოსმალთა ლაშქარს შეუერთდნენ. ოსმალთა სარდლობა დიდი პატივითა და საჩუქრებით შეხვდა მათ, „5000 ოქრო სახარჯოდ იქვე მისცეს“. შემდეგ თათართა ლაშქარს საგანგებო ადგილი მიუჩინეს გამოსაზამთრებლად. ამრიგად, ოსმალთა ხელისუფლებამ ირანის წინააღმდეგ ყირიმის თათართა ლაშქარიც მოიშველია.

ოსმალთა ხელისუფლების გარკვეული სამზადისი ახალი ლაშქრობის მოსაწყობად არ გამოპარვია შაჰ აბასს, მან საგანგებო დავალება მისცა ყარჩიხა ხანს, მოერბია არზრუმისა და ვანის ოლქები. ამიტომაც იყო, რომ ოსმალთა ლაშქარმა გამოსაზამთრებლად დაიბანაკა დიარბექირში და არა სასაზღვრო ვილაიეთებში¹⁰⁰.

ოსმალთა ლაშქრის დიარბექირში ყოფნის დროს სულთნის ხელისუფლებას გურიის მთავარმა აცნობა ყიზილბაშთა განზრახვა — საქართველოზე თავდასხმის შესახებ. ოსმალეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ მიიღო ღონისძიება და გასცა განკარგულება საქართველოს „დასაცავად“ დაენიშნათ: „ბათუმის ბეგლარ-ბეგო ომერ-ფაშა თავისი ვილაიეთის ჯარით, ჩილდირის ბეგი — მურთაზა-ბეგი საფარ ფაშა და საქართველოს სხვა მხარეების ბეგები და მმართველები: გურიელი, დადიანი, იმერეთის მეფე თავიანთი სამბრძანებლოში მყოფი ლაშქრით დაინიშნონ. მთლიანად არზრუმსა და ტრაპიზონში მყოფი იანიჩრების მეთაურებთან ერთად დალესტნის მფლობელებიც დაუყოვნებლივ დაიძრან“¹⁰¹.

ჩანს, რომ ამ დროს გურიისა და სამეგრელოს სამთავროები, აგრეთვე იმერეთის სამეფოც გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმით დაუკავშირდნენ ოსმალეთს, რადგან ანტი-ყიზილბაშური კოალიციის მომხრენი იყვნენ. ნაიმას ცნობიდანვე ჩანს, რომ ოსმალეთს ხელი მიუწვდებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებზე და სპეციალური ბრძანებაც კი გაუგზავნა მათ, რათა მზად ყოფილიყვნენ ყიზილბაშებთან საბრძოლველად. სხვა საკითხია, თუ როგორ ასრულებდნენ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები ოსმალთა ხელისუფლების განკარგულებას, მაგრამ ნომინალურად ოსმალეთი მაინც ხელს დებდა ამ

⁹⁹ იქვე, გვ. 151. , ٢ جلد ، تاريخ نعيمًا

¹⁰⁰ შიხ. სეანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 270—271.

¹⁰¹ გვ. 151—152. , ٢ جلد ، تاريخ نعيمًا შიხ. სეანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 271.

ტერიტორიებს. ოსმალეთის მთავრობა ყიზილბაშების წინააღმდეგ ერთიანად მოუწოდებდა როგორც ჩილდირის ბეგს — მურთაზა-ბეგს, საფარ ფაშას, ისე გურიის სამთავროს, სადადიანოსა და იმერეთის სამეფოს თავიანთი ლაშქრით მზად ყოფილიყვნენ ყიზილბაშებთან საბრძოლველად. ამასთანავე აფრთხილებდა მოსაზღვრე რაიონებში — არზრუმსა და ტრაპიზონში მდგომ იანიჩართა კორპუსის მეთაურებს, აგრეთვე დაღესტნის მფლობელს, მაგრამ ეს იყო მხოლოდ სამზადისი და შეიძლება დახმარების ფორმალური აქტიც. რეალურად ოსმალეთს არავითარი დახმარება არ გაუწევია კახეთის აოხრების დროს. ნაიმა არაფერს ამბობს, თუ რა შედეგი გამოიღო ამ მზადყოფნის თობაზე ბრძანების დაგზავნამ მოსაზღვრე ქვეყნებში. ყოველ შემთხვევაში რეალური არაფერი განხორციელებულა, მაგრამ მაინც საგულისხმოა ნაიმას ეს ცნობა თუნდაც იმიტომ, რომ მასში აშკარად ჩანს ოსმალეთის მზადყოფნა ყოველი მოსალოდნელი ინციდენტის უამს და „საქართველოს დაცვის“ სურვილი.

ცხადია, ოსმალეთის მთავრობა დიდად იყო დაინტერესებული ირან-ოსმალეთის ომში ოსმალეთის მხარეზე საქართველოს მონაწილეობით. რა თქმა უნდა, არანაკლებ დაინტერესებული იყო ირანიც, რომ საქართველო თავის მხარეზე გადმოებირებინა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რქნებოდა ეს ძალით თუ შაჰ აბასისათვის ჩვეულებრივ ვერაგული დიპლომატიური ნაბიჯით, საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების ანტიოსმალურ კოალიციაში ჩასაბმელად.

1618 წლის გაზაფხულზე ოსმალთა ლაშქარი ყირიმის თათართა ჯართან ერთად დიარბექირის საზამთრო სადგომებიდან გამოვიდა და არზრუმისაკენ გაემართა. შაჰი ამ დროს არღებილში იმყოფებოდა¹⁰². ოსმალთა ლაშქრის მთავარსარდალს ევალებოდა სამხრეთ-აზერბაიჯანისაკენ გაქრა, არღებილის განადგურება და ომის წარმატებით დამთავრება, საქართველოსაკენ გალაშქრება, თბილისის დაკავება და თეიმურაზის კახეთის ტახტზე აღდგენა¹⁰³. ოსმალთა ამ ლაშქრობაში თეიმურაზ კახთა მეფესაც მიუღია მონაწილეობა 3 000 ქართველით¹⁰⁴. ბუნებრივია, თეიმურაზ კახთა მეფე ყოველ ღონეს იხმარდა ოსმალთა ლაშქართან ერთად ებრძოლა ყიზილბაშების წინააღმდეგ. ნაიმა არაფერს ამბობს თეიმურაზის

102 გვ. 154 تاريخ نعيما جلد ۲

103 ვ. ჩ. ო. ჩ. ე. ე. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 344.

104 მიხ. ს. ვ. ა. ნ. ი. ძე, დასახ. ნაშრ., გვ. 273.

ოსმალთა ლაშქართან ერთად ყიზილბაშების წინააღმდეგ გალაშქრებაზე. იგი მხოლოდ ყირიმის თათართა ლაშქრის მონაწილეობაზე მიუთითებს.

ოსმალთა გაერთიანებულმა ლაშქარმა თავრიზისკენ აიღო კურსი. შაჰის ბრძანებით ყიზილბაშებმა ქალაქი დაცალეს და ოსმალებმა იგი უბრძოლველად ჩაიგდეს ხელთ. წარმატებით გათამამებული ოსმალთა ლაშქარი არდებილისკენ გაემართა. ნაიმა აღწერს არდებილთან გამართულ ბრძოლას, ყიზილბაშთა მიერ ოსმალთა და თათართა გაერთიანებული ლაშქრის გაწყვეტას. თითქმის ყველა წარჩინებული და ბეგლარ-ბეგი ამ ბრძოლაში დაიღუპა სერავის ველზე¹⁰⁵. ბრძოლაში თავი გამოიჩინა ყარჩიხა ხანმა.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის შეიარაღებული ძალები რიცხობრივად ყიზილბაშებზე მეტი იყო, მაინც ვერ მოახერხეს წარმატების მიღწევა უნიჭო სარდლობის გამო. ოსმალთა შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა პატილ ფაშამ აქვე, სერავის ველზე, ზავი დადო შაჰ აბასთან. ამ ზავით განახლდა 1612 წლის ზავის პირობები, რაც თავისთავად შეიცავდა 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულებას¹⁰⁶. ამ ზავის მიხედვით აშკარა იყო, რომ, მიუხედავად დიდი მეცადინეობისა, ოსმალეთმა მაინც ვერ მოახერხა ირანისათვის აღმოსავლეთ ამიერკავკასიის წართმევა. ზავის პირობებით უკმაყოფილო იყო ოსმალეთის სულთანი, ამიტომაც იყო, რომ მაშინვე გადააყენა თანამდებობიდან მთავარსარდალი პატილ ფაშა. სულთანმა ზავის ეს პირობა არ მიიღო. მის. სვანიძის ვარაუდით, „სულთნის უკმაყოფილების მიზეზი ამჯერადაც ახალციხის საფაშოს საკითხი იყო, რომელიც ფაქტიურად ოსმალეთის გავლენის სფეროდ რჩებოდა, მაგრამ ხელშეკრულებაში იურიდიულად ეს არ იყო გაფორმებული“¹⁰⁷.

ირან-ოსმალეთს შორის საომარი მოქმედება შეწყდა, მაგრამ მათ შორის დიპლომატიური ჭიდილი გრძელდებოდა. ირანის შაჰმა გაითვალისწინა სულთნის უარყოფითი დამოკიდებულება ამ ზავისადმი და მასთან გაგზავნა ელჩი ძვირფასი საჩუქრებით. ელჩს დავალებული ჰქონდა დადებული ზავის პირობების განმტკიცება გარკვეული ცვლილებებით. კერძოდ, ირანი ხელს იღებდა მთელ სამ-

¹⁰⁵ გვ. 164—167, ٢ جلد، تاريخ نعيما

¹⁰⁶ იქვე, გვ. 167—169.

¹⁰⁷ მის. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 274.

ცხე-საათაბაგოზე და ოსმალეთს უთმობდა, ხოლო ოსმალეთი მის სანაცვლოდ ბალდადის საზღვარზე მდებარე დერნესა და დერთენ-გის სანჯაყებს თავისი სოფლებითა და ნაჰიეებით ირანს აძლევდა. ამასთანავე ირანი ოსმალეთს ყოველწლიურად გაუგზავნიდა ასი საპალნე აბრეშუმის ფასის სანაცვლო საჩუქრებს¹⁰⁸. ამ საზავო ხელშეკრულების მიხედვით, სამცხე-საათაბაგოს სანაცვლოდ ოსმალეთმა ორი სანჯაყი გადასცა ირანს. ოსმალეთის ასეთი გაზრდილი ინტერესი სამცხე-საათაბაგოსადმი აშკარად მიუთითებდა მის აგრესიულ ზრახვებზე ამ ტერიტორიების მიმართ. „1919 წლის ზავი იყო ირან-ოსმალეთის ახალი გარიგება საქართველოს დანაწილების თაობაზე. ეს ზავი ნიღაბს ხდის ოსმალეთის აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც ის ფარავდა საქართველოსათვის დანაწილების აღმოჩენის საბაბით“¹⁰⁹.

მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა, რომ შაჰ აბასი სამცხე-საათაბაგოზე მხოლოდ დროებით იღებდა ხელს. ამ ზავის მიხედვით ირანმა ოსმალეთს „დაუთმო“ ახალციხე, რაც ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული ხელშეკრულებაში. ირანის ასეთი „დათმობა“ გამართლებული იყო იმით, რომ იგი ამასობაში შეეცდებოდა სასწრაფოდ მოეგვარებინა თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხები სამხრეთ ირანში, დრო მოეგო, ძალები მოეკრიბა და შემდეგში ისევ განეახლებინა თავისი პრეტენზიები აღნიშნული ტერიტორიების მიმართ.

1619 წელს ირან-ოსმალეთს შორის დადებული ზავი 1623 წლამდე არ დარღვეულა. ამ ხნის განმავლობაში ირანმა მოახერხა სამხრეთ და აღმოსავლეთ ირანში საქმეების მოგვარება, ხოლო ოსმალეთმა თავისი ყურადღება დასავლეთ ევროპის ქვეყნებისკენ გადაიტანა, ამასთანავე ქვეყნის შიგნით შექმნილი სიძნელებიდან თავის დასაღწევად მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებით იყო გართული. საგარეო წარუმატებლობებმა და ომებში განცდილმა დამარცხებებმა გააღრმავა ქვეყნის საშინაო კრიზისი. დედაქალაქში იანიჩრები განუკითხავად დათარეშობდნენ, მათ ჩამოაგდეს სულთან მუსტაფა და ტახტზე აიყვანეს მურად IV (1623—1640). მაგრამ სულთნის გამოცვლით ქვეყნად ვითარება არ შეცვლილა. ოსმალეთის ხელისუფლებას განუდგა არზრუმის ბეგლარ-ბეგი აბა-

108 გვ. 172—173. تاريخ نيماء، جلد ۲

109 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 345.

ზა ფაშა. ასეთ მიმე პირობებში ოსმალეთის ხელისუფლებას არ შეეძლო ირანთან საომარი მოქმედების განახლება და ქართლ-კახეთზე პრეტენზიები. ოსმალეთის ამოცანა ამ პერიოდში იყო ზავით მიღებული სამცხე-საათაბაგოს შემომტკიცება, მაგრამ საშინაო გართულებათა გამო ოსმალეთის ხელისუფლება ამასაც ვერ ახერხებდა.

ასე რომ, 1619—1623 წლების ამბების გადმოცემისას ნაიმა თითქმის არაფერს გვაუწყებს ირან-ოსმალეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნების შესახებ. იგი უპირატესად ევროპის ქვეყნებთან ოსმალეთის ურთიერთობითა და ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების რეგისტრაციით კმაყოფილდება. ამ პერიოდის ამბების გადმოცემისას ნაიმა ვრცლად გვიყვება ყირიმის ხანების შესახებ, მათი დინასტიის ისტორიის თაობაზე; გვაცნობს ოსმალთა სახელმწიფოსთან მათი ურთიერთობის ცალკეულ მომენტებს. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ ნაიმას „ისტორიაში“ გადმოცემული ყირიმის ხანების საქმიანობის, მათი კავკასიის ხალხებსა და ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიის შესახებ არსებული ცნობების მთლიანად თარგმნა. იგი საუკეთესო წყაროა როგორც ყირიმის თათრების ისტორიის, ასევე მათი ოსმალეთსა და სხვა ხალხებთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესასწავლად.

როგორც აღვნიშნეთ, ნაიმას „ისტორია“ საინტერესო წყაროა საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. მას მეტად საყურადღებო ცნობები აქვს შემონახული XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოსა, საერთოდ, და გიორგი სააკაძის შესახებ, კერძოდ. იგი დაწვრილებით ჩერდება 1624—1625 წწ. გიორგი სააკაძის მოღვაწეობაზე. ჰიჯრის 1034 წლის (1624.10—1625.10). ამბებთან დაკავშირებით ნაიმა მოგვითხრობს ყიზილბაშების წინააღმდეგ გიორგი სააკაძის მიერ აჯანყების მოწყობას და ყიზილბაშთა გაწყვეტას მარტყოფის ველზე.

ნაიმა კახეთის მეფე თეიმურაზ I (1605—1663) უწოდებს ზაგემის მეფეს. ქალაქი ზაგემი კახეთის სხვა ქალაქებთან ერთად ცნობილი იყო XV—XVII სს. საქართველოში. ნაიმა არასწორად აცხადებს, რომ „ძველი დროიდან საქართველოს მთავრები ოსმალთა დინასტიას ემორჩილებოდნენ და ამდენად დაცული იყვნენ ყიზილბაშთა შემოსევისაგან“¹¹⁰. საქართველოს მთავრები არასდროს არ

ემორჩილებოდნენ ოსმალეთის დინასტიას. ერთადერთი გამონაკლისი იყო სამცხე-საათაბაგო, რომელიც XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთმა „გურჯისტანის ვილაიეთად“ აქცია და იქ დაამყარა ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემა. სხვა სამეფო-სამთავროები ყოველთვის იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და მხოლოდ ძლევითა და საჩუქრებით იყვნენ დაკავშირებული.

ოსმალთა ხელისუფლება არასდროს არ იცავდა საქართველოს სამეფო-სამთავროებს ყიზილბაშთა შემოსევებისაგან. ოსმალეთი ირანთან ომს აწარმოებდა მხოლოდ თავისი პოლიტიკური ზრახვების შესაბამისად, რასაც არაფერი საერთო არ ჰქონდა საქართველოს სამეფო-სამთავროების ყიზილბაშთაგან დაცვასთან.

* * *

1619 წლის ირან-ოსმალეთის ზავი არ იყო ხანგრძლივი. ირანმა მოკლე ხანში მოაგვარა ქვეყნის საშინაო საქმეები და დაიწყო სამზადისი ოსმალეთის წინააღმდეგ საფუძვლიანი ლაშქრობისათვის. მან შესანიშნავად ისარგებლა ბალდაღში შექმნილი გართულებული პოლიტიკური ვითარებით და ოსმალთა მოწინააღმდეგეთა დასს მხარში ამოუდგა, რითაც ოსმალეთს დაუპირისპირდა.

შაჰ აბასმა შესანიშნავად იცოდა, რომ ბალდაღში გალაშქრებანიშნავდა ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევას, მიუხედავად ამისა შაჰმა ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და ბალდაღი გარემოიცვა, რამდენიმე თვის გარემოცვის შემდეგ 1623 წლის მიწურულს ბალდაღი დაიკავა, მომდევნო წლის გაზაფხულზე კი მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი, შაჰ აბასის მიერ ქვეყნის შიგნით ჩატარებული ღონისძიებებისა და აღნიშნული ტერიტორიების დაკავების შემდეგ ირანი ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთში. როგორც კი ყოველგვარი საგარეო საკითხები მოაგვარა, შაჰმა მოიცილა ოსმალეთის იმპერიისათვის.

ბალდაღის დაკავებით შაჰმა დაარღვია 1619 წლის საზავო ხელშეკრულება. მან შესანიშნავად გამოიყენა ოსმალეთის შინაგანი სიძნელეები. ირანმა ერაყი და მთელი ქურთისტანი ისე დაიკავა, რომ ოსმალეთმა ვერ შეძლო სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. ოსმალეთის სატახტო ქალაქში არეულობა სუფევდა, მთელი ანატოლია აჯანყებული აბაზა ფაშას განკარგულებაში იყო და ოს-

მალეთის მთავრობა ვერ ახერხებდა ერაყისაკენ ჯარის გაგზავნას. შაჰ აბასი ცდილობდა გამოეყენებინა ოსმალეთის შინაგანი გართულებანი და რაც შეიძლება მეტი ტერიტორია დაეპყრო. შაჰს განზრახული ჰქონდა ოსმალეთისათვის წაერთმია სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც 1619 წლის ზავით ოსმალეთს „დაუთმო“. ისქანდერ მუნშის ცნობით, შაჰ აბასმა ამირგუენე ხანი გაგზავნა და ოსმალებს ახალციხე წაართვა¹¹¹. ასე რომ, შაჰის სიძლიერე მახლობელ აღმოსავლეთში აშკარა იყო, ამიტომ შაჰმა გადაწყვიტა „გურჯისტანის საკითხის“ თავის სასარგებლოდ მოგვარება.

საქართველოს წარჩინებული ფენებისათვის შაჰის ზრახვები საქართველოს მიმართ აშკარა იყო. შაჰის გეგმები უფრო აძლიერებდა საქართველოში ანტიირანულ მოძრაობას. საქართველოში რომ ირანის წინააღმდეგ სახალხო აჯანყება მწიფდებოდა, ამას თვით შაჰ აბასის მიერ საქართველოში დანიშნული მოხელეებიც გრძნობდნენ. განჯის ხანი ფეიქარი, რომელიც შაჰ აბასმა კახეთში ივრის აღმოსავლეთი მხარის გამგებლად დანიშნა, აღშფოთებული იყო ქართველთა მომრავლებით და გრძნობდა, რომ თანდათანობით მწიფდებოდა პირობები ირანის წინააღმდეგ სახალხო აჯანყებისათვის. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ნაიმა. იგი წერს, რომ „ფეიქარ სულთანს ქართველების სიმრავლემ საგონებელში ჩააგდო და მან შაჰს აცნობა: ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნება?“¹¹².

ასეთი ცნობა მიუვიდა შაჰ აბასს 1623—1624 წწ., როცა იგი ბაღდადისა და მთელი ერაყის დაპყრობით იყო დაკავებული. საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ შეაშფოთა შაჰი. იგი გრძნობდა, რომ ქართველების მოსალოდნელი აჯანყება, რომელსაც შეიძლებოდა დიდი წარმატება ჰქონოდა, საფრთხეს შეუქმნიდა

¹¹¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 118—119. ნაიმა უიზილბაშთა მიერ 1624 წ. ახალციხის ციხის აღების შესახებ არაფერს ამბობს, იგი მხოლოდ 1626—1627 წწ. ამბების გადმოცემისას გვიყვება ახალციხეზე.

ახალციხის დაკარგვას ნაიმა აბაზა ფაშას აბრალებს. გვ. 411. **تاریخ نعیماء جلد ۴**

¹¹² გვ. 350. **تاریخ نعیماء جلد ۴** შდრ. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 121.

ირანის ბატონობას ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებშიც, რომლებსაც ექნებოდათ შაჰის მდგომარეობის გართულებით სარგებლობისა და ირანის ბატონობისაგან განთავისუფლების საშუალება. ამიტომ შაჰ აბასმა შეწყვიტა სამხედრო მოქმედება ერაყში და ისპაჰანს დაბრუნდა¹¹³. იქიდან შაჰი მაზანდარანს გადავიდა და სასწრაფოდ დაუკავშირდა სულთნის წინააღმდეგ აჯანყებულ აბაზა ფაშას. აბაზა ფაშას შაჰ აბასთან დაკავშირება დიდ შემთვობას იწვევდა ოსმალეთში, რადგან ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს არ ჰქონდათ სამცხე-საათაბაგოსთან დაკავშირების საშუალება. ამის შედეგი იყო ის, რომ ახალციხე ირანმა ხელში ჩაიგდო. ახლა უკვე ოსმალეთის ამოცანას შეადგენდა აბაზა ფაშას დამარცხება და თავისი უფლებების აღდგენა სამცხეში.

ნაიმას ცნობით, აბაზა ფაშამ იანიჩრები, როგორც მოძალადეები, შეურაცხყოფილები და მოჯანყეები, არ დაინდო და მუსრი გაავლო. როდესაც ადგილობრივი იანიჩრები გაანადგურეს, მათი რაზმებისაგან დაიცალა არზრუმის ციხე. ვიალეთის სატახტო ქალაქის გარდა 70-მდე იანიჩარი მოკლეს ახალციხის ციხეშიც და მათგან დაცარიელდა საქართველოს საზღვრები¹¹⁴. ნაიმას ამ ცნობიდან ჩანს, რომ საქართველოს საზღვრებზე იანიჩართა ძალები უკვე აღარ არის, ირანელები დაპატრონებიან სასაზღვრო ზოლს.

ოსმალეთის მთავრობამ დიდი ვაი-ვაგლახით დაიყოლია სტამბოლში მოკალათებული, თავგასული იანიჩრები აბაზას წინააღმდეგ სალაშქროდ. აბაზასა და იანიჩრებს შორის ანატოლიაში მომხდარ ბრძოლაში აბაზა დამარცხდა, მაგრამ მან ბრძოლაზე ხელი არ აიღო. სწორედ ამ დროს იყო, რომ ირანის შაჰმა ბაღდადიდან მოხსნა თავისი ლაშქარი, ისპაჰანზე გავლით მაზანდარანს მივიდა და აბაზა ფაშას შეუკავშირდა, როგორც ოსმალეთის მთავრობის წინააღმდეგ მებრძოლ პიროვნებას.

შაჰი სწორედ ამ პერიოდში ემზადებოდა „გურჯისტანის საკითხის“ მოსაგვარებლად და წინასწარ ლონისძიებებს. ლებულობდა ოსმალეთის შესაძლო შემოტევის აღსაკვეთად. ახალციხის გადასვლა შაჰის ხელში მას პოზიციებს უმაგრებდა, რითაც იგი ოს-

¹¹³ Bellan, Chah Abbas I, sa vie son histoire; Paris, 1932, გვ. 270. შტრკ. ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 350.

¹¹⁴ გვ. 299. تاريخ تيمما، جلد ۲ შტრკ. ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

შალეთს უკეტავდა მთავარ გზას, რომელიც აღმოსავლეთიდან მოდიოდა. შაჰმა აბაზა ფაშასთან ერთად ააოხრა ვანის მხარე, საიდანაც შესაძლებელი იყო ოსმალთა ჯარის შემოსევა¹¹⁵.

ამრიგად, ირანის შაჰმა ყოველგვარი წინასწარი პირობები შეამზადა „გურჯისტანის საკითხის“ საბოლოოდ გადასაჭრელად. 1625 წლის დასაწყისში შაჰ აბასმა საქართველოში გამოგზავნა დიდი ლაშქარი ყარჩიხა ხანის მეთაურობით, ყარჩიხა ხანს დავალებული ჰქონდა შაჰ აბასის გეგმის სისრულეში მოყვანა, რაც ქართველების ფიზიკურ მოსპობას ითვალისწინებდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ჩაშალა შაჰ აბასის ეს ვერაგული ზრახვა. ყიზილბაშები 1625 წლის 25 მარტს, ძველი სტილით, განდგურდნენ მარტყოფთან. მარტყოფთან ქართველების მიერ ყიზილბაშების გაწყვეტის შესახებ საკმაოდ ვრცლად მოგვითხრობს მუსტაფა ნაიმა¹¹⁶. იგი ჩვენ მთლიანად შევიტანეთ წინამდებარე გამოცემაში.

როგორც ცნობილია, მარტყოფთან გიორგი სააკაძის მეთაურობით ყიზილბაშთა გაწყვეტაში მხოლოდ ქართლი იღებდა მონაწილეობას. ნაიმა მოგვითხრობს, რომ „ამჯერად ქართლის მფლობელი მოურავ-ხანი, გურიელი, დადიანი, აჩიკ-ბაში და არაგვის ერისთავი გაერთიანდნენ, საქართველოს სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი, საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარჩიხა ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაშქართან საბრძოლველად გამოვიდნენ“¹¹⁷. ნაიმას ეს ცნობა მარტყოფის ბრძოლაში საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების მონაწილეობის შესახებ თითქოს გაზვიადებული ჩანს. ყოველ შემთხვევაში ეს ახალი ცნობაა, რომელიც, თუ მას სხვა წყაროებიც შეამავრებენ, რა თქმა უნდა, მისაღებია.

მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა გაწყვეტის ამბის აღწერისას

¹¹⁵ ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

¹¹⁶ ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, წაკვ. 33, თბ., 1960. მარტყოფის ბრძოლის შესახებ მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსი ზაქარია კანაკერცი. იხ. Закарий Канакерци, Хроника, Перевод с армянского, предисловие и комментарий М. О. Дарбинян-Меликян. М., 1969, с. 53—56.

¹¹⁷ გვ. 345. « تاريخ نعيما، جلد ۲ »

ნაიმა მარტყოფს არ ასახელებს. მის მაგივრად რგი აღნიშნავს „საქართველოში შემავალ ვიწრო ხეობას“. ნაიმას ცნობით ყიზილბაშთა 30 ათასიან ლაშქარში, რომელიც გაწყვიტეს ქართველებმა მარტყოფის ველზე, ყარჩიხა ხანის გარდა მონაწილეობას იღებდა მისი შვილი, ამირგუსე ხანი, სულეიმან ხანი, კაზლან ხანის შვილი, შირვანის ხანი, იუსუფ ხანი, მეკმედ ხანი, სულეიმან ხანი და სხვა პროვინციის გამგებლები, რომლებიც ირანის სახელმწიფოს ემორჩილებოდნენ¹¹⁸. შაჰის საქართველოში დამარცხების შესახებ ცნობას სტამბოლში სიამოვნებით შეხვდნენ¹¹⁹. სულთნის ხელისუფლებამ გაააქტიურა დიპლომატიური საქმიანობა ანტიირანული მოძრაობის გასაძლიერებლად. ოსმალეთის ღონისძიებებმა გამოაცოცხლა შირვანისა და სომხეთის ანტიირანული საქმიანობა.

გიორგი სააკაძე მარტყოფთან ბრძოლის შემდეგ ქართლის ფაქტიური ბატონ-პატრონი გახდა. მან ყიზილბაშთაგან მთელი ამიერკავკასიის გაწმენდის გეგმა დააწყო და ამ საქმეში ოსმალეთის შეიარაღებული ძალების გამოყენება სცადა. ამიტომ გიორგი სააკაძემ მარტყოფთან ბრძოლის შემდეგ ელჩები გაუგზავნა ოსმალეთის დიდებუბრს ჰაფიზ აჰმედ ფაშას, რომელიც ამ პერიოდში დიარბექირს იმყოფებოდა. გიორგი სააკაძის მიერ ოსმალეთში ელჩობის გაგზავნის შესახებ ოსმალთა ისტორიკოსებს იბრაჰიმ ფეჩევისა და მუსტაფა ნაიმას შემონახული აქვთ ცნობები¹²⁰. იბრაჰიმ ფეჩევი თვითონ ყოფილა თვითმხილველი ამ ელჩობისა. გიორგი სააკაძის კაცებს თან ჩაუტანიათ მარტყოფთან დახოცილი ყარჩიხა ხანისა და სხვა ყიზილბაშების მოჭრილი თავებიც, რომლებიც სტამბოლში გაუგზავნიათ. სწორედ გიორგი სააკაძის ამ ელჩობისა და წერილის შესახებ აღნიშნავს ოსმალეთის სულთანი მურად IV თავის ფირმანში, რომელიც მან გიორგი სააკაძეს უბოძა. გიორგი სააკაძის წერილის შინაარსი ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მურად IV-ის

¹¹⁸ მარტყოფის ბრძოლის შესახებ იხ. დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XV—XVII), II, თბ., 1965, გვ. 324—336; გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, თბ., 1694, გვ. 123—133; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1973, თბ., გვ. 277—282.

¹¹⁹ ، صولاق زاده تاريخی ، استانبول ، ۱۲۹۷ ، ج ۷۴ ، كتاب چلبی ، ج ۱۱۵ ، فذلكه ، ج ۲ ، ۱۲۸۷ ، استانبول

¹²⁰ იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 83—85; ნ. შენგელიძე. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ, გვ. 253—264.

პასუხიდან ჩანს რომ გიორგი სააკაძე დაწერილებით აღუწერს მას ირანის შაჰის განზრახვას ოსმალეთისა და საქართველოს მიმართ.

სულთნის ფირმანის შინაარსიდან აშკარად ჩანს გიორგი სააკაძის ელჩობის მიზეზი და მისი ზრახვებიც ირანის მიმართ. სულთანი წერს: „[იწერები აგრეთვე], რომ საქირთა დროულად ღონისძიებათა მიღება ურჯულო მტერთა და უკულმართ გზაზე შემდგარ რაფიზიებისაგან (მოსალოდნელ) სიავეთა თავიდან აცილებათ და ითხოვ აქედან ჭარსა და შველას“¹²¹. ამ ცნობას ნაიმაყ ადასტურებს.

გიორგი სააკაძის მიერ მარტყოფთან ყიზილბაშთა ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ თბილისში მოკალათებულ ყიზილბაშთა გარნიზონს ალყა შემოარტყეს და თბილისი აიღეს. მერე ახალციხე ხელიდან გამოსტაცეს ყიზილბაშებს. მარტყოფთან ქართველთა გამარჯვების შემდეგ მათ თეიმურაზი მოიწვიეს და ქართლ-კახეთის მეფედ აღიარეს.

ყიზილბაშთა დამარცხების ამბავი შაჰ აბასმა მაზანდარანში გაიგო. მან სწრაფად შეაფასა მდგომარეობა, მოსალოდნელი საფრთხეც და შესაფერისი ღონისძიებაც მიიღო. სასწრაფოდ გამოგზავნა ლაშქარი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით, ერეენის ხანს ამირგუენს და აზერბაიჯანის ხანს შაჰბენდეს უბრძანა საქართველოში გალაშქრება. 1625 წ. 1 ივლისს მარაბდასთან გაიმართა ბრძოლა ირანის ჭარსა და ქართველებს შორის. მართალია, ამ ომში ქართველები დამარცხდნენ, მაგრამ გიორგი სააკაძემ ირანელებს თავს მოახვია პარტიზანული ომი და ირანელები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ საქართველოს მიწა-წყალი. შაჰ აბასის მდგომარეობა მარაბდის ომის შემდეგ უფრო გაუარესდა. მან ვერ მოახერხა იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც მარტყოფის ბრძოლამდე ჰქონდა¹²². შაჰისათვის აშკარა იყო, რომ ქართველმა ხალხმა საბოლოოდ ჩაშალა მისი გეგმები ამიერკავკასიაში. შაჰ აბასმა რომ „ვერ შეძლო საქართველოს საკითხის ლიკვიდაცია, ამის მიზეზი მხოლოდ ქართველი ხალხის ის ამოურწყველი სასიცოცხლო ძალა და გმირობა იყო, რომლის წინაშე — ისე როგორც ყველა სხვა წინ თუ შემდეგდროინდელი მტაცებელი — ეს დამპყრობელიც უძლეური აღმოჩნდა“¹²³.

121 ს. ქ ი ქ ი ა, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. ენციკლ. მოამბე, XIII, 1942, თბ. გვ. 237.

122 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 353.

123 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 113.

1624 წ. დასაწყისში, როდესაც შაჰ აბასმა „გურჯისტანის საკითხის“ მოსაგვარებლად ერაყიდან გამოიყვანა თავისი ჯარი, ოსმალეთმა ერაყი ისევ დაიკავა¹²⁴. აბაზა ფაშამაც შეეცალა თავისი პოლიტიკა და განუდგა შაჰს, როგორც დამარცხებულს. აბაზამ ისევ ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომად აღიარა თავი, რაც ოსმალეთის მთავრობას აძლევდა სამცხესთან დაკავშირებისა და ყიზილბაშთა სამცხიდან განდევნის საშუალებას¹²⁵.

ამრიგად, შაჰ აბასს ამიერკავკასიაში საქმეები ცუდად წაუვიდა. მას აუჯანყდა აგრეთვე ქურთისტანი. ამას გარდა ოსმალეთის შეიარაღებული ძალები დიდუფიურ ჰაფიზ ფაშას სარდლობით, რომელიც დიარბექირთან იღვა, ბაღდადის ასაღებად დაიძრა. ოსმალეთის მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ბაღდადის აღებას, ამიტომ, როდესაც გიორგი სააკაძემ ოსმალეთის ლაშქარი მიიპატიჟა. ამიერკავკასიის ქვეყნებში სალაშქროდ, ნაიმას ცნობით, გიორგი სააკაძის კაცებს აცნობეს, რომ სულთანი ახლა უფრო მნიშვნელოვანი საქმეებითაა დაკავებული — ბაღდადზე სალაშქროდ ემზადება და საქართველოში ლაშქრობა მის ამოცანას არ შეადგენსო¹²⁶.

გიორგი სააკაძის მეთაურობით ყიზილბაშთა დამარცხება ზრდიდა მის მიმართ ოსმალეთის მთავრობის სიმპათიებს, ის ეზად იყო მისთვის გაეწია ყოველგვარი სამსახური ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ. გიორგი სააკაძე კარგად ითვისაწინებდა ამიერკავკასიის ქვეყნების მდგომარეობას ოსმალეთის მოსალოდნელი ლაშქრობის დროს და საგანგებოდ აუწყებდა სულთანს, რომ „უკეთეს ისლამის ლაშქარი ამ მხარისაკენ გაემართება, ხელსაყრელი შემთხვევაა, განჯის, ყარაბაღის და შირვანის მოსახლეობა მთლიანად ჩვენ დაგვიჭერს მხარს და დაგვემორჩილდება. არდებილის მხარეებსაც დავიკავებთ. ეს ადგილები მდიდარია პროვიანტითა და საჭურველით. ამ მხრივ სიძნელეები არ შეიქმნება. ყიზილბაშთა ქვეყანას დიდ ზიანს მივაყენებთ. ბევრი კარგი საქმე გაკეთდება“¹²⁷.

მაგრამ ოსმალეთის მთავრობამ მოსალოდნელი წარმატება

124 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 344—345.

125 იქვე, გვ. 354; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 132—

133. « تاريخ نعيمًا ، جلد ٢ »

126 გვ. 348. « تاريخ نعيمًا ، جلد ٢ »; გვ. 403—406. « تاريخ پجوى ، جلد ٢ »; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ 83—85.

127 . « تاريخ نعيمًا ، جلد ٢ » გვ. 347.

ხელიდან გაუშვა, გიორგი სააკაძის წინადადება — ამიერკავკასიაზე გავლით ყიზილბაშურ ირანზე გალაშქრება — არ მიიღო და ამით შაჰ აბასი უდიდეს ხიფათს გადაარჩინა. ოსმალეთის შეიარაღებული ძალები ამ დროს ბალდაღზე სალაშქროდ ემზადებოდნენ და ოსმალეთის სარდალმა ჰაფიზ ფაშამ ბალდაღის ალება უფრო მნიშვნელოვან ღონისძიებად მიიჩნია, ვიდრე ამიერკავკასიაში გალაშქრება.

მართალია, ოსმალეთის სამხედრო სარდლობას გიორგი სააკაძის გეგმა ამიერკავკასიაში გალაშქრების შესახებ არ მიუღია და უფრო მნიშვნელოვან ღონისძიებად ბალდაღზე გალაშქრება მიაჩნდა, მაინც ერთგვარ სამზადისსა და მზადყოფნაში იყო ამიერკავკასიის ქვეყნებში გასალაშქრებლად. ეს თვით ნაიმას ცნობებიდანაც ჩანს. ნაიმა მოგვითხრობს, რომ იმავე წელს ოსმალთა სარდლობას საქართველოში გაუგზავნია ორი ათასამდე კაცი, რომლის სერასქერად დაუნიშნავს ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერ ფაშა, აგრეთვე მიუღიათ მთელი რიგი ღონისძიებანი. დაუგზავნიათ ფირმანები საქართველოს მეზობელ სახელმწიფოთა მეთაურებისადმი, რომელთაც ებრძანათ ლაშქრის მზადყოფნა საქართველოს ლაშქართან ერთად ყიზილბაშებთან მოსალოდნელ ლაშქრობაში. „მაგრამ, დასძენს ნაიმა, ამ წელს იმ რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი, კარგი საქმე არ გაკეთებულა“¹²⁸.

ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ამიერკავკასიაზე გამოლაშქრების ჩაშლის ერთ-ერთ მიზეზად ნაიმა მიიჩნევს თვით ოსმალეთის სამხედრო სარდლობაში არსებულ შურიანობასა და ურთიერთგაუტანლობას, ამასთან ერთად დასძენს, რომ „ხუსრევ აღას არ უნდოდა ჰაფიზის გამარჯვება. ამიტომ მან არ მოინდომა აქეთ-კენ გამგზავრება. შაჰ აბასის შაჰობის შემდეგ მისგან ჰაფიზ ფაშამ ბევრი უსიამოვნება იგემა. საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულყო, მოსალოდნელი იყო დიდი გამარჯვება“¹²⁹.

ნაიმა ოსმალური ნარატული წყაროების დამოწმებით დიდი სიმპათიით იხსენიებს კახეთის მეფე თეიმურაზს. აღწერს მის წარმოსადგე გარეგნობასა და სილამაზეს, გულადობას და, ბოლოს, მის დამოკიდებულებას შაჰთან. მას გადმოცემული აქვს ფეიქარ ხანის

¹²⁸ გვ. 348. تاريخ نعيما، جلد ۲،

¹²⁹ იქვე, გვ. 348.

დანიშნვისა და მისი საქმიანობის შესახებ კახეთში. ნაიძას სიმპათიები გიორგი სააკაძის მხარესაა. იგი ზიზღით იხსენებს ყიზილბაშებს. გიორგი სააკაძის მიერ ყიზილბაშთა სარდლის ყარჩინა ხანის მოკვლისა და მისი ლაშქრის გაწყვეტის შესახებ ნაიძა შენიშნავს, რომ „წყეულმა ყარჩინა ხანმა აქ იზღო იმის სამაგიერო, რაც მან არღებილს ლაშქრობაში მაჰმადის ჯამათს მიაგო“¹³⁰.

მეტად საინტერესო და ორიგინალური ჩანს ნაიძას განცხადება იმის შესახებ, თითქოს ყარჩინა ხანის ლაშქრის გაწყვეტის შემდეგ გიორგი სააკაძემ დაპოუჯიდებლობისა და საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამოაცხადა. მან თითქოს ფული მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: „მონა სიწმინდის მეფისა მოურავ-შაჰი“¹³¹.

ნაიძას გადმოცემით. მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა გაწყვეტის შემდეგ შაჰ აბასს შურის საძიებლად ახალი ლაშქარი გამოუგზავნია, რომლის კორუჯი-ბაშად ისაყ-ხანი დაუნიშნავს და მასთან ერთად ამირგუნე ხანიც გამოუყოლებია. გიორგი სააკაძე ამ ლაშქარსაც ამარცხებს, სასიკვდილოდ დაჭრის თვით ამირგუნეს, რომელიც თავის ქვეყანაში დაბრუნებული ჯელარ განიკურნება და კვდება. „ამის შემდეგ, განაგრძობს ნაიძა, მოურავი ბარდას ქვეყანას შეესია და ააოხრა, ქალაქი განჯა ცეცხლს მისცა და საქართველოსკენ იბრუნა პირი“¹³².

საქართველოში დაბრუნებული გიორგი სააკაძე მხნედ შეუდგა სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. მან მთელი რიგი ღონისძიებები დასახა ქვეყნის სამხედრო და ადმინისტრაციული წეს-წყობილების გასაუმჯობესებლად. მოურავი დაულაღვად იბრძოდა საქართველოს სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში ჩაყენებული ყიზილბაშთა ლაშქრის წინააღმდეგ და ამავე დროს სასტიკად უსწორდებოდა მტრის მხარეზე გადასულ მოლაღატე თავადებს. მაგალითად, სამეფოს მძიმე მდგომარეობით ისარგებლა დვალეთმა და განუდგა ცენტრალურ ხელისუფლებას. მოურავმა აჯანყებული დვალეთი ისევ საჰეფოს დაუმორჩილა. შაჰის ძველი აგენტი და ქვეყნის ორგული ლორის მელიქი გალაშქრებას აპირებდა მოურავის წინააღმდეგ. გიორგი სააკაძემ მას გეგმები ჩაუშალა, თვითონ მელიქი გადაიხვეწა. ჭაიხოსრო ბარათაშვილი, რომელიც მტერს მიმხრობოდა და ბირთვისის

130 გვ. 352. ، جلد ٢ ، نيماء ، تاريخ

131 იქვე.

132 იქვე.

ციხეში 500 ყიზილბაში ჩაეყენებინა, თავს არხეინად გრძნობდა. მოურავი თავს დაესხა ქაიხოსროს ტბისის სასახლეში, ხელში ჩაიგდო ქვეყნის გამცემი თავადი და აიძულა იგი ციხიდან ყიზილბაშე-ბი გამოეტყუებინა. გიორგი სააკაძემ ციხეში თავისი ხალხი ჩააყენა.

ფაქტიურად გიორგი სააკაძე იყო ქართლის პატონ-პატრონი. იგი უცხო, მეზობელ ქვეყნებთანაც კი, მაგალითად ოსმალეთთან, თეიმურაზ მეფისაგან დამოუკიდებლად აწარმოებდა მოლაპარაკე-ბას. მას უკვე ქართლის მოურავს ეძახდნენ, ხოლო ოსმალეთის სულთანს მას „ქართლის მპყრობელ მოურავ ხანს ეძახდა“ და მეფე თეიმურაზის სწორად თვლიდა. ოსმალეთის სულთანი თეიმურაზ მეფეს მხოლოდ კახეთის მეფედ ცნობდა. თეიმურაზ მეფე მოურავის ასეთ დიდ ავტორიტეტსა და ძლიერებას ვერ ურიგდებოდა. მოურავიც თავის მხრივ წინააღმდეგი იყო იმისა, რომ თეიმურაზი ქართლის მეფედ ყოფილიყო, ამიტომ მან წინ წამოსწია ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრე — ქაიხოსრო შუხრანბატონი, რომელიც მოურავის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ქართლის თავადები ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყვნენ: მუხრანბატონი და ქსნის ერისთავი გიორგი სააკაძეს მიემხრნენ, ამილახვარი და ზურაბ ერისთავი კი თეიმურაზს. თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის ომი გარდუვალი იყო. გიორგი სააკაძემ იმერეთის მეფე გიორგი და ახალციხის ფაშა საფარი მიიმხრო თეიმურაზის წინააღმდეგ, ხოლო თეიმურაზს ზურგს შაჰ აბასი უმაგრებდა. მიხ. სვანიძის აზრით, თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის ჩამოვარდნილ მტრობაში „გადამწყვეტი როლი შაჰ აბასს მიუძღვის, რომელმაც მოხერხებულად გამოიყენა ქართველ მეფე-მთავრებს შორის არსებული ქიშპი“¹³³. პროფ. ვ. გაბაშვილის მართებული შენიშვნით, „შაჰი ახლაც ქართული ფეოდალური ძალების დაქსაქსვის ნაცად გზას დაადგა. ოსმალეთის იზოლაციის განზრახვა (თეიმურაზ-საკაძის ბრძოლაში) შაჰს უკარნახებდა კომპრომისის გზას დასდგომოდა და „გურჯისტანის საკითხში“ ის დაეთმო, რასაც იგი 1614—1624 წწ. არა გზით არ სთმობდა“¹³⁴.

დღეშეთის მახლობლად, ბაზალეთის ტბასთან ომი მოხდა გიორგი სააკაძესა და თეიმურაზ მეფეს შორის¹³⁵. ამ ბრძოლაში მოურავ-

133 მიხ. სვანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 287.

134 ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს. თბ., 1958, გვ. 361.

135 ბაზალეთის ომის შესახებ იხ. გ. ჯამბურია, გიორგი სააკაძე, გვ. 157—163;

ვი დამარცხდა. მოურავი, ქაიხოსრო მუხრანბატონი და სხვები ოსმალეთს გაიქცნენ და სულთანს დახმარება სთხოვეს, მაგრამ მისგან რეალური ვერაფერი მიიღეს.

როდესაც თეიმურაზ მეფემ ზაგემი აღადგინა და დაჯდა კახეთის სამეფო ტახტზე, ნაიმას სიტყვით, მოურავი მას დაუტკბა, იგი „შორსმჭვრეტელი ვინმე იყო, ყიზილბაშთა ნადავლიდან რამდენიმე ცხენი და ძვირფასი ნივთები თეიმურაზს გაუგზავნა და ძღვნად მიართვა. მანვე დაწერა წერილი და მოწიწებით მორჩილება გამოუცხადა“¹³⁶. მაგრამ ნაიმა არაფერს ამბობს თეიმურაზისა და მოურავის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. იგი საერთოდ არ ჩერდება ბაზალეთთან მომხდარ ომზე, მაგრამ ნაიმას სიტყვებში მაინც გამოსჭვივის გიორგი სააკაძისა და თეიმურაზის არამეგობრული დამოკიდებულება. ნაიმა ამბობს: მოურავმა „ისიც გაითვალისწინა, რომ თეიმურაზი არ აპატიებდა და განზრახ თეიმურაზ ხანს დაუტკბა, ცოტა ხნის შემდეგ თავისი წარჩინებულებითა და ხელქვეით აზნაურთა ჯგუფით რუმის ქვეყანაში გაიქცა და ოსმალთა სახელმწიფოს შეაფარა თავი“¹³⁷. ნაიმას ამ ცნობაში არ ჩანს თუ რას არ აპატიებდა თეიმურაზი მოურავს და რა იყო ის დანაშაული მოურავისა, რომელმაც აიძულა დაეტოვებინა სამშობლო. ჩანს, ნაიმას საამისო მასალები ხელთ არ ჰქონია.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში ირან-ოსმალეთის ომებში ცხადი იყო ირანის აშკარა უპირატესობა ამიერკავკასიის ქვეყნების ათვისებაში. მაგრამ შაჰნა „გურჯისტანის საკითხი“ მაინც ვერ მოაგვარა, იგი ვერ შერიგებოდა ახალციხის დაკარგვას და ამიტომ 1627 წელს ისევ მიადგა ახალციხეს. მაგრამ ოსმალეთი ხელს არ იღებდა სამცხეზე. ნაიმა 1626—1627 წლების ამბების გადმოცემისას აღნიშნავს: „ამ ხანებში ირანის საზღვრებზე მდებარე ახალციხას ციხიდან საგანგაშო ამბის მაცნეები მოვიდნენ და აცნობეს, რომ ზემოხსენებულ ციხეს ათასამდე ყიზილბაშთა ლაშქარი მოადგა და ალყა შემოარტყა. დახმარება ითხოვეს“¹³⁸. ოსმალეთის მთავ-

დ. გ ე რ ტ ი შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრ.. გვ. 353; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 287—291.

¹³⁶ გვ. 352. « تاريخ نعيما، جلد ۲

¹³⁷ იქვე, გვ. 352.

¹³⁸ გვ. 404 « تاريخ نعيما، جلد ۲. შდრ. გვ. 408. « تاريخ چوي، جلد ۲. ობრაჰიმ ფიჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 86.

რობას მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაუტარებია ამ მხარეში გასალაშქრავად. ახალციხის გამაგრება და ყიზილბაშთაგან დაცვა მნიშვნელოვანწილად გაპირობებული იყო არზრუმის გამდგარი ბეგლარ-ბეგის აბაზა ფაშას ნება-სურვილზე. ოსმალეთის ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო ყოველგვარი ხერხებისა და ცბიერების გამოყენებით ხელთ ჩაეგდო აბაზა ფაშა და შემდეგ სათანადო დახმარება აღმოეჩინა ახალციხეში ჩაყენებული ოსმალთა მეციხოვნეებისათვის. ნაიმა დაწვრილებით აღწერს ოსმალთა ლაშქრის სამზადისს არზრუმში სალაშქროდ, აბაზასთან ურთიერთობას, ოსმალთა ლაშქრის შეტაკებას აბაზას ჯართან და ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთიანად გაწყვეტას აბაზას მიერ¹³⁹. აბაზას გამარჯვება ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქარზე ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ირანის შაჰს იერიში მიეტანა ახალციხის ციხეზე და იგი ადვილად აეღო. აბაზას მიერ შაჰ აბასის ახალციხის ასაღებად მოწვევის შესახებ ნაიმა წინამორბედი ისტორიკოსის ცნობას იშველიებს. იგი წერს: „მეისტორიე ამის შესახებ ამბობს, რომ აბაზა ფაშამ ყიზილბაშებს საიდუმლო ცნობა გაუგზავნა და ახალციხის ციხის ასაღებად წააქეზა და სიხარბე გამოიჩინა“¹⁴⁰ რადგანაც აბაზამ იცოდა ოსმალეთის ხელისუფლების ვერაგული ზრახვები მის მიმართ, ამიტომ ჩაიღინა მან ასეთი მუხანათობა და ყიზილბაშები წააქეზა¹⁴¹. ნაიმა თავის მხრივ დასძენს, „თუმცა აბაზას ყიზილბაშების ახალციხეში მოწვევა აზრადაც არ მოსვლიათ“¹⁴².

აბაზას დახმარებით შაჰ აბასმა ახალციხე დაიპყრო. ოსმალეთი ახალციხის დაკარგვას ვერ შერიგებოდა. ნაიმა იძლევა ცნობას იმის შესახებ თუ რა საგანგებო ღონისძიება მიიღო ოსმალეთის ხელისუფლებამ ახალციხის გამოსახსნელად. ოსმალეთის მთავრობას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო აბაზას წინააღმდეგ არზრუმში გალაშქრება. ახალციხის განთავისუფლების გარდა ოსმალეთის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო აჯანყებული აბაზა ფაშის დაძორჩილება, რომელიც ხელს უწყობდა ირანს თავისი ზრახვების განხორციელებაში. ნაიმას ცნობით, აბაზა ფაშა აზნაურის შვილია. ნაიმას ცნობები-

¹³⁹ ევ. 404—411. « تاريخ نعيمًا ، جلد ٢ ».

¹⁴⁰ იქვე, გვ. 411.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² იქვე.

დან ნათლად ჩანს თუ რა გადაუწყვეტელი პრობლემა იყო ოსმალეთის მთავრობისათვის წლების მანძილზე განდგომილი აბაზა ფაშას დამორჩილება. ნაიმა საგანგებოდ ჩერდება ოსმალთა ლაშქრის არზრუმისკენ — აბაზა ფაშას წინააღმდეგ — ხელახლა გამგზავრების შესახებ 1627 წელს, მაგრამ არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა შედეგით დაშთავრდა ეს გალაშქრება¹⁴³.

სწორედ ამ დროს შაჰ აბასმა ელჩი გაძოაგზავნა სტამბოლში და მოითხოვა 1555 წლის საზავო ხელშეკრულების აღდგენა და თავისი შეილისათვის ბაღდადის დაბრუნება¹⁴⁴. მაგრამ ოსმალთა სულთანმა უარყო შაჰ აბასის მიერ შემოთავაზებული ზავი და დარწყო ენერგიული საქმიანობა ამიერკავკასიიდან ყიზილბაშთა განსაღდენად. უპირველეს ყოვლისა მან მოუწოდა თეიმურაზ კახთა მეფეს. იგი თეიმურაზს აუწყებდა, რომ „ამ წელს (1627 წ.) ყიზილბაშებზე სალაშქროდ დიდგეზირ ხალილ ფაშა სარღლად იქნა გაგზავნილი და შენც მთელი შენი ძალ-ღონე მოაკრიფე, საქართველოს სხვა მმართველებთან ერთად ერთსულოვანნი იყავით, ყიზილბაშთა გასანადგურებლად დიდი გულისხმეირება და მონღომება გაჰოიჩინეთ“¹⁴⁵.

ამრიგად, ოსმალთა სულთანმა არა მარტო უარყო შაჰ აბასის მიერ შემოთავაზებული ზავი, არამედ სცადა საქართველოს მეფეთავრების ამხედრება ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ. თეიმურაზ მეფე კი შესანიშნავად იყენებდა ირან-ოსმალეთის ქიშპს და ცდილობდა რუსეთთან დაკავშირებას.

1627 წელს აბაზა ფაშას წინააღმდეგ გალაშქრება მარცხით დაშთავრდა, მომღვენო წელს ოსმალთა ლაშქარმა ისევ გაილაშქრა არზრუმისაკენ. აბაზა ფაშა არზრუმის ციხეში იყო გამაგრებული. ნაიმას ცნობით, ამ ლაშქრობაში ოსმალთა მხარეზე იბრძოდა გიორგი სააკაძე, რომელსაც ერთი ზარბაზანიც მიუტანია. მოურავის მონაწილეობით ოსმალთა ლაშქარს უბრძოლია ციხიდან გამოსულ აბაზას ლაშქართან, რომელიც ისევ უკან დაბრუნებულა და ციხეში ჩაკეტილა¹⁴⁶.

1627—1628 წლების ანბების თხრობასთან ერთად ნაიმას „ისტორიის“ მეორე ტომში ცალკე სათაურად აქვს გამოყოფილი

1.3 გვ. 411—412. « تاريخ نعيما، جلد ٢ »

144 იქვე, გვ. 412.

145 იქვე.

146 გვ. 416.

„მოურავ ბეგის ჩამოსვლა და სანგარი“. ნაიმა გიორგი სააკაძეს აქ „საქართველოს მამაც და სახელოვან მმართველად“ იხსენიებს. გიორგი სააკაძის ოსმალეთის ლაშქარში მოსვლას ნაიმა ერთი წინადადებით ხსნის. იგი წერს: მოურავი „ზოგიერთი მიზეზით თავის ძმას განუდგა და სასულთნო ლაშქარში მოვიდა“¹⁴⁷. მეტად საინტერესო ცნობაა. ჩანს, ნაიმა უზუსტობას იჩენს. იგი მოურავის ძმად მიიჩნევს კახეთის მეფეს თეიმურაზს. ოსმალეთს გადახვეწილი გიორგი სააკაძე მაშინ ჩადის იქ, როდესაც ოსმალეთის ლაშქარი არზრუმზე სალაშქროდ ემზადებოდა. მ. სურეიას მიერ შედგენილ ოსმალეთის დიდ სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მოურავის ოსმალეთში მოსვლის შესახებ ნათქვამია: მოურავი „არზრუმის ლაშქრობაში სარდალთან [ოსმალეთის ჯარის სარდალთან] მოვიდა, მორჩილება გამოუცხადა და მას შეუერთდა“¹⁴⁸.

გიორგი სააკაძეს დიდი მონაწილეობა მიუღია არზრუმის ლაშქრობაში. მოურავი იმდენად ცნობილი პიროვნება ყოფილა მაშინდელ ოსმალეთში, რომ ნაიმა პირდაპირ ამბობს: მოურავის „ჩამოსვლით ლაშქარი ერთგვარად გაძლიერდა და აღფრთოვანდა, თან ერთი ზარბაზანიც ჩამოიტანა. ოლთის ციხიდანაც ორი ზარბაზანი მოიტანეს და მაშინვე, იმავე დღეს, სანგრებში შევიდნენ“¹⁴⁹.

არზრუმის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების შემდეგ მოურავი „სტამბოლს გაიგზავნა, სადაც ის მოიქცა და მეჭმედი დაერქვა. მიენიჭა კაფუჯი-ბაშის წოდება და გაემგზავრა სამეფო ჯარში. იქიდან გახდა კონიის ბეგლარ-ბეგი“¹⁵⁰.

ნაიმა ძალიან მწირ ცნობებს იძლევა არზრუმის ლაშქრობისა, საერთოდ, და მასში მოურავის მონაწილეობისა და საქმიანობის შესახებ, კერძოდ. საინტერესოა ნაიმას ცნობა, თითქოს მოურავს საქართველოდან ერთი ზარბაზანი ჩაეტანოს.

ნაიმა აგვიწერს არზრუმის ციხის გარემოცვას და მის აღებას 1628—1629 წწ. არზრუმის ციხის გარემოცვის დროს „მოურავ მეჭმედ ბეგი გურჯის კარებთან იდგა, საომრად იყო მომზადებუ-

¹⁴⁷ 23. 416 , جلد ۲ ، تاریخ نعیماء

¹⁴⁸ 23. 153, 0. IV ، محمد ثریا ، سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه ،

¹⁴⁹ 23. 416 ، جلد ۲ ، تاریخ نعیماء

¹⁵⁰ 23. 153, 0. IV ، محمد ثریا ، سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه ،

ლი¹⁵¹, ამ ღონისძიების დროს „12 ზარბაზნის დიარბექირის კარისკენ გადატანა გურჯი მეჰმედ ფაშას ებრძანა“¹⁵². როგორც ჩანს, გიორგი სააკაძეს აქტიური მონაწილეობა მიუღია აბაზა ფაშას დამორჩილებაში. ნაიშას ცნობით, არზრუმის ციხე მეტად მთუვალი და ძლიერ გაპაგრებული იყო, რაც აძნელებდა ოსმალთა გაერთიანებული ლაშქრის შეტევის წარმატებებს. ოსმალთა ლაშქარმა აბაზა ფაშას დასამორჩილებლად ძალით ვერაფერი გააწყო. ნაიშას გადმოცემით, მხოლოდ დაყვავებითა და დიდვეზირის პატიოსანი სიტყვის მეოხებით შესაძლებელი გახდა აბაზას ციხიდან ჩამოყვანა და დამორჩილება, ხოლო არზრუმის ვილაიეთი მეჰმედ ფაშას ებოძა¹⁵³. არაქელ თავრიზელი პირდაპირ მიუთითებს, რომ 15 დღის განმავლობაში ოსმალები არზრუმის ციხეს ზარბაზნებს უშენდნენო. 1503 გასროლის შედეგად ციხის სამი კედელი გაანგრისეს, აბაზა დაიჭირეს და სტამბოლს გააგზავნეს¹⁵⁴.

აბაზა ფაშას დამორჩილება მნიშვნელოვანი წარმატება იყო ოსმალეთისათვის, რადგან იგი წლების მანძილზე ფაქტიურად განმდგარი იყო ცენტრალური ხელისუფლებისაგან და მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა შაჰ აბასს დასახული მიზნის მისაღწევად. აბაზა ფაშას განადგურებისა და არზრუმის ციხის აღების შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლებისათვის გზა ხსნილი იყო ახალციხისაკენ. ოსმალეთმა ამჯერად ახალციხე საბოლოოდ შემოიშრტყია და იგი გახდა დასაყრდენი საქართველოს სამეფო-სამთავროების წინააღმდეგ ბრძოლაში. „ამასთან, იგი მკიდროდ იყო დაკავშირებული ოსმალთა ბატონობის ისეთ შედეგებთან, როგორც იყო ტყვის სყიდვა დასავლეთ საქართველოში და „ლეკიანობა“ (მთიელი ფეოდალების — ოსმალთა ხონტყრების აგენტების რბევა-თარეში) აღმოსავლეთ საქართველოში“¹⁵⁵.

არზრუმის აღების შემდეგ გიორგი სააკაძეს ყარამანისის, იგივე კონიის ვილაიეთი ებოძა სამმართველოდ. ნაიშა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს გიორგი სააკაძეზე საუბარს. იგი ასე ახასიათებს მას: „მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავ-

151 გვ. 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 550, 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 628, 629, 630, 631, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 639, 640, 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717, 718, 719, 720, 721, 722, 723, 724, 725, 726, 727, 728, 729, 730, 731, 732, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 774, 775, 776, 777, 778, 779, 780, 781, 782, 783, 784, 785, 786, 787, 788, 789, 790, 791, 792, 793, 794, 795, 796, 797, 798, 799, 800, 801, 802, 803, 804, 805, 806, 807, 808, 809, 810, 811, 812, 813, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828, 829, 830, 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, 850, 851, 852, 853, 854, 855, 856, 857, 858, 859, 860, 861, 862, 863, 864, 865, 866, 867, 868, 869, 870, 871, 872, 873, 874, 875, 876, 877, 878, 879, 880, 881, 882, 883, 884, 885, 886, 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895, 896, 897, 898, 899, 900, 901, 902, 903, 904, 905, 906, 907, 908, 909, 910, 911, 912, 913, 914, 915, 916, 917, 918, 919, 920, 921, 922, 923, 924, 925, 926, 927, 928, 929, 930, 931, 932, 933, 934, 935, 936, 937, 938, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 946, 947, 948, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 957, 958, 959, 960, 961, 962, 963, 964, 965, 966, 967, 968, 969, 970, 971, 972, 973, 974, 975, 976, 977, 978, 979, 980, 981, 982, 983, 984, 985, 986, 987, 988, 989, 990, 991, 992, 993, 994, 995, 996, 997, 998, 999, 1000.

152 იქვე. გვ. 438.

153 იქვე, შტრ. გვ. 409—410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 417, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 438, 439, 440, 441, 442, 443, 444, 445, 446, 447, 448, 449, 450, 451, 452, 453, 454, 455, 456, 457, 458, 459, 460, 461, 462, 463, 464, 465, 466, 467, 468, 469, 470, 471, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 479, 480, 481, 482, 483, 484, 485, 486, 487, 488, 489, 490, 491, 492, 493, 494, 495, 496, 497, 498, 499, 500, 501, 502, 503, 504, 505, 506, 507, 508, 509, 510, 511, 512, 513, 514, 515, 516, 517, 518, 519, 520, 521, 522, 523, 524, 525, 526, 527, 528, 529, 530, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 539, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 550, 551, 552, 553, 554, 555, 556, 557, 558, 559, 560, 561, 562, 563, 564, 565, 566, 567, 568, 569, 570, 571, 572, 573, 574, 575, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 591, 592, 593, 594, 595, 596, 597, 598, 599, 600, 601, 602, 603, 604, 605, 606, 607, 608, 609, 610, 611, 612, 613, 614, 615, 616, 617, 618, 619, 620, 621, 622, 623, 624, 625, 626, 627, 628, 629, 630, 631, 632, 633, 634, 635, 636, 637, 638, 639, 640, 641, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 649, 650, 651, 652, 653, 654, 655, 656, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 668, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 677, 678, 679, 680, 681, 682, 683, 684, 685, 686, 687, 688, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 703, 704, 705, 706, 707, 708, 709, 710, 711, 712, 713, 714, 715, 716, 717, 718, 719, 720, 721, 722, 723, 724, 725, 726, 727, 728, 729, 730, 731, 732, 733, 734, 735, 736, 737, 738, 739, 740, 741, 742, 743, 744, 745, 746, 747, 748, 749, 750, 751, 752, 753, 754, 755, 756, 757, 758, 759, 760, 761, 762, 763, 764, 765, 766, 767, 768, 769, 770, 771, 772, 773, 774, 775, 776, 777, 778, 779, 780, 781, 782, 783, 784, 785, 786, 787, 788, 789, 790, 791, 792, 793, 794, 795, 796, 797, 798, 799, 800, 801, 802, 803, 804, 805, 806, 807, 808, 809, 810, 811, 812, 813, 814, 815, 816, 817, 818, 819, 820, 821, 822, 823, 824, 825, 826, 827, 828, 829, 830, 831, 832, 833, 834, 835, 836, 837, 838, 839, 840, 841, 842, 843, 844, 845, 846, 847, 848, 849, 850, 851, 852, 853, 854, 855, 856, 857, 858, 859, 860, 861, 862, 863, 864, 865, 866, 867, 868, 869, 870, 871, 872, 873, 874, 875, 876, 877, 878, 879, 880, 881, 882, 883, 884, 885, 886, 887, 888, 889, 890, 891, 892, 893, 894, 895, 896, 897, 898, 899, 900, 901, 902, 903, 904, 905, 906, 907, 908, 909, 910, 911, 912, 913, 914, 915, 916, 917, 918, 919, 920, 921, 922, 923, 924, 925, 926, 927, 928, 929, 930, 931, 932, 933, 934, 935, 936, 937, 938, 939, 940, 941, 942, 943, 944, 945, 946, 947, 948, 949, 950, 951, 952, 953, 954, 955, 956, 957, 958, 959, 960, 961, 962, 963, 964, 965, 966, 967, 968, 969, 970, 971, 972, 973, 974, 975, 976, 977, 978, 979, 980, 981, 982, 983, 984, 985, 986, 987, 988, 989, 990, 991, 992, 993, 994, 995, 996, 997, 998, 999, 1000.

154 არაქელ თავრიზელი, დასახ. ნაშრ., გვ. 492.

155 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 355.

სი, იშვიათი ვაჟკაცი და დევივით ღონიერი იყო¹⁵⁶. ნაიმას სიმპათიები აშკარად მოურავის მხარესაა. იგი იძლევა მეტად საინტერესო ცნობებს გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯის მიზეზების შესახებ. ნაიმას გადმოცემით, გიორგი სააკაძე, როდესაც კონიის გამგებლად დანიშნეს, მიღრეკილებას იჩენდა მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისადმი. მას მოყვანილი აქვს მოურავის კაცების მიერ კონიის მოსახლეობის მიმართ ჩადენილი უსამართლობის ფაქტები.

შევიწროებული და დაჩაგრული მოსახლეობა საჩივრელად მივიდა დიდგვზირთან. „მართლაც, წერს ნაიმა, ბევრი უსამართლობა და სიივე, რომელზედაც ხმები დადოდა, დადასტურდა. მოურავს შეეშინდა და გაიქცა. მის დასადგენებლად იმ მხარეში გაიგზავნა ანატოლიის ბეგლარ-ბეგი“¹⁵⁷. ოსმალეთში მოურავის საქმიანობისა და მისი მკვლელობის შესახებ ნაიმა ამჭერადაც ქათიბ ჩელების ცნობებს ეყრდნობა. ისტორიკოსის გადმოცემით, ყველა უსამართლობა და უმსგავსოება, რომელსაც ყარაამანიის ვილაიეთში ჰქონდა ადგილი, გიორგი სააკაძეს მიეწერებოდა.

ნაიმას გადმოცემით, გაქცეული მოურავის ჯგუფს დაწვეიან დიდგვზირის ხუსრევ ფაშას კაცები, მათ გიორგი სააკაძე შეილითურთ შეუპყრიათ და 40—50 ხელქვეითთან ერთად სიკვდილით დაუსჯიათ. საინტერესოა ნაიმას დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. იგი წერს: „ხუსრევ ფაშა სისხლის მოყვარული და მუხნათი კაცი იყო. მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან, ხონთქრისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა [მოურავი] საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ეგოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა, რომელმაც თავისი მცდარი სჯული უარპყო და მაჰმადიანობა მიიღო. [ამით ხუსრევ ფაშამ] სპარსეთის შაჰს შური აძიებინა [მოურავზე]“¹⁵⁸.

ნაიმას არ სჯერა, რომ გიორგი სააკაძეს რაიმე ბოროტმოქმედება და უსამართლობა ჩადენოს კონიის მოსახლეობის მიმართ. აკიდევაც რომ დადასტურებულყო, წერს ნაიმა, რომ [მოურავი] ხალხს უსამართლობასა და ძალდატანებას აყენებდა და ჩაგრავედა, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამორთმეოდა და უნდა გასამართლებულყო. შემდეგ გაფრთხილება უნდა მისცემოდა, რომ

156 გვ. 4. ، ٣ تاريخ نعيما، جلد

157 იქვე, გვ. 5.

158 იქვე, გვ. 7.

ამიერიდან ასეთი ძალადობა არ ჩაედინა... ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა“¹⁵⁹.

ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის ოსმალეთში მოღვაწეობის შესახებ, რომელიც ჰიჯრის 1039 წლის (1629. VIII. — 1630. VIII.) ამბების თხრობასთან ერთად არის გადმოცემული და გიორგი სააკაძის სიკოცხლის უკანასკნელ დღეებს ეხება, როგორც აღვნიშნეთ, თარგმნილი და საინტერესო კომენტარებით გამოქვეყნებული აქვს აკად. სერგი ჭიჭიას. ჩვენ ეს თარგმანიც შევიტანეთ წინამდებარე გამოცემაში.

ოსმალეთში გიორგი სააკაძის სიკვდილით დასჯისა და ირანში შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ კვლავ განახლდა ირან-ოსმალეთის ომი, რომელსაც არ შეიძლება თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა საქართველოზე. ოსმალეთის მთავრობა შეეცადა შაჰ აბასის გარდაცვალების შემდეგ ირანში მოსალოდნელი დინასტიური ომებით ესარგებლა და მის წინააღმდეგ გაელაშქრა. მაგრამ ირანმა დინასტიურ ომს თავი დააღწია და შედარებით მოწინააღმდეგე შეხვდა ოსმალეთთან ლაშქრობას¹⁶⁰, ამასთან ოსმალთა მთავარსარდლობამ შაჰ აბასის გარდაცვალებისთანავე ვერ მოახერხა ირანის საზღვრებთან თავისი სამხედრო ძალების კონცენტრაცია.

1629 წლის გაზაფხულზე ოსმალთა ლაშქარი დიდევზირ ხუსრეფ ფაშას მეთაურობით დედაქალაქიდან გამოვიდა, მაგრამ ვიდრე იგი მთელ ანატოლიას გადასერავდა, გზად არაერთი წინააღმდეგობა შეხვდა, მათ მოუხდათ მომთაბარე თურქებთან შეტაკება. 1629 წლის მთელი ზაფხული და შემოდგომა ოსმალთა ლაშქარმა ანატოლიის აღმოსავლეთის პროვინციებში გაატარა, გამოსაზამთრებლად დიარბექირს, მარდინსა და მოსულში დაიბანაკა. შემდეგი წლის გაზაფხულზე ოსმალებმა რამდენიმე თავდასხმა მოაწყვეს შეპრიზორ-ჰამადანის მიმართულებით და ირანელები დაამარცხეს. 1630 წლის შემოდგომისათვის ოსმალთა ლაშქარი უკვე ბაღდადთან იდგა და წარმატებით უტევდა ქალაქს, მაგრამ მისი ალება მაინც ვერ შეძლო. სულთნის სამხედრო ძალები ბაღდადისათვის ბრძოლას შეეწირა, დიდევზირი იძულებული იყო ცენტრალური ხელისუფლებისათვის მოეთხოვა თათართა დამხმარე ძალები, რადგან გადამწყვეტ მომენტში იანიჩრებმა უარი თქვეს ბაღდადის ალებაზე, ამასთანავე ქურთთა ძალებმაც ირანელთა მხარე დაიკირეს. სულთნის ხელისუფლებამ სასწრაფოდ გააგზავნა ბრძანება

¹⁵⁹ ვ. 8. ، ٣ نعيمًا ، جلد ٣

¹⁶⁰ ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 375.

ყირიმის ხანებთან, რომლებიც რუსებთან ომით იყვნენ დაკავებული და მოთხოვა აღმოსავლეთში ლაშქრობის მონაწილეობა. ნაიმა შენიშნავს, რომ ამ ბრძანების საფუძველზე „აღმოსავლეთის ლაშქრობისათვის თათართა ჯარსაც დაევალა მონაწილეობის მიღება“¹⁶¹. თათართა მაშველი ჯარის მოსვლამდე ლაშქრის შენახვას უზარმაზარი თანხები დასჭირდა. თითქმის მთელი წელი გაკიანურდა თათართა ლაშქრის მოსვლა. თათართა სრულიად არაორგანიზებული ჯარი 1631 წლის მიწურულს მოვიდა, იგი არზრუმში, ჰასან კალეში გაგზავნეს გამოსაზამთრებლად¹⁶².

ლაშქრობა შემდეგ წელს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ლაშქრის წარუმატებლობით უკმაყოფილო სულთანმა დიდგვზირი ხუსრევ ფაშა გადააყენა და მის ადგილზე კვლავ ჰაფიზ ფაშა დანიშნა. ნაიმას გადმოცემით, ჯარმა ხუსრევ ფაშას გადაყენების საბაბით ამბოხება მოაწყო. სულთანი იძულებული გახდა ლაშქრობაზე უარი ეთქვა და ლაშქარი სტამბოლში გაეწვია. დედაქალაქში დაბრუნებულმა ლაშქარმა განაგრძო ამბოხება და ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა¹⁶³. სახელმწიფო ლაშქარი დედაქალაქს დაეპატრონა. ვიდრე ოსმალეთის დედაქალაქში არეულობა გრძელდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება მისი გამოსწორებისათვის იღწვოდა, ყიზილბაშურ ირანს მიეცა აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ თავისი ზრახვების განხორციელების საშუალება.

ამ პერიოდში საქართველოში იქმნებოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური დასებები, რომლებიც ხან ოსმალეთს ემხრობოდნენ და ხან ირანს. თეიმურაზ მეფემ ზურაბ ერისთავის დახმარებით სიმონ ხანი ჩამოიშორა და ქართლი მთლიანად დაიპყრო. მაგრამ თეიმურაზმა ჩქარა ზურაბ ერისთავსაც უღალატა და იგი მოაკვლევინა, რადგან განდიდებულ არაგვის ერისთავს თეიმურაზის ყმობა ემძიმებოდა და თვით აპირებდა გამეფებას. მან ქართლის მეფეს ადრევე წაართვა ხევი და მთიულეთი და ცდილობდა თიანეთის, მუხრანისა და თავისუფალი ფშავ-ხევსურეთის დამორჩილებას.

1631 წელს თეიმურაზ მეფემ იმერთა მეფის დამხმარე ჯარის საშუალებით და ოსმალეთის დახმარების იმედით ირანის წინააღმდეგ გაილაშქრა და განჯა-ყარაბაღის ქვეყნები დაარბია. ამავე დროს თეიმურაზ მეფემ ისევ განააზღვა კავშირი ერთმორწმუნე რუ-

¹⁶¹ تاريخ نعيما ، جلد 3 ، ص 68

¹⁶² იქვე, გვ. 76.

¹⁶³ იქვე, გვ. 79—87.

სეთთან და მოსკოვის მეფეს დახმარება სთხოვა. ამის საპასუხოდ ირანის შაჰმა გადაწყვიტა თეიმურაზის თავიდან მოშორება და ქართლი სიმონ ხანის ბიძას — როსტომს უწყალობა, ხოლო კახეთის ხანად ყიზილბაში სალიმი დანიშნა. ისინი დიდი ჯარით მოვიდნენ ხუნანს. ქართლის ფეოდალების უმრავლესობა როსტომ ხანს ეახლა, ფეოდალების ნაწილმა კი თეიმურაზს ყიზილბაშებთან ომი არ ურჩია. თეიმურაზი აპირებდა შებრძოლებას, მაგრამ როდესაც ბართაშვილები და ბევრი სხვა თავადი სპარსელებს მიემხრო, მეფემ ომი ვერ შეძლო და თავისი ოჯახითა და დიდი ამალით იმერეთში გადავიდა.

საქართველოს ისტორიის სწორედ ეს პერიოდი აქვს მხედველობაში ნაიმას, როდესაც აღნიშნავს, რომ „ამ წელს ირანის შაჰმა საქართველოს წინააღმდეგ ჯარი გააგზავნა. როდესაც მოვიდა, თეიმურაზმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია, განზე გადაგა და წავიდა. ყიზილბაშთა ლაშქარი მთელ საქართველოს მოედო. ხალხი დაიშორჩილეს, შემდეგ დაბრუნდნენ და თავრიზში გაჩერდნენ“¹⁶⁴. საქართველოს მიმართ ირანელთა ამ აგრესიას ოსმალთა ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებებით უპასუხა. ნაიმას ცნობით, როდესაც სულთნის კარს მოახსენეს, რომ საქართველოს მოოხრების შემდეგ ყიზილბაშთა ლაშქარი ვანზე სალაშქროდ ემზადებოდა, მოსაზღვრე პროვინციის განმგებლებს საგანგებო ბრძანებები დაეგზავნათ, რომელთა მიხედვით მათ თავიანთი ჯარი უნდა შეეგროვებინათ და ვანში გასამგზავრებლად მზად ყოფილიყვნენ¹⁶⁵.

ოსმალეთის ხელისუფლება ირანის ამ აქტით იძულებული გახდა დაეჩქარებინა თავისი სამხედრო სამზადისი და მის წინააღმდეგ რაც შეიძლება ჩქარა გაელაშქრა. ნაიმას ამ პერიოდის საქართველოს შინაგანი მდგომარეობის შესახებ მწირი ცნობები მოეპოვება, ამიტომ იგი ორიოდ წინადადებით კმაყოფილდება და საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს მოვლენებს. სამაგიეროდ იგი ოსმალეთის შანაგანი და საგარეო ვითარების ვრცელ და ზუსტ სურათს იძლევა: ამ პერიოდიდან — 1632 წლიდან იწყება ქართლისა და ირანის ურთიერთობის ახალი ეტაპი. ამ დროიდან მოკიდებული ქართლ-კახეთს განაგებენ მაჰმადიანი მეფეები, რომელთაც შაჰის „მოადგილე“ ეწოდებოდათ. ამ მხრივ როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მოახერხა ქართლში

¹⁶¹ გვ. 146. تاريخ نعيما 3

მტკიცედ ფეხის მოკიდება. მისთვის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე თეიმურაზ მეფე იყო, რომელსაც იმერეთიდან კავშირი ჰქონდა გაბმული ქართლის ზოგიერთ წარჩინებულთან. თეიმურაზი თავისი ასულის იმერეთის ტახტის მემკვიდრეზე გათხოვებით დაუმოყვრდა იმერთა მეფეს, როსტომმა კი გადაწყვიტა თეიმურაზისა და იმერეთის მეფის კავშირისათვის დაპირისპირებინა სამეგრელოს მთავართან, ლევან II დადიანთან (1611—1657) მისი დამოყვრება. მან ცოლად შეირთო ლევან II დადიანის და მარიამი, დადიანი კი იმერეთის მეფის სასტიკი მოწინააღმდეგე და შეურიგებელი მტერი იყო. ამ გარემოებამაც დააჩქარა როსტომის მოწინააღმდეგე ქართლის ფეოდალების გამოსვლა, რადგან მეფის გაძლიერება თანდათან ართულებდა მათ მდგომარეობას. ამასთანავე თეიმურაზის ბრძოლა როსტომ მეფის წინააღმდეგ, ქართველი თავადების აზრით, იყო ბრძოლა ქართველობისა და თვითმყოფობისათვის, ამიტომ თეიმურაზის მომხრე თავადების რიცხვი იზრდებოდა. როსტომს მიემხრო დადიანი და გურიელი, რაც ნიშნავდა მათ ყიზილბაშთა მხარეზე გადასვლას. „დადიანისათვის უალრესად ხელსაყრელი ჩანდა ირანთან კავშირი. ერთი მხრივ, მას ირანი ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოადგებოდა, მეორე მხრივ კი როსტომი დადიანს იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარებოდა. რაც შეეხება როსტომს, მისთვის მთავარი იყო თეიმურაზის იზოლირება. ირანის პოლიტიკური მიზნებისთვისაც უალრესად ხელსაყრელი იყო დადიანთან კავშირი“¹⁶⁶.

დადიანისა და როსტომ-ხანის დამოყვრებას და, აქედან გამომდინარე, დადიანის ირანთან დაკავშირებას, ბუნებრივია, ოსმალეთის ხელისუფლება უარყოფითად შეხვედებოდა. საქართველოში ირანის პოზიციების გამტკიცებამ დააჩქარა ოსმალეთის აგრესია ამიერკავკასიის ქვეყნებში. ოსმალეთს ირანის წინააღმდეგ სამხედრო სამზადისი ჯერ კიდევ დამთავრებული არ ჰქონდა, ისე გამართა მის წინააღმდეგ. თეიმურაზ კახთა მეფემ სცადა ოსმალეთის სამხედრო ძალების თავის სასარგებლოდ გამოყენება. მან სასწრაფოდ სტამბოლში ელჩად გაგზავნა დაუდ-ხანი. თეიმურაზის ელჩი ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ დაძრულ დიდევზირს 1633 წლის

¹⁶⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 317; კ. გ რ ი - გ ო ლ ი ა, ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა, ენიშქის მთაბზე, XII, თბ., 1942, გვ. 155.

შემოდგომაზე შეხვდა სკუტართან¹⁶⁷. როდესაც თეიმურაზის ელჩი ოსმალეთში ჩავიდა, ოსმალთა ლაშქარი უკვე დაძრული იყო აღმოსავლეთისაკენ სალაშქროდ. „ოსმალეთი ჩქარობდა მხოლოდ იმიტომ, რომ ირანი მას ეცილებოდა, და არა იმის გამო, რომ თეიმურაზი მისგან დახმარებას ითხოვდა“¹⁶⁸. სკუტარში გადასული ოსმალთა ლაშქარი ალექსომდე მივიდა და იქ გამოიზამთრა¹⁶⁹.

ნაიმა იძლევა ცნობებს დადიანის ასულის როსტომზე გათხოვების თაობაზე და გარკვეულად ავსებს ქართული წყაროების მონაცემებს ქართველ მეფე-წთავართა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. 1633—1634 წწ. ამბების აღწერისას ნაიმა გადმოგვცემს: „ხალილ ფაშასგან შემდეგი შინაარსის წერილი მივიდა: დადიანი და გურიელი შეკავშირდნენ და ყიზილბაშებს მიემხრნენ. დადიანმა თავისი ქალიშვილი შაჰის მიერ ზაგემისა და ქართლის ხანად დანიშნულ ხოსრო მირზას მისცა“¹⁷⁰. აქ ნაიმა ხოსრო მირზას იმავე როსტომზე, ზაგებში, ე. ი. კახეთში, შაჰის მიერ დანიშნულ ხანად იხსენიებს. სინამდვილეში როსტომი ქართლის „ვალი“ იყო, მაგრამ არ იყო გამორიცხულია, როსტომს თავისი უფლებები გაეგრძელებინა კახეთზეც, საამისოდ მას ყიზილბაშები უმაგრებდნენ ზურგს. ნაიმას ზემოთ მოტანილ ცნობას ადასტურებს ბერი ეგნატაშვილიც. იგი წერს: „ამა ეამსა შინა ინება როსტომ მეფემან და დადიანმან ერთმანერთის მოყურობა. მაშინ დადიანი ლევან და იმერეთის მპყრობელი ერთმანერთს უკლებოდნენ და იყო შური დიდი ერთმანერთშია. და ამისთვის მოინდომა დადიანმან როსტომ მეფის მოყურობა და როსტომ მეფემანც ამისთვის მოინდომა დადიანის მოყურობა, რომე ბატონი თეიმურაზ ამისი მტერი იყო და იმერეთში მაგრობდა და დადიანს იმისთვის ემტერებინა“¹⁷².

ნაიმასთან შედარებით ბერი ეგნატაშვილი უფრო ვრცლად და დეტალურად აგვიწერს დადიანის ქალის როსტომ მეფეზე გათხოვების ამბავს და მისგან გამომდინარე პოლიტიკურ მომენტებს. ჭერ კიდევ როსტომზე დაქორწინებამდე დადიანის ქალი მარიამი ცოლად ჰყოლია სვამონ გურიელს. გურიელმა საკუთარი მამა მოკლა, ამიტომ დადიანმა წაართვა მარიამი. ბერი ეგნატაშვილი საგან-

¹⁶⁷ გვ. 175. , تاريخ نعيمًا، جلد 3

¹⁶⁸ ვ. ჩოჩიევი. დასახ. ნაშრ., გვ. 363.

¹⁶⁹ გვ. 180—181. , تاريخ نعيمًا، جلد 3

¹⁷⁰ იქვე, გვ. 217.

გებოდ გადმოგვცემს დადიანისა და გურიელის ურთიერთობის ამბებს¹⁷⁹. მისი ცნობიდან ჩანს, რომ დადიანსა და გურიელს შორის მარიამის თაობაზე მტრობა ჩამოვარდნილა. ბერი ეგნატაშვილის ცნობა და ნაიმას მიერ მოტანილი ამბავი, თითქოს „დადიანი და გურიელი შეკავშირდნენ და ყიზილბაშებს დაუბრუნდნენო“, ერთმანეთს გამორიცხავენ. ბერი ეგნატაშვილს ნაიმასთან შედარებით დაწვრილებით აქვს მოტანილი ეს ამბავი და მას უფრო დაეჭვრება, ნაიმა კი საერთოდ ძალიან მოკლე ცნობებს იძლევა ამ საკითხზე.

ნაიმას გადმოცემით, იმერეთის მეფესა და თეიმურაზს როსტომ მეფისათვის გზა არ მიუციათ დადიანის ქალის წასაყვანად და მათ შორის ბრძოლა მომხდარა. როდესაც ზემოხსენებული ქალის აჩიკბაშის ქვეყანაზე გატარებისას აჩიკბაშმა და თეიმურაზმა მოისურვეს, რომ გზა არ მიეცათ, იქითა მხრიდან ზემოხსენებულმა ხოსრო ბეგი 30.000-ზე მეტი ყიზილბაშით და აქეთა მხრიდან დადიანი და გურიელი დიდი ჯარით თავს დაესხნენ აჩიკბაშს. მათ შორის დიდი ხოცვა-ჟლეტის შედეგად, უფლის განგებით, დადიანმა გაიმარჯვა და აჩიკბაშს შეესია. თეიმურაზი და აჩიკბაშის შვილი ძნელად მისასვლელ ქვიან ადგილას გამაგრდნენ¹⁷³.

იგივე ამბები, რომლებიც ნაიმას აქვს მოთხრობილი, შედარებით დაწვრილებით და საკმაოდ განსხვავებულად აქვს გადმოცემული ახალი ქართლის ცხოვრების ავტორს. ბერი ეგნატაშვილს საერთოდ არაფერი აქვს ნათქვამი ამ ლაშქრობაში დადიანისა და გურიელის შეკავშირებაზე, აგრეთვე იმერეთზე სალაშქროდ ხოსრო ბეგის მიერ 30000 ყიზილბაშის მოშველიების შესახებ. მართალია, ნაიმასა და ბერი ეგნატაშვილის ცნობები განსხვავებულია, მაგრამ ერთმანეთს ავსებენ. ნაიმა, საერთოდ, არაფერს ამბობს იმერეთის მეფის დატყვევებაზე, რაზედაც ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს. ნაიმას ცნობით, დადიანს იმერეთი ხელთ უგდია, ხოლო თეიმურაზი და იმერეთის მეფის შვილი მიუვალ ადგილებში გახიზნულან. ბერი ეგნატაშვილი კი, პირიქით, იმერეთის მეფის დატყვევებაზე ბრძანებს, მაგრამ იმერეთის დაკავებაზე არაფერს ამბობს. თუ ბერი ეგნატაშვილი მხოლოდ იმერეთის მეფე გიორგის იხსენიებს დატყვევებულად, ნაიმა საერთოდ არ ახსენებს მას. იგი თეიმურაზსა და იმერეთის მეფის შვილებზე მიუთითებს.

¹⁷² ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II, თბ., 1959, გვ. 419.

¹⁷³ გვ. 217, «سارخ و نیما»، جلد 3

ნაიმას ცნობით, თეიმურაზსა და იმერეთის მეფეზე გამარჯვების შემდეგ როსტომისა და დადიანის მეოხებით მთელ საქართველოში ყიზილბაშები დათარეშობდნენ. ნაიმას ცნობიდან ჩანს, რომ ყიზილბაშები შავი ზღვის სანაპიროებამდე გასულან და გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრებს საშიშროება დამუქრებია. ბუნებრივია, ოსმალეთის ხელისუფლება უკმაყოფილებით შეხედებოდა შავი ზღვის სანაპიროებზე ყიზილბაშთა ძალების გამოჩენას, რასაც დადიანისა და გურიელის პოლიტიკური საქმიანობის შედეგად მიიჩნევდა და შეეცდებოდა, პირველ ყოვლისა, მათ დასჯას. სწორედ საამისო ღონისძიებებს ლებულობს ოსმალეთის მთავრობა, როდესაც ერთიანად მოუწოდებს მოსაზღვრე რაიონის გამგებლებს საბრძოლო მზადყოფნისაკენ. ნაიმას ცნობით, „მოსაზღვრე ბეგებს ბრძანება გაეგზავნათ, არზრუმის საზღვრის დასაცავად კვლავ დაინიშნონ ადანის ბეგლარ-ბეგი, მთელი ყარაბაღის სანჯაყების, სარუხანისა და კასტამონუს სანჯაყების (მეთაურები)“¹⁷⁴.

ჩანს, რომ ოსმალეთის მთავრობა მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებდა დადიანისა და გურიელის დასასჯელად და, ამავე დროს, თავისი სასაზღვრო რაიონების გასამაგრებლად. ოსმალეთის მთავრობა გარკვეული პროვინციების გამგებლებს ავალებს სასაზღვრო ზოლის გამაგრებას და მზადყოფნას მოსალოდნელი შემოსევის დროს. დადიანისა და ქართლის მეფის დამოყვრება ოსმალეთის ხელისუფლებამ მიიღო როგორც მის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აქტი, ამიტომ გარკვეული ღონისძიებები გაატარა სანაპირო ზოლის გასამაგრებლად. ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარებათა გართულების გამო ოსმალეთმა თავის დროზევე მოახერხა ამიერკავკასიისაკენ გამოლაშქრება და თავისი უფლებების აღდგენისათვის ზრუნვა. მან მხოლოდ მომდევნო, 1635 წელს მოიცალა საამისოდ.

1635 წ. მურად IV დაიძრა ამიერკავკასიისაკენ. ლაშქრის ხელმძღვანელობა თვითონ ითავა და საზეიმო ვითარებაში გამოვიდა სტამბოლიდან. ნაიმა ვრცლად აღწერს სულთანის გამომგზავრებას სტამბოლიდან არზრუმისაკენ. ანატოლიის პროვინციებში გზად გავლისას ის სჯიდა ურჩ მმართველებს. ნაიმას ცნობით, 1635 წ. ივლისში ოსმალეთის მთელი შეიარაღებული ძალები არზრუმთან იდგა. ოსმალეთის ხელისუფლება იმდენად დიდ მნიშვნელობას

¹⁷⁴ გვ. 217 , جلد ۳ ، تاريخ نيمىا

ანიკებდა ამ ლაშქრობას, საერთოდ, და ერევნისათვის ბრძოლას, კერძოდ, რომ ნაიმა განსაკუთრებული გულისყურით გადმოგვეცემს ამ ექსპედიციის თითოეულ პერიპეტიას. როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. ჩოჩიევი, XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის შემდეგ საქართველოს საზღვრებთან აღარ ყოფილა ოსმალეთის ესოდენ მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული ლაშქარი¹⁷⁵.

საიერიშოდ გამზადებული ოსმალთა ჯარი სულთანმა უხვად დაასაჩუქრა. არზრუმიდან ოსმალეთის ლაშქარი აიყარა, ერევნის მიმართულებით წავიდა და ყარსის ახლოს დაბანაკდა. აქ მურად IV-სთან მივიდნენ ცალკეული ვილაიეთის გამგებლები. მაგალითად, ყარსის ვალი შეიხ ფაშა და ჩილდირის ბეგლარ-ბეგი საფარ ფაშა. ყარსიდან მთელი ლაშქარი, ნაიმას თქმით, საქრისტიანოში გადავიდა. აქ კი „გურიელის ქვეყნის ძღვენი და ხაჯა მოვიდა“¹⁷⁶. ჩანს, რომ გურიელი დამოკიდებულების გარკვეული პოლიტიკური ფორმით ყოფილა დაკავშირებული ოსმალეთთან. მას ამ დროს ფეშქაშისა და ძღვენის გადახდა ემართა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ გურიელი ყოველთვის მზად იყო ამ მოვალეობის შესასრულებლად. იგი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდა ამ ვალდებულების შესრულების შეწყვეტას.

ნაიმას ცნობით, ოსმალეთის მთელი ლაშქარი 1635 წლის 27 ივლისს ერევნის ახლოს დაბანაკდა. ლაშქარი მოამარაგეს საჭირო იარაღითა და სურსათით. იქვე იყვნენ იანიჩრებიც. ერევნის ციხის გარშემო ყველა ჯარისკაცი თავის ადგილზე იდგა. ოსმალები ზარბაზნებითაც იყვნენ შეიარაღებულნი. ამ ოპერაციაში ჩილდირისა და არზრუმის ბეგლარ-ბეგებს დაევალით ქალაქის ციხის ჩრდილოეთით მდებარე წყლის სანაპიროზე დგომა და ამ მხრიდან მოქმედება. ნაიმა ვრცლად აღწერს თითოეული ბეგლარ-ბეგის ლაშქრის განლაგებას ერევნის ციხის გარემოცვისას, აღნიშნავს თუ ვის რა დავალება მიეცა. ერევნის ციხის ასაღებად მოვიდა ალექსანდრე ბეგლარ-ბეგიც. ერევნის ციხის გარემოცვისა და ოსმალთა ლაშქრის შეტევამდე ამბების გადმოცემისას ნაიმა, სხვა ისტორიკოსების მოშველიებით, ერევნის ისტორიაზე ლაპარაკობს. იგი აღნიშნავს, რომ 30 წლის განმავლობაში ერევნის მფლობელი იყო

¹⁷⁵ ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 365.

¹⁷⁶ ვგ. 253. ۳ جلد، تاريخ نايما

ამირგუნე ხანი, რომლის შვილი — თაჰმასპ ყული ხანი ამჟამად განაგებს ერევანს. ამ ტერიტორიას ერევნის ვილაიეთს ეძახდნენ და სპარსელებს ემორჩილებოდა. აი ახლა, როცა გაიგეს ოსმალთა ლაშქრის მოსვლა, საჭირო თადარიგს შეუდგნენ.

ნაიმას ვრცლად აქვს მოთხრობილი, თუ როგორ მიმართა სულთანმა მურად IV-მ ოსმალეთის ლაშქრის ცალკეულ უფროსებს ბრძოლის წინ და როგორი გამამხნეველები სიტყვებით მოუწოდა გამარჯვებისაკენ. დიდი სამზადისის შემდეგ დაიწყო ოსმალთა ლაშქრის შეტევა. ნაიმას ცნობით, „ზარბაზნებისა და თოფების ტყვიები ერევანს ყოველი მხრიდან წვიმასავით ეცემოდა. ერთი კვირის განმავლობაში დღე და ღამე ზარბაზნების დარტყმით რამდენიმე ბურჯი, კედელი და ციხის ერთი დიდი ნაწილი ჩამოინგრა“¹⁷⁷. ერევნის ციხის შეტევის დროს სულთანი უშუალოდ გასცქეროდა ბრძოლის ველს, მონაწილეობდა ბრძოლაში და, ვინც თავს გამოიჩინდა, იქვე ასაჩუქრებდა. „გადმოგვცემენ, რომ ერევნის გარემოცვის დროს ბრძოლაში მისი აღმატებულება — ფადიშაჰი თავად ფეხზე იყო კალთა აკაპიწებული, ოქროსა და ყურუშის ქისების თავი მოხსნა და მოედანზე დაყარა. წყალობა და საბოძვარი აპრილის წვიმასავით უხვად და ურიცხვად გასცა მათ“¹⁷⁸.

ნაიმა ვერ მალავს ოსმალ სულთნის წყურვილს ერევნის ციხის დაკავების თაობაზე და აღნიშნავს, რომ უსაზღვრო იყო ყიზილბაშების მიერ აკლებული ადგილების. ხელში ჩაგდების სწრაფვა.

1635 წლის 8 აგვისტოს ოსმალებმა ერევანი აიღეს. ნადავლი, რომელიც ოსმალებმა ხელთ იგდეს ერევნის აღების შემდეგ, ურიცხვი იყო. ნაიმა ცდილობს, ერევნის აღების ცნობები დაწვრილებით გადმოგვცეს, მაგრამ, როგორც ჩანს, ის თვითონ ვერაა აპირებდა ამას, ამიტომ დასძენს, საჭიროა ეს ამბები უფრო გამოწვლილებით დაიწეროსო.

ერევნის წინააღმდეგობის გატეხვამ და ურიცხვი ნადავლის ხელში ჩაგდებას სულთან მურად IV-ს დიდი ავტორიტეტი მოუპოვა. ისტორიკოსს ვრცლად აქვს აღწერილი ის საზეიმო ცერემონიალი სტამბოლში, რომელიც ერევნის ციხის აღებასთან დაკავშირებით გაიმართა.

¹⁷⁷ გვ. 250. تاريخ نعيما، جلد 3

¹⁷⁸ იქვე. გვ. 257.

ნაიმა დაწერილებით აღწერს ერევნის ალების შემდეგ ოსმალთა ლაშქრის მარშრუტებს: მათ ჯერ სომხეთის ტერიტორია ააოხრეს, მერე აზერბაიჯანში გადავიდნენ, გზად ყველაფერი გაანადგურეს და თავრიზს მიაღწენ. სამი დღე აოხრებდნენ თავრიზს და შემდეგ კვლავ ერევანში დაბრუნდნენ¹⁷⁹.

ამიერკავკასიაში ლაშქრობის დროს მურად IV-მ ჯარის ერთი ნაწილი სამცხეში გაგზავნა და ახალციხე აიღო. ნაიმა საგანგებოდ ჩერდება ვეზირ ქენან ფაშას მიერ ახალციხისაკენ გალაშქრების შესახებ. ოსმალთა მიერ ახალციხის ალების თაობაზე ცნობას გვაწვდის აგრეთვე მეორე ოსმალო ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევიცი¹⁸⁰.

ამიერკავკასიის ქვეყნების დალაშქრების შემდეგ მურად IV სტამბოლს დაბრუნდა. ამ ლაშქრობამ გაანადგურა ამიერკავკასიის ქვეყნების კულტურული მემკვიდრეობა. ამ ხალხებისათვის ერთნაირად მიუღებელი იყო ირანიცა და ოსმალეთიც. ამიერკავკასიის ხალხები ასეთ მძიმე პირობებშიც კი განაგრძობდნენ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ორივე აგრესორი ერთმანეთს ამიერკავკასიის ქვეყნებს ეცილებოდა, მაგრამ ვერც ერთი ვერ ახერხებდა ამ ხალხების საბოლოოდ ინკორპორაციას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის მედგარი წინააღმდეგობით აიხსნებოდა. მეორე მხრივ, ორივე აგრესორს სურდა ამ ქვეყნებში ფეხის მოკიდება. რა თქმა უნდა, ყიზილბაშური ირანი ვერ მოითმენდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას. „ერევნის ალებით ოსმალეთი მას გზას უჭრიდა ამიერკავკასიის დანარჩენი ქვეყნებისაკენ, ხოლო ახალციხე (ამას კარგად ითვალისწინებდა ირანის მთავრობა) გზას უხსნიდა ოსმალეთს დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროებისაკენ, რომელთა დაპყრობა-დამორჩილებას, როგორც ვნახეთ, თვითონ ირანი დაჟინებით ცდილობდა“¹⁸¹.

ირანი ყველაფერს აკეთებდა ამიერკავკასიაში დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად. ნაიმას ცნობით, ოსმალეთის ხელისუფლებამ გაიგო ირანის სამზადისი ერევანზე თავდასასხმელად და მთელი რიგი ღონისძიება გაატარა ერევნის გასამაგრებლად, თუმცა მას ხელს უშლიდა მკაცრი ზამთარი. ირანის შაჰმა ქართლის ვალისგანაც მოითხოვა სამხედრო სამსახური ერევნის და-

179 გვ. 265—268. تاريخ نيمياء، جلد 3

180 ტ. II, გვ. 439. تاريخ بيجوي შდრ. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ... გვ. 91.

181 ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 367.

ბრუნების საქმეში. როსტომს შეუსრულებია კიდევ შაჰის დავა-
ლება, გარკვეული სამხედრო სამსახური გაუწევია მისთვის, ორი
ზარბაზანი გაუგზავნია თბილისიდან¹⁸².

ნაიმას ვრცლად აქვს გადმოცემული ოსმალთა სამზადისი ცი-
ხის გასამაგრებლად. თითქმის ყველა ვილაიეთის ბელგარ-ბეგს
ვეალებოდა ერევნის გასამაგრებლად ლაშქრის გამოყვანა, მაგრამ
მკაცრი ზამთარი ხელს უშლიდა დასახული ღონისძიების განხორ-
ციელებას. მთელ ლაშქარს თავი მოუყარეს ყარსში. აქვე მათ აც-
ნობეს: „ერევნის ციხე გასაჭირშია, ხუთ-ათ დღეში დახმარება თუ
არ იქნა აღმოჩენილი, ციხე ხელიდან წაგვივა, ყიზილბაშებმა გა-
რემოცვა გააძლიერესო“¹⁸³. მაგრამ ყარსში მდგომმა ლაშქარმა და-
ხმარება ვერ გაუწია ერევანში გამაგრებულ ოსმალთა გარნიზონს.
ოსმალთა „უმწეო ლაშქარმა ერევნის ციხე ყიზილბაშებს ჩააბა-
რა“¹⁸⁴.

1636 წლის გაზაფხულზე ყიზილბაშებმა ერევანი დაიბრუნეს,
მაგრამ ახალციხის დაბრუნება ამ წელს ვერ მოახერხეს, მიუხედა-
ვად იმისა, რომ როსტომ მეფემ გაილაშქრა ახალციხეზე. ოსმალებ-
მა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს ახალციხის შემოსამ-
ტკიცებლად. 1636 წლის ზაფხულში ახალციხეში დამატებითი მე-
ციხოვნეები ჩააყენეს და ციხე შეაკეთეს.

ირანმა მთელი რიგი დიპლომატიური ხერხებით სცადა ახალ-
ციხესთან დაახლოება და ოსმალეთის წინააღმდეგ მისი ამხედრე-
ბა, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია.

ყიზილბაშები ერევნის ციხის შეკეთებას და მის გამაგრებას
დიდი ყურადღებით მოეკიდნენ. მართალია, გასული წლის დიდი
წარმატება — ერევნის დაკავება — უცბად გამოეცალა ხელიდან
მურად IV-ს, მაგრამ იგი სრულებით არ კარგავდა იმედს. მას უფრო
მნიშვნელოვანი საქმე ჰქონდა წინ — ბალდაღზე გალაშქრება. ამი-
ტომ შაჰის მოსალოდნელი შემოტევის შიშით სულთანმა საქართვე-
ლოსა და სომხეთის სანაპირო საფაშოები ლაშქრით გააძლიერა და
თვითონ 1638 წ. გაზაფხულზე ბალდაღისაკენ დაიძრა. მურადმა
საზღვრის გასაძლიერებლად დატოვა აგრეთვე ამ პერიოდში ანა-
ტოლიაში დაბანაკებული ყირიმის სახანოს მასშველი ლაშქრის ნა-

¹⁸² გვ. 280. تاريخ نعيما، جلد 3

¹⁸³ იქვე, გვ. 281.

¹⁸⁴ იქვე, გვ. 282.

წილი, ხოლო არზრუმის ბეგლარ-ბეგ ვეზირ ქენან ფაშას ახალციხის ფაშასთან ერთად დავალებული ჰქონდა ირანელების განადგურება¹⁸⁵.

არზრუმისა და ახალციხის ფაშები 1638 წლის ზაფხულში შეიკრნენ სომხეთში, სასტიკად დაამარცხეს ერევნის გამგებელი ქალბალი-ხანი, „ნადავლი ადვილად იგდეს ხელთ და 400 საქონლისა და 30 ტყვის შესახებ სასიხარულო ცნობა გააგზავნეს სახელმწიფო ლაშქარში“¹⁸⁶, რომელიც ბაღდადს უახლოვდებოდა სულთან მურადის მეთაურობით.

ამრიგად, არზრუმისა და ახალციხის ფაშებმა პირნათლად შეასრულეს მათზე დაკისრებული მოვალეობა. ოსმალეთის მთავრობა ასეთ მარბიელ ლაშქარს სხვა პროვინციებსაც უსევდა. მაგალითად, მათ დაანგრეს ქურთისტანი, შეპრიზორი. მარბიელი ლაშქრის გასევა ამიერკავკასიის ქვეყნებში და იქიდან ნადავლის ჩამოტანა ოსმალთა ხელისუფალთა ერთგვარი პოლიტიკა იყო, მათი მიზანი იყო ამ ქვეყნებში ირანის გავლენის შესუსტება. ამიერკავკასიის ქვეყნების რბევა გრძელდებოდა 1638 წლამდე, როდესაც საერთოდ დასრულდა ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომები, რაც ამიერკავკასიაში გაბატონებისათვის წარმოებდა XVI—XVII სს-ში.

1639 წელს დაიდო საზავო ხელშეკრულება ირან-ოსმალეთს შორის. „1639 წლის ზაფხვა საზღვარი გაავლო იმ ქვეყნებზე, რომლებიც ამ დროს დაპყრობილი იყო ირანისა და ოსმალეთის მიერ, ხოლო ის ქვეყნები, რომლებიც ისევ დასაპყრობი რჩებოდა, გავლენის სფეროებად განაწილდა“¹⁸⁷.

ნაიმა იძლევა ცნობებს 1639 წლის სამშვიდობო მოლაპარაკებისა და ზავის პირობების შესახებ. მოგვითხრობს თუ რომელი ადგილი ერგო ირანს და რომელი ოსმალეთს. ეს ცნობები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ იქ არის პუნქტი, რომელიც საქართველოს ეხება. ირან-ოსმალეთის სამშვიდობო მოლაპარაკების დროს გადაწყდა თუ ვის მხარეს უნდა ყოფილიყო ახალციხის, ყარსის, ვანისა და სხვა ვილაიეთების ტერიტორიები. 1639 წლის საზავო შეთანხმება „არის ირან-ოსმალეთის პირველი საზავო ხელშეკრუ-

185 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 362.

186 გვ. 262 ، تاريخ نيماء، جلد 3

187 ვ. ჩოჩიევი. დასახ. ნაშრ., გვ. 371.

ლება, რომელშიც ასახულია ოსმალეთის აგრესიის შედეგი საქართველოს მიმართ — მის მიერ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობა“¹⁸⁸.

ამრიგად, ნაიმას ცნობები XVII საუკუნის პირველი ნახევრის ირან-ოსმალეთის ომებისა და საზავო ხელშეკრულების შესახებ სანდოა და მეტად საინტერესო. იგი ზუსტად და შედარებით ობიექტურად გადმოსცემს მოვლენებს, განსაკუთრებით გატაცებულია ომების მსვლელობების აღწერით. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნების არაერთი საკითხის დაზუსტებისა და უფრო ჩაღრმავებით შესწავლის საქმეში.

¹⁸⁸ ვ. ჩოჩიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 374.

ნ ა ი მ ა ს ი ს ტ ო რ ი ა

აღმოსავლეთისა და დასავლეთის საუკეთესო ამბები კუსეინის ბაღებზე

ტომი პირველი

ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ი

ა თ ა ს რ ვ ა წ ლ ი ს ა მ ბ ე ბ ი

მანის ბებლარ-ბეგის ჯაფარ ფაშას მიერ ქართველთა მმართველის
სიმონის დატყვევება

საქართველოს მმართველნი საჩვენებლად ფირმანის⁴ მორჩილნი არიან, ფარულად კი აჯანყებაზე უჭირავთ თვალი. მათ შორის დაუნდობელი სიმონი ვერაგულად დაესხა თავს გორის ციხეს და საფუძვლიანად დაანგრია იგი. თავრიზისა და ვანის ბეგლარ-ბეგმა გულადმა ვეზირმა ჯაფარ ფაშამ ღეთის შეწევნით სიმონი დაატყვევა. გარდა ამისა, საქართველოს ბეგს — ალექსანდრე ხანს⁵ — თავი მოჰკვეთა, მისი შვილები დაიჭირა და ზემოხსენებულ სიმონთან ერთად იმავე წლის რეზი ულ-ეველის თვეში⁶ ხონტყრის სასახლეში წარგზავნა. სიმონი იედი კულეს ციხეში⁷ ჩასვეს, შემდეგში მან ისლამი მიიღო. გარდაიცვალა სულთან აჰმედის — დინერთმა აცხონოს — დროს⁸. იედი კულეში პატიმრობისას ხსენებული სიმონის მიერ თქმული რუბაი:

გამანადგურა ბედმა, რომელსაც ვემდური,
ამისათვის დამცირება განვიცადე ხალხის თვალში,
თუმცა საქმე წამივიდა ძლიერ ცულად [მძიმედ]⁹,
მადლობა გამჩენს, რომ ახლა მდგომარეობა შემინსუბუქდა.

ჰექიმ ჩელების¹⁰ პასუხი:

ერთი გორის ციხის აღებისათვის შენ,
ახლა, უყურე, მეციხოვნე გახდი იედი კულეში.

ტ. I, გვ. 230

ა თ ა ს ი ც ხ რ ა წ ლ ი ს ა მ ბ ე ბ ი

გასულ წელს აღწერილი ამბავი საქართველოს მმართველის — დატყვევებული სიმონის სტამბოლს ჩამოყვანისა და მისი იედი

კულეში მოთავსების შესახებ „ფეხლეკეში“ ამა წლის [ე. ი. ათას ცხრა წლის] ამბად არის მოტანილი¹².

ხელნაწერი, გვ. 72

ათას თორმეტი წლის¹³ ამბები

ლაზი გირეი ხანის¹⁴ თათართა ლაშქრით მოსვლა

დიდევზირმა ჰასან ფაშამ¹⁵, როდესაც ვარადინის ხიდი გაიარა და ზამონის ველს მიაღწა, შორიდან ლაშქარი დაინახა. აცნობეს, ლაზი გირეი ხანი მოვიდაო. ლაშქრობიდან ხანის უდროოდ დაბრუნების მიზეზი ის იყო, რომ თურმე მისი ძმები: სელამეთ გირეი¹⁶, მეჰმედ გირეი¹⁷ და შაჰინ გირეი¹⁸ აჯანყებულან. ზოგი რუმელიაში¹⁹ წასულა, ზოგი კი ანატოლიაში²⁰ დელი ჰასანთან²¹. თუ შაჰინ გირეი დელი ჰასანს დაიმორჩილებდა, მაშინ შესაძლებელი იყო მისთვის ხანის თანამდებობა ებოძებინათ. რადგანაც ერთი-ორი წელი იყო, რაც ლაზი გირეი სალაშქროდ აღარ დადიოდა, ამიტომ ეს გულთა მისანი ფადიშაჰის განრისხების მიზეზი გახდა. მოსალოდნელი იყო, რომ მის გადაყენებაზე ფადიშაჰს ნება დაერთო. ამით შეშინებული ხანი ძლევამოსილის [ოსმალეთის] საზღვრისკენ გაემართა. რადგანაც მისი მოვალეობა იყო საზღვრების დაცვა, მოვიდა. ზემოხსენებულ ველზე ხანი თათართა წარჩინებულთან ერთად შეხვდა სარდალ ჰასან ფაშას, თანამოსაგრე გახდა და რები ულ-ახირის ბოლოს²² ბელგრადში შევიდნენ. ლაზი გირეი ხანი დავთარდარ²³ ეთმეჩი-ზადეს ბანაკში ჩამოვიდა. ამჯერად მისმა აღმატებულებამ ხანმა ჰასან ფაშასთან მეგობრულ ურთიერთობას მიაღწია და ორი დღე რიგრიგობით ერთმანეთს წვეულება გაუმართეს. ამის შემდეგ მას გამოსახამტრებლად დაუნიშნეს ფეჩოი, თათართა ლაშქარს კი სიგეთვარი, კობანი, მოჰაჩი²⁴ და მდინარე დრავას გაღმა მხარეები. ისინი დანიშნული ადგილებისაკენ გაემგზავრნენ.

თათართა ლაშქარმა სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში დაიბანაკა. ხანის უდიდებულესობაც იმ ზამთარს ფეჩოიში მოლხენით ცხოვრობდა, ბაღდადელ ფუზულს ლექსების წერაში მიბაძა, ყავისა და ღვინის შეპაექრება გალექსა და რისაღე დაწერა. ხანი არ ენდობოდა თავის ძმა სელამეთ გირეის და მუდამ მასზე ფიქრობდა. მეჯლისში ხშირად ახსენებდნენ მის ძმას. ერთხელ აჰმედ აღამ,

რომელსაც თათრები კაფუ აღას უწოდებდნენ, ხანს უთხრა: მე შენ არ მასვენებ, შენს წინაშე დავიჭერ მას, შევებრძოლები და თუ ყვითელი ხარივით მოვახრჩვე, მაშინ ამ შიშისაგან გავთავისუფლდებითო. ხანის უდიდებულესობამ საკადრისი პასუხი გასცა.

ტ. I, გვ. 305—306

უმეფობის დასაწყისი ირანის საზღვარზე

ათას თორმეტი წელი ცნობილია, როგორც აჯანყების წელი. ამ დროს მომხდარ ცდომილთა დაახლოების შედეგად, ლეთის ნებით, გარდაუვალი შეიქმნა გარყვნილთა გამოსვლა და ძალმომრეობა-არეულობის მეთაური ირანის შაჰი — უმადური შაჰ აბასი²⁵ — ხელშეკრულების დარღვევის გამო გამოვიდა წესიერების საზღვრებიდან, ავიდა უწესრიგობისა და არეულობის კიბეზე და თავისი მტარვალის ხელი წაიგრძელა ოსმალთა სახელმწიფოს ზოგიერთი მხარისაკენ. ეს არეულობა გამოიწვია ოსმალეთის სახელმწიფოს ბრწყინვალეობამ, მთელ მსოფლიოს მზესავით რომ მოჰქვინა ნათება... მოკლე ხანში სახელმწიფოს ხელისუფლების სამსახურში შესული მდაბალი მსახურები ეგვიპტის კაიროში სულთნები გახდნენ. განსაკუთრებით ახალი დაპყრობების შემდეგ, რადგანაც თანამდებობა ბევრი იყო, დაკავების მსურველი კი ცოტა, ამ მაღალ თანამდებობებზე სამხედრო პირებს ნიშნავდნენ, თუმცა სახელმწიფო თანამდებობის პირები [ნაიბები] სამხედრო პირებისათვის სახელოს ბოძების წინააღმდეგი იყვნენ. ამრიგად, დაბალი წრის წარმომადგენლებმა საპასუხისმგებლო თანამდებობებს მიაღწიეს. თავრიზის ყულები [ჯარისკაცები], რომლებიც გონებრივად დაბალ დონეზე იდგნენ, აღზევდნენ. ოსმალო სულთანთა ხანაშისინი ძალიან გამდიდრდნენ, მაგრამ უზომო საბოძვარი ვერ შეიფერეს, ატეხეს არეულობა, აჯანყდნენ, ჯიუტობა გამოაძელავნეს. რაც დანაშაული ჰქონდათ, იმას არ დასჯერდნენ და თავიანთ ქვეშევრდომთა ქონების მიმართ გაუმაძღრობა გამოიჩინეს. ისინი მმართველებსა და ვალიებს არ უჭერებდნენ, არც ალაჰის ნებასა და ფადიშაჰის ბრძანებებს ასრულებდნენ. მომეტებულად თავაშვებულნი თავიანთი ქვეშევრდომების ქონების განიავებით არ კმაყოფილდებოდნენ, კადნიერდებოდნენ ზიანი მიეყენებინათ ემირებისა და მმართველების ქონებისთვისაც. ის კი არა, მომიჯნავე მიდამოებში მყოფი და ძველთაგანვე დამორჩილებული ქურთების — შაჰ-კულუს ჩამომა-

ვალზე—სალმასის²⁶ გამგებელ ლაზი ბეგზედაც თავიანთი მსახვრალი ხელი აღმართეს. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ლაზი ბეგმა უარი თქვა ფადიშაჰის²⁷ მორჩილებაზე და აჯანყება დაიწყო. მან გადაწყვიტა მტრის მხარეს გადასვლა და დამორჩილება. როდესაც რამდენიმე ქვეშევრდომის ხელით შაჰს წერილი გაუგზავნა და თავშესაფარი და დახმარება სთხოვა, მელიას მსგავსმა შაჰმა ეს ვითარება ხელსაყრელ შემთხვევად მიიჩნია. როგორც კი გაიგო, რომ მისი სურვილი შესრულდებოდა, თავისთან მყოფ ურჯულოთაგან ერთის, ვინმე ფლიდი ჯემშიდის, ხელით ლაზი ბეგს გაუგზავნა გვირგვინი, შუბი, სარტყელი და აცნობა, რომ ის მუდამ მისი მფარველი იქნებოდა. როცა შაჰის წარგზავნილი ლაზი ბეგთან მივიდა, მან თავისი გულისწადილი შესრულებულად მიიჩნია და სიხარული და აღტაცება გამოაძეღავნა, გვირგვინი თავზე დაიდგა და საზეიმოდ შეიმოსა, თავის ვილაიეთში არსებული მამულების [იქტების — ნ. შ.] გაცემაზე კი თავი შეიკავა.

მტრისადმი მორჩილების გამოცხადების შემდეგ ლაზი ბეგმა თავრაზელთა მიმართ გააძლიერა თავისი მრისხანება და ღვარძლი, მაგრამ მათთვის დამოუკიდებლად პასუხის გაცემა არ შეეძლო. ამიტომ მან მოისაზრა, რომ მტრის [თავრიზელთა] მოწინააღმდეგეებისაგან დახმარების მისაღებად საჭირო იყო სრული მრმზადება და ძალ-ღონის დახარჯვა. მახლობლად მყოფ ნახიჩევანის ჯარს დახმარება სთხოვა და აიძულა ვილაიეთის ვალი ალი ფაშა მონაწილეობა მიეღო ლაშქრობაში.

თავრიზელთა მოციქულების ნახიჩევანში ჩასვლისთანავე ცხადი გახდა მათი განზრახვა. ფადიშაჰის პატიოსნების დაცვისა და შაჰის ბოროტი ზრახვების აღკვეთის მიზნით ერევანის ვილაიეთის ვალიმ, ბედნიერმა ვეზირმა შერიფ ფაშამ, არეულობისა და ჯანყის ჩასაქრობად ყველგან დამამშვიდებელი ღონისძიებები გაატარა, მაგრამ ვერ დააწყნარა. ბოლოს მან ქეთხულდა²⁸ ოსმან ალა დანიშნა ერევანის ლაშქრის სალარად²⁹ და დაავალა: მოწინააღმდეგეები შეარიგე. თუ ის საზიზლარი სარწმუნოების მქონე პირი [შაჰი] დაბრუნდება, შენ ომის დასაწყებად წინასწარ მოემზადეო. ოსმან ალაც ნახიჩევანის ჯართან შეერთების შემდეგ რები ულ-ევეელის შუარიცხვებში³⁰ ავადსახსენებელ ადგილას თავრიზელთა ჯარს შეხვდა. მან უპირველეს ყოვლისა, ზემოხსენებული ბოროტგანმზრახველი პირის [ე. ი. ლაზი ბეგის] მოციქულებს სამართლიანობისაკენ მოუწოდა, მაგრამ მოჭარბებული ამპარტავნობის გამო დარიგებამ მათ-

ზე არ იმოქმედა. იგი [ლაზი ბეგი] თვითონაც დარწმუნებული იყო, რომ ძალ-ღონე არ შესწევდა წინააღმდეგობის გასაწევად, ამიტომ თავის გამგებლობაში მყოფ კარნიარუქის ციხეს³¹ შეაფარა თავი და გამაგრდა. მან მოციქულებს პასუხი გასცა ზარბაზნისა და თოფის სროლით. ისლამის ჯარმა³² განიზრახა ზემოაღნიშნული ციხისათვის ალყის შემორტყმა, ამიტომ მის გარშემო დაბანაკდა. ციხის სიმტკიცე და სიმაღლე არაფრად მიიჩნიეს და თავგამეტებით დაეხსნენ თავს, ხალხს წვიმასავით დაუშინეს თოფი და ისარი. პირველად ციხის კალთებზე დადგეს ფეხი და კედლის ახლოს დროშები აღმართეს. როდესაც ალყაშემორტყმულმა მეომრებმა დაინახეს, რომ ერთი კვირის გააფთრებული ბრძოლით კარნიარუქის ციხეში საშინელი ამბები დატრიალდა, შეიგნეს, რომ მტრისგან ციხის გადარჩენა ძნელი იყო, ამიტომ დატოვეს ცოლები და ბავშვები, კედელს გადმოახტნენ და შაჰის მხარეს მოჯურცხლეს. ისინი დიდი ვაი-ვაგლახით ხორასანში³³ მივიდნენ. მათი ბავშვები, ქვეშევრდომები და სხვები ერთ-ორ დღეს კიდევ იცავდნენ თავს. ისინი დარწმუნდნენ, რომ გამოხსნის ძალა არ შესწევდათ. ზოგიერთმა ალყაშემორტყმულმა თავისი ოჯახისა და ბავშვების შეწყნარება ითხოვა.

რამდენადაც ჯარის მიზანი ამ ბოროტგანმზრახველთა [ლაზი ბეგის მომხრეთა] დასჯა იყო, ამით დაკმაყოფილდნენ. ოსმალებმა მათ ციხის მიდამოებიდან გასვლისა და სასურველ ადგილებში გამგზავრების ნება მისცეს. ლაშქარს აუკრძალეს მათი ქონების ხელყოფა. მას შემდეგ, რაც აღნიშნული ციხე სასულთნოს სხვა ციხეებს შეუერთეს, ნახიჩევანის ლაშქარი თავის ბანაკში გაემგზავრა. თავრიზელებიც თავიანთ ადგილსამყოფელოში დაბრუნდნენ.

ტ. I, გვ. 340—343

ქურთი ლაზი ბეგის³⁴ წაქეზებით ირანის შაჰის თავპრიზისაკენ გამგზავრება

ქურთი ლაზი გაემგზავრა, ისპაჰანში შაჰის სასახლის ზღურბლს ეამბორა და შაჰს დიდი მოწიწებით აუხსნა შექმნილი მდგომარეობა. იმის გამო, რომ მან გამოამყლავნა ირანისადმი სწრაფვა, შაჰმა ხმა-მალლა ამცნო დახმარებისა და მფარველობის გაწევის კეთილშობილური სურვილი. რადგანაც ლაზი ბეგს შაჰის მტერთაგან ზოგიერთი მეზობელი ტერიტორიის მოთხრა და განადგურება სურდა, ამიტომ შაჰი ოსმალებთან საომრად წააქეზა და მოახსენა:

აზერბაიჯანის მხარე შენი სამემკვიდრეო ქვეყანაა [„მულქი მოურისია“]³⁵. მისი მოსახლეობა შენი საკუთარი ქვეშევრდომია და შენს ჩასვლას ელოდება, განსაკუთრებით აზერბაიჯანის სატახტო ქალაქი — თავრიზი, რომელიც წმინდა ოქროს საბადოა, ხაზინაა; უხვი სიმდიდრით გავსებული თავრიზი ამჟამად ჯარმა მიატოვა, ამიტომ მის დასაპყრობად ხელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა. ქვეშარიტებაა, რომ ჩვენ ღირსი გავზღვებით იქ არსებული სიმდიდრისა. როდესაც მან ეს ამბავი ასე მიმზიდველად მოუთხრო, გზას აცდენილი შაჰი, რომელიც დიდი გულისყურით უსმენდა, ამ ხელსაყრელი დროის გამოყენებით ვილაიეთის ხელში ჩაგდების სურვილმა შეიპყრო. მან უგულვებელპყო ყურანის ერთ-ერთი მუხლის დედააზრი [„ფიცს დადების შემდეგ არ არღვევენ“]. მისი რჩეული ლაშქარი ორ-სამ ათასამდე თვალშეუდგამი მარგალიტით ღამ-ლუქისაგან შედგებოდა. ისპაჰანსა და თავრიზს შორის მანძილი ქარავნით ოცი დღის სავალი იყო. შაჰმა ხელი აიღო თავის სამეფო ჩვეულებაზე და შედარებით იოლ გზას დაადგა: ცხრა დღეში გადაქრა საზღვარი და ზემოხსენებული წლის რეზი ულ-ახირის მე-19 დღეს³⁶ აჯანყებისა და ამხედრების ალაში აღმართა თავრიზის ველზე.

ერთი-ორი დღის განმავლობაში, ქვეყნის ბოროტმოქმედთაგან თულენგისა და გოქ-დოლაქის³⁷ სახელით ცნობილი ყაჩაღებისა და არღებლის³⁸ გამგებლის ზულფიკარ ხანის ლაშქართან ერთად, შეკრიბა 15000 მეომრამდე და თავრიზელებთან საბრძოლველად ზემოხსენებულ ციხეში შესვლამდე გაემგზავრა. ჯარი სოფელ სუფიანის³⁹ ახლოს, აბზინეთად წოდებულ ადგილას, დაბანაკდა და საომარი განლაგება დაიწყო.

ტ. I, გვ. 343—344

ირანის შაჰის ბრძოლა თამრიზელბთან სოფელ სუფიანში

თავრიზელთა და ნახიჩევნელთა ტომებმა პირი შეკრეს და ირანელთა ციხეს მიადგნენ. ზემოხსენებულ ადგილს რომ მიუახლოვდნენ, მტრის ჯარის შესახებ ცნობების შეგროვება დაიწყეს, მაგრამ ირანელთა მდგომარეობისა და შაჰის ადგილსამყოფლის შესახებ ვერაფერი გაიგეს. მათი თავშესაყარი ქალაქების დასაყრდენი, პირველ რიგში, იყო ქურთი ბოროტგანმზრახველები და იმ მხარეთა ყაჩაღები. ზოგიერთი სასაზღვრო ემირის მიერ გაგზავნი-

ლი წერილის წყალობით სერასქერ⁴⁰ ალი ფაშამ⁴¹ გაარკვია, იყო თუ არა შაჰის უდიდებულესობა ლაშქართან ერთად. მაგრამ თქვეს: ამ ამბის განმარტება გახდება ჯარის დაფანტვისა და მათი საომარი განწყობილების შეცვლის მიზეზიო, ამიტომ ყველაფერი საიდუმლოდ შეინახეს.

მიუხედავად იმისა, რომ მეომართა რიცხვი მხოლოდ 1500-ს აღწევდა, გადაწყვიტეს ყიზილბაშთა ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გაწევა, რადგან ყურანის მიხედვით „რამდენჯერ მცირე, ჯგუფს გაუმარჯვინია მრავალზე“. აღნიშნული თვის 22-ე დღეს⁴², მზის ამოსვლისას, ოსმალთა რაზმებმა თავიანთი ალმები გაშალეს და მთელი შემადგენლობით მდგრად აღუდგნენ მტერს. ყიზილბაშთა შაჰმაც ურწმუნოთა უპირავი ჯარი⁴³ რაზმებად დააწყო, დაფდაფებს მთელი სიძლიერით დაჰკრეს და მორწმუნეთა ლაშქარი⁴⁴ დააშინეს. გასაოცარი სანახავი იყო ეს შეტაკება. თავრიზელთა ჯარი მართლაც რჩეული, გულადი და თვალტანადი მებრძოლესისაგან შედგებოდა. ბრძოლის ცეცხლი ავიზგიზდა. მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის სიფიცხესა და შემართებას ირანელებმა უწინამძღვრეს, მტრის მტკიცე რიგები შეირყა. ამ დიდი შეტაკების დროს ჯოჯოხეთში მტრის რკინის გული და ნებისყოფა სანთელივით დარბილდა და მათი თავდასხმის შედეგი [გამარჯვება] სურვილთა სარკეში გამოჩნდა. მტრის ავანგარდის მეთაურიც კი, დულამ ალი ოღლის სახელით ცნობილი ყაჩაღი, რომელიც მამაცობით გამოირჩეოდა, ბრძოლის დროს მოკვდა ერთი გმირის ხელით, რომელსაც ყარა ჰასანი ერქვა.

დამარცხების მიუხედავად მათ ბევრი საზიზღარი ურწმუნო მოკლეს. ძლიერ ლაშქარში თიმურჯი ოღლიდ წოდებულმა განთქმულმა პირმა, რომელიც თავისი სარწმუნოების დაცვაში მტერზე უარესი იყო, უეცრად ბრძოლის დროს გამოთქვა მოსაზრება: ჩვენ მტრის ლაშქრის მეთაფი ვართ, შაჰის აქ ყოფნა ჩვენ კიდევ მეტ პატივსა და ღირსებას გვმატებსო. შაჰს შაჰი შეენის — ამ მოწოდებით წინააღმდეგობის გაწევისადმი მისწრაფება უნდა გვქონდეს და ცივი რკინა უნდა დავაყაროთ მტერსო. თავისი მოთხოვნა მან განახორციელა და, როგორც ამას შექმნილი მდგომარეობა მოითხოვდა, ხალხს მოუწოდა გაქცევისაკენ. ზოგიერთმა დიდებულმა ასამდე ქვეშევრდომით, ჯერ კიდევ ისლამის დროშებით იქ რომ იდგნენ, გაქცევა არჩია. როდესაც დარჩენილმა ლაშქარმა ეს ვითარება დაინახა, ისიც განადგურების შიშმა მოიცვა; მიუხედავად ამი-

სა, თითოეულმა მეომარმა მაინც დიდი სიმბნევე და გულადობა გამოიჩინა, ყოველ მათგანი მამაცურად იბრძოდა.

ტ. I, გვ. 344—346

თავრიზელთა დამარცხება და გზადანეული შაჰის გამარჯვება

მოწინააღმდეგე მხარეს არ შეეძლო თავრიზელთა მეათედი კაცისთვისაც კი პასუხი გაეცა. ისინი შეცდნენ, შავ დღეში ჩავარდნენ. მაგრამ წინააღმდეგობა გაუწიეს, იბრძოლეს, მათი რამდენიმე სულთანი [მხედართმთავარი] უთავოდ დარჩა, ხოლო ზოგიერთი ხანის ოჯახი — უპატრონოდ. მტერი დილიდან შუადღემდე განუწყვეტლივ ესხმოდა თავს. თავრიზის ჯარი მართლაც ძალიან სწრაფად და ენერგიულად მოქმედებდა. ბრძოლებში გამობრძმედილნი ისე არ იხოებოდნენ, რომ თითოეულ მათგანს არ მოეკლათათ, თხუთმეტ-თხუთმეტი კაცი. იმასაც გადმოგვცემენ, რომ ერთმა ვაჟკაცმა, სახელად კაბურღასი კალინმა, ამ უბედურ ურწმუნოთაგან 60 კაცი თავისი სისხლსმოწყურებული შუბით დაჭრა და მათი უმრავლესობის საზიზღარი სხეული განადგურა. ბოლოს თითოეულ მათგანს [თავრიზელს] ჭიანჭველასავით დაესია ურიცხვი ურჯულო და უთანასწორო ბრძოლაში სძლია.

იმ საშინელ დღეს ნახიჩევანის ყოფილმა ბეგლარ-ბეგმა მაჰმუდ ფაშამ⁴⁵ და ახალციხის ბეგლარ-ბეგმა ხალილ ფაშამ⁴⁶ მრავალი ყიზილბაში აღგავეს პირისაგან მიწისა და შემდეგ თვითონაც დაიხოცნენ წამებით. ალი ფაშაც, რომელიც იმ დროს თავრიზის ვილაიეთის ვალი იყო, ბრძოლის ველზე ლომივით იბრძოდა. მისი მამაცობა და გაბედულება გზადანეულმა შაჰმაც კი მოიწონა. შაჰი თვითონვე ამბობდა, რომ იგი [ალი ფაშა] ცხენიდან ჩამოვიდა, შუბი გადააგდო და, ბრძოლის ველზე ჩამოქვეითებულმა, მისი თანდასწრებით, ხანჯლით უდიდესი მამაცობა და გულადობა ჩაიღინა.

ნახიჩევნელები ალი ფაშას არ მიეშველნენ, უმუხტლეს მას და ფადიშაჰს უღალატეს. აი რა ითქვა ბოლოს: მათ რომ მოესურვებინათ დახმარება, თავრიზელთა საქმე ერთ დღეში მოგვარდებოდაო. ირანელთა შაჰი სამართლიანად მოიქცა და მიუკერძოებელი სიტყვა წარმოთქვა. ბოლოს დაჭრილები, შეურაცხყოფილები, და-

ტყვევებულები და ლაშქრის წარჩინებულთა უმრავლესობა ხმლით აჯუწეს, გაქცეულთა ნაწილი დაიჭირეს და გათოკეს.

ტ. I, გვ. 346—347

ცაიერი შაჰის მიერ თავრიზის ციხის აღება

ცბიერმა შაჰმა სწრაფად ისარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით, თავრიზელთა ლაშქარი დაამარცხა და უხვი ნადავლით გაივსო. როცა მან დაინახა, რომ ხაზინა ცარიელი იყო, თქვა: ხელსაყრელი შემთხვევით შურისძიება სინარულის მომნიჭებელიაო. მან თავისი მოქმედების მიზნად გაიხადა ოსმალებთან შერკინება. გამარჯვების სურვილით შეპყრობილმა თავრიზის ციხის დასაპყრობად მიმართა მზაკვრობას, თვალთმაქცობასა და ვერაგობას. რაკი ცხადი გახდა, რომ ბრძოლით სასულთნოს ციხეს ვერ აიღებდა, მიზნის მისაღწევად სხენაირად ამოქმედდა, — უპირატესობა მისცა: მზაკვრობას, ეშმაკობას, თავისი დამპყრობელი ჯარით გამოვიდა და ციხის მოსახლეობის დასაპყრობად ლაშქრის ზოგიერთი მხედართმთავარი ცრუ სარწმუნოებას აზიარა, კუჟადაკარგულები თავისთან მოიყვანა და დაპყრობის დაწყების წინ, იმისათვის, რომ რაიმე შეცდომა არ მოსელოდათ, ვეჟილებად⁴⁷ და მოციქულებად დანიშნა თავის ბანაკში; [შემდეგ ციხეში] გააგზავნა და დაავალა: გზადაბნეული შაჰის სიძლიერეზე გადაჭარბებული ქება ეთქვათ და მისი ჯარი განუზომლად მრავალრიცხოვნად წარმოედგინათ, დაერწმუნებინათ ისინი, რომ მათი ძალები მცირეა და პროვიანტის უქონლობის გამო ხანგრძლივად მტერთან ბრძოლას ვერ შეძლებენ, ამასთან ახლო ხანებში სულთნის მხრიდან დახმარების მიღებაც ვერ მოხერხდება, მოკლე დროში ციხეს აიღებენ და გარდაუვალია ყველა თქვენთაგანის დახოცვა. მათ დაემუქრნენ, დააშინეს. შემდეგ კი დაუყვავეს, თავის გადარჩენასა და სულის შენარჩუნებას შეპირდნენ, ამავე დროს შეუთვალეს: თუ ციხეს ჩაგვაბარებენ, მოსახლეობა შეწყნარებას მიიღებსო. ციხის მოსახლეობა შეეგუა ამ უბედურებას და დამწყობდა; რადგან მალე გაიგო შაჰის ცბიერების, სიცრუის, გადაჭარბებული შეპირებების ნამდვილი აზრი.

ალყის შემორტყმიდან 22 დღის გასვლის შემდეგ ჯუმად ალევველის შუა რიცხვებში⁴⁸ თავრიზელთა ოჯახებსა და ოჯახის წევრებს კატეგორიულად მოსთხოვეს დანებება იმ პირობით, რომ მათ ქონებას ხელს არ ახლებდნენ და შეიწყნარებდნენ. როდესაც მეცი-

ხოვნებმა ციხე დატოვეს და წარჩინებულებმა ციხის ჩასაბარებლად თავაზიანობითა და შუამდგომლობით ქედი მოიხარეს, იმ უპირობებმა და უმოწყალოებმა ურწმუნოთა ძალები [ყიზილბაშები] წააქეზეს და მოსახლეობა თავიანთი ოჯახებით დაატყვევეს, გაძარცვეს, მათი ქონება იავარჰყვეს და გაანადგურეს.

ქალაქის ყადი შეიხ ეფენდი დაბნეულობისა და სწორი გზიდან გადახვევის გამო შეიწყალეს, დაარწმუნეს და დაამშვიდეს, რის შემდეგაც იგი ვანის⁴⁹ მხრისკენ გაემართა. ყიზილბაშები დაედევნენ და მისი სხეული აკუწეს. ჭეშმარიტების გზას აცდენილმა შაჰმა თავრიზის საძრახისი ზნის მქონე ქალების უმრავლესობა შეუერთა თავის როსკობათა და უპატიოსნო ქალთა ჯგუფს, მოუსპო მათ საარსებო წყარო და უწესო და მორალური საქციელი ჩაადენინა, რითაც მუსლიმანთა ნამუსი შელახა.

შაჰი, როდესაც თავრიზის ციხე დაიპყრო და მოსახლეობა დაატყვევა, ლაშქარი გაძარცვა, გაანადგურა და საშინელება დაატრიალა, შეაცდინა მისმა უბედურმა ბედმა და სხვა ქალაქების დასაპყრობადაც გამოიჩინა მისწრაფება, ყველა მხარეს თავისი ხალხი გააგზავნა. თვითონ ნახიჩევანისკენ გაემართა, ერევნის ციხის დაპყრობის იმედით საჭურველი მოამზადა და თავრიზის ველზე ერთიორი დღე გაჩერდა. სურსათ-სანოვავის უქონლობას ყურადღება არ მიაქცია და თავისი უზრუნველობა გააგრძელა.

ტ. I. გვ. 347—349

ჰაჯი სერასკერის დაპყრობანი, ქალაქ ორდუბადის⁵⁰ სანახების ხელში ჩაბღემა

ზემოაღნიშნული შაჰის მომხრეთაგან ერთ-ერთი, კასაბ ჰაჯის სახელწოდებით, ტომის ყაჩალი იყო, მისი დაბადების ადგილი იყო იმთავითვე ცნობილი ურწმუნოთა ქალაქი ორდუბადი. როდესაც ეს ქალაქი პირველად დაიპყრეს ოსმალებმა, იგი მათ დაემორჩილა, ამიტომ მორჩილებისათვის დიდად აფასებდნენ. მაგრამ მან ცუდ საქმიანობას მიჰყო ხელი, სასულთნო წყალობანი არ დააფასა, იმ წყეულ ურწმუნოთა შესაკრებ ადგილას წავიდა და გაიძვერა ურჯულოთა ერთი ჯგუფის მეთაური გახდა.

ქალაქი ორდუბადი მისი სამშობლო იყო და იცნობდა ყოველ კუთხეს, ამიტომ მისი დაპყრობა და აღება მას დაევალა. დანიშნეს სათანადო ბრძანებით და გაგზავნეს. ადრე, როდესაც ოსმალების

სახელმწიფოში ბოროტგანმზრახველთა მეთაურთაგან გარკვეული თანამდებობა მიიღო, თავისი ბილწი ხასიათის გამო მას შეუამხანაგდა ბაინდურის სახელით ცნობილი პირი, რომელიც საზიზღარ ბრბოსთან იყო დაკავშირებული. როდესაც ამ ბრბომ ქალაქის სახანებში მდებარე მდინარე გადალახა და ქალაქის გზას დაადგა, მის შესახებდრად დიდი სიხარულით, საზეიმო განწყობით გამოვიდნენ იმ დროს ქალაქში მყოფი ურწმუნოები და დიდი პატივისცემით მიიღეს. მათ სახლები და ქუჩები მორთეს, წვერი მოიპარსეს, ტანსაცმელი გამოიცვალეს. ასე აიღეს ციხის სანახები და ქალაქი. ერთი-ორი დღე ციხის მცველებმა ციხეს მზრუნველობა გაუწიეს და სულთნის უფლებები დაიცვეს, მაგრამ ბოლოს ვილაიეთის მოსახლეობის დახმარებით ბრბომ ციხე ხელთ იგდო, მისი კედლები დაანგრია, გამოყარა ჭურჭელი და ტანსაცმელი და დამშვიდებულმა ზეიმსა და განცხრომას მისცა თავი.

ტ. 1, გვ. 349

ჩირაკ სულთნის⁵¹ მიერ ჯულჰას⁵² დაპყრობა

ურწმუნოთა ერთი რაზმი, რომელსაც ავკაცობითა და სიმდაბლით ცნობილი ჩირაკ სულთანს მეთაურობდა სოფელ ჯულჰას დასაპყრობად იყო გაგზავნილი, რაზმმა მოსახლეობის დახმარებით ხსენებული სოფელი დაიპყრო, მაგრამ რეაიამ მოითხოვა დედაქალაქიდან მოსული დამპყრობლის — მუსტაფა ალის მიერ დაკავებულის უკან დაბრუნება და ძლიეს მიაღწია მიზანს.

ტ. 1, გვ 34—350

ურფმუნოთა მიერ ალინჯასას⁵³ და ჯუჰანურიის⁵⁴ ციხეების დაპყრობა

ნახიჩევანის რაიონში მდებარე სასულთნოს ერთ-ერთ ციხეში — ალინჯას ციხეში, რომლის დასაპყრობად უწინდელმა სულთნებმა ბევრ სიძნელეს გაართვეს თავი, კვლავ ბევრი ურწმუნო გაიგზავნა. მათ ადგილობრივი ურწმუნოების დახმარებით ციხე დაიპყრეს და მისი მიდამოები დაიკავეს. ბოროტი ხალხის ერთმა ჯგუფმა ჯუჰანურიის სახელწოდებით ცნობილი ციხის დაპყრობა შეძლო. მათაც ზემოხსენებულ მიდამოებში თავიანთი მსახვრალი ბრჭყალებით დაიწყეს ხალხის ჩაგვრა და განადგურება. ამ შიშისმომგვრელმა ამ-

ბებმა მოკლე ხანში ქალაქ ნახიჩევანს ჩააღწია და მეომართა გულეებში დიდი შიში და ძრწოლა გამოიწვია.

ტ. 1, გვ. 350

ორღუბადის ემირის ჰაჯის დატყვევება

მიუხედავად იმისა, რომ ერევნის ვალი ღრმად მოხუცებული შერიფ ფაშა გამოცდილი და ბევრის მომსწრე იყო, თავისი უამრავი ღირსებების გამო იგი ცდუნებათა ტალღამ ვერ შეცვალა. როდესაც მან განიზრახა წესრიგის აღდგენა, ზიანისა და უბედურების მოსაშორებლად თავის დაახლოებულ პირებთან ერთად მოქმედებას შეუდგა. უპირველეს ყოვლისა, გადაწყვიტა დაესაჯა კასაბ ჰაჯი, რომელმაც ორღუბადი გაანდგურა. ამისთვის ხიზირ ფაშა ზადე მეჰმედ ფაშას⁵⁵ ლაშქრის სალარად დანიშნა, ხუთ-ექვს ათასიანი ძლევამოსილი რაზმით იმ მხარეს [ირანისკენ] გაგზავნა. ისიც სიკვდილის ანგელოზივით სასწრაფოდ, ერთ ღამეში, განთიადამდე დაეწია და როდესაც ურწმუნო უბედურები უღარდელად ურჯულოთა სახლებში იმყოფებოდნენ, ძლევამოსილი ჯარი ციურ უბედურებასავით მათ თავს დაესხა, მოკლე ხანში უმრავლესობა ხმლით აკუწეს. ბევრი მათგანი მელიასავით მთებსა და უდაბნოებში გაიქცა.

ბორჯღებისა და საზიზლოების მოთავეებმა [ყიზილბაშებმა] თავდასხმის დროს ის-ის იყო ცხენები მოამზადეს და უნდა შემჯდარიყვნენ, რომ მეთაურის მალემსრობოლმა შათირმა მათ დაასწრო. იგი სრულიად უშიშრად და თამამად მოახტა მეთაურის ცხენს, ამიტომ მეთაური ქვეითად დარჩა ბრძოლის ველზე და იძულებული გახდა მელიასავით გვერდზე მიმალულიყო. თურმე ეს ყველაფერი ერთმა გამოცდილმა გმირმა დაინახა, მაშინვე მივარდა და დაატყვევა. მეთაურის ამხანაგი ბაინდური კი მეორე გმირმა ხმლით აკუწა.

ძლევამოსილმა სალარმა მეჰმედ ფაშამ ურწმუნოთა ბელადების მოჭრილი თავები, მათი მაცდუნებელი გვირგვინებითურთ (მიწაზე) ათრია და როდესაც თავის გონიერ ვეზირს ეახლა, მისი ქება და ყურადღება დაიმსახურა.

ტ. 1, გვ. 350—351

ამის შემდეგ ცხენოსანთა ჯარის ერთი ნაწილი ალინჯას რაიონისკენ გაიგზავნა. ვიდრე ისინი იმ მიდამოებს ზვერავენენ, ურჯულოთა ნაწილი თვალწარმტაც სოფლებში განცხრომაში იყო. გმირების მოსვლის ამბავი რომ გაიგეს, მაშინვე უშიშარ რაიონში გადავიდნენ, კინალამ ლაშქრის ბრჭყალებში არ ჩავარდნენ. თუ აქამდე შაჰის აქ ყოფნა საეჭვოდ მიაჩნდათ და ოსმალთა ჯარის დამარცხების შესახებ არაფერი იცოდნენ, დაქრილმა მოენეებმა ყოველგვარი მოკრძალების გარეშე შაჰის მოსვლისა და თავრიზის ჯარის დამარცხების ამბავი აუწყეს; ლაშქარი რომ არ დაეშინებიათ, მიღებული ცნობები აშკარად უარყვეს და, საიდუმლოდ, საჭურვლის მოწესრიგებას შეუდგნენ.

ტ. 1, გვ. 351

ლაშქრის გაგზავნა ორდუ[ბადის] გასათავისუფლებლად

ოსმალთა ლაშქრის ერთი რაზმი ორდუბადის ციხის დასაპყრობად მოსულ ბოროტმოქმედთა გასანადგურებლად გაიგზავნა. წასვლისას წინასწარ დახმარება ითხოვეს. განჯის გმირებიდან ბევრი იმ ავაზაკთა ტომს თავს დაესხა, ზოგი გაანადგურეს, ზოგიც დაატყვევეს. ბრძოლის დროს ცნობილი გახდა, რომ ხმალს გაღარჩენილები დაიფანტნენ და უკან დაბრუნდნენ.

როდესაც შაჰის ლაშქარი კალიასავით ყველგან მოედო, ცნობილი გახდა, რომ თითოეული სოფლის მცხოვრებს მან თითო-თითო მაცნე გაუგზავნა, ხოლო ჯარის მეთაურები მათთან ურთიერთობას თავს არიდებდნენ. ოსმალები ჯუმად ალ-ეველის 15-ს⁵⁶ ერთ ადგილას შეიკრიბნენ, ითათბირეს და თქვეს, რომ: თუმცა მოენეებმა დაადასტურეს და ფირმანებშიც აღნიშნულია შაჰის იქ ყოფნა, მაინც პირობის დარღვევა უჭკუობაა. ქურთი ლაზის დამქაშმა ქურთებმა შესაძლებელია შაჰის სახელით რაიმე ჩაიდინეს, ჯაშუშებმა ისეთი რამე არ ამცნეს, რაც მათ დაამშვიდებდა. ამ შემთხვევაში უფრო გამართლებულია, ვეზირისაგან ცნობის მიუღებლობის გამო, ბრძნული წესის მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, საქმის გამოსარკვევად, შაჰის წერილი გაიგზავნოსო. როდესაც იგი ამ მხარეში უკან დაბრუნდება, დროის საჭიროების მიხედვით წამოიწყოს მოქმედებაო. ჯერ ერთი, ნახიჩევნის ციხე სუს-

ტი ნაგებობაა: შენობის ნაწილები მიწისგანაა ნაგები, მისი კედლების უმეტესი ნაწილი მიწის დონეზეა, ხოლო საბრძოლო იარაღი და პროვიანტი მცირეა, ამიტომ ამ ციხეში მტერთან შებრძოლება ძნელია. სახელმწიფოს ღირსების დასაცავად საჭირო გახდა შემოხსენებული ქალაქის ქონებისა და ჯარისკაცთა ოჯახებისაგან დაცლა. სალარებს ლაშქართან ერთად ერევის ციხისათვის უნდა შეეფარებინათ თავი და იქ შებრძოლებოდნენ მტერს.

ხსენებული ციხე მართლაც მტკიცე და ძლიერი იყო. ზარბაზნები, უამრავი პროვიანტი და იარაღი მზად ჰქონდათ. მისი კედლიდან გოგჩის წყლის მსგავსი მდინარე გამოდიოდა. რადგანაც ამ მხარეში მდებარე მიწები ბედნიერების ორმოსავით ძალიან ნაყოფიერი ადგილებიაო, ამიტომ ბჭობის შედეგად გადაწყვიტეს, რომ ეს მხარე მათთვის შესაფერისი იყო და ყველაფერი შაჰს მისწერეს. წერილი ქურქჩი-ბაშის⁵⁷ მაჰმუდ ალას ხელით გაგზავნეს.

ტ. 1, გვ. 351—352

ლაშქრის გაგზავნა მრეწვისკენ

როდესაც ჯუმად აღ-ვეველის 20-ს⁵⁸ ყიზილბაშები მოვიდნენ, თსლამის ლაშქარმა ნახიჩევანი მათ მისცა. შემდეგ, როდესაც ცნობილი გახდა გზადაბნეული შაჰის პირადად ჩამოსვლისა და ახლოს მოსვლის ამბავი, დამარცხებული ჯარიდან თემურჯი ოღლად წოდებული უბედურიც მოვიდა და მტრის ძალების შესახებ გაზვიადებული ცნობებით საგვე ტყუილების გუდას თავი მოხსნა. ამის შემდეგ ოსმალებს გასაჩერებლად ძალონე აღარ შესწევდათ, იმ ღამესვე მოამზადეს სატვირთო საშუალებანი, რითაც შესაძლებელი იყო საომარი იარაღისა და სატყორცნების გადაზიდვა. როდესაც მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს დიდისა და პატარის წაყვანა, ციხის მცხოვრებთაგან ბავშვები და ურწმუნოები თავიანთი ოჯახებით სასწრაფოდ აიყარნენ. [მცხოვრებლებმა] გადაწყვიტეს: ვიდრე მტერი ქალაქს არ დასხმია, მანამდე დაცვაზე ხელის აღება გონივრული საქმე არ არის. ჭერჯერობით ვინც ვართ და ვარსებობთ, ამათგან შევარჩიოთ უზენაესი სულთნისათვის, მისი დაცვისათვის საჭირო ჯარის ნაწილები და საწინააღმდეგო მოსაზრების მქონე ჯარის სალარებს წინ აღვუდგეთო. მათ ერთსულოვნება გამოიჩინეს.

დილით, როდესაც ვეზირი ჯარს ამოწმებდა, მოსახლეობამ ციხის კარები დაკეტა. ვეზირი და ლაშქრის წარჩინებულები, რამდე-

ნადაც შეეძლოთ, ეცადნენ კარის გაღებას და გასვლას, მაგრამ ვერ შეძლეს. ბოლოს, მას შემდეგ რაც მტრის რიგები გაიზარდა და შესაძლებლობის ფარგლებში მათ (ისლამის ლაშქარს) დახმარება გაუწიეს, ერევნისკენ გასამგზავრებლად დაწყობილი რაზმები დილით გზას დაადგნენ. ისინი ერთ დღე-ღამეში ციხეში შევიდნენ, დაიბანაკეს და მტრების ხოცვა-ჟლეტის სამზადისს შეუდგნენ.

ტ. 1, გვ. 353

ახალი ციხის აშენება ერევანში

როდესაც ქალაქ ნახიჩევანსა და ერევანზე შაჰის თავდასხმის ამბავი გავრცელდა, ერევნის რჩეულები და მოსახლეობა, ნახიჩევანის ჯარი თავიანთ ციხეებში ვერ გაჩერდა. როცა გაიგეს, რომ მტერი ერევნის ციხესთან (ახლოს) გამაგრებულყო, მათ გაითვალისწინეს, რომ ციხის წინ იყო ვიწრო მოედანი, ხოლო სამხრეთის მხარეს ციხის კედლის მიჯნაზე მუსლიმანთა საცხოვრებელი სახლები, ამიტომ მათ სახლების დანგრევაზე უფრო ხელსაყრელად მიიჩნიეს იმ მიდამოებში უფრო მაღალი კედლების აშენება და სახლების დატოვება. ერთსულოვნად მოიწონეს ეს აზრი და კეთილისმსურველისა და გონიერი კაცის სტამბოლის მუთეფერიკის⁵⁹ ჰუსეინ ალას აზრი ამ საკითხზე მიზანშეწონილად ჩათვალეს. მათ უნდა ემოქმედათ მის მიერ გამოთქმული კეთილი აზრის მიხედვით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მაგრამ მცირე ჰუსეინის გამო ჯარი ძალიან დიდმა სურვილმა მოიცვა. დიდი მუშაობისა და შრომის შედეგად ჯარი მძიმე დღეში ჩავარდა.

მაღალღირსეულმა სარდალმა მოისურვა, რომ 200—300 კაციით ოც დღეში დაემთავრებინა სიმაგრე, რომლის ასაშენებლად საჭირო იყო აურაცხელი ჯარი და 30—40 დღე. ზემოხსენებული თვის მეექვსე დღეს⁶⁰ დასახლებული მხარის სამხრეთით, აღმოსავლეთითა და დასავლეთით, სამი მხრიდან, დიდი მონღოლებით დაიწყეს 500—500 წყრთა სამი კედლის აშენება. ვეზირი რომ მოვიდა, 15 დღეში ნახევრამდე ააშენეს. დასაწყისია ყველაფერიო—იგონებდნენ ამ ანდაზას და დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ. დანარჩენი კედლები ჯარის რაზმებს დაუნაწილეს. მათაც თავიანთი სიცოცხლის გადასარჩენად თავგამოდებით იმუშავეს და, მაღალი ალაჰის დახმარებით, იმ ბოროტი შაჰის ჩაპოსვლამდე დაამთავრეს.

ტ. 1, გვ. 353—354

ამას წინათ შაჰის მიდამოების მდგომარეობის გამოსარკვევად გაგზავნილი ქურქჩი-ბაში მაჰმედ ალა ზემოსხენებული თვის 24-ე დღეს⁶¹ გზადაბნეული შაჰის წერილით ქალაქ ერევანში მოვიდა. წერილი თავიდან ბოლომდე უაზრობას შეიცავდა. ისინი მიხვდნენ, რომ შაჰი პირობას არღვევდა: უშედგო მოთხოვნები იყო, თავი და ბოლო ერთმანეთს არ შეესაბამებოდა, ამიტომ იყო უაზრო. წერილში შაჰი გადაჭარბებულად იქებდა თავს, მოლაყებობით, დაშინებითა და მუქარით მრავალგზის ენის წაგრძელებას კადრულობდა. ურიცხვი ლაშქრით თავრიზის ციხეს დავიპყრობო, იუწყებოდა. შემდეგ აღნიშნავდა, რომ განზრახული ჰქონდა ნახიჩევანისა და ერევანის დაპყრობა. თქვენგან მოსული წერილების მიხედვით, ნახიჩევანის მოსახლეობამ ციხე ჩაგვაბარა და შეწყალება ითხოვა, ერევანის ციხეს კი იოლი ბრძოლის შემდეგ დავიპყრობო. აზერბაიჯანში შესვლის შემდეგ მულქი მოურისი — განჯა და შირვანი გავანადგურეთ და ამ წელს ყარაბახში გადავიზამთრებთო, იუწყებოდა. ამ მიდამოებში მყოფმა რაიათმა⁶² და ლაშქარმა ფადი-შაჰისადმი⁶³ დახმარება რომ არ გამოამჟღავნონ, ამიტომ ამ საქმის დასაწყისში ჩვენ რაც ოსმალთა დინასტიასთან საწინააღმდეგო მისწრაფებანი გვქონდა, ის უნდა დამთავრდესო.

ამგვარ უამრავ ლაყობას შეიცავდა მისი წერილი. შემდეგ იტყობინებოდა, რომ ზოგიერთის ქონებას ხელს არ ვახლებთ, მუსლიმანთა მოსახლეობასა და მათ ოჯახებს ძალას არაფერზე დავატანთო. თუ სარწმუნოებისა და ეროვნების მიზეზით წინააღმდეგობა არ იქნება, ყოველნაირ პატივს მიიღებენო. ასე ამბობდნენ. ის კი დააეიწყდათ როგორ დაჩაგრეს და რა ზიანი მიაყენეს თავრიზის მოსახლეობას. როდესაც ცნობილი გახდა, რომ, ისინი ვერაგობის, ცდუნებისა და ცილისწამების გზას ადგნენ, ლაშქარი და სარდალი შეეცადნენ არ გამოემჟღავნებინათ თავიანთი გულისწყრომა. მათ განიზრახეს როგორც წესი და რიგი იყო, ისე დახვედროდნენ მოსალოდნელ ხოცვა-ჟლეტას.

ახალი ციხის ნაკლოვანება აღმოფხვრეს და ვეზირმა შაჰის წერილი, როგორც ეს წესი იყო, ბედნიერების დედაქალაქს გაუგზავნა, სხვა საქმეებიც დაწვრილებით მოახსენა. მან საჩქაროდ წერილები გაუგზავნა მომიჯნავე ვილაიეთების ვალიებს, აგრეთვე სივანის⁶⁴ სარდალს ნუჰ ფაშას⁶⁵, დახმარების მიღებისა და მტრის თავდასხმისას საგანგებო მიშველიების შესახებ. ამ ვალიების უმ-

რავლესობამ ცნობილი ანდაზის — სულელის პასუხი სიჩუმეაო — მიხედვით იმოქმედა და უმნიშვნელო მაცდუნებელი დაპირებებით გამოისტუმრა.

ტ. 1, გვ. 354—355

შაჰის მიერ ქალაქ ნახიჩევანის დაპყრობა

თავრიზის დაპყრობის შემდეგ შაჰმა სოფელ ჩულჰაში გაშალა კარავი, სადაც რამდენიმე დღე გაატარა და არღებილის მმართველი ზულფიკარ ხანი მთელი ლაშქრით ნახიჩევანში გააგზავნა. სანამ ვეზირი და ჯარი იქ გაეძგზავრებოდნენ, ურწმუნოთა ტომი მომეტებული სიფრთხილით და დიდი მეცაღრნეობით ნახიჩევანს შიდა-მოებში მოვიდა. ლაშქარი ნახევარ დღეში აიყარა, ჩაგვრისა და ძალდატანების კლანჭებით სუნიტთა სახლებში შევიდა და, რაც იპოვა, დაიტაცა და იავარპყო; ვინც წინ აღუდგა, დაჯაბნეს და დიდი ზიანი მიაყენეს.

ქალაქის ურწმუნოებმა, როდესაც ჯარის მოწინავეები დაინახეს, ირანელების შემოსვლა გადაწვეტილად მიიჩნიეს, ურჯულოთა და გზასაცდენილთა ტანსაცმელი ჩაიცვეს, ურწმუნოთა სალარს ზულფიკარ ხანს შეეგებნენ და დიდებითა და პატივით შოთაძეს ულამაზეს სადგომში. მაგრამ ციხის მოსახლეობა იმ დღეს ურწმუნოთა ბრბოებს ზარბაზნებითა და თოფებით შეხვდა. იმ დღეს მეციხოვნეებმა სიმაძაყე გამოჩინეს და ციხესთან ახლოს, ბაზრობის დროს, უმსგავსო საქმიანობით გართულ შეკრებილებს თავს დაესხნენ, ზოგი მოკლეს, ზოგიც დააზარალეს.

ლაჰის განმავლობაში 360-მდე ურჯულო ახალგაზრდა და 40-ით მეტი თურქი ყმაწვილი გამოვიდა. მათ ასეთი აზრი გამოთქვეს: შაჰის ლაშქარს რომ შევებათ, ამის შესაძლებლობა არა გვაქვს, უსათუოდ ციხე უნდა ჩავაბაროთ. ძალიან მნიშვნელოვანია და საჭირო ჩვენი სიცოცხლე, ამით ვიხსნით თავს ბრძოლისა და დარტყმისაგანო. ეს აუცილებელი და მისაღებიო — თქვეს და ნებსით თუ უნებლიეთ გააღეს ციხის კარები. ამით ამ საზიზღრებმა თავიანთი გულის წადილი აისრულეს. ორმოცი კაცი შაჰის მოსვლამდე მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მესამე დღეს მოულოდნელად ცხადი გახდა ქალაქ ნახიჩევანში შაჰის ჩამობრძანება. ქალაქის ურჯულოები დიდი პატივისცემითა და დიდებით შეხვდნენ. მათ ცხენის ფეხქვეშ ატლასი და საუკეთესო აბრეშუმი დაუგეს. ჭეშმა-

რიტების გზას აცდენილთა [ე. ი. ურწმუნოთა] ტრადიციის მიხედვით, ის ადგილი, სადაც ცხენმა ფეხი დააღვა, სალოცავად გაიხადეს.

როდესაც იმ ვერაგმა შაჰმა ვეზირის გამგზავრების ამბავი გაიგო, მხოლოდ რეაიას დამორჩილებით [თავისი] ქება ვერ დაიმსახურა. ყიზილბაშებმა, მას შემდეგ რაც შეასრულეს ცრუმორწმუნობებრივი რიტუალი, თქვეს: რადგანაც მათ [ოსმალებს] არ მიუღიათ დახმარება ლაშქრის ხოცვა-ჟლეტის დროს, ამიტომ ვერ მოახერხეს მოწინააღმდეგეთა დატყვევება და ოსმალებმა თავიანთი ქონება გადაძალესო. ყიზილბაშებმა ბრძანება გასცეს სათანადო სასჯელი დაედოთ მათთვის. თითოეული მათგანი ურჯულოთა კარვებში მოათავსეს და ოჯახებთან ერთად დიდი ტანჯვა-წამება მიაცენეს. დატყვევებულები თავიანთი ქონების განაწილების დროს, ჩადენილი უამრავი უსამართლობის გამო, სინანულს გამოთქვამდნენ და შემდეგ ერთმანეთს კიცხავდნენ.

ზულფიკარ ხანმა ციხის გამცემი ურჯულოები და ციხის ჩაბარების მოწინააღმდეგენი შაჰის უდიდებულესობის წინაშე მიიყვანა. ცრუ სარწმუნოების მიმდევართ მოწყალების თვალთ შეხედეს, ხოლო სხვები წამებით დასაჯეს და სარწმუნოებისათვის მოკლეს. ერთი-ორი დღის შემდეგ ყიზილბაშმა არამზადებმა ნახიჩევანში დაუბრკოლებრივ ილაშქრეს და დაიპყრეს. თითოეული სახლიდან მოითხოვეს ოსმალთა ქონება. ამგვარად, მათ ურწმუნოთა მხარეშიც ჩაგვრისა და შეურაცხყოფისაკენ ეჭირათ თვალი. მუსლიმანები და ქაფირები საერთო ჩაგვრით შეწუხებულნი იყვნენ. მათმა უწესო საქმიანობამ საზღვარს გადააჭარბა. ხუდავერდი ფაშას ჯამეში მეძავი ქალები მოიყვანეს და ყველას თვალწინ ჩაიდინეს ამორალური საქციელი; სუნიტური მოსახლეობის ზოგიერთი ტრადიცია შეარცხვინეს და სახელი გაუტეხეს.

ტ. 1, გვ. 355—357

სარდალ მაჰმუდის დამარცხება

ისლამის ჯარი დიდი მონღოლებით ცდილობდა ციხის შეკეთებას. ჯუმად აღ-ახირის მეექვსე დღეს⁶⁶ მოლაშქრეები ციხის განაპირას მტრის მოენე ჯარისკაცებს წააწყდნენ, რომლებიც სასწრაფოდ ვეზირთან მიიყვანეს. მათ ვეზირს აცნობეს: ქემაჰასა⁶⁷ და ერზინჯანს⁶⁸ შორის ირანელებმა დიდი ხანია გზა გადაჭრესო. რად-

განაც გადაჭრილი გზის გათავისუფლების შესახებ ფადიშაჰის ბრძანება მოვიდა, შაჰის თავის ასარიდებლად მთავარი იოლდაშებიდან 32 კაცი შეკრიბეს. მეორე კაცად რომ ითვლებოდა, ის სარდალი, მაჰმუდი, 400—500 ყაჩაღის მეთაურად დანიშნეს და ოსმალთა ქვეყანაში თავიანთ მსგავს ყაჩაღთა და ბოროტმოქმედთა გამოსაწვევად მაცნეები გააგზავნეს. სინამდვილეში დერეღვების სანჯაყი ძალადობით გადასცეს და ხელთ ფირმანი უბოძეს.

როცა ზემოხსენებული ყაჩაღები დიდი სიამაყითა და გამბედაობით ერევნის სანახებს მიუახლოვდნენ, განჯაში მიმავალ ქარავანს შეხვდნენ. როგორც მშვიერი მგელი ცხვარს ეცემა ხოლმე, ისე დაერივნენ, ყველა დახოცეს და გაძარცვეს, აურაცხელი ქონება ხელთ იგდეს. ახლაც ზოგიერთ სოფელში განცხრომაში არიან, ქეიფობენ, ღვინოს ჭამებით სვამენ. გამოცდილი გულადებიდან რამდენიმე კაცი რომ იყოს, მოულოდნელად მათზე თავდასხმა ადვილიაო, — თქვეს. სალარებმა ხელსაყრელ შემთხვევად მიიჩნიეს და, სასწრაფოდ, ჭენებით 500-მდე კაცით გაემართნენ. მათ სარდალად დანიშნეს ვეზირის ქეთხუდა, სახელოვანი ოსმან-ალა. სწრაფად ჭენებით გათენებისას ზემოხსენებულ სოფელს მიაღწიეს, ზეცით მოვლენილივით თავს დაესხნენ და ყველგან მოედევნენ. უბედური ურწმუნოები მთის მწვერვალზე დაიფანტნენ, მამაცები გამოედევნენ და მათი უმეტესობა ხმლით აკუწეს. ყაჩაღების მეთაურების ადგილსამყოფელში ლაშქრის სალარი მივიდა. როდესაც შეტევაზე გადავიდნენ, უამრავ ჯარს წააწყდნენ, დაიჭირეს და დაატყვევეს. გმირები აურაცხელი ნადავლის მფლობელები გახდნენ. დიდად გახარებულნი ქალაქში შევიდნენ. როდესაც ვეზირის დივანს მიაღწიეს, კარგად მიიღეს. მათი [ოსმალთა] ურჩი მოჯანყების მიზანდასახულობის ჩაფუშვის შემდეგ, ლაშქრობის დროს რეაისათვის მოყენებული ტანჯვა-წამების სანაცვლოდ იმ დღეს დაჭერილ კასაბ-ჰაჯის თავი მოკვეთეს, რითაც სამაგიერო მიუზღეს. დასახელებული სარდალი მაჰმუდ ფაშა და მის დაახლოებულ პირთაგან 100-მდე კაცი, აგრეთვე მასთან მყოფი შაჰის 30-მდე მაცნე, რომლებიც მასთან იყვნენ, ნახიჩევნის ყადის ჯერაჰ-ზადეს მოხსენებით სტამბოლში გაგზავნეს. ზემოხსენებული ვერაგი-მაჰმუდ ფაშა თავისი ზედმეტი ყალბი გაბედულებით ავისმქმნელ ბრბოებს შორის წარჩინებულად ითვლებოდა. შაჰი მას მაღალი ღირსებისა და სამართლიან კაცად მიიჩნევდა.

შაჰი, დამარცხების ამბავი რომ გაიგო, მოზღვაებული დარდისაგან უგონო მდგომარეობაში ჩავარდა. შურის საძიებლად პირ-

ველად გასცა ბრძანება ნახიჩევანში დატყვევებული 40 სუნიტის დახოცვის შესახებ, მეორე განრისხების დროს რამდენიმეს მოწამეობრივი სიკვდილის შერბეთი დააღვეინეს, მაგრამ როდესაც იხოცებოდნენ, დივანის დიდებულებმა წინადადება შეიტანეს შეწყალებაზე და ძლივს გადაარჩინეს.

ტ. 1, გვ. 357—359

ირანის შაჰის მრავანფერო შემოსვლა

ჯუმად ალ-ახირის მეთერთმეტე დღეს⁶⁹, შაბათ დილას, ერევანის სამხრეთ მხარეზე ყიზილბაშთა დროშები გამოჩნდა და ერევანის ველსა და მინდვრებს მდაბიო ტომის ბოროტი სულებივით მოედო. ძირითადად 5—6 ათასამდე ყიზილბაში ძლივს იქნებოდა. მათ თან ახლდნენ: თულენგისა და გოქ-დოლაქის სამი ათასამდე ბოროტ-მზრახველი, ცუდი საქციელის მქონე რამდენიმე ქურთისგან შემდგარი ბრბო, ვითომ მუსლიმანად ცნობილი ქურთი ლაზი და მისი ძმები: კოჩი და სეიფ ედ-დინი, სოფლის ტომები, წინანდელი ემირის — მირზა-ფაშას შვილის შეიხ ჰაიდარის საკმაო რაოდენობის წევრთაგან შემდგარი რაზმი, ადრე ნახიჩევანისა და ქაფანისთანის⁷⁰ დაპყრობებში ფადიშაჰის გზის მაჩვენებლები და ამით დაწინაურებულნი, ალა ედ-დინ ბეგის ხალხი, მაქუს⁷¹ გამგებელი მუსტაფა ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით, ქურთი ზეინალ ბეგის რაზმი, ვალაშქერტის⁷² ბეგი—ყიზილ ბეგი, ბერქუშათის სანჯაყის ბეგის — ფერაჰ რუზ ბეგის გამოქცეული რაზმები.

შაჰი ჯარის შუაგულში იდგა მუქი წითელი საჩრდილობელი ქოლგით, სადღესასწაულო და სამხედრო საგანგებო საკრავებით შიშის ზარს სცემდა გარემოს, ცხენებისა და აქლემების სიმრავლით მიდამოებს თითქოს აბნელებდა. ისინი ციხის წინა მოედანზე დახეტიალობდნენ. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ციხის ხალხს შაჰის ბრწყინვალე სანახაობისა შეეშინდებოდა, უაზრო ხმაურით გული შეუწუხდებოდა, დამარცხდებოდა და უმწეო იძულებული გახდებოდა, მოწინააღმდეგისათვის ციხე ჩაებარებინა. ისლამის ლაშქარში იყვნენ ჰეკიანი, გამგებიანი, მკოდნე და გონიერი (ადამიანები), რომელთაც შეეძლოთ მოვლენების გაანალიზება, მათ იგრძნეს შიშის უსაფუძვლობა.

ბეთი ითქვა: მაღალფარდოვანი სიტყვა დოლის ხმასავით მნიშვნელობასა და შინაარსს მოკლებულია. შაჰის ამ უაზრო საზეიმო

განწყობილებას მნიშვნელობა არ მისცეს და ალარას ზარბაზნებით შორიდან სროლა აუტეხეს. საზიზლართა ბრბომ ტანჯვის ბორცვის სახელწოდების გორაკზე შაპის კარავი დასცა, ხოლო მის გარშემო მიდამოებში მათი ლაშქრის ბედნიერების თავშესაფარი კარავი გაიშალა.

ტ. 1, გვ. 35—360

პირველი ბრძოლა მრავნის მისადგომებთან

გზადაბნეული შაპის განკარგულებით, ურჯულოთა ერთმა რაზმმა ციხის შიდა ნაწილიდან დაიწყო გამოსვლა. როდესაც ისინი ციხის მოსახლეობას ანაზღეულად თავს დაესხნენ, ისლამის ლაშქრიდან რამდენიმე გულადი ნახიჩევნის კარიდან გამოვიდა და ორივე მხარემ სიმაძაქისა და ძლიერების გამოსაცდელად ხოცვა-ჟლეტის ცეცხლი დაანთო. დასაწყისში ერთი კაცი, სახელად ყილიჩი, შეებრძოლა მტრის რაზმს. შემთხვევითა და განგების ნებით, ზისმა ცხენმა წაიბორძიკა და წაიქცა, ურწმუნოთა ლაშქარი მას თავს დააცხრა და მოკლეს.

ალაპის წყალობით, ცხადი იყო, რომ ამ არახელსაყრელი ვითარების შედეგად გამარჯვება მოწინააღმდეგეს დარჩებოდა, რასაც საქმის მცოდნე გონიერი პირები უბედურების მომასწავებლად მიიჩნევდნენ. მაგრამ გამოცდილნი სულ სხვანაირად აფასებდნენ შექმნილ მდგომარეობას და ამბობდნენ, რომ საქმის კეთილად დაბოლოებაც გამოცდილებით მიღებული შედეგიაო.

მდგომარეობის გაუმჯობესება ცხადი გახდა, მაგრამ გულის წადილის მიხედვით განგების გადაწყვეტილების შეცვლა არ შეიძლებოდა. უკან დარჩენილი ჯარი სრულებით არ შეშინებულა და არ დაძაბუნებულა, საზიზლარი ურწმუნოები ზარბაზნებისა და თოფების ქვეშ მოაქციეს. როდესაც ოსმალებმა ციხის მხრიდან მათ ზარბაზნები და თოფები დაუშინეს, ბევრმა ყიზილბაშმა შესვა სიკვდილის შარბათი და პირი იბრუნა.

ტ. 1, გვ. 360

მეორე ბრძოლა

ზემოხსენებული თვის მე-12 დღეს⁷³ ისლამის 200-მდე გულადი ცხენოსანი კვლავ ხსენებული კარებიდან გამოვიდა, მტრის მხა-

რეს გაემართა და სიმამაცე გამოიჩინა, გაიარეს გოქ ქუნბედად წოდებული ადგილი, მათ უკან 100 ქვეითი თოფის მსროლელი გუმბათში დაიმალა. გვიან დილით ზოგიერთი ვეზირიც ხსენებულ კართან მოვიდა და რჩეული მამაცები გამოიყვანა.

როდესაც ლაშქრის დროშები ციხის ჰორიზონტზე გამოჩნდა, მტერმაც დაიწყო მოქმედება და ბრძოლის ასპარეზზე მოვიდა. ორივე მხარის მეწინავენი სასტიკ ხოცვა-ჟლეტაში ჩაებნენ. მას შემდეგ, რაც ბრძოლის ველზე ბევრი ამოწვეიტეს და მტრის მრავალი თავი გადათელეს, ისინი ციხისა და ჩასაფრებულებისკენ გაემართნენ. (ოსმალები) ურჯულოთა ბრბოს უკან დაედევნენ და ჩასაფრების ადგილას მივიდნენ. თავგამოდებულმა მამაცებმა მტერთან შებმისას ძალ-ღონე არ დაზოგეს და ბრძოლით თავი გამოიჩინეს, ასამდე კაცი დახოცეს. იმ დღეს წყეული ურჯულოებიდან შაჰის კარის ერთ-ერთი მსახური მოჰკლეს.

ჩვენ [ოსმალების] თავდადებულ გმირთაგან ბრძოლის ველზე ზოგმა მოოქვილი გვირგვინი ჩაიგდო ხელთ, ზოგმა — თულებიანი თავსაბურავი. მათ მისი [შაჰის კარის მსახურის] გვამის მოსატაცებლად მოვარდნილი ბევრი ყიზილბაში შუბებით დახოცეს. მტერმა პირი იბრუნა და თავის ბანაკში დაბრუნდა. შაჰი ძალიან შეწუხდა მსახურის სიკვდილით, მისადმი მომეტებული მზრუნველობის გამო. ეს მიაწერა თავისი ბანაკის უბედურებას. სასწრაფოდ სხვა ადგილას, ჩრდილოეთ მხარეში, გადაინაცვლა. ისეთ ადგილას დასცა კარავი, სადაც ზარბაზნებს ააცილებდა თავს.

თავისი უბედური კარავის გარშემო ციხესავით კედელი ააგო, სანგარი გათხარა. შაჰმა თქვა, ლაშქრისთვის სანგრები შიშის მომგვრელიაო და ჯარი თავდასასხმელად წააქეზა.

ტ. 1. გვ 360—361

მესამე ბრძოლა

ზემოხსენებული თვის მე-17 დღეს⁷⁴, პარასკევს, გზადაბნეული შაჰი ციხისკენ დროშააღმართული გაემართა. როდესაც თითოეული ურჯულო ერთსულოვნად ამოქმედდა, ძველი წესის მიხედვით, ქვეითთა და ცხენოსანთაგან 400—500-მდე სახელოვანი მამაცი ციხის კარიდან გამოვიდა და ბრძოლის ცეცხლი დაანთო.

მაღალი ალაჰის შემწეობით, იმ დღესაც გამარჯვების სიომ სუნიტების მხარეს დაჰბერა. მათ ციხისკენ აიღეს მიმართულება და

ყიზილბაშები უკან გამოჰყვენენ. როდესაც ისინი თავიანთ საფარში მივიდნენ, გამირები მტერს ეკვეთნენ, თოფების ცეცხლით ურჯულთაგან ბევრი დაეცა. გარდა ამისა, მოკლეს მირეს მმართველი შეიხ ჰაიდარად წოდებული ყაჩალი, რომელიც თავისი მომეტებული გაბედულებით ურჯულოების რჩეული და თავზე ხელაღებული ქურთი იყო. ამრიგად, მტერმა დიდი დანაკლისი განიცადა. ამჟერადაც 200-მდე ყიზილბაში იქნა მოკლული. აქეთა მხრიდან [ოსმალთა მხრიდან] მხოლოდ 6—7 კაცი დაეცა. დამარცხებული მტრის ბრბო უკუიქცა.

ტ. 1, გვ. 361—362

იპაში კასიდ შაჰის მოსვლა

როდესაც მზაკვარმა მტერმა დაინახა, რომ დამარცხებული ლაშქრის თავდასხმამ ციხის დამცველები ვერ დაათრახო, ცბიერებასა და ვერაგობას მიმართა. შიშის მომგვრელი წერილების გაგზავნით შეეცადა მათ საქმიანობაში არეულობის შეტანას. ათასგვარი ეშმაკობა იხმარა, რომ ისლამის ჯარის გული მოეგო.

ამას წინათ შერიფ ფაშა არზრუმში ვილაიეთის დასაცავად დანიშნულ ჰასან ფაშისა და მომიჯნავე ვილაიეთებში მყოფი სხვა ფაშებისადმი გაგზავნილ წერილებში მათ სთხოვდა მტრის გასანადგურებლად დახმარების გაწევას, ლაშქრის გასავლელი ჯზის შესწავლას და მტრის ყოველნაირად შესუსტებას. მაღალი ალაჰის წყალობით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ადგილიდან [მრ. აზ-ლვრე ტერიტორიებიდან] შეპირებული ჯარი მოვა, ციხიდანაც ლაშქარი გამოვა და შესაძლებელი გახდება მტრის ადვილად დამარცხებაო, ასე იმსჯელეს [ოსმალებმა], დაწერეს და მოსალოდნელი ალყის შემორტყმამდე მალემსრობოლ მეჰმედ ჩაუშის მეშვეობით მომიჯნავე ვილაიეთების მეთაურებთან გაგზავნეს.

აღნიშნული ჩაუში, ურჯულოთა მიერ შურაგელად⁵ წოდებული ციხის ხალხმა ხელთ იგდო. შაჰისადმი სამსახურის გაწევით მათ შაჰი დავალებული გაიხადეს. ციხის ხალხის მიერ ხელთ ჩაგდებული ერთ-ერთი წერილის უკანა მხარეზე გზასაცდენილმა შაჰმა ოსმალთა მასხრად ასაგდებლად ამგვარად დააწერინა: ბარაქალა ღმერთს! თქვენ სწორი ღონისძიებები და „ბრწყინვალე“ აზრები გქონიათ. ასეთ ბოროტ აზრებსა და უსარგებლო ღონისძიებებს თავი გაანებეთ, რადგან არავის საშუალება არა აქვს ახლო ხანებში

დახპარება გავიწიოთ. ვილაიეთის მთელმა მოსახლეობამ ჩემი ბედნიერების ზღურბლისკენ იბრუნა პირი და მორჩილება გამოაცხადა. აღნიშნული წერილის ხელში ჩაგდება ამის დასტურია. ჩვენ არ გვქონდა თქვენთვის წერილის გამოგზავნის შესაძლებლობა. მან დაწერა ბუქარის სიტყვებით სავსე წერილი, ციხის ჩაბარების გარეშე მშვიდობიანი ვითარება არ იქნებო, და იმ მიდამოების იმამთაგან⁷⁶ იახში ხალიფად წოდებული მსტოვრის მეშვეობით გაგზავნა.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ კედლის უკან ზემოხსენებული პირი — მსტოვარი — იყო, იგი ვეზირთან მიიყვანეს, ქალაქი გადააბრუნ-გადმოაბრუნეს, მისი შინაარსი გაიგეს. ვეზირი და სხვა პირები მსტოვარს ცუდად მოექცნენ, იგი ციხიდან გააგდეს. მაგრამ ბოროტი მაცნე შაჰის დივანში წავიდა და განაცხადა: მე რომ ქალაქი გადაიმცნეს, ის არ იყო დივანის არც ერთი წარჩინებულთაგანის მიერ ბეჭედდასმული და შაჰის ცნობილი ნიშნით მოხატული. ამიტომ პასუხის გაცემა საჭიროდ არ ცნესო. ასე რომ, დივანის რომელიმე წარჩინებულთაგანი წერილით რომ მივიდეს, შაჰის სურვილი სიკეთით დაბოლოვდებაო, — თქვა და ზედმეტი რწმუნებები მოითხოვა.

ტ. 1, გვ. 362—363

იახში კასიდის ციხეში მოსვლა

შაჰმა იკრძნო, რომ ზემოაღნიშნული კასიდი მას სამსახურს გაუწევდა. მან სასწრაფოდ დაწერა წერილი, რომელშიც წაქეზება, შეშინება და მუქარი იყო. ვეზირმა ხათიმ ბეგმა, სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილმა პირმა ბესთან ალამ და კორუჯი-ბაში⁷⁷ ალაჰ ყული ალამ თავიანთი ბეჭედი დაასვეს და ზემოხსენებულის ხელით გაგზავნეს. მან წერილი ვეზირის უდიდებულესობას გადასცა. ვეზირი და სხვა პირები წერილის გაცნობისთანავე მიხვდნენ, რომ საზიზლარი კასიდის მოტანილი ბარათი არ შეიცავს გონივრულ სიტყვებს, და თქვეს: შაჰები, რომლებსაც სურთ ციხეების დაპყრობა, არასოდეს არ მიმართავენ რაიმე თვალთმაქცობას, ცბიერებას. მატყურობას. ვისაც ძალა არ შესწევს და უღონოა, ისიც კი არ მიმართავს ამ მზაკვრულ ხერხს, მამაკურად დაანთებენ ბრძოლის ცეცხლს, ესწრაფიან თავიანთი მიზნის მიღწევას. უსაქმურ ყიზილ-ბაშთა შაჰი მანამდე ვერ მიაღწევს სასურველ შედეგს, ვიდრე იმდენი კაცი არ მივა ჩვენგან, რამდენიც ქვა აქვს ციხეს და სანამ გაიძვერა ურწმუნოებს საბრძოლო საჭურველი არ გამოელევათ: ჩვენი

ფადიშაჰის გულისათვის ვიდრე ერევნის ციხის სანაცვლოდ ამ ურჯულო გაიძვერების თავებიდან კოშკებს არ აღვმართათ, მანამდე შეუძლებელია ამ ციხის აღებაო. ჯარის უმეტესი ნაწილი თავს დაესხა ციხიდან გამოსულ მელიის მგავსი სახის მქონე კასიდს, რადგანაც ის იყო ამ საშინელი და შემადრწუნებელი ამბის მომტანი, ამიტომ ხანჯლები იშიშვლეს და აკუნეს. საწყალმა იაჰშიმ შაჰის საჩუქრებისა და მოწყალების იმედით თავი გაწირა. როცა თავისუფალი ხარ, უკეთესია განმარტოვდე საიძედო აღგილას და გაჩუქდე, ვიდრე ძალდატანებით გააკეთო ის, რაც საჭირო არ არის. ამის შემდეგ ცბიერმა შაჰმა გადაწყვიტა ხანგრძლივი ალყის შემორტყმით ციხის დაპყრობა. მან ყურადღება გაამახვილა ბრძოლის ცეცხლის დანთებასა და ხოცვა-ჟლეტაზე. ომისათვის დიდა მონდომებით მოემზადა.

ტ. 1. გვ. 363—364

ირანის შაჰის მიერ პირობის დარღვევის ამბის მოსვლა და
სახელმწიფოს წარჩინებულთა თათბირი სტამბოლში

აღრე, როდესაც არზრუმის დასაცავად ოსმალთა სახელმწიფოსაგან ტრაპიზონში გასახლებული საათი ჰასან ფაშასა და ერევნისა და ნახიჩევანის ემირთა ემირის შერიფ ფაშასგან მოხსენებები და წერილები მოვიდა, მაშინ ისინი იტყობინებოდნენ, რომ ირანის შაჰმა პირობა დაარღვია, ოსმალთა სახელმწიფოს საზღვრები გადალახა, თავრიზი აიღო, თავრიზის ბეგლარ-ბეგი ზინჯირ კირან ალი ფაშა ტყვედ ჩაიგდო, ვილაიეთის მოსახლეობას წერილები და ფირმანები გაუგზავნა, რომლებშიც იუწყებოდა: არავის არ ექნება წინადადება რჯულის გამოცვლის შესახებ, ყველა თავის სარწმუნოებაზე დარჩება, ოღონდ ახლავე დაგვმოჩნდითო. ასეთი ფირმანი ერთი-ორი გაიგზავნა. ესეც იყო ნათქვამი: თუ დახმარება არ გაგვეწია, მაშინ ექვი არ არის, ერევნის ციხე და შეიძლება კიდევ რამდენიმე ქალაქიც ხელიდან გამოგვეცალოსო. ასეთი დიდი გაქირვების გამო დახმარება ითხოვეს.

კაიმამაკამ⁷⁸ კასიმ ფაშამ ჩაუშ-ბაში⁷⁹, დახმარების მოთხოვნებს გაუგზავნა, მუფთი⁸⁰, ვეზირები და ყაზიასქერები⁸¹ მოიწვია და თათბირი გამართა. მიზანშეწონილ აზრებს დასკვნები გაუკეთეს და დადგენილება მიიღეს. ფადიშაჰის წინადადებით განკარგულება გასცეს, რომ მომზადებულიყვნენ. საათი ჰასან ფაშა იმ

[ერევნის] მხარის მთავარსარდლად დანიშნეს და დაავალეს ლაშქრისა და საჭურველის იმ რაოდენობით მომზადება, როგორც მას საჭიროდ მიიჩნდა. იმ მხარის ვალიებს მაღალი ბრძანებები დაეგზავნა სათანადო დახმარების გაწევის შესახებ. ამასობაში დიდი ხანი გავიდა და, რადგანაც ქვეყნიერების ფაღიშაპი გარდაიკვალა, დროზე ვერ მოხერხდა შესაფერისი სამზადისის ჩატარება.

ტ. 1, გვ. 365—365

ურჯულთა ომიებისა და შაჰის მიერ ირანის დაპყრობის
შემდგომი ამბავი

წინათ შაჰ აბასმა ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა და რამდენიმე ბრძოლა გამართა, შემდეგ მის მიერ ციხეში გაგზავნილი ელჩი მოკლეს. ალყაშემორტყმულები ასეთი საქციელის შემდეგ შეწყალებას არ იმსახურებდნენ, ამიტომ ირანელებმა მთელი თავიანთი ძალები ფეხზე დააყენეს, ციხეს შეუტიეს. მათ ორმოები გაანადგურეს და ამგვარად გადაჭრეს გამდინარე წყლები — მტრის გარემოცვაში მყოფთა საარსებო წყაროები, რითაც ისინი უწყლოდ და უმწეოდ დატოვეს. მაგრამ ალყაში მოქცეულებმა გამოსავალი ნახეს — ციხის შიგნით ჭა და ორმო გათხარეს და იმდენი წყალი მოიმარაგეს, რამდენიც საკმარისი იყო წყურვილის მოსაკლავად. მაგრამ რადგან ალყა დიდხანს გაგრძელდა და დამხმარე ძალების მოსვლის იშვები გაცრუვდა, მეორე დღესვე ალყაშემორტყმულების მდგომარეობამ, მათმა უმწეობამ და ტანჯვამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. ზილ-ჰიჯის თვეში⁸² ყიზილბაშთა ჯარებმა სრული იერიში მიიტანეს ციხეზე და აიღეს. სუნიტთაგან ბევრი დაატყვევეს, უმრავლესობა დახოცეს. მტრის ჯარის მიერ ციხის გარემოცვის პირველ დღეებში მათ 5—6 ათასი ჯარისკაცი ჰყავდათ, მაგრამ ალყა შვიდი თვე გაგრძელდა. 1500 კაცამდე ბრძოლის დროს დაიხოცა, 500-მდე თავისით მოკვდა, ჯარის ნახევარი მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა. ფაქტიურად ჯარიდან მხოლოდ 500-მდე კაცი დარჩა. განა ეს მცირე რაზმი ამ დიდი ციხის ჯებირების მიჯნებს დაიცავს, ანდა მტრის შემოტევის დროს მათ უკუგდებას შეძლებსო? — ასე იმსჯელეს ვეზირმა და ჯარმა და, გაოგნებულებმა, ხელი ჩაიქნიეს ციხის დაცვაზე. მტერმა კი თავისი სიმრავლითა და დიდი მონღომებით გამარჯვებასა და დასახულ მიზანს — ციხის აღებას მიაღწია. მაგრამ რადგანაც მუჰარემის მეათე დღე⁸³ წყეულები-

სათვის გლოვის დღე იყო, ამიტომ თავი აარიდეს თავიანთი ხალხის შეწუხებას და თავდასხმებისა და იერიშებისადმი უსულგულობა გამოიჩინეს. გადმოგვცემენ, რომ ამის შემდეგ თავდასხმების მცდელობა უფრო გაძლიერდა, მაგრამ მოულოდნელად შაჰის ლაშქრიდან ერთმა პირმა ციხის მცხოვრებთა შეწყალება ითხოვა, თხოვნითა და ვედრებით ვეზირის წერილი დაიწერა. როდესაც შეწყალების არზა შაჰს წარუდგინეს, ზოგიერთი მოსაზრების თანახმად იგი მიიღეს და ძალმომრეობაზე ხელი აიღეს.

ტ. 1, გვ. 384—385

შაჰის მეჯლისის ვითარება

შემდეგ თავიანთი გადარჩენის სამადლობლად ციხის მცხოვრებნი მუჰარემის თვის მეთერთმეტე დღეს⁶⁴ გზასაცდენილთა ბუდეში — დივანში წავიდნენ და მეჯლისს დაესწრნენ. დივანის ამბების გადმოცემი იმ დროს ნახიჩევანს ყადი იყო. ალყაში ნამყოფი ჯერაჰ-ზადე ამბობს: მე ყურადღებით შეეხედე ამ დივანს. კარავი ხალხში ცნობილი იყო „ალაჯაკ ევის“ სახელწოდებით. დივანხანა წარმოადგენდა გაქვარტლულ და გამურულ კარავს. ალყაშემორტყმულებისათვის რომ გარეგნულად ბრწყინვალედ მოეჩვენებინათ, ღია აივანზე სვეტებზე მიამაგრეს 3—4 წყვილი საჩრდილობელი, რომლის ქვეშ რამდენიმე პატარა ხალიჩა დააგეს, რადგანაც თვით შაჰი ჯერ კიდევ შემოსული არ იყო, სამხედრო წარჩინებულთა ნაძირალებს, გრძელულვაშიანებსა და წვერმოპარსულებს, თავზე დაედგათ ურჯულოთა გვირგვინი და დამსხდარიყვნენ. უცბად თავქარიანი შაჰი მოვიდა, ისიც, სათნოებას მოკლებული, უწვევრულვაშო იყო. ეცვა უხეში ქსოვილის ტანსაცმელი, ხოლო წამოსასხამი, შუბი და ხანჯალი ოქროთი და სამკაულებით არ იყო მორთული. დივანხანის შუაგულში დადგა. დატყვევებულმა ხალხმა უნებლიეთ სცადა კალთაზე მოხვევა. ერთი საათის განმავლობაში ვეზირი და ხალხი, გულზე ხელდაკრეფილნი, მორჩილნი და მინდობილნი, მის პირდაპირ იდგნენ. ამ თავქარიანმა [შაჰმა] იმ დროს წარმოაჩინა თავისი სიზვიადე. არც ვეზირს მიმართა პატივისცემით და არც სხვები დაუჩილდოებია მოწყალე გამოხედვით. მან სიტყვით მიმართა მხოლოდ თავის ორივე მხარეზე მდგარ დაზარალებულებს, საუბარი მხოლოდ მათ გაუმართა.

ცოტა ხნის შემდეგ ის შევიდა თავის ყბადალებულ კარავში, სადაც სამხედრო წარჩინებულები მიიწვია. ისინიც შევიდნენ. შიგნით შაჰისათვის რაიმე განსაკუთრებული დასაჯლომი არ იყო და კუთხეში პატარა ხალიჩაზე დასხდნენ. მან მარცხენა მხარეს ლევან ხანის⁸⁵ შვილი ალექსანდრე ხანი⁸⁶ მოისვა, მარჯვენა მხარეს — სიმონის შვილი, უსახლკარო გურგენი⁸⁷, მის ქვემოთ — თავრიზის ბეგლარ-ბეგი ალი ფაშა და იმის შემდეგ — ქურთი ლაზი და მისი მსგავსნი დასხდნენ. ალექსანდრეს ქვემოთ შერიფ ფაშა და სხვა სამხედრო წარჩინებულები დასვა.

იმ გარყვნილმა ურჯულო [შაჰმა] სუნიტებისათვის შეურაცხყოფის მისაყენებლად მათ გვერდით მოუსვა ქაფირები. ამის შემდეგ შაჰი ვეზირს მიუბრუნდა, რამდენიმე ხანს ქედმაღლად ილაყბა, იკითხა წიგნი და შემდეგ ზემოხსენებულ ჭერაპ-ზადე ყადის გაუჯაურდა: ამ მხარისადმი [ირანელებისადმი] მორჩილება და დაქვემდებარება იყო სწორი გზა და შენ, მცოდნემ და გონიერმა, რატომ დააგდე მადლისა და სიკეთის გზაო. ვეზირმა ამ საყვედურზე ასე უპასუხა: ფადიშაჰის მსახურებმა სიცოცხლე შესწირეს ისლამის მალიარებელი სახელმწიფოს ბედნიერებას და წარჩინებულებისა და დიდებულებისათვის ხოცვა-ჟლეტა გამართეს. ეს სასიკეთო მდგომარეობა სამარცხვინო არ არის და იმედი გვაქვს თქვენი უმაღლესობისათვის განრისხების მიზეზი არ უნდა იყოსო. შაჰს თითქოს მოეწონა მისი პასუხი. რადგანაც იგი შარიათის მსახური იყო, თითქოს აპატია და მაშინვე მისცა იმ მეჯლისიდან წასვლის დასტური. დატყვევებული ულემების⁸⁸ შესახებ კი თქვა, რომ ყიზილბაშთა ტომთაგან ერთი კაცის სიკვდილი 70 ქაფირის სიკვდილის ტოლია და თქვენ ხართ ფეთვას⁸⁹ ნებართვის მიმცემიო. ეს უთხრა და ვეზირს სასქესო ორგანოები გაუპო, ფაშვი გადმოუყარა და ძლიერი ტანჯვით მოკლა...

ტ. 1. გვ. 385—387

შაჰის მიერ შირვანის დაპყრობა

ჰასან ბეი-ზადეს⁹⁰ გადმოცემის მიხედვით, შირვანის გამგებლად ხადიმ ჰასან ფაშას⁹¹ შემდეგ ქითაბჯი ომერ ფაშა იყო. ისიც გადაყენეს და ეს თანამდებობა ჭაყალე-ზადე სინან ფაშას⁹² შვილს — მაჰმუდ ფაშას — უწყალობეს. ალაჯა ათლუ ჰასან ფაშა⁹³, რომელ-

მაც. უნგრეთის ლაშქრობებში სიმკაცრითა და დიდი მამაცობით გაითქვა სახელი, გაბედული და გულადი ვაჟაკი იყო. მას არზრუმის ვილაიეთი ებოძა, მასზე უფრო ადრე იქ მუთესელიმად⁹⁴ გაიგზავნა მისი ცოლის ახლობელთაგან ფირი ჩაუშის შვილი — გუსტაფა ჩაუში, განსვენებული ქველმოქმედის უსქუბი დულგერ-ზადეს შთაბრძოლთაგანი, რომელიც საოცრად მამაცი იყო. იგი საქმის მცოდნე იყო, მაგრამ მან სიმკაცრე გამოიჩინა, ამიტომ არზრუმის ხალხმა, რომელიც ცნობილია თავისი მოურიდებლობით, ზემოხსენებულ მუთესელინს — საწყალ მუსტაფა ჩაუშს — ქვები დაუშინა და მისი ქონება იავარპყო. როდესაც იგი ქალაქიდან გააგდეს, ამ დროს ჰასან ფაშაც მოვიდა. ქალაქელი ბრბოები შეკავშირდნენ, ზემოაღნიშნული ქალაქში არ გააჩერეს, ბოლოს ზოგიერთი ნიზეზი წაუყენეს და თქვეს: არ დაეთანხმდებით, რომ იგი ჩვენს ქალაქში შემოვიდესო.

ჰასან ფაშამ ეს ვითარება რომ სტამბოლს აცნობა, მას შირვანის ეიალეთი ებოძა და პატროსანი ბრძანება გაეგზავნა. როდესაც უგი შირვანში მივიდა, ხელსაყრელი შემთხვევა მიეცა, მაჰმუდ ფაშას კი, რადგანაც იგი ვეზირის შვილი იყო, მთავრობა მომეტებულად პატრონობდა. ერთმა თვემ რომ გაიარა, ჰასან ფაშა გარდაიცვალა და შირვანის გამგებლის თანამდებობა კვლავ მაჰმუდ ფაშას ებოძა. ხმა გავრცელდა, ზემოხსენებულის გარდაცვალების მიზეზი იყო შხამი, რომელიც წვეულებაზე დააღვეინესო.

ამ დროს ყოზილბაშთა ლაშქარი შემახას⁹⁵ მოადგა და ალყის შემორტყმის შემდეგ დაიპყრო, შირვანსაც დაეუფლა. ძველ მკვობართაგან ყარაბახის მუღერისი⁹⁶ მეჰმედ ეფენდი გადმოგვეცემს, რომ როდესაც შაჰ აბასმა შირვანი დაიპყრო, სოფელ შეიხლუდ წოდებული სოფლის მოსახლეობა და კიდევ რამდენიმე სხვა სოფლის ყველა მცხოვრები, რადგანაც სუნიტები იყვნენ, ამოხოცა. ბავშვები და უძლურებიც სალენი კევრის ქვეშ ჩაყარა, რომელსაც ამ მხარეში აქავულს [?] ეძახიან. ყველას გადაატარეს კვერი და ასეთი ტანჯვით დახოცეს ისინი. მაჰმუდ ფაშას, როდესაც შემახაში იყო, ყიზილბაშებმა ალყა შემორტყეს, შემდეგ დაუძლურებულები უკან დაბრუნდნენ. მაჰმუდ ფაშამაც ამ ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და რუმისკენ მოკურცხლა. ამას მოჰყვა შაჰ აბასის მოსვლა. იგი შემახას მპყრობელი გახდა.

როგორც ჰასან ბეი-ზადე წერს, როდესაც შაჰ აბასმა ერევანის ციხეს ალყა შემოარტყა, შერიფ მეჰმედ ფაშა იქიდან შეწყნარებული გამოვიდა, მაგრამ როდესაც შაჰის წინაშე წარსდგა, შაჰმა მას დასწამა არაკეთილშობილება, გაუტანლობა, ეჭვიანობა და შეუბრალებლად მოკლა. ალყის შემორტყმის დროს შაჰ აბასმა ყიზილბაშთა ლაშქრიდან მარბიელი ჯარით ამირგუნე ხანი⁹⁷ იმ [ყარსის] მიდამოებისა და აღჯაყალას⁹⁸ დასაპყრობად გაგზავნა. ამირგუნე ხანმა აღჯაყალას ალყა შემოარტყა და ძალით დაიპყრო, ის მიდამოები დააქცია და იავარპყო. მოსახლეობა მთლიანად გარეკა, ისპაჰანში გაგზავნა.

იმ ხანებში იმ მხარის ალაი ბეგი ქენანი ყარსის გამგებლის — ოსმან ალას [დავლებით] ყარსიდან გამოვიდა მოენეს დასაპყრად და ამირგუნეს ლაშქარს ნადავლად ჩაუვარდა. ამირგუნემ ხსენებული [ქენან ბეგი] შაჰს გაუგზავნა. ქენანი თავრიზის უწინდელი თოფჩი-ბაშის⁹⁹ მიერ ჩამოსხმულ ზარბაზანში ჩასვეს, ზარბაზანი ერევნის მიმართულებით გაისროლეს და ქენანი ნაფლეთებად აქციეს.

შემდეგ, როდესაც ერევანს იღებდა, შაჰმა ოსმალებს კვლავ ამანი მისცა. მათი სურსათ-სანოვაგე და ქარავნები მიისაკუთრა და ყარსში გაგზავნა, ერევნის ზღუდეები დაანგრია და მიწასთან გაასწორა. ერევნის ვილაიეთი ამირგუნეს მისცა. ამის შემდეგ თვითონ აიყარა და ლაშქარი ყარსისკენ დაძრა, ყარსს ალყა შემოარტყა. ყარსის ჯარისა და ერევნიდან გამოსულ ოსმალთა რიცხვი 400 შეადგენდა, მათი უმეტესობა დაჭრილი იყო. რადგანაც ირანელებთან ბრძოლას შეჩვეული იყვნენ, ისინი კვლავ გამოდიოდნენ და ომობდნენ. გზასადენილმა შაჰმა მათ აცნობა: როდესაც ყარსსაც ავიღებ, არც ერთ თქვენგანს აღარ შევიწყალებო. ეს თქვა და ბოლოს ყარსიც დაიპყრო.

არზრუმის ბეგლარ-ბეგმა ქოსეჯ სეფერ ფაშამ¹⁰⁰ უმწეო მუსლიმანებისადმი მზრუნველობა გამოიჩინა და ისინი საჭურვლითა და პროვიანტით მოამარაგა. ამ დროს ყიზილბაშებმა ვანიზრახეს ახალციხეზე თავდასხმა. ახალციხის გამგებელი კარა კაშ ფაშა¹⁰¹ იქ იყო. ღმერთმა იგი გადაარჩინა და დაიცვა. ახალციხის მიდამოებში ციხის ასაღებად გაგზავნილი იყო 300 ირანელი, რომლებიც ერთ უზარმაზარ ფუნდუქში ჩასახლდნენ, სომეხი რეაიას ქალები მოათ-

რიეს და მათი ხელყოფით იყვნენ დაკავებულნი. ამის შესახებ სომხებმა არზრუმის ბეგლარ-ბეგს სეფერ ფაშას აცნობეს. სეფერ ფაშა ერევნიდან წამოსული თოფებით შეიარაღებული რაზმით ფუნდუკს თავს დაესხა. მათ ფუნდუკი სახურავიდან გახვრიტეს და შიგნით შევიდნენ, მთლიანად ამოხოცეს მთვრალი ყიზილბაშები, რომელთა თავები დედაქალაქში გაგზავნეს.

ზემოაღნიშნული სეფერ ფაშა, კარა კაშ ფაშა ' და ჯაყალეზადე ამ შეტაკებაში წამებით დაიხოცნენ. როგორც „ფეზლექეშია“¹⁰² აღნიშნული, შაჰმა ერევანზე გამარჯვების შემდეგ შერიფ ფაშას პატივი სცა და იმამ რიზას თანამდებობა მისცა. ზემოხსენებულმა თავისი სიცოცხლის დარჩენილი ნაწილი მეშქედში¹⁰³ გაატარა. შაჰმა დანარჩენ ალყაშემორტყმულებს თავისუფლება მიანიჭა და უთხრა, ვისაც გსურთ, ჩემი მსახური იყავითო. ისინი თავისი ხალხით ხიზირ ფაშას შვილის — მეჰმედ ფაშას ამაღას შეუერთდნენ. 300—400-მდე ოჯახი ყარსში გაგზავნა. ამ დროისათვის არზრუმის ბეგლარ-ბეგისა და სარდლის საათჩი ჰასან ფაშას სიცოცხლის დღეებიც მიიწურა, მისი გარდაცვალების შემდეგ ჯარი დაიფანტა და საქმის დაწყება მომავალი წლისთვის გადაიდო.

ტ. 1, გვ. 388—390

ა თ ა ს ც ა მ ე ტ ი წ ლ ი ს¹⁰⁴ ა მ ბ ე ბ ი

დაწვრილებითი ამაგიი სინან ფაშას ირანელთაზე
ბალაშჰრების შესახებ

მართებული მოსაზრების თანახმად, საჭირო იყო უბედური ყიზილბაშებისკენ ჯარის გაგზავნა. მხცოვანი ბეგლარ-ბეგი, უწინდელი ჯაყალეზადე სინან ფაშა, რომელიც აღრის¹⁰⁵ დაპყრობის შემდეგ მცირე ხანს დიდვეზირი იყო, შემდეგ — შამის¹⁰⁶ ვალი, ბოლოს — კაფუდანი¹⁰⁷, იმდენად გაკადნიერდა, რომ ჩვეულებად გაიხადა თავის ქებისას ეთქვა: მე ზღვისა და ხმელეთის მეზობლი ვარო. იგი ეწინააღმდეგებოდა თავის ხასიათს, ზღვაზე ბატონობას არ ცვლიდა ხმელეთზე ბატონობაზე.

განსვენებულ სულთან მურად ხანის¹⁰⁸ დროს ძღვევამოსილი სარდალი, სახელოვანი დიდვეზირი ოსმან ფაშა, რომელმაც ურ-

წმუნოებს თავრიზი ხელიდან გამოჰგლიჯა და უკან ბრუნდებოდა, გარდაიცვალა. როგორც კი მის ადგილზე ზემოხსენებული სინან ფაშა დაინიშნა, მან უკან დადევნებულ ყიზილბაშთა ლაშქარს კარგად დაამახსოვრა თავი. მათი დახოცვით კარგი საქმე გაკეთდაო, — თქვა მან. რადგანაც დიდევზირმა ალი ფაშამ იგი სარდლად დანიშნა, აღმოსავლეთში ლაშქრობის მთავარსარდლობაც მას ებოძა.

გასული წლის ზილ-ჰიჯეს მეთექვსმეტე დღეს¹⁰⁹ უსჭუღარი¹⁰¹ გადალახეს, მუჰარემის მეჩვიდმეტე დღეს¹¹¹ აიყარნენ, სილაჰ-დარი¹¹² და მთლიანად მარცხენა ფრთის რაზმები, იანიჩართა ქეთხუდა¹¹³, სამსუნჯიები¹¹⁴ ანატოლიის ლაშქრით აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. როდესაც იზმიტში¹¹⁵ მივიდნენ, მარჯვენა ფრთის ბოლუქების¹¹⁶ ხალხმა მოითხოვა: ჩვენ დაგვევალა რუმელიაში ლაშქრობა. ანატოლიაში რომ ვიყოთ სალაშქროდ, ულუფა მოგვეცემა თუ არაო. მათ უპასუხეს: ანატოლიის მთელი კაფუ კულუ [სახელმწიფო ლაშქარი] აღმოსავლეთის ლაშქრობაში თუ წავა, ულუფა გაიცემა, რადგან ასეა ბრძანებაო. ალთი ბოლუქის ალაები¹¹⁷ დაინიშნენ.

ზემოხსენებული ფაშა [სინან ფაშა] მგზავრობის დროს შეხვედრილ ყაჩაღებს გაუსწორდა. როდესაც ლაშქარი არზრუმის საზღვარს მიუახლოვდა, დელი ჰასანის¹¹⁸ უწინდელი თანამებრძოლი კარა კაშ აჰმედი ქვეშევრდომებით მომნანიებელი სარდლის ადგილსამყოფელში მივიდა. როცა მან ჩადენილი ცოდვები მოინანია, ფაშამ მისი თხოვნა შეიწყნარა, ჩილდირის ბეგლარ-ბეგის თანადებობა უბოძა, რჩევა-დარიგება მისცა და გააფრთხილა, რომ თავისი ქვეშევრდომებით ლაშქრის ავანგარდში ყოფილიყო. ამის შემდეგ, რადგანაც ზემოხსენებულმა ასეთ მოწყალებას მიიღწია, ყაჩაღთა ნაწილებიდან ბევრი მოვიდა და პირობა მისცა, რომ ფადიშაჰისთვის სიცოცხლეს არ დავიშურებთო. მათ მიიღეს რამდენიმე დღეს გაჩერების ნებართვა მოსამზადებლად და მანძილის სწრაფად გასავლელად.

სასახლის მსახურთუხუცესობიდან აღზევებულმა მეტად მამაცმა და გულადმა, მხედრობაში ტოლდაუდებელმა, ქოსე სეფერმა ზღვარდაუდებელი საქმიანობით ამ ნარევი ხალხისაგან თავზეხელაღებული მეომრები შეკრიბა და ფადიშაჰს დიდი სამსახური გაუწია. იგი, როცა არზრუმის ბეგლარ-ბეგი იყო, 3—4 ათასი შეიარაღებული კაცით შეხვდა მტერს და დიდი ჭიდილი, ხოცვა-ჟლეტა გამართა.

როდესაც ქოსე სეფერი თავისი დიდი ლაშქრით ფასიანის ველს მოადგა, ვანის ბეგლარ-ბეგი და ძველთაგანვე ყიზილბაშებთან

რამდენიმე თავგადასავლის მქონე მამაცი აჰმედ ფაშა 3—4 ათასამდე კაცით მოვიდნენ, მათ შეუერთდნენ და ლაშქარი გააძლიერეს. ისინი ზემოხსენებული წლის ჯუმად ალ-ახირის მე-15 დღეს¹¹⁹, ყარსის მიდამოებში მოსკლის შემდეგ, მეწინავედ დანიშნულ კარა კაშ აჰმედთან შესაერთებლად ათი დღით შეიკრიბნენ. ამასობაში შაჰ აბასი ერევნისა და აღჯაყალას მიდამოებში დიდი მუქარით დაბანაკდა. ის [სეფერ ფაშა], როდესაც ცნობა მიიღო შაჰ აბასის ამხედრების შესახებ, სარდალთან მივიდა და უთხრა: გზადანებული შაჰი ურჯულოების მცირე ნაწილით კიდევ გაემგზავრა ზემოხსენებულ ადგილას. თქვენ ლაშქრით ნელ-ნელა წამოდით, მე რამდენიმე რაზმი მომეცით, რათა ჰენებით გავემართო და, ღწერთმა ქნას, იმეღია, ხელებაწეული შაჰი შენთან მოვიყვანო. ყოველთვის ასე იქადნებოდა, მაგრამ ვერ ასრულებდა. კარა კაშის მოსვლამდე არ ამოქმედდა სარდალი, ხოლო როდესაც კარა კაში მოვიდა, მკაცრი ზამთრის სუსხი იყო, ამიტომ სეფერ ფაშას აზრს ანგარიში არ გაუწიეს. ასეთი დაყოვნებით ხელსაყრელი შემთხვევის დაკარგვამ, მოწინააღმდეგისაგან დაშორებამ და უზრუნველობამ ბტრის მხარე გააძლიერა.

რადგანაც დრო ცოტა იყო, გზადანებულ შაჰს უკან დაედევნენ და წერილები გაუგზავნეს. როდესაც მიეწივნენ, გასაჩერებლად უკვე ძალ-ღონე არ შესწევდათ. როცა ჯარი ნახიჩევანში მოვიდა, ურჯულოების შაჰმა თავრიზი დასვენების ადგილად გაიხადა. მან დასახლებული პუნქტებისა და სოფლების მოსახლეობა გარეკა და ქვეყანა მოუხვნელ-დაუთესველი დარჩა, გაჭირვებამ და მოუსავლიანობამ უმაღლეს დონეს მიაღწია.

ზემოხსენებული სარდლის შვილმა მაჰმუდ ფაშამ, რომელიც შირვანის ბეგლარ-ბეგი იყო, იმ მხარეში [ირანისკენ] წასვლა განიზრახა. ლაშქრის წარჩინებულები სარდლის წინაშე წარდგნენ და უთხრეს; თუ ზღვაზე იბრძოლებ, დედაშენის სანახავად წახვალ, თუ ხმელეთზე იბრძოლებ შვილთან წახვალ, შაჰი არ გაჩერდება, გაიქცევა, ჩვენ დიდი ჯარით მისი უკან დადევნებით ამაოდ მოვიქანცებითო. უფრო გვიან რომ წავიდეთ, თავრიზისთვის ალყის შემორტყმა არაერთარ სარგებლობას არ მოგვიტანს, რადგანაც კასიმის დღე¹²⁰ მოახლოებულიაო. გამოზამთრებასთან ერთად კატეგორიულად მოითხოვეს რუმისკენ¹²¹ დაბრუნება. სარდალი შეძლებისდაგვარად შეეცადა შეემსუბუქებინა მათი მოთხოვნა და თქვა: ამ ლაშქრის დაფანტვა გონივრული და ვითარების შესაფერისი არ არის. დაბნეული შაჰი ჩვენ მიერ დაჭრილი ნადირია. მისი ამ ზამ-

თარში ხელთ ჩაგდება პატარა საქმეა. რუმის ნაცვლად სჯობია წავიდეთ განჯასა და ყარაბაზში, რომლებიც ხვავიანია, და იქ გამოვიზამთროთო, მაგრამ მის სიტყვებს ყური არ ათხოვეს, კარავი აშალეს და აჯი სუ ბაშიდან თავრიზის მხარეს დაბრუნდნენ. მან კი მდ. არაქსი გადალახა და შირვანში აუცილებელ წასვლას თავი აარიდა. თავრიზის მიმართულებით რამდენიმე მანძილი¹²² გაიარა, შაჰი კი ერთი მანძილით წინ მიდიოდა. ამ დროს სეფერ ფაშამ, სივასის ბეგლარ-ბეგმა აჰმედ ფაშამ და ალაჯა ათლი ჰასან ფაშამ თავდასხმის ნება ითხოვეს, მაგრამ არ დათანხმდნენ. როდესაც მათ ვანის ციხეს მიაღწიეს, ლაშქრის ყოველ ნაწილს გამოსაზამთრებელი ადგილი დაუნიშნეს და ვანში დარჩენის თადარიგს შეუდგნენ.

ტ. 1, გვ. 393—396

სარდლის დაბანაკება ვანის საზამთრო სადგომში და შაჰის
მიერ ალყის შემორტყვა

გამოცდილი უხუცესები ამბობდნენ: როდესაც ჯარს გაჩერების ნებართვა მიეცემა, მიზანშეწონილია, რომ საზღვარზე კი არ გაჩერდნენ, არამედ ოსმალეთის სახელმწიფოში — ალეპოში ან ამიდში გადაიზამთრონ. საზღვარზე დარჩენილი უჯარო სარდალი უხელო და უფეხო სარდალს ჰგავს, ამიტომ აქამდე არ მომხდარა, რომ რომელიმე მთავარსარდალს საზღვარზე გამოეზამთროსო. მაგრამ რადგანაც ზემოხსენებული სარდალი ჯიუტი კაცი იყო, არ დათანხმდა და ქალაქ ვანში შევიდა. ვანის ვილაიეთი აჰმედ ფაშას მისცა. რამდენადაც ზემოხსენებულის [აჰმედ ფაშას] ჯანმრთელობა კარგი არ იყო, სარდალმა თავისი მთავარი მკურნალი გაუგზავნა. მკურნალმა თავისი საქმე რამდენიმე დღეში დაამთავრა [სიცოცხლეს გამოასალმა აჰმედ ფაშა]. სარდალმა მისი ადგილი ზინჯირ კირან ალი ფაშას მისცა. მან ქურთისტანის ბეგებისადმი გულითადობა გამოიჩინა და თითოეული მათგანი გასართობად ნადიმზე მიიწვია ვანის ვილაიეთში, სადაც თავისი ჯამაათი წესრიგში მოიყვანა.

ურწმუნოთა შაჰმა, ეს ამბავი რომ გაიგო, ეშმაკების ურიცხვი ლაშქარი შეკრიბა, ურწმუნოთა ბრბოდან ალაჰ ვერდი ხანი¹²³ წინამძღოლად დააყენა, თვითონ კი ვანის მხარეს გაემართა. ჰენებით წავიდა და მოულოდნელად გამოჩნდა. საქმის ვაკეთების იმედით

ლამის წყვედიადში ველს მიაღწია და იქ დაბანაკდა ისეთ ადგილას, სადაც ზარბაზანი ვერ მისწვდებოდა.

ზემოხსენებული საარდალმა დილით, როცა მისთვის ყველაფერი ცხადი შეიქნა, ქურთების ლაშქარს და მასთან მყოფ მცირე რაზმელებს სარდლად დაუნიშნა რაზიე კადირ-ზადე მუსტაფა ფაშა. ისინი გამოვიდნენ და მცირე ქალებით შეეგნენ მტერს, მაგრამ რადგანაც ურწმუნოთა ჯგუფი მათზე ორჯერ მეტი იყო, ამიტომ შერიგება უფრო ხელსაყრელად ჩათვალეს და კვლავ ციხეში შევიდნენ. აქ ხანდან ალა თავისი ორი შვილით ყიზილბაშებს ტყვედ ჩაუვარდა.

●●●

ტ. 1, გვ. 396—397

სარდლის გამგზავრება არზრუმისაკენ და შაჰის დაბრუნება

სარდალი ნანობდა ვანში დარჩენას, მაგრამ ნათქვამია, საქმე რომ მოხდებდა, მერე მასზე ფიქრი უსარგებლოაო. ამიტომ მოიფიქრა და გადაწყვიტა როგორმე ციხიდან გამოსვლა და არზრუმისკენ წასვლა, ხოლო შემდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. დაეთარდარობისა და ბეგლარ-ბეგობის სამსახურიდან გადამდგარი შემსი ფაშა ვეზირის რანგით ხელმეორედ, თავის ადგილზე დანიშნა. ის ვანის ზღვაში²⁴ გემში ჩაჯდა და ადილჯევაზის ციხისაკენ²⁵ წავიდა, მაგრამ იქ გაჩერება არ მიიჩნია ხელსაყრელად, ხსენებული ლივის ბეგის, ემირ შაჰ ბეგისა და სხვა ციხეების მცველების ცხენები აიყვანა და სასწრაფოდ ჰასან კალესა²⁶ და არზრუმისკენ გაემართა. ხსენებულ მხარეს რომ მიუახლოვდა, არზრუმის ბეგლარ-ბეგი ქოსა სეფერ ფაშა შემოეგება და რახთით, აქლემებითა და სხვა ნივთებით დაასაჩუქრა.

შაჰმა შეიტყო, რომ სარდალი სხვა მიმართულებით წავიდა; ამიტომ, რადგანაც ვანისთვის ალყის შემორტყმა უაზრობა იყო, 40 დღემდე გაჩერდა, შემდეგი კი თავრიზისა და ნახიჩევანისკენ გაემართა. გზაში ოსმალთა ციხეებიდან მაქუს ციხისკენ წავიდა და ალყა შემოარტყა, თუმცა ყოველი ღონე იხმარა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

უფრო ადრე, როდესაც ჯაყალე-ზადეს ირანელებთან ლაშქრობა დაეწავა, კაფუდანის თანამდებობა ჯაფარ ფაშას ებოძა. 60 კატარლით იგი ხმელთაშუა ზღვაზე გავიდა. ზოგიერთ ისტორიაში

აღნიშნულია, რომ კია ფაშა-ზადე მუსტაფა ფაშა კაფუდანის კაი-
მაშაკამი იყო.

ტ. 1, გვ. 397—398

ა თ ა ს თ ო ო თ ხ მ ე ტ ი წ ლ ი ს²⁷ ა მ გ ე მ ბ ი

ჯაყალე-ზადეს ამბავი ირანულთა საზღვარზე

გასულ წელს აღმოსავლეთის მხარის სარდალმა ჯაყალე-ზადე სინან ფაშამ ვანის ძნელბედობა დროულად მიღებული ღონისძიებებით თავიდან აიცილა, ამ წელს არზრუმში კვლავ აღიმართა ძლევამოსილების დროშა. ჰასან კალეში ყოფნისას მან თავისი შვილი მაჰმუდ ფაშა შირვანიდან გადმოიყვანა და დიარბექირი უბოძა, ხოლო შირვანი ჰუსეინ ფაშას შვილს — აჰმედს მისცა.

სინან ფაშამ, როდესაც გაიგო თავრიზის მიდამოებში ყიზილბაშთა შეკრების ამბავი, ჯარი დაძრა და ზემოხსენებული წლის რეზი ულ-ახირის 21-ე დღეს¹²⁶ სალმასის მიდამოებში მივიდა, ხოლო გზადაბნეული შაჰი ხოიში¹²⁹ იმყოფებოდა. ორივე მხარის მეწინავე ლაშქარი ერთმანეთს შეება. ყიზილბაშები დამარცხდნენ და უკუიქცნენ. ზემოხსენებული თვის 24-ე დღეს¹³⁰ ოსმალები ჰამ-ლეს სახელწოდების ადგილას დაბანაკდნენ. იქ მოსული ურწმუნოთა ერთი რაზმი დამარცხდა და უკან გაბრუნდა.

ყიზილბაშებმა შიშთირი გაიარეს და თავრიზის ტბის ნაპირზე დაბანაკდნენ. მეორე დღეს შაჰმა თავისი ლაშქარი სამ რაზმად დაჰყო, თვითონ [შაჰი] იმ გორაკზე იდგა, საიდანაც ხსნის გზა ჩანდა. ამ დროს არზრუმის ვალიმ — ქოსა სეფერ ფაშამ განუსჯელად და [სათანადო] ღონისძიების მიუღებლად შეიერთა თავრიზის ბეგლარბეგი თექელი ფაშა, სივასის ვალი რაზიე-ზადე, ორი ძმა — აჰმედ ფაშა და ჰაიდარ ფაშა-ზადე ალი ფაშა და ყველა 16 ბეგლარ-ბეგის სახელით ოცზე მეტი სანჯაყ-ბეგი. მასთან მყოფმა თავნება და თავ-ზეხელალებულებმა სიმამაცე გამოიჩინეს და, მიუხედავად იმისა, რომ მათ სარდლისგან მიიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ არ აჩქარებულ იყვნენ და ძალიან წინ არ წასულიყვნენ, გაკადნიერდნენ და გამედიდურდნენ, უშიშრად ეკვეთნენ ალავერდი ხანის ჯარს. ბრძოლა შუადღიდან საღამომდე გაგრძელდა.

სეფერ ფაშა ბრძოლის ველზე მტერს ყოველი მიმართულებით ლომისა და ვეფხვის ძალით ებრძოდა და მოწინააღმდეგეს მიწასთან ასწორებდა. ყიზილბაშებმა მის თავდასხმას ვერ გაუძლეს და უკუიქცნენ. მათ თავი შეათარეს ზულფაქარ ხანის ჯარს. ზემოხსენებული სეფერ ფაშა მათაც შეება, საღამომდე იბრძოლეს. როდესაც გაირკვა, რომ ბრძოლა თანდათან ძლიერდებოდა და გვიანობამდე გასტანდა, ყიზილბაშებმა გადაწყვიტეს — ომის გადატანა ძნელია, დრო ცოტა რჩებაო — დაკრეს ფეხი და გზადაბნეული შაჰის ჯარისკენ გაიქცნენ, მასთან დაბანაკდნენ. მზის ჩასვლამდე ნახევარი საათი იყო დარჩენილი და ასეთ ვითარებაში ერთი ანდაზისა არ იყოს — არ მისდიო შენგან გაქცეულსო — უკუქცეულებს არ დაედევნენ, დაბრუნდნენ.

იმ დროს, როცა საჰირო იყო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარის შესვენებას, სეფერ ფაშამ მტერს დადევნებაში გადააქარბა, მეტიჩრობა გამოიჩინა, სარდალი და მთელი ეს მხედრები დატოვა და მთებს გაღმა, შორს წავიდა. მან უქკუობა გამოამჟღავნა და თავისი თავი მარტო დატოვა. როდესაც ყიზილბაშთა ლაშქარი დაიფანტა, შაჰი თავისი ხელქვეითებით მთაზე ავიდა. აქაც ვერ გაჩერდა და შეშინებული გასაჩერებელი მანძილის [კონაკის] ნახევარზე — ერთ გორაკზე დაბანაკდა.

ამ დროს ყიზილბაშთა ლაშქარმა შაჰის ჯარს დახმარება აღმოუჩინა. როდესაც შაჰს მოახსენეს სარდლის ბანაკი ცარიელიაო, შაჰი უკან დაბრუნდა და ბანაკს თავს დაესხა. სარდლის სამსახურისათვის მზადმყოფი იანიჩრები, სილაჰდარები და სხვ. ამ ძალებს დაუხვდნენ, ბრძოლა გაუმართეს და უკან გააბრუნეს. მზის ჩასვლამდე იბრძოდნენ. დამწუხრებული, გულდამწვარი ყიზილბაშები დაუძლურდნენ. მას შემდეგ რაც ბევრი მათგანი დაჭრეს და დახოცეს, უკანდაბრუნებულნი სეფერ ფაშას რაზმებს შეხვდნენ. რადგანაც ეს ზემოხსენებულები [ოსმალები] ბრძოლიდან მცირერიცხოვანი და დაქანცულნი ბრუნდებოდნენ, ყიზილბაშთა ლაშქარი კი დასვენებული და მრავალრიცხოვანი იყო, ამიტომ წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი შეიქმნა და ერთი რაზმი შიშთირისკენ გაიქცა. გაქცეულებმა: თქველი ფაშამ, ჯელალი კარა კაშ ფაშამ, კაჩარ მეჰმედ ფაშამ თავიანთი ქვეშევრდომებით ყიზილბაშთა ჯარი გაარღვიეს და [ოსმალთა] ბანაკში მისვლით თავი გადაიჩინეს. დანარჩენებმა მოწამეობრივ სიკვდილამდე იბრძოლეს. ქოსა სეფერ ფაშამ მანამდე იბრძოლა, სანამ რაიმე საომარი იარაღი ექნებოდა ხელთ. ბოლოს დაიჭრა. როდესაც მისი ცხენიც დაჭრეს, ყიზილბა-

შებმა შეიპყრეს და სხვა დაპყრილებთან ერთად შაჰს მიჰგვარეს. შაჰმა ზოგი დახოცა, ზოგი შეიწყნარა.

ცოცხალ-მკვდარი სეფერ ფაშა შაჰის წინაშე წარდგა. შაჰმა უთხრა: თუ დამმორჩილები, ჩემს სარწმუნოებას მიიღებ და მამაცი ვაჟკაცი გახდები, მაშინ დაგიცავო, მან უპასუხა: შენ და შენს სარწმუნოებაში მყოფ ურჯულოებს ათასი წყევლა-კრულვაო. როდესაც მას კრილობებს უხვევდნენ, შესახვევი მოიხსნა, მიწაზე დაანარცხა და თქვა: ნაძრახ სიცოცხლეს წამებით სიკვდილი მირჩვენიაო და სალანძღავი სიტყვებით მიმართა შაჰს. ყიზილბაში გარეწრები მიცვივდნენ და სარწმუნოებისათვის წამებით მოკლეს. თურმე სარდალს [ადრე] ამისთვის [სეფერ ფაშასთვის] რამდენჯერმე შეუთვლია: თქვენ რომ ბეგლარ-ბეგი ხართ, გაფრთხილდით და თქვენს პოზიციებზე იყავით, ოსმალთა წესის მიხედვით შეამქიდროვეთ თქვენი რიგებიო. დაქინებით აფრთხილებდა მათ, მაგრამ სეფერ ფაშამ, თვითონ მამაცმა და გაბედულმა მებრძოლმა, ნასთან მყოფმა კარა კაშმა და ჯელაღილთა¹³¹ და თავზეხელაღებულითა ერთმა უშიშართა ჯგუფმა ამ სიტყვებს ყური არ ათხოვეს, თავდაუზოგავად მტერს დაედევნენ. სამართლიანმა ალაჰმა ასე იწინააღმდეგა. ეს უცნაური ომი უზენაესი უფლის იღუმელი განგების გამო იყო. ამ ბრძოლის ველზე დახოცილი რაზმების უმეტესობა თავზე ხელაღებული მოჯანყეები იყვნენ [მათზეა ნათქვამი ანდაზა: „შეიქრნენ ქვეყანაში და გაბატონდნენ“]. ნაწვდილი ჯარისკაცებიდან ამ ომში ცოტა იყო წამებით დახოცილი. მთელი ლაშქარი მშვიდობით გადაჩა. ამ თავზეხელაღებულითა ტომების უწინდელ დანაშაულობათა მისაგებელი იყო სასჯელი ღვთისგან. სარწმუნოებისათვის მოწამეობრივი სიკვდილით [„ცოდვები ხმლით განაბანებიან“] ისინი წყაროზე განიბანენ და ცოდვებიც მიუტევეს.

სადამოს ორსავე მხარეს დასვენების შესაძლებლობა მიეცა. ყიზილბაშები დაბრუნდნენ და თავიანთი შაჰის სამებნელად წავიდნენ. სარდალი თავის ადგილზე დარჩა. ღამე ქურთისტანის ბეგები და წარჩინებულები სარდალთან მივიდნენ ბრძოლის შედეგების გასარკვევად. მაგრამ მათი შეხვედრა შეუძლებელი შეიქნა. მოსულეები უკან დაბრუნდნენ ასეთი პასუხით: ბედნიერების პატრონი [სარდალი] დაღლილია და შეუძლოდ არის. სარდალი გაქცეულაო — ასეთი მნიშვნელობა მისცა მათ პასუხს ზოგიერთმა მათგანმა. ქურთისტანის ხალხმა თავისი კარგები აშალა და გზას გაულ-

გა, კარა კაშმაც დატოვა თავისი კარავი, გადარჩენილა ნაწილიც მას უკან გაჰყვა. ვანის მხარეს გაემართნენ.

შემთხვევით აღებოს ბეგლარ-ბეგი ჯან ფოლად-ზადე ჰუსეინ ფაშა ბრძოლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე პოზიციის ახლოს ნახევარ გადასარბენზე დაბანაკდა და ბრძოლის ადგილზე სწრაფად მისვლას აყოვნებდა. გარდა ამისა, მას უთხრეს, რომ სარდალი დამარცხდაო. მიღებული არასწორი ცნობა მათ სიმართლედ მიიჩნიეს და უკუიქცნენ. შემდეგ, როდესაც დარწმუნდნენ ამ ცნობის სიყალბეში, კვლავ დაბრუნდნენ და ბანაკისკენ გაემართნენ. იმის შიშით, ადგილობრივმა ქურთმა ყაჩაღებმა უკან დაბრუნებულ ისლამის ლაშქარს ზიანი არ მიაყენონო, ხეობაში მდებარე გამაგრებულ ადგილას დაბანაკდნენ. მოსული ლაშქარიც შემოიერთეს, მშვიდობით აიყარნენ და პირდაპირ ვანისკენ დაიძრნენ.

ამ ამბის შემდეგ ოსმალთა სარდალმა ბანაკში დარჩენილი ლაშქარი შემოიკრიბა და მათი გულები მოინადირა. მან რაზმები დააწყყო, ბანაკი განაპირას გადასწია. გაიხედეს მტრის მხარეს და დაინახეს, რომ იქ არაფერ ჩანდა. დაინტერესდნენ, ასეთ დროს თითოეული მათგანი რას აკეთებსო. ისინი გაოცებულები იყვნენ მტრის უმოძრაობით. ამ დროს ვანის ბეგლარ-ბეგმა კაჩარ ფაშამ და მისმა ხელქვეითებმა მოქმედებისათვის საომარი იარაღები აიღეს. კაჩარ ფაშამ თქვა: რას დგახართ ყიზილბაში მოვიდა და ზარბაზნები წაიღო. ამის შემდეგ აქეთ-იქით დაიფანტნენ, ერთმანეთს აღარ უცდიდნენ. სარდლის ორი ათასამდე ერთგული კაფუ კულუს ჯარი დაიფანტა. სარდალმა ქვეითები აქლემებზე შესვა, მთელი ხაზინა, კარავი და ზარბაზნები ადგილზე დატოვა. რადგანაც იმ რაიონში ამის შემდეგ გაჩერება მიზანშეწონილი არ იყო, ამიტომ ვანის მხრისკენ გაემართნენ. ამ მხარეში ირანის შაჰის შიშით შეიძლება ოსმალებმა ვერაგობა ჩაიდინესო და ორი დღე ეძებეს დამნაშავენი. ამის შემდეგ, როგორც კი გაიგეს ოსმალთა სარდლის ვანში გამგზავრების ამბავი, აიყარნენ და თავიანთ ნაბანაკარზე მოვიდნენ, სადაც ისინი უიძვილობამ მოიცვა და ზარალის მეტი ვერაფერი ნახეს.

ვანში მოსულ სარდალ სინან ფაშას შეეგება ჯანფოლად-ზადე ჰუსეინ ფაშა, რომელმაც ჯარის მშვიდობიანად გამოყვანა სასარგებლო სამსახურად მიიჩნია და დაყოვნებისათვის ბოდიში მოიხადა. მაგრამ სარდალი ისე იყო გაცეცხლებული, რომ ნიაღვარივით მომსკდარმა ცრემლებმაც ვერ ჩააქრო მისი გაბრაზება. შემდეგ უსაყვედურა: რა იყო მიზეზი, რომ არ მოხვედი და სამსახური არ გამი-

წიერ და იგი მსხვერპლად ანაცვალა თავის ღვარძლსა და ბოროტებას — თავი გააგდებინა. გადმოგვეცემენ, რომ როდესაც ჯანფოლად-ზადემ განიზრახა სარდალთან შეხვედრა, მან დაინახა, რომ ვარსკვლავები მას კეთილ ბედს არ უწინასწარმეტყველებდნენ. იგი დახელოვნებული მკითხავი იყო, ვარსკვლავებით მკითხაობდა. კეთილის მსურველებმა მას დაუშალეს წასვლა, იმ გველეშაპთან განრისხების ჟამს შეხვედრით აშინებდნენ. მან მაინც ამაყად განაცხადა: როცა მე მიინავს, ჯაყალე ოლლის აზრადაც არ მოუვა გაბედოს და გამაღვიძოსო. სარდალთან ასეთი ამპარტაენული პასუხით რომ მივიდა, ამიტომაც გაემგზავრა იმ ქვეყნად.

ჯანფოლად-ზადეს მკვლელობის შემდეგ აჯანყებული ყაჩაღები გაძლიერდნენ. 30000-მდე ხელქვეითი ალეპოში დაბრუნდა. მისი ძმა ალი ბეგი და ხიდირ ბეგი მათთან მივიდნენ და ჰუსეინ ფაშას სიკვდილისათვის შურისძიების მოთხოვნით ქვეყანა იავარპყვეს. ეს ბოროტმოქმედება მურად ფაშამ აღკვეთა. ეს საგანგებოდ უნდა აღინიშნოს.

შემდეგ სარდალი ვანიდან აიყარა და ზემოხსენებული წლის რეჟების 21-ე დღეს¹³² დიარბექირში მივიდა, მაგრამ მომხდარი უბედურების გამო შიშმა და მწუხარებამ შეიპყრო, ციებ-ცხელება დაემართა და გარდაიცვალა.

ვინ იცის რამდენი უბედურების მიზეზი გახდა განსვენებულის ხსაიათი. მან სინან ფაშა-ზადესთვის შამის¹³³ გადაცემის შემდეგ [იგივე მხარე] ოსმან ფაშას უბოძა, ხოლო ალეპოს ვალი ნასუპ ფაშა მოხსნა და ქილისის ოჯაქლიქი¹³⁴ ჯანფოლად-ზადეს უფროს შვილს — ჰუსეინ ფაშას გარკვეული პირობით — ილთიზამის სახით¹³⁵ უბოძა. როდესაც ზემოხსენებული ალეპოში მივიდა, რადგანაც ნასუპ ფაშამ სტამბოლიდან წარადგინა გადაწყვეტილება, ორივე მხრიდან ატყდა ხოცვა-ჟლეტა და მრავალი ხალხი დაიხოცა. ბოლოს ჰუსეინ ფაშამ, სარდლის ბრძანების თანახმად, ეიალეთი დაიპყრო.

რადგანაც ნასუპ ფაშა მირ შერიფის სიძე იყო და ქურთ ემირებს შორის მომხრეები ჰყავდა, მისი სასოწარკვეთილება ქურთ ემირებსაც გადაედო. ისინი სარდალს ზიზით უყურებდნენ. ასეთი განწყობილებით წავიდნენ სალაშქროდ და ამიტომ იჩინა თავი აღნიშნულმა საშინელმა მდგომარეობამ.

თავრიზის ლაშქრობაში მურად ფაშას სარდლობა

როდესაც მალაღირსეულმა სარდალმა აღმოსავლეთისაკენ გამგზავრების განზრახვით ლაშქრობისათვის სამხედრო საქურელის, სამოსლისა და სხვათა თადარიგი დაიჭირა, გურჯი მეჰმედ ფაშა კვლავ კაიმამაკამად დარჩა. მურად ფაშა საფარის მეხუთე დღეს¹³⁷ თავისი ძლევამოსილი ჯარით უსქუდარზე გადავიდა. როდესაც გამოვიდა ბრძანება იმის შესახებ, რომ დიდი სისწრაფით გამგზავრონ სალაშქროდ, ახალმთვარიანობის რეზი ულ-ევეელს¹³⁸ უსქუდარიდან აიყარნენ და გადაკვეთეს გადასარბენები. როდესაც ირანის საზღვრებს მიაღწიეს, მათდამი სამსახურში ჩაყენებული ბეგლარ-ბეგები მოვიდნენ და ურიცხვი ჯარი შეგროვდა.

როგორც კი გაიკვია, რომ გზადბნეული შაჰი თავრიზის მიდამოებში იმყოფებაო, ამასთან, სუსხიანი ზამთარიც მოახლოებულ იყო, არ გაჩერდნენ და სასწრაფოდ თავრიზის სანახებს მიაშურეს. მოსახლეობამ გაათავისუფლა დანგრეული და დაცარიელებული ქალაქი. რაც დარჩა, ისიც ისლამის ლაშქარმა დაწვა და დაანგრია. შაჰი იმ [თავრიზის სანახებში] ველებზე მივიდა. რაკი ისინი წინააღმდეგობის გაწევას ელოდნენ, თავრიზის სანახებში არსებული სერჰაბის მთის კოშკზე ზევით და ქვევით მოძრაობა მოეჩვენათ.

ბრძოლის ველი რომ გამოჩნდა, უბედურების გზაზე ბედნიერება დაესახათ. ერთხანს იმ მხარეს დაყოვნდნენ. მათ სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდათ სახეზე. ზამთარიც დადგა. რადგანაც ლაშქრისათვის შესვენება შეუძლებელი შეიქმნა, ამიტომ იმ განწირულთა [ყიზილბაშთა] საქმე მომავალი წლისთვის გადაიდო. ქვეყნის განადგურების შემდეგ [ოსმალები] დაბრუნდნენ, სარდალი და კაფუ კულუს ჯარი დიარბექირში გაჩერდნენ.

ამ ლაშქრობის დროს სარდალმა შაჰს გაუგზავნა წერილი. პასუხი მოვიდა. ოფიციალური შესავლის შემდეგ წერილში შაჰი წინათ, შაჰ ისმაილ მეორის¹³⁹ დროს, დარღვეულ პირობას ახსენებდა და წერდა: იმდენად დიდი დრო არ იყო გასული, რომ პირობის დარღვევის გამომწვევი მიზეზი გაჩენილიყო. საზღვარზე მყოფმა თქვენმა მბრძანებლებმა ჩვენი ვაჭრების ქონებაზე გაუმაძღრობა გამოიჩინეს. ბევრი მათგანის დახოცვის გამო ბედნიერე-

•ბის ფადიშაჰის მხარეს [ოსმალეთს] რამდენჯერმე მოახსენეს და აცნობეს, მაგრამ ყურადღება არასოდეს არ მიაქციეს. სასულთნოს პატიოსნებამ ეს ვერ მოითმინა და ღმერთისგან ეს საქმე შეწყნარებულ იქნა. ქვეყანა, რომელიც ჩვენი მულქი მოურისია, ჩვენს სამფლობელოში შემოვიდა. თათართა ჯარით¹⁴⁰ გააპყდით. უწინ ისლამ გირეიმ¹⁴¹ და ღაზი გირეიმ შირვანის წინააღმდეგ ლაშქარი დაძრეს, მაგრამ ყიზილბაშებთან ბრძოლის დროს დამარცხდნენ და მათი ხანები ტყვედ ჩავარდნენ. თუ ისინი ახლაც კვლავ მოვლენ, ისევ დაისჯებიან. ჩვენთვის ცნობილია ოსმალეთის დინასტიის ფადიშაჰების ქონების ძალა და ლაშქრის სიმრავლე. მაგრამ ჩვენმა გმირებმა, ანღაზისა არ იყოს „იყვნენ ასნი, სძლიეს ათასს“, დახმარება ითხოვეს, თქვენი ჯარის სიმრავლის გამო არავითარ შფოთს არ განიცდიან.

განსვენებული სულთან სულეიმან ხანის¹⁴² აღმატებულების მიერ განსვენებული პაპაჩემის — შაჰ თაჰმასპისადმი¹⁴³ მიცემულ პირობის წიგნის თანახმად, საერთოდ თუ შეიძლება საზღვრის გადალახვა, მაშინ მე ბედნიერი ფადიშაჰის მონა ვარ. ვისაც მტრობაში ძალა არა აქვს, მეგობრობაში არ არის სანდო. ჩვენი მდგომარეობა ნათელია, ასე რომ, თქვენი თანხმობა თუ არ იქნება, განგების ფარდის მიღმა რაც არის ის შესრულდეს, და ამით გათავდეს.

ტ. II, გვ. 84—85

შეაღწევი სარდლის მუხალ ფაშას გაზაფხილი პასუხი

ოფიციალური მიმართვის შემდეგ თქვენ ვითქვამთ, რომ ჩვენ ვამაყოფთ თათრის ჯარით. თათარი ჩვენი ფადიშაჰის სხვა ჯარისკაცების მსგავსია. თუ მათი ხანები ტყვედ ჩავარდნენ, ძველი ტრადიციული ჩვეულება ამბობს: ერთხელ დამარცხებული ერთხელაც გაიმარჯვებო. თუ ბევრსაც დაატყვევებთ, ეს გარდა იმისა, რომ გააჭიანურებს საქმეს, სამარცხვინოცაა. ასე რომ, ეს ქვეყნები, სადაც ბედნიერი ფადიშაჰის ხობას კითხულობენ, თუ ამაზე ხელს აიღებენ და ბოდის მოიხდიან, მაშინ მეც ფადიშაჰის უმწეო მონა ვიქნები. იმედი მაქვს, რომ ჩემი სიტყვა გატარდება, თქვენს შორის ჩავდგები და ვეცდები მშვიდობიანობა ჩამოვაგდო.

მას შემდეგ, რაც უწინდებურად საზღვრები დადგინდება და დაზუსტდება, დავბრუნდები და წავალ. მაგრამ არავითარ შემთხვე-

ვაში ფადიშაჰის სამეუფო თანხმობა არ იქნება, რომ ქვეყნიერების სასახლის სახელით ვინმე მბრძანებლობდეს. ისლამის ლაშქარი რამდენიმე წელიწადს ამ მხარეში იზამთრებდა. როდესაც განგების მიერ წინასწარ განზრახული შესრულდება, ცხადია, მაღალი ალაჰის შემწეობით, შურისძიებას შეეცდებიან. უწინ შაჰისგან მურად ფაშასთან შემს ედ-დინ მეჰმედ ალა წერილით მოვიდა, მან რამდენიმე სიტყვა თქვა ზავის ჩამოგდების შესახებ. შემდეგ ზემოხსენებულს ჰაირ ედ-დინ ჩაუში გააყოლეს საპასუხო წერილით. ერთ წლამდე ელოდნენ და, რადგანაც პასუხი არ მოვიდა, სულთან მურად ხანის დროს დაპყრობილ არზრუმში ჯუმად ალ-ახირის 27-ე დღეს¹⁴⁴ ურიცხვი ჯარით გასათავისუფლებლად მოვიდნენ. ამასობაში ზემოხსენებულმა მეჰმედ ალამ და ჰაირ ედ-დინ ჩაუშიმ მოიტანეს წერალი, რომლის მიხედვით, ზავს პირობების დარღვევის მიზეზი იყო მოსახლურე პროვინციების მოსახლეობის ქონებასა და ვაჭრებზე თავდასხმები. ორივე მხარის მოლაპარაკება ურთიერთგაგებად მივიდა. იფიქრეს და გადაწყვიტეს: ყველაფერი ხომ ძველი სულთნების დროს მოხდა; რაც იყო, იყო, რაკი მშვიდობის დამყარების სურვილი არსებობს, ზავი დაიდოსო.

თუ სულთან მურად ხანის დროს დაპყრობილი ტერიტორიები იმ მხარეს [ირანის მხარეს] იქნება, ცხადია, „რაც იყო, იყოს“ პირობაზე ფადიშაჰი არასოდეს არ მოაწერს კმაყოფილებით ხელს. თუ სამშვიდობო ზავი დაიდება, ის ტერიტორიები, სადაც ფადიშაჰის სახელზე ხუტბა¹⁴⁵ იკითხება, ჩვენ უნდა ჩაგვბარდესო, — ასეთი საპასუხო წერილი დაიწერა და გაიგზავნა.

ტ. II, გვ. 85—86

ა თ ა ს ო ც დ ა ე რ თ ი წ ლ ი ს¹⁴⁶ ა მ გ ე ბ ი

დიდგვირი ნასუჰ ფაშას ირანის ელჩთან წასვლა

ნასუჰ ფაშა გარეწარი ყიზილბაშების სურვილების განსახილველ გზას დაადგა, მოუთმენლად ელოდა იგი ელჩის მოსვლას. შაჰმაც ეს ხელსაყრელ შემთხვევად მიიჩნია და ყაზიასქერის თანამდებობაზე მყოფი ყაზი-ხანი და ყაზვინისა და ისპაჰანის ყადიები ელჩებად დანიშნა, ნაკისრი ვალდებულება—200 საპალნე აბრეშუ-

მი — მისცა და ზემოხსენებული წლის რაბიის 26-ე დღეს¹⁴⁷ დიარბექირში ნასუპ ფაშას გაუგზავნა. ნასუპ ფაშამაც აბრეშუმთან ერთად ელჩებიც მიიღო და შაბანის პირველში¹⁴⁸ ისტანბულში შევიდნენ.

ვეზირის ჩვეულების მიხედვით, დიდი ცერემონიალის შემდეგ ელჩებს, კანონის მიხედვით, სხვა ცერემონიალიც მოუწყვეს, სასახლეში წაიყვანეს. ქვეყნის მფარველი ფადიშაჰი შაბანის მე-16 დღეს¹⁴⁹ დიდებამოსილი ჯარით დაუდ ფაშასთან დიდი რაზმით მოვიდა. იგი სასახლეში შევიდა, ირანის ელჩები ერთ ადგილას დასვეს და დიდი სანახაობა აჩვენეს. ზემოხსენებული თვის 21-ე დღეს¹⁵⁰ ელჩებს ნება დართეს მაღალ ზღურბლს გამომშვიდობებოდნენ. მათი ძღვენი მოიტანეს და საპატიო ხალათებით ღირსნი გახდნენ მთხვეოდნენ ფადიშაჰის კალთას. ყიზილბაშთა შაჰმა ზემოხსენებული ელჩები უსაქმურებს შორის აარჩია და თქვა: ესენი მცოდნე და სიტყვა-პასუხის მქონე პირები არიან და ფადიშაჰის მეჯლისში ჰქვიანურად ილაპარაკებნო. თუ საჭირო შეიქნა საუბარი, კითხვა-პასუხს შეძლებნო, ამიტომ შეარჩიეს ისინი, და გამოგზავნეს. როდესაც ელჩები მისი აღმატებულების წინაშე წარსდგნენ, ისე გოცდნენ, რომ მათ შორის ყველაზე უფრო მცოდნე და მოწინავე ყაზი-ხანმაც კი ველარ დაძრა სიტყვა. მან მხოლოდ ერთი წინადადება წარმოთქვა: ჩემო ფადიშაჰო, შაჰ აბასი შენი მონააო, მეტი ვერაფერი მოახსენა. მან წერილი დიდვეზირს გადასცა, დიდვეზირმა კი — ფადიშაჰს, შემდეგ ელჩები გარეთ გამოვიდნენ და წავიდნენ.

მათ განსვენებული სულთან სულეიმანის დროს შაჰ თაჰმასპთან დადებული ზავით არზრუმისა და ბაღდადის მხარეებში დადგენილი საზღვარი აღიარეს მიჯნად, ამასთან დაადგინეს შეპირებული აბრეშუმის ყოველ წელს გამოგზავნა ზავის პირობის თანახმად. რამაზანის 26-ე დღეს¹⁵¹ ელჩებს დართეს დივანში მოსვლის ნება. წვეულების შემდეგ ისინი უმაღლეს საჯაო კაზზე მივიდნენ საპატიო ხალათებით. კანონის მიხედვით, მათ მისცეს საპასუხო წერილით დაბრუნებისა და უკუქცევის ნებართვა. ამასობაში არზრუმის ბეგლარ-ბეგ ჰუსეინ ფაშას შეუერთდნენ და საზღვრის საქმეების მოსაგვარებლად ინჯილი მუსტაფა ჩაუში მათთან ერთად გაგზავნეს. მაგრამ 1024 წლამდე¹⁵² საზღვრის საკითხი ვერ გადაწყდა. მათ [ყიზილბაშთა] მიერ საქმის დაყოვნება და გაჭიანურება ვერაგობისა და გულგრილობის მაუწყებელი იყო.

ფადიშაის ხალისუფლებასთან მიჰმედ გირეის ჩამოსვლა

ყირიმის ხანის ერთ-ერთი უფლისწული მეჰმედ გირეი სალამათ გირეი ხანის მემკვიდრე იყო. იმ ხანად მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა, რის გამოც მეჰმედ გირეი შეუერთდა თავის ძმას — შაჰინ გირეის, რომელიც თავის მხრივ ჩერქეზთა ტომებთან იყო დაკავშირებული და ხანდახან ყირიმის ხანს ავიწროებდა. სალამათ გირეის გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა ჯანი ბეგ გირეი ხანმა. როდესაც მოინდომეს ნისი მოშორება, ჭკვიანმა, შორს-მკვრეტელმა, მკოლნემ და მოხერხებულმა მეჰმედ გირეიმ სხვა ვერაფერი მოახერხა, გარდა იმისა, რომ თავი შეეფარებინა მაღალი ზღურბლის მხარისათვის, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულთნების თავშესაფარი იყო, როგორც შეძლო რუმის ქვეყანაში გადმოსვლა. 400-მდე თათრით სწრაფად, ქენებით წამოვიდა. რაკი მათ ფადიშაჰისაგან ჩასვლის ნებართვა მიიღეს, ჩვეულების მიხედვით, დივანის უამრავი ხალხი და დიდგვრიის ალაები მათ შესახვედრად გაგზავნეს. როდოსჯიკის ბანაკში მისვლისას ისინი ფადიშაჰის ფეხზე მთხვევის ღირსნი გახდნენ. საგანგებო ვითარების გამო დივანი მოიწვიეს, ტახტზე ქვეყნიერების ფადიშაჰი დაჯდა. ხანზადეების ორ მონას კაფუჯი-ბაშიები¹⁵⁴ მიუჩინეს, წესისამებრ დადგნენ. იმ ბანაკში კვლავ მევლუდის დღესასწაული იყო და ამიტომ გააჩირადდნენ ღამე, თოფებს ისროდნენ, კარვებსა და მის ახლომახლო ადგილებში ურიცხვი მაშხალა აანთეს.

დილას აიყარნენ და ქოფრუჯი ჩაირში დასცეს ბანაკი. მეორე დღეს დაბანაკდნენ დაბაში, რომელსაც უმურჩი ერქვა. მომდევნო დღესაც სულორში გაშალეს კარვები. აქ მათ შეეგებნენ და მიესალმნენ კაფუდან მეჰმედ ფაშა, ბოსტანჯი-ბაში¹⁵⁵ ჰასან ალა თავისი ხელქვეითებით და ყველა ბოსტანჯი. ულემა და უამრავი თანამდებობის პირი აქ შეხვდა ერთმანეთს. ღამე სულორის ბაღში გაემგზავრნენ. მგზავრობის დროს მუფთი მეჰმედ ეფენდი და სხვა სწავლულები შემოეგებნენ. როდესაც შეიხ ულ-ისლამი¹⁵⁶ მათ მიუახლოვდა, იგი ჩამოქვეითდა, შემდეგ გაემართა მისი [მეჰმედ გირეის] უზენაესი მუხლის საამბოვრებლად, ცხენს თავი გადაუწია და სადავე დაუჭირა. მუფთი ეფენდი მისი უწმინდესობის თავი დიდი პატავისცემით მაღლა ასწია. კეთილი ინებეს და წარმოთქვეს

რამდენიმე სიტყვა, ამ სიტყვებში იგულისხმებოდა, რომ ის [მე-
ჰმედ გირეი] სასწრაფოდ უნდა ამხედრებულყო. ამის შემდეგ
ყველა უღემა რიგის მიხედვით დაეწყო და ხელზე ემთხვია. მო-
ლებიცი და მუღდრისებიცი ხელზე ეამბორნენ, შემდეგ კვლავ გა-
მართეს სადღესასწაულო სელა და დაუდ ფაშას ბაღში გაჩერდნენ.
იმ ღამეს ლაშქრის ადგილი ძალიან გააჩირაღდნეს, თოფებისა და
ზარბაზნების დიდი სროლა ატყდა. მეორე დღე შაბათი იყო, რები
ულ-ევეელის თვის 24-ე დღეს¹⁵⁷. სანაქებო პროცესითა და რაზ-
მებით ლაშქარი სასულთნოს დედაქალაქში შევიდა, შემდეგ კი
რები ულ-ახირის თვის პირველში¹⁵⁸ უსქუდარის სასახლეში გადა-
ვიდა და გართობა და ნადირობა დაიწყო.

ტ. II, გვ. 102—103

1 ირანის შაჰის სამშვიდობო ხელშეკრულების შესახებ

ამ წელს¹⁵⁹ ხელშეკრულება, ირანის შაჰთან დამყარებული
მშვიდობიანობის შესახებ, მუფთი მეჰმედ ეფენდის მეშვეობით
დაიწერა და გაიგზავნა. ფადიშაჰების წინაპრების სამშვიდობო
ხელშეკრულებებში აღნიშნული პირობების თანახმად, რომელიც
რჩეულმა ადამიანებმა, სჯულმდებლებმა და სარწმუნოების დიდმა
ერთგულებმა შეადგინეს, მასში ლანძღვა, წყევლა, ავსიტყვაობა
და გინება არ ყოფილა. შაჰ თამაზის მიერ ნაკისრი ვალდებულე-
ბის მიხედვით, ავსიტყვაობა ოფიციალურად არ იყო მიღებული.
ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო: იქ [ირანის მხარეზე] მყოფი
სუნიტების მიმართ სალანძღავი სიტყვები არ იქნეს გამოყენებული,
თავიანთი სურვილით ჩვენსკენ [ოსმალეთისკენ] გადმოსვლის მო-
მხრეებს ნება დაერთოთ. ოსმალთა მფლობელობაში მყოფ ციხეებს
და ადგილებს თავს ნუ დაესხმიან. სულთან სელიმ ხანის¹⁶⁰ დროს
დადგენილი საზღვარი ძალაში დარჩეს. ბაღდადის ეიალეთისადმი
დაქვემდებარებული სანჯარ ოღლის კურთხეულ ხელში არსებული
ქვეყნები კვლავ ბაღდადს დაემორჩილოს და მას მზრუნველობა და
დახმარება არ აღმოეჩინოს. როდესაც შეპრიზორის ეიალეთის უდი-
დესი ქალაქები ჰულუ ხანის ხელყოფისაგან განთავისუფლდება,
მათდამი დახმარებასა და მზრუნველობას ნუ გამოიჩინთ. აღმოსავ-
ლეთის ქვეყნებიდან მომავალი ჰაჯეები ალუბოსა და შამის გზით
ივლიან. რადგანაც ბაღდადისა და ბასრას გზებზე მშვიდობიანობა

და უშიშროება არ არის, ნუ ივლიან ამ გზით. ძველთაგანვე ამ მხარისადმი ერთგულად მყოფი შამხალის ხანი და სხვა მმართველები დალესტნის ქვეყნებსა და სხვებს ზარალსა და ზიანს ნუ მიაყენებენ. როდესაც გაიცემა ფირმანი უღეთო რუსების ამ მხარისაკენ წამოსასვლელი გზის გადასაკეტად აშენებული თერგის ციხის დანგრევის თაობაზე, შაჰის ლაშქრიდან არავინ ჩაერიოს. საზღვრები უშიშროებაში იყოს. ამ წესით საზღვრის დასადგენად მომიჯნავე ფაშებისაგან ბაღდადის ვალი მაჰმუდ ფაშა და ვანის ბეგლარ-ბეგი მეჰმედ ფაშა დაინიშნონ. ორივე მხარის გადაწყვეტილების მიხედვით, საზღვრის საბოლოო დასადგენად უმაღლესი ბრძანებები დაიგზავნოს.

ტ. II, გვ. 113—114

ა თ ა ს ო ც დ ა ო თ ხ ი წ ლ ი ს⁶¹ ა მ ბ ე ბ ი

დიდგვირი მამედ ფაშას სარდლობა ირანის მხარეს

ამას წინათ ირანის შაჰთან საზავო ხელშეკრულება დაიდო. ნასუჰ ფაშასთან ერთად ჩამოსული ყადი ხანად წოდებული ელჩი 1021 წლის შაბანის თვეში⁶² პირობის წიგნით წავიდა, მასთან ერთად გაიგზავნა უზენაესი სასახლის [სტამბოლის] ჩაუშთაგან ინჯილი მუსტაფა ჩაუშიცი, ისინი დაახლოებით ორ წელს ირანში დარჩნენ. მას შემდეგ ორმა წელმა განვლო, რაც შაჰ აბასს დაკისრებული ჰქონდა ყოველწლიურად ასი საპალნე აბრეშუმში და ასი საპალნე სხვა ძვირფასი საქონლის გამოგზავნა. მან ეს პირობა არ შეასრულა: განა მოხარაჯე უნდა ვიყო, პირობის შეუსრულებლობა არ შეიძლებაო — თქვა ფადიშაჰმა და ცეცხლივით აელვარდა. მან ვეზირ მეჰმედ ფაშას უზენაესი სიგელი გაუგზავნა და უბრძანა ლაშქრობისათვის მომზადება. მათაც ფირმანის შესაბამისად საჭურველი მოამზადეს, მთელი კაფუ კულუს⁶³, რუმელიისა და ანატოლიის ლაშქრით ირანზე გასალაშქრებლად გაემზადნენ. გურჯი მეჰმედ ფაშა კაიმაშაკამად დარჩა, ლუვენჯე-ზადე მთავარი დავთარდარი გახდა. მის წინამორბედ ბაკი ფაშას ბოსნიის ვილაიეთი ებოძა.

ხსენებული წლის რები ულ-ახირის 23-ე დღეს⁶⁴ სარდალი დიდი ლაშქრით უსქელდარში გადავიდა. იანიჩართა ალა, მუსლი ალა

და ისთიქამეთ ეფენდი ლაშქრობის დავთარდარი გახდნენ და მათ ბანაკში დაბანაკდნენ. ოცი დღის დაყოვნების შემდეგ აიყარნენ, გაიარეს მანძილები და შაბანის თვეში¹⁴⁵ ალექოში შევიდნენ. სულთან სელიმის ძველ მეჩეთში მყოფ დროებით მუნეჯემ-ბაშს¹⁶⁶ — დერვიშ თალებ ეფენდს, რომელიც მეჰმედ ფაშას მუნეჯიმი იყო, ეს უკანასკნელი გვერდიდან არ იშორებდა. ამ ლაშქრობაშიც კი წაიყვანა. დრო ცოტა იყო დარჩენილი, მალე მკაცრი ზამთარი დადგებოდა, ამიტომ იანიჩრებმა გამოზამთრება ირჩიეს მარაშსა დამალათიაში. სიფაჰებმა — სივასში, ხოლო სილაჰდარებმა — ყარამანიასში. მათ გონივრულად მიიჩნიეს გაზაფხულზე ირანში შექრა. სამასი სამხედრო პირი ჩაწერეს. კასიმის დღეს მათ აიღეს ჯამაგირა, სარგო და წავიდნენ, დიდევზირი კი ალექოს სასახლეში შევიდა. ალექოს ვალი ეთმეჰჩი-ზადე აჰმედ ფაშა დედაქალაქში მიიწვიეს კაიმამაკამობის მისაღებად და გაგზავნეს თანამდებობის დასაკავებლად. იემენის მხარეს გამგზავრებული ბოლუქის ჯარი ბოროტგანმზრახველების გარეკვის შემდეგ ალექოში შევიდა. მათ ჯამაგირები და სამსახურის სარგო მისცეს და გამოსაზამთრებლად გაიგზავნენ.

ტ. II, გვ. 136—137

ირანის შაჰის გაცნის ჩამოსვლა

როდესაც დიდევზირი სარდლად დაინიშნა, ზემოხსენებული ინჯილი ჩაუშიდან კაცი მოვიდა და აცნობა, რომ შაჰის მიერ ნაკისრი ყოველწლიურად გამოსაგზავნი აბრეშუმით კასიმ ბეგად წოდებული ელჩი მოვიდა და ერევნის საზღვარს მიაღწია. ორი წელი იყო მას აქეთ, რაც უმიზეზოდ ყოვნდებოდა პირობის [შაჰს აბრეშუმში უნდა გამოეგზავნა] შესრულება, ამით განრისხებულმა ფადიშაჰმა ირანში გალაშქრება გადაწყვიტა. მას შემდეგ, რაც სარდალი ალექოში შევიდა, ზემოხსენებული ელჩიც დედაქალაქში მივიდა. აქ იგი ყოველგვარი პატივისცემის გარეშე მიიღეს. ერთ უბანში დააბინავეს და ჩვეულების მიხედვით მხოლოდ სავალდებულო ღონისძიება ჩაატარეს. ერთ წლამდე სრულიად უყურადღებოდ დატოვეს. არც მასი მოტანილი წერტილისთვის მიუქცევიათ ყურადღება და არც მის მიერ მოტანილი საჩუქრები მოიწონეს.

ტ. II, გვ. 137

დიდი სარდლის გამგზავრება ერევნიკაჲს

გაზაფხულზე ოსმალები ალუპოს საზამთრო სადგომებიდან ზემოხსენებული თვის მეშვიდე დღეს¹⁶⁸ გამოემგზავრნენ და რები ულახირის პირველში¹⁶⁹ გოქმეიდანში კარვები გაშალეს. დაიგზავნა გამოსაზამთრებლად მყოფი ჯარის არზრუმის მხარისკენ გამგზავრების ბრძანებები. მარაშისა და ალუპოს ბეგლარ-ბეგები ბირეჯიკიდან არზრუმისკენ აღრევე გამოემართნენ, შემდეგ სარდალი მეჰმედ ფაშაც გამოვიდა. გოქსუნის იალალებიდან აკშარის ველზე რომ გაიარეს, რუმელიის ბეგლარ-ბეგი დაუდ ფაშა ვილაიეთის ლაშქრით მოვიდა და მათ შეუერთდა, თან დედაქალაქიდან ხაზინის ფული მოიტანა. ჯემალ ალ-ფეველის პირველ რიცხვებში¹⁷⁰ არზრუმში ჩავიდნენ. ციხიდან რვა ზარბაზანი აიღეს, საქურველი მოამზადეს.

მას შემდეგ, რაც კანონის მიხედვით კაფუ კულუს ჯარს სურსათი დაურიგეს, ანატოლიის, ყარამანიისა და სივასის ვილაიეთების ლაშქარი მოვიდა. დიარბექირის ბეგლარ-ბეგს დილავერ ფაშას და ვანის ბეგლარ-ბეგს — თექელი მეჰმედ ფაშას ერევანში მოსვლის ფირმანი ებოძათ. ბაღდადის ვალი მუსტაფა ფაშაც მოსულის, სეიდ ხანისა და ქურთთა სხვა ლაშქარს შეუერთდა. აზაბთა ბოლუქებით¹⁷¹ ბრძანებები გაიგზავნა, რომ ნეჰვენდში გამგზავრებულიყვნენ, შემდეგ აიყარნენ და ზემოხსენებული თვის ბოლო რიცხვებში¹⁷² ყარსში მივიდნენ.

ტ. II, გვ. 141—142

ჟარსის ციხის შეკეთება

აღრე ყარსის ციხე გზადაბნეული შაჰის მჩაგვრელი ხელით დაინგრა. ახლა მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი შეკეთება და იქ ჯარის დაბანაკება. საქმის გაკეთება კაფუ კულუსა და ფაშებს დაავალეს, რომელთაც ერთ კვირაში იმდენი ააშენეს, რომ შესაძლებელი გახდა იქ დაბანაკება. ბოლუქის რაზმიდან ჯამაგირის მომატებით ყულის შვილები აღრიცხეს. მას შემდეგ რაც მათ დასაცავად ჯარი და ზარბაზნები განაწესეს, ოსმალები აიყარნენ და ჯემალ ალ-ახირის შუა რიცხვებში¹⁷³ ერევნის ველზე მივიდნენ.

ლამით სანგრები მოამზადეს და ალყა შემოარტყეს ერევნის ციხეს.

ამირგუენე ხანმა ეს ციხე მტკიცედ გაამაგრა, ჯარითა და საჭურვლით გაავსო, შაჰი კი თავისი ლაშქრით ნახიჩევანში იყო. [ერევნის] გარშემო ზარბაზნები შემოაწყვეს და ოცი დღე უშენდნენ, მაგრამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ოსმალებმა დაიწყეს მიწის თხრა. დღისით ნათხარი მიწა მეციხოვნეებს ღამე შიგნით შეჰქონდათ, ამაოდ იღვწოდნენ. ოსმალები ტომრებს ორმოში რომ ჩაყრიდნენ, მოწინააღმდეგენი კავებით ციხის შიგნით შეათრევდნენ ხოლმე. ბოლოს ისლამის ლაშქარმა პატარ-პატარა გამაგრებული ადგილები გააკეთა, ზარბაზნები დაუშინა და კედლებში ნახვრეტები გააკეთა. ციხეს ყოველი მხრიდან შეუტეეს. მაზანდარელი მსროლელები ზღუდესთან შეიკრიბნენ და დიდი ბრძოლა გამართეს, ბევრი დაეცა სარწმუნოებისათვის. რადგანაც იანიჩართა აღამუსლი ალა სარწმუნოებისათვის მოკვდა და თურქჩე ბილმეში დაიჭრა, ლაშქარმა უკან დაიხია.

ტ. II. გვ. 142

ირანის ელჩის დაპატიმრება

როდესაც ირანელებმა შეიტყვეს, რომ ამას წინათ ირანის შაჰის წინააღმდეგ გასალაშქრებლად სარდალი დაინიშნა, ორ წელიწადს გადაუხდელი ნაკისრი აბრეშუმისა და საჩუქრებიდან ერთ წელს გადასახდელი აბრეშუმით კასიმად სახელდებული ელჩი გამოაგზავნეს. როდესაც იგი უზენაეს ზღურბლში მოვიდა, კანონის მიხედვით, განსაზღვრული უბოძეს, ხოლო მის წერილებსა და საჩუქრებს ყურადღება არ მიაქციეს. ამასობაში ხსენებული ელჩი ფადიშაჰის რისხვის მსხვერპლი გახდა და იედი კულეში დააპატიმრეს.

ხალილ ფაშამ ლაშქრობისათვის საჭურვლის მომზადება დაიწყო. მან ყირიმის ხანს — ჯანიბეგ გირეის, კანონის მიხედვით, გაუგზავნა გზის ხარჯი და უზენაესი სიგელი, თათრის ჯარის სალაშქროდ მოსვლის შესახებ. ეთმექჩი-ზადემ მუხანათობას მიმართა. მან თავისი ხელქვეითთაგანი — მიჰთერ მეჰმედად წოდებული პირი — დივანში მოაყვანინა. იმ მიზეზით, რომ უწინ ვეზირ ჰალილ ფაშასთან დაკავშირებით მან ერთი კაცი მოკლა, ფადიშაჰის ბრძანებით მას სასწრაფოდ კისერი გააგდებინა, ხოლო ყველანი, ვინც ეთმექჩი-ზადეს ქრთამზე უჩიოდნენ, ხალილ ფაშამ გაანთ-

ვისუფლა. ამის შემდეგ ჰალილ ფაშას სურვილი იყო ეთმექჩი-ზადეს სასახლის კარიდან მოშორება და ფადიშაჰისათვის შეძლება.

ოსმალებმა თადარიგი დაიჭირეს და იმ გაზაფხულზე ჯარით უსქუდარში გადავიდნენ. ეთმექჩი-ზადეს კაიმაშაქობა თავისთვის ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ როდესაც სარდლობა ირანისკენ გაემართ, ქვეყნის მფარველმა ფადიშაჰმა ბუღინის დასაცავად მყოფ სუფი მეჰმედ ფაშას უბოძა და უზენაესი წერილით საგანგებოდ კაცი გაუგზავნა. ისიც სასწრაფოდ სტამბოლში ჩამოვიდა და საქვეყნო საქმეების კეთებას შეუდგა. ეთმექჩი-ზადე სურვილის შეუსრულებლობის გამო დადარდიანდა და შიშისა და შეშფოთებისაგან ავად გახდა.

ტ. II, გვ. 146—147

ა თ ა ს ო ც დ ა ე ქ ვ ს ი წ ლ ი ს¹⁷⁴ ა მ ბ ე ბ ი

დიდვეზირ ჰალილ ფაშას დიარბაქირში გამოსაჯამთრებლად გამგზავრება და ჯანი ბაზ ბირანი ხანის ჩამოსვლა

ჯუმად აღ-ახირის თვის მერვე, ხუთშაბათ დღეს¹⁷⁵ დიდვეზირი უზენაეს ზღურბლთან მოვიდა და ქედი მოიხარა მის წინაშე. იგი დიდი ჯარით უსქუდარში გადავიდა. რადგანაც ირანი შორს იყო, იმისათვის რომ დიდძალი ლაშქარი არ მოქანცულიყო, ბრძანება გასცა, რომ დიარბექირში გამოეზამთრათ. მათ გაიარეს მანძილები და შაბანის თვეში¹⁷⁶ დიარბექირში შევიდნენ.

თათარ ხანი ორმოცათასიანი ცეცხლმფრქვეველი თათრის ჯარით კაფადან¹⁷⁷ გამოემართა. ფეჩევის სიტყვით, მან სარდალს შეატყობინა: ვიდრე საზამთრო სადგომამდე მივიდლოდეთ, მანამდე ყიზილბაშებს დავესხათ თავსო. რადგანაც სარდალმაც ნება მისცა, განჯის, ნახიჩევანისა და ჯულჰას მიდამოები იავარჰყვეს, ტყვედ ჩაიგდეს ათასამდე კაცი, გარეკეს ხარები და სხვა საქონელი. იმ მხარეების გავერანების შემდეგ დაბრუნდნენ და, როდესაც დიარბექირში მივიდნენ, მათ დადვეზირი წარჩინებულებითა და ჯარით შეეგება. ისინი ამხედრებულები შეხვდნენ და პატივისცემით

კარავში დააბინავენ. ნადიმის გამართვის შემდეგ ძვირფასი ქვებით მოოჭვილი სატევარი, ორლესული, აგრეთვე მოოჭვილი რახტი და უნაგირიანი ცხენი თათარ ხანს უბოძეს. უზენაესი მხარიდან გამოგზავნილი 5000 ოქრო სახარჯოდ იქვე მისცეს, სხვა მირზებს კი ძვირფასი საპატიო ხალათები ჩააცვეს. ამის შემდეგ ყველა ბეგლარ-ბეგი თათარხანს სათანადო პატივით წინ გაუძღვა და თავის ლაშქართან მიიყვანა. რამდენიმე დღის შემდეგ, რადგანაც იბნ ემირის კუნძული, რომელიც მირ შერიფ ფაშას ემორჩილებოდა, თავიანთი და თათრის ჯარის გამოსაზამთრებლად მიიჩნიეს, იმ მხარეს გაემართნენ.

ტ. II, გვ. 151

ლაშქრის გამგზავრება საქართველოს დასაცავად

გურიის მთავარმა წერილი გამოგზავნა დედაქალაქში და უზენაეს კარს შეატყობინა, რომ ყიზილბაშებს საქართველოს ქვეყნების დაპყრობის ბოროტი განზრახვა აქეთო. საქართველოს დაცვა დაეველა ბათუმის ბეგლარ-ბეგს ომერ ფაშას თავისი ვილაიეთის ჯარით, ჩილდირის ბეგს — მურთაზა სეფერ ფაშას და საქართველოს სხვა მხარეების ბეგებს და მმართველებს: გურიელს, დადიანს, იმერეთის მეფეს თავიანთ საბრძანებლოებში მყოფი ლაშქრით, არზრუმსა და ტრაპიზონში მყოფი იანიჩრების მეთაურებთან ერთად, დაღესტნის მფლობელსაც მიმართეს დაუყოვნებლივ დაძრულიყო. ზემოხსენებული მხარის დასაცავად ლაშქრის წასვლის შესახებ გაიგზავნა სერასქერის ბრძანება.

ტ. II, გვ. 151—152

ათას ოცდაშვიდი წლის¹⁷⁸ ამბები

მეჰმედ გირეის შესახებ

როდესაც ხმა გავრცელდა, რომ მაღალღირსეული ფადიშაჰის ტახტზე ასვლისა და ლაშქრით გამოსვლის დღეს იედი კულეში გამოკეტილმა მეჰმედ გირეი ხანმა ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლა და რამდენიმე თათრით გაიქცა, კაიმამაკამ მეჰმედ ფაშამ

ჰაჯი სუი ბაში ნავით ზღვის ნაპირ-ნაპირ საძებნელად გაგზავნა, ჩმელეთით კი ჰენებით ისქანდერ ფაშა გაეშურა.

ჰაჯი სუი ბაშიმ ზღვით ისქანდერ ფაშაზე ადრე მიაღწია ახი-ოლისა და ვარნას მიდამოებს. როდესაც ეს ვილაიეთის მოსახლეობას აცნობეს, მათ საზიზლარი უფლისწულის ხელთ ჩასაგდებად ყოველ მხარეში დაიწყეს ძებნა. მეჰმედ გირეი კი სალამოს მოსულყო და ველზე ხის ძირას გაჩერებულიყო დასასვენებლად. როდესაც დაბის მოსახლეობა მას თავს დაესხა, მან ერთი იანიჩარი ისრით მოკლა. მისი მოკვლის შემდეგ ბრძოლას თავი გაანებეს და ხალხთან ერთად დაბაში შევიდნენ. ამასობაში ისქანდერ ფაშამაც მიაღწია და მეჰმედ გირეი დაიჭირეს. მისი დედაქალაქში მოყვანილსათვის მას [ისქანდერ ფაშას] დიდი პატივი სცეს, მეჰმედ გირეი კვლავ იედი კულეში დაამწყვდიეს.

ჰასან ბეი-ზადე ასე აღწერს მეჰმედ გირეის გაქცევას: ოსმან ხანის¹⁷⁹ ტახტზე ასვლის დროს ჩვენმა მირზებმა თქვეს, რომ ამხედრებაა საჭირო და 40—50 ცხენი ითხოვეს. იედი კულეს ეზოში შეკაზმეს ცხენები, თავიანთი რაზმები ამხედრეს. ერთ ცხენზე მეჰმედ გირეი შეჯდა. მეციხოვნე ჯეშალ ალა კარებთან იჯდა. ხანმა მას ხუმრობითა და სიცილით უთხრა: ალა გამოვიდა და მე უნდა წავიდეო. აღამ მაშინვე მიუგო: ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემმა ფადიშაჰმა უბედურება ჩაიდინოსო. ამის შემდეგ ერთმანეთს კვლავ კითხვა-პასუხს აძლევდნენ, ხან-ზადემ ერთხელ კიდევ მიმართა: ჰეი, ალა! თან ცხენი გარეთ გამოაჭენა და თავისი ხელქვეითებით გაიქცა.

მღევრები რომ დაეწივნენ, შეშინებულები წყალში ჩავარდნენ, რადგანაც ლერწმის ისრები დაუსველდათ, ველარ გაისროლეს და უმწეონი შეიქმნენ. ლანი-ზადე ჩოკდარ ლალა-ზადე წყალში შევიდა, ხელები გაშალა და ამ უცხო გმირს [მეჰმედ გირეის] უთხრა: პირველი და უკანასკნელი ბედნიერება ხარ, ჩემო ფადიშაჰო, ბარემ მე, თქვენს მონას, დამმორჩილდით, რომელსაც ხალხი გარშემო შემორტყმიაო, იგი მაშინვე დანებდა. ზემოხსენებულმა ის გულში ჩაიხუტა. ისქანდერ ფაშა თავისი ამხედრებული თანამგზავრებით სტამბოლში მოვიდა.

გადმოგვცემენ, რომ მეჰმედ გირეის ძმა შაჰინ გირეი ირანში გაქცეულა. უზენაესი ფადიშაჰის ტახტზე ასვლის ამბავი თვითონ შაჰ აბასმა შეატყობინა მას. როდესაც იგი თავის ვილაიეთში მიემგზავრებოდა, შაჰ აბასმა თავის ხელში დაიჭირა შაჰინ გირეის ცხენის სადავე და თავის რაშზე ღიდებით დასვა, პატივი სცა, განადიდა.

ცხენზე შეჭლომის შემდეგ ისევ დაუძახა და უთხრა: ჩემო ხან-ზადეც! თუ შენ ოსმალები სარდლად დაგნიშნავენ და დაგავალბენ რაიმეს ჩემს წინააღმდეგ, წამოხვალ? შაჰინ გირეიმ მიუგო: დიახ, წამოვალო. მაშინ შენ ჩემი ჯარის წინააღმდეგ ხმალს აღმართავ და დახოცავო,— დიახ! აღემართავო, — უბასუხა. შაჰმა თავის მონაზე მიუთითა და ხუმრობით მიმართა: ამას არ წაიყვანო.

ტ. II, გვ. 163—164

სარდალ ხალილ ფაშას არდებილის მხარის გამგზავრების ამბავი

გავიდა სუსხიანი ზამთარი და დადგა გაზაფხული. სარდალი ხალილ ფაშა ჯუშად აღ-ევევლის თვეში¹⁸⁰ დიარბექირიდან ჩულუქის ველზე გაემგზავრა, ბქობის შემდეგ კი ბითლისისა და ვანის გავლით თავრიზისკენ გაემართა. შაჰ აბასი თავისი ლაშქრით არდებილში იყო. ვანის ველზე თათარ ხანიც მოვიდა და სამეფო ლაშქარს შეუერთდა. თათბირის შემდეგ გონიერულად მიიჩინეს არზრუმს გალაშქრება. ამას წინათ ყარჩინა ჰანმაც ჯარის წინ რეაია დააყენა და არდებილის მიდამოებში გარეკა.

ტ. II, გვ. 164

ჯანი ბაზ გირეისი¹⁸¹ დამარცხება სერაპის ველზე ბრძოლაში

როდესაც ძღვევამოსილი ლაშქარი თავრიზში მოვიდა ზავის ჩამოსაგდებად, ორივე მხრიდან ელჩები გამოემართნენ. აქეთა [ოსმალთა] მხრიდან დავთარდარი ჰექიმ ოსმანი გაიგზავნა. ელჩებმა ითათბირეს და აღნიშნეს, რომ თავრიზის გამგებელი ყარჩინა ხანი ყიზილბაშთა რაზმით არდებილის ახლოს იმყოფებოდა ურციხევი გადასახლებული ქვეშევრდომისა და ხალხის დასაცავად. თუ თათრის რამდენიმე ათასი მსუბუქად შეიარაღებული მეომარი ჰყვებით წავა და მიაღწევს, ყველაფერს თავი რომ გავანებოთ, შესაძლებელია უსაზღვრო სიმდიდრის წამოღება. ამით თათრისა და სხვა ლაშქარი დაახარბეს.

დავთარდარ ბაქი ფაშამ და სხვა გამოცდილმა და მცოდნე მოხუცებმა ეს აზრი გონიერულად არ ჩათვალეს და ასე განსაჯეს: შვილი კონაკის [გადასარბენი] სისწრაფით მიმავალი ჯარი რა საქ-

მეს გააკეთებდნო, ბრძოლა საჭირო რომ გახდეს, დასვენებულ ჯარს წინ ვერ აღუდგებაო. საიდან ვიცით, რომ ისინი უყურადღებონი არიანო. თათარ ხანმა, დიდგვზირის ქეთხუდამ და აბაზა ფაშამ ჰქეიმ ოსმანის სიტყვით იმოქმედეს. ანდაზის „როდის მომხდარა, რომ სამართალს ბრმისთვის მზერა დაებრუნებინოს“ მიხედვით, ემირების უმრავლესობა და ჯარიც ნადავლის სიხარბით იმათ აპყვნენ და თქვეს: ის რაც ახლა არის, ჩვენი ნანადირევია. სასურველი არ არის, რომ ამდენი გასაძლომი ლაზიების კლანჭებიდან განთავისუფლდეს და ხელიდან გამოგვეცალოსო — ასე თქვეს და ლაყბობით სარდლის გული მოინადირეს და თავიანთ თავზე აიღეს ეს საქმე. თათარ ხანს მთელი თავისი ჯარით, დიარბექირის ბეგლარ-ბეგს მუსტაფა ფაშას, ვანის ბეგლარ-ბეგს ელმაჩი ფაშას, სივანის ბეგლარ-ბეგს ოსმან ფაშას თავიანთი ვილაიეთებით, რუმელიის ბეგლარ-ბეგს არსლან ფაშას, რუმელიის ვილაიეთებიდან ათი სანჯაყის ლაშქრითა და ბეგებით, ალეპოს ბეგლარ-ბეგს — აბაზა მეჰმედ ფაშას სარდლად დაუნიშნეს არზრუმის ბეგლარ-ბეგი ჰასან ფაშა. თურნაჯი-ბაშისთან¹⁸² ერთად მათ შეუერთეს საკმაო რაოდენობის იანიჩრები. სხვა კათუ კულუდანაც მსურველები სიხარბემ გაიტაცა. ურიცხვი ლაშქარი ქონებისა და ნადავლის გასავესებად ცარიელი ტომრებით შეჯდა კეხებიან ცხენებზე და ერთმანეთის შეუხედავად არდებილის მხარეს გააქენეს. ისინი არსად დაყოვნებულან და არც შეუესვენიათ, მხოლოდ საქონლის გამოსაკვებად თუ შეჩერდებოდნენ ხოლმე. რვა კონაკის მანძილზე მდებარე სერავის ველს ორნახევარ დღეში მიადწიეს. ისეთი დაბნეულები და დაქანცულები მიდიოდნენ, რომ წინ მიმავალმა უკანამავალის ამბავი არ იცოდა. უცბად ყიზილბაშთა ნაწილები გამოჩნდნენ. თურმე ყარჩიხა ხანმა ადრე მიიღო ცნობა და თავისი ლაშქრის უმეტესობა ჩაუსაფრა, შორიდან მხოლოდ ერთი-ორი რაზმი უჩვენა. [ოსმალები] ჯერ კიდევ მწყობრში არ იყვნენ ჩამდგარნი და ირგვლივ დარაჯები არ ჰყავდათ დაყენებული, რომ დაიწყო ბრძოლა. ყიზილბაშთა ლაშქარი საფრიდან გამოვიდა და შორი მანძილიდან მოსულ დაქანცულ ლაშქარზე იერიში მიიტანა. ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლა. რადგანაც ამათ (ოსმალთა) ჯამაათში წესი და რიგი არ იყო, ისინი დამარცხდნენ.

ამ ბრძოლაში დაიღუპნენ სარდალი ჰასან ფაშა, რუმელიის ბეგლარ-ბეგი არსლან ფაშა და დიარბექირის ბეგლარ-ბეგი მუსტაფა ფაშა, ხოლო ელმაჩი მეჰმედ ფაშა და რუმეანლიც მუსტაფა ფაშა ტყვედ ჩავარდნენ. რადგანაც ცხენების უმრავლესობა დაუძლე-

რებული იყო, მათი გადარჩენისათვის ძალა არ შესწევდათ და ხმლა აკუწეს. თათართა ლაშქრიდანაც ბევრა სახელოვანი და მამაცი დაეცა. თუმცა თათართა რაზმმა სცადა გაქცევა, მაგრამ ხანი არ გაიქცა და ამ შეტაკებაში საკმაოდ დიდი სიმტკიცე გამოიჩინა. როდესაც მტრის ჯარი თავს დაესხა, მათ შეიძლება სურდათ მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ საამისო შესაძლებლობა არ ჰქონდათ. იანიჩართა გმირებმა მუხლებზე რიგ-რიგობით დაიხოქეს და თოფები დაუშინეს ყიზილბაშებს. ისინი, ვისაც ხანზე თავდასხმა უნდოდათ, თოფით დახოცეს და უკუაქცნენ. თურნაჯიბაში ბექთაშინებთან¹⁸³ ერთად ყოველმხრივ შეეცადა ხანისთვის ენება არ მიეყენებინა. იგი მშვიდობით გადარჩა. ყიზილბაშებმა ყოველი რაზმის ალაში გადაიტანეს. შამის ლაშქარმა, რომელიც ფეჰლივან ბაჰმანის ბრწყინვალეობით იყო გარემოსილი, ქუჩუქ ქენან ფაშასა და შამის სხვა გულადებთან ერთად განსაკუთრებული ვაჟაკური შემართება გამოამჟღავნა. მტერმა თავისი ძალა ვერ გამოაჩინა, რომ შამის სანჯაყისათვის ზარალი მიეყენებინა. ისინი ხანთან ერთად სამშვიდობოს გავიდნენ.

ყარჩიხამ ხუთასამდე სუნიტი ტყვე წამებით დახოცა და მათი მოჭრილი თავები შაჰს გაუგზავნა. ამ ბრძოლაში ყიზილბაშთაგანაც ბევრი დაიხოცა. უმადური შაჰ აბასი არდებილში შეიხ სეფის საფლავეში შევიდა. როდესაც იგი ლოცვა-ვედრებაში იყო, სამახარობლო ამბის მომტანი მოვიდა, აცნობა ოსმალთა ლაშქარი მთლიანად დამარცხდაო. არაფრით არ დაიჭერა. როდესაც უცბად ამდენი მოჭრილი თავი მის წინ დაყარეს და ამდენი მოენე მის წინ წარდგა, ჯერ ჰკითხა: ამ ბრძოლაში წამოხოქებული გმირები თავიანთი ლაშქრით, ყვითელი და წითელი ალათა დროშებით მონაწილეობას ხომ არ იღებდნენო. არაო-უპასუხა. შემდეგ მოსულებს გაუწყრა: ჯერ ერთი, თათარი ოსმალთა არ არის. მართალია, რამდენიმე ბეგლარ-ბეგი და მრავალრიცხოვანი ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ ეს არაფერიაო და ზავის დადების სურვილი გამოამჟღავნა.

ჰასან ბეი-ზადე აღნიშნავს, რომ როდესაც ჰალილ ფაშა აღნიშნულ არდებილის ლაშქრობაში მივიდა, შაჰინ გირეი ყიზილბაშებთან გაქცეულიყო. ყიზილბაშებს მან ვერაგულად აუწყა საქმის ვითარება. მათ [ყიზილბაშებმა] ერთი-ორი გაიძვერა შემოაგზავნეს. ისინი მივიდნენ და თათართა ხანის ჯარს ხმა დაუყარეს: ყიზილბაშების მრავალრიცხოვანი უიარაღო ჯარი რომელიც ტერიტორიაზე უდარდელად დაბანაკებულიაო. თათრებს ეს სიმართლედ მიუჩნევიათ და იმ მხრისაკენ წასულან.

ჰეჰიმ ოსმანის სიტყვით, რადგანაც ოსმალთა ლაშქარი მო-
ტყუებული აღმოჩნდა, ისინი გასამგზავრებლად შეთანხმებულან.
ყარჩისა ვერაგულად ჩაუსაფრდა. აღნიშნული ამბავი ცხადი შეი-
ქმნა, რადგანაც შაჰინ გირეიმ მათ აუწერა ამათი გარეგნობა, ამი-
ტომ თათრის ზურგის ძალები: სუფი ბეგი, ბაჰადირ ბეგი და
კიდევ რამდენიმე მამაკაცი თოფებით მოკლეს. თუმცა ისინი სარ-
წმუნოებოსათვის დაეცნენ, მაგრამ მაინც თათართა დამარცხების
მიზეზი გახდნენ. ხანის ყაზიასქერი და ისლამის სახელწოდების შე-
იხიც დაეცა.

ტ II, გვ. 164—167

მთავარსარდლის ღონისძიება

როდესაც ოსმალთა დამარცხების ამბავმა ღამით ბანაკში მოაღ-
წია, ლაშქრის სიმტკიცე შეირყა, ამიტომ მაშინვე თათბირი მოი-
წვიეს. ბაკი ფაშამ და სხვა გამოცდილმა მეთაურებმა გადაწყვიტეს
დაუყოვნებლივ არდებილის მხარისკენ გამგზავრება. თუ უკან
დაბრუნდებიან, მტერი გათამამდება, გააფთრდება, უკან დაგვე-
დევნება, ლაშქარს სასტიკად დაამარცხებს და ყველა უწესრიგოდ
აქეთ-იქით გაიფანტებაო. ჯაყალე-ზადე სუნიტობას დაუბრუნდე-
ბა. მეორე დილით, როცა თავრიზიდან წინ გაემართნენ, ლაშქარი
გამხნევედა და გამარჯვების რწმენა ჩაესახა.

ტ. II, გვ. 167—168

სერაჰის ველზე ორივე მხარის მიერ საზავო ხელშეკრულების დადება

არდებილის იავარსაყოფად წასულ ლაშქარს არავითარი და-
ქანცულობა არ უგრძენია. შაჰმა თავის ქვეშევრდომებს უთხრა:
ხომ ნახეთ ოსმალები დამარცხდნენო. მან სწორი მოსაზრება გა-
მოთქვა და თავისი მისწრაფებანი დაასაბუთა. ერთიმეორეზე მი-
ყოლებით ელჩები გამოაგზავნა და აღნიშნა, რომ როდესაც ჩვენ
ზავს ვდებთ, თქვენ ამ ღროს საოპრად მოდიხართ, თქვენი ამ და-
მარცხების მიზეზი თქვენი სიხარბე და სიჩქარეაო. თავის წერილ-
ში შეურაცხყოფელ სიტყვებს წერდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც
დაზავების სურვილს გამოთქვამდა.

ძლიერ ქარიან დღეს ბურუნ კასამად წოდებული ელჩი მოვიდა და რჩეულთა და მოწინავეთა წინაშე სარდლის დივანში შევიდა. მას მიახალეს: ყიზილბაშები გამარჯვებით გამედიდურდით, შეურაცხყოფითა და ლანძღვით ჩვენთან ზავს დებთ, დაბრუნდებით და ჩვენ წინააღმდეგ ლაშქარს გამოაგზავნით. თქვენ რომელ სიტყვას შეიძლება ენდოს კაციო. იმის გამო, რომ ვეზირ დილავერ ფაშას სიტყვები კასიმ ბეგს სხვაგან ეთქვა, მან იკითხა: ნუთუ ამ მხარის ქარი ყოველთვის ასე ძლიერად იქროლებს? სანამ პასუხს გასცემდნენ, ბაკი ფაშამ, ქვეყნად განათლებითა და ენამქვერობით ცნობილმა, თქვა: არა, ჩემო სულთანო, ეს ქარა ახლა კასიმ ბეგის ცხვირს ათბობსო. მისი ჯაღოსნური გონებამახვილობა მსმენელებს მოეწონათ. ნათქვამმა გაანაწყენიანა ბურუნ კასიმი, რომელიც წამოდგა და უნებლიეთ თქვა: ღმერთმა შენ ბაკი ფაშა, უბედურება აგაცილოს თავიდან, არასოდეს არ გაუშვებ ეშმაკობისათვის ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან, თუმცა ხალხი სულ ჩვენ კეთალ საქმეებზე ლაპარაკობსო. მაშინ დიდვეზირმა და სხვებმაც გაიციინეს, თითოეული მათგანი განცვიფრდა. ამის შემდეგ ბურუნ კასიმის ცხვირი ამ ქარმა ჩამოსწია, ამიტომ ცხვირის მაღლა აწევას თავი დაანება.

როდესაც შაჰ აბასამდე მიაღწია ამ ხუმრობამ, მან ბაკი ფაშას მოუწონა საქციელი და თავისი საგანძურადან სამი წყება საპალნე საჩუქარი გაუგზავნა. როდესაც სერავის ბანაკში ძღვევამოსილ ლაშქარს მიუახლოვდნენ, იგი კეთილნაშენიანი და უხვი პროვიანტით სავსე ადგილი აღმოჩნდა. არდებილამდე ერთი მანძილი იყო დარჩენილი. მეორე დღეს, არდებილში მისვლამდე, მათი ორი ელჩი დაეწია და აუწყეს: დაცარიელებულ არდებილში არსებული შეიხ ლეფის სასაფლაოდან კანდელები და სხვა რაღაცეებია წაღებულნი, ყველა შაჰის საფლავი გაძარცულია. ყველგან სიცარიელეა, რა აზრი აქვს თქვენს მისვლასო. დიდი სჯაბასის შემდეგ ნასუჰ ფაშასდროინდელი ზავის პირობაზე შეთანხმდნენ. ორივე მხარემ წერილობითა პირობა დადო.

ამის შემდეგ შეადგინეს საზავო ხელშეკრულება, სადაც მოითითეს, რომ ყოველ წელიწადს უნდა გაიგზავნოს 200 საპალნე აბრეშუმში და 100 საპალნე ზოგიერთი სხვადასხვა საქონელი. ამ ბანაკში მშვიდობიანობის განსამტკიცებლად უსაქმურმა შაჰმა სხვადასხვა პროვიანტიდან 800 აქლემის ქარავანი დატვირთა და ლაშქარს გაუგზავნა. როდესაც მოიტანეს, გაიყვეს. დიდვეზირისათვის საგანგებოდ შეარჩიეს ცხრა აქლემი ქარავანი, პალეა, ტკბილეული,

ნაირნაირი ხილეული, განსაკუთრებით ლიმონი, უმაღლესი ხარისხის ბროწეული, წმინდა ფქვილი, ბრინჯი, შაქარი, რომლის ყოველი თავი 5—5 და 10—10 ოყას შეადგენდა. იანიჩართა ალასა და დიდვეზირის ქეთხუდას, ბაკი ფაშასა და სხვა რჩეულებსა და წარჩინებულებს ორ-ორი, სამ-სამი, ხუთ-ხუთი აქლემის საპალნე საჩუქარი გამოუგზავნა. მან გამოამკლავნა მეგობრობა და გულწრფელობა. მირზა მეჰმედ ჰუსეინად წოდებული ელჩი გამოგზავნა და თავისი ტერიტორია გადასცა.

დიდვეზირმაც შაჰს ჯებუჯი-ბაში¹⁸⁴ მეჰმედ ალას ხელით გაუგზავნა ზოგიერთი ნივთი საჩუქრად და დაბეჭდილი საზავო ხელშეკრულება. ტყვეები განთავისუფლდნენ და ბანაკში მოვიდნენ. ზილ-კადეს დასაწყისში¹⁸⁵ სერავის ველიდან არზრუმში დაბრუნდნენ. ზილ-ჰიჯეს თვეში¹⁸⁶ ლაშქარი დაითხოვეს. დიდვეზირი თოკათში გაემგზავრა იმ იმედით, რომ იქ გამოიხამთრებდა, მაგრამ გადააყენეს. შემდეგ წელს კაფუდანობა უბოძეს.

ტ. II, გვ. 168—169

ა თ ა ს ო ც ლ ა რ ვ ა წ ლ ი ს¹⁸⁷ ა მ ბ მ ბ ო

ირანის ელჩის ჩამოსვლა

ჯუმად ალ-ევველის თვეში¹⁸⁸ ირანის ელჩი ბურუნ კასიმი, რომელიც მის მიერ მოტანილ წერილში იადიგარ ალი სულთან ხალიფად იყო დასახელებული, სტამბოლში ჩამოვიდა. ის 100 საპალნე აბრეშუმით, ოთხი სპილოთი, ერთი მარტორქითა და ზოგიერთი სხვა საჩუქრით უსქუდარიდან ბეშიქთაშში¹⁸⁹ გადავიდა, დიდი ამალით ეღირნეს კარით შევიდა და ვეფაში¹⁹⁰ ფერთევ ფაშას სასახლეში ჩამოხტა. მის მიერ ჩამოტანილ წერილში ეწერა: როგორც ყოფილმა სარდალმა და ახლანდელმა მეორე ვეზირმა ხალიფ ფაშამ ზავის საქმეებზე საუბარში აღნიშნა, გარდაცვლილი სულთან სულეიმან ხანის დროს დადებული ზავის მიხედვით დადგენილი მიჯნა და საზღვარი ახალი ზავითაც ძალაში დარჩეს, არავითარი ცვლილება არ იქნეს შეტანილიო. ოსმალეთს შეუძლია დაეუფლოს ახალციხის ვილაეთში შემავალი ტერიტორიების აქეთა მხარეს, თუ მის სანაცვლოდ ბაღდადის საზღვარზე თავის მფლობელობაში მყოფი ადგილებიდან დერნესა და დერთენგის სანჯაყებს, სოფლებითა და ნაჰიეებით, იმ მხარეს [ირანის მხარეს] დაუთმობს. თუ

ზავი ასეთი პირობით მისაღები იქნება და ხელშეკრულების წიგნი გაიცემა, ასი საპალნე აბრეშუმის ფასის სანაცვლოდ საჩუქრებს ყოველ წელიწადს გამოვაგზავნითო.

ასეთი ახსნა-განმარტების შემდეგ ამ წერილის მიხედვით დაიწერა ხელშეკრულება, თუ ჰუვიზეს მფლობელი რაშიდი და მაჰანის მფლობელი ჰულუ ხანი ჩვენ [ოსმალებს] მოგვმართავენ, იქითა მხრიდან [ირანიდან] ხელი არ შეუშალოთ. შამხალისა და დალესტნის სხვა გამგებლების სამფლობელოებს ზიანი არ მიაყენონ. ორივე მხრიდან დატყვევებული ხალხი დაუყოვნებლივ განთავისუფლდესო. ამ პირობის ძირითადი არსი ისაა, რომ არ დაუშვან მათ ქვეყნებში მყოფ შეიხთა შეურაცხყოფა და წმინდანთა წყევლა. ამაზე მიეცეთ ახსნა-განმარტება. დაიწერა შევალის მე-17 დღეს¹⁹¹.

ტ. II, გვ. 172—173

ათას ოცდათერთმეტი წლის¹⁹² ამბები

ირანის ელჩის ჩამოსვლა

ზილ-ჰიჯეს თვის მეორე დღეს¹⁹³ გაათრთხილეს რაზმი, ხოლო მომდევნო დღეს ირანის შაჰის ელჩი ალა რიზა ჩამოვიდა. ჩვეულების მიხედვით, ის თავისი ამალით ნავსადგურის კარით შემოვიდა და ვეფაში დილსიზ ყიზილბაშ ჰასანის სახლში ჩამოხტა. ზილ-ჰიჯეს თვის რვაში¹⁹⁴ იანიჩართა რაზმების ალაებმა, რომლებმაც დერვიშ ალას გადაყენება მოითხოვეს, იანიჩართა ალას თანამდებობა მირახორ¹⁹⁵ ბერბერ მუსტაფა ალას უბოძეს. მისი მოხსნის მიზეზი ის იყო, რომ აღნიშნულმა დერვიშ ალამ ხაზინაში თავისი კაცების ვაგზავნა მოინდომა. ძველი კანონით, იანიჩართა კორპუსიდან კულუქჩი უნდა წავიდესო, თქვა მან. მაგრამ იანიჩარმა ნება არ მისცა, განრისხდა და მათ კორპუსს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ზემოხსენებულს ბუდინის ვილაიეთი ებოძა. მეჩვიდმეტე დღეს¹⁹⁶ ელჩი ალა რიზა დივანში მოვიდა და ხელმწიფის კალთის ამბორით გაბედნიერდა. ოთხსამდე კაფუჯიმ და ათასამდე იანიჩარმა მისი საჩუქარი ფადიშაჰის წინ გაატარა და ხაზინას ჩააბარა.

ტ. II, გვ. 239—240

თათართა ხანის შვიცვლა

როდესაც მარა ვეზირი გახდა, კაცი გააგზავნეს, როდოსში მყოფი მეჰმედ გირეი ხანი მოიყვანეს და ხანის თანამდებობა უბოძეს. მისი ძმა შაჰინ გირეი ტახტის მემკვიდრედ დაინიშნა და ყირიმში გაიგზავნა. როდესაც მისი წინამორბედი ჯანი ბეგ გირეი ხანი¹⁹⁸ მოვიდა, მას ჩერმენის სანჯაყი¹⁹⁹ უბოძა და როდოსში გაგზავნა. ჯუმად ალ-ახირის თვეში²⁰⁰ სულთან ოსმანის²⁰¹ ხოჯა ომერ ეფენდი, ერთ წლამდე გადაკარგვის შემდეგ, ულემას შუამდგომლობით მექაში შეიხ ულ ჰარემის²⁰² თანამდებობაზე წავიდა. მის შვილს აბდულა ეფენდის მენემენის საყადლო არფალიქად²⁰³ დაუნიშნეს.

ტ. 11, გვ. 254

ათას ოცდაცამეტი წლის²⁰⁴ ამბები

მეჰმედ გირეის აჯანყება და ჯანი ბეგ გირეისათვის ხანის სახელოს გომება

ჩინგიზთა წარმომავლობის ხელმწიფეთაგან კათასა და ყირიმის ხანების დინასტიის შტო ნავაშ იბნ ჯუჯი ბენ ჩინგიზ ხანამდე აღწევს. რუმის ქალაქებთან დაკავშირებული სოფლები და დასახლებული პუნქტები, რომლებიც თათარი ხანების ხელისუფლებას ემორჩილებოდნენ, ოსმალთა სახელმწიფოს კუთვნილება იყო. რადგანაც მათი გადაყენება და დანიშვნა ოსმალთა დინასტიის ფადი-შაჰების მტკიცე ხელთ იყო, ამიტომ ისინი ყოველთვის ამ მაღალი წოდების დინასტიის წყალობის შემყურენი, მათი აღზრდილები და მათზე დამოკიდებულები იყვნენ. ასე იყო ეს ჩვეულებრივ.

უწინ, განსვენებული და ცხოვრებული სულთან აჰმედ ხანის ხელმწიფობის დროს, როდესაც ნასუჰ ფაშა დიდვეზირი იყო, ყირიმის ტახტზე იჯდა გირეი, რომელიც უბედური სულთნის შვილი იყო. ამ მოდგმიდან ორი ხან-ზადე—მეჰმედ გირეი და მისი ძმა შაჰინ გირეი აქერმანის²⁰⁵ ველზე დაბინავდნენ, რუსების ახლოს დასახლდნენ. ისინი თავიანთი ხელქვეითი თათართა რაზმით ყოველთვის თავს ესხმოდნენ რუს ქაფირებს. ატყვევებდნენ, ყიდდნენ, ამით ცხოვრობდნენ. შემდეგ უამრავი ნადავლის გამო გაძლიერდ-

წენ. სხვისი ქონების იავარყოფისა და გამდიდრების იმედით თათართა ტომიდან ბევრი ლაშქარი შეკრიბეს. იქამდე მიიღწიეს, რომ თათარ ხანის ჯარიც მათ მიემხრო. ჯანი ბეგ გირეი ხანი საგონებელში ჩავარდა, რადგან ისინი [მეკმედ გირეი და შაჰინ გირეი] ჯანი ბეგს კარგად არ ექცეოდნენ, რუსებისა და საკლაბებისგან²⁰⁶ ყოველთვის ტყვეები გამოჰყავდათ და აქერმანში ყილდნენ. ჯანი ბეგ გირეი ხანი მათი მოწინააღმდეგე იყო. სტამბოლიდან მას მიმართეს და უბრძანეს, რომ წასულიყო და ისინი [მეკმედ გირეი და შაჰინ გირეი] აელაგმა. ჯანი ბეგ გირეი თათართა ტომის უამრავი ძალით მათ თავს დაესხა. მეკმედ გირეიმ და შაჰინ გირეიმაც თავიანთი ლაშქარი დაძრეს.

აქერმანის ველზე ისეთი ბრძოლა მოხდა, რომ მისი აღწერა შეუძლებელია. ბოლოს თათართა ხანმა ქვეყნის მფარველთა ფადიშაჰის მზრუნველობით გაიმარჯვა. მოწინააღმდეგის ჯარი დამარცხდა, ორივე ძმა დაიჭრა. ერთი მათგანი ერთ სოფელში ვინმე ყარა ისმაილის სახლში დაიმალა, მეორე — სხვა სოფელში, იუსუფ ჩაუშის სახლში, ხოლო მესამე ძმა — ჩობან გირეი ხანი — მოკლეს.

თათართა ხანის სატახტო ქალაქ ყირიმში დაბრუნების შემდეგ ისინი განაპირა ადგილას გადარჩენილების მოგროვებით იყვნენ დაკავებულნი. ამ დროს დიდგეზირმა ნასუჰ ფაშამ შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა, კვლავ არ შეიკრიბონო და გონებამახვილური ცბიერებით მეკმედ გირეის ყველაფერი აცნობა, კეთილი დაპირებებითა და ყირიმის ტახტზე დანიშვნის პირობით სტამბოლში მიიწვია და დიდი პატივით მიიღო. მეკმედ გირეი შეიხ ვეფას [განწმინდოს ღმერთმა მისი საიდუმლოებები] მავზოლუუმის ახლოს ერთ სასახლეში გააჩერეს და სასამელ-საქმელი სახელმწიფო სამზარეულოდან დაუნიშნეს.

მეკმედ გირეი რამდენიმე ხანს გაჩერდა, შემდეგ, როდესაც განსვენებული სულთან აჰმედ ხანი ეღარნეს ლაშქრობაში წავიდა, მეკმედ გირეიც სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად მასთან ერთად წავიდა. დიდგეზირის შუამდგომლობით ფადიშაჰთან კავშირი დაამყარა.

ერთ დღეს, მოგზაურობის დროს, ბედნიერი ხელმწიფე ნადირობდა. როდესაც ქვეყნიერების ფადიშაჰი ჯიხვს თავად მისდევდა, მეორე მხრიდან მოულოდნელად მეკმედ გირეი გამოვიდა, რომელმაც ფადიშაჰის ჯიხვს ისარი სტყორცნა და მიართვა მას. ამ უღიერმა საქციელმა ფადიშაჰი განარისხა. ზოგიერთმა კეთილისმსურველმა სახელმწიფო პირმა ღმერთს მადლობა უთხრა და თქვა: ჩვენ-

მა ბედნიერმა ქვეყნის მფარველმა ფადიშაჰმა ასეთი უქნარა თათარი ასე რატომ დააახლოვაო. ამ უბედურ მტერს, ნადირობისას უყურადღებოდ რომ იყო, იმ ჯიხვისადმი ნასროლი ისარი ჩვენი ბედნიერი ფადიშაჰისათვის რომ მოერტყა, ღმერთმა ნუ ქნას, რა მოხდებოდა მაშინ? შემდეგ მას ათას ნაწილად აკუწავდნენ, მაგრამ გამჩენის მოცქეულს ვანა რაიმე შეეძლო ელონა მისი პატიოსანი სხეულისათვის? ასეთი უზრდელისა და უსაქმურის მოსაცილებლად და დასასჯელად მისი დიდი ხნით შეპყრობა და დაპატიმრება აჯობებსო, — თქვეს. როდესაც ამ მოსაზრებამ უზენაესის გონებაზე მიადგინა. ფადიშაჰმა შეიცვალა თავისი აზრი და ბრძანა: მეჰმედ გირეი დაიჭირეთ, ისევ სტამბოლში გააგზავნეთ და იედი კულეში ჩასვითო. სანამ სულთან აჰმედი ცოცხალი იყო, მეჰმედ გირეი პატიმრობაში იმყოფებოდა. როდესაც შაჰინ გირეიმ გაიგო, რომ მისი ძმა დაპატიმრებული იყო, თავისი ხელქვეითების ერთი რაზმით ირანის მხარეს გაიქცა და ირანის შაჰს შეაფარა თავი. აგი კარგად მიიღეს. სულთან აჰმედისა და ნასუჰ ფაშას ხანა უკვე დამთავრდა.

სულთან მუსტაფას²⁰⁷ ტახტზე ასვლის შემდეგ მეჰმედ გირეი იედი კულედან გაიქცა, მაგრამ ჰაჯი სუი ბაშიმ და ისქანდერ ფაშამ დაიჭირეს [მისი სტამბოლს მოყვანის შესახებ დაწერილებით იყო ზემოთ აღნიშნული], როდოსის კუნძულზე გაგზავნეს და ციხეში ჩასვეს. სულთან ოსმანი ტახტზე რომ ავიდა, დიდგვირი კოჯა ხალილ ფაშა აღმოსავლეთის ლაშქრის სარდლად დაინიშნა. ყიზილბაშებთან ბრძოლის დროს, როგორც ადრე იყო ნახსენები, შემთხვევით მტრის ლაშქრის მთავარსარდალმა ყარჩიხა ხანმა გაიმარჯვა. არდებილის ქვემოთ უამრავი თათარი, თათართა არაერთი მირზა და ჩერქეზთა ბეგები მოწამეობრივი სიკვდილით დაეცნენ. ჰასან ფაშა დაიჭრა, ჯანი ბეგ გირეი ძლივს გადაჩა. ამ დამარცხებაში ბრალი ჯანი ბეგ გირეის დასდეს.

დაპატიმრებული მეჰმედ გირეის მომხრეები ჯანი ბეგ გირეის უბედურების გადმოცემითა და გინებით შეეცადნენ მეჰმედ გირეის ხანად დანიშვნას. მარა ჰუსეინ ფაშამ ყოველი ღონე იხმარა, მეჰმედ გირეი როდოსიდან გამოიყვანა, ხანის სახელო უბოძა და ყირიმში გაგზავნა. მეჰმედ გირეის ძმა, ხსენებული შაჰინ გირეი, რომელიც ირანში იყო გაქცეული, არდებილის ღონისძიებაში შაჰის ერთ-ერთი დამხმარეთაგანი იყო. დიდხანს დარჩა ამ უბედურ ურწმუნოებს შორის. მან მათთან დაამყარა მეგობრობა, სიახლოვე და შიიტობა მიიღო. როდესაც გაიგო, რომ მისი ძმა მეჰმედ გირეი

ხანი გახდა, გადიდგულებული წავიდა და შაჰისგან თათართა ტომის შერყენისა და ურწმუნოთა რელიგიის მათში შეტანის ნებართვა მიიღო. როდესაც თავის ძმასთან მოვიდა, მას უფლისწულობის თანამდებობა უბოძეს. მეჰმედ გირეი სახელმწიფო საქმეებში რბილი და დამთმობი იყო, ვერ დაიცვა თავისი წინაპარი ხანების წეს-ჩვეულებები. დაპარცხებასთან ერთად სხვადასხვა ღონისძიებებსა და გაწეულ საქმიანობებში იგი თავისმა ძმამ შაჰინ გირეიმ შეაცდინა. ძმებმა ერთმანეთის დახმარებით განამტკიცეს თავიანთი ძლიერება და თათართა ტომები დაიმორჩილეს. თათართა ტომებზე გაბატონების, უზენაესის ტახტზე ასვლისა და მათდამი ოსმალეთის მიერ სათანადო სამსახურის გაწევისა და ყურადღების მიუხედავად ისინი არ ამკლავებდნენ, წინაპარი ხანების წესის მიხედვით, ოსმალეთის სახელმწიფოსადმი ქვეშევრდომობისა და დამორჩილების მისწრაფებას. მათი ამპარტავნობა და თავმოწონება თანდათან უფრო მატულობდა. ისინი ყველას ხოცავდნენ, ვისგანაც გრძნობდნენ უკმაყოფილებასა და ღვარძლს. ღაზი გირეის დროს შაჰინ გირეიმ ბიბი ხათუნი დამალა. მან დაიჭირა ღაზი გირეის მიერ მის საძებნელად დანიშნული ჰაჯი აჰმედი. როდესაც უთხრა: რატომ მეძებდიო, ჰაჯი აჰმედმა თავი იმართლა: ხელქვეითი ვიყავი, დამნიშნეს, მე რა შემეძლო, რას გავაკეთებდიო. ჰაჯი აღამ იგი ოთხად აკუწა, ოთხ ადგილას ჩამოჰკიდა. ყველა, ვინც მას ძველი დროიდანვე მტრობდა ან მას არ თანაუგრძნობდა, ვის მიმართაც გულში ღვარძლიანად იყო განწყობილი, დახოცა.

მეჰმედ გირეიმ ამრიგად განიმტკიცა ხანის თანამდებობა და 1030 წელს²⁰⁸, როდესაც ხოტინის ლაშქრობაში წავიდნენ, თათართა ლაშქრით წავიდა და სულთან ოსმან ხანის აღმატებულების ხელისუფლებას შეუერთდა. იმავე ჯუჩის დინასტიიდან გამოყოფილი ტომებიდან ნოღაის ტომის მეთაურმა კანთემირმა იმ ლაშქრობაში ღირსეული სამსახური გასწია, რისთვისაც მას ბეგლარ-ბეგობა უბოძეს. მეჰმედ გირეის შეშურდა, რომ კანთემირმა ფაშას წოდება მოიპოვა. კანთემირ მირზასთან მტრობის გამო თავად კანთემირს სილისტრეს ვიალეთი მისცეს.

ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ მეჰმედ გირეი წავიდა. ყირიმის ტახტს რომ მიაღწია, მისი ბრძანებით შაჰინ გირეიმ ნოღაელებში კანთემირის კარავი დაანგრია. სულთან ოსმანისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. რადგანაც სულთან მუსტაფა სახელმწიფო საქმეებისადმი უყურადღებობას იჩენდა ქვეყანა დაიქსაქსა, სახელმწიფო წყობილებას უეცრად უწესრიგობა დაეტყო

და ყოველი მხრიდან ყაჩაღებმა წამოყვეს თავი, შაჰინ გირეიძაც თავისი შინაგანი სიბილწე გამოაპყლავნა და თავისი ძმა აჯანყებისათვის წააქეზა. შაჰინ გირეიმ თათართა მამაცთაგან ბევრი ისეთი მოკლავრომლებშიც მოწინააღმდეგეს ხედავდა. ამ თათართა ტომის შემოერთებასა და დაქვემდებარების შემდეგ თურმე ვინმე მოძღვარი თავის წრეში წამქეზებელ შაჰინ გირეის ეუბნებოდა, რომ ჩიტის სახელის მქონე პირი ქვეყანას ფაღიშაჰი გაუხდა [იგულისხმება მეკმედ გირეი] და იმას უნდა მართოს ეს ქვეყანაო. ამგვარი ცდუნებით წააქეზა და აიყოლია იგი. იმ ჩიტმაც თავისი ფაღიშაჰობა ირწმუნა, ეს მონაპორი იწამა და ამ სიცრუემ შეაყდინა. მან თათართა დიდი ჯარი შეკრიბა. სისხლისმსმელმა და ცრუმ ეღირნეზე ბოროტი განზრახვა გამოაპყლავნა და გადაწყვიტა, რომ თუ შეძლებენ გამარჯვებას, ოსმალეთის სახელმწიფოს იავარპყოფენ, გაძარცვავენ და დაიპყრობენ. უკეთუ ვერ გაიმარჯვებენ, მაშინ ისლამის ქვეყანაში გაძარცვავენ იმ ადგილებს, სადაც ამის საშუალება ექნებათ, მთლიანად ირანის მხარეს წავლენ და იქ გასაჩერებლად უფლებას გამოითხოვენ. იმ დროს მისი აღმატებულება სულთან მურად ხანიც²³⁹ ტახტზე ავიდა. ეს სასიხარულო ამბავი ბედნიერების ზღურბლში ენობილი გახდა. როდესაც სულთნის უზენაესობამდე მიადწია ცნობამ იმის შესახებ, რომ მეკმედ გირეი და შაჰინ გირეი ასაჯანყებლად გაერთიანდნენ და თათართა ლაშქრით სატახტო ქალაქისადმი ბოროტი განზრახვა გამოავლინეს, გადაწყვიტეს ხანის გამოცვლა. უწინდელი ხანი ჯანი ბეგ გირეი სულთან აჰმედის მსახური იყო. მას მინდობილი სამსახურისადმი უყურადღებობა არ გამოუჩენია. ჯანი ბეგ გირეი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ლაშქრობებში თავის კეთილ სამსახურს ეწოდა, მაგრამ ზოგიერთი ვეზირის მუხანათობით დაითხოვეს. როდესაც მის ადგილას მეკმედ გირეი გაგზავნეს, ჯანი ბეგ გირეი დედაქალაქში მოვიდა და დანიშნული არფალიკით — სანჯაყით დაკმაყოფილდა, როდოსის კუნძულზე წავიდა და იქ განმარტოვდა, როგორც დათხოვნილი.

ახლა მიზანშეწონილიაო ისევ ზემოხსენებული ჯანი ბეგ გირეის ხელმეორედ ყირიმის ხანად დანიშვნა — იფიქრეს სახელმწიფოს ვეზირებმა და სასულთნოს დიდებულებმა. როცა ეს აზრი ფაღიშაჰის უდიდებულესობას მოახსენეს, ჯანი ბეგ გირეის ხანის თანამდებობა უბოძეს და დედაქალაქიდან ოთხი კატარლით გაამგზავრეს ტახტის დასაკავებლად. დასახმარებლად ვეზირი ჰასან ფაშა დანიშნეს სარდლად, კაფუჯი-ბაში მუსტაფა ალა — მისი საქმეების გამგედ, ხოლო შავი ზღვის ფლოტში მყოფი კაფუ ალას ძმა

იბრაჰიმ ფაშა—გამყოლად. ყირიმის მხარის დიდებულ ბეგებსა და თათართა ძირზებს ასეთი შინაარსის ბრძანება დაეგზავნათ: აღნიშნული ყაჩაღების ბოროტი ზრახვების შეცნობა ძნელია, მაგრამ თქვენ მაინც ვერაგობის მიმართ უყურადღებობას ნუ გამოიჩინთ, რადგანაც აუცილებელია მათი მოშორება [ე. ი. ყაჩაღების], ისლამის ჯარმა უნდა გამოიჩინოს საჭირო მტდელობა. ამჟამად ხანად დანიშნულ ჯანი ბეგ გირეის ყველა თქვენთაგანი დაემორჩილეთ და დაექვემდებარეთო.

როდესაც ჰასან ფაშა კაფაში მოვიდა, მეჰმედ გირეიმ და შაჰინ გირეიმ თათართა ჯარი აყარეს და მას შემოხედნენ. ჰასან ფაშამ ეს ამბავი ბედნიერების ზღურბლს მოახსენა.

როცა იბრაჰიმ ფაშა შავი ზღვის ფლოტით ვარნადან მოვიდა, ჯანი ბეგ გირეი ხანი კაფას სანახებში ალი ყადის სასახლეში გაჩერდა, კაფას ცხიდანაც ზარბაზნები გამოიტანეს, თათართა ჯარიდან ზოგი ძალით, ზოგი ნებით გაგზავნეს და მეჰმედ გირეი ხანი გამოითხოვეს.

ტ. II, გვ. 326—332

რეჯებ ფაშას დანიშვნა და მეჰმედ გირეის ბრძოლა

კაფუდან რეჯებ ფაშა ის-ის იყო ხმელთაშუა ზღვით უნდა გამგზავრებულაყო, როდესაც მოხსენება და საერთო თხოვნა სტამბოლში მოვიდა. ის წავიდა შავი ზღვის მიმართულებით, ამიტომ მას მიენდო ამ საქმის დამთავრება. მეჰმედ გირეიზე თავდასასხმელად რამდენიმე ათასი ნოღაელი თათარი და ათასზე მეტი თოფისმსროლელი კაზაკი გამოიყო. ბრძანება დაიწერა ისევ თათართა მუფთის — შეიხ აბუბექრისა და ულემებისადმი. როცა ამას წინათ ჯანი ბეგ გირეი ხანი უზენაესი ფირმანით მოვიდა, შაჰინ გირეიმ წინააღმდეგობა გაუწია, საჭურველი მოამზადა, თათართა ლაშქარიც მიენდო ამ ხსენებულის უაზრო სიტყვებს. თქვენი მზრუნველი ზელისათვის საჭიროა თათართა ტომის დარიგებით დამორჩილება და დაქვემდებარება. ზემოხსენებული ხანის ტახტზე ასასვლელად კაფუდან რეჯებ ფაშა გაიგზავნა ფლოტით. უზენაესი ბრძანება გამოვიდა და დაიგზავნა ყველა თათრის დაქვემდებარების შესახებ. სარდალი რეჯებ ფაშა, ჰასან ფაშა, იბრაჰიმ ფაშა და კაფას ბეგლარბეგი მეჰმედ ფაშა შეიკრიბნენ.

რეჯებ ფაშამ მეჰმედ გირეი ხანსა და შაჰინ გირეის მისწერა

დამრიგებლური წერილები, სდაც იგი ურჩევდა: თათრის ლაშქარი გაფანტეთ, თქვენდამი მიმართული და ბოძებული ჰერსეისა და მორას სანჯაყებიდან რომელიც გნებავდეთ დაიტოვეთ და, თუ სტამბოლში ჩამოსვლა მიზანშეწონილად არ მიგაჩნიათ, იქითა მხარეს წადითო. წერილები ჰაბიბ ეფენდისა და რედვან ალას ხელით გააგზავნეს. შაჰინ გირეიმ პასუხად მიწერა, რომ თქვენი წერილის შინაარსი გავიგეთ. იგი უწინდელ ჩვენს სამემკვიდრეო მამულში მოვიდა ხუთი-ათი დღის შეუსვენებელი სიარულის შემდეგ. ზოგიერთი მუხანათის რჩევით ხანის თანამდებობა ჯანი ბეგ გირეისთვის მიგიციათ, რომელმაც ამ მხარეში მოსვლის შემდეგ რამდენი ათასი ღარიბი კაცი ცხენის ფეხებქვეშ გათელა. განა ჩვენ ისეთი რა დანაშაული მიგვიძღვის, რომ შეურაცხყოფა მოგვაყენეს? რა დავაშავეთ, რომ ჩვენ არ ვუნდივართ? ოთხი-ხუთი მიწა ორ-სამ ათასზე მეტი ლაშქრით, კანთემირის ძმები აქერმანიდან ხუთი ათასიანი ლაშქრით და იუსუფ ოღლის მიწები ამას წინათ თავიანთი ლაშქრით რუსის მხარეზე გადავიდნენ. როდესაც თათრებმა გაიგეს, რომ ჩვენ ყირიმის ვილაიეთში მოვედით, ქაფიურებს ერთ ღამეს თავს დაესხნენ და ათასზე მეტი გაწყვიტეს. დანარჩენები გაიქცნენ. თათრები თავიანთი ოჯახის წევრებით მოვიდნენ. აღი მიწა და ყველა ნოღაელი მიწა, სულთან-ზადეები ათი ათასამდე კაცით ტამანიდან გამოვიდნენ და დღეს შემოვლენო. ამ მხარეს ბევრი ზარბაზანი და თოფია დამზადებული. ამ საქმის ბოლო გაიაზრეთ. ვილაიეთის ხალხმა თავისი ურმები აამოქმედა და ეს-ესაა წავლენ. ეს ქვეყანა ჩვენმა წინაპრებმა ურჯულოებს გამოსტაცეს. როდესაც ურჯულოები დაეუფლნენ საპრძოლო იარაღს, ჩვენი სახლები და სოფლები ცეცხლს მისცეს. სამშობლოდან ჩვენი გადასახლება უსინდისობაა. თუ ყველა დავტოვებთ ჩვენს სამშობლოს და ყირიმის ქვეყანა ურჯულოებს ხელში ჩაუვარდება, მაშინ თქვენი კაფა და სხვა ციხეებიც აღარ გადარჩება. აქ ჩამოთვლილი ყველა აზრი შესრულდება. ახლა თქვენი იმედი გვაქვს, რომ ამ ქვეყანაში არსებული მეჩეთები და მედრესეები არ განადგურდება. ჩვენი მდგომარეობა მოგახსენეთ და კვლავ გვიმსახურეთო.

როდესაც ეს წერილი ომერ ალას მეშვეობით გაგზავნეს, რეჯებ ფაშამ კვლავ პასუხი მიწერა. იგი იუწყებოდა, რომ ამას წინათ ჩვენს დედაქალაქში ყოფნისას ჰასან ფაშასაგან მოსული თქვენი აზრის მოკლე შინაარსი კაიმაკამ მეჰმედ ფაშამ ბედნიერების ზღურბლს მოახსენა. შეიხ ულ-ისლამმა და სხვა ვეზირებმა, კეთილშობილმა სწავლულებმა ბჭობა გამართეს. მაღალი ალაპის შემ-

წეობით, მათ თათბირზე გამოიტანეს დადგენილება იმის შესახებ, რომ სულთანს არ უნდა მოხსენდეს ჯანი ბეგ გირეი ხანის ტახტზე ასაყვანად რომ სახელმწიფო ფლოტით გასამგზავრებლად ჩვენ დაგვინუნესო. მე მხოლოდ ეს [ჯანი ბეგ გირეის ტახტზე აყვანა] მაქვს დავალებული. რაკი საქმე აქამდე მივიდა, ამის შემდეგ საეკვო არ არის, რომ შემოაღნიშნული ამბავი განგების სურვილია. ჩვენ გვყავს ჯარი და გვაქვს ბევრი ზარბაზანი და თოფი — ასე განაცხადა ამაყად [რეჯებ ფაშამ]. ანდაზის „რამდენჯერ მცირე ჯგუფს გაუმარჯვინია მრავალზე“ არ იყოს, გამარჯვება უიმედო არ არის. ამიტომ სხვაზე ნუ იფიქრებთ. ეს რომ განგების საქმეა, ამაში ეჭვი არავის არ ეპარება. გათავდა.

ამის შემდეგ რეჯებ ფაშა ორი თვე კათაში დაჩა. ორივე მხარემ ბევრი იომა. ბოლოს საჭირო გახდა გადამწყვეტ თავდასხმაზე გადასვლა. ურმები მოამზადეს, რადგანაც საჭირო იყო სუფუჩიებთან ერთად წასვლა. გემებიდან დიდი ზარბაზნები გადმოიტანეს, კათას ციხიდან ათი ცალი ზარბაზანი ქურუქჩიებს გამოატანინეს და მეჰმედ გირეის წინააღმდეგ გაემართნენ. ჯანი ბეგ გირეი კი ამბობდა: დღეს, ხვალ თათარი მოვა, მე დაჰემორჩილება, ერთი-ორი კონაკი წავიდეთო. მესამე კონაკზე ასი ათასამდე თათარი და რვაასი კახაკთა მსროლელი, ათასიც ქვეითი მათ წინააღმდეგ აღიმართა. საღამომდე ერთმანეთს ესროდნენ და იბრძოდნენ. ღამე სანჯრების თხრა დაიწყეს. წერაქვი არ ჰქონდათ, თათარმა კი გარშემო მიღამოები აიღო. უკვე ძალ-ღონე აღარ შესწევდათ მტრის შესაჩერებლად. როგორ მოვიქცეთო — სათათბიროდ დასხდნენ. თითოეულმა მათგანმა სიტყვა წარმოთქვა, ხანს უთხრეს რას გვიბრძანებ, თათარი მოდისო. ვთქვათ, არც მომსვლელია და არც წანსვლელი, დღეს ამდენი ხალხი დაეცა სარწმუნოებისათვის, ისინი ასი ათასი არიან, ჩვენ მათი მეთაუდიც არა ვართ. ხვალ რა გამოსავალი გვექნებაო.

ბოლოს ჩორბაჯიებიდან²¹⁰ ერთმა თქვა: გამოსავალი ისაა, რომ ზარბაზნი კათუდან ფაშას სახელით მეჰმედ გირეის წერილი მისწეროს, რომ ქვეყნის მფარველი ფადიშაჰის ფირმანის თანახმად, ჯანი ბეგ გირეი ხანად გახდომის სურვილით კათაში მოვიდა. თათარი არ მოკვდება, იგი ხანის მონააო რომ თქვეს, ამ ცნობილ გამოთქმას საფუძველი არ ჰქონია. ეს ჩვენ გავიგეთ. რადგანაც თათართა ტომი თქვენ ხანობას გთხოვთ, იგი თქვენ ყოვლისშემძლე ალაჰმა გაკურთხათ. ბედნიერი ფადიშაჰისაგან გეგზავნებათ ბრძანება და საპატიო ხალათი. ხვალ, ვიდრე ისინი თქვენს მეგობრობას ზურგს

შეაქცევდნენ და გათელავდნენ, თქვენ მშვიდობით და მდიდრად ჩახვალთ კავში. დილით, უეჭველია, ქვეითი ჯარი თათართა ფეხ-ქვეშ განადგურდება. ამ პასუხს ყველა დაეთანხმება.

ნაბრძანები იქნა წერილისა და ბრძანების დაწერა. მაგრამ განა შესაძლებელი არის სანთლის ანთება? მთვარე ანათებდა. ქათიბმა ოსმან ეფენდიმ წერილი დაწერა, ხოლო აჰმედ ეფენდიმ — ბრძანება. ორივე ქისაში ჩადეს. საპატიო ხალათი მოამზადეს და ზემო-აღნიშნულმა ჩორბაჯიმ წაიღო. ჯანი ბეგ გირეი ხანი შეწუხდა. როგორც კი ეს ბრძანება და წერილი მივა, უსათუოდ მე თქვენგან გამომიტხოვენ, მე ვიცი რაც მოხდება, ახლა გათავდა ყველაფერი. აი მე წავედი, თქვენ მშვიდობით იყავითო — თქვა და თავისი ძმა დევლეთ გირეი და დანარჩენი ხელქვეითები წაიყვანა, ამხედრდა და პირდაპირ კაფას მიაშურა.

ტ. II. გვ. 335—340

კაფას ველზე ფლოტის ჯარის დამარცხება

როდესაც ოსმალებმა დაინახეს ხანის ჯარის წასვლა, ამოქმედდნენ. სად უნდა წასულიყვნენო — თქვეს და მათ ცხენებს კვალდაკვალ მიჰყვნენ. თათართა ჯარში მოძრაობა შენიშნეს. ყველანი ამხედრებულნი მოვიდნენ. ტყვეები, რომლებიც რკინისფეხებიან ზარბაზნებს მიათრევდნენ, ათასზე მეტი იყვნენ. ესენიც ამოქმედდნენ. ჯარი ერთმანეთის ზურგს უკან უწესრიგოდ აქეთ-იქით დაიფანტა. ყველა ზარბაზანი ურპებით ადგილზე დარჩა. [წინასწარმეტყველის მოციქულთა გადმოცემის: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს“] მიხედვით ამოქმედდნენ. თათრებიც მოვიდნენ. მათ ხელთ ჩაიგდეს ქონებითა და ტანისამოსით სავსე ურმები, ზარბაზნები. ამ უბედური თათრების ცხენების ფეხის ქვეშ გაითელნენ იანიჩართა ქვეითი ჯარები, ჯებეჯიები, აზაბები. კაფუდანის ხაზინის ურმებს, მათ მიერ წაღებულ ზარბაზნებსაც დაეწივნენ და შეაჩერეს.

(ბრძოლაში) დაიღუპა ჰასან ფაშა, 44-ე რაზმში ჰუსეინ სული ბაში ჯაირ ჩილადის სახელით ცნობილ ბოლუქის უფროსი, და რამდენიმე ასეული ჯარისკაცი. იბრაჰიმ ფაშამ ოთხ ადგილას მძიმე ჭრილობა მიიღო და კაფაში მისვლის შემდეგ გარდაიცვალა. ათასზე მეტი ქურეჩი დაატყვევეს, 17 ცალი ბალიემეზის ზარბაზანი²¹¹ ხელთ იგდეს, ზარალი დიდი იყო. კაფაში მოსულებმა არ დააყოვნეს და მაშინვე გემს მოაშურეს. მეორე დღეს თათრებით გაივსო

კაფა. შაჰინ გირეი ალი ყადის სახლში შევიდა და დალაღს დააძახებინა, რომ სამ დღეში კაფას მოსახლეობიდან არავინ დარჩენილიყო და გემებით წასულიყვნენ. კაფას მცხოვრებნი ქალებითა და ბავშვებით ნავსადგურში მიცივიდნენ. გემებზე, მეორედ მოსვლის დღესავე, ძალიან დიდი ქიდილი იყო.

ასეთ ვითარებაში გაიარა სამმა თვემ. ბოლოს ბჰობა გაიმართა. კაფას გასათავისუფლებლად იანიჩართა კორპუსიდან გააგზავნეს ვინმე მეჰმედ სუიბაში. ნავსადგურის გარეუბანს მიადგნენ. ციხე უკვე თათრებითა და კაზაკებით იყო სავსე. მეციხოვნეებს უთხრეს: თოფს ნუ ისვრით. წადით, შაჰინ გირეის აცნობეთ, რომ სარდლისაგან მოვედითო. 4—5 ცხენი მოიყვანეს, ამხედრდნენ და შაჰინ გირეისთან წავიდნენ. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ 4—5 საათის სავალ მანძილზე მიიყვანეს მეჰმედ გირეი ხანთან. ერთი-ორი ღამე იქ დარჩნენ, ბევრი სიტყვა ითქვა. ჯანი ბეგ გირეიმ მოკლედ თქვა: ჩვენ მოვედით, თათარი არ მოკვდება, რადგან ის ხანის მონაა. ჩვენ კაფაში ჩავედით და დავბრუნდით იმ იმედით, რომ თათრები მოვლენო. ველოდეთ, მაგრამ არ გამართლდა, ერთი-ორი კონაკი კიდევ წავიდეთო,—ვთქვით,—ჩვენი მიზანი ომი და ბრძოლა არ არის. ეს ისე სიტყვამ მოიტანა. თქვენ იჩქარეთ, ამდენი ზარალი მოხდა. თქვენ გინდათ, აგრეთვე, კაფას ციხის დაპყრობა. ეს რომ თქვეს, მეჰმედ გირეი განრისხდა: ეი, შენ, ჩორბაჯი, ჩვენთან სადავოდ თუ მოხვედი, აქ დავის ადგილი არ არის. რატომ იჩენს ჩემს მიმართ ოსმალთა სახელმწიფო ძალმომრეობას?, მაგრამ ეს შენ არ იცი, — უთხრა და დაიწყო თავისი თავგადასავალი.

ჯერ ერთი, ხანი უკვე არის და რაღა საჭიროა სულთნის სახელით კიდევ ხანის [დანიშვნა]? ჯანი ბეგ გირეის მამა სულთანია, ხანის შვილი კი ხანი არ არის. ბოლოს ხანმა ავადმყოფი დედა მემკვიდრედ გაიხადა, ასზე მეტი ტყვე დედაქალაქში გაგზავნა. რადგან გურჯი მეჰმედ ფაშა კაიმამაკამი იყო, ჩაშნიგირ-ბაში² დილავერ აღამ მას მიმართა: კიზლარ აღა²¹³ მუსტაფა აღას მეშვეობით ხანობა ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ არ მოგვცეს, ჯანი ბეგ გირეის უბოძეს. ჩვენ კი დაბა ვიზეში ჩვენი საქმეებით ვიყავით დაკავებული. ჩვენგან ისეთ რამეს მოელოდნენ, რომ იედი კულეში ჩავსვენეს. ჩემი ძმა შაჰინ გირეი ხელში არ ჩაგვივარდათ, ირანის შაჰთან წავიდა. როდესაც ჩვენ იედი კულეში ვიყავით დაპატიმრებულნი, კაფელმა ყადიმ ცხენები მოიყვანა, ხელსაყრელი შემთხვევა მომეცა

და ციხიდან გამოვედი. ფირეს დაბლობში დამიჭირეს და კვლავ ციხეში ჩამსვეს. შემდეგ ფლოტის გემით როდოსში გადამასახლეს.

ერთხელ, როდესაც მორა ჰუსეინ ფაშა ეგვიპტეში მიდიოდა, როდოსში გამოიარა და პირობა მომცა: თუ ვეზირის ბექედი მელირსა, შენ ყირიმის ხანად გაგხდით. როდესაც ვეზირი გახდა, მან თავის სიტყვას არ უღალატა. ფაღიშაბთან რომ ჩავედი, მითხრა — ბედნიერი იყავი, ხანობა შენთვის კურთხეულ იყოსო და ბრძანება გასცა. როდესაც კატარლით კაფაში ჩავედი, ჯანი ბეგი სტამბოლში წავიდა, ჩვენ კი ირანის შაჰს წერილი მივწერეთ და ოცი წლის მონატრებული ჩვენი ძმა ვთხოვეთ. გამოგზავნა. მხოლოდ ორმოცი დღეა, რაც მოვიდა. ერთი იმართაგანი, რომლებმაც ეს უსიამოვნება მომაცუნეს, მუსტაფა აღა. როდესაც ხანობა მე მეკუთვნოდა, ჯანი ბეგისთვის მიაცემინა. შემდეგ თვითონ იგი გაიციხეს.

ეგვიპტეში მიმავალ მორა ჰუსეინ ფაშას როდოსში შევხვდი. 30000 ახჩა ყავის საფასურით მოვიდა და ჩვენ გაგვიყო. მე მას ვუთხარი: მაღლობა ღმერთს, რომ გაგდებული და გაიციხული გნახე, მე ხანობას ჩამომამორე და დაპატიმრებული აქ გამომაგზავნეს. ეს მტრობა მას გონებაში ჩარჩენია. ახლაც, სულთან მურად ხანის ტახტზე ასვლისას კვლავ მოვიდა [მორა ჰუსეინ ფაშა]. მან აღადგახდომის მეორე დღეს ჯანი ბეგისაგან ორასი ათასი ყურუში აიღო და მისი ხანად დანიშნა გადაწყვიტა, მე კი თქვენთან გამომაგზავნა, — ამით დაამთავრა სიტყვა, მეჰმედ გირეიმ.

ჩორბაჯი უპასუხა: ჩელო ხელწიფვე, თქვენი სიტყვა სწორია, მაგრამ ახლა რისი თქმა გსურთ? თუ კაფაზე თქვენ ხელს არ აიღებთ, ეს დიდი ლაშქრობის მიზეზი გახდება. რაც იყო იყო, ხანობა კვლავ ძველებურად თქვენი და შაჰინ გირეის მემკვიდრეობაში დარჩება. ოსმანთა დინასტიასთან წმინდა გულით იყავით, ტყვეები, ზარბაზნები დაუბრუნეთ, კაფადან თათრები გამოიყვანეთ — ეს რომ თქვა, შაჰინ გირეის მიმართ: თქვენო აღმატებულებავ! სულთანო, შენ რას იტყვი? მან უპასუხა: თათარი და ნოღაელი ბეგები მოვიდნენო.

ბეგისა და მირზას სახელით იმდენი გასაოცარი სახის ხალხი მოგროვდა, რომ მნახველები გაოცდნენ. ბჭობა გამართეს. ყველამ სიტყვა მისცა ჩორბაჯის. ყველა ჩვენგანმა აყვანილი ტყვეები მივცეთო — თქვეს. ლოცვა და ქება-დიდება აღავლინეს. ჩორბაჯი სასახლეში გაგზავნეს. წავიდა და მეჰმედ გირეისათვის მოიტანა საპატიო ხალათი და ბრძანება, შაჰინ გირეისათვის — საპატიო ხალათი, ხოლო სხვებისათვის, მირზებისა და სულთნის სახელით ვინც იყ-

ნენ, 30 საპატიო ხალათი. ზემოხსენებული ჩორბაჯი კვლავ გაგზავნეს. მას ერთი სულთანნი შემოხვდა 300-ზე მეტი ცხენოსნით და მეჰმედ გირეისთან წაიყვანეს. ისინი ფადიშაჰის ბერათს ეამბორნენ, დიდი პატივისცემით მიიღეს, საპატიო ხალათები ჩაიცვეს და ზეიმი მოაწყვეს. სამოცდაშვიდი იანიჩარი, სამოცდაათი ჯებეჯი და ოცდაცამეტი აზაბი²¹⁴ ტყვე წერილთან ერთად ფაშას გაუგზავნეს. ერთი კვირა გაჩერდნენ კაფაში, შემდეგ ხანი აიყარა და უკან დაბრუნდა, კაფულანმა კი შავი ზღვა მოიარა, როდესაც ბოსფორში მოვიდა, შიგ შესვლის ნებართვა არ ჰქონდა და სეკბან-ბაშო²¹⁵ მეჰმედ აღასთან ერთად კვლავ შავ ზღვაში დაბრუნდა. თვე ნახევარი კიდევ იარა, შემდეგ დაბრუნდა და ვერფში [გემოსაშენი ადგილი] შევიდა. მაგრამ ამჯერად ხელისუფლებამ კარგად არ მიიღო.

ჰასან ბეი-ზადე აღნიშნავს, რომ ჯანი ბეგ გირეი ხანად დაინიშნა, დევლეთ გირეი კი სულთნის უფლისწულად იქნა აღიარებული. როდესაც კაფულან ფაშას დაევალა ფლოტით გამგზავრება და ხელისუფალთა შეკრებაში მონაწილეობის მიღება, თათართა ტომებმა ჯანი ბეგის სიყვარულით მისი ქვეშევრდომობისა და ნდობის სურვილი გამოამჟღავნეს. როგორც კი მოვიდნენ, თათართა ტომები მოედინებოთ თქვეს. თავი ამაყად ექირათ. გადაჭრით არ ამყლავნებდნენ ომისადმი ინტერესს. კაფას მიწა-წყალზე გავიდნენ, მეჰმედ გირეი მოვიდა, ლაშქარი რიგებად დააწყო, როდესაც გარდაუვალი გახდა ომი, მოსალოდნელ საპირისპირო შემთხვევაშიაც აუცილებელი იყო ბრძოლა. ბრძოლის დროს მეჰმედ გირეი ხანის თანამებრძოლი ჩობან გირეი ოსმალთა ლაშქარს ცხენით ეძგერა. ბრძოლაში ჩობან გირეიმ გამოიჩინა დიდი სიმამაცე და დაიჭრა. როდესაც იგი გარდაიცვალა, თათართა რაზმებმა თავიანთ სისხლში გამჭდარი ფანატოზში ერთსულოვნად გამოამჟღავნეს, ეკვეთნენ ვეზირების ლაშქარს და დაამარცხეს.

რადგანაც ამ ბრძოლაში თათრები ბევრნი იყვნენ, იანიჩრები და სხვა უამრავი მოსახლეობა დახოცეს, ბევრიც ტყვედ ჩავარდა. თათრებმა იანიჩართა და სხვათაგან აყვანილი მაჰმადის მრევლიც ტყვეებად წაიყვანეს. კაფასა და სხვა ადგილებში ერთ კაცს ერთ კათხა ლუღზე ცვლიდნენ. ეჭვი არ არის, რომ ამ ამბავში უსათუოდ ღვთით მოვლენილი სასჯელი იყო, თუმცა კაფულან რეჯებ ფაშა დამარცხების შემდეგ კაფას გასათავისუფლებლად დამარცხებული-სათვის შესაფერისი სახით აჯა-ვედრების გზას დაადგა. ხანმა ხანობის ფირმანი და საპატიო ხალათი აიღო და მორჩილებაზე დათანხმდა, მაგრამ უეჭველი იყო, რომ იგი სინამდვილეში აჯანყებისათ-

უის ემზადებოდა. ამ ამბის შემდეგ საქმის თანდათანობით გაღრმავებით ძალა მოიკრიბა, თათართა ტომები მთლიანად თავისკენ მიიმხრო და დღითიდღე დაიწყო ლაშქრის გამრავლება.

საქვეყნოდ ცნობილი გაბედული, მამაცი, მარდი და ძლიერი იყო ვინმე მირზა ბეგ ქეთხუდა. იგი შაჰინ გირეიმ შეიწყნარა და თავისთან წაიყვანა, პატივისცემით კარგი ურთიერთობა დაამყარა მასთან. ერთ დღეს მას ჯანი ბეგ გირეისგან მოსული წერილი აღმოაჩნდა. შაჰინ გირეიმ ეს წერილი მეკმედ გირეი ხანს გადასცა. როდესაც შაჰინ გირეიმ დაიჩემა მირზა ბეგის მოკვლა, მაშინ ნება მიეცა და ერთ დღეს წვეულებაზე თავი მოჰკვეთა. შაჰინ გირეიმ გაანადგურა კანთემირ ფაშას ყირიმში არსებული ქონება, სახლკარი დაუწვა, დახოცა მისი ოჯახის წევრები და ქვეშევრდომები, ცოლი შამფურზე წამოაყვია და ცეცხლზე მწვადივით შეწვა. გადმოგვეცემენ. რომ ქალი ფეხმძიმედ ყოფილა, ცეცხლის სიმხურვალისგან მუცელი გასკდომია და ნაყოფი გარეთ გამოვარდნილა.

ამ საზიზლარი ამბების შემდეგ [ისინი] დიდი ლაშქრით კაფადან რუმელიისაკენ გაემგზავრნენ, თავდასხმებითა და თარეშით მოვარდნილი ნიაღვარივით მდინარე დუნაი გადალახეს, დუნაის ორივე მხარეზე მდებარე აქერმანს, ქეილს, ისმაილსა და ცასა და დედამიწის მსგავს ოსმალთა სახელმწიფოს შეესივნენ. ეს ადგილები გახადეს თათართა სათარეშოდ. ეღირნეს ხელყოფის განზრახვით დუნაის ნაპირზე დაბანაკდნენ.

ტ. II, გვ. 335—340

კანთემირ ფაშას ბრძოლა შაჰინ გირეისთან და შაჰინ გირეის
დობრუჯაში²¹⁶ დაგარცხება

როდესაც კანთემირამდე მიაღწია ცნობამ იმის შესახებ, რომ მისი სახლკარი დაანგრიეს, დედაქალაქში მომჩივანი მოვიდა. აბი აიუბი ენსარის²¹⁷ ახლოს გაჩერდა. ფადიშაჰის ზღურბლში საჩივარი და მიშველების თხოვნა წარადგინეს. კანთემირმა შაჰინ გირეის მოსპობის თაობაზე ნებართვის ფირმანი მიიღო. სილისტრეს სანჯაყის²¹⁸ მფლობელი თავისი ლაშქრით დობრუჯას სახელწოდების ადგილზე გაემგზავრა და 30 ათასამდე თათარი შეკრიბა. რუმელიის ემირთაგან ჰაქიქი ფაშა და რამდენიმე სახელოვანი ვეზირი კიდევ გაიერთგულა და შურის საძიებლად მოემზადა. შაჰინ გირეიმ ბაბა დაღზე თავდასხმა განიზრახა. ამ მხარის მოსახლეობამ ბჭო-

ბა გამართა, შეთანხმდნენ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ და უზენაესი ფირმანის მოსვლას დალოდებოდნენ. უმაღლესი ხელისუფლებისაგან მიიღეს პატიოსანი ბრძანება: მთელი ბაბა დაღისა და დობრუჯას ლაშქარი კანთემირ ფაშას შეუერთდეს და უბედურ მტრის გაგდებაში ერთსულოვანნი იყვნენო. ბრძანების თანახმად, ბაბა დაღისა და დობრუჯას ლაშქარი კანთემირს შეუერთდა. კანთემირ ფაშამ ლაშქარი დააწყო. როდესაც ღუნაის სანაპიროზე შაჰინ გირეიზე თავდასასხმელად წავიდნენ, იმანაც ლაშქარი მოაწესრიგა. ისეთი როსტომისებური ბრძოლა მოხდა, რომ გაცეცხულმა ბაჰრამ ფელექმა თავისი ელვარე ხმალი მიწას ჩაარქო. კანთემირმა არნახული გმირობა, მამაცური და ვაჟკაცური თვისებები გამოაჩინა. მისმა ქვეშევრდომებმა და მასთან შეერთებულმა სისხლისმსმელმა ნოღაელებმაც ძლიერი ბრძოლა გამართეს და თავიანთი მოწინააღმდეგეების თავები სხეულს განაშორეს.

ბოლოს კანთემირმა გაიმარჯვა, თათართა სისხლისაგან მდინარე ღუნაი ლალისფერი გახდა. ხმალს გადარჩენილები შაჰინ გირეის ნავში ჩასხდნენ, ღუნაი გადალახეს და გაიქცნენ, ნამუსი და სირცხვილი დაკარგეს. თათრის ლაშქრიდან ურიცხვი ხალხი ხმლით დახოცეს, ძალიან ცოტა გადარჩა, მაღალი ღმერთის შემწეობით ამ ბრძოლაში შაჰინ გირეიზე რამდენადმე მაინც იძიეს შური.

ტ. II, გვ. 340—341

ააზაკთა მიერ იენი ჰოის დაპყრობა

როდესაც ცნობილი გახდა, რომ ფლოტი კაფაში ხანის საქმით იყო გართული, დონის კაზაკებმა შავი ზღვა თავისუფალი ნახეს და 150 გემით შევალის მეოთხე დღეს²¹⁹ ბოსფორის ციხესთან მივიდნენ, იენი ქოი იავარჰყვეს და რამდენიმე დუქანი დაწვეს. მაშინ ბოსტანჯიები და სეკბან-ბაში თავიანთი ჯარებით გემებში ჩასხდნენ და სტამბოლიდან მათ თავს დაესხნენ. კაზაკთა ყაჩაღები ვერ გაუმკლავდნენ, უკან გაიქცნენ ზღვით. ეს წყევულები ისე დაუნდობლად დაესხნენ თავს ბოსფორს, რომ მსგავსი რამ ისტორიაში არ გაგონილა.

ტ. II გვ. 341

ყიზილბაშთა დამარცხება ალთუნ კოფრუში

ყარამანიის ბეგლარ-ბეგი ჩერქეზ ჰასან ფაშა, ჩვეულებრივ, კუნძულსა და ჰასან ქეიფის რაიონში იზამთრებდა. როცა ხმა გავრცელდა, რომ ქოფრუსა და გერგუქში ყიზილბაშთა ჯამაათი იყო, ზემოხსენებულ ქუჩეჟ აჰმედთან ერთად მათ წინააღმდეგ გაემართა. ხილეს იქითა მხარეს ყიზილბაშთა ლაშქარი იყო, გამოლმა მხარეს ესენი დადგნენ. ცოტა ზანს იბრძოლეს. საღამო ჟამს ყიზილბაშთა ლაშქარმა გაიმარჯვა. აჰმედ ალა თავისი ხელქვეითებით თავს დაესხა და თავგამოდებით იბრძოდა. წყეულები გააბრუნეს. ისინი ათი ათასამდე იყვნენ, ამათი რიცხვი კი 4000-ს არ აღემატებოდა. ყველამ ერთბაშად შეუტია და ყიზილბაშთა ლაშქარი დაამარცხეს. მცირე ნაწილი გაწყდა, დანარჩენები გაიქცნენ, გერგუქის ციხეს მიაშურეს.

რამდენიმე ასისტავი და ცოცხალი ყიზილბაში დიარბექირში გაგზავნეს. როდესაც დამარცხებული ლაშქარი გერგუქში შევიდა, იქ მყოფი ყიზილბაშებიც ვერ გაჩერდნენ და გაიქცნენ. ბოსტან ფაშა ციხეში შევიდა და დაიკავა.

ტ. II, გვ. 344—345

ყიზილბაშთა ლაშქრის დამარცხება საქართველოში

ძველი დროიდან საქართველოს მთავრები ოსმალთა დინასტიას ემორჩილებოდნენ, ამდენად, ისინი დაცული იყვნენ ყიზილბაშთა შემოსევებისაგან. ზოგიერთი მათგანი გაიძვერა შაჰის ვერაგობასა და ცბიერებას უურადლებას არ აქცევდა და ყიზილბაშთა მიმართ მორჩილებითა და მოჩვენებითი მეგობრობით სიახლოვესა და კავშირს ამყარებდა. ამასობაში ბევრი კეთილნაშენი ადგილი აოხრდა. ყიზილბაშები მათ საქონელს იტაცებდნენ, ოჯახებს ატყვევებდნენ და, საერთოდ, დიდ ზიანს აყენებდნენ. შაჰის მტრობა და აკვაცობა თანდათან ძლიერდებოდა. ზაგემის მეფე თეიმურაზ ხანმა²²¹ მათი საზიზღარი ზრახვები ვერ აიტანა, საქართველოში ასაოხრებლად მოსულ ხანებს რამდენჯერმე წინააღმდეგობა გაუწია და დაამარცხა. ამჯერად ქართლის მფლობელი მოურავ ხანი, გურჩელი, დადიანი, აჩიკ-ბაში და არაგვის ერისთავი გაერთიანდნენ და საქართველოს

სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარჩიხა ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაშქართან საბრძოლველდ გამოვიდნენ, ზემოხსენებული მოურავი შაჰის ლაშქარში იყო, როგორც მისდამი დაქვემდებარებული პირი. ოცდაათ ათასამდე ყიზილბაში და სახელოვანი ხანები ყარჩიხა ხანს შეუერთდნენ, მათთან ერთად საქართველოს ასაოხრებლად მოურავ ხანიც გამოგზავნეს. ეს უკანასკნელი თეიმურაზ ხანს საიდუმლოდ დაუკავშირდა და შეუთანხმდა: როდესაც ყიზილბაშთა ლაშქარი მიაღწევს საქართველოში შემავალ ვიწრო ხეობას, მზად იყავით და განსაზღვრულ დროს თავს დავესხათო, თვითონ კი თავისი ხელქვეითებით უკან ჩამორჩა. ყიზილბაშთა ლაშქარი ამ ხეობაში შემოვიდა და უდარდელად დაბანაკდა. ყველა განცხრომას მიეცა: ზოგს ეძინა და ისვენებდა, ზოგი კიდევ პურს ჭამდა.

სწორედ ამ დროს მთებში გამოჩნდა ქართველთა ლაშქარი. მოურავი ყარჩიხა ხანს მივარდა და უთხრა: რას გაჩერებულხარ ხანო, ჯარიც გაფრთხილდეს, ამხედრდეს და მზად იყოსო. შემდეგ ხანი ცხენზე შესვა და მიმართა: აბა, ნახე როგორია ქართველების გაწყვეტა, შე წყეულო ყიზილბაშო, თავისი შუბი ყარჩიხა ხანს ილღის ქვეშ აძგერა ისე, რომ შუბი მეორე მხარეს გამოვიდა. ჰე, შე გიაურო, არამი იყოს შენზე შაჰის პური! — წამოიძახა ყარჩიხა ხანმა და ცხენიდან ჩამოვარდა. ყარჩიხა ხანის შვილმა ეს რომ დაინახა — ჰეი, ეს რა ქენი, შე შაჰის მტეროო — შესძახა და მოურავს შეუტია. მოურავმა ხმალი მოუქნია და მასაც თავი და ცალი მკლავი გააგდებინა. ყიზილბაშთა ლაშქარი აირია. სხვა ხანები ვერ მიხვდნენ რა ხდებოდა და სანამ ასე გაოგნებული იყვნენ, ქართველთა ბეგებიც მოცივიდნენ და იმდენი დახოცეს, რომ ოცდაათი ათასი ყიზილბაშიდან სამი ათასმა ყიზლბაშმა ძლივს უშველა თავს. ისინი მისცივიდნენ ცხენებს და შაჰის ლაშქარს მიაშურეს.

ქართველი ვაჟაკები, გამარჯვებით გამხნეებულნი, უკან დაედევნენ მტერს, ყარაბახის საზღვრამდე სდიეს და კიდევ ბევრა ყიზილბაშის თავი გააგორეს მიწაზე. ბრძოლა განთიადიდან საღამომდე შეუსვენებლად გრძელდებოდა. რამდენიმე ათასი ყიზილბაში ხმლით აკუწეს. თვითონ ყარჩიხა ხანს, მის შვილს, ამირგუნე ხანს, მაჰმუდ ხანს, კაზლან ხანის შვილს, შირვანის ხანს — იუსუფს, სულეიმან ხანს და ათ სულთანს თავი მოაჭრეს. მოჭრილი თავები შეაჩვიეს, დროშებთან, ბუკებსა და დოლებთან ერთად ექვსი-შვიდი ათასი თავი და ოცამდე მოენე ტყვე სარდალს გაუგზავნეს.

მოურავის შვილი საქართველოს ზოგიერთ წარჩინებულთან

ერთად რამაზანის 21-ე დღეს²² სულთნის სამხედრო ბანაკში მოვიდა. დახოცილთა თავები ჯოხებზე წამოაცვეს. ბუკებით, დოღებით და მტრის უკუღმა შებრუნებული დროშებით სარდლის კარვის წინ გაიარეს და შემდეგ ამასიის ბეგის მეჭმედის თანხლებით მოკლულთა თავები სტამბოლს გაგზავნეს.

ტ. II. გვ. 345—347

ჯარის ზაგზაჲნა საჰართველოსაკაჲ

მოურავის წერილსა და არზაში ნათქვამი იყო: უკეთუ ისლამის ლაშქარი ამ მხარისაკენ გაემართება, ხელსაყრელი შემთხვევაჲ, მთლიანად განჯის, ყარაბაღისა და შირვანის მოსახლეობა ჩვენ დაგვიჭერს მხარს და დაგვემორჩილება, არღებილის მხარესაც დავიკავებთ. ეს ადგილები მდიდარია პროვიანტიითა და საქურვლით. ამ მხრივ სიძნელეები არ შეიქმნება. ყიზილბაშთა ქვეყანას დიდ ზიანს მივაყენებთ. ბევრი კარგი საქმე გაკეთდება. გარდა ამისა, მისმა კაცებმა სიტყვიერადაც მოახსენეს სასულთნოს და დაბეჯითებით სთხოვეს ირანს გალაშქრება, მაგრამ რადგანაც ჰაფიზ ფაშას დავალებული ჰქონდა ბალადზე გალაშქრება, ამიტომ აქეთკენ გალაშქრებაზე უარი თქვა.

მარჯვენა და მარცხენა ბოლუქებიდან ორი ათასამდე ყულის შვილები ჩაწერეს და შეადგინეს ჯარი მათ ალაბთან ერთად, სერასქერად დანიშნეს ბათუმის ბეგლარ-ბეგი ომერ ფაშა. ზემოხსენებულ სარდალთან გაიგზავნენ, აგრეთვე, რამდენიმე იანიჩარი და ყულის შვილები. გარდა ამისა, მომიჯნავე საზღვარზე მობინადრე ბეგებს წერილობით ებრძანათ, რომ საქართველოს მთავრებთან კავშირი დაემყარებინათ და, როდესაც სარდალი იქ მივიდოდა, ყიზილბაშთა ქვეყანა გაენადგურებინათ და აეოხრებინათ.

კაითაკის მფლობელის ისმი ხანის სახელზეც გაგზავნეს წერილი, რომელშიც ეწერა: ჯართან ერთად მზად იყავით, რათა იქიდან თავს დაესხათ ყიზილბაშთა ქვეყანასო. მაგრამ ამ წელს იმ რაიონში რაიმე მნიშვნელოვანი, კარგი საქმე არ გაკეთებულა. ფეჩევა ამბობს, რომ მოურავის კაცები ჰაფიზ ფაშასთან მოვიდნენ და ითხოვეს დადებითი პასუხი. ჩვენმა ბედნიერმა ფადიშაჰმა ბალადის ალება დაგვაგალა, ხოლო საქართველოსა და შირვანის ქვეყნებში ლაშქრობა არ გვაქვს ნაბრძანებო. მე ძალიან დაბეჯითებით ველაპარაკე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მე არ მგონია, რომ ამ

საქმემ სასურველი შედეგი გამოიღოსო. არ არის მიზანშეწონილი, რომ გაურკვეველ საქმეზე დრო დაეკარგოთ, ხოლო უფრო მნიშვნელოვანი საქმე უკან მოვიტოვოთ. განა ჩვენი ძველი სულთნები და ვეზირები წინასწარ იყვნენ დარწმუნებული ომის მოგებაში, წარმატებაში? მხედართმთავრისთვის საქიროა გამარჯვებისადმი მისწრაფება და ალაჰისადმი მინდობა. განა თქვენ დანამდვილებით იცით, რომ ბაღდადში გამგზავრებით, მისი ალებით მიზანს მიაღწევთ-მეთქი — ვუთხარი. მან თქვა: მაღალმა ალაჰმა ინებოს, გამარჯვებაში დარწმუნებული ვარ, შეიძლება ექვი არც ვიქონიოთო. შემდეგ, როდესაც მე იანიჩართა ალა ხუსრევ ალასთან მივედი და ეს ვუთხარი, მან მიპასუხა: რადგანაც ჩვენ ხელქვეითები ვართ, ჩვენი საქმეა მორჩილება. ჩვენ ამკერალ ნაბრძანები გვაქვს ავასრულოთ სარდლის ბრძანებაო.

მაგრამ კაცმა რომ თქვას, ხუსრევ ალას არ უნდოდა ჰაფიზის გამარჯვება, ამიტომ მან არ მოინდომა აქეთკენ გამომგზავრება. შაჰ აბასის შაჰობის შემდეგ მისგან ჰაფიზ ფაშას ბევრი უსიამოვნება შეხვდა. საქართველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა რომ ჩატარებულიყო, მოსალოდნელი იყო დიდი გამარჯვება. მაგრამ ქათიბ ჩელეზი თავის „ფეზლეჟეში“ ამბობს, რომ ჰაფიზ ფაშამ ფეჩევის არ დაუჯერა და იმ მხარეში ლაშქრობის ცდა უშედეგოდ დამთავრდა. განა შაჰი ვილაიეთის აოხრებით ბაღდადს დათმობდა? რაკი ბაღდადის ალება დავალებული ჰქონდა, ამ დროს სხვა ქვეყანაში წასვლა და წარუმატებლობა უფრო საბედისწერო არ იქნებოდა? ძველ დროს სულთან სულეიმანიც ჩავიდა ნახიჩევანში და ამის შედეგები ისტორიაში ცნობილია. თუმცა ჰაფიზ ფაშას ბაღდადში გამგზავრებით არაფერი გაკეთებულა, მაგრამ ჯარმა გამოცილილება შეიძინა. ისიც გაიკრვა, რომ ბაღდადის ალება არც ისე ადვილი საქმეა.

ტ. II, გვ. 347—348

საქართველოსა და ყიზილბაშთა აშხაბი

მემატთანე ამ შემთხვევას ასე აგვიწერს: სულთან აჰმედ ხანის დროს საქართველოს მეფეთა შთამომავალი, სილამაზით განთქმული, საყვარელი და იშვიათი სიმამაცის კაცი, თავისი კეთილშობილებით ცნობილი თეიმურაზი იმ ქვეყანაში თავისი გარეგნობითა და წარმოსადგობით დიდი მითქმა-მოთქმის საგანი გამხდარიყო. რო-

დესაც შაპ აბასმა გაიგო მისი ესოდენი სიმშვენიერე, მიაღწია იმას, რომ გადმოებირებინა იგი და თავის სამსახურში ჩაეყენებინა. როცა თეიმურაზი სრულწლოვანი გახდა, ხანის წოდებით საქართველოს სატახტო ქალაქ ზაგემში გაგზავნეს. შემდეგ თეიმურაზმა ირანის შაჰს წინააღმდეგობა გაუწია და ვანის ბეგლარ-ბეგ თურქჩე ბილმევ ჰუსეინ ფაშას დახმარება სთხოვა. ჯერ კიდევ დამხმარე ძალების მოსვლამდე საქართველოს ჯარი სასწრაფოდ დაიძრა, ყიზილბაშებს შეეჩახა, ბევრი დახოცა და დიდი ზარალი მიაყენა.

შაპ აბასმა საქართველოს ერთ-ერთი ბეგი—მოურავ ბეგი—გაიერთგულა და მისი საშუალებით თეიმურაზ ხანზე შურის საძიებლად საქართველოსკენ ლაშქარი დაძრა. თეიმურაზი იმერეთში გაიქცა. ირანის შაჰმა საქართველო ააოხრა, ადგილები, სოფლები და, განსაკუთრებით, ქართველთა სამეფო ქალაქი ზაგემი დაარბია და გადაწვა. როდესაც ირანელთა ლაშქარი დაბრუნდა, შაპ აბასმა თავისი ხელქვეითთაგანი, ვინმე ფეიქარ სულთანი, საქართველოში ხანად დანიშნა და ქვეყნის აღდგენა და სამართლიანობის დამყარება დაავალა. რადგანაც ზაგემი აოხრებული იყო, ფეიქარ სულთანმა მდ. კანიკის²²³ ნაპირას ქალაქი ქალხიზი აღადგინა, გაამაგრა და იქ გაჩერდა.

ფეიქარ ხანი დიდ სამართლიანობას იჩენდა და ასე გამოაცხადა: შაჰის სურვილია, რომ ყველამ თავისი სახლი გაიკეთოს, ყანა დაამუშაოს და თავის საქმეს შეუდგესო. ვისაც თესლი არა აქვს, ხაზინიდან მიეცეს სესხად და სამი წლით ყველა სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლდესო. ამ პირობამ მიიზიდა მთასა და ველში გაბნეული ქართველი გლეხობა და დაიწყო მოშენება. ქვეყანა გაშენდა. ყიზილბაშთა შიშით დამალული და გაქცეული ქართველები გამოჩნდნენ და ზარალის გამოსწორება დაიწყეს. ყველა ფეიქარ სულთანს დაემორჩილა, მაგრამ ფეიქარ სულთანი ქართველების სიმრავლემ საგონებელში ჩააგდო. მან შაჰს აცნობა: ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათი ათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე თქვენი ბრძანება როგორი იქნებაო? შაჰმაც ზემოხსენებული კორუჯი-ბაში, ყარჩიხა ხანი და რამდენიმე ათასი ყიზილბაში მოურავ ბეგის თანხლებით საქართველოში გააგზავნა ვითომდა ჯარების შესამოწმებლად. სხვების დასანახად ყარჩიხა ხანს უბრძანა, რომ მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ დაეწყო, და გააფრთხილა, რომ ელოდოს მისგან საიდუმლო წერილსა და ბრძანებას და იმოქმედოს იმის შესაბამისად. ყარჩიხა ხანი და მოურავ ბეგი საქარ-

თველოში ჩამოვიდნენ და გამოსცეს ბრძანება, რომ ფეიქარ სულ-
თანის მორჩილებით შაჰთან კეთილად განწყობილი მოქალაქეები
ამა და ამ ადგილს გამოცხადდნენ, რათა ჩატარდეს შემოწმება და
გაიცეს საბოძვარიო.

თორმეტი ათასი ქართველი შეგროვდა და დანიშნული ადგი-
ლისკენ გაემართა. საიღუმლო ბარათში შაჰი წერდა: შენ რომ კო-
რუჯი-ბაში ხარ, გმართებს დათვალეირების მიზნით შეგროვილი
ქართველები მთლიანად ამოხოცო. მოურავიც არ გაუშვა ცოცხა-
ლი, რაც არ უნდა დაგიჯდეს უნდა მოკლა. წერილი შიკრიკს გაატა-
ნა და თან გააფრთხილა, რომ წერილი მოურავისთვის არ ეჩვენებინ-
ა და ყარჩიხა ხანისთვის მიეცა. მაგრამ მოხდა გაუგებრობა —
შიკრიკმა იმ საიღუმლო შეთანხმებაზე არფერი იცოდა და შაჰის
ბრძანება უკუღმა გაიგო — წერილი მისცა მოურავ ბეგს და არა
კორუჯი-ბაშის. როდესაც მოურავმა ეს წერილი წაიკითხა და ვი-
თარებას გაეცნო, დასათვალეირებლად მომზადებულ თორმეტ ათას
ქართველს ყველაფერი შეატყობინა. ქართველებს ასეთი რამე ვერ
წარმოედგინათ და არც დაიჯერეს. მოურავი, როცა დაინახა, რომ
ქართველებს ვერ დააჯერებდა, გაყუჩდა, ვნახოთ რა მოხდებო. მან
ჯარი შემოიკრა და ყარჩიხა ხანის ზურგს უკან ფრთხილად და
ფხიზლად იყო. შემთხვევით ფეიქარ სულთანმაც ქართველები შე-
კრიბა დასათვალეირებლად. ისინი მთის ხეობიდან ველზე გამოვიდ-
ნენ. ყიზილბაშები მზად იყვნენ. ხეობიდან გამოსული ქართველები
ხმლით აკუწეს. ამგვარად დახოცეს ოთხასამდე ქართველი. რამდე-
ნიმე ჩამორჩენილი უკან გამოიქცა. ეს ამბავი რომ მოიტანეს, ქარ-
თველები მოურავის სიმართლეში დარწმუნდნენ, შეწუხდნენ.
თურმე ფეიქარ სულთანი და ყარჩიხა ხანი შეთქმულან. მაშინ მოუ-
რავი საიღუმლოდ ქართველ მეომრებს შეუთანხმდა, რომ დილით
ყიზილბაშებს თავს დაესხმოდნენ და ამოხოცავდნენ.

ქართველი მეომრები მოემზადდნენ და დილაადრიან მოურავ-
თან შეგროვდნენ. მოურავიც ამხედრდა, აიღო შუბი და მივარდა
ყარჩიხა ხანის კარავს. ხანო, რას გაჩერებულხარ, თეიმურაზი მო-
ვიდა, თავს დაგვესხაო. ყარჩიხა ხანი კარავიდან გამოვიდა და, რო-
გორც კი ცხენზე შეჯდა, მოურავმა მას გვერდში შუბი აძგერა და
მოკლა. როგორც ეს უკვე ზემოთ ვთქვით, წყეულმა ყარჩიხა ხანმა
აქ იზლო საპაგიერო იმესა, რაც მან არდებილის ლაშქრობაში მა-
ჰმადის ჯამათს უყო.

ამრიგად, ანდენი ხანი და ათასობით ყიზილბაში ამოხოცეს. ამის
შემდეგ მოურავმა დამოუკიდებლობისა და საქართველოს შაჰობის

პრეტენზია გამოაცხადა. მან ფული მოაჭრევინა თავის სახელზე ასეთი წარწერით: მონა სიწმინდის მეფისა მოურავ შაჰი [საოცარია, რომ ისლამის აღიარებამდე მან რაფიზილიკთა სექტის სარწმუნოება მიიღო].

როდესაც ირანის შაჰმა ეს ამბავი გაიგო, კორუჯი-ბაშად დანიშნა ისპაჰ ხანი, ამირგუნე ხანთან ერთად რამდენიმე ათასი ურჯულო სისხლისმსმელი აახლა და მოურავის წინააღმდეგ გამოაგზავნა. მოურავმაც შაჰის ამ ურდოს წინააღმდეგობა გაუწია და ბრძოლაში ამირგუნე შუბით დაჭრა მკლავში. ამირგუნე ცხენიდან რომ გადმოვარდა, თავის მოსაკვეთად ოთხი ქართველი აზნაური ეკვეთა. ამირგუნეს მირახორი ახალგაზრდა მეომარი იმ ოთხ აზნაურს შეებრძოლა, ერთი მოკლა და სამი დაჭრა. ამირგუნე ხანს ხელი გაუყარა, ცხენზე შესვა და იხსნა. მაგრამ თავის ქვეყანაში რომ ჩავიდა, ამირგუნე ხანი იმ ჭრილობიდან მიინც ვერ განიკურნა და მოკვდა. ამ ბრძოლაშიც ყიზილბაშის ჯარმა დიდი ზარალი განიცადა და მთავარსარდალთან ერთად მხოლოდ ცოტამ თუ უშველა თავს. ამის შემდეგ მოურავი ბარდას ქვეყანას შეესია და ააოხრა, ქალაქი განჯა ცეცხლს მისცა და საქართველოსკენ იბრუნა პირი.

ყიზილბაშის შიშით თეიმურაზი თურმე გაქცეულიყო და ყარსის მიდამოებში დაძრწოდა. ახლა მან მიიღო ცნობა მოურავის მეოხებით ქართველების გამარჯვების შესახებ. მან იცოდა, რომ მოურავი მეფეთა ჩამომავალი არ იყო, ამდენად მეფობა მისთვის არ იყო შესაფერისი. თეიმურაზმა შეკრიბა ხელქვეითები, თავისი სატახტო ქალაქი ზაგემი აღადგინა და სამეფო ტახტზე დაჯდა. ეს რომ ქართველებმა გაიგეს, პატივი სცეს და მას მიემხრნენ, როგორც მეფის მემკვიდრეს. მასთან მივიდნენ ჯგუფ-ჯგუფად. შორსმჭვრეტელმა მოურავმა ყიზილბაშთა ნადავლიდან რამდენიმე ცხენი და ძვირფასი ნივთები თეიმურაზს გაუგზავნა და ძღვნად მიართვა, წყირილით მორჩილება გამოუცხადა. ამავე დროს მან ისიც გაითვალისწინა, რომ თეიმურაზი არ აპატიებდა და მოჩვენებით თეიმურაზ ხანს დაუტკბა. ცოტა ხნის შემდეგ თავისი წარჩინებულებითა და ხელქვეით აზნაურთა ჯგუფით რუმის ქვეყანაში გაიქცა და ოსმალთა სახელმწიფოს შეაფარა თავი. მან განიზრახა სარდალ ჰაფიზ აჰმედ ფაშას იმ ქვეყანაში [საქართველოში — ნ. შ.] წაყვანა.

მუჰარემის თვეში²²⁵ ქართველები. ყიზილბაშთა მოჭრილი თავებით მოვიდნენ და უზენაესის კარზე დაყარეს.

ტ. II, გვ. 356

ბურჯი მჰამედ ფაშას სიკვდილით დასჯა დედაქალაქში

გურჯი მეჰმედ ფაშა ბედნიერების დედაქალაქს კაიმაშაკამობისას დიდხანს სრული დამოუკიდებლობით, ჰიძლიერითა და დიდებით მართავდა. მან დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ფულის განახლების საქმეში. ზილ-კაადეს თვეში²²⁶ რეჯებ ფაშას მოძალადეებმა იგი წააქეზეს. მათ სიფაჰიებისა და იანიჩართა რაზმები შეკრიბეს და, რადგან კაიმაშაკამ გურჯი მეჰმედ ფაშამ ბაღდადის ლაშქრობას დახმარება არ გაუწიო, მისი მოკვლა მოითხოვეს. ამის შესაბამისი ფირმანი გამოვიდა. უმწეო მეჰმედ ფაშა სასახლეში ჩამოხრჩობით იმკვებუნად გაიგზავნა.

ზემოხსენებული გურჯი მეჰმედ ფაშა იყო საქურისი, გონიერი, მტკიცე ნების, ღირსეული ვეზირი. იგი დაკრძალეს კეთილნაშენ წმინდა აიუბში მის მიერ აშენებულ აკლდამაში. განსვენებულის ნაცვლად კაიმაშაკაში გახდა კაფუდან რეჯებ ფაშა. ბედნიერების კარის ალა კოჯა ალ-ჰაჯ მუსტაფა ალა სირაჯობიდან²²⁷ გათავისუფლდა და სასახლის სამზარეულოს გამგე გახდა. შემდეგ, რადგანაც იმ დროს ჩაუშ-ბაში ჰასან ალა მირახორი გახდა, რეჯებ ფაშა მის ადგილზე კაფუდანად დანიშნით გაბედნიერდა. სულთან აჰმედ ხანის ქალიშვილი, ბედნიერების ვარსკვლავი აიშე სულთანი, ზემოხსენებულ კაფუდან ჰასან ფაშაზე დააქორწინეს.

ტ. II, გვ. 394—395

არზრუმში ლაშქრობის მიზანი და სერასქერის გამგზავრება

ამ ხანებში ირანის საზღვარზე მდებარე ახალციხიდან საგანგებო ამბის მაცნეები მოვიდნენ: ზემოხსენებულ ციხეს ყიზილბაშთა ლაშქარი ათასამდე მეომრით მოადგა, ალყა შემოარტყა, ამი-

ტომ დახმარება ითხოვო. ბჭობა გამართეს და გადაწყვიტეს ღიარბეჭირის ბეგლარ-ბეგ ხოსროვ ფაშას, ალექსოს ვალის ნოლაი ფაშას, მარაშის ვალის ზორ ფაშას, რუმელიის ვალის სულეიმან ფაშას, ღიარბეჭირის ყულის ალაებს, ჩალიქ მეჰმედ ალასთან ერთად, ოთხი-ხუთი ათასამდე კაციანი ლაშქრითა და აზდენივე ბეგლარბეგის ლაშქრისათვის ანატოლიის ვალის დიშლენქ ჰუსეინ ფაშას სერასქერად დანიშვნა და ზილ-ჰიჯეს ხუთს²²⁹ ახალციხის მხარისკენ გაგზავნა. გადაწყვიტეს, რომ დიდებული სარდალიც იპავე მხარეს მათ უკან გამგზავრებულიყო. უფრო ადრე ბოსტან ფაშა არზრუმში აბაზა ფაშასთან²³⁰ გაიგზავნა. იგი ჩავიდა. აბაზაც მათთან ერთად ახალციხის დასახმარებლად გამოვიდა და თვით ინება მათთან ერთად წამოსვლა.

როდესაც ბოსტან ფაშა ჩავიდა, აბაზამ მას საპატიო ხალათი ჩააცვა. ასეთი დიდი პატივის შემდეგ გურჯის კართან კარავი გამოიტანეს და გაშალეს. დიდებულ სარდალს — ხალილ ფაშას — წერილი გაუგზავნეს. ამ წერილში [აბაზა] იუწყებოდა: მე ფადიშაჰის უმდაბლესი მონა ვარ, ვილაიეთი თქვენია, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩემს მომხრეებს ლევენდათის ლაშქრის, განსაკუთრებით იანიჩრების, ეშინიათ. კეთილი ინებეთ და თქვენი კაფუ კულუს ჯარით მუშის მხრიდან²³¹ გაენგზავრეთ, რათა ისინი დაწვიდებული იყვნენო. მეც აქედან ფაშებთან ერთად ახალციხეზე წამოვიდლო. თან უთხოვია მთავარსარდალობა მიბოძეთო.

დიდვეზირმა პასუხად წერილი გაუგზავნა და აუწყა: ამ მხარეში ჯარი არ არის თანახმა, რომ შენ მთავარსარდალი იყო. დაუყოვნებლივ, ბრძანების თანახმად, ამ ლაშქრობაში გამოდი და შეეცადე, რომ რაიმე სამსახური გასწიო. მალაღმა ღმერთმა ქნას. რომ დანაშაული გეპატიოს და ფადიშაჰთან მიღებული ჰირა გახდეთო. ამასობაში აბაზა ფაშამ რამდენიმე შიკრიკი დაიჭირა. ხელთ ჩაუვარდა წერილები, რომლებშიც ჩანდა სარდალის განზრახვა მისი მოკვლის შესახებ. იგი მოიცვა შიშმა და ძრწოლამ. თადარიგი დაიჭირა, ვითომ ახალციხეში წასასვლელად გამოემგზავრა, ილიჯედ წოდებულ ადგილას მოვიდა და არზრუმის ყადი ფაშებს გაუგზავნა. ყადიმ საყვედურით მიჰართა ფაშებს, ეს რა პირმოთხოვბააო. რადგანაც დიშლენქ ფაშა თავისი ევაკაცობითა და მამაცობით ამაცობდა და ამას გარდა უხეშიც იყო, მან ყადის უთხრა: აბაზა რა კაცია, ის პრეტენზიას აცხადებს, რომ მე სამოთხის შვილივით აზნაური ვარო, რომლის წარმომავლობა უკავშირდება ხელმწიფეთა შთამო-

მავლობასო, მე მას ადვილად ჩავიგდებ ხელშიო — ილაცა და
ყადი გააძევა.

ტ. II, გვ. 404—405

ფაშების დამარცხება და მთავარსარდლის მოკვლა

ღიშლენქ ფაშასთან დანიშნული ლაშქარი რომ მოვიდა, აბაზამ შორჩილად მოაჩვენა თავი და გადაწყვიტა მათთან ერთად ახალციხეზე წასვლა. სარდალთან მიწერ-მოწერით მეგობრობა, კეთილი ურთიერთობა გამოავლინა და დიდი თვალთმაქცობით ურთიერთობის შეცვლაზე იმსჯელა. 800 იანიჩარით უწინდელი საწვრთნელი სახლის მეთაური — ალა კატარლით გაგზავნა, ტრაპიზონში ჩავიდნენ და გურჯის კარებთან აბაზას ჯარის ერთ მხარეზე გაშლილ ადგილას დაბანაკდნენ, რათა ახალციხეში ერთად წასულიყვნენ. სინამდვილეში ოსმალეთის სახელმწიფოსა და მთავარსარდლის სურვილი იყო აბაზას რამენაირად გამოყვანა და ვერაგულად სიკვდილით დასჯა. მოჩვენებით მათ შორის გულწრფელი ურთიერთობა იყო. იანიჩრები უშიშრად შევიდნენ არზრუმში, სვაჯრო ადგილებსა და დახურულ ბაზრებში დადიოდნენ და ვაჭრობასა და ალებ-მიცემობას ეწეოდნენ. აბაზას მხრიდან კატეგორიული წინააღმდეგობა არ იყო, მაგრამ აბაზა ფაშამ იცოდა, რომ ადრე ჩადენილ დანაშაულს მას არ აპატიებდნენ და ოსმალთაგან შურისძიებას არ გადაურჩებოდა. იგი მათ საქციელს აღიქვამდა როგორც ცბიერებასა და მის წინააღმდეგ მოფიქრებულ ღონისძიებას. ამიტომ იანიჩართა და სერასქერ ღიშლენქ ჰუსეინ ფაშას ლაშქარში საიდუმლოდ შეაგზავნა სანდო პირები მათი საქმიანობისა და გეგმების შესახებ ცნობების მისაღებად.

ერთ დღეს, როდესაც იანიჩართა ლაშქარში მზვერავი დადიოდა, იანიჩართა ცხენების ერთ-ერთ მომვლელს ცხენი არ დაემორჩილა და როდესაც გადმოავდო, ცხენის მომვლელმა შეაგინა, რა მოგივიდა, ახლა ერთ-ორ დღეში შენც და მეც უბედურებას თავს დაავალწევთო. მრავალი ამის მსგავსი სიტყვა გაიგონა მზვერავმა, მოვიდა და აბაზა ფაშას ამბავი მოუტანა. აბაზა ფაშამ ვაარკვია, რომ ამათ მის მიმართ ბოროტი განზრახვა ჰქონდათ და მაშინვე თავის ჯარს დაავალა საიდუმლოდ მომზადება.

ერთ დღეს გათენებისას (აბაზას ჯარი) ცხენებზე ამხედრდა, არზრუმიდან გამოვიდა და მოულოდნელად თავს დაესხა ოსმალთა

ჯარს, როდესაც იანიჩრებს უზრუნველად ეძინათ. ვინც ხელთ ჩაუვარდათ, არ შეიწყალეს, ხმლით აკუწეს. დანარჩენები მონებად, ტყვედ წაასხეს. იმ ბრძოლიდან არავინ არ გადაარჩა.

მას შეჰდებოდა, რაც მტარვალმა ფადიშაჰის მონების მიმართ ასეთი ვერავაგობა ჩაიდინა, დიშლენქ ჰუსეინ ფაშა ილიჯეს ბანაკიდან არზრუმის ყადს უწმაწური სიტყვებით გაუწყრა. როდესაც ის კვლავ გაიციხა, ფაშები ადგილებზე აღშფოთდნენ და მაშინვე, სამხრის დროს, დიარბექირის მიდამოები გადალახეს და კვლავ დაადგნენ იმ გზას, საიდანაც აბაზას ლაშქარს მოელოდნენ.

ისტორიკოსი ამბობს, რომ ხუსრევ ფაშას სამსახურში მყოფი ვინმე სულეიმან ჩელები გადმოგვცემდა: მე ამ ამბავს ვესწრებოდიო, დიშლენქი და სხვა ფაშები აბაზასაგან შეშფოთებულები იყვნენ, ამიტომ დილაადრიან დიარბექირის ნხარისკენ გამგზავრება გადაწყვიტესო. ღამით შავ ზეწარმემოხვეული გლეხის ტანსაცმელით ერთი ვიღაც ქურთი მოვიდა და თქვა: სასწრაფოდ მიმიყვანეთ ფაშასთან, სიტყვა მაქვს მასთანო. მსახურები მას გაუწყრნენ და უთხრეს: განა ასეთ დროს ფაშას ნახვა შეიძლებაო. თუ შენ რაიმე საჩივარი გაქვს, დილას მოდიო. მან მაშინვე თავიდან მოიხსნა შავი ზეწარი, ძირს დააგდო და თქვა: მე იანიჩარი ვარ, ფუნდუკებში დაბანაკებული ყველა იანიჩარი აბაზამ დახოცა, მე რალაცნაირად დავიმაღლე, გლეხის ტანსაცმელი ჩავიცვი, სული აქ მოვიტანე და გადავრჩიო.

ეს შემოსენებული უდანაშაულო ხუსრევ ფაშასთან შეუშვეს. როდესაც ალაპარაკეს, განცვიფრდნენ. დიშლენქ ფაშას კარავში მივიდნენ და, აცნობეს თუ არა, მაშინვე აიყარნენ და წავიდნენ. ამ ღამეს იარეს, მეორე დღეს გვიან დილით ხეობის ახლოს ერთ ადგილს მიაღწიეს. დიშლენქ ფაშამ თქვა: აქ დავბანაკდეთო. ზორ ფაშამ, რომელიც შორსმჭკრეტელი კაცი იყო, თქვა: ჩემო ბედნიერო, აქ დაბანაკება არ შეიძლება. აბაზა, რომელმაც ასეთი საზიზღრობა ჩაიდინა, ამით არ დაკმაყოფილდება, უკან დაგვედევნება, ახლავე წავიდეთ, ბარემ ხეობა გავიაროთ და იქ დავბანაკდეთო. დიშლენქ ფაშამ უთხრა: ჩემი შვილი ავადაა, დაიტანჯება და უსათუოდ აქ უნდა დავბანაკდეთო და დაბანაკდნენ. ზორ ფაშამ თავის ხელქვეით ბრბოებთან ერთად თქვა: თქვენ თავს ჩვენ ჩავაბარებთ ღმერთსო, ცხენებზე ამხედრდნენ და წავიდნენ. იმ ღამეს მოღრუბლული იყო, დილა წვიმა მოვიდა. ჰუსეინ ფაშამ ტანსაცმელი გაიხადა, მუზარადი მოიხსნა. თავიანთი კარვები და სხვა ნივთე-

ბი გასაშრობად გაფინეს. როდესაც გათენდა, ნამაზის დროს აბაზას ლაშქარმა ცისფერ რკინაში ჩამჯდარი თავებით ცხენები მოამზადა, გამქოლავი ქარივით მოვიდა და ოსმალებს დაეწია. ფაშებსა და ლაშქარს შეეშინდათ. უმცირესობა ცხენებზე ამხედრდა და რიგებად დაეწყო.

აბაზა ფაშას ლაშქრიდან ქორ ხაზინადარი და უმცროსი აბაზა ბევრი ამყოლი სისხლისძსმელით დაეწივნენ, წინ გავიდნენ და ბრძოლა დაიწყეს. პირველ რიგში, ფაშების უმეტესობა დახოცეს, დანარჩენები გაიქცნენ. დიშლენქ ჰუსეინ ფაშამ თავისი აბჯარი მოიხსნა, მწვანე ატლასის ჩასაცმელით გაშიშვლდა და ძრწოლით მათთან ერთად ამხედრდა ცხენზე. ბრძოლის ადგილას აბაზას ხაზინადარი მოპირდაპირე მხრიდან შეეწია და ხელთ რომ ეჭირა, ის შუბი დააძგერა. რადგანაც ჰუსეინ ფაშა ჩამოქვეითებული იყო, იარაღის მოხმარებისა და ცხენზე ამხედრების თადარიგი ვერ დაიჭირა და შუბი ყელში შეურჭვეს. კეფაში გამოვიდა შუბის ერთი მტკაველი წვერი. ხაზინადარმა შუბი გამოსწია და როდესაც აიღო, დიშლენქ ჰუსეინ ფაშა წაიქცა. ჯარისკაცები მივარდნენ, სტაცეს ხელი და ბრძოლის ველიდან განაპირას გამოიყენეს. რადგანაც ის სულთმობრძავი იყო, ქსოვილისაგან დამზადებული საჩრდილობელი მიაფარეს.

დიშლენქის შვილი მუსტაფა ფაშა, ხუსრევის შვილი და ლაშქრიდან ბევრი სხვა სარწმუნოებისათვის წამებით დაეცა. დიარბექირის კულ აღასი ჩალიქ მეჰმედი პირველსავე შეტაკებისას ცხენიდან გადმოვარდა, მაგრამ კვლავ შესვეს. დიარბექირის ბეგლარბეგი ხუსრევ ფაშა, კამეჩივით კაცი, ცხენიდან ჩამოვარდა და გაგორდა. აბაზას კაცები ჩამოვიდნენ, დაატყვევეს და უკან დააგდეს. ტრაპიზონის ბეგლარ-ბეგი ჰასან ფაშა, ბოსტან ფაშა, აგრეთვე ბევრი ბეგი და გამოჩენილი პირი დაატყვევეს და შებორკეს.

როდესაც ცხადი გახდა, რომ სერასქერი დაიჭრა, ფაშების უმეტესობა დაატყვევეს, უამრავი ხალხი დაიღუპა, სხვა ჯარიც დამარცხდა, ჰასან ქეიფისა და მის გარშემო მხარეებისკენ გაიქცნენ. თითოეული მათგანი ცდილობდა თავისი თავის გადარჩენას. ტვირთი და სიმძიმეები აქეთ-იქით დაყარეს, ყველაფერი აბაზას თავისუფალმა ჯარმა იავარჰყო. აბაზა ფაშა იმ ადგილას მივიდა, სადაც დიშლენქ ჰუსეინ ფაშა იწვა. მას ტანზე მწვანე ატლასის პერანგი ემოსა, სხვა არაფერი ეცვა, თვალი დახუჭული ჰქონდა. ქრილობიდან სისხლი სდიოდა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ფარდაგზე მწოლიარე რომ დაინახა, აბაზას ვითომ შეეცოდა, ცხენიდან ჩამოვიდა,

დაჭრილის თავი მუხლზე დაიდო, ჰეი, ძმაო ფაშაე, თვალი გაახილე, რას დამსგავსებინარ, განა მამაცი კაცი ბრძოლისა და მტრობის უამს ტანიდან აბჯარს მოიხსნის, ასეთი ატლასის პერანგით ასე დამშვიდებული იქნება? სადაა შენი ჯაბა და ჯავშანო, ეს აბჯარი რომ გქონოდა, მაშინ სასიკვდილოდ არ დაიჭრებოდი, შემეცოდეო. აბაზამ უდიდესი სიტბო გამოამკლავნა, მოეფერა.

აბაზა ფაშა გადმოგვეცემს, რომ როდესაც მე დიშლენქ ჰუ-ჭინ ფაშას თავი ჩემს მუხლზე დავიდე, მან თვალეზი არ გაახილა და არვითარი პასუხი არ მომცა. მისმა მძიმე მდგომარეობამ შემაწუხა და მივემართე: აი, შენი შვილი ცოცხალია, მოვიდა, თვალეზი გაახილე, შეხედეო. თავისი შვილი ძალიან უყვარდა და ეს რომ ვუთხარი თვალეზი ერთხელ გაახილა და ამოიოხრა, მაგრამ სულთმობრძავე ვერ შეძლო სიტყვის თქმა, თვალეზი კვლავ დახუჭა. მაშინვე მივხვდი, რომ მისი საქმე დასრულდა. მას უკვე სიცოცხლის ნიშანი არ ეტყობოდა.

მემატიანე გადმოგვეცემს, რომ აბაზა ფაშამ ის ჯარი გაძარცვა, ქონება და იარაღი ხელთ იგდო, ბორკილგაყრილი ფაშეზი ცხენებზე შესვა, დიშლენქიც ასეთსავე მდგომარეობაში ცხენზე დაასვენა ფარდაგში გახვეული და არზრუმისკენ გასწია. დიშლენქმა გზაში სული განუტევა. მისი გვანი ცხენიდან გადმოაგდეს და წავიდნენ.

როდესაც არზრუმში მოვიდნენ, ყველა ცოცხლად დაჭერილი იანიჩარი მოედანზე მოიყვანეს და კისერი გააგდებინეს. აღაების ხელთ მყოფი იანიჩრებიდან ზოგიერთი აღაებმა შეიწყნარეს და საიდუმლოდ გაათავისუფლეს. ის კი არა, ერთმა აღამ, იბრაჰიმ აღად წოდებულმა, ერთი იანიჩრისადმი მოწყალება გამოიჩინა და საიდუმლოდ გაათავისუფლა. ის იანიჩარი ისტანბულში ჩავიდა, ამბავი ჩაიტანა და იბრაჰიმ აღას აქებდა.

ამის შემდეგ აბაზამ დაპატიმრებული დიარბექირის ბეგლარბეგი ხუსრევ ფაშა ციხეში გამოკეტა და ერთ ღამეს დაახრჩობინა. მის მიერ დაჭრილი იანიჩართა ჩორბაჯიებიდან სარი ალი და კიდევ რამდენიმე ჩორბაჯი ოთხ-ოთხად აკუწა და არზრუმის ცხენის კედლებზე ჩამოკიდა. დატყვევებულთაგან მხოლოდ ბოსტან ფაშა დატოვა ცოცხალი, დანარჩენები დახოცა. არზრუმსა და მის მიდამოებში ნაპოვნი იანიჩრები და თოფჩიები ამოწყვიტა. მან აღრინდელზე მეტ ბოროტებას მიჰყო ხელი და ყოველ მხარეს რაზმები გაგზავნა, დაბეზსა და სოფლებში წყება-წყებად გამვლელებს

ჩხრეკდა და, როგორც კი ცნობას მიიღებდა იანიჩრებსა და იანი-
ჩართა ხელქვეითებზე, არ ინდობდა და ხოცავდა.

იანიჩრებს, როდესაც იძულებული ხდებოდნენ იმ ადგილებში
გაეცლოთ, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ, გარეგნობას შე-
ცვლის მიზნით სხვა ტანისამოსი უნდა ჩაეცვათ. როდესაც ხელთ
ჩაუვარდებოდნენ, იანიჩრობის დასამალავად სხვადასხვანაირ გან-
მარტებებს აძლევდნენ. ზოგი ამბობდა რაიათი ვარო, ზოგი — მი-
წის მუშაო, ნაწილი კი — ვაჭრები ვართო — იფიცებოდნენ. ასეთი
ამკარა ცრუ სიტყვებით ცდილობდნენ სიცოცხლას შენარჩუნებას.
აბაზას ყაჩაღები კი თითოეულის დაკითხვის დროს იმდენად და-
წვრილებით იბიებდნენ მათ ვინაობას, რომ შემხვედრ კაცს, რომე-
ლიც უარყოფდა თავის იანიჩრობას, დაფაცებას არ ენდობოდნენ,
შესაკრავებს გახსნიდნენ და შარვლებს გახდიდნენ, მუხლებზე შე-
ხედავდნენ, თუ პაჭიქის მონაჭკერი ადგილი შეემჩნეოდა მუხლზე,
ნამდვილად იანიჩარიო, ასკვნიდნენ, და არ შეიწყალებდნენ,
ხოცავდნენ.

რადგანაც იანიჩართა უმეტესობა მუხლამდე შარვალს იცვამ-
და, ამ ნაშნით გასცემდნენ ხოლმე თავს. ვინც იანიჩარი არ იყო,
მაგრამ მუხლამდე შარვლის ჩაცმა ჰქონდა ჩვეულებად, მათ უმრავ-
ლესობას მუხლის სახსარზე შესაკრავის კვალი ემჩნეოდა და
ტყუილუბრალოდ ხოცავდნენ. მათ ხელში ჩაეარდნილთაგან მხო-
ლოდ უმცირესობა იხსნიდა თავს. ამ ამბავმა მთავარსარდალ ჰა-
ლილ ფაშამდე მიალწია, რომელსაც მომხდარი ამბავი აცნობა ჯერ
გაქცეულმა ზორა ფაშამ, ხოლო შემდეგ დამარცხებულმა ლაშ-
ქარმა. დიდი აღშფოთებისა და განცვიფრებისაგან სარდალა სიკვ-
დილის პირას მივიდა, მაგრამ რას იზამ, ალაჰის განგება ასე გა-
მოვლინდა.

ხალხმა სარდალთან ენა წაიგრძელა: შენ ლაშქარი განზრახ
გაგზავნე აბაზასთან გასაწყვეტადო, ეს შენი ბოროტი ღონისძიე-
ბააო. დიდი საყვედურითა და უხამსი სიტყვებით მიმართეს, ამიტომ
არდებილში დამარცხების შედეგად მიყენებულ შეურაცხყოფაზეც
დაიწყეს ლაპარაკი.

ტ. II, გვ. 405—411

ყოჩილბაშთა მიერ ახალციხის ციხის დაპყრობა

რადგანაც ეს შემთხვევა [აბაზას თავდასხმა] ამგვარი შედე-
გით დამთავრდა და ახალციხისათვის მნიშვნელოვანი დახმარების

გაწევა შეუძლებელი შეიქმნა, უბედურმა ყიზილბაშებმა ახალციხის ციხე იერიშით აიღეს, შიგ მყოფი ისლამის მაღიარებლები დახოცეს. მემატიანე ამის შესახებ ამბობს, რომ აბაზა ფაშამ ყიზილბაშებს საიდუმლო ცნობა გაუგზავნა, ახალციხის ციხის ასაღებად წააქეზა და სიხარბე გამოიჩინა. რადგანაც სარდალი მას [აბაზა ფაშას] თავის ერთგულად თვლიდა, ახალციხის ციხისათვის დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნა. იგი [აბაზა ფაშა] ნანობდა, რომ ყიზილბაშები წააქეზა. მას თვითონ სურდა სერასქერობა, მაგრამ ის სარდლად არ დანიშნეს, რადგანაც იცოდნენ მისი [აბაზა ფაშას] ბოროტი ზრახვები. აბაზამ მუხანათობა ჩაიღინა, თუმცა მას ყიზილბაშების ახალციხეში მოწვევა აზრადაც არ მოსვლია.

ტ. II, გვ. 411

სარდლის არზრუმის მხარის გამგზავრება

სარდალმა მსხვერპლშეწირვის დღესასწაულის შემდეგ ბჭობა გამართა და აღნიშნა, რომ არზრუმზე გალაშქრება მნიშვნელოვანიაო. ისინი შეთანხმდნენ და იმ მხარეს გაემართნენ, მაგრამ ლაშქარი მთლიანად სასოწარკვეთილებამ მოიცვა. როდესაც ზილქიჯეს ბოლო რიცხვებში²³² არზრუმის ახლოს ზემოხსენებულ ილიჩეს ბანაკში მივიდნენ, ანატოლიის ბეგლარ-ბეგობა ებოძა ზორ ფაშას. სივასის ბეგლარ-ბეგი თაიარ მეჰმედ ფაშა მოვიდა და სამეფო ლაშქარს შეუერთდა, სახელმწიფო ლაშქარში მასთან ერთად იყო აგრეთვე ქუჩუქ აჰმედი ათასამდე მეომარი. დიარბეჭირის თანამდებობა ებოძა გურჯი მეჰმედ ფაშას, შამისა — ზემოხსენებულ თაიარ მეჰმედ ფაშას, სივასისა — ქუჩუქ აჰმედს.

ტ. II, გვ. 411—412

შაჰის ელჩის ჩამოსვლა სტამბოლში

სტამბოლში ჩამოვიდა ელჩი თაჰმასპ ყული სულთანი შაჰ აბასის წერილით. მან თავისი შვილისათვის ითხოვა ბაღდადი. ძველად, სულთან სულეიმან ხანის დროს ხელშეკრულება დაიდო არსებული საზღვრის მიხედვით. მათ ჯელალიელთა მიზეზით ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს და შეეცადნენ ხელშეკრულების დარღვევას. მათ ლაშქარი შეაიარაღეს და გაგზავნეს. სარდლობა იმ

მხარეში მყოფ შეუზღუდველ საქმეთა რწმუნებულ სარდალ პალილ ფაშას დაევალა და [ელჩი] ასეთივე პასუხით გაგზავნეს. ზაგემის განმგებელ გურჯ თეიმურაზ ხანს შეუთვალეს: ამ წელს ყიზილბაშებზე სალაშქროდ დიდგვირი პალილ ფაშა გაიგზავნა, ამიტომ მთელი შენი ძალ-ღონე მოიკრიბე, შენ და საქართველოს სხვა მმართველები ერთსულოვანნი იყავით და ყიზილბაშთა გასანადგურებლად დიდი გულისხმიერება და მონდომება გამოიჩინეთო.

ტ. II, გვ. 412

ა თ ა ს ო ც დ ა ჩ ვ ი დ მ ე ტ ი წ ლ ი ს²³³ ა მ ბ ე ბ ი

არზრუმის ბარემოცვა

აბაზა ფაშამ იანიჩრებისა და დიშლენქ ჰუსეინ ფაშას დახოცვით, მისი ლაშქრის გაძარცვით, თავისი შფოთიანი და მოჯანყებუნება როგორც უწინ, ისევე ახლაც გამოამჟღავნა. ხალილ ფაშამ ირანელებთან ბრძოლას თავი აარიდა და გასული წლის დასასრულს არზრუმისკენ გაემართა და დაბანაკდა ერთ ადგილას, რომელსაც ილიჩე ეწოდებოდა. წმინდა მუჰარემის დასაწყისში²³⁴ ილიჩედან აიყარა და არზრუმის ციხეში მოვიდა, მის სამხრეთ მხარეში დაბანაკდა. აბაზა ფაშა მაშინაც კი, როდესაც ხალილ ფაშას სილაჰდარი და შეგირდი იყო, მას პატივისცემით არ ექცეოდა. მან კარები ჩაკეტა, ზარბაზნები კარვებიდან მის მხარეს მიმართა, ლაშქარი გარეთ გამოვიდა და დაიწყო ბრძოლა. სარდალს თან არ ჰქონდა ციხის მნგრეველი ზარბაზნები. რადგანაც ბალიემეზის ზარბაზანი არ ჰქონდა, ყარჩიხას მცველის—მოურავ ბეგის—მიერ მოტანილი ერთი ზარბაზნითა და სხვა ზარბაზნებით იბრძოდნენ.

თორთუმის ციხიდან რამდენიმე ბალიემეზის გადმოსატანად კაცი წავიდა, ხოლო ლაშქარი ალყისათვის თადარიგს შეუდგა. მუჰარემის მე-13 დღეს²³⁵, დილით, ციხიდან ლაშქარი გამოვიდა და კარებისაკენ გაემართა. აქეთა მხრიდანაც ლაშქარი ამოქმედდა და ცოტა ხანს იბრძოლეს. აბაზას ლაშქარმა წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლო და ციხეში დაბრუნდა.

ტ. II, გვ. 416

საფარის თვის ოთხში²³⁶ წინათ ყარჩიხა ხანისა და მისი ლაშქრის გამწყვეტი მოურავ ხანი, რომელიც საქართველოს მამაცი და სახელოვანი მმართველთაგანი იყო, ზოგიერთი მიზეზით თავის ძმას განუდგა და სასულთნო ლაშქარში მოვიდა. ზემოხსენებულის ჩამოსვლით ლაშქარი ერთგვარად გაძლიერდა და აღფრთოვანდა, თან ერთი ზარბაზანიც ჩამოიტანა. ოლთის ციხიდანაც ორი ზარბაზანი მოიტანეს და იმავე დღეს სანგრებში შევიდნენ. ჰასან კალეში ლაშქარი მოვიდა და შვიდი ოყის მსროლელი კალინბურნის ზარბაზანი და რამდენიმე თოფისწამალი მოიტანა.

საფარის თვის 18-ში²³⁷ უწინ კარა ოღლანის სახელწოდებით ცნობილმა თავზეხელაღებულმა იანიჩარმა სამხედრო რაზმში გასული სიფაჰის რამდენიმე იანიჩრით სისულელე ჩაიდინა და არზრუმის ციხისკენ გაემართა, მაგრამ თოფებით მოკლეს, სარწმუნოებისათვის დაეცა. სამი ზარბაზნის ერთდროულად გასროლით ციხეს ზიანი ვერ მიაყენეს და მიწის თხრა დაიწყეს.

ტ. II, გვ. 416—417

თოვლის მოსვლა, ზამთრის დადგომა და სარდლის დაბრუნება

კასიმის დღემ გაიარა და ზამთარიც დადგა. საერთოდ, არზრუმში მკაცრი ზამთარი იცის. რები ულ-ევეელის მე-16 ლამეს²³⁸ დიდი თოვლი მოვიდა და კარვები და სანგრები დაფარა. მოუმზადებლად, უდროოდ წამოიწყეს ალყის შემორტყმა. მას შემდეგ, რაც აუცალებელი შეიქმნა 70 დღე იქ ყოფნა, იძულებული გახდნენ დაბრუნებულები იყვნენ. ციხე-სიმაგრეზე ხელი ჩაიჭინეს და ჰასან კალეში 1000 ჯარისკაცი გაიგზავნა. იუსუფ ფაშა მის მცველად დაინიშნა.

მეორე დღეს ჯარი ნელ-ნელა დაადგა თოვლით დაფარულ უგზო ხევებსა და მთებს. პირდაპირ თოკათისკენ გასწია. მომდევნო დღეს ისინი ილიჯეს ბანაკში მივიდნენ. რადგანაც ზარბაზნების წაღება შეუძლებელი იყო, იმ ბანაკში მიწაში ჩამარხეს. როდესაც ჩილაღე-ზადეს ჩიფთლიქის²³⁹ მენზილში მივიდნენ, აბაზა ფაშა თავისი ლაშქრით უკან გამოედევნა. მენზილში დატოვეს წინათ ბოსტანჯი-ბაშის თანამდებობიდან გადაყენებული სიფაჰიების ალა, სამხედრო ტვირთი და ჯარი. დიდი ზარალი მოუვიდათ. თერჯანიდან ლაკიას ხეობით აფშარის ველზე გავიდნენ, კუილი ჰისარის ხე-

ბის გზით რები ულ ახირის მე-11 დღეს²⁴⁰ ქალაქ თოკათში შევიდნენ, ჯარი დაშალეს, ულუფა დაურიგეს და საჭირო დახმარება აღმოუჩინეს. ვეზირები და წარჩინებულები ყაზარმებში შევიდნენ. ამ გზაზე 25 დღე ლაშქარი თოვლზე წვებოდა და დგებოდა. ძლიერი სიცივის გამო ბევრ მათგანს სხეულის ნაწილები მოეყინა, ბევრი კიდევ გზაში გაიყინა. როდესაც გაიარეს უბაშბელად წოდებული ფათერაკით სავსე ადგილი, სიცივისაგან გაიყინენ, ცოცხლად დარჩენილების რაოდენობა არ იცოდნენ. 1000-ზე მეტ გაყინულ კაცს თოკათში ხელ-ფეხი მოაჭრეს. თოკათის ფუნდუკებში, ბაზრებსა და დუქნებში ძლიერი სუსხისაგან უმრავლესობას კრუნჩხვა დაემართა და დაიხოცა. ისტორიას არ ახსოვს ვინმეს განეცადა მსგავსი ტანჯვა და უბედურება.

მთებში უგზო-უკვლოდ სიარული ზოგჯერ ძალიან ჭირდა. ადამიანები და ცხოველები სხდებოდნენ თოვლზე და ციგებივით ასე, სრიალით, ჩამოდრიოდნენ მთიდან ქვევით. ხეობებში ნახევარ წყრთამდე ბილიკზე ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ ისე, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელი იყო. ამ ბილიკიდან ცხენი განზე რომ მოხვედრილიყო, ყურებადმდე თოვლში ჩაეფლებოდა და გამოსვლა გაუძნელდებოდა.

როდესაც ჯარი ასე ერთ მწკრივად მიდიოდა, მთის ზემოდან ამოვარდნილი ქარის გამო თოვლის ზევეები, რომლებიც უზარმაზარ მთაზე უფრო დიდი იყო, ადგილიდან წყდებოდა და მოულოდნელად ლაშქარს ეცემოდა. ასზე მეტი კაცი, ვისაც ეს ბედად დაეცა, თავიანთ ცხენებთან ერთად დააგორა და ზიღნეს ხევში ერთად ჩაყარა. ცხენი და კაცი მთებივით თოვლის ქვეშ რჩებოდნენ და იხრჩობოდნენ.

მე, მწირმა, როდესაც ტრაპიზონიდან თოკათისა და სივასის რაიონებში მივიდიოდი, დავინახე, რომ შავი ზღვის ნაპირებიდან საქართველოს ერთ მხარეზე და ქურთისტანისკენ პირდაპირ გაგრძელებულ დიდ მთებზე ორი შუბის ოდენა და კიდევ მეტი თოვლი იყო. მთის ზემოდან როგორც კი ჩახვიდოდი ხეობაში, დაინახავდი, რომ დაგროვილი თოვლი ძლიერი სიცივისაგან გაყინულიყო. თებერვლის დღეებში დედამიწის ორთქლის სიმბურვალისაგან დნება თოვლის გროვების ქვედა ნაწილი. როცა გამოხრული ფიცრის ფორმას მიიღებს, იმ მთაზე არსებული ორი შუბის სისქე თოვლის დიდი ბორცვების სიმძიმისაგან მიდამოები სკდება, შემდეგ მოწყდება თავის ადგილს და პირდაპირ ხვეისკენ ვარდება. მის წინ 1000 ცხენოსანიც რომ იყოს, ერთიც ვერ გადარჩება, ყველას მოაგრო-

ვებს და ხევს გაავსებს. იმ მხარის ხალხი მას ზევს ეძახის. ტრაპიზონიდან მთა ადგილისკენ პირდაპირ ხევის ნაპირიდან წყება-წყება წავიდნენ. გზაზე ისეთი ზევი მოწყდა და ჩამოვარდა, რომ ოცამდე კაცი თავიანთი ცხენებით მოაგროვა და ხეობაში ჩაიტანა. დანარჩენები წინ ვერ წავიდნენ. იმ მიდამოებში მდებარე სოფლების მოსახლეობას თავი მოუყარეს და დაიწყეს იმ ხალხის თოვლიდან გამოყვანა. ოთხი კაცი ცოცხალი გადარჩა, სხვები ცხენებთან ერთად მკვდრები ნახეს. ღმერთმა გვაშოროს, ეს ისეთი მოულოდნელი უბედურებაა, რომ მას ვერაფრით ვერ აიცილებს კაცი.

ტ. II, გვ. 417—419

ჯანი ბეგ ზირეისათვის ხანის თანამდებობის ბოძება

ყირიმის ხანი მეკმედ გირეი თავის ძმასთან — შაჰინ გირეით წოდებულ ყაჩაღთან ერთსულოვანი გახდა და სამეუფო ნების საწინააღმდეგოდ რამდენადმე არასასურველად მოიქცა. ამას წინათ რეჯებ ფაშასთან ბრძოლაში რომ გაიმარჯვა, სხვა ბრძოლებს აგდებულად დაუწყო ცქერა. შემდეგ მისი ძმა შაჰინ გირეი დობრუჯისკენ დაიძრა, მაგრამ კანთემირთან ბრძოლის დროს დამარცხდა და გაიქცა. მერე ოსმალთა სახელმწიფომ კანთემირს უბოძა გომულჯინეს სანჯაყი, თან გააფრთხილა, რომ თათარ ხანის ამოსაწყვეტად თადარიგი დაეჭირა. აი ამ კურთხეულ წელს რამაზანის თვის ბოლოს²¹ ყირიმის ხანობა ჯანი ბეგ გირეი ხანს ებოძა და მისი ძმა დევლეთ გირეი მემკვიდრე გახდა.

ზემოხსენებული ხანის [ჯანი ბეგ გირეის] ყირიმის ხანად დასაყენებლად კათუდანის ვეზირი ჰუსეინ ფაშა დანიშნეს და სახელმწიფო ფლოტი, რომელიც სამოცი კატარლისა და 35 ფრეგატისაგან შედგებოდა, ბრძანების შესასრულებლად გაგზავნეს. ამავე დავალების შესრულება უბრძანეს ვეზირ ბინ ლევკელი ჰუსეინ ფაშას, ქენან ფაშასა და კანთემირ მირზას, რომლებიც ხმელეთით გაემგზავრნენ.

როდესაც სახელმწიფო ფლოტი კაფაში მოვიდა, მეკმედ გირეიმ და შაჰინ გირეიმ სასტიკი ხოცვა-ჟლეტა გამართეს, მაგრამ, რადგანაც მათ არ შესწევდათ წინააღმდეგობის გაწევის ძალა, დატოვეს ეს ქვეყანა და ამჟობინეს საკალიბის ქვეყანაში გაქცევა.

ჰასან ფაშამ ბრძანების თანახმად ჯანი ბეგ გირეი ყირიმის ხანის ტახტზე დასვა, იქიდან ოზის [ოჩაკოვის] წყალზე მოვიდა.

რადგანაც ისლამის ქვეყნის საზღვარი იყო, უღვთო რუსებისაგან დასაცავად ციხე გააშენეს და ყველაფერი რაც საჭირო იყო მოამზადეს, ჯარი ჩააყენეს. ჰუსეინ ფაშა იქ ოზის დასაცავად დარჩა, კაფუდანი ჰასან ფაშა სასულთნოს დედაქალაქში დაბრუნდა, კანთემირი კი ნოღაის ტომებსა და თავის ტომებში გაერია და თავისი გავერანებული სახლ-კარის შეკეთებას შეუდგა.

ტ. II. გვ. 425—426

ღამათბაგითი ცნობები ჯანი ბეგ ბირეის, მემეღ ბირეისა და შაჰინ

• ბირეისთან დამოკიდებულების შესახებ

მემეღ გირეი და შაჰინ გირეი ბრძოლაში დამარცხდნენ, მაგრამ პოლონეთის მხარეში გაქცევის შემდეგ კვლავ უღვთო რუსების შემწეობით გამოჩნდნენ. პოლონეთის მეფის დახმარებით 40000-მდე ქაფური ჰეტმანით და მათი აყილი თათართა ლაშქრით მოვიდნენ და ჯანი ბეგ გირეი ხანის დასამარცხებლად ყირიმისკენ გაემართნენ. ჯანი ბეგ გირეი ხანმაც თავისი ლაშქარი შეკრიბა, კანთემირსა და ნოღაის ტომებს დახმარება და მოშველიება სთხოვა.

ოდეს მოაწია განკითხვის უამმა, კანთემირის ბიძაშვილები სულეიმან შაჰ მირზა, ევრაჟ მირზა, თათარ ხანის ძმა — ტახტის მემკვიდრე სულთანი ოთხივე მხრიდან თავს დაესხნენ. გადაწყვიტეს გაწყვეტამდე ბრძოლა. მემეღ გირეი და შაჰინ გირეიც, დამხმარე 40000 ურჩი კაზაკით, რომლებსაც პოლონეთის მეფის მხრიდან მეთაურობდა სახელგანთქმული წყეული ჰეტმანი, გაემგზავრნენ. როდესაც მოვიდნენ, თათარ ხანიც წინ აღუდგა, პირისპირ დაუდგა და ხოცვა-ჟლეტა გამართა. იმ დღეს კაზაკთა ღორებმა უამრავი თოფებით ტყვიის წვიმა დაუშინეს. თათართა რაზმიდან ძალიან ბევრი დაიხოცა.

სალამოს ხანმა თათართა ემირებთან ბჭობა გამართა. ეს წყეულები ნამდვილად ძლიერები არიან, ამათთან თანამიმდევრული ბრძოლა არ შეიძლება, ჩვენ ყველას ტყვიით დაგვეცხრილავენ. ამიტომ სასწრაფოდ მივენდოთ ალაჰს, თვალები დავუბნელოთ მათ და ოთხივე მხრიდან ერთდროულად თავს დავესხათო, ერთ ბათქ ცეცხლს რომ მივაყრიოთ, მეორე ბათქი შეუსვენებლივ მივაყოლოთ, შიგ შევიჭრათ და ხმლით ხელჩართული ბრძოლა გავუმართოთ. იმედი, რომ გამარჯვებას მივალწევთო, თქვეს. ამ სიტყვის მიხედ-

ვით გადაწყვეტილება გამოიტანეს. მეორე დღისთვის ოთხივე მხრიდან თავდასხმა დათქვეს.

გათენებისას, აღნიშნული დათქმის მიხედვით, ერთის მხრით — ბრძოლის გპირი კანთემირ შირზა, მეორე მხრით — ერთ-ერთი ბიძაშვილი სალმან შაჰ შირზა, მესამე მხრით — სახელმწიფო ლაშქრით თათარ ხანი და მეოთხეს მხრით — მემკვიდრე სულთანა, ერთი სიტყვით, ოთხივე მხრიდან დაესხნენ თავს. ეშმაკთა ლაშქარმა ისრების წვიმით დახოცა მოწინააღმდეგენი. ციური სამყაროსათვის მოსაწონი გმირული ბრძოლა გაიმართა.

„კარგი შეგირდი ოსტატია, ოსტატთავანო“, — ითქვა. შეგირდის ინტერესის გამოჩენა მისი სახელგანთქმულობა არისო. მეჰმედ გირეისა და შაჰინ გირეის ლაშქარში მყოფ თათართავან ბევრი, რომლებიც ამ ქვეყნად ქაფირ რუსებსა და ისლამის მალღიარებლებთან ერთად ხოცვა-ჟლეტაში წინააღმდეგობის გაწევის გამო დაიხოცებინან, იმ ქვეყნადაც მათთან განისჯება, დაკარგავს სარწმუნოებას; ურწმუნონი ცეცხლში აღმოჩნდებიან, ამ მოსაზრებით ბრძოლაზე ხელი აიღეს. წყეული კაზაკები საოცარმა ხმალმა გაანადგურა, იმ თათრებმა კი ბოლოს წინდახედულობა გამოიჩინეს და ჯანი ბეგ გირეის ქედი მოუხარეს. თათარ ხანის ლაშქარმა დიდი დახმარება აღმოუჩინა, ერთხელ იგი ამ ურჯულოებს თავს დაესხა და კაზაკებს თვალები არ გაახელინა, რომ თოფები დაეტენათ.

როდესაც წინააღმდეგობა გაუწიეს, მონღოლთა და თათართა ხალხის ბუნებრივ „კეთილშობილებაში“ ჩაქსოვილი დიდი სისხლისმსმელობა გამოავლინეს და ხმალი მაგრად მოიქნიეს. ამ ბრძოლაში მათ ჰეტმანებსაც თავები მოჰკვეთეს. მეჰმედ გირეის მარჯვენა მხარეზე — მკერდზე თოფი დაახალეს. როდესაც შაჰინმა ეს მდგომარეობა ნახა, ხმალს გადარჩენილებთან ერთად რამდენიმე გემით წავიდა და გაუჩინარდა.

ჯანი ბეგ გირეი ხანმა ამ დიდი გამარჯვების მოპოვების შემდეგ დახოცილებს შორის მეჰმედ გირეის გვაჰი მოაძებნინა. იგი რელიგიური რიტუალთ განბანეს, სულარა შემოახვიეს, ნამაზი აღავლინეს და საფლავში ჩაასვენეს. დახოცილი კაზაკების თავები და ჰეტმანის თავი აიღეს და დაბრუნდნენ. როდესაც კაფაში მივიდნენ, კაფას ბეგლარ-ბეგმა მეჰმედ ფაშამ ზარბაზნები გაასროლინა. გამარჯვებულმა სახელმწიფოს მოღვაწეებმა, უბედური მტრის განადგურების გამო, საზეიმო ცერემონიალი მოაწყვეს, ჰეტმანის გაცივე-

ბული თავი კაფას ციხის ქონგურებზე ჩამოაცვეს. თვითონ ჯანი ბეგ გარეი ყირიშის ხანის სატახტოში წავიდა.

ტ. II, გვ. 426—428

ა თ ა ს ო ც ღ ა თ ვ რ ა მ ე ტ ი წ ლ ი ს²⁴² ა მ ბ ე ბ ი

გამარჯვებული ლაშქრის გამგზავრება არზრუმისაკენ და აბაზას მიმართვა ირანის შაჰისადმი

დიდებულმა სარდალმა ხუსრევ ფაშამ, როგორც აღნიშნული იყო, ლაშქარი ერზინჯანში გააგზავნა. მიღებულ იქნა ცნობა აბაზას გადმობირებით შეპყრობის შესახებ. ჯერ კიდევ უწინდელი სარდლის დროიდან აბაზას ლაშქარი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა და მას ემორჩილებოდა. ხუსრევ ფაშას გაბედული ანბისა და აბაზასგან მოსული ხალხისადმი მომეტებულად დიდი პატივისცემით მოპყრობის გამო აბაზას მომხრეთაგან ძალიან ბევრი მოვიდა და მოულოდნელად დანებდა ხელისუფლებას. [აბაზა ფაშა] იძულებული გახდა თათბირი მოეწვია ირანის შაჰისგან დახმარების მიღების თაობაზე. აბაზა ფაშამ თავისი ქეთხუდა და ჩოფურ ბექირი ქუჩუქ აბაზასთან ერთად შაჰთან გაგზავნა. შაჰმაც შემსი ხანთან ერთად რამდენიმე ათასი ყიზილბაში გამოაგზავნა. ყარსში დატყვევებული მოენისაგან სარდალმა გაიგო, რომ ჩოფურ ბექირი შაჰთან დარჩა. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სანამ აბაზა უყურადღებოდაა, საჭირო არის სასწრაფოდ მასთან მისვლაო — თქვეს.

დიდებულმა სარდალმა დავთარდარ ფაშას მძიმე ტვირთი და ზარბაზნები ჩააბარა და მკაცრად გააფრთხილა: შეეცადეთ თქვენც საჩქაროდ აბაზას ადგილსამყოფელამდე მიაღწიოთო. თვითონ კი მსუბუქად, რამდენიმე ათასი გულადი მეომრით, საქმიანი ხალხით გაეშურა და არზრუმს მიაღწია. აბაზას აზრით, სარდალს თავის ურიცხვი ლაშქრით მხოლოდ ათი დღის შემდეგ შეეძლო მისვლა. ალყისთვის საჭირო საჭურველი როგორც წესი და რიგი იყო, ისე ვერ მოამზადა, ამას გარდა ბევრი მებრძოლი ციხეში არ შემოიყვანა, არც პროვიანტი, მარცვლეული და საქონელი შემოიტანა.

როდესაც დაინახა, რომ ოსმალთა ჯარმა მოულოდნელად მიიტანა იერიში და არზრუმის ციხეს ალყა შემოარტყა, შეშფოთდა, ციხეში შეაღწია და კარები ჩაკეტა. ამჯერად გაიგო, რომ უყურადღებობისა და სიამაყის გამო მოტყუებული დარჩა. გარეთ დატო-

ვებული საბძროლო იარაღები, ცოხისათვის აუცილებელი ნევთები, პროვიანტი და საქონელი იავარქმნალ იქნა, ლაშქარი კი დახოცეს. რადგანაც კალოობის დრო იყო, ქანჩისა და არზრუმის სხვა სოფლების კალოებზე ბორცვები იდგა, მაგრამ ისლამის ლაშქარს არ ჰქონდა მისი ათვისების შესაძლებლობა. დიდებული სარდალი გასული წლის ზილ-ჰიჯეს უკანასკნელ რიცხვებში²⁴³ არზრუმის ქვემოთ ჩამოვიდა, მეორე დღესაც მთელი ლაშქარი ზარბაზნებით იერიშზე გადავიდა.

გადმოგვცემენ, რომ აბაზას ნდობით აღჭურვილმა პირმა კეისარიელმა შეიხმა, რომელიც არზრუმის ციხის ზღურბლზე ავიდა და ხუსრევ ფამასთან მოსულ ლაშქარს უთვალთვალედა, აბაზას უთხრა, რომ ეს მოსული ჯარი ამ ციხეს აიღებსო, სხვა გამოწავალი არ არისო. — ასე იწინასწარმეტყველა. მე, მწირო, ვამბობ. რომ ყოფილა ვიღაც ცბიერი და გაიძვერა ვინმე, — იბლის საქმეებში გამობრძმედილი. „მატყუარას ყულფის“ მსგავსად, აბაზას მიერ დანთებული ცეცხლი დროთა განმავლობაში ადამიანთა სიმრავლის გამო შენელდა, ახალი სარდლის საყოველთაო აღიარებამ და მის მიერ აბაზას მომხრეების კეთილმა მოღებამ აბაზას მომხრეთა დაფანტვა და ბევრი უარყოფითი რამ გამოაშქარავა, განსაკუთრებით: სარდლის მოულოდნელად თავდასხმა, ქერისა და ხორბლის მიწდერებზე დატოვება, მტრის გარემოცვის დროს საჭირო საჭურველთა რაოდენობის შემცირება. ყველაფერი ეს უბედურებას მოასწავებდა. აბაზა მიხვდა, რომ ციხე აღებული იქნებოდა და ამიტომ ეს [ციხის აღება] სასწაულად გამოაცხადა.

ტ. II, გვ. 434—435

არზრუმის ციხის ბარჯოცვა და აღება

ისლამის ლაშქარმა, რომელიც კარგად შეიარაღებული იყო ზარბაზნებითა და სხვა იარაღ-საჭურვლით, როდესაც არზრუმს მიალწია, თავრიზის კარად წოდებული კარის წინ გაიარა და ციხის სამხრეთ მხარეზე, მთიან ადგილას — დევე ბონში [ასე ეძახდნენ იმ ადგილს] დაბანაკდა. მუჰარემის მეექვსე დღეს²⁴⁴ ღამე სანგრებში შევიდნენ, ცოხეს ალყა შემოარტყეს, ზარბაზნები დააწყვეს. დიდვეზირი რუმელიის ლაშქრით, ჰასან ფაშა გარეუბნის მხრიდან შვიდი ზარბაზნით. სივასისა და ანატოლიის ჯარით, იანიჩართა ალა ერზინჯანის კარიდან ხუთი ზარბაზნით, აჰმედ ფაშა

ვერცხლის გუმბათის მხრიდან და მოუტრავ მეჭმედ ბეგი გურჯის კარიდან მოადგნენ და სანგრები გააკეთეს. მათ ციხის კედელი დააზიანეს და დაიწყეს მიწის თხრა. მეციხოვნეებმა სწრაფად დაიწყეს ბრძოლა ზარბაზნებითა და თოფებით, მაგრამ რადგან გასული წლის მსგავსად ყოველ ბურჯში რამდენიმე ასეული მებრძოლი ვაჟაკი და დანგრეული კედლების მაშენებელი ჯარი არ ჰყავდა, აბაზა მიხვდა, რომ ციხის დაცვაში უმწეონი იყვნენ.

ამასთან ერთად არზრუმის ციხე ძალიან გამაგრებული, ცაღაწვდილი და მტკიცე სიმაგრე იყო, ზარბაზნით მისი დანგრევის კი არა, ერთი ქვის მოგლეჩის შესაძლებლობაც არ იყო. განსაკუთრებით კი მის გარშემო მდებარე ღრმა ორმოების ფსკერს ვერ ჩაწვდებოდნენ. მის ცაღაწვდილ კოშკებსა და ბურჯებს თვალს ვერ მიაწვდენდით. მაშინ, როდესაც ზარბაზნებით შეტევითი გამარჯვების მოპოვება არ იყო მოსალოდნელი და ცხადი გახდა, რომ ხუსრევ ფაშას მცდელობით ისლამის ლაშქარმა ძლიერი თავდაცვა მოაწყო, აბაზა ფაშას შეეშინდა. ამ დროს დიდებულმა სარდალმა ერთგვარად სასიამოვნოდ იეშმაკა. აბაზასთან მოსული ქვეშევრდომებითა და თანამოაზრე პირებით აბაზასა და მის ხელქვეითებს საიდუმლოდ აცნობა, რომ თუ ისინი ბრძოლაზე ხელს აიღებდნენ, თითოეულ მათგანს ბოლუქში [ჯარის ნაწილში — ნ. შ.] გაიყვანს და ყველას პატივისცემით მოეპყრობიანო. ამის მტკიცე პირობა მისცა და დაარწმუნა.

ამ დამონებულმა ბრბომ დაპირება მშვიდობის, უშიშროებისა და პატიების შესახებ ბედნიერებად მიიჩნია და დაიწყო დიდგვზირის ჯართან შეერთება. ერთბაშად რამდენიმე ასეული სიფაპიების ბოლუქის ჩამოყალიბებით მათი გული დამშვიდდა. დანარჩენებმაც პროვინციებს მიაშურეს. აბაზას ლაშქარი მცირე იყო და თანაც არ ჰქონდა შორს განჭვრეტის უნარი. იძულებითი მორჩილებით მათ დაიწყეს მზადება სულის გადასარჩენად.

მუჰარემის თვის 19-ში²⁴⁵ შეიხი და ყველა მისი საქმეების წინამძღოლი კაისერიელი სეიდ აბდურაჰიმ ეფენდი უღემებისა და შეიხებისაგან შემდგარი ექვსი კაცი თ ციხიდან გარეთ გაგზავნა და მაღალღირსეულ სარდალს შეწყალება სთხოვა. ამასთან, პირობა დადეს, რომ მათი ქონებისა და ქვეშევრდომებისათვის ზარალი არ უნდა მიეყენებინათ, ჩადენილ დანაშაულს მოინანიებდნენ, დიდებულ სარდალს დაემორჩილებოდნენ, თავს შეაფარებდნენ და ციხეს ჩააბარებდნენ. ხუსრევ ფაშამაც შეიწყალა და ალუთქვა კანონით ხელშეუხებლობა. აბაზა ფაშამ მიმარ დამად მუსლიპიდდინ აღას ცი-

ხეში მისვლა სთხოვა, რადგანაც იგი [დამად მუსლიჰიდილინ ალა] იმ დროს სახელმწიფოს ალათა შორის ყველაზე სახელოვანი იყო, ამასთან ხუსრევ ფაშა მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი და პატივისცემით ექცეოდა. აბაზა ფაშა ფიქრობდა: თუ ის, დამად მუსლიჰიდილინ ალა მოვა, ციხიდან მასთან ერთად გავალო. მისი სიტყვების პასუხად ბინაი მუსლიჰიდილინ ალა კეისარიელი შეიხს გააყოლეს და ალთქმისა და შეწყალების ფირმანით შიგ შეაგზავნეს.

აბაზა დიდვეზირისა და იანიჩართა ოჯახების პირობასა და ალთქმას მიენდო და პარასკევ დღეს, ლოცვის დროს, თავისი ამალით გურჯის კარიდან გამოვიდა და დიდებულ სარდალს ეწვია. სარდალშაც ვეზირობის შესაფერისად განადიდა და დიდი პატივი აღმოუჩინა. აბაზამ წარსულ დანაშაულობათა პატიება ითხოვა. დიდვეზირმა უთხრა: რაც იყო იყო და მას სიასამურის ქურქი, ხოლო მის ალაებს საპატიო ხალათები ჩააცვა, შეიწყალა და ყველა თხოვნა შეუსრულა, არაფერი არ დააკლო. ალაებს უბოძა ბოლუქი და 600 საგანგებო რჩეულ კაცს ჯებეჯიობა მისცა. მას [აბაზას] დაეკისრა არზრუმზე ხელის აღება და ჯართან შეერთება. აბაზა კვლავ თავისი ამალით აიყარა და გულდამშვიდებული ციხეში შევიდა. ამის შემდეგ დიდვეზირი შიგ სასახლეში მიიწვია და უხვად გაუმასპინძლდა. ამ დროის განმავლობაში აბაზამ თავის მიერ შეძენილი საუცხოო და იშვიათი საჩუქრები და ძღვენი მიართვა მას. შემდეგ თავისი კარვები გამოიტანა, უზენაესი სარდლობის ერთ მხარეს ეს კარვები გამართა, მთელი თავისი ნივთები და მძიმე საგნები გამოიტანა და ციხე ჩააბარა, თვითონ თავისი ქვეშევრდომებით კარვებში დაბინავდა და სახელმწიფო ლაშქარს შეუერთდა.

ამის შემდეგ ციხის დანგრეული და დაზიანებული ადგილები შეაკეთეს, დიდვეზირი ციხის თოფხანაში მოვიდა და რვა ზარბაზანი გამოიტანა, ხოლო მის მაგივრად ამდენივე თავის მიერ მოტანილ ზარბაზანი დააწყო. ბაღდადისთვის 12 ზარბაზნის დიარბექჩრში გადატანა გურჯი მეჰმედ ფაშას მიანდო.

საფარისთვის მეცამეტეს²⁴ არზრუმის ვილაიეთი თაიარ მეჰმედ ფაშას ებოძა. მის დასაცავად დაინიშნა ჰასან კალეს ჯარები და 3000 იანიჩარი სამსუნჯი-ბაშიებით. ამ დროს დიდებულმა სარდალმა თავისი მადლიანი სამსახურის სანუქფოდ არზა გამოგზავნა. ეგვიპტის ვილაიეთი იანიჩართა ალასთვის — ხალილ ალასთვის ითხოვა; მაგრამ მისი თხოვნა უზენაესმა არ მიიღო. ეგვიპტის ვილაიეთი ბაირამ ფაშას მაგივრად უბოძეს სტამბოლის ყოფილ ალას — მუსტაფა ალას სამსახურიდან გამოსულ კაფუდან ჰასან ფაშას თა-

ნამშრომელს — მეჰმედ ფაშას, რომელიც ალბანეთის მხრიდან იყო ჩამოსული. იგი (დიდი ხნის განმავლობაში) დედაქალაქის აღას — მუსტაფა აღას — ემსახურებოდა. როდესაც თავისი ნიჭითა და შემართებით აღარ მუთეფერიკების დირლიქს²⁴⁷ მიაღწია, მაშინ ზემოაღნიშნული აღასთვის სამსახურის გამწევ სახელმწიფოს ზღურბლზე წავიდა. იგი გახდა კაფუჯიების ქეთხუდა²⁴⁸. ამის შემდეგ ბაირამ ფაშას ადგილზე ვეზირობის რანგით ეგვიპტის ვალი გახდა. მას სახელი ჰქონდა განთქმული ჰკუით, გონიერებითა და გულუხვობით.

როდესაც ხუსრევ ფაშას არზა არ მიიღეს, გამოვიდა უზენაესი ფირმანი — იანიჩართა აღაებიდან ხალილ ფაშას აბაზას ადგილზე — არზრუმის ვალის თანამდებობაზე დანიშნის შესახებ. აღას თანამდებობა ებოძა ბაკი ფაშას ქეთხუდას — მეჰმედ აღას. ბაკი ფაშას ქეთხუდა მეველვი მეჰმედ აღა დედაქალაქიდან აღას თანამდებობით მოვიდა, როდესაც ის კარაეში შევიდა, მის მემკვიდრეს — სივასი და ქუჩქუ აჰმედს — დამასკოს ვილაიეთი უბოძეს.

ტ. II, გვ. 435—438

დავატაბითი ავაბი უმისი ხანის მდგომარეობის შესახებ

შაჰმა, როგორც აღნიშნული იყო, აბაზა ფაშას დასახმარებლად რამდენიმე ათას ყიზილბაშს სარდლად დაუნიშნა საზიზლარი ურუმუნო შემსი ხანი. იგი არზრუმში გააგზავნეს. როდესაც ისინი არზრუმში მიდიოდნენ, დიდებულმა სარდალმა ჰენებით მიასწრო. მათ გზაში გაიგეს, რომ არზრუმში გარშემორტყმული იყო. ისინი იმედდაკარგულნი უკან დაბრუნდნენ.

ყარსის ვალიმ ქოსე სეფერ ფაშამ ცნობა მიიღო, რომ მათ განზრახული ჰქონდათ ყარსზე გავლა, მის გარშემო მიდამოების გათელვა და ყარსისათვის ზარალის მიყენება. ზემოხსენებულმა ფაშამ, რომელიც მამაცობითა და გულადობით იყო სახელგანთქმული, შეაგროვა დიდი რაოდენობის ლაშქარი და ყარსის ჯარით ჰენებით გაემართა, ყიზილბაშები დააზვერვინა და დაბანაკებულ ადგილას მოულოდნელად თავს დაესხა. მათი უმეტესობა ხმლით აკრწეს. შემსი ხანი თავისი ხელქვეითების ერთ ბოლუქთან ერთად ცოცხლად დაიპირეს და სარდალთან მიიყვანეს. ამ მოსაწონი სამსახურისათვის ფაშა საპატიო ხალათითა და საბოძვარით განადიდეს.

ჩოფურ ბეჭირმა ნიგდეში რომ მოკლა ქოსე სეფერ ფაშა, ეს სხვა სეფერ ფაშაა. რადგანაც თავისი სამსახურის სანაცვლოდ არტა-ანი დასხვა სანჯაყები ითხოვა, მას თხოვნა შეუსრულეს და ყარსი იბრაჰიმ ფაშას უბოძეს. ამ საპატიო გამარჯვებით ღირსეული სარდლის სახელი და მისადმი პატივისცემა გაორკეცდა. პასან კალემი მყოფმა დელი იუსუფ ფაშამ, რომელმაც გაამაგრა იგი [ციხე], აბაზას არ მისცა, რამდენჯერმე მამაცობა გამოიჩინა და სასწრაფოდ სარდალს წერილით აცნობა აბაზას უზრუნველობა. სარდალმა მასაც (დელი იუსუფ ფაშას) უხვი საბოძეარი, კეთილი საქმეებითა და დაწინაურებით პატივი აღმოუჩინა.

ტ. II. გვ. 438—439

ა თ ა ს ო ც დ ა ც ხ რ ა მ მ ტ ი წ ლ ი ს²⁴⁹ ა მ ბ ე ბ ი

მოურავ ზემის თავადასავალი კონიის მოსახლეობასთან

მემატლანე მოგვიტხრობს, რომ უკვე იყო ლაპარაკი საქართველოს სანჯაყის ემირის მოურავ ბეგის ყარჩიხა ხანთან შებრძოლებისა და იმ გმირობის შესახებ, რომელიც მან რამდენიმე ათასი ყიზილბაშის გაჟლეტაში გამოიჩინა არზრუმში გალაშქრების წელს. მოურავმა სარდალს მორჩილება გამოუცხადა და არზრუმის დაპყრობასაც დაესწრო. როცა მოურავი სტამბოლს ჩამოვიდა, მას ოსმანთა დინასტიის წინაშე დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს ყიზილბაშთა განადგურება. მან მამამდიანობა მიიღო, სახელად მეჰმედი დაირქვა და სათანადო პატივის მიღების შემდეგ ყარამანიის ვილაიეთი ებოძა. მოურავი ქეშმარიტად გულადი, გონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონისა იყო, მაგრამ მართვა-გამგეობის საკითხებში უმეცარი და, ბუნებრივია, მიდრეკილებას იჩენდა მჩაგვრელობისა და ძალმომრეობისადმი. ამ დროს ერთმა გონებამახვილმა ლექსი გამოუთქვა, რომელშიც პირველი პირით გადმოცემულია მოურავის ინტიმური საუბარი. მელექსემ ამ ლექსით გამოამჟღავნა იმათი შური და შეურაცხყოფა, ვინც გულგრილი არ იყო მოურავისათვის ვილაიეთის ბოძებით.

მოურავმა ერთი თავისი ხელქვეითი, ვინმე უსამართლო ხუცესი, მუთესელიმად დააყენა და აზნაურთა ერთი ჯგუფით კონიაში გააგზავნა. მისი ხელქვეითები, უპირატესად სპარსულ ყაიდაზე, ფერად მანდილს იხვევდნენ თავზე. ოსმალურ ზნე-ჩვეულებათა

უცოდნარი ქართველების ეს ბრბო დაესია ხალხს და იწყო ქონების დატაცება და დიდკაცთა შეჭირვება. ზოგჯერ ქალიშვილს თმას გადაარსავდნენ, უწვერ-ულვაშო ვაჟივით შესვამდნენ ცხენზე და ასე დაატარებდნენ. აუტანელი მდგომარეობა შეიქმნა. ქალაქ კონიის შეუპოვართა და დაუცხრომელთა სათავეში იყო ვინმე იბრაჰიმ ჩელები. რომელსაც აკკაშ ემირ-ოლლუს ეძახდნენ. იგი, ცნობილი თავისი ბრაზიანობითა და კადნიერებით, კეთილ სეიდთაგანი იყო და ნაკიბის მოადგილის თანამდებობა ეჭირა. როცა მუთესელიმი კონიის ველზე იყო დაბანაკებული, მან [იბრაჰიმ ჩელებიმ] შეკრიბა მუსლიმანთა ბრბო, მოიკრიფა ძალ-ლონე და თავს დაესხა ქართველთა ბანაკს. ამ სეიდმა იბრაჰიმმა მუთესელიმს წაავლო ხელი კისერში, გარეთ გამოაგდო, შემდეგ წაიყვანა და კონიის ციხეში დაამწყვდია. სხვა ქართველები, როცა ეს ამბავი გაიგეს, დაიფანტნენ. როცა ქართველებს ეს ზიანი მიაყენეს, სეიდ იბრაჰიმის რჩევით, კონიის მცხოვრებლები შეიკრიბნენ და იჩივლეს მოურავ ბეგის ხელქვეით ქართველთა და მუთესელიმის მიერ ჩადენილი უსამართლობის, სიმკაცრის, ქალაქში მომხდარი გაუპატიურებასა და ძალმომრეობის შესახებ. ვილაიუთის ყადისაგან მიიღეს ნებართვა და სეიდების, ულემათა და სხვა შეჭირვებული წარმომადგენლებისაგან შემდგარ მომჩივანთა მთელი ჯგუფი თხოვნა-საჩივრით პირდაპირ დიდვეზირ ხუსრევ ფაშასთან გაემგზავრა. მათ დიდვეზირს პეტიცია გადასცეს და კვნესითა და ოხვრით შესჩივლეს. სარდალმა გაიგო პეტიციაში აღწერილ მიმძღავრებასთან დაკავშირებული ამბები და ქართველთაგან ჩადენილ უმსგავსოებათა და უწყესობათა შესახებ ყველაფერი, რაც მომჩივნების მიერ იყო გადმოცემული. მართლაც, ბევრი უსამართლობა და სიაცე, რომელზიდაც ხმები დადოდა, დადასტურდა. მოურავს შეეშინდა და გაიქცა. მის დასადევნებლად იმ მხარეში გაიგზავნა ანატოლიის ბეგლარ-ბეგი, რომელიც ხსენებული თვის რვაში გაემგზავრა ერეგლიში. მოურავთანვე გასაგზავნად დაინიშნა ნიგდეს სანჯაყ-ბეგიც. საფარის პირველში²⁵⁰ ჰალაბს მივიდნენ და გოქმეიდანში დაბანაკდნენ.

ტ. III, გვ. 4—6

ხუსრევ ფაშას მიერ მოურავის მუხანათურად მოკვლა

ქათბი ჩელები ამბობს, რომ ზემოხსენებულმა მოურავმა წინათ ყარჩიხა ხანი დაარბია და უამრავი ყიზილბაშთა ლაშქარი გაწყვიტა.

დაეყრდნო რა მის მიერ ოსმალთა სახელმწიფოსათვის გაწეულ ამ დიდ სამსახურს, იგი მოვიდა სარდალ ხალილ ფაშასთან და თავისა სჯულიდან მოიქცა. მაგრამ საქართველოს მმართველობის საქმეებში გაჩვეული მოურავი მაჰმადიანურ სახელმწიფო ვითარებაში კომპეტენტური არ აღმოჩნდა და მის სამმართველოში წესრიგის დამყარების საქმეში მზრუნველობა ვერ გამოიჩინა. ყარაამანიასი მას მიეტმასნა ზოგი ბოროტმოქმედი, რომლებიც მძლავრობასა და უწესრიგობას ჩადიოდნენ, სახელი კი მისი იყო. ამიტომ მომჩივნები დიდვეზირს ეახლნენ. მეგობრებმა მოურავს უთხრეს, რომ ხუსრევ ფაშა მოსისხარი ვეზირია, შეიძლება შენ გაგიჟეტოს კედევაცო. მოურავი საგონებელში ჩააგდეს და წააქეზეს რომელიმე მმართველებით გაქცეულიყო. ვინაიდან მოურავი ამ ქვეყნის ვითარებას არ იცნობდა, ასე მსჯელობდა: საქართველოს ლტოლვილი სასურველად გილს რომ მოაღწევს, მას მფარველობას გაუწევს, გამოეჟიკმაგებიან და გადაარჩენენ, ასევე ამ ქვეყანაშიაც შესაძლებელი იქნება თავის შველაო. რადგან არ იცოდა გზაკვალი, არ იცნობდა ადგილებსა და ხეობებს, ის მალათიისაკენ გაემართა. ზორ ფაშა, რომელსაც დაეკალა მოურავის დაქერა, უკან დაედევნა და მიეწია. მან ჯერ ცბიერებით კაცი გაუგზავნა და აცნობა თავისი აზრი, რომ გაქცევით თავის შველა უაზრო იყო და არც წინააღმდეგობის გაწევა იქნებოდა შესაძლებელი. უმწეო მოურავმა გაიგო, რომ წინააღმდეგობის გაწევა უსარგებლო იყო და უნებლიეთ დაემორჩილა. თვითონ მოურავს, მის შვილსა და ხელქვეითებს ბორკილები დაადეს და საფარის მე-14 დღეს²⁵¹ ჰალაბს მიიყვანეს. ამ დროს დიდვეზირმა თავისი კარვის ფარდა გახსნა და სკამზე დაჯდა. მოურავი სპეტაკწვერიანი და საშუალო ტანისა იყო. ხელშებორკილი და ყვითელხალათჩაცმული ცხენზე დაესვათ. დიდვეზირმა ბრძანება გასცა თავი მოეკვეთათ მოურავისა და მისი შვილისათვის. აგრეთვე 40—50 მისი ხელქვეითისათვის. ჯერ მოურავის. მერე მისი შვილისა და მისი ხელქვეითების თავები მიწაზე გააგორეს.

ხუსრევ ფაშა სისხლისმოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქრისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ესოდენ დიდი დამსახურები ჰქონდა. მოურავმა უარყო თავისი მცდარი სჯული და მაჰმადიანობა მიიღო. ამგვარი მოქმედებით ხუსრევ ფაშამ რანის შაჰს შური აძიებინა მოურავზე.

ისტორიაში ყველასათვის გასაგებად აღინიშნა, რომ ამიერიდან მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან ვინმემ ოსმალთა სახელმწიფოს მიმხრობა არ ისურვოს. ირანის შაჰს რომ რამდენიმე ათასი იუქი ანჩა გაეღო და ქვეყნები დაემკვიდრებინა, ოსმალთა სულთნები ასეთ საქმეზე არ დათანხმდებოდნენ, მას გონიერულ საქმედ არ ჩათვლიდნენ. ამ უმეტარმა ვეზირმა კი მხოლოდ იმისათვის, რომ სისხლი დაეღვარა, ასეთი საზიზღარი ვერაგობა ჩაიდინა. კიდევაც რომ დადასტურებულიყო, რომ მოურავი ხალხს უსამართლოდ ექცეოდა, ძალდატანებით მოქმედებდა და ჩაგრავედა მათ, მას საზოგადოებრივი უფლებები უნდა ჩამოართმეოდა და გაესამართლებინათ, შექმდე კი გაფრთხილება მიეცათ, რომ ძალადობა აღარ ჩაედინა. უფრო შესაფერი და მიზანშეწონილი იყო ასეთი ღონისძიებით დაკმაყოფილება. ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობაა. მაგრამ, ნათქვამია, კაცის მკვლელი კაცის ხელითვე მოკვდებაო, თვითონაც მისი ბედის გახდა და მსგავსი სასჯელი მიეზლო.

ტ. III, გვ. 6—9

ა თ ა ს ო რ მ ო ც ი წ ლ ი ს²⁵² ა მ გ ე ბ ი

უღვთო რუსების ბრძოლა თათრებთან

ამას წინათ ჯანი ბეგ გირეი ყირიმის ტახტზე დაჯდა, კანთემირიც ნოღაელთა ტომიდან თავისი ხალხის ემირი და მფარველი გახდა. მეჭმედ გირეი მოკლეს, ხოლო შაჰინ გირეი უმწეოდ გარიყეს. ჯანი ბეგ გირეიმ თათართა ტომს უბრძანა რუსთა ქვეყანაზე თავდასხმა. ყირიმისა და კაფას თათრებთან ერთად რუსთა ქვეყანას თავს დაესხნენ: ერთი მხრივ, მისი ძმა, სულთნის მემკვიდრე, მეორე მხრივ, ნოღაელ თათართაგან თავისი ტომით კანთემირი და მესამე მხრივ — კვლავ კანთემირის ნათესავთაგან სახელოვანი ემირი სელმან შაჰ მირზა ერთი ბრბოთი. მათი ჩვეულების შესაბამისად, ღამის თავდასხმა მოაწყვეს და რუსთა ქვეყანა ააოხრეს, მათი თავკაცები დახოცეს, ოჯახები დაატყვევეს და დაამწუხრეს.

როდესაც უამრავი ნადავლით ბრუნდებოდნენ, თურმე უღვთო რუსები ადგილ-ადგილ ჩასაფრებულებიყვნენ და რაზმები დაეყენებინათ. სულთნის მემკვიდრეს ჩაუსაფრდნენ, ძლიერი ბრძოლა

გაუმართეს და თათრები დაამარცხეს. ქაფირმა რუსებმა თავიანთი ტყვეები და ნადავლი დაიბრუნეს. დამარცხებული სულთნის მემკვიდრე გაიქცა. კანთემირს, რომელიც 40000-მდე თათართა ჯართა და დიდი ნადავლით საესე მიდიოდა, მიწასთან გაასწორებელმა ქაფირებმა ძველი ღვარძლის სისრულეში მოსაყვანად გასასვლელად ადგილას დიდი რაზმები ჩაუსაფრეს. ბრძოლისათვის მომზადებული იყვნენ.

როდესაც ერთმანეთს შეებნენ, დიდი ბრძოლა და ხოცვა შეიქმნა. თურმე თათართა რაზმები რამდენადმე დააზარალეს. ქაფირებმა თოფები დაუშინეს, რის გამოც ბევრი მათგანი დაიხოცა, ბევრი ტყვედ ჩავარდა. კანთემირის ერთ-ერთი შვილი ბრძოლაში დაეცა, მაგრამ კანთემირმა მამაცურად იძია შური, რამდენიმე ასეული ქაფირი მიწასთან გაასწორა და თვითონ დარჩენილი ლაშქრით სამშვიდობოს გავიდა. ამასობაში ქაფირებმა თათრებს მოუძებნეს სუსტი ადგილი. სელმან შაჰ მირზა ნადავლით გამდიდრებულ მანც გამოვიდა და უამრავი რამე გამოიტანა. თათართა ხანი განრახდა, თავისი ქვეშევრდომები იხმო და მტერზე შურის საძიებლად მნიშვნელოვანი ლაშქრობისათვის დაიწყო მზადება. ეს შემთხვევა მოხდა 1039 წლის თვეებში²⁵³.

თათრები გულმოდგინედ ემზადებოდნენ ქაფირების წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ რადგანაც ამ წელს მაღალი ზღურბლიდან უზენაესი სიგელი გაიგზავნა და აღმოსავლეთის ლაშქრობისათვის თათართა ჯარსაც დაევალა მონაწილეობის მიღება, წათი განზრახვის შესრულება დაყოვნდა. თურმე შემდეგ უღვთო რუსებზე კვლავ ბევრი თავდასხმით იძიეს შური, მაგრამ რადგანაც ეს ბედნიერების წელი იყო, აღმოსავლეთში ლაშქრობის განზრახვა დაყოვნდა. დიდი ხანი არ გასულა, რომ ისევ დადგა უბედურებამ და აჯანყებებმა იჩინეს თავი, რამაც აღმოსავლეთის ლაშქრობას ხელი შეუშალა.

ტ. III, გვ. 67—68

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა ე რ თ ი წ ლ ი ს²⁵⁴ ა მ ბ ე ბ ი

თათართა ლაშქრის მოსვლა

როდესაც ოსმალთა ლაშქარი დიარბექირის ერთ სოფელში — ჩარკლიში მივიდა, თათართა ლაშქარი, რომლის ხელმძღვანელობა

მინდობილი ჰქონდა მირზას, მოვიდა. მათ დიდგვებრიის კარავი მდ. დიჯლეს სანაპიროზე — ველზე გაშალეს, დიდი წვეულება გამართეს, საპატიო ხალათი ჩააცვეს [მირზას]. თათართა ჯარი დიჯლეს ველზე გადავიდა და ველზე განლაგდა. ქათიბ ჩელები ფეზლექეში ამბობს, რომ შიშველ-ტიტველი ტომის ერთი რაზმი საქონლის ჯოგით გროვა-გროვა მიედინებოდა. მათ მწყობრში არ ჩანდა არც რიგები, არც მალალი და არც დაბალი რანგის ხალხთა თანამიმდევრობა, არც ჩაუშები. დაფანტულად მიემართებოდნენ და მიდიოდნენ. ესენი გამოდგებიან რომელიც გნებავთ ქვეყნის საძარცვად, კეთილნაშენი სახელმწიფოს იავარსაყოფად და დასაზიანებლად, მაგრამ მტრისადმი წინააღმდეგობის გასაწევად მტრის ხოცვაში, განსაკუთრებით ციხის აღებასა და დაპყრობაში არავითარ მოხერხება არ ჰქონდათ. ეს ის ხალხი იყო, რომელსაც შეეძლო მტრის ქვეყანაში ხელისუფლების მაშინათვე ხელთ ჩაგდება. შეიძლებოდა მათი გამოყენება, მაგრამ საჭირო არ იყო. ისინი იმ მხარეებში დაიფანტნენ და დარჩნენ.

ტ. III, გვ. 76

ლაშქრის დაბანაკება გამოსაჯამთრებლად

რები ულ-ახირის მესამე დღეს²⁵⁵ სარდალი და იანიჩართა ალაჯარით გამგზავრა ქალაქ დიარბექირში, ხოლო ბოლუქთა ალაები — თრებლუს შამში, ყიშლალში. თათართა ჯარს ებრძანა არაბურში — ჰასან კალეში გამოზამთრება. გაზაფხულზე იმ რაიონიდან თავდასხმები მოაწყვეს, ბაღდადში გამგზავრების განზრახვა ჰქონდათ და ამ აზრის შემცველი მოკლე შინაარსის წერილი სტამბოლში გაავრავლეს.

ტ. III, გვ. 76

ათას ორმოცდაორი წლის²⁵⁶ ამბები

ყიზილბაშთა მიერ სპარსეთის დაპყრობა

ამ წელს ირანის შაჰმა საქართველოს წინააღმდეგ ჯარი გაგზავნა. თეიმურაზმა ჯარს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, განზეგადგა და წავიდა. ყიზილბაშთა ლაშქარი მთელს საქართველოს მოედო.

ხალხი დაიმორჩილეს, შემდეგ დაბრუნდნენ და თავრიზში გაჩერდნენ. როდესაც მათ [ქართველებმა] მოახსენეს ბედნიერების კარს, რომ ყიზილბაშები ვანში წასასვლელად ემზადებიან, მოსახლეურე ბეგებს უზენაესი ბრძანებები დაეგზავნა. მურთაზა ფაშა მარდინას ახლოს სულთნის ზეგანზე გადავიდა და თავისი ეიალეთის ჯარი შეკრა, მის გარშემო მყოფი სხვა ჯარები მოიხმო და ვანის უხარკვასამგზავრებლად მოემზადა.

ბ. III, გვ. 146

ა თ ა ს ო რ ო ც დ ა ს ა მ ი წ ლ ი ს²⁵⁷ ა მ ბ ე ბ ი

ურფუწნოაგის თავდასხმა ვანის ციხეზე და გირეზის განდევნა

როდესაც ყიზილბაშთა ლაშქარი ერთ ადგილას შეიკრიბა, ხანთა ხანი თოხთა ხანი ურიცხვი ჯარით ვანისკენ წამოვიდა. მუჰარემის ბოლოს²⁵⁸ მურთაზა ფაშა დიარბექირის ჯარით მარდინიდან გადმოვიდა და იმ ადგილისკენ გაემართა. არზრუმის ბეგლარ-ბეგ თემურ კაზაკ ხალილ ფაშას გაეგზავნა სარდლის ბრძანება: და ყარამანისის, მარაშისა და სივასის ეიალეთებს ლაშქრით ისიც არზრუმიდან გაემგზავრა. რები ულ-ევეელის თვეში²⁵⁹ ყიზილბაშთა ლაშქარი მოვიდა და ვანს ალყა შემოარტყა, ნავსადგური აიღო. რები ულ-ახირის პირველში²⁶⁰ ხალილ ფაშას შეხვდა მურთაზა ფაშა. ორი ლაშქარი აქ შეერთდა. 30000-მდე კაცი იყო. ზემოხსენებული თვის მეათე დღეს²⁶¹, რომელიც შაბათ დღეს ემთხვევა, ვანში მოვიდნენ. ყიზილბაშებმა ორი დღით ადრე ცნობა მიიღეს, სანგრებიდან გამოვიდნენ და ქესქინ კირანის რაიონში მდებარე ერთ მთას ამოეფარნენ, თავიანთი ჯარი დააწყვეს და გაჩერდნენ. ისლამის ჯარი მოვიდა.

იმ დღეს საღამომდე ძლიერი ბრძოლა გაიმართა. როცა დაღამდა, არ დაბრუნდნენ, მაშხალებით ორჯერ თავს დაესხნენ და მონღოლებით იომეს. ურწმუნოთა ბრბოებს პირი უკუაქცევინეს. გამარჯვებული ჯარი კი თავის კარვებში დაბრუნდა. მეორე დღეს ყიზილბაშებმა უკან დაიხიეს, ფაშები კი ვანის გარეუბნებში დაბანაკდნენ. ხალილ ფაშასა და მურთაზა ფაშას შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა სარდლობის საქმის გამო. მურთაზა ფაშას გულში ღვარძლი ჩარჩა. შემდეგ როდესაც ქვეყნის მფარველ ფადიმას დაუახლოვდა, მან თავისი საწადელი შეისრულა.

ოსმალები გამოვიდნენ. რამდენიმე დღე ვანში დაისვენეს. მას შემდეგ რაც საჭურველი სრულყვეს, ორივე სარდალი გაემგზავრა და ჯარს თავისუფლება მისცეს. მურთაზა ფაშა დიარბექირში მოვიდა. ყიზილბაში ჰასან ალა თავისი რაზმით მის წინააღმდეგ გაეშურა. როდესაც კიზილ ქოის წინ მის შესახვედრად გამოვიდა, [ჰასან ალა] მოკლა, მერე ქალაქში შევიდა, კარები ჩაკეტა. სახელოვანი სიფაპიებიდან გურჯი იუსუფის, ჰაჯი მისლისა და შაჰ ბენდერ ოლლი მეჰმედ ჩელების მოსაკლავად მოსული ფირმანის შესაბამისად მაცნეებმა ხალხს აუწყეს ფადიშაჰის ბრძანება. ყადი და ქალაქის წარჩინებულები მოიწვიეს, ბრძანებები წაიკითხეს. სამხარის დროს ჯერ გურჯი იუსუფი, შემდეგ ჰაჯი მისლი და შაჰ ბენდერ ოლლი დაიჭირეს და იმ ღამესვე გაუსწორდნენ.

ტ. 111, გვ. 165—166

საქართველოს ვითარება

წინათ არზრუმის ბეგლარ-ბეგს, ყარსის ცხესა და სხვა ციხეებს თოფის წამალი და პროვიანტი მიეცათ. ბრძანებები დაიგზავნა, რომ ილიჩეს ციხიდან 500 ჯარისკაცი გამოეყოთ და გაეგზავნათ. ზილ-პიჩეს მეხუთე დღეს²⁴² ხალილ ფაშასგან შემდეგი შინაარსის წერილი მოვიდა: დადიანი და გურიელი შეკავშირდნენ და ყიზილბაშებს დაუბრუნდნენ. დადიანმა თავისი ქალიშვილი მისცა შაჰის მიერ ზაგემისა და ქართლის ხანად დანიშნულ ხოსრო მირზას.

ზემოხსენებული ქალის აჩიკ ბაშას ქვეყანაზე გატარების დროს აჩიკ ბაშმა და თეიმურაზმა მოისურვეს გზის ჩაკეტვა. იქითა მხრიდან ზემოხსენებულმა ხოსრო ბეგმა 30000-ზე მეტი ყიზილბაშით და აქეთა მხრიდან დადიანი და გურიელი დადი ჩარით აჩიკ ბაშს თავს დაესხნენ. მათ შორის დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, უფლის განგებით, დადიანმა გაიმარჯვა და აჩიკ ბაშს შეესია.

თეიმურაზი და აჩიკ ბაშის შვილი ძნელად მისასვლელ ქვიან ადგილას გამაგრდნენ. აჩიკ ბაშის მეფე ხელიდან წაუვიდათ. ყიზილბაში, დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ. 30000-მდე ურჯულო მთელ საქართველოს შოედო. რადგანაც ცხადი გახდა, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრების მხარეს დადიანისა და გურიელის მეშვეობით შეიძლებოდა ზარალი მიყენებოდათ, ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა სეფერ ფაშამ აცნობა [ოსმალეთის ხელისუფლებას], რომ საჭიროა ხმელეთით ლაშ-

ქარი და სახელმწიფო ფლოტი მოვიდეს იმ მხარის დასაცვად და დადიანისა და გურიელის ქვეყნების გასანადგურებლადო. მოსაზღვრე ბევებს ბრძანებები დაეგზავნათ, არზრუმის საზღვრის დასაცავად კვლავ ადანას ბეგლარ-ბეგი, მთელი ყარაბაღის სანჯაყების, სარუხანისა და კასტამონის სანჯაყების მეთაურები დაინიშნონ.

ტ. III, გვ. 216—217

ათას ოროცდაოთხი წლის²⁶³ ამჯავრი

დიღაბული სარდლის მღვთმარობა აღმოსავლეთ მხარეში

დიღევიზირი მეკმედ ფაშა ისლამის ლაშქრით გაზაფხულის დასაწყისში ალუბოდან გამოვიდა და ზილ-კაადეს მეოცე დღეს²⁶⁴ დიარბექირში ჩავიდა, დიარბექირის გარეუბანში, ველზე, დაბანაქდა და ზაფხული იქ გაატარა.

ტ. III, გვ. 233

სულთან მურად ხანის სამეფუთო ლაშქრობა ერევანის მხრიდან

მას შემდეგ, რაც ქვეყნის მპყრობელი ეღირნედან ჩამოვიდა, მან გაზაფხულზე აღმოსავლეთის მხრისკენ გასამგზავრებლად საჭურელის მოსამზადებლად ბრძანება გასცა. რეჯების თვის დასაწყისში²⁶⁵ ჯაბახანის წინ თულები ჩაარქეს. ბაირამ ფაშა დედაქალაქის დასაცავად დარჩა, ხოლო ნურთაზა ფაშა ლაშქრობის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა. ისინი რუმელიასა და ანატოლიაში გასაგზავნი ლაშქრის წინამძღოლებად წავიდნენ. ჯეზირ ქენან ფაშას, მუსა ფაშას, კაფუდან ფაშას, შეიხ ულ-ისლამსა და ყაზიას-ქერებს კანონის მიხედვით დაევალებათ ლაშქრობაში მონაწილეობა.

ტ. III, გვ. 233—234

თათარ ხანის გამოსვლა

კაფუჯიების ქეთხუდა შაჰინ აღა, არსებული ადათის მიხედვით, 40000 ფლორი ჩექმის საფასურით გაიგზავნა თათარ ხანთან, რომელიც სამეფუთო ლაშქრობაში მიიწვიეს. იმის გამო, რომ თათრებს შორის ბტრობა იყო, ხოლო თავისთავზე შეეყარებული და

უღარდელი კაცი ჯანი ბეგ გირეი ხანი მეომარი არ იყო, ჩეკმის საფასური არ მიიღო და გაათავისუფლეს. იგი კუნძულ როდოსზე გაგზავნეს. მის ადგილზე დაინიშნა სელამეთ გირეი ხანის უფროსი შვილი — ინაიეთ გირეი სულთანი, ეს მუდამ უბედური ხანი. ტახტის მემკვიდრედ დაინიშნა მისი ძმა ჰისამ გირეი სულთანი, რომელსაც თათართა ლაშქართან ერთად სამეუფეო ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება ებრძანა. ისინი მუსლიმანებთან აღიზარდნენ. ბოლოს, საჭიროა მათი საქმეები დაწვრილებით აღიწეროს, თუ ეს მაღალმა ღმერთმა ინება.

ტ. III, გვ. 234

გალალღისაული ფადიშაჰის უსაუღარიდან ერივნის მხარის გამგზავრება

სახელოვანი ფადიშაჰი, როგორც აღნიშნული იყო, ძლევაშოსილი ჯარით და, საერთოდ, რჩეულებითა და დიდებულებით აღმოსავლეთის ლაშქრობაში გაემგზავრა. 1044 წლის რამაზანის მეოთხე²⁶⁶ დღეს უზენაესი კარავი უსქუდარში გადავიდა და გაიშალა. შემოაღნიშნული თვის 22-ე, შაბათ, დღეს²⁶⁷ დიდებული სახელას მქონე მთელი თავისი ამალითა და წარჩინებულებით უსქუდარში გადავიდა და უზენაეს კარავში დაბანაკდა. შევალის მეოთხე დღეს²⁶⁸ სეკბან-ბაშ მუსტაფა აღას იანიჩართა აღას თანამდებობა ებოძა, მის ნაცვლად სეკბან-ბაში გახდა მიმარ დამად მუსლაჰ ედ-დინ აღა, მელიც იანიჩართა ოჯახის ალაების ღვაწლშოსილი და უდიდესი პიროვნება იყო.

როდესაც ხუსრევ ფაშამ არზრუმი აიღო, მაშინ იგი იანიჩართა ქუთხუდა იყო და აბაზასთან მოციქულად ოთხჯერ მივიდა. აბაზამ მას პირობა მისცა, რომ იანიჩართა მიერ მიყენებული ყველა ზარალისაგან გაათავისუფლებდა, როგორც ეს თავის ადგილას იყო ნახსენები. ბაირამ ფაშა კაიმამაკამი და მუსლიჰ ედ-დინ აღა სეკბან-ბაში სტამბოლის დასაცავად დარჩნენ. ამ ადგილას მისმა აღმატებულება ფადიშაჰმა უსქუდარში ჯარის ყველა მეთაური და ოფიცერი მტკიცედ გააფრთხილა, დავთარი დატულ იქნეს, ჩემს დაუკოთხავად ლაშქრობას არავინ არ ჩამორჩესო, ბანაკი არა გვაქვს და მცველები რა გვყავსო — ასეთი მითქმა-მოთქმები მკაცრად აკრძალა და დაემუქრა.

ამ დროს ვეზირ გურჯი ნეკმედ ფაშას ანატოლიის ეიალეთი ებოძა. შევალის თვის მეცხრე დღეს²⁶⁹ უსქუდარიდან ბედნიერად

აიყარნენ და მიზანგანზრახული მხარისკენ გაემგზავრნენ. უღმებმა და წარჩინებულებმა მალ თეფემდე გააცილეს. კახიკლა დერბენ-დში დაბანაკებისას ფადიშაჰმა გაიგო, რომ სოლაკ-ბაშებიდან სტამბოლში დარჩენილიყო გალათელი ჩელების სახელწოდების ერთი ამაგდარი მოხუცი კაცი, რომელიც დაუზოგავად აწამეს და კისერი მოკრეს. მიუხედავად იმისა, რომ ამაგდარი იყო, არ შეწყენარეს, სიკვდილით დასაჯეს და მისი თეთრი წვერი სისხლში ამოსვარეს.

ბაზარჯიკის ბანაკში იმამ ევლია მეკმედ ეფენდის სიძეს — იუნუს ეფენდის სულეიმანიეს მედრესეში მუდერისად ყოფნისას ეღირნეს საყადო უბოძეს. სეიდი ლაზიში ანატოლიას ბეგლარ-ბეგის — გურჯი მეკმედ ფაშას სამსახურში მყოფი კონიას მოძალადეთა მეთაური კარა იინალ ოღლი დაიჭირეს და მოკლეს, ხოლო კონიის უწინდელი საყადო ალა იმამ ანკარელი შეჰლა მეკმედს მისცეს. მანაც კონიის რჩეულებთან ჩხუბი და უთანხმოება დაიწყო. იმ ქალაქის სახელოვანი სიფაჰიებიდან ხსენებული კარა ილანის შვილები: სეფერ ბეგი და დელი ჰამზა — ორი ძმა — მოძალადეები არიანო, მოუხსენებიათ უზენაესისათვის. ისინი კი უდარდელად იყვნენ და არ მოელოდნენ რაიმე ბოროტი განზრახვის გამოვლინებას. გურჯი ფაშას ხელქვეითებმა კაცები გაგზავნეს და დაიჭირეს. ჯერ დაიჭირეს სეფერ ბეგი და ფადიშაჰთან მიიყვანეს. ამ ღრთს უხენაესი სამეფოეო ამალა ბოზოიოქიდან გავიდა და როდესაც ესქიშეპირის პირდაპირ მიემართებოდა, მაშინ მოიყვანეს პატიმარიც. როგორც კი საწყალმა მისი აღმატებულება ფადიშაჰი დაინახა, მაშინვე გახდა დაიწყო, რადგანაც იფიქრა, მამაცობის გამო ფადიშაჰმა შეიძლება შემინწყალოსო, მაგრამ მისმა აღმატებულება ფადიშაჰმა ბოლუქის აღას ორი თითით ანიშნა მისი მოკვლა. აღამ გაიარა, მას უხეშად მოექცა, იმავე საათს სიკვდილით დასასჯელი ხმლით მისი თავი გააგორეს, შემდეგ მისი ძმა დელი ჰამზაც დაიჭირეს და მოკლეს.

უწინ ყარამანიის ემირთა-ემირი ბარდაკლის ბანაკში იყო. მანისას სანჯაყის მფლობელ თუთიჯი ჰასან ფაშას ვაჟკაცობითა და სიმამაცით ტოლი არ ჰყავდა, მაგრამ რადგანაც მოძალადეებისაგან იყო წარმოშობილი და თურქმანთა ალაების თანამდებობები ჰქონდა გამოვლილი, მისი აღმატებულება ფადიშაჰი ამისთანების სიკვდილით დასჯაში ხედავდა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამას წინათ, როდესაც მას [თუთიჯი ჰასან ფაშას] ზოგიერთი მოჯანყის დახოცვა დაავალეს, მან ლობიერება გამოიჩინა, რის

გამოც ფადიშაპი განრისხდა. თუთიჯი ჰასან ფაშამ 2 000-იანი ჯავშნით შეიარაღებული ჯარის წყობა უჩვენა, როდესაც იგი ფადიშაპის ცხენის სადავის საკოცნელად ჩამოქვეითდა, ქვეყნის მპყრობელმა ფადიშაპმა მას მიმართა: ერთი ორი მტრის მოკვლა ვერ შეძელი; ახლა მე ჯარის აღლუმს მიჩვენებ, ჰეი, შე წყულოო, — უთხრა და ბრძანა მისთვის თავის მოკვეთა. მან შეწყალება ითხოვა: ჩემო ხელმწიფევ, ნუ გამიმეტებ, შენი გულისთვის მტერთა ხოცვა-ჟლეტას მოვანწყობ, მოვკვდები, ტყუილ-უბრალოდ ნუ დამლუბავო. ფადიშაპმა მის თხოვნას ყურადღება არ მიაქცია, თავი მოკვეთეს. მისი საფლავი, რომელიც თუთიჯის საფლავის სახელითაა ცნობილი, ახლაც იქ არის.

ფადიშაპი თავის თანმხლებლებით ესქიშეპირიდან გადავიდა და, როდესაც ილგუნში ჩავიდა, ყარამანიის ბეგლარ-ბეგი ჯელფ ოღლი ალი ფაშა შემოეგება. ესეც მოძალადეებისაგან იყო წარმოშობით. რადგანაც დაუთ ხანის ადგილას ყარამანიის ბეგლარ-ბეგად იყო, ამიტომ მოკლეს. გურჯი მეჰმედ ფაშა, ზილ-კაადეს დასაწყისში²⁷⁰ ბულავადში რომ უნდა შესულიყო, იმ დღეს ანატოლიის ლაშქრით მოვიდა და დიდი აღლუმი გამართა. რადგანაც მის შვილს — ჰამიდ ბეგს, მუსტაფა ბეგსა და აიდინის ბეგს ნოღაი ფაშა-ზადეს ქვეშევრდომნი უჩიოდნენ, სამივეს სიკვდილი გადაწყვეტილი ჰქონდათ, მაგრამ ზოგიერთი დაახლოებული პირის თხოვნით ისინი შეაწყალებს. ისპაჰლის ბანაკში ყარა ალაჯ ყადის სამსახურში ურჩობის მიზეზით ისინი მოკლეს.

როდესაც კონიამდე ერთი გადასარბენი რჩებოდა, ფადიშაპი ჭენებით შევიდა ქალაქში. ციხეში დამწყვდეული ვინმე არაბ ოღლი მუსტაფა და რამდენიმე პატიმარიც მოკლეს და ქუჩებში დაყარეს. გადმოგვეცემენ, რომ კონიის შიდა ციხეში, რომელიც აჰმედის სახელითაა ცნობილი, როდესაც ფადიშაპი მარტო შევიდა, თხრილზე გადებულ ხის ხიდზე ცხენით გავიდა და ციხისკენ პირდაპირ გაემართა, მოხუცმა მეციხოვნემ, რომელიც მსკოვანი ალბანელი იყო, წყრომით გადასძახა: ჰეი, ალა, ქვევით ჩამოდი, ქვეითად იარე, ეს ფადიშაპის ციხეა და ცხენით გავლა არ შეიძლებაო. მეციხოვნის ასეთი საქციელით ფადიშაპმა დიდად გაიხარა. შემდეგ, როდესაც მეციხოვნემ ფადიშაპი იცნო, მის ფეხთ მიწას ეამბორა, ფადიშაპი კი ციხეში შევიდა. ჯაბახანა და სხვა ნივთები დაათვალიერა. ხსენებული ცახე სულთან იზ ალ-დინ ქეიქავუს იბნ ქეიჰუსრევ სელჩუკის²⁷¹ აშენებულია. შემდეგ ფადიშაპი წმინდა მევლანა ხუდავენ-დიგარ რუმის [წმინდა იყოს მისი საიდუმლოებები] წმინდა მავ-

ზოლეუმისაკენ გაეშურა. თურმე მოლა-ზადე აბუ ბექრ ჩელების-თვის ცნობილი იყო ფადიშაჰის მობრძანება და მცირე სუფრა მოემ-ზადებინა. მისი აღმატებულება ფადიშაჰი მიიწვიეს, ყურადღებით მოემსახურნენ და ღირსეული ნადიმი მოუწყვეს. მისმა აღმატე-ბულება ფადიშაჰმა მასპინძლებს ბრწყინვალე სიასამურის ქურჭი მისცა და უხვად დაასაჩუქრა, მევლანას ზღურბლს მსხვერპლად შესწირა ზიმიების ძვარფასი ხაზინა. ამას გარდა მეველეველთა სა-ვანეს სამზარეულოს სახარჯოდ სულლას შემოსავლიდან 1000 ყუ-რუში [დაუნიშნა]. სულლას ვოევოდა გააფრთხილეს, რომ ეს ყო-ველ წელიწადს მიეცა [მეველეველთათვის] და კვლავ ქენებით უზენაეს ბანაკში დაბრუნდა. შემდეგ თავისი სამეუფო ამალით კონიაში მივიდა და იქ გაჩერდა. ისმაილ აღას სახელწოდების ერთი მახარობელი ბეიშეჰირში გაიგზავნა. ნოღაი ფაშა-ზადეს ქეთხუდა კოჯა არსლან აღა იქ მოაკვლევინეს. სიფაჰი კოჯა გურჯი ოსმანი უწინდელ სულთან ოსმანის ამბების დროს სუიბაში იყო, [მასზე თქვეს] ფადიშაჰის მკვლელობის მახარობელიაო და მოკლეს. ბუ-რის ახლოს ნაკარაზინ ჩაირის სახელწოდების ბანაკში ზიამეთიან ჩაუშთაგან ჭევეპერი-ზადე ლენის სმის ბრალდებით მოკლეს. კო-ნიაში სულ ექვსი დღე დაისვენა.

ზილ-კაადეს თვის 25-ს²⁷² კეისარიეში მივიდა. რადგანაც პრო-ვიანტის დასამზადებლად დანიშნულმა კეისარიეს ყალიმ ბრუსევი გოქ დერელი-ზადემ უყურადღებობა გამოიჩინა, იგი სამეუფოს უზენაესობის წინაშე მოიყვანეს საყვედურის მისაცემად. მან კი, რადგანაც გაბედული ვაჟაკი და უხეში ენის პატრონი იყო, ფადი-შაჰს მკაცრი და უკმეხი პასუხი გასცა. სასულთნოსადმი პატივის-ცემის წესების დარღვევის გამო მახვილით გაუსწორდნენ, ისიც მოკლეს.

კეისარიედან გადავიდნენ და სივასში შევიდნენ, სადაც ბეი-შეჰრის მირლივა აფრასიაბის მსგავსი თეთრწყვერა მოხუცი ქნსქინ ალი ფაშა, რომელიც მჩაგვრელი და უსამართლო იყო, როგორც კი სასულთნოს ბანაკს შეუერთდა, დიდი უსამართლობა და ბევრი სა-ჩივრის გამო სიკვდილით დასაჯეს.

ტ. III, გვ. 237—241

დიდვეიჩი მემკვიდრე ფაშას გამგზავრება არჯრუშში

როდესაც სიცივის დრომ გაიარა და გაზაფხული მოახლოვდა, შევალის თვის ოთხში²⁷³ აღამი აღმართეს და 11-ში სამეუფო

კარავი დასცეს. 18-ში თვით ფადიშაჰი გამოვიდა და სირანის გორაკზე კარავში გაჩერდა. 32 კაცმა წელზე და მკლავებზე ჯოხები და თოფები ჩამოიკიდა. რადგან თითოეულმა მათგანმა გულადობა გამოიჩინა, მათ სამ-სამი ყურღუში უბოძეს.

ზილ-კადეს ოცში²⁷⁴ მდინარე შათის გაღმა მხარეს კატრანის სახელწოდების სოფელში დაბანაკდნენ. 27-ში ფადიშაჰისთვის გამზადებული კარავი და საჩრდილობელი მოაწყვეს. მიდამოები შეათვალიერეს. ზილ-ჰიჯეს მეოთხე დღეს²⁷⁵ ააყარნენ და არზრუმისაკენ გაემართნენ.

ტ. III. გვ. 243—244

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა ხ უ თ ი წ ლ ი ს²⁷⁶ ა მ ბ ე ბ ი

სულთან მურადის ჩამოსვლა არზრუმის საზღვარზე

მუჰარემის პირველში²⁷⁷ დიდვეზირი ბაიბურთის ახლოს გაჩერდა. ალაებს წერილობით ებრძანათ და ებოძათ 20—20 ქილა ქერის და 30—30 ქილა ფქვილის საფასური ახჩათ, აგრეთვე თითოეული კაცისათვის 5—5 ქილა ქერისა და 2—2 ქილა ფქვილის დარიგება. მეორე დღეს ქვეყნის მფარველი ფადიშაჰის შესახვედრად სადად და მსუბუქად წავიდნენ. შუა საზღვარზე უზენაესის სადავეს მიეწვივნენ. რადგანაც გაიცა დაბანაკების ბრძანება, მეორე ვეზირ სილაპდარ მეჰმედ ფაშას კარავში გაჩერდნენ. მუჰარემის მესამე დღეს²⁷⁸ სადაკას სახელწოდების ბანაკში კაფუდან ფაშა, ჯანჯოლად-ზადე ჰუსეინ ფაშა და შაჰან ალა ვეზირს შეხვდნენ და პატივითა და დიდებით სილაპდარ ფაშას ბანაკში წამოიყვანეს. ნადიმისა და პატივისცემის შემდეგ ისინი გაპატიოსნდნენ ქვეყნიერების ფადიშაჰის ხელზე კოცნით. მეორე დღეს დიდვეზირი კვლავ ბაიბურთში მოვიდა, რვაში ისევ არზრუმში შევიდა. წმინდა მუჰარემის თვის მე-16 დღეს²⁷⁹ მისი აღმატებულება ქვეყნის მფარველი ფადიშაჰი ილიჯეში მოვიდა, ვეზირიც მასთან მყოფი ლაშქრით არზრუმიდან გამოვიდა და მისი უდიდებულესობა ბედნიერი ფადიშაჰის დაბანაკების შემდეგ სამეფო კარავის წინ ტახტი დადგა.

დივანის ხალხმა, იანიჩართა ოჯახის ალაებმა, ბოლუქთა ალაებმა, ყველა სიფაჰიმ და იანიჩარმა მათთან ერთად ჩამოსულმა ბეგლარბეგებმა და ბეგებმა თავიანთი რაზმებით, ტრადიციის მიხედვით, ხელმწიფის წინ გაიარეს. როდესაც უზენაესი სარდლის მისალმების

ადგილას მივიდნენ, ცხენებიდან ჩამოხტნენ, მოციქულის ალამი [იყოს ალაპის ლოცვა და მშვიდობა მასზე] ხელთ აიღეს მოწიწებით და მიუტანეს. ფადიშაჰმაც ოთხი-ხუთი ნაბიჯი წინ წარდგა და შემოეგება, ალამი თვითონ აიღო ხელში და მცირე მანძილზე გაატარა. შემდეგ იჩ-ალაებს ჩააბარა, ტახტზე დაბრძანდა. ევზირი ფადიშაჰს ფეხზე ემთხვია, რამდენიმე ხანს თავს მდაბლად უკრავდა, მერე თავი ასწია, მისი უზენაესობის წინ ხელგადაქდობილი დადგა, ერთი ქურქიანი და ერთიც უბრალო ლამაზი ხალათი ჩააცვეს. შემდეგ მიესალმა და კარავში შევიდა.

მასზე უფრო წინ, ფადიშაჰის ბრძანებით, მუფთი ეფენდიმ, ყაზიასქერებმა, სხვა მუთეფერიკებმა, ჩაშნიგირებმა თავზე დაიხურეს ულემებისათვის განკუთვნილი ერთგვარი ქუდები — არფები და მაჯუზები და შესაგებებლად ერთ საათამდე სავალი მანძილი გაიარეს. მის წინაშე წარდგნენ. ფადიშაჰთან შეხვედრის შემდეგ ყველანი მას წინ წაუძღვნენ და კარავში მიიყვანეს. მეორე დღეს, მუჰარემის მე-17 დღეს²⁸⁰, მისმა აღმატებულება ფადიშაჰმა ბრძანა ჩვეულების თანახმად მწყობრის გამართვა. ბეგლარ-ბეგები და ჯარი გზის გასწვრივ დადგნენ მწყობრში. ილიჯედან ორი საათის სავალ მანძილზე ალთი ბოლუქის ჯარი ორივე მხარეს დაეწყო, ბეგლარ-ბეგებმა ადგილი ვერ იპოვეს და ერთი რიგით უკან დადგნენ. ბანაკიდან ბანაკამდე იარეს. არზრუმში როგორც კი მოვიდნენ, სიფაჰები, იანიჩრები და თიმარის პატრონები მიესალმნენ და გაემგზავრნენ. იმ ბანაკში ასეთი რაზმები და ჩამწყვრივებული რიგები კარგა ხანია კაცს არ უნახავს.

განსვენებული ქათიბ ჩელები ამბობდა, რომ ათი წელი ოსმალეთის სახელმწიფოს ლაშქრობებში ვმონაწილეობდი და ჯარის ასეთი სიმრავლე არ მინახავსო. ოსმალები ამ ბანაკიდან რომ გადავიდნენ, დიდი მუშაობა და ძალ-ღონის დახარჯვა დასჭირდათ, რომ წესის მიხედვით მწყობრად ევლოთ, მაგრამ ვერ მოახერხეს, რადგან ამ შეკრების შემდეგ ლაშქრის უმრავლესობა დაიფანტა. მისი აღმატებულება ფადიშაჰის მკაცრი ბუნებისა და არაკეთილი მოპყრობის შესახებ რომ იცოდნენ, დაფრთხნენ, ზოგი წავიდა. დარჩენილთა უმრავლესობაც რაზმებში არ მოდიოდა. ნათქვამია კაცთმონაა სიკეთისაო, მაგრამ ფადიშაჰი წყალობისა და საჩუქრების გაცემაში ხელმოჭერილი იყო, რაც გახდა ხალხის შემოცლის მიზეზი. მუჰარემის თვის 18-ში²⁸¹ (ფადიშაჰმა) მოწყალება გაიღო და თი-

თოეულ კაცზე 1000—1000 ახჩა საჩუქარი გასცა. წვრილი ფული იყო და ორ-ორ ახჩად დახარჯეს.

ტ. III, გვ. 250—252

ილაშის ფადიშაჰის ბამბაჰავრება მრეწვისაჲ

მუჰარემის თვის 24-ში²⁸² ზოგიერთი შიშე ტვირთი არზრუმში დატოვეს. შიშა ხათუნის ბანაკში სილაჰდარებიდან აღრე ვეზირობა მიღებულნი ჰუსეინ ფაშა არზრუმის დამცველად დარჩა. 25 ბალიემეზის ზარბაზანი და ბაირალები წინ გაგზავნეს. მეორე დღეს ბედნიერებით არზრუმიდან აიყარნენ და პირდაპირ ერევნისკენ წავიდნენ. საფარის თვის პირველში²⁸³ ყარსის ახლოს დაბანაკდნენ. ყარსის ვალი შეიხ ფაშა და ჩილდირის ბეგლარ-ბეგი სეფერ ფაშა გზაში შეხვდნენ. ფადიშაჰი მოვიდა და ყარსის ციხე დაათვალიერა. კვლავ კარაეში დაბრუნდნენ. ორი დღე იქ გაჩერდნენ. ბეგლარ-ბეგებს წერილობით ებრძანათ 4000 კალათა წკეპლის დამზადება 20—20 სარით.

მომდევნო დღეს მდინარე ყარსი გადალახეს და დაბანაკდნენ. მეორე დღეს საჭირო შეიქმნა უკან დაბრუნება. როდესაც გადადიოდნენ, კარავის უფროსმა [ოთაკგი-ბაშიმ] რეჰიკი დამადმა რისხვა დაიმსახურა. საფარის ხუთში²⁸¹ მესიჰიეს გადასასვლელის ბანაკში მივიდნენ და, როდესაც კარავი გაშალეს, ქვეყნის მფარველმა ფადიშაჰმა გაჩერება ინება. მის წინ დიდვეზირმა, ყაზიასქერებმა, მუთეფერიკებმა, ჩაშნიგირებმა და ჩაუშებმა, ცხენებზე ამხედრებულებმა, ბოლუქის ხალხის უკან დიდი წრე შეკრეს. მათ უკან სხვა ლაშქარმა და ბეგლარ-ბეგებმა საჩრდილობელის პირდაპირ მაღალ გორაკებზე კარვები გაშალეს. კარვები ოთხივე მხარეზე ჩანდა. საკრავები დაუკრეს.

მეორე დღეს გურიელის ქვეყნიდან ძღვენი და ხარაჯა მოვიდა. უჩქილის სახელწოდების ადგილას ღობის გასამართავად ურიცხვი წნელი მოჭრეს. საფარის ათში²⁸⁵ ერევნის ახლოს დაბანაკდნენ და ნათესებს მიაღწიეს. ნება დართეს, რომ ნათესები გამოეყენებიათ საქონლის სჰძოვრად. მეორე დღეს გოქქენილში მივიდნენ. როდესაც სახელმწიფო ლაშქარი დიდი რაზმებით ციხის ახლო ადგილებთან გაატარეს, ციხიდან გასროლილმა ზარბაზნების ტყვიებმა სახელმწიფოს სპეციალურ საჭურვებს გვერდით გაუარა, მაგრამ არავინ დააზიანა.

იმ დღეს ისეთი საშინელი მტკვერი და ნისლი დადგა, რომ თვალი თვალს ვერ ხედავდა. გადმოგვეცემენ, რომ ასეთი ძლიერი ქარით მტკვრისა და კორიანტელის დაყენება იმ კუთხის თავისებურებებით იყო გამოწვეული. ფაღიშაპი გამარჯვების საწინდარ ცხენოსანთა ჯგუფთან ერთად ციხის ქვემოთ მოვიდა. ფაღიშაპის წინაშე მისმა თანხლებმა პირმა ფაღიშაპისათვის ილოცა და უთხრა: ჩემო დიდებულო ფაღიშაპო, ერევნის ციხე ამ ხეობაშა, ძალიან ახლოს მოვედით მასთან, მაგრამ ნისლის გამო არაფერი არ ჩანს, უბრძანეთ გაჩერდნენ, რომ უკანიდან ჯარი მოვიდესო. ამ სიტყვებმა სულთან მურადი გააბრაზა და მეგზურს უთხრა: ეი! საზიზღარო! რისი გეშინია, კაცს თუ ბედისწერამ არ უწია, განა მოკვდებაო. მართლაც, მტკვერი რამდენადმე გაიფანტა, განათდა, თურმე ესენი უკვე თარვანის ქვემოთ მისულიყვნენ. იმ დროს ციხიდან ნასროლმა ზარბაზნის ტყვიებმა ჯაბახანასა და სოლაკებს გაუარა, მაგრამ ვერაინ ვერ დააზიანა. ფაღიშაპმა იმ ადგილიდან ცხენის ლაგამი დააქნია, მოვიდა და ლაშქარს შემოუერთდა. მდინარე ზენგიზე ფეხით გადავიდნენ. ციხიდან რამდენადმე შორს დაბანაკდნენ, მაგრამ ფაღიშაპმა ბრძანება გასცა, რომ ახლოს მისულიყვნენ, მეორე დღეს საშეფო კარავი ხონთქრის ბორცვად ცნობილ გორაკზე გაშალეს. ვეზირები და სახელმწიფოს სხვა დიდებულები შესაბამის ადგილებში დაბანაკდნენ. ჯაბახანიდან ჯარს წერაქვი, ნიჩაბი, თოფის წაშალი და პატრუქი დაურვიეს.

იმ ღამეს იანიჩრებს სანგრებში შესვლა ებრძანათ. საფარის თვის მეთორმეტე ღამეს²⁶⁶ მთვარის სინათლეზე და ციხის გარშემო გაჩირალდნებული მაშხალებით 3 საათზე ზღვა ჯარი ციხისაკენ გაემართა და სანგრებში შევიდა. როდესაც იანიჩართა წინ რამდენიმე ხელის შემშლელი გარემოება აღიმართა, არა ერთი ასეული მებრძოლი დაიჭრა. მისმა აღმატებულება ფაღიშაპმა თითოეულ მათგანს 30—30 ყურუშამდე მალამოს ფული უბოძა, ზოგიერთს, სამეუფეო უდიდებულესობის თანდასწრებით, ქრილობები გაუხსნეს და დასტაქრებს დაევალა მათი მოვლა. დღიამდე სანგრების საქმე მოთავდა. ყოველი ჯარისკაცი თავთავის ადგილას დააყენეს.

ტ. III, გვ. 253—255

ერევნის ციხის გარემოცვა და აღება

გოზჯი თეფეს სახელით ცნობილ ადგილას კაფუდან ჰუსეინ ფაშასა და ალეპოს ბეგლარ-ბეგ აჰმედ ფაშას ფლანგიდან ზარბაზნე-

ბი ციხის პირდაპირ დადგეს. ამირგუნეს შვილის სასახლე და ბევრი ნაგებობა დაანგრეს და გაანადგურეს. ერევნის ციხე დაახლოებით ძველი სასახლის ოდენა ძლივს იყო, ამიტომ ზოგჯერ ზარბაზნის ტყვია მეორე მხარეს გადიოდა. კარის წინ რუმელიის ეიალეთის ჯარი დააყენეს, დიდვეზირთან ექვსი ზარბაზანი დადგეს. იმ ადგილებში, სადაც კარვები იყო გაშლილი, ციხიდან გასროლილი ზარბაზნის ტყვიები მოდიოდა. ასე რომ, დიდვეზირის კაფუჯიების ქეთხულა ალი ალა თავის კარავში მოკვდა, სარწმუნოებისთვის დაეცა. ცამეტ რიცხვში ძველი ერევნის მიდამოებიდან იანიჩართა მამაცი ჯარისკაცები ანატოლიის ეიალეთის ლაშქრით სანგრებში შევიდნენ. ექვსი ზარბაზანიც იმ ადგილზე დააყენეს.

ციხის ჩრდილოეთით მდებარე წყლის სანაპიროს დაცვა სჭირდებოდა, ამიტომ შემოსხენებული თვის თოთხმეტში²⁸⁷ არზრუქის ბეგლარ-ბეგი აჰმედ ფაშა და ჩილდირის ბეგლარ-ბეგი სეფერ ფაშა შემოსხენებულ ადგილას გაიგზავნენ. სამი ზარბაზანიც იქვე დააყენეს. დაქანებულ მხარეს რუმელიის ლაშქარი, იქითა მხარეს დიდვეზირი და იანიჩართა ალა და უფრო იქით მდებარე სანაპიროს მხრიდან წყლის აქეთა მხარემდე 6—7 ათასი იანიჩართი ზადირჯი-ბაში ბექთაშ ალა ციხეს შემოერთყენენ. ამრიგად, ანატოლიის ლაშქარი ბექთაშ ალას გაუსწორდა. მეორე დღეს ისინიც იანიჩართა ალას სანგრის უკან მივიდნენ. იქვე ქუჩუკ აჰმედ ფაშა და ერთი-ორი ბეგლარ-ბეგიც მოვიდა. ვეზირ მურთაზა ფაშასთან ერთად სივასის, მარაშისა და ადანას ეიალეთების ლაშქარი ოთხი ბოლუქი ჯარით თოფრაკ კალეს მიდამოებში ათ ოღლანების [ცხენის მომვლელების] დამცველებად დანიშნეს.

მე-16 დღეს კაფუდან ფაშას ფალანგაში მდებარე ბაღში შემსი ფაშა-ზადე სამ ალასთან ერთად სანადიროდ წავიდა. ისეთი სიბრიყვე გამოიჩინეს, რომ იქ ყოფნისას ციხიდან ყიზილბაშები ჩამოვიდნენ და სამივეს თავები მოჭრეს, მათი თავები შიგ ციხეში შეიტანეს.

მე-19 დღეს სარდალი წყალზე გადავიდა და გოზჯი თეფეს იქითა მხარეზე მდებარე გადასასვლელზე მივიდა. იმ მიდამოებში არსებული ხიდი აიღო. ციხის იმ მხრიდან წყალში ჩახტნენ, კლდეებს შორის მდებარე შუალედის გადასალობავად კედლის აშენებას შეუდგნენ.

მეორე დღეს კაფუდანი, ალეპოს ბეგლარ-ბეგი და გადაყენებული ბეგები იმ ადგილას დაინიშნენ და თავიანთი კარვებით იქ დაბანაკდნენ. მემატიაზე გადმოგვეცემს, რომ ამირგუნეს შვილი —

ერევნის მმართველი თაჰმასპ ყული ხანი 30 წლამდე იყო შაჰის სამფლობელოში, რომელიც ფარსელებს შორის ირანის ვილაიეთად იყო ცნობილი. შაჰის სიკვდილის შემდეგ ეს ვილაიეთი შეიღს იქტად უბოძეს.

როდესაც მოწინააღმდეგეებმა ცნობა მიიღეს ისლამის ფადიშაჰის ჩამოსვლის შესახებ, გამაგრებისათვის საჭირო თადარიგი დაიჭირეს. ამასთან ირანის შაჰისგანაც დახმარება ითხოვეს. შაჰმაც, ურწმუნოთა ლაშქრის სინდისმა და პატიოსნებამ, ბაღდადის ალყის დროს მისი დაცვის საქმეში სიმტკიცე რომ ნათელეყო, მირ ფათიჰის შეილი — ალა სადიკად წოდებული წარმოაჩინა, რომელსაც მირ ფათიჰის ლაქაბი დაარქვა, და 12000 მაზანდარანის მსროლელით გაგზავნა. მათ ერევნის ციხეში სასტიკი ბრძოლა გამართეს. ფადიშაჰის უდიდებულესობამ ბჭობა გამართა. ლაშქრის მეთაურები თავიანთი რანგების მიხედვით გაამხნევა და ისეთი სიტყვები უთხრა, რომ საბრძოლველად აღაფრთოვანა. ჯერ ქუჩუკ აჰმედ ფაშას გამოელაპარაკა: ქუჩუკ აჰმედ ელიასი რომ დაიჭირე, მისი ქვები დაფშენი და მან ოღლუ გამოიყვანე, ეს არაფერი არ არის დღეს. შენი ვაჟკაცობის დრო დადგა. აბა, შენ იცი, ჩვენი ნათელი სარწმუნოებისათვის, მისი უზენაესობისათვის როგორ მამაცურად იმოქმედებო. ისიც მიწას ემთხვია და უთხრა: დიდი სიამოვნებით ვიღებ თქვენს მოწოდებას, ჩემო ხელმწიფე, შენი მონა აჰმედი მთელი ლაშქრით შენთვის თავს გასწირავს, სიცოცხლეს არ დაიშურებსო. შემდეგ [ფადიშაჰი] მობრუნდა და ჯანფოლად-ზადეს უთხრა: ქურთისტანის ბეი-ზადეს ჯანფოლადის შეილების დრო ახლა დადგა. შენი ვაჟკაცური თვისებები გამოიჩინე იმისათვის, რომ სრულყოთ შენი წარდგინება ვეზირად; დღეს აუცილებელია შენი სიცოცხლე ფოლადის მსგავსი იყოსო.

ფადიშაჰი მურთაზა ფაშას მიუბრუნდა და უთხრა: პროვიანტისა და ალაფისათვის წასულ ათ ოღლანებს, ჩემს მონებს, კარგად მიხედე, რომ მათ რაიმე არ შეეძთხვათ, აბა, შენ იცი, შენი სამსახურის გაწვევის დროაო. შემდეგ იანიჩართა აღას მიმართა: აბა, ალა, სტამბოლში წესრიგის დამკველად სიარული და მთვრალეებისა და ქალაქების წესრიგში მოყვანა დიდი ამბავი არ არის. სიმამაცე იმაში გამოვლინდება, თუ როგორ იბრძოლებენ იანიჩრები სანგრებში ჩემს ჯართან ერთად, ერევნის აღება გამოაჩენს შენს სამსახურს. აბა შენ იციო — უთხრა. ყველამ თქვა, მზად ვართო.

სანგრებში გამაგრდნენ და ციხის გარემოცვისას ვაჟკაცურად იბრძოლეს, არაფერი არ დაზოგეს, რაც კი შეეძლოთ, სამი სანგარი

გაკეთეს და თხრილის ნაპირს მიადგნენ. ზარბაზნებისა და თოფების ტყვიები ერევიან ყოველი მხრიდან წვიმასავით ეცემოდა. ერთი კვირის განმავლობაში დღე და ღამე ზარბაზნების სროლით რამდენიმე ბურჯი და კედელი, ციხის ერთი დიდი ნაწილი ჩამოინგრა. განსაკუთრებით დაანგრევს იანიჩართა ალასა და რუმელიის ჯარის ნაწილებისაგან მდებარე კედელი. ერთ დღეს სანგრების გასანადგურებლად რუმელიის ჯარის წინააღმდეგ გამოვიდნენ ყიზილბაშები. ისლამის გმირები მომზადებულები იყვნენ, დაზარალებულები ციხეში გაიქცნენ. ერთ-ერთი ჯებეჯი ერთ დღეს ძალიან დიდი მონღოლებით ავიდა ერთ ბურჯზე და ყიზილბაშთა ბაირალებიდან წამოიღო ერთი ბაირალი. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და სიფაპიობა უბოძეს. ერთ დღეს სასახლის მსახურთაგან შეიხ-ზადე აბრაჰიმ-ზადეს სახელით ცნობილმა გულადმა ციხის კარებს შუბი დააძვერა და უენებელი დაბრუნდა, იგი გახდა ფადიშაჰის საჩუქრების ღირსი.

გადმოგვცემენ, რომ ერევის გარემოცვის დროს ბრძოლაში მისი აღმატებულება ფადიშაჰი თავად ფეხზე იყო კალთააკაბიწებული, ოქროსა და ყურუშის ქისებს თავი მოხსნა და მოედანზე დაყარა. ვინც მოქრილ თავს მოიტანდა, 40—40 ყურუშს აძლევდა, ვინც დაჭრილებს მასთან მოიყვანდა — 10—10 ყურუშს, ვინც მტრის მხრიდან გასროლილი ზარბაზნის ტყვიებს იპოვიდა და მოიტანდა — თითო-თითო ფლორით ასაჩუქრებდა. ნუ გაუშვებთ, ჩემო მგლებო, მომენტს ხელიდან, მამაცობის გამოჩენის დროა, ჩემო შევარდნებო — უთხრა და წაახალისა, წყალობა და საბოძკარი აპრილის წვიმასავით უხვად და ურიცხვად გასცა. ის კი არა, სხვადასხვანაირად დამატრობელი სასმელებით სავსე ჯამები ედგა. ვინც თავს მოიტანდა და გმირობას გამოიჩენდა, სამოთხის წყლის მსგავს სითხეს ასმევდა და წყურვილს უკლავდა. სასახლის დასტაქრები მათ სამსახურში ჩააყენა, დაჭრილებს მათ აბარებდა და საგანგებო კარვებში მკურნალობდნენ. საჭირო მასალას სახელმწიფოსგან იღებდნენ.

ყიზილბაშები ძალიან ცდილობდნენ ზარბაზნის ტყვიებით დანგრეული ადგილების გამაგრებას, მორღვეულ ადგილებს კალათებითა და ტომრებით მოტანილი მიწით ავსებდნენ, მაგრამ ამასთან ერთად იცოდნენ, რომ იმ მხარეზე ზღვა ჯარის თავდასხმისათვის ისინი მტკიცედ გამაგრებული არ იქნებოდნენ და თავის დანებება განიზრახეს. ზარბაზნის ტყვიით დაინგრა დიდი კოშკი. ციხის კედლის ერთი მეოთხედი მუსტაფა ფაშამ გაანადგურა, ხოლო

მეორე მეოთხედი — იანიჩართა აღამ. როდესაც ციხე ძალიან დაინგრა, ყიზილბაშები თავის გადაჩენის გზას დაადგნენ და შეწყყნარება ითხოვეს.

საფარის თვის 21-ე დღეს²⁸⁸ თაქმასბ ყული ხანისგან ელჩი მოვიდა და ქუჩუკ აჰმედ ფაშას ეახლა. ერთ კვირას ზავი ჩამოვაგდოთო, შემდეგი კვირის დასაწყისში კი ციხის ჩაბარების შესახებ გაუწყებთო. აჰმედ ფაშამ ამ ვადის შესახებ დიდვეზირს შეატყობინა. როდესაც ეს მის აღმატებულებას — ფადიშაჰს მოახსენეს, მისი მეუფება შეიპყრო ნოისხანების ცეცხლმა და აყვირა. ბრძანება გასცეს ელჩის მოკვლის შესახებ. ბრძანა: დღესვე უსათუოდ იერიში მიიტანეთ, აუცილებელია ციხის აღებაო. დიდვეზირი ელჩს გამოექომგა და იხსნა.

როდესაც ელჩი მოვიდა, ლაშქარში დანებების ხმა გავრცელდა და ბრძოლა შეწყვიტეს. თქვეს: უბედურმა ყიზილბაშებმა იმ რაიონში ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს და ზარბაზნებით დანგრეული ადგილები ამოაესეს, შემდეგ კი ციხის დაზიანებული კედლების გასამაგრებლად და შესაკეთებლად გაეშურნენ და მასზე დაიწყეს ზრუნვაო. გმირები ზოგჯერ გადასძახებდნენ — დაზიანებულ ადგილებს ნუ აკეთებთ, ეს რანაირი შეწყყნარების თხოვნა არის, ამის შემდეგ თქვენ შეწყყნარებული არ იქნებითო. მაგრამ მათ ეს არ შეისმინეს და ციხის გამაგრება და შეკეთება უფრო სწრაფად განაგრძეს. ხელსაყრელი შემთხვევით ისარგებლეს გარეწარმა ტყვეებმა, რომლებმაც ციხის შიგნიდან უტბად ზარბაზნები გაისროლეს და სამი ბოლუქ-ბაში და რამდენიმე იანიჩარი მოკლეს. ისლამის ჯარმა ეს ვითარება რომ დაინახა, როგორც ადრე, ბრძოლასა და ალყის შემორტყმას შეეცადა. საფარის თვის ოცდამეორეში²⁸⁹, ორშაბათ დღეს, ერევნის გამგებელი ქეთხუდა მურად ალა ოფიციალური წერილით მოვიდა ქუჩუკ აჰმედ ფაშასთან. იგი იყო სისხლსავსე ვაჟაკი, ახოვნებითა და წარმოსადგეგობით ცნობილი, მოიყვანეს დიდვეზირთან, რომელმაც მის აღმატებულებას წარუდგინა. დივანმა გამარჯვების ბრძანება გამოსცა. მთელი ჯარი შეიკრიბა, მისი აღმატებულება ფადიშაჰი თავის მაღალ ტახტზე ავიდა. როდესაც ელჩი წარსდგა, ფადიშაჰმა მას საყვედურით მიმართა და უთხრა: რატომ ციხე არ ჩაგვაბარეო, ელჩმა ირანელებისათვის ჩვეული და აუცილებელი თავაზიანობით მაღალფარდოვანი ფრაზეებით დაიწყო სიტყვა: ფადიშაჰის მრისხანების დაოკება შაჰმა უნდა ისმინოს. შეიგნოს გმირული საქმიანობის ჩამდენთა შეშფოთება და მან ირანის შორეულ მიწაზე მიაღწიოსო. თქვენს მიმართ, რომელიც სუ-

ლეიზანის ტოლი ხართ, როგორ გავბედეთ ჭიანჭველას მსგავსად წინააღმდეგობის გაწევა. როდესაც ელჩმა მოხერხებულად და გონებადამხვილურად გასცა პასუხი, რომ ერთობაზე ვლაპარაკობთ და ციხის ჩაბარებაზე ჯიუტობასა და სიამაყეს ვიჩინო, ხსენებულის ჭკვიანური და ბრძნული პასუხი ფადიშაჰმა სიამოვნებით მიიღო და ბრძანა ოქროთი მოოჭვილი ხალათი მიეცათ ელჩისათვის. ფადიშაჰმა ბრძანა აგრეთვე: თქვენ ახლა თუ შეწყნარების მთხოვნელი ხართ, აუცილებელია სასწრაფოდ, დღესვე, ჩავვაბაროთ ციხეო. დიდვეზირმა ელჩი თავის კარავში წაიყვანა. რადგანაც დანებების ხმა გავრცელდა, იმ ღამეს ბრძოლა არ შედგა. მაგრამ მთელი ჯარი მზად იყო და თურმე მტერიც ფხიზლად იყო.

მურად აღამ ერთი თავისი კაცი ერევენის ხანთან გაგზავნა და ახარა მას შეწყნარების ამბავი. დილით დიდვეზირი უზენაესის კარავში მოვიდა და დაიწყეს მოლაპარაკება მშვიდობიანობის დამყარების თაობაზე. როდესაც დიდვეზირი თავის კარავში დაბრუნდა, ციხეში ისევ კაცი შეაგზავნეს და აცნობეს გადაწყვეტილება დაზავების შესახებ.

სათარის ოცდამეხამე, სამშაბათ დღეს²⁹⁰ ერევენის მბრძანებლის ამირგუნეს შვილი ციხიდან გამოვიდა. როდესაც ისლამის ჯარი ციხის ბჭედან ფადიშაჰის მალალ კარავში მივიდა და შეიარაღებული, მორთული, მოკაზმული შვიდ-შვიდ რიგად დაეწყო, თაჰმასბ ყული ხანი მაზანდარანის თოფის მსროლელების მეთაურ მირ ფითაჰთან ერთად იქვე გამოვიდა. მათ ხმალი და სუდარა ამოიღეს და თავიანთი ხელქვეითებითა და მხლებლებით ვეზირთან წავიდნენ. იქიდან მუდამ წარმატებული ქვეყნის სულთან მურად ხანის აღმატებულებასთან მივიდნენ და, მიწაზე მთხვევის ცერემონიალის შესრულების შემდეგ, სამეფო კარავთან მკერდზე ხელებდაწყობილები გაჩერდნენ. ფადიშაჰმა ისინი კარგად მიიღო. მან [ფადიშაჰმა] თავის უზენაეს მიმართვაში ბრძანა: მე შენ გაპატიე შენი დამოკიდებულება ჩემდამიო. ისიც [თაჰმასბ ყული ხანი] მიწას ემთხვია. როდესაც მან თავისი თავაზიანი ლაპარაკით მოკრძალება გამოამჟღავნა, მას ერთიმეორეზე მიყოლებით სამი საპატიო ხალათი ჩააცვეს. ფადიშაჰმა ვეზირობა, მოოჭვილი თული, ხმალი და ხანჯალი უბოძა, იუსუფ ფაშას წოდება მიანიჭა. მან საუბარში უთხრა: რა არის მიზეზი, რომ მე ოთხი თვეა განვიციდი ლაშქრობის სიძნელეებს, მოვედი საბრძოლველად, თქვენი შაჰი კი დედაკაცივით გაურბის ბრძოლას და, ამდენად, ტახტისა და გვირგვინის ნამუსს სათანადო პატივისცემით არ ეპყრობაო. როდესაც თქვა, რო-

გორი შაპია ესო, სამართლიანი პასუხი მიიღო: ჩემო ფადიშაპო, შენმა სიცოცხლემ და ძლიერებამ იმატოს, მამა-პაპიდან თქვენი ხმალი მჭრელია და თქვენი ცხენიც სწრაფმავალია. ვინაა იგი, რას წარმოადგენს, რომ თქვენისთანა ბედნიერის, მაღალირსეულის წინააღმდეგ გამოვიდესო. ამის შემდეგ, ფადიშაპის უდიდებულესობამ ფირმანი გამოუშვა და ბრძანა—ჩემმა ჯარებმა დღეს უსათუოდ ციხე უნდა დაიკაონო, რასაც ზემოხსენებულმა თანხმობის პასუხი გასცა. 12000 მსროლელი, რომლებიც მირ ფითაჰის ჯარისკაცები იყვნენ, და თავმასპ ყული ხანის ოთხი ცოლი, მისი ახლობლები და ჯარიც, რომელშიც 500 კაცი იქნებოდა, ქონებითა და მძიმე ტვირთით გარეთ გამოვიდნენ. რანიჩართა ალა თავისი ხელქვეითებით მოვიდა, ციხე დაიკავა. ამირგუნეს შვილზე დამოკიდებული ვინც იყო, ყველა გამოიყვანეს. მათ ამირგუნეს შვილმა დავთარი უბოძა. დავთრის მიხედვით, დავთარდარები ერეენის ციხეში შევიდნენ, ქონება და სავაჭრო საქონელი დაძებნეს და შეაგროვეს. ხელთ იგდეს ურიცხვი ქონება და უსაზღვროდ მდიდარი ხაზინა, რაც 30 წლის განმავლობაში ერეენის მბრძანებელსა და მამამისს ამირგუნე ხანს მოეგროვებია. ძვირფასი ნივთები მთლიანად შეინახეს და სახელმწიფო ხაზინებში შეიტანეს. იმდენი ურიცხვი პროვანტი იპოვეს, რომ ორი წლის განმავლობაში ლაშქრისათვის საკმარისი იქნებოდა.

ერეენის გამგებელს კეთილად მოეპყრნენ, მირ ფითაჰ ოღლი 2000 მაზანდარანელი მსროლელით შეიწყნარეს. ისინი ერეენის ციხიდან გამოვიდნენ და ირანელთა შაჰის სატახტოსკენ გაემგზავრნენ. ციხის დაპყრობისას, მოქმედი კანონის მიხედვით, დამარცხებულ ჯარს იარაღი მთლიანად უნდა ჩამოერთვას. ამჯერად ეს კანონი არ შეასრულეს. ყიზილბაშები შეიარაღებულები წავიდნენ. ზოგიერთი კუუის კოლოფი ამბობს: ამდენი მამაცი და რჩეული მტერი, ყიზილბაშთა ლაშქრის სინდის-ნამუსი, მშვიდობიანად გავიდაო. მათი ასე წასვლა, განსაკუთრებით კი მათთვის იარაღის ჩამოურთმევლობა, ბოლოს შეიძლება გახდეს ბოროტების მიზეზი. ისინი, ერთ ადგილას მიტოვებულები, ალბათ სიავესა და ბოროტებას ჩაიდენენ და შეეცდებიან რაიმე არეულობის მოწყობას, იარაღი მაინც ჩამოერთვათო — ასე დაიწყეს წაქეზება. ფადიშაპის უზენაესობამ ეს გაიგო, მაგრამ არ მიიღო. სხვა ასეთი ჭიუტების გადმობირებისა და გამოსწორების მიზნით შეწყნარებაზე უარის თქმა მიზანშეწონილი იყო, მაგრამ გაიგეს, რომ იმ ბოროტებმა, რა ცხოველიც კი შეხვდათ გზაში, ყველა წაასხეს, მოსახლეობა და-

ხოცეს. [ფადიშაჰმა] მათ დაადევნა ქუჩუკ აჰმედ ფაშა შამის ეი-
ლეთის, ხოლო მეჰმედ ფაშა ყარამანის ეილეთის ლაშქრით. რო-
დესაც ისინი დაეწივნენ, მსროლელები მიუვალ და კლდოვან ადგი-
ლებში ავიდნენ. ბრძოლის დაწყებისთანავე ქუჩუკ აჰმედ ფაშა
დაჰრეს, ბეიშეჰრის ბეგი რიდვან ბეგი მოკლეს, 15 კაცი დაიჭრა,
დანარჩენები დაბრუნდნენ. ბანაკში მოვიდნენ და გადაწყვიტეს ამ
ბოროტი ხალხისთვის განაჩენის გამოტანა. თურმე იმ ადგილის
განაპირას შესაწყნარებლად ძლივს მიატანეს სული, მაგრამ შემ-
დეგში ბაღდადის ალებისას ისინი ჩავიდნენ და სამაგიერო გადაუ-
ხადეს. ამის შემდეგ ფადიშაჰმა ამირგუნეს შვილს იუსუფ ფაშას,
ვეზირობის რანგით, ალებოს ეილეთი მისცა, მის ქეთხუდას —
ელჩს მურად ალას თრაბლუს-შამის ეილეთი. ორივე თავიანთ თა-
ნამდებობაზე მშვიდობით გაგზავნეს. ისინი ცხენებით ერთად გაემ-
გზავრნენ. თუ საჭირო იქნება ამბების დაწვრილებით გადმოცემა,
შეიხ ულ-ისლამ იაჰია ეფენდი დაპყრობის თარიღს ამრიგად გა-
მოხატავს: „იაჰიამ თქვა მისი თარიღი, ვნახეთ ერევნის აღება“.

წინათ სულთნის იმამი ევლია მეჰმედ ეფენდი და შეიხ ყადი-
ზადე ეფენდი ავად გახდნენ და კონიადან დაბრუნების ნებართვა მი-
იღეს. იმამის გარდაცვალების ამბავი მოვიდა. როდესაც მისი მომ-
სახურებისათვის დანიშნულმა შამელი იუსუფ ეფენდიმ რავენდში
უზენაეს ბანაკს მოაღწია, მაღალი ბრძანების თანახმად, შეიხ ულ-
ისლამ იაჰია ეფენდი გაპატიოსნდა ისლამის ფადიშაჰის წინამძღ-
ვრად დანიშნით.

პარასკევ დღეს კაფუჯიების ქეთხუდა ბეშირ ალა სტამბოლში
გაგზავნეს სამახარობლო ამბით. დაპყრობის მოსალოცად კარვის
წინ გაიმართა მაღალი საჩრდილობელი, სადაც ხალიჩები გაფინეს
და სავარძლები დადგეს. დივანს დაესწრნენ: შეიხ ულ-ისლამი,
დიღვეზირი, მურთაზა ფაშა, ქენან ფაშა, რუმელიის ვალი მუსტა-
ფა ფაშა ანატოლიის ბეგლარ-ბეგი ვეზირ აჰმედ ფაშა, ნიშანჯი მუს-
ტაფა ფაშა, რუმელიისა და ანატოლიის ყაზიასქერები, ლაშქრის
ყადი შაიბან ეფენდი, ბაშ დავთარდარი იბრაჰიმ ეფენდი, ანატოლი-
ის დავთარდარი ალთი ფოლაჯე-ზადე მაჰმუდ ეფენდი.

ხელზე სამთხვევად ჯერ მისი უდიდებულესობა მოლა გააბედ-
ნიერეს, შემდეგ დიდვეზირები მაღალი რანგების მიხედვით. ამათ
მოჰყვნენ რუმელიის ბეგები, დავთარდარი, დავთარის ქეთხუდა,
ალაი ბეგები ანატოლიისა და, აგრეთვე, სხვა ბეგლარ-ბეგები, ალაი
ბეგები, იანიჩართა ოჯახის ხალხი, ბოლუქთა ალაები, გადამდგარი
ბეგები, მთელი წარჩინებულები და ლაშქარი. ხელზე მთხვევის

შემდეგ საკრავები დაუკრეს. ირანელთა ქვეყნის დარჩენილი ადგილების ასაღებლად ლოცვა და ფეთვა წაიკითხეს. ხელზე მთხვევის ცერემონიალის დამთავრებისა და გარეთ გამოსვლის შემდეგ საჩრდილობელში ცოტა ხანს შეყოვნდნენ, მურთაზა ფაშა შიგ შეიწვიეს და ერევნის დაცვის სამსახურში დანიშვნის შესახებ უზენაესი სიგელი უბოძეს. ფადიშაჰის აღმატებულება, ჩვეულების მიხედვით, პარასკევის ნამაზის აღსაკლენად ამალით მოვიდა. ციხის მეჩეთში ლოცვის შესრულების შემდეგ ამირგუნეს შვილმა ქვეითად იარა და სასახლეში დიდი პატივით, ამალით, მივიდა. სამხრობამდე იქ გაჩერდა და ამალით უზენაესის კარავში დაბრუნდა.

ტ. III, გვ. 255—263

ციხის შიკეთება და მცველების დანიშვნა

საფარის თვის ოცდამეშვიდე დღეს²⁹¹ [ოსმალები] შეუდგნენ ციხის დანგრეული ადგილებისა და სანგრების შეკეთებას. (ფადიშაჰმა) მთავარ ხუროთმოძღვართან ერთად დაათვალიერა და ნამუშევარი მოიწონა. ჭადრაკისებურად განლაგებული ციხის დიდი ფართობი — 19,280 წყრთა, აგრეთვე 8 800 წყრთა ებოძა რუმელიისა და ალექსანდრიის ვილაიეთის ჯარს, მათ სოფაჰიებსა და სილაჰდარებს, 8560 წყრთა — ანატოლიის ლაშქარსა და იანიჩრებს, ხოლო 1920 წყრთა — არზრუმის, ყარაჰანიისა და ყარსის ლაშქარს. მათ გულშოდგინება გამოიჩინეს და, როცა ციხის შეკეთება დასასრულს მიუახლოვდა, ციხის დასაცავად იანიჩართა და სხვა ჯარებიდან 12000-მდე კაცი დაინიშნა. მათი სარგოებისათვის ხაზინიდან 400 ქისა და საკმარისი რაოდენობის ჯაბახანა და ყველა ბალიემეზის ზარბაზანი გამოიყო.

რები ულ-ეველის მეექვსე დღეს²⁹², როდესაც აიყარნენ, მურთაზა ფაშამ თავისი ლაშქარი მწყობრით ფადიშაჰის წინ გაატარა. ამირგუნეს შვილს იუსუფ ფაშას ებოძა ალექსანდრიის ვილაიეთი, ხოლო, თრაბლუსის ვილაიეთი — მის ქეთხუდას — მურად ალას. ისინი წასულიყვნენ. ხსენებული მურად ალა ძალიან გონიერი, სუნიტი, ერთი ღმერთის მადიარებელი და ღვთისნიერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ციხეში ამდენი მარაგი და პროვიანტი ჰქონდა და მამაცი მოლაშქრეები ჰყავდა, მაინც ამირგუნეს შვილმა მოსალოდნელი ხიფათისაგან თავის დასაზღვევად სიფრთხილე გამოიჩინა, სამმართველო სადავის ხელში ჩაგდებას მისწრაფება მორჩილებით შეცვალა და კეთილ საქმედ აქცია. ისეთი წმინდა გულის იყო იგი, რომ

ქვემარტი სუნიტი გახდა, სუნიტური ჩვეულებების გამოქლავებაში გადააჭარბა. თავის ქვეშევრდომებს მწვანე ჩოხა ჩააცვა და სუნიტური იერი მისცა. ვისაც კი ურწმუნოების ფორმაში დავინახავ, დავხოცავო — თქვა და გააფრთხილა ხუთ ნამაზს ჯამაათთან ერთად აღავლენდა, რითაც თავის რელიგიურ წესებს ასრულებდა. მაგრამ რადგანაც ამირგუნეს შვილი მაინც ქვემარტი რაფიზი²⁹³ იყო, დაბრმავებული და გაოგნებული თავისი სახელმწიფოთი, მისი ქვეშევრდომები გარეგნულად სპარსულ ყაიდაზე იყვნენ ჩაცმულნი. ამიტომ მურად ფაშასთვის ძნელი იყო მისთვის [ამირგუნეს შვილისათვის] რაიმე თანამდებობის ბოძება. ერთხელ, როდესაც ორივე მიდიოდა თანაბარი თანამდებობებით ერზინგანისკენ მიმავალ გზაზე გასაჩერებელ ადგილას, ქეშიშ ხანის ბანაკში, ამირგუნეს შვილმა მთვრალეებისათვის შესაფერისი საქციელით მურად ფაშასადმი თავისი მალული ღვარძლი გამოავლინა და უთხრა: ერევანი რომ ჩავაბარეთ, ამის მიზეზი შენა ხარ. ჰეი, მტარვალო, ახლა შენ სუნიტობას ამქლავებო, შუბი მუხანათურად ჩასცა და საცოცხლეს გამოასალმა.

როდესაც მისმა აღმატებულებამ ფადიშაჰმა გაიგო, რომ მურად ფაშა მოკლეს, თრაბლუსის ეიალეთის გამგებლის თანამდებობა წინათ ჩოხადარობის²⁹⁴ თანამდებობიდან გამოსულ კასტამონუს მბრძანებელს — მუსტაფა ფაშას უბოძა. შემდეგ ამირგუნეს შვილმა ალებოს გამგებლის თანამდებობა დაიკავა. თვითონ სიმთვრალესა და უჭკუობას ავლენდა, ხოლო მის ქვეშევრდომებს გარეგნულად ყიზილბაშური იერი ჰქონდათ, იგი გონივრულად ვერ მოიქცა. როდესაც ფადიშაჰმა გაიგო, რომ ალებოს ყადი და ვილაიეთის მოსახლეობა გამწარებული და შევიწროებულია, მაშინ ალებოს ვილაიეთი, როგორც ადრე იყო, აჰმედ ფაშას ებოძა და ბრძანება გასცა, რომ ალებოში მუთესელიმი დაენიშნათ, ხოლო ამირგუნეს შვილი დაექირათ, მოეყვანათ და იზნიქმიდში²⁹⁵ მისი უზენაესობის ამალის მოსვლას დალოდებოდნენ, შემდეგში კი ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ბრძანება გამოვიდოდა. აჰმედ ფაშა ალებოში მუთესელიმიად დატოვეს, ამირგუნეს შვილი დაიჭირეს, იზნიქმიდში წამოიყვანეს და ფადიშაჰის ჩამოსვლას დაელოდნენ. ამირგუნეს შვილი ალებოს ეიალეთში გამგებლად მხოლოდ ორი თვე იყო.

ამის შემდეგ სულთან მურად ხანი აზერბაიჯანისკენ გაემგზავრა. მდინარე არაქსი ქვეითად გადალახა, წყალი უნაგირამდე წვდებოდა. ფადიშაჰს გვერდით მიჰყვებოდა ერთი სოლაკი, რომელიც წყალმა გაიტაცა და წაიღო. ფადიშაჰმა თავისი კურთხეული ხელით უმწეოს ხელი სტაცა და ნაპირზე გამოიყვანა. წყლის გაღმა ერთი დღე გაჩერდნენ. ბრძანებები დაიწერა ზეინელისა და სხვა ტომების ათასამდე ოჯახის თავისი ადგილებიდან აყრისა და ერზინგანის, თერჯანისა და ფასინის სანჯაყებში, ცარიელ და იავარქმნილ ადგილებში, დასახლების შესახებ. მათ ბეგებს სანჯაყი და ზიამეთი მიეცა.

მდინარე ბაქოსთან მოვიდა ცნობა უფლისწულ სულთან ალაედ-დინის დაბადების შესახებ, ზეიმი მოაწყვეს. გზაში გაანადგურეს ციხეები და ადგილები, რომლებიც გაიარეს, შენობები დაანგრიეს, ბაღჩები და ხეხილის ხეები დაჩეხეს, ტყვეთ ჩავარდნილი ყიზილბაშები დახოცეს. ჯურუსის ციხე, რომელიც ყიზილბაშებმა მიატოვეს და წავიდნენ, ბრძანების თანახმად დაანგრიეს და გაანადგურეს. მკურნალთა მეთაური, მლოცველთა მშვენება — აბიდინ ჩელები გადმოგვეყვამს, რომ იმ დროს ის იყო უზენაესის მუდმივი თანმხლები. იმ ციხეში მათ იპოვეს ერთი უზარმაზარი კარი, რომელიც თურმე ხისა ყოფილა, მაგრამ სიმტკიცითა და სიმაგრით შავ ხეზე უფრო მაგარი, სიმტკიცით რკინის ფირფიტის მსგავსი, ძალიან სქელი ფიცარი იყო. ლაშქრიდან ბევრი შეეცადა შუბითა და ნაჯახით გატეხვას, მაგრამ ვერ შეძლეს.

როდესაც ბედნიერმა ფადიშაჰმა დაინახა იმ კარზე ნაჯახის კვალი, ლაშქრის უძღურება ველარ აიტანა და მონდომება გამოიჩინა. მისი ბრძანებით ისეთი დიდი მორი მოიტანეს, რომ ასაწევად საჭირო იყო შვილი-რვა კაცის ძალა. ის ერთ-ერთი საუკეთესო ხის ჯიშთაგანი იყო. ფადიშაჰმა უზარმაზარი მორი ქვევიდან ერთი ხელით დააჭირა, შუა ადგილას მეორე ხელით დაიკავა, ფალავანი ყოჩივით უკან დაიწია და ნახევარი მოქნევით იმ კარს ისე დაარტყა, რომ ის დიდი და მსხვილი ფიცარი ამ მორის თავით გაიხვრიტა. მორმა მეორე მხარეს გაატანა. მხილველებმა ლოცვა დაიწყეს: ღმერთის შემწეობა იყოს შენზეო.

ჯურუსის აოხრების შემდეგ კუმლასა და მარანდის დასახლებულ დაბებს მიაღწიეს. ამ მხარეში ნოყიერი ადგილები იყო და ზაფხული იდგა. ახალი ყურძენი და სხვა წენიანი ნაყოფი უსა-

ზღვროდ ბევრი იყო. ისლამის ლაშქარი ბალ-ვენახებში დღე და ღამე ანქვეყნურ სიაშოვნებასა და ნეტარებას განიცდიდა, შემდეგ კი ქალაქი, მხარე, კოშკები, რაც კი იყო, გადაწვეს და გაანიავეს. ყველაფერი თავდაყირა დააყენეს, ყველა ხე, ბაღი, სათიბი ნაჯახებით ამოთხარეს და ამოძირკვეს.

ამ დროს რუსთემ ხანმა მურთაზა ფაშას წერილი მისწერა და დახავების სურვილი გამოამჟღავნა. ბარათი თურქმან ხიდირ ბეგად წოდებულ ყიზილბაშს გაატანა. ხსენებულმა ხიდირ ბეგმა დაზავების შესახებ რომ დაიწყო ლაპარაკი, დიდებულმა სარდალმა წერილი მისცა და ფირეჯიყის ვოევოდა ოსმან ალასთან ერთად გაგზავნა.

რები ულ-ევეელის შვიდში²⁹⁶ ქვეყნის მთარველი ფაღიშაჰის უდიდებულესობის ჯანმრთელობა რამდენადღე შერყეული იყო, ამიტომ სანაწახნაგოვანი, ოთხი ჯორი რომ გასწევდა, ტახტრევანი გააკეთებინეს და მეორე დღეს ქალაქ ხოიში მივიდნენ. სამი დღეც ხოიში გაჩერდნენ, ციხე და ნეგებობები დაანგრის, ბაღები აჩეხეს. მეორე დღეს, როდესაც ჭუფიანსა და ჰაჯი ჰარამიშს მიაღწიეს, რუსთემ ხანისგან ქუჩუქ აჰმედ ფაშამ ვინმე სულეიმანის ხელით წერილი მიიღო. ხანი იუწყებოდა, რომ ზავის ჩამოსაგდებად ოსმან ალა გამოიგზავნებოდა.

მეორე დღეს, რები ულ-ევეელის ოცდამეგრვე დღეს²⁹⁷, თავრიზში მივიდნენ და ხიდის თავზე, საიდ აბადის სახელწოდების ველზე დაბანაკდნენ. ქუჩუქ აჰმედ ფაშა და ვანის ბეგლარ-ბეგი ყარაულად დანიშნეს. საღამო ეამს 60 იანიჩარი გაიქცა, ისინი მოვიდნენ თავრიზში და ამბავი მოიტანეს, რომ მთელი ყიზილბაშები რუსთემ ხანთან არიანო. შაჰიც გარკვეული რაოდენობის ჯარით ხუთ გადასარბენ მანძილზე იყო. სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ ხმის დარხვევა რუსთემ ხანის ვერაგობა იყო.

მეორე დღეს ისლამის ფაღიშაჰმა მწყობრით ქალაქ თავრიზში გაისეირნა, სულთან ჰასანის ჯამეც დაათვალიერა, ბრძანება გასცა შაჰის სასახლე და ქალაქი გაენადგურებინათ და დაენგრიათ. ისლამის ლაშქარი იმ დაცარიელებულ ქალაქში შევიდა. მაღალი შენობები, გემოვნებით გაკეთებული და გულის გამაზალისებელი სასახლეები, დანგრია. კოშკებისა და სახლების ფანჯრები, ბაზრის სახურავები, რომელთა უმრავლესობა ლაყვარდისფერი და ოქროსწყლით მოვარაყებული იყო, სავსე სამკაულებით, მოლაშქრეებმა დაანგრის და თავიანთ კარვებში გადაიტანეს, შეშად გამოიყენეს, საკმელები მოამზადეს. როდესაც სულთან სულეიმან ხანის დროს დიდვეზირი მკებულ იბრაჰიმ ფაშა თავრიზში მოვიდა, შაბ ღაზან-

ში ციხე გააშენა. იმ ციხეში რამდენიმე ყიზილბაში გამაგრებული-
ყო, მაგრამ, რადგანაც მათი წარმოდგენით ეს არაერთი იყო, ყუ-
რადღება არ მიაქციეს. ფაღიშაჰმა მოისურვა სულთან საჰანის ჯა-
მეს დანგრევა. შეიხ ულ-ისლამ იაჰია ეფენდიმ იშუამდგომლა, რომ
ეს ჯამე არსებოთად სუნიტების შენობააო და, რადგანაც იგი ყიზლ-
ბაშებს არ ეკუთვნის, უმჯობესია არ დაინგრესო. რადგანაც ასე
მოახსენა, მის დანგრევაზე თავი შეიკავეს. თავრიზის ნაგებობათა
უმეტესობა და სასახლეები მიწასთან გაასწორეს, სავაჭრო ადგი-
ლებსა და ბაზრებს ცეცხლი წაუქიდეს. მისი ბალები უკრდეგანო
ზღვას ჰგავდა, ამიტომ მრავალრიცხოვანმა ჯარმა სამი დღის გან-
მავლობაში დიდი გულმოდგინებით მისი მეთაღდიც კი ვერ ააოხ-
რა.

მეორე დღეს რუსთემ ხანთან გაგზავნილი ოსმან ალა და რუს-
თემ ხანის ქაჰრანად წოდებული პირი ოცამდე ყიზილბაშით მო-
ვიდნენ და მოიტანეს წერილი, რომელშიც იუწყებოდნენ: რადგანაც
ჩვენ მოთხოვნას უყურადღებოდ ტოვებთ და ზავისადმი არ იჩინთ
მისწრაფებას, პატივისცემას არ ამჟღავნებთ, ამიტომ აუცილებე-
ლი შეიქნა საჭურვლისა და მსუბუქი კარვების მომარაგება.

ტ. III, გვ. 265—268

ირანის შაჰის მიერ ერევნის ციხის დაპყრობა

ჩეჩების პირველში²⁹⁸ სარდალს მოუვიდა ვანის ბეგლარ-ბეგის
დილავერ ფაშას წერილი, რომლის შინაარსი ასეთი იყო: შაჰი
თავრიზში მოვიდა, მან თავის გარშემო და მფარველობაში მყოფა
ლაშქარი შეკრიბა, ქალაქ ისპაჰან-დან ოთხი ცალი ზარბაზანი მოა-
ტანიხა, გადაწყვეტილია ერევანზე გალაშქრება და მისი დაპყრო-
ბაო. დიდვეზირმა მეჰმედ ფაშამ დედაქალაქში არზა გაგზავნა და
აუწყა საჰმის ვითარება. ამ ხანებში ახლად შეწყალებულ რუსთემ
ფაშას შვილს მეჰმედ ფაშას, რომელიც ჭივან კაფუჯი-ბაშის სა-
ხელწოდებითაა ცნობილი, მიენდო ანასიის გზით ლაშქრის წაყვანა.
ედირნეში სილაჰდარობიდან ვეზირის რანგით გამოსული ჰუსეინ
ფაშა ხმელთაშუა ზღვის ჯარის ნაწილში დაინიშნა და ლაშქრის წა-
საყვანად რუმელიაში გაიგზავნა, ხოლო ქენან ფაშა სილისტრიის
ეიალეთსა და მარჯვენა მხარეზე დუნაის სანაპიროთი ლაშქრის წა-
საყვანად გაიგზავნა. ოთხი ვეზირი ოთხივე მხარეს ჯარის წასახალი-
სებლად დაინიშნა. ლაშქრის მომზადებას დიდი ყურადღებით მო-

ეკიდნენ. იანიჩრებმა და სხვა ლაშქარმა შაჰინ აღასთან ერთად არ-ზორენს მიადრეს. ერევნისათვის დახმარების აღმოსაჩენად გამგზავ-რება ებრძანათ მკაცრი გაფრთხილებით, მაგრამ დიდი სიცივეები დაიჭირა, დიდთოვლობისა და ყინვის გამო გზები გადაიკეტა და ერევნისათვის დახმარების აღმოჩენა ძალიან გართულდა. ზამთრის პერიოდში უდროოდ გაგზავნილმა ლაშქარმა სარგებლობა ვერ მო-იტანა, ტყუილუბრალოდ სახსრების ხარჯვა და ადამიანთა გადა-ქანცვა გამოიწვია.

რეჯებისთვის მეთოთხმეტე დღეს²⁹⁹, სამშაბათს, რუსთემ ხანი და ირანის შაჰი ერევანთან დაბანაკდნენ და ალყა შემოარტყეს. შა-ბანის ოთხში³⁰⁰ დიდვეზირმა წერილობით ბრძანება გაუგზავნა ანატოლიის, ყარაბაღის, სივასის, მარაშის, ალექოს, შამის, თრა-ბლუსის, არზრუმის, ტრაპიზონის, ჩილდირისა და ყარსის ეიალეთე-ბის მესვეურთ სასწრაფოდ აიყარენით და არზრუმში სალაშქროდ მზად იყავითო. ყიზილბაშთა ხანებს დაევალა ჩუბუქ სალიანე³⁰¹. ორი ზარბაზანიც თბილისიდან მოიტანეს, კალათის დაწვენას შეე-ცადნენ. შაბანის ჩვიდმეტს³⁰² დიარბექირის ვალი მტკმედ ფაშა ქა-ლაქიდან გავიდა და ბრძანების თანახმად ბითლსში ჯარის შესა-კრებად წავიდა. ოცდარში დიდვეზირიც გამოვიდა დიარბექირი-დან და არზრუმისკენ გაემართა. არზრუმის მხარიდან კი წერილი მოვიდა, რომელშიც იტყობინებოდნენ, რომ ერევნის ციხეს ალყა შემოარტყესო, შაბანის ოცდამედი³⁰³ ვეზირი, მსუბუქად, ორთა ხანიდან არზრუმისკენ ქენებით გაემართა, რამაზანის ცხრამი³⁰⁴ ხარფუთზე, ფერთექზე, ჩემიშქეზექსა და ქემახაზე გავლით თხუთ-მეტი-ოცი კაცით არზრუმს მიადრეს. ოცმა სივასის ბეგლარ-ბეგი იბრაჰიმ ფაშაც მხოლოდ თხუთმეტი კაცით მოვიდა და შეუერთდა. მევალის ორში³⁰⁵ დიდვეზირი ჰასან კალეში შევიდა. მასთან სივა-სისა და ტრაპიზონის ეიალეთების მესვეურთა გარდა არავინ არ იყო. სიფაჰები, სილაჰდართა ალაები და იანიჩართა ქეთხუდაც კი მათთან იყო. ჰასან კალეში დასახმარებლად გაგზავნილი არზრუმის ჯარისკაცებიდან ცხრა კაცი ძლიერი სიცივის გამო გაითოშა, ბევრ-საც ხელ-ფეხი მოეყინა. ჯერ კიდევ მარტის დასაწყისი იყო. ყა-რაბაღისა და ანატოლიის ფაშებმაც ოც-ოცი კაცით არზრუმს მი-ადრეს. შაჰი ოს ხანით, ქალბ ალი ხანით, აბდალ ხანითა და კიდევ რამდენიმე ხანითა და სულთნით 6000 ყიზილბაშთან ერთად სელ-მასში იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ათასობით ყიზილბაში ბაია-ზიდის ახლოს დადგა. რუსთემ ხანის ძმა ოთხი-ხუთი ათასი ყიზილ-ბაშით ხოში გაჩერებულყო. სტამბოლში იანიჩართა აღას თანამ-

დებობა შაჰინ აღას ებოძა. ფადიშაჰმა დიდი მუქარით უბრძანა, რომ მთელი ლაშქრით დასახმარებლად მისულეყენენ. ამასთან, ფარმაკ კაფუში ბრძოლები გაამართვინა. ჯარში წაუსვლელობის ბრალდებით რამდენიმე ჯარისკაცი სიკვდილით დასაჯეს.

როგორც აღნიშნული იყო, მის [ფადიშაჰის] გარშემო მყოფ და მორჩილ ვეზირთაგან გამყოლები [სურუჟიები] დაინიშნენ, მაგრამ დიდი სიცივის გამო ვერავინ ვერ მიდიოდა. ბრძანება აუტანელი და არადროული იყო, ამასთან ვრცელი იყო ადგილები: ისინი [ხელქვეითები] თავიანთი კეთილდღეობისათვის გზიდან უხვევდნენ და გარბოდნენ. შევალის ოცდამეორე დღეს³⁰⁶ ანატოლიისა და სივასის ვალიები დიდვეზირთან მოვიდნენ. თათბირზე გადაწყვიტეს, რომ ჯერ ყველანი ყარსში წასულიყვნენ, შემდეგ კი საჭიროებას მიხედვით ემოქმედათ. მეორე დღეს, ნაშუალამევს, ერევნიდან ორთ კაცი მოვიდა და მურთაზა ფაშას ქეთხუდა ზულფიკარ აღასგან წერილი მოიტანა. მასში ეწერა, რომ ერევნის ციხე გასაჭირშია, ხუთათ დღეში დახმარება თუ არ იქნა აღმოჩენილი, ციხე ხელიდან წაგვივაო. ყიზილბაშებმა გარემოცვა გააძლიერეს. მურთაზა ფაშა ავად გახდა, ბრძოლის დროს დაიჭრა და გარდაიცვალა. მის ნაცვლად ქეთხუდა ზულფიკარ აღას ებრძანა ერევნის დაცვის ხელმძღვანელობა.

შევალის ოცდამეექვსე დღეს³⁰⁷ ანატოლიის ვალი გურჯი მეჰმედ ფაშა აიყარა, ავანგარდში ჩადგა და ყარსისკენ გაემართა. ციხეში შემსვლელებს ბოლუქი და 100—100 ყურუში აღუთქვა. ოცდაცხრაში ყარამანის ვალიც გაემართა. შევალის ოცდაოთხში³⁰⁸ ურწუნოთა ლაშქარი ძალიან შეეცადა. რადგანაც აქეთა მხრიდან დახმარება არ აღმოუჩინეს, ოსმალები დადარდიანდნენ და დაცვაში მყოფმა უმწეო ლაშქარმა ერევნის ციხე ყიზილბაშებს ჩააბარა. ზილ-კაადეს პირველში³⁰⁹ საშიშროების მაუწყებელმა ამბავმა სარდლამდე მოაღწია, სარდალი ძალიან შეწუხდა და გაბრანდა. იმ დროს დიარბექირისა და ვანის ვალიები და ბითლისის მბრძანებელი აბდალ ხანი მოვიდნენ და ჰასან კალეში ვეზირს შეუერთდნენ. დაიწყეს საუბარი ზამთრის მიერ მიყენებული გასაჭირისა და ტანჯვის თაობაზე. დარწმუნდნენ, რომ ასეთ მკაცრ ზამთარში სადმე წასვლა შეუძლებელი იყო. ამით გული დაიმშვიდეს. რაც მათ ტანჯვა და სიძნელეები გადაიტანეს ამ ხნის განმავლობაში მისი აღწერა და გადმოცემა შეუძლებელია. კვლავ დიდი თოვლი მოვიდა და გაკვალული გზებიც გადაკეტა. ზემოთ აღნიშნული ვალიები ვანის დასაცავად გაფიზავნენ. სხვა ციხეებშიც შეძლებისდაგვარად დასაცავად

ლაშქარი დაინიშნა, განაწილდა და გაიგზავნა. ზილ-კაადეს მეექვსე³¹⁰ დღეს იანიჩართა ალა მოვიდა. ცხრაში დედაქალაქში შემოკლებული მოხსენება გაგზავნეს და უზენაეს სადავეს მოახსენეს, რომ ერევანი ხელიდან წაუვიდათ.

ქეთილისმურველთა მიერ იმ დროს გამოთქმული მაღალი აზრის მიხედვით, მურთაზა ფაშა არზრუმიდან ყარსში უნდა წასულიყო, ხოლო მისი ქეთხუდა ზულფიკარ ალა ან სხვები ერევნის დასაცავად უნდა დანიშნულიყვნენ. როდესაც გაჩნდებოდა შაჰის თავდასხმის საფრთხე. მაშინ მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ მურთაზა ფაშა თავისი რჩეული ლაშქრით, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, წასულიყო დახმარების აღმოსაჩენად. ეს ღონისძიება შეიძლებოდა მოეხსენებინათ ოსმალთა უზალესი ხელისუფლებისათვის, მაგრამ მის აღმატებულებას — დიდვეზირს, როცა დაინახა მურთაზა ფაშას შაჰთან დამოუკიდებლად მიახლოება, თავისი მღელვარების დასაოკებლად, რადგანაც მისი [მურთაზა ფაშას] მტერი იყო, არ მოეწონა მურთაზა ფაშას ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯი. რაკი დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი შეიქნა, მოხდა ეს ამბავი.

ზილ-კაადეს ცამეტში³¹¹ ერევნის მხრიდან, მურთაზა ფაშას ცხედრით, რეის ბექირ ეფენდი და მისი ქეთხუდა მეკმედი რამდენიმე ალასთან ერთად მოვიდნენ. თურმე ირანელთა შაჰს ერევნისთვის ალყა შემოურტყამს და ზარბაზნების სროლით გარშემო მიდამოები დაუნგრევია. როდესაც დიდი ბრძოლა გამართეს, ისლამის ჯარმა შეიგნიდანაც, როგორც საჭირო იყო, თავდაცვაში დიდი გულისხმიერება გამოიჩინა. ექვსასზე მეტი იანიჩარი, თავდაცვაში დარჩენილ კონდაკჩი მუსტაფა ალას სახელწოდების სასახლის განსაკუთრებულ მსახურთან ერთად, სარწმუნოებისათვის წამებით დახოცეს. ჩორბაჯი მოსპეს და იძულებული გახდნენ ციხე ჩაება-რებინათ. შაჰმა ზულფიკარ ქეთხუდა, სევენდიქ ფაშა, მემი ფაშა და რამდენიმე ბეგი და თანამდებობის პირი დატოვა, დანარჩენები გაუშვა. შემდეგ ისინიც გაგზავნა.

განთავისუფლებული 450 იანიჩარი ყარსში, ჰასან კალესა და იმ მხარეებში გავიდა და დაბინავდა. დიდვეზირი დაბრუნდა, არზრუმში მოვიდა. დიარბექირისა და ალეპოს ვალიები ჰასან კალესში დარჩნენ. როდესაც ბედნიერების კარზე გაგზავნილი შემოკლებული მოხსენებიდან ეს ამბავი ცნობილი გახდა ფადიშაჰისათვის, იგი მიიჩნის ღმერთისგან გამომდინარე მოვლენად. ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ მათ არ დაიშურეს თავიანთი ძალ-ღონე და აზრადაც არ მოსვლიათ ხმაურის ატეხვა. მათ გამოუშვეს უზე-

ნაესი სიგელი, რომელიც ხალხს აუწყებდა, რომ ამიერიდან მონღო-მებით და მუყაითად იყავითო. ფაშა თავდაცვისათვის დიდ მზრუნველობას იჩენდა. ამ წელს არზრუმში დაბანაკდნენ. ჯარის უდროო აღელვებისა და წაქეზების მიზეზი ის იყო, რომ ერთი სომარი³¹² ქერი ხუთ ყურუმად, ხოლო ოცი ღირკემი პური ერთ ახჩად ფასობდა. ეს საშიში მდგომარეობა ხელშემშლელი გარემოება არისო, გადაწყვიტეს და უზენაეს სადავეს თხოვნის წიგნი გაუგზავნეს.

ტ. III, გვ. 279—283

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა ე ქ ვ ს ი წ ლ ი ს³¹³ ა მ გ ე ბ ი

სარდლის ამბები ირანის საზღვარზე

მუჰარემის თვის ათში³¹⁴ პატიოსანი ბრძანება გაგზავნა და გააფრთხილეს, რომ სათანადო ადგილებზე გაკეთდეს 17 თვალი საჯინიბო, რომლებიც დაიტევს 70, 80 და 100 აქლემს და რომელთა შუაში ღია ადგილი იქნება. ორკარიანი მებაქლემეთა ოთახები იქნება, კარების გვერდით უნდა იყოს ქერის, ჩალის საწყობები.

მუჰარემის თვის ნახევარში³¹⁵ ჯან ფოლად-ზადე არზრუმში ჩავიდა. იანიჩართა აღამ სულთან სეჭისის სახელწოდების ადგილას სარდალს წვეულება გაუმართა. სარდალმა რომ შეამჩნია რამდენიმე კაცი თამბაქოს ეწეოდა, მან დაიჭირა ერთი მათგანი და მოკლა, ხოლო სხვებს მტკიცედ ათქმევინა, რომ თამბაქოს წევას მიატოვებდნენ. მუჰარემის ოცდარვაში³¹⁶ მიღებულ იქნა უზენაესი ბრძანება ჯან ფოლად-ზადე მუსტაფა ფაშას მოკვლის შესახებ. ამის თანახმად იმოქმედეს და იმ ქვეყნად გაისტუმრეს. მისი უზენაესობის მესხიერებაში ჩარჩენილიყო, რომ ძალადობის პერიოდში მუსა ჩელების მინდობილი ჰქონდა რეჯებ ფაშას მტარვალთან მიყვანა. მას მოსასპობად უთვალთვალებდნენ, შემდეგ კი შურისძიება აღასრულეს.

მემათიანე გადმოგვცემს, რომ ზემოხსენებული ჯან ფოლად-ზადესადმი ფადიშაჰის უზენაესობას უამრავი სიკეთე ჰქონდა ჩადენილი. მისმა მოწინააღმდეგემ ჰასან ფაშამ აიშე სულთანი შეირთო, მაგრამ მუსა ჩელების ამბის შემდეგ მათ შორის დარჩა მტრობა და მის [ჰასან ფაშას] მოსაკლავად საბაბს დაეძებდნენ. აღნიშნული ფაშა კი ამ „სიკეთეს“ არ აქცევდა ყურადღებას. ფადიშაჰს გულში ძველი ღეარძლი ჰქონდა, ამიტომ მასაც უდარდელად ეკი-

დებოდა. თვითონ კარგი აზრის იყო მასზე [ეკვი არ ჰქონდა]. თავისი ბუნების შესაბამისად და წინაპრებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული თვისებების წყალობით ჩაგვრისა და მტარვალობისადმი მისწრაფებას იჩენდა.

ჰასან ფაშა ლაშქრის წინამძღოლად გაიგზავნა ყარამანიის ნხარეს, სადაც მაჰმადის მორწმუნენი ძლიერ შეაჯიწროვა, ზოგიერთი უდანაშაულო მოკლა და ჯვარს აცვა. როდესაც საჩივრები აღიძრა, ძველი ღვარძლის შესაბამისად მის მოსაკლავად უზენაესი სიგელი გამოვიდა და მას გაუსწორდნენ.

საფარის მეორე დღეს³¹⁷ ღიარბექირის, ყარამანიის, სივასის, ანატოლიისა და რამდენიმე სანჯაყის ფაშები და ბეგები თავიანთი ლაშქრით ყარსის დასაცავად გაიგზავნენ. მივიდნენ და ყარსის გავერანებული ადგილების ხელახლა აშენებას შეუდგნენ. მეთექვსმეტე დღეს ანატოლიის ბეგლარ-ბეგ გურჯი მეჰმედ ფაშას მიენდო ახალციხის ციხის შეკეთება, სათანადო სახარჯო სახსარიც მიეცა. ოცდაერთში გაემგზავრა, რუსთემ ხანი კი 20000 ყიზილბაშით შეჰრიზორსა და გერგუქში წავიდა. ირანის შაჰი ერთ ადგილას დაბანაკდა. ერევნის ასაშენებლად 4000 საუკეთესო ცხენი და 10000 თუმანი ახჩა მისცა. განჯის გამგებელი მეჰმედ ხანი და შირვანის ხანი იუსუფ ხანი სამი ათასი ყიზილბაშით გაგზავნა და ერევნის ციხე ხელახლა შეაკეთა. მის გარშემო წყალი გაუშვა. ციხის გამაგრების შემდეგ მისი მმართველობა ქალბ ალი ხანს მისცა და ისპაჰანში წავიდა.

ტ. III, გვ. 286—288

თათართა ომების ანბანი

ჯანი ბეგ გირეი ხანი მხედართმთავარი არ იყო, ამიტომ დაითხოვეს. ერევნის ლაშქრობაში ხმელეთით წამოსასვლელად ლაზი გირეის შვილი ინაჩეთ გირეი ხანი დანიშნეს და გაგზავნეს. ნოღაელთა ტომსა და ყირიმის ხანებს შორის ძველი მტრობა იყო. წარმოშობით ნოღაელთა ტომის სამი ჯგუფი იყო: ერთ ჯგუფს ულუ ნოღაელები შეადგენენ, რომლებიც ფადიშაჰს არ ემორჩილებიან და მისი ბრძანებების შემსრულებლები არ არიან, მეორენი მცირე ნოღაელები არიან, რომლებიც იძულებით ემორჩილებიან, გულში კი მტრობა აქვთ, მესამეს — მანსურეებს ეძახიან, ცნობილი არიან ძალადობითა და სისხლისმსმელობით. კანთემირ მირზა იმ ტომის

ბეგი იყო, რომელსაც მანსურების შვილებს ეძახდნენ, ხოტინის ლაშქრობაში გამბედაობისა და თავისი სამსახურისადმი ერთგულებისათვის თანამდებობა მიეცა და ემირ ულ-უმერას წრეში მოიხსენიებოდა. მას შემდეგ კი, რაც კანთემირი ემირობის წოდებაში აღზევდა, მთლიანად გამოვიდა ხანის მორჩილებიდან. თათართა ერთი ჯგუფი შირინ ბეგებად იწოდებოდა, რომლებთანაც ყირიმის ხანებს მოყვრობა ჰქონდათ.

ლაშქრობის დროს შირინ ბეგები ბუზმარადან 20—30 ათასი კაცით თათართა ხანის გვერდით სალაშქროდ მოდიოდნენ, მათ ემონებოდნენ, ემორჩილებოდნენ და იცავდნენ. ამის გამო თათართა ხანები შირინ ბეგებს პატივს სცემდნენ. ისინი ცდილობდნენ მათი დახმარებით ნოღაის ტომების, განსაკუთრებით მანსურების დასუსტებას. მას შემდეგ, რაც კანთემირ ფაშამ ოსმალთა უზენაესი ზღურბლიდან დახმარება ითხოვა და სახელოვანი გახდა, შირინ ბეგების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება და მტარვალობა აღკვეთა. კანთემირ ფაშასა და მისი ტომის ძლიერება თვალსაჩინო გახდა. (როგორი მონდომებით მოქმედებდნენ ყირიმის ხანების ხოცვაში, მათთან ბრძოლაში, ომსა და ხოცვა-ჟლეტაში, ამაზე თავის ადგილას იყო ლაპარაკი).

როდესაც ინაიეთ გირეი ხანი გახდა, უმცროსი ძმა ჰისამ გირეი მემკვიდრედ გამოცხადდა, ხოლო უმცროსი ძმა საადეთ გირეი ნურედდინად დაინიშნა. თათართა შორის კალგაიდ წოდებულ¹⁸ პირს სამხედრო საქმის მკოდნედ და მთელი მულქების მმართველად მიიჩნევდნენ. ნურედდინის რანგი იმაზე დაბალია. რადგანაც მემკვიდრე ჰისამ გირეი ბუნებით მოჩხუბარი, მოძალადე, სისხლისმსმელი და უხეში იყო, მანსურების გასაწყვეტად, რომლებიც კანთემირის ტომიდან იყვნენ, ხანი წააქეზა. ხანი ერევნის ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად შეკრებილ თათართა ლაშქრით უზენაეს ლაშქრობაში არ წავიდა, ყირიმის ჯარი შეკრიბა და აქერმანის ველზე დაბანაკდა, ჩრდილოეთის მხრიდან მომდინარე თურქა გადალახა და ისწრაფოდა, რომ შური ეძია კანთემირის ტომის ხოცვა-ჟლეტით.

ამ დროს პოლონეთის მეფისგან საჩივრის წიგნი მოვიდა, რომელშიც ეწერა: ჩვენი ქვეყანა [კანთემირმა] გაანადგურა, ისლამის ფადიშაჰსა და ჩვენ შორის არსებული სამშვიდობო ზავის საწინააღმდეგოდ მას ზოგიერთი მიუღებელი მოსაზრება აქვსო. ოსმალეთის სახელმწიფოსთან საჩივარი ხანმა საბუთად გამოიყენა, მან იფიქრა: კანთემირსა და პოლონეთს შორის ასეთი ურთიერთო-

ბის გამო უზენაეს საფადიშაპო ლაშქრობაში წასვლა საჭირო რომ შეიქნენ, პოლონეთი ყირიმს შემოესევად, ამიტომ ბოდიში მოიხადა. როდესაც ჰისამ გირეის¹⁹ ცდუნებით ხანი სალაშქროდ მოვიდა, გულგრილობა გამოიჩინა და კანთემირის ტომის ხოცვა-ჟლეტა დაიწყო.

კანთემირმა ოსმალეთის სახელმწიფოს აცნობა, რომ ხანი მას თავს ესხმის და საჭიროა წინააღმდეგობის გაწევა, მას ისლამის ქვეყნების დაზარალების განზრახვა აქვსო. იგი მათი ზოცვა-ჟლეტის ნებართვას ითხოვდა, მაგრამ უზენაესი სახელმწიფოსაგან ხოცვა-ჟლეტის ნებართვა ვერ მიიღო. რადგანაც კანთემირი ბედნიერების დედაქალაქში გაიწვიეს, მან ქონება და ოჯახი თავის ციხეში დატოვა და თვითონ ბედნიერების დედაქალაქს გაეშურა.

როდესაც მისი აღმატებულება თათართა ხანი თათართა ლაშქრით კანთემირის ტომს თავს დაესხა, კანთემირის ძმებმა: სელმან შაპ ნირზამ, ევრაყ მირზამ, ველიშაპ მირზამ, ნირდ მირზამ, კუთლულ შაპმა, ინაიეთ შაპ მირზამ, ალი ბეგმა, აი თემირმა, ქელიქ ბეგმა — ყველამ მთელი ტომის დიდებულებთან ბჭობა გამართა. მათ თვალნათლივ დაინახეს, რომ თათართა ხანთან წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. უმრავლესობა დაიფანტა და მიიძალა. სელმან შაპი და ევრაყ მირზა რამდენიმე მირზით მოვიდნენ და ხანისგან შეწყნარება ითხოვეს. ხანმაც ზემოხსენებულ მირზებს დანაშაული აპატია და შეიწყნარა.

მაგრამ თათართა ლაშქარმა მანსურების ვილაიეთები დაარბია, სოფლები გადაწვა და გაანადგურა, მათი ქონება იავარპყო. კანთემირისადმი დაქვემდებარებული თათართა სოფლები აყარა, ყირიმის სანაპიროებზე მათ მოსაყვანად ხანის აღმატებულებამ მტკიცე ღონისძიებები გაატარა. აქერმანის მხარე გაანადგურა, კანთემირის ქვეშევრდომთაგან ბევრი ხალხი დახოცა. შემდეგ ისინი ციხეში მოვიდნენ და კანთემირის ქონება და ოჯახი მოითხოვეს. მისი მიდამოები იავარპყვეს და ციხეს ზარბაზნები დაუმიზნეს. როდესაც ალყის შემორტყმა მოინდომეს, ციხის მოსახლეობა იძულებული გახდა ზემოაღნიშნულის [კანთემირის] ქონება და ოჯახი ჩაებარებინა.

შემდეგ ქალაქ კაფას ალყა შემოარტყეს. თურმე კაფას ბეგლარ-ბეგის ბიჩაქჩი იბრაჰიმ ფაშას მოსაშორებლად ხანმა ოსმალეთის მთავრობას არზა გაუგზავნა და იშუამდგომლა მისი გადაყენების შესახებ. რადგანაც დედაქალაქიდან მისი არზის პასუხი არ მოვიდა, ალყა შემოარტყა და ვილაიეთის ხალხი დააქერინა, ბიჩაქჩი

იბრაჰიმ ფაშა და კათას ყადი ჰამიდ ეფენდი დაახრჩო და სარწმუნოებისათვის აწამა. კათას ხალხმა შეწყყნარებისათვის ფაშა და ყადი გადასცა. მიუხედავად იმისა, რომ ხანი პირობას იძლეოდა, რომ მათ ხალხს ზარალს არ მიაყენებდა, თათართა ლაშქარს მაინც კვლავ მისცა ნებართვა და ქალაქი კათაც იავარყო. კანთემირის ძმები, აგრეთვე ხანის ქვეშევრდომები: სელმან შაჰი, ევრაკი და რაჰდენიმე მირზა იძულებული გახდნენ ხანთან შენდობის თხოვნით მოსულიყვნენ. ხანმა ისინი შეიწყნარა.

ცოტა ხნის შემდეგ მათი ხელისუფლების ქვეშ მყოფი ყველა ნოღელი ტომი გადმოიყვანეს. ისინი ყირიმის მიწაზე მოვიდნენ და ხანის ქვეშევრდომები გახდნენ. ხანის ფრთებქვეშ უშიშრად რომ ყოფილიყვნენ, აზიტომ დაემორჩილნენ. ხანმა პირობა და აღთქმა დაადებინა, რომ მისთვის არასდროს არ გაეწიათ ურჩობა. ამ პირობით მიიღეს მორჩილება. მაგრამ რადგან ინაიეთ გირეის³²⁹ ტყინი აჯანყებისკენ იყო მიმართული, მან მაინც გამომამყლავნა ურჩობა. მუფთა იაჰია ეფენდის გაუგზავნა წერილი, რომ მას კანთემირი მოეთხოვა. წერილის შინაარსიდან ჩანს მისი მისწრაფება ბოროტებისა და ურჩობისაკენ.

წერილში ინაიეთ გირეი პატრივისციემით მიმართვის შემდეგ წერდა: ამას წინათ, როდესაც ჯანი ბეგ გირეი ხანის გადაყენების მიზეზი ცნობილი არ იყო, მეჰმედ გირეისა და ჯანი ბეგ გირეის დანიშვნაზე დიდი ბრძოლა შეიქმნა, ორი ვეზირი ჩადგა მათ შორის. თქვენ იცით სასულთნოსადმი მოხსენებით რამდენი უსიამოვნება მოხდა. კანთემირმა ჯანი ბეგ გირეის მხარე დაიჭირა, რაც გახდა მეჰმედ გირეის გადაყენების მიზეზი. შაჰინ გირეი თავისი ფეხით წავიდა, იგი დაატყვევეს და გააუბედურეს. თუმცა მისმა აღმატებულებამ ფადიშაჰმა ყირიმის სახანო ჩვენ მოგვცა, მაგრამ რამდენიმე ღვარძლიანი სიტყვით ხანის გადაყენება გადაუწყვეტია, წლების განმავლობაში ამდენი ტანჯვა და სიძნელებები რომ გადავიტანეთ, ეს რამდენიმე დღის უშიშროებისა და მშვიდობიანობისათვის არისო. ამ მიზეზების გამო კანთემირის ბოროტ საქმეებს ვერ ვუძღვებთ. ჩვენს შინაგან არსებაში თანდაყოლილი მოჭარბებული მამაცობისა და კეთილშობილების გამოვლინების შედეგი იყო მათი ქვეყნებისა და სოფლების იავარყოფა, რომლებიც თათართა ჯარს ფეხქვეშ გაუათელინეთ.

ცოლებისა და ბიჭების დატყვევებით, განადგურებით, მათ სასჯელი მიეზღოთ. ჩვენთვის ცნობილია, რომ კანთემირი გაიქცა და, როდესაც დედაქალაქს ჩავიდა, სასულთნო კარი თავშესაფრად

გაიხადა. კანთემირი ჩვენი ქვეშევრდომთაგანია. ჩვენს ბედნიერ ფაღიშაჰს უნდა ვთხოვოთ მისი აქეთკენ გამოგზავნა.

კანთემირის ძმები ევრაჟ მირზა და სელმან შაჰი ნოღაელთა რვა ათასიანი ჯარით მოვიდნენ და შეწყნარება ითხოვეს. ჩვენს სამსახურში ჩადგნენ. უკეთუ მისმა აღმატებულება ფაღიშაჰმა კანთემირი ჩვენ არ გადმოგვცა, მაშინ იგი ღუნიას გადალახავს და დედაქალაქთან ახლოს მოვა, კანთემირად წოდებულ უწყოსა და მლიქვნელს ვითხოვ. თუ კანთემირს ოზისა და სილისტრეს ეიალეთები მიეცემა და თუ იტყვიან, რომ ჩვენი ბეგების წყალობით მოხდაო, ეს სიტყვა უკმაყოფილებას გამოიწვევს. ახლა ჩვენ დაგვეცინიან. ჩვენ ისეთ პასუხს მოგვცემენ, რომ დაგვიბრძოლებენ. საბატო ხალათებითა და ბრძანებებით, როგორც უწინ, ჩვეულებრივ უხანოდ, დავბრუნდებით და წავალთ. ჩვენც მოვტყუვდით თქვენი არაგულწრფელი სურვილის გამო, ჩვენ გარშემო შეკრებულ თათართა ლაშქარს თუ დავფანტავთ, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ვინმეს ხანად გაგვიხდით და გამოგვიგზავნიან. ეს არ არის მისაღები აზრი. ჩვენ ჯარს არ დავფანტავთ. დასაფანტავად რაიმე დიდი მძევალი გვინდა. იანიჩართა ოჯახებისა და სხვებისგან არ ვითხოვთ, სწავლულთა ჯგუფიდან უნდა გამოგზავნოთ. მაინც კანთემირის მოსათხოვად იმ მხარეში წასვლა ჩვენთვის ძალიან ადვილი საქმეა. მერე არ თქვათ, რომ ეს არ გაცნობეთ. თქვენი მაღალი პიროვნებისათვის რაც ადვილი და ჭკვიანურია, ის გააკეთეთო და ამით გათავდესო.

დედაქალაქის მხრიდანაც ხანის წერილზე დამაჯრებელი პასუხი დაიწერა და გაიგზავნა. ამასობაში თათრებში ხმა გავრცელდა: ხანობა სხვას ებოძაო. ხანი თავის ლაშქრით ზღვის სანაპიროების დასაცავად წავიდა. შეიძლება ახალი ხანი ხპელეთიდან მოვიდესო. ჰისამ გირეი, ნურ ად-დინი და საადეთ გირეი²¹ ნოღაის თათრებით მდ. ოზისა და ოზუს შორის დარჩნენ. კანთემირის ძმებმა — სელმან შაჰმა და ევრაჟ მირზამ ჰისამ გირეისა და საადეთ გირეისთან ერთად ჰამეს და სვეს, იქეიფეს და ხელსაყრელ შემთხვევას უთვალთვალდნენ. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ აშკარად კანთემირისა და ოსმალთაგან პირი ვიბრუნეთ, თქვენ დაგექვემდებარეთო. ნოღაელთა ტომიც ამათთან ერთად აიყარა და წასასვლელად მოემზადა. ეტყობა, კანთემირის ძმებმა დაინახეს, რომ მოედანე თავისუფალია. ჰისამ გირეი დღე და ღამე უგონოდ მთვრალი იყო, ამიტომ ხელსაყრელი დრო დადგა — ხოღაელთა ტომს საიდუმლოდ აცნობა და ღამის თავდასხმისათვის მოემზადნენ. მაგრამ საადეთ

გირეის ნოღაელთა საბრძოლო იარაღების თადარიგის დაჭერა და სამზადისი არ გამოეპარა და თავის ძმა ჰისამ გირეის აცნობა: ნოღაელთა ასეთი საქმიანობა საეჭვოა, ესენი ჩვენ მიმართ ბოროტი განზრახვით არიანო. რადგან ჰისამ გირეი შეუპოვარი და ძლიერ ამპარტავანი იყო, ამიტომ მან თქვა: ისინი ჩვენი შუბის შიშით ჩვენს ფრთებქვეშ შეფარებული უძლურთა გროვაა, მით უფრო, რომ მათ შორის კანთემირი არ არის. რა შეუძლიათ მათ, ამგვარ არეულობასა და აჯანყებას არ გაბედავენო. საადეთ გირეი არ მოეშვა და თავისი ძმა გააციხა.

როდესაც კანთემირის ძმებს ჰკითხეს, რომ ამ საქციელის პასუხი რა არისო, მათ პასუხი მზად ჰქონდათ. ერთი რაზმი რომ წავიდეს და სხვა ქვეყანაში გადავიდეს, განა ამისათვის საჭირო არ არის იარაღისა და აუცილებელი ნივთების მომზადებაო, რითაც მათ ეჭვები გაუფანტეს. მოულოდნელად ერთ ღამეს მოხერხებული შემთხვევა იპოვეს და მთვრალეები და უგონოდ მწოლიარე ჰისამ გირეი და საადეთ გირეი მოკლეს, მათი ხელქვეითი თათრები დახოცეს და შური იძიეს. ნოღაელთა ჯარი აყარეს, ოზსა და მის სრუტეებში მოვიდნენ და ეს ვითარება ოსმალეთის სახელმწიფოს მოახსენეს.

ზილ-ჰიჯეს მეხუთე დღეს³²² ეს სასიხარულო ამბები ოსმალეთის სახელმწიფოში მოვიდა და მოკლედ იქნა მოხსენებული. როდესაც ეს ამბავი თათართა ხანმა ინაიეთ გირეიმ გაიგო, იგი გაოცდა და დარწმუნდა, რომ ოსმალეთისათვის თავის შეფარების გარდა სხვა არავითარი ხსნა არ არის. ისიც იცოდა, რომ მისი მიზეზით ჩადენილი ეს ბოროტება საპატიებელი არ იყო და ამის განო ყოყმანობდა.

ტ. III, გვ. 301—306

ხანის შეცვლა

მუჰარემის მეათე დღეს³²³ ინაიეთ გირეი ხანი მისთვის ჩვეული სიავის გამო გადააყენეს და მისი ადგილი სელამეთ გირეის შვილს — ბაჰადირ გირეის³²⁴ ებოძა. ის ჩვეულებისამებრ ხელზე ემთხვია სულთანს. მეორე დღეს გემით ყირიმს გაიგზავნა. ყირიმში ჩავიდა და უზრუნველად ტახტზე დაჯდა.

აღნიშნული ბაჰადირ გირეი იანბოლიში³²⁵ აღიზარდა. შარიათის წესების მორჩილი და სამართლიანი კაცი იყო. მისი ძმა ის-

ლამ გირეი სულთანი მემკვიდრედ დაინიშნა, ხოლო უმცროსი ძმა საფა გირეი სულთანი³² — ნურადდინად. მას ყირიმ გირეის სახელწოდების უმცროსი ძმაც ჰყავდა, რომელსაც პატარა სულთანს ეძახდნენ.

ტ. III, გვ. 319

ხანყოფილი ინაიეთ გირეის მოკვლა

ხანყოფილი ინაიეთ გირეი, თავის მიერ ჩადენილი ავი საქმეების გამო, თვითონ იყო გაოგნებული და შეშინებული. მისი მტერი კანთემირი ჩავიდა ოსმალთა სახელმწიფოში, სადაც მას შეუძნეს ორგულობა და ამბოხება და კარგად მიიღეს. იგი ფადიშაჰის ზღურბლზე მოვიდა და მისი დასწრებით კანთემირს უჩივლა. მან განაცხადა, რომ ჩადენილი საქარცხვინო საქმეების მიზეზი ძირითადად კანთემირი იყო, ფიქრობდა, რომ ანით მასზე მიტანონ ეჭვებს გაფანტავდა. მან ვერ გაითვალისწინა, რომ შეუძლებელი იყო იმ მეტად ცუდი საქმეების პატრება, რომლებიც მას ჰქონდა ჩადენილი. მას ჰქონდა გადარჩენის იმედი. მან სხვა თავშესაფარი ვერ იპოვა. გემით სტამბოლში მოვიდა. კაიმააკამ მუსტაფა ფაშამ მას ბინა მიუჩინა.

როდესაც ფადიშაჰს მოკლედ აცნობეს მისი ჩამოსვლა, მან იგი მიიწვია. როცა იგი საშუალო მეჯლისში წარდგა, კანთემირიც მიიყვანეს. მათ ფადიშაჰის წინაშე იდავეს, ერთმანეთს აბრალებდნენ ჩადენილ დანაშაულს და საუბარი გამართეს.

მისმა აღმატებულებამ ქვეყნის ფადიშაჰმა ინაიეთ გირეის საყვედურით მიმართა: გამოიხედე, ინაიეთ გირეი! ჩვენ შენთვის ცუდი არ გავციკეთებია. გვირგვინი, ტახტი, სახელმწიფო და ეიალეთი მოგეცით, ამის სანაცვლოდ აჯანყება და უმადურობა გვიწყალობე. ჩემი ღვთითდაცული ქვეყნიდან ქალაქ კათასა და ყველა მის ციხეს ალყა შემოარტყი და გაანადგურე, ბეგლარ-ბეგი, ყადი და რამდენიმე მუსლიმანი უმართებულოდ დახოცე. კეთილი საქმეებისა და წყალობების სანუქფოდ არეულობასა და ბოროტებას მიჰყავი ხელი. თუ შენ ჩემი ხმლის არ შეგეშინდა. უფალი ღმერთის რისხვისა და შურისძიებისა მაინც უნდა შეგშინებოდა. სამართლიანობისა და მადლის არპცნობი შენისთანა მტარვალის სიკვდილით დასჯა სარწმუნოებისა და სახელმწიფოსათვის სრულიად სასარგებლოაო. დიდი მუქარისა და შეშინების შემდეგ მსახურებს

ანიშნა გარეთ გაყვანა. ბოსტანჯიებმა ქამანდი გაუყარეს და დაახრჩვეს, შემდეგ სასახლის ერთ მხარეს განბანეს და სულდართ შემოსეს. ვეზირებმა და ყაზიასქერმა ინაიეთ გირვის ცხედარი სასახლის ბალიდან დიდი პატივით გაიტანეს და წინ გაუძღვნენ, ნავსადგურამდე მიაცილეს და წაასვენეს.

ტ. 111, გვ. 319—320

კანთემირი მირზას სიკვდილი

ზემოხსენებულ კანთემირს, რომელიც ყირიმის ხანების აჯანყების მიზეზი იყო, ყარაჰისარის სანჯაყი ებოძა. ამ დაზავების გამო ერთხანს მოჩვენებით კარგად მოექცნენ. კანთემირს სამი შვილი ჰყავდა: დორთმაზ მირზა და ჯელალ მირზა ნოღაელთა ტომებში დარჩნენ, ერთი შვილი კი სტამბოლში მოიყვანეს. კანთემირი ყარაჰისარში გასამგზავრებლად სკუტარში გადავიდა და აიშე სულთნის ბაღში დაბანაკდა.

თათართა ტომის შინაგან ბუნებაში არსებული თანდაყოლილი სიძლიერისა და მრისხანების გამო მათ გადაწყვიტილი ჰქონდათ მოსახლეობის უმართებულოდ დახოცვა. ოსმალებმა იფიქრეს, სატახტო ქალაქშიც მსგავს საზიზღარ საქციელს ჩაიდენენო. კანთემირთან მყოფმა უმცროსმა შვილმა სიმთვრალეში სტამბოლში კაცი მოკლა. იგი დაიჭირეს და, როდესაც უზენაესის წინაშე მოიყვანეს, შური იძიეს, კისერი მოაჭრეს, გვაში მამამისს — კანთემირს ბანაკში გაუგზავნეს.

მისმა აღმატებულება ფაღიშაჰმა ასე იმსჯელა: თუმცა კანთემირი გაბედულებით სახელოვანი, არაერთი სამსახურის გამწევი და, ამდენად, კეთილმოქმედი კაცია, მაგრამ ყირიმის ხანებსა და ოსმალებს შორის არსებული ძველი მტრობა იყო ყოველთვის ჯანყის გაჩენის გამომწევი მიზეზი. იგი თათართა ტომებს შორის მუდამ წინააღმდეგობის გაჩენისა და უთანხმოების ჩამომგდები იყო და ახლაც შვილის მოკვლის გამო დამწუხრებული და აღელვებულია. უეჭველია, რომ თავის გულში ღვარძლი აქვს. გონივრული იქნება, რომ მასაც სიცოცხლე მოვუსპოთ, რათა თათრებში არეულობა და უშიშროება მოისპოს, ასე განაცხადა ერთ დღეს. ბოსტანჯი-ბაშის უბრძანეს ამის შესახებ. იგი [ბოსტანჯი-ბაში] უსქუდარში გადავიდა, საფარის თვის მეთერთმეტე დღეს³²⁷ კანთემირი დაახრჩვეს და იმ ქვეყნად გაისტუმრეს.

როდესაც თათრებს შორის გავრცელდა ხმა: კანთემირის მოკვლის შესახებ, ნოღაელთა ტომი დამწუხრდა და დანაღვლიანდა, ხოლო თათართა ხანი თავის რჩეულებთან ერთად კმაყოფილი და გახარებული იყო. მაგრამ ოსმალთა სახელმწიფოს მითითებით თათართა ხანის უდიდებულესობამ ნოღაელთა ტომებს კეთილი გული უჩვენა. ცოტა ხნის შემდეგ მათ შორის კეთილი ურთიერთობისა და კავშირის დასამყარებლად ხელშეკრულებები და შეთანხმებები დაიდო. ნოღაელებმაც თავიანთ ძალმომრეობაზე უარი თქვეს და ხანის სამსახურში ყოფნასა და მორჩილებას დათანხმდნენ.

ტ. III, გვ. 320—321

უფოჟნოთა ვიარ აზოვის ციხის დაპყრობა

უწინ ჰისამ გირეიმ აზოვის ციხის მიდამოებში მშვიდად მყოფი ნოღაელი თათრები, სალაშქროდ გაწვევის საბაბით, თავისი ბოროტი ზრახვების შესასრულებლად, შეკრიბა და აქერმანის მიდამოებში მოიყვანა. რადგანაც აზოვის მიდამოები დაცარიელებული იყო, მოსკოვის მეფის დახმარებით კაზაკი ყაჩაღები აიყარნენ და აზოვის ციხეს ალყა შემოარტყეს. შიგ მყოფი მუსლიმანები შეებრძოლნენ, მაგრამ მათი უმრავლესობა წამებით მოკლეს, დანარჩენი დაატყვევეს.

ტ. III, გვ. 322

ირანელთა ელჩის ჩამოსვლა

უწინ ბაირამ ფაშას მოუხსენებია, რომ შაჰისგან გამოემგზავრა მაქსუდ ხანად წოდებული ელჩი, რომელიც რები ულ-ევეელის მეჩვიდმეტე დღეს³²⁸ უსქუდარში ჩამოვიდა. ბრძანება გაიცა, რომ სტამბოლში დაუდ ფაშას სასახლეში გაეჩერებინათ. იგი მოვიდა და ხელზე ეამბორა სულთანს. რადგანაც შაჰი წერილში თავისი დანაშაულის პატიებას არ ითხოვდა, პასუხის გაცემაზე უარი ითქვა და ბელადს გალაშქრება გადაწყდა. როგორც კი გაზაფხული დადგა, სახელმწიფომ მოამზადა სათანადო საქურველი და თვით სულთანი წავიდა სალაშქროდ.

ზემოხსენებული ელჩი დაუდ ფაშას სასახლეში დაპატიმრებული დატოვეს ისე, რომ ფანჯრები და ყოველგვარი ღია ადგილი

დასურეს და დაქედეს. არავის ჰქონდა შესვლისა და გამოსვლის შესაძლებლობა. დიღინშენ მეთვალყურეები.

ამ დროს ალექსოს ეიალეთი უბოძეს სილაჰდარ ფაშას ქეთხუდას მეჰმედ ფაშას, რომელიც ძალიან გამოცდილი კაცი იყო. ხუსრევ ფაშას დროს ახალი სასახლის შენაკეთებლად დანიშნული ჩიფთების მფლობელ ოსმან ალას ნაცვლად სილაჰდარ ფაშას ქეთხუდა დანიშნა. როდესაც მეჰმედ ფაშა ალექსოსკენ გაემართა, თურმე ელჩმა ორი თავისი კაცი საიდუმლოდ გააყოლა, ლევენდი კიდევ მასთან ერთად გაამგზავრა. მეჰმედ ფაშამ გზაში ის ორი არამზადა დაიჭირა, დააპატიმრა, შეეკოჟა და დატყვევებული ფადიშაჰს გაუგზავნა. ელჩის ასეთმა ვერაგობამ ფადიშაჰი განარისხა. რადგანაც ელჩს სიკვდილით ვერ დასჯიდა, დასაშინებლად მისი თანმხლები ორი კაცი ელჩის ადგილსამყოფელი სასახლის წინ ჯვარს აცვა, ცხვირები და ყურები მოაჭრა და მათ მიერ მოტანილი წერილი ცხვირებზე ჩამოუქიდა. სამი დღე იყვნენ ამგვარად ჯვარცმულნი და დაიხოცნენ. ელჩისთვის ეს დიდი სასჯელი იყო.

ტ. III, გვ. 322—323

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა რ ვ ა ჟ ლ ი ს³²⁹ ა მ ბ ე ბ ი

ყიზილბაშთა დამარცხებაჲ კენან ფაშასთან ბრძოლაში

როდესაც არზრუმის ვალი ვეზირ ქენან ფაშა და ახალციხის გამგებელი სეფერ ფაშა³³⁰ ოსმალთა სახელმწიფოს მტერთა იავარსაყოფად დანიშნულ თათართა ლაშქართან ერთად ერევნისკენ გაემართნენ, ერევნის გამგებელი ქალბ ალი ხანი მრავალრიცხოვანი ლაშქრით გამოვიდა, მათ დიდი ბრძოლის შემდეგ ყიზილბაშთა ლაშქარი დაამარცხეს. მაგრამ რადგანაც ქალბ ალი ხანი დაიჭრა, ისინი პირდაპირ ციხისკენ გაიქცნენ. ისლამის ლაშქარი მათ უკან დაედევნა, რამდენიმე ასეულ ყიზილბაშს თავები მოჭრეს და წამოიღეს. არაერთი სულთანი [მხედართმთავარი] და უამრავი ყიზილბაში ცოცხლად დაატყვევეს. საკრავები ბრძოლის ველზე დაყარეს, გამარჯვება და ნადავლი ერგოთ წილად. ოთხასი მოჭრილი თავით, 30 ტყვეთა და სამახარობლო წაგნით ოსმალთა სამეუფეო ბანაკში მოვიდნენ. შეპრიზორის³³¹ დასარბევად წინათ გაგზავნილი ჯარიც რამდენიმე მოენითა და უხვი პროვიანტით მოვიდა და გამარჯვების ამბავი მოიტანა, ყველამ ერთ დღეს ბაღდადის ქვემოთ მოაღწია, იგი სიკეთის მაუწყებლად იქნა მიჩნეული.

რეჯების თვის მერვე დღეს³³², რომელიც ნოემბრის ხუთი იყო, იმამ აზიმის მანლობლად დაბანაკდნენ. უსქუდარიდან გამომგზავრების დღიდან აქამდე მოვიდნენ 197 დღეში, აქედან 66 დღე ბანაკებში იყვნენ გაჩერებულნი.

ტ. III, გვ. 361—362

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა ც ხ რ ა წ ლ ი ს³³³ ა მ ბ ე ბ ი

დაჯავახისა და ჯავის პირობების აქტის კირი

ელჩმა დაბეჯითებით მოითხოვა შაჰის მიერ დაკავებული ზოგერთი ტერიტორიისა და ციხის დაკავება, მაგრამ უზენაესმა სარდალმა სრულებით არ შეისმინა, არ დათანხმდა. მათ შორის დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ამგვაბად გადაწყვიტეს: ბაღდადის ვილაიეთიდან დაწყებული — ჰისანი, ბედრე, მენდელჯინი, დერნე, დერთენჯი, თასირ, მენელის სახელწოდების ადგილამდე, მათ შორის არსებული მინდვრები, ჯაფის ტომის, ზია ედ-დინისა და ჰარვანის ტომების, ზენჯირის ციხის დასავლეთ მხარეზე არსებული სოფლები და შექარზორის ახლოს — ზალიმ ალის ციხის ზემოთ მდებარე მთები, ზემოაღნიშნულ ციხეს რომ გადასცქერის, ეს მხარეები შექარზორისკენ გამავალ უღელტეხილამდე, კიზილჯას ციხე და მისადმი დაქვემდებარებული ადგილები სულთანმა დაიკავოს. ამას გარდა, ახალციხეში, ყარსში, ვანში, შექარზორში, ბაღდადში, ბასრაჟა და სხვა ადგილებში არსებულ ციხეებს, ადგილებს, ნაპიეებს, მთებსა და გორაკებს არავითარ შემთხვევაში ხელი არ ახლოს შაჰმა. არავითარი წინააღმდეგობის გაწევა არ იყოს.

მენდელჯიკიდან დერთენჯემდე არსებული ციხეები: ბირე, ზერდევეჯე, ზუმრუდმავადად სახელდებული, ზენჯირის ციხის აღმოსავლეთ მხარეს მდებარე სოფლები, ციხეები, ტყეები, მათდამი დაქვემდებარებული მეპრიბანი და აგრეთვე სხვა ადგილები შაჰმა დაიკავოს. ამ ტერიტორიების შიგნით მდებარე ადგილების საქმეებში სასულთნოს მხარე არ ჩაერიოს. ზენჯირის ციხე, რომელიც მთის ციხეს წარმოადგენს, ვანის საზღვარზე მდებარე კოთურის, მაჰურისა და ყარსის მხარეში მალაზბერდის სახელით ცნობილი ციხეები ორივე მხარემ დაანგრიოს. ამით გათავდა.

ტ. III, გვ. 430

ამის შემდეგ ბალდადის ბეგლარ-ბეგ დერვიშ მეჰმედ ფაშას ვეზირის წოდება მიენიჭა. ერთი დღის შემდეგ შაჰთან ზემოაღნიშნული წესით დაწერილ სიგელზე ბექდის დასასმელად სამი დღის ვადით საელჩოს კაცი წავიდა. მუჰარემის ცხრამეტეში³³⁴ მან შაჰს სიგელზე ბექედი დაასმევინა, მოვიდა და მეჰმედ ყული ბეგს, რომელიც დედაქალაქში უნდა წასულიყო, ჩააბარა. იმ ბანაკში დიდვეზირმა ელჩებს დიდი წვეულება მოუწყო. მეორე დღეს სარუხანმაც ბეგლარ-ბეგებს ნადიმი გაუმართა. ელჩებისადმი დიდი პატივისცემისა და კეთილი მოპყრობის დამთავრების შემდეგ სარუხანი შაჰთან წავიდა, მეჰმედ ყული ბეგი კი სიგელის სტამბოლში გასაგზავნად ბანაკში დარჩა.

მეორე დღეს ის რუმის ქვეყანაში დაბრუნების განზრახვით წავიდა და ჰურინის ველზე დაბანაკდა. მდინარე დიალეს ალი გეჩიდად წოდებული გადასასვლელთან დერვიშ მეჰმედ ფაშას დაემშვიდობა და ბალდადში გაემგზავრა. მუჰარემის ოცდამეხუთე დღეს³³⁵ ზემოხსენებულ მდინარეზე გადავიდა და გერგუქის მხარისკენ გაემართა. მშვიდობიანობის ჩამოგდების მაცნედ რეჯებ ალა სტამბოლში გაიგზავნა. გურჯი მეჰმედ ფაშას ძმა — ჯათარ ფაშას დელი მაჰმედ ფალანგას ახლოს შეპროზორის ეიალეთი ებოძა. საფარის მეორე დღეს³³⁶ გერგუქის ახლოს, ერთ მთაზე, [ამ მეჰმედმა] გერგუქის ფაშა ციხეში გამოამწყვდია, რადგანაც მასზე დიდი საჩივარი იყო.

ეგვიპტის ლაშქარს თავისუფლება მიეცა. მეათე დღეს სამაქაში დაბანაკდნენ. რადგანაც მდინარე ზამის ადიდების დრო იყო, ნაგებზე მტკიცე საყრდენები გააკეთეს და ოთხ-ხუთ დღეში გადავიდნენ მეორე ნაპირას. მეთხუთმეტე დღეს სარდალიც გადავიდა. იმ ბანაკში დაჩაგრული და მძიმე პირობებში მყოფი აინთაბის³³⁷ ბეგი ოსმან ფაშა დაიჭირეს და მისი ქონება სახელმწიფოს ხაზინას გადასცეს. სეიდ ხანმა თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობა ერთ-ერთ შვილს უბოძა. საფარის ოცდამეხუთეში³³⁸ მოსული გაიარეს. ძველ მოსულში რეჯებ-ალა მოვიდა და მოიტანა უზენაესი სიგელი, რომლის მიხედვით აშკარა იყო, რომ ზავი მისმა უდიდებულესობამ მოიწონა.

სამი ბანაკის გავლის შემდეგ ამ დაპყრობების სამახარობლოთი მოლდავეთსა და რუმინეთში მიმავალი დიდვეზირის მუთეფერიკა-

ბაში ბანაკში მოვიდა. რადგანაც მათ გაიგეს გზებზე მომეტებული თავდასხმების ამბავი, იგი მოკლეს. რები ულ-ევველის თხუთმეტს³³⁹ დიარბეჭირს დაბანაკდნენ. გზაში ალექოს, თრაბლუსის³⁴⁰, მარაშის³⁴¹ ზაიმებსა და თიმარის პატრონებს თავისუფლება მიანიჭეს. შენიშნეს, რომ ირანის შაჰის მხარე დაზავების წინააღმდეგი იყო და კვლავ მათზე თავდასასხმელად ერთხანს დიარბეჭირში დასვენება მიზანშეწონილად მიიჩნიეს. ბოლუქის ხალხიდან³⁴² ვისაც სურს თვის დასაწყისში თავისი ულუფა აიღოს, ვისაც სურს წავიდესო — ანის ნებართვა გაიცა. ოცდამეოთხე დღეს სტამბოლიდან კაცი მოვიდა და მოიტანა ბაღდადის მცველის დერვიშ მეჰმედ ფაშას ბარათი, რითაც გაიგეს, ანატოლიის ეიალეთი მირახორ ჰუსეინ აღას მიეცესო, თუმცა დიდვეზირ გურჯი მეჰმედ ფაშას შეწყალება უნდოდა და ერთ თვეზე მეტ ხანს არ გამოააშქარავა იგი.

რები ულ-ახირის დასაწყისში³⁴³ რუმელიის ბეგლარ-ბეგ ალი ფაშას ეიალეთის ლაშქრით თავისუფლება მისცეს. ორი დღის შემდეგ ეგვიპტის სარგო მოვიდა. მეორე დღეს ანატოლიის, ყარამანისა და სივასის ლაშქარსაც თავისუფლება ებოძა. დელი ბეგს მარაში მიეცა და გერგუქის დაცვა დაევალა, დიარბეჭირის ჯარიდან ასი კაცი გააყოლეს.

ტ. III, გვ. 431—432

მეორე ელჩის ჩამოსვლა

დიარბეჭირში ირანის შაჰისგან კვლავ მოვიდა ელჩი. ზავის საფუძვლების განსამტკიცებლად უწინ ერევანში დატყვევებული მურთაზა ფაშას ქეთხუდა — ზულფიყარ ქეთხუდა, ურფიდან წამოყვანილი მიმი ფაშა, ჩილდირიდან გადაყენებული მურთაზა ფაშა და რამდენიმე სანჯაყ-ბეგი, სიფაჰი, იანიჩარი და სხვა ლაშქრიდან 200-მდე კაცი დიდვეზირის ბანაკში გაიგზავნა. ელჩისადმი მაინც-დამაინც კარგი დამოკიდებულება არ გამოუჩენიათ. ტყვეებს მათი მდგომარეობის მიხედვით სახარჯო და ტანსაცმელი უწყალობეს. აშთის ტომის გამგებელი ქურთი ალი და მისი აღმატებულება ფადიშაჰი ბაღდადში გაემგზავრნენ. როდესაც მოდიოდა, მან მორჩილებისა და დაქვემდებარების გამომხატველი საჭირო საქციელი არ გამოამყლავნა, ამიტომ ის უბედური ხელში ადვილად ჩაიგდეს და მოკლეს. ასევე აჯანყდა ჰაქარის გამგებელი მირ უმად ელ-დინიც.

ამბოხების დასაწყენარებლად გაიგზავნა ვანის ბეგლარ-ბეგი ჰასან ფაშა, რომელმაც ასინი ჭკუაზე მოიყვანა. სიფრთხილისათვის დიარბექირის ვალი აჰმედ ფაშა სერასქერად დაინიშნა და გარკვეული რაოდენობის ჯარით მოსულის დასაცავად გაიგზავნა.

ტ. III, გვ. 432—433

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი ს³⁴⁴ ა მ გ ე ბ ი

ირანის ელჩის ჩამოსვლა

რები ულ-ევეელის თვის მეშვიდე დღეს³⁴⁵ ირანის შაჰისგან მუკანას გამგებელი³⁴⁶, იბრაჰიმ ხანად წოდებული, ელჩად მოვიდა და ფადიშაჰს აბლაკის ჭიშის ცხენები, მოქარგული აბრეშუმის, ხალიჩები და საუკეთესო ირანული საჩუქრები ჩამოუტანა, მშვიდობიანობისა და ზავის შენარჩუნების, ტახტზე ასვლის მილოცვის შემცველი შაჰის წერილი გადასცა. ჯემად აღ-ევეელის თვეში³⁴⁷ რუმელიის ყაზიასქერი აბუ საიდ ეფენდი გადააყენეს, მის ადგილზე მუაიდ ეფენდო, ამ უკანასკნელის ადგილას კი სტამბოლიდან გადაყენებული აბდურაჰიმ ეფენდი მოვიდა. თევფიქ-ზადე ეფენდი ედირნეს ყადი გახდა, მოლა ჩელები გადააყენეს. სილისტრედან გადაყენებული ბეშირ ფაშა, რომელიც რუმელიის ბეგლარ-ბეგად ფილიბეში იყო, ამჯერად გადამდგარი, სტამბოლში ჩავილა და მარაშის ეიალეთი ებოძა.

რები ულ-ახირის მეხუთე დღეს³⁴⁸ ირანის ელჩი ფადიშაჰს ეახლა, ხელზე ეამბორა და საჩუქრები მიართვა. ღვთის განგებით იმ დღეს საშინელი ჭექა-ქუხილი იყო. სტამბოლში ბევრ ადგილას მეხი დაეცა და უზენაესის კარის წინ, აია სოფრის მხარეს მდებარე, ელჩის ამალის მაცურებლებით სავსე ერთი დიდი გუმბათი, რომელიც ძველი შენობათაგანი იყო, მიყენებული დარტყმისაგან დაინგრა და ათზე მეტი კაცი დაიღუპა, რამდენიმე დაშავდა. მას შემდეგ, რაც ელჩი ხელზე ემთხვია, დარტყვებულნი ყიზილბაშებით იედი კულეში დაბრუნების ნება მიეცა.

ტ. IV, გვ. 4—5

ამირგუნას შვილის მოკვლა

ამ დროს უწინდელი სულთნის მურადის³⁴⁹ მიერ ერევნიდან მოყვანილი ამირგუნეს შვილი, რომელსაც ემირობა ებოძა, დივან-

ში იღებდა მონაწილეობას, მაგრამ რადგანაც მისი დასწრება მიზან-
შეწონილი არ იყო, მოსპეს. ქალთ ხანეში მის მიერ აშენებულ გუ-
ლის გამახარებელ და ლამაზ სასახლეს ფადიშაჰის უდიდებულესო-
ბამ წარწერები გაუკეთა. ამირგუენეს შვილის მკვლელობა ირანის
ელჩის ვერაგობას დააბრალეს.

ტ. IV, გვ. 5

აზოვის ვითარება

მუქარემის თვეში³⁵⁰ კაფუდან სიაეუშ ფაშა ფლოტით იანიჩარ-
თა ქეთხულა ჰაიდარ ალა-ზადესთან ერთად შავ ზღვაში გავიდა
და აზოვის ციხის გასათავისუფლებლად გაემგზავრა. დავალების
თანახმად, ვეზირი ჰუსეინ ფაშა, სილისტრეს ლაშქართან ერთად,
თათართა ხანი — ბაჰადირ გირეი, თათართა ლაშქართან ერთად,
და კაფას ფაშა — იუსუფ ფაშა გაერთიანდნენ და აზოვის ციხეს ალყა
შემოარტყეს. ურწმუნოების მიერ შიგნიდან გასროლილმა ყუმბა-
რამ 7000 მუსლიმი ჰაერში ატყორცნა, ისინი სარწმუნოებისთვის
დაიხოცნენ. ამის შემდეგ კიდევ ერთი ყუმბარა გაისროლეს და
ურციხევი ხალხი დაიღუპა.

მესამე ღამეს ურჯულოები ციხიდან გარეთ გამოვიდნენ და
დიდი ბრძოლა გაიმართა. რამდენიმე კაცი ტყვედ ჩავარდა. ამის
შემდეგ ურჯულოთა ყუმბარები მოძებნეს. ერთი ყუმბარა იპოვეს,
მას დენთი გამოაცალეს. შემდეგ ყოველი მხრიდან სრული მონ-
დომებით ალყა შემოარტყეს და ბრძოლა გამართეს. ორსავე მხარეს
უამრავი ხალხი დაიხოცა.

ამ დროს შიგნიდან ერთი თათარი გამოვიდა და თქვა: ციხეში
ხუთი ათასი უჯრულოაო. როგორც კი ლაშქარში ეს ამბავი გავრ-
ცელდა, თქვეს: ეს გამოიწვევს ხალხის სიფხიზლის მოღუენებას და
დაუძღურებასო და ის პირი გააძევეს. ამის შემდეგ ჰუსეინ ალამ
ერთი ყუმბარა ისროლა და ურჯულოთა გარე სიმაგრე, ხისგან აგე-
ბული კედელი, რომელიც მიწით იყო სავსე, აფეთქდა. ურჯულოებმა
ვერ შეძლეს ხანძრის ჩაქრობა, ერთი დღე-ღამე იწვოდა და ზერე
დაიხგრა. ურჯულოები სიმაგრისკენ გაიქცნენ, თერთმეტი დღის
განმავლობაში ისლამის ლაშქარს დენთს აყრიდნენ. 22 დღის წინ
იმ გაუქნებულ სიმაგრეებს თავს აფარებდნენ და იცავდნენ ისინი,
რომლებიც კაფასა და დედაქალაქში დენთის გამოსათხოვნად გაგ-
ზავნილ კაცებს ელოდნენ. დედაქალაქში არ მოელოდნენ, რომ ასე

გართულდებოდა მდგომარეობა, ამიტომ დიდევზირის შიერ ნაბრძანებუ 3000 ყანთარი ღენთის ნაცვლად 1800 ყანთარი გამოგზავნეს, ეყოფაო — თქვეს. დედაქალაქიდან ღენთის მიღების შემდეგ 40 დღეს არაფერი აკლდათ, ღენთი კასიმის დღეს მოვიდა.

სუსხიანი ზამთარი დადგა, ამიტომ უშედეგოდ, ციხის დაუპყრობლად აიყარნენ და უკან დაბრუნდნენ. თუმცა ციხე ვერ აიღეს, მაგრამ უღვთო რუსები „ჩაიკას“ ტიპის ნავების გასაკეთებლად მოემზადნენ, შეკრიბეს საშენი მასალა, ციხის გარშემო მდგარი ხეებისგან გაკეთებული გარეუბანი მთლიანად დაიწვა, რამდენიმე ათასი ურჯულოც დაიღუპა. ეს ბრძოლა რომ არ ყოფილიყო, 200 ცალი „ჩაიკას“ ტიპის ნავი გაკეთდებოდა და შავი ზღვის სანაპირო ნაგებობებზე თავდასხმაც გადაწყდებოდა. იმ დროს, როდესაც სტამბოლიდან დასახმარებლად გაგზავნილმა რამდენიმე გემმა, აანიჩრებმა, ღენთმა და საჭურველმა კაფას მიაღწიეს, ისლამის ჯარი და ფლოტი დაბრუნებული იყო. ისინი კაფაში დარჩნენ დასაცავად და გამოსახმართველად.

ტ. IV. გვ. 5—7

ხანის შეცვლა

ყირიმის ხანი ბაჰადირ გირეი აზოვიდან ავადმყოფი დაბრუნდა და გოზლევეიში მოსვლისას გარდაიცვალა. შაბანის თვეში⁵¹ მისი ადგილი მის ძმას — მეჰმედ გირეის უბოძეს და ხმელეთით გააგზავნეს. შაბანის თვეში ფლოტი შავი ზღვით მოვიდა. ბოსფორიდან საკმაოდ დიდი ქარიშხალი გადაიტანეს და, როდესაც არსენალში შესვლის ნებართვა მიეცათ, შიშისა და ეჭვებისაგან მთლიანად განთავისუფლდნენ. ბოლოს მუფთი იაპია ეფენდიმ მის აღმატებულება ფადიშაჰს ნუგეში სცა, თქვა: ზოგიერთი ლაშქრისათვის დაპყრობა და გამარჯვება ჩვეულებრივი მოვლენაა. მისი უწმინდესობა ჩვენი წინასწარმეტყველის — იყოს მასზე ლოცვა და მშვიდობა ალაჰისა — დროსაც ასე იყო. თუმცა აზოვის დაპყრობა მომავალი წლისთვის გადაიდო, მაგრამ ურჯულოებსაც ძალიან დიდი ბრძოლა და უბედურება გადახდათ. ფლოტის შესასვლელად ნებართვა დაუყოვნებლივ მიიღეს. ამ დროს ფადიშაჰი სტამბოლის ლამაზ სასახლეში იყო და ერთობოდა მშვენიერ ნაგებობებში სანახაობის ყურებით.

ტ. IV. გვ. 7

ეგვიპტის ეიალეთიდან გადაყენებული და ზარაფხანის ზედა-მხედველად დანიშნული რუსთემ ფაშას შთამომავალი სულთან-ზადე ვეზირ მეჰმედ ფაშა ცნობილი იყო ახალგაზრდა კაფუჯი-ბაშის სახელწოდებით. მას დაევალა აზოვის ასაღებად რუსთა წინა-აღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება და იმ მხარის სარდლად დაინიშნა. ის ზილ-კაადეს მეოთხე დღეს³⁵² უზენაესის ხელზე მთხვევით გაბედნიერდა. შიკაბ ეფენდი ეგვიპტიდან გადაყენეს და მის ნაცვლად ყადი ჰანეფი ეფენდი იმ დღეს მასთან ერთად უზენაესს ხელზე ემთხვია. ზილ-კაადეს პირველის³⁵³ ქეთხუდა ბეგი ჰაიდარ ალა-ზადე გადაყენეს. რადგანაც ზალირჯი ჰუსეინ ალა, რომელიც წინათ ნასუჰ ფაშა-ზადესთან ერთად კაფუჯი-ბაში იყო, იწინა-ჩართა ოჯახმა რუმელიისაკენ ლაშქრის წასაყვანად დანიშნა, ესეც იმათთან ერთად წავიდა. მას ბევრი იანიჩარი ჰყავდა უსამართლოდ დახოცილი, ამიტომ სისხლიანი ჩაუშის ლაყაბი ჰქონდა. ქეთხუდა ბეგად დაინიშნა. ისიც აზოვში დანიშნეს.

ტ. IV, გვ. 8—9

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა თ ო რ მ ე ტ ი წ ლ ი ს³⁵⁴ ა მ ბ ე ბ ი

კაზაკთა გაქცევა აზოვის ციხიდან

სულთან-ზადე მეჰმედ ფაშა გახდა სარდალი, მოვიდა და როდესაც კათას საზღვრები გაიარა, თათართა ხანიც ურიცხვი ლაშქრით თავისი ადგილიდან აიყარა. დედაქალაქში ხმა გავრცელდა, რომ კაზაკებმა თავიანთი ადგილსამყოფელი დატოვეს, აზოვის ციხიდან წავიდნენო. დიდვეზირის აღმატებულებამ რეჯებ აღად წოდებული კაფუჯი-ბაში ამ ამბის დასადასტურებლად ქენებით იმ მხარეს გაგზავნა. იგი ხანს ეახლა, რამდენიმე ასეული თათართა ცხენოსნით თვითონ აზოვის ქვემოთ გააქენა.

რეჯებ ალას განზრახული ჰქონდა მოენის აყვანა, ამიტომ დილაადრიან მოვიდა. მათ დაინახეს, რომ აზოვის ციხის შიდა ნაწილს ერთი მხრიდან ცეცხლი მოჰკიდებოდა და იწვოდა. თურმე წყეულ კაზაკებს მოსკოვის მეფისგან დახმარება ვერ მიუღიათ, ამიტომ, რადგან იცოდნენ, რომ ოსმალეთის ლაშქრისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძნელი იყო, გაქცეულან და ერთი მხრიდან ცეცხლი წაუკი-

დებიან. რეჯებ აღამ ციხე ცარიელი ნახა, შევიდა და ალაჰის მადლით მისი ადვილად ალება შესაძლებელი შეიქმნა. ცეცხლი ჩააქრეს. დილას ნამაზი იქაურ მეჩეთში შეასრულეს და შუადღემდე დაისვენეს. შუადღის ლოცვა ხალხთან ერთად აღავლინეს და 200 კაცი სანდო პირები ციხეში ჩააყენეს. ხანი გაახარეს.

ამის შემდეგ პატარა გემით სტამბოლს ისწრაფეს. როდესაც ჩავიდნენ, მისმა აღმატებულებამ, ფადიშაჰმა ზემოხსენებულ რეჯებ აღას უხვი წყალობა და ერთი ქურჩი უბოძა, ამასთან, კაჰუჯიების ქეთხუდას თანამდებობას შეჰპირდა. ვეზირმაც 6000 ყურუში და ორი ქურჩი მისცა.

უწინ ბოსნიაში გარდაცვლილი გალიპოლიელი აღი ეფენდის შვილი დერვიშ სანი ყადად ყოფნისას მეკლევე გამხდარა. „ამყამად კაზაკთა დახმარებით აზოვი დაპყრობილია ადვილად“. ეს თარიღის შემცველი სიტყვები თქვა და დიდგვზირს მიართვა, რომელმაც უპასუხა: აზოვის დაპყრობა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ თარიღი ლექსად ვთქვათო, მაგრამ შენ ცარიელს არ გაგაგზავნითო და სანის 50 ყურუში მისცა ამ თარიღთან დაკავშირებით.

აზოვი რომ აიღეს, კაფას ბეგლარ-ბეგი ისლამ ფაშა, რომელიც ძალიან გაბედული ვაჟაკი იყო, მის შესაკეთებლად და მცველად დაინიშნა. რები ულ-ახირის³⁵⁵ თვეში ამ ქალაქში მომხდარი ამბებიდან აღსანიშნავია, რომ რუმელიაში ედირნესა და სალონიკს შორის უამრავი ყაჩაღი იკრიბებოდა. ცნობა მოვიდა, რომ მათ გზა გადაუჭრიათ. ამასთან დაკავშირებით ქვეყნის მეუფემ ბრძანა: იანიჩართა ოჯახიდან გამოსული მონადირეთა რაზმები, ჩვეულებრივად, სწრაფად ამხედრებულიყვნენ მსგავსი წყევლების გასადევნად. ეს მონადირეები ქვეითი ჯარის მეთაურთაგან შემდგარი საგანგებო რაზმების ნაწილია. მათი მოვალეობაა ფადიშაჰისათვის სანადიროდ წასვლა და მისთვის ჩვეული სამსახურის გაწევა. ამათ გარდა, იყვნენ ოსმალეთის კანონების შემდგენლები — განათლებული კანონმდებლები. მათ ასეთი კანონი დაუწერიათ: იანიჩართა სხვა ნაწილების თითოეულ ჯგუფში 4—5 კაცი იანიჩართა მონადირე უნდა იყოსო, რომლებიც უზენაეს დავთარში სიის მიხედვით მონადირეებად იყვნენ აღრიცხულნი. ისინი ფადიშაჰს არ სცალდებოდნენ. ნადირობისას ხიფათის თავიდან ასაცილებლად ყოველთვის მომზადებული იყვნენ. მოძალადეთა დროს დავთრისა და კანონის ნორმები ერთგვარად დაარღვა, ამიტომ იანიჩართა კორპუსებში გამოცალკეებულ მონადირეებზე არ ზრუნავდნენ. მათ ბაღდადის,

აღრის. კანიყესა და ბუდინის მსგავს შორეულ ქალაქებსა და შორეულ სასაზღვრო ადგილებში მორიგეებად ანაწილებდნენ.

ამჯერად მონადირეების თავმოყრის მიზნით იანიჩართა ქათიბს³⁵⁶ ებრძანა მონადირეთა შეკრება. როდესაც იგი მოვიდა, აუწყა, რომ მათი სია აქ არის, მაგრამ ისინი მორიგეებად გადაკარგულები არიან საზღვრებზე. ამ დროს ხმა გავრცელდა, რომ წყეულმა ყაჩაღებმა ქირქ ქილისამდე მიაღწიეს, ზოგიერთ ადგილს თავს დაესხნენ და იავარკყვეს. აქაური მცხოვრებნი მოთქვამდნენ და დახმარებას ითხოვდნენ, ამიტომ ედირნეს ბოსტანჯი-ბაში ბოსტანჯიებით და სეკბან-ბაში ჰაიდარ ალა-ზადე სეკბანებთან ერთად ზემოაღნიშნულ ადგილს გაემგზავრნენ. უამრავი წყეული დახოცეს და ოცამდე შებორკილი სტამბოლში მოიყვანეს.

ჯუმად ალ-ევველის ოცდაორში³⁵⁷, სამშაბათს, შუა დღის შემდეგ სტამბოლში დიდი მიწისძვრა მოხდა. ამ წელს ორი ცთომილი [პლანეტა] ერთმანეთს მიუახლოვდა თევზის ზოდიქში [თებერვლის თვეს].

ჰაფიზ ფაშამ გაიგო, რომ სულთნის ქალიშვილის ქმარმა აჰმედ ფაშამ შამის მხარეში ქეთხუდა ბეგად მყოფი არნაუდ ოღლის სახელწოდებით ცნობილი ალა, მისი ქონების სიხარბის გამო, მოკლა, იგი [აჰმედ ფაშა] შამიდან გადააყენეს და მის ადგილას დანიშნეს აჰმედ ფაშა. როდესაც აჰმედ ფაშა სტამბოლში ჩამოვიდა, დაიჭირეს და ქონება ჩამოართვეს. ჩერქეზ აჰმედ ფაშა ყარსიდან გადააყენეს და მისი ადგილი ჩერქეზ დილავერ ფაშას ებოძა. ჯუმად ალ-ევველის თვეში³⁵⁸ ნაიბ მეჰმედ ეფენდი გადააყენეს და კაბა კულაჯ-ზადე კოჯა მეჰმედ ეფენდი გახდა სტამბოლის ყადი. ზინად აბიდინ ჩელები ედირნედან მოხსნეს და მის ადგილას დანიშნეს ავარა-ზადე მუსტაფა ეფენდი. იავუზ-ზადე ჩელები ბურსადან გადააყენეს და ალეპოდან 10 წლის წინ გადამღარი ზვაჯე-ზადე მასუდ ჩელები ბურსას ყადი გახდა. მაშინ როდესაც სხვებისგან იღებდნენ 50—50 ათას ახჩას, მესუდ ჩელების გადაყენებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო მისგან წყალობა არ აიღეს. თანამდებობების შესახებ ეს ბრძანება შეიხ ულ-ისლამმა თავისი ხელით უბოძა მას.

ტ. IV, გვ. 15—17

ისლამ ფაშას მიერ კაზაკთა ჰეჰმენის დაპყრობა

ამბავი მოვიდა, რომ ისლამ ფაშამ, რომელიც აზოვის დამცველი იყო, გამუდმებით შავი ზღვის სანაპიროების იავარყოფე-

ლი კაზაკი ყაჩაღების ადგილსამყოფელი კუნძული და ჩერქეზ ქირმანისა და მუთაჯეს სახელწოდების სიმაგრეები ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო, ხუთასანდე მუსლიმანი ტყვე გაათავისუფლა და მოსახლეობა დაიმორჩილა.

ტ. IV, გვ. 32—33

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა თ ო თ ხ მ ე ტ ი წ ლ ი ს³⁵³ ა მ ბ ე ბ ი

თათარ ხანის ამბავი

სელამეთ გირეის შვილის ისლამ გირეის ქეთხუდა სეფერ ალა სტამბოლში დაუკავშირდა ზოგიერთ სახელმწიფო მოღვაწეს. რადგანაც ის ამრიგად მოქმედებდა, ხანის თანამდებობა ისლამ გირეის მისცეს. მას საპატიო ხალათი ჩააცვეს. მისი აღმატებულება დიდვეზირის ჩარევის გარეშე უნებლიედ გაჩუმდა.

საფარის თვის დასაწყისში³⁵⁰ კაფას ფაშას შვილი თავისი მამისა და თათართა ხანის წერილებით მოვიდა. მათი შინაარსი ასეთი იყო: ისლამ გირეი სულთანმა ყირიმის ხალხს შეატყობინა: დღეს ან ხვალ ხანის თანამდებობას მივიღებ და ჩამოვალ. ასეთი არასწორი ცნობები რომ მიაწოდა, ამიტომ ხალხი აღარ მემორჩილება, ყოველ დღე არეულობაა. ვიდრე ზემოხსენებული არ იქნება მოშორებული, ჩვენთვის ხანის თანამდებობა ძალიან მძიმეა. ამ მხარეში არეულობა თანდათანობით ხშირდება.

იმისათვის, რომ ხან-ზადე ისლამ გირეი როდოსში გადაესახლებინა, ღანი-ზადეს ქეთხუდა მაჰმედ ჩაუმი წინამძღოლად გააყოლეს, კეალე ბეგი ჭაყალე ოლლი ბეგი თავისი კატარლით გაამგზავრეს, სეფერ ალაც თან წაიყვანეს. მათ სულთანიეს ციხიდან ისლამ გირეი წაიყვანეს, აღასგან ქრთამის ალების გამო ბალთაჯიებთან ქეთხუდაც³⁵¹ ნავში ჩასვეს და გადაასახლეს.

ტ. IV, გვ. 72—73

თათართა ხანის შემცვლა

თათართა ხანი გადააყენეს, მის ნაცვლად როდოსში გადასახლებული ისლამ გირეი ხანი დანიშნეს. ეს ამბავი დაწვრთლებით ასე გადმოიცემა: აღნიშნული ისლამ გირეი განსვენებული სელამეთ

გირეის შვილი იყო. მისი უფროსი ძმა ბაჰადირ გირეი ხანის დროს მემკვიდრე იყო. უფრო ადრე პოლონეთისა და მოსკოვის ურჯულ-ლოებთან ბრძოლაში ტყვედ ჩავეარდა, პოლონეთის მეფეს იგი შვიდ წელიწადს ერთ ოთახში ჰყავდა დამწყვედული.

შემდეგ პოლონეთის მეფეს ქაფირთა ტომთაგან ძლიერი მტერი გამოუჩნდა. მეფე მტერთან შესაბამელად გაემართა. ზემოხსენებული ხან-ზადეც, თავისი მსახურებით, თავის თანამგზავრებად გაიხადა. მას ცხენი და აარალი მისცა. კეთილი დაპირებებით მხედრების მზადება და თავშესაფრების რიგების გამართვა დაიწყო. ხან-ზადემაც თანმხლები თათარი ვულადებით ვაჟაკურად შეუტია და ომი გამართა. ჩინგიზ ხანის მამაცობას რომ შეეფერებოდა, იმაზე მეტად თანამიმდევრული დარტყმებით მტრის რიგებში დაბნეულობა შეიტანა. მეფის მტერი დაამარცხეს.

როდესაც მეფე თავის სატახტო ქალაქში ჩამოვიდა, დაპირებისამებრ, მისი დიდი მამაცობისა და გაბედულობის გამო ძალიან კმაყოფილმა, ხან-ზადეს მიმართა: ჩემო ხან-ზადევ! ჩვენს მტერს შესანიშნავად დაარტყი მახვილი, ამის შემდეგ შენ გაათავისუფლებ, მაგრამ საჭიროა, რომ სულთან მურადს ისე მოახსენო ჩემი ჯარისა და ძლიერების შესახებ, როგორც შენ დაინახე, და გაათავისუფლა. ხან-ზადე გამოვიდა და იანბოლში დადგა. თავისი ძმა, რომელიც 1040—50 წლებში³⁶² ხანი იყო, მემკვიდრედ გაიხადა. აზოვის ლაშქრობებსა და მანსურის ტომების განადგურებაში საგანგებო სამსახური გაუწია ძმას. შემდეგ, როდესაც ბაჰადირ გირეი გარდაიცვალა, ხოლო მუსტაფა ფაშა დიდვეზირი გახდა, უმცროსი ძმა მეჰმედ გირეი ხანად დანიშნეს. ზემოხსენებული სულთანიეს ციხეში გაგზავნა და ხაზინიდან საჭურველი და სახარჯო დაუნიშნა, რამდენიმე წელიწადს იქ იყო გაჩერებული.

იმ დროს ისტორიკოსი შარიჰ ულ მენარ-ზადე³⁶³ რადგანაც ნაიბად იყო, შეიხ ულ-ისლამ აბუ საიდ ეფენდისაგან არფალიქად ბოძებულ გელიბოლიში³⁶⁴, თავისი მხლებლებით სულთანიეს ციხეში მოვიდა და ხან-ზადეს ესაუბრა. მათ შორის მეგობრობა დამყარდა და ჩინარლიქის სახელწოდების სააგარაკო ადგილას საუბარი და წვეულებები მოაწყო. ურთიერთ შორის დაამყარეს კეთილი დამოკიდებულება. ვეზირ სეფერ ალას ამ საუბრების დროს უთქვამს, რომ სამართლიანობის მიხედვით ხანობა ზემოხსენებულ ხან-ზადეს ეკუთვნის, მაგრამ კარა მუსტაფა ფაშამ ბოროტი ენების გამო ხანობა თავის უმცროს ძმას მისცა. რაკი უფროსი ძმა ცოცხალია, უმცროსი ძმისთვის ტახტზე ჯდომა ჩინგიზის კანონს ეწი-

ნაღმდგეგბა. მაგრამ რა ვქნათ, მბრძანებლობა გამარჯვებულს ეკუთვნისო — ასე გამოთქვამდა სინანულს ვეზირ სეფერ აღა.

ხან-ზადემ რელიგიისა და მისი განდიდებული სახელმწიფოსათვის არაერთი უბედურება გადაიტანა, პოლონელ ურჯულოთა პატიმრობაში ყოფნის შესახებ ყველაფერი თქვა: პოლონეთის მეფემ მე ერთ ოთახში დაშაყვედია, მამაშენიც, სელამეთ გირეი, ამ სახლში იყო დამწყვდეულიო — მითხრეს. ეს ამბავი მოუყვა ისტორიკოსს. იმანაც ნუგეშისცემითა და კეთილი სურვილებით უთხრა: თქვენი მალ-ლღირსეული მამის დამწყვდევა ოთახში, დაპატიმრება, ღვთის განგება ყოფილა. რაც მოხდა უკვე, იმის მომასწავებელია, რომ, მაღალმა ალაჰმა ინებოს, მამათქვენის ტახტს თქვენ მიაღწევთო.

მისმა [ხან-ზადეს] ძმებმა განსვენებული ხანის წერილი და მისი სამეუფეო წიგნი მოამზადეს და უჩვენეს. ყველანიარად ჩანდა, რომ ეს მისი ხელნაწერი იყო. ისტორიკოსსაც უჩვენეს. იმანაც ეს კეთილად ახსნა და თქვა: „დაკარგული აუსუფი კვლავ დაბრუნდება პალესტინაში, ნუ სწუხარო“. ამის თქმისა არ იყოს, მან ახარა: ახლო მომავალში ხანი განდებო. გაუხარდა, ესიამოვნა, უხვი საჩუქრები უბოძა, პატივი სცა. კარა მუსტაფას მკვლელობის შემდეგ სეფერ აღა დედაქალაქში ჩავიდა, თავისი საქმე გააკეთა და ხანის თანამდებობა აბოძებინა.

როდესაც საპატიო ხალათი ჩაიცვა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კაფას ფაშა, ისლამ ფაშას შვილი, ხანის წერილით მოვიდა და თქვა: ვიდრე ისლამ გირეი როდოსში არ იქნება გადასახლებული, უსიამოვნებისგან თავის დახსნა და დამოუკიდებლად მთავრობის შექმნა ჩვენთვის წარმოუდგენელიაო. ამ ცნობამ სეფერ აღას საქმიანობა ჩაშალა და, როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ხან-ზადე როდოსში გადასახლეს.

როდესაც კაფას ფაშა ისლამ ფაშა-ზადე ჩერქეზთა ქვეყანაზე თავდასხმების ბრალდებით და კაფასადმი ძალმომრეობის გამოყენების დანაშაულით მოკლეს, ბოროტ განზრახველთა ბრალდებით მეკმედ გირეიც ხანის თანამდებობიდან გადააყენეს. ზემოხსენებული ისლამ გირეი კატარლით როდოსიდან მოიყვანეს და ხანად დანიშნეს. გადაყენებული მეკმედ გირეი მის ადგილზე როდოსში გააგზავნეს, ხარჯი და ყველაფერი, რაც საჭირო იყო, ხაზინიდან დაენიშნა.

„ტყვედ იქმნა ამირა და ეს ალაჰისათვის ადვილი იყო. ვინც ძმას ორმოს გაუთხრის, შიგ ჩავარდება“. ეს დადასტურდა. ახალი

ხანი ისლამ გირეი ოსმალეთის სახელმწიფოს კარიბჭესთან მოვიდა, საპატიო ხალათი ჩაიცვა, თვითონაც ჰყვებოდა ამ ამბავს.

როდესაც ხანი სასახლეში შევიდა, მის აღმატებულება ფადიშაჰს ერთი აუზის პირას ოქრომკედლით მოქარგულ ბალიშზე დაედო თავი და გვერდზე წამოწოლილიყო. თავსაბურავით უდარდელად წაშოჭდარაიყო. ხანი ეამბორო მიწას, შემდეგ, როდესაც გაიმართა, მისმა აღმატებულება ფადიშაჰმა, ოღნავადაც არ განძრეულა და არ შეუცვლია თავისი მდგომარეობა, წამოიწყო ლაპარაკი: ჰეი, ისლამ! შენ ხანად გაგხადე, აბა შენ იცი, შენ უნდა იყო ჩემი მეგობრის მეგობარი და მტრის მტერი. როდესაც მან ეს ბრძანა, ხანი კვლავ მიწას ეამბორო, წამოდგა და თქვა: მაღალმა ალაჰმა ჩემი ბედნიერი ხონთქრის სიცოცხლე ხიფათისაგან დაიცვას. თუ მაღალმა ალაჰმა ინება, შენს სამსახურში უნაკლო ვიქნებით, თუ ჩემს ხონთქარს უბედურება მოელის, უმალ მე მომეწიოს. როდესაც ასეთი მადლიანი პასუხი გასცა, ფადიშაჰმა კვლავ უთხრა: ჩემი ლოცვა შენთან ერთად არის. როგორც შენ, ისე შენი წინამორბედები და მამა-პაპა ჩემი მამისა და დიდი მამა-პაპების პურითა და მადლით ხარობდნენ. სიმართლით უნდა მემსახუროთ და გაფრთხილდეთ. მე დამიჯერე და სხვათა სიტყვებს ნუ აჰყვები, ძალიან ფრთხილად იყავით, როდესაც ეს ბრძანა, ხანმა მიუგო: ჭეშმარიტებაა, ჩვენ ხონთქრის პურითა და სიკეთით ვართ გაზრდილი და მისი მონები ვართ.

ფადიშაჰმა კვლავ მიმართა: რამდენა წლისა ხარ და როგორი მხედარი ხარო. ხანმა უპასუხა: ჩემო ფადიშაჰო, ზუსტად ორმოცი წლისა ვარ, მხედრობაც ახლა დავიწყე, შენს სახელმწიფოში კარგად ვარ, ჩემო ფადიშაჰო. წადი ახლა და აბა შენ იცი, როგორ გახდები ჩემი მეგობრის მეგობარი და ჩემი მტრის მტერიო— ბრძანა ფადიშაჰმა და მსახურებმა სიასამურის საპატიო ბეწვი დაიჭირეს, ფადიშაჰმა ნიშანი მისცა ჩააცვითო. ხანი მოჰდა და საყელოზე ემთხვია, ჩაიცვა, მოოქვილი ხმალი მისცეს, შემოარტყეს. მიწას ემთხვია და გარეთ გამოვიდა. დიდვეზირი მეჭმედ ფაშაც უკან გაშოჰყვა. როდესაც მას დიდვეზირმა იქვე უთხრა, რომ მისი აღმატებულება ფადიშაჰის სიკეთეს ნუ გაუწევ ანგარიშს, შენ მე მიყურე, სხვის სიტყვას ნუ უგდებ ყურსო, გაყოყოჩებულმა დიდვეზირს ასე დაუწყო ლაპარაკი: რადგანაც მე თათართა ხანი გამხადეთ, ამის შემდეგ თქვენ ყურადღება მიაქციეთ ჩემს ნაწერს. ზოგ ურჯულოსთან ცუდი ურთიერთობის დამყარება მომიხდა, ზოგიერთ ურჯულოსთან ფარული მტრობა მაქვს, ზოგთან შერიგებული

და შეთანხმებული ვარ, ზოგზე გაბრაზებული ვარ, მავანსა და მავანს ამგვარად ვექცევი. იცოდეთ, მე რომ წერილი გამოგიგზავნეთ იმ მხარეების საქმეებზე, ოსმალეთის მხრიდან მაღალი აზრი და ღონისძიებები მიიღეთ. საჭიროა გესმოდეთ, როგორ ვექცევი მე. ვიცი, ურჯულოებთან მეგობრობა არ შეიძლება. ამიერიდან მათთან ჩვენს ურთიერთობას ხმალი გადაწყვეტს. მათთან მეგობრობა და მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებელიაო. მრავალი სიტყვა თქვა ამაყად, ამპარტავნულად და უადგილოდ. დიდევზირმა მეკმედ ფაშამ კი, ცნობილმა ვაჟკაცური სიმტკიცით, მოკრძალებულად გასცა პასუხი. მან მაშინვე უთხრა: ღმერთი შეგეწიოს, თქვენს საქმეებში კაცი ვერ გაერევაო და წავიდა.

ხანი წავიდა და ყირიმის ტახტზე დაჯდა. როდესაც გოზლევში მოვიდა, ვეზირ სეფერ ლაზისა და სხვა ქვეშევრდომთა ცდუნებით გოზლევს ემინო სულეიმან ჩელები უმიზეზოდ მოკლა. ყოფილმა ხანმა მეკმედ გირეიმ 30000 ყურუში დახარჯა და უზარმაზარი ჭარი შეკრიბა. მას განზრახული ჰქონდა მოსკოვში წასვლა, მაგრამ ამ დროს მისი გადაყენების ამბავი მოვიდა და გამგზავრება ჩაიშალა.

ტ. IV, გვ. 82—86

კალმაკთა გამოსვლა

გადმოიცემა ზემოაღნიშნული წლის ამბები, როდესაც ყირიმში ჯერ კიდევ მეკმედ გირეი იბნ სელამეთ გირეი თათართა ხანი იყო. კალმაკების ტომი, რომელიც ვალური ტომის მსგავსია, გამოჩნდა არენაზე, ისინი, 100000-მდე წყეული დედაკაცი და მამაკაცი, ჯავშანწამოფარებული და მძვინვარე გველეშაპები არიან. მათი ქალები მამაკაცებზე უფრო მეტად იბრძვიან. ისინი ხმარობენ გრძელ იარაღებს, ისრისა და ხმლის გარდა სხვა იარაღი არ იციან.

ყირიმის სელყოფის განზრახვით მდ. თილის³⁶⁵ გადალახვის შემდეგ ჩერქეზეზე გადიოდა მათი გზა. ჩერქეზთა მბრძანებლებს შორის ძლიერი პირია ალაიუკი, ყაბარდოელთა ტომის ბეგი, იგი ჰაკიშმაქსა და ანტონიკეზე უფრო დიდია. 10000 თოფის მსროლელი ჩერქეზით მათი გადასასვლელი ხეობა დაკეტა და დილიდან სამხრამდე ტყვიას ისროდა. კალმაკები არ შეშინდნენ. როდესაც ჩერქეზები თავს დაესხნენ. დამპალი ხეებივით წაიქცნენ. ამ დროს ხანის ქალიშვილისგან დაბადებულ თათარ სულთანამ მირზას, რო-

მელიც თათართა ხანთაგან ალაიუქ ბეგის დასახმარებლად იყო მოსული, შემთხვევით თავზე ისარი მოახვედრეს და მოკლეს. საზიზლარი კალმაქების ბეგები, წყეული მოხუცების დიდი ნაწილი, მოკლეს, დანარჩენები დამარცხებულნი დაბრუნდნენ და თავიანთ ქვეყანაში წავიდნენ. განსვენებული სულთანაშ მირზა ზორმ ბეგის შვილია.

ტ. IV, გვ. 104

ხანის ამბავი ჩირქეზებთან

ჩირქეზთა ტომის ბეგი ჰაკიშმაკ ბეგი, რომელიც ბაჰადირ გირეი ხანის დროს სხვა ჩირქეზი ბეგების შემდეგ მოვიდა, ხანს ეახლა. როდესაც ბაჰადირ გირეიმ შერისხა, მან უთხრა: ჩირქეზმა ბეგებმა ჩემთან ფიცი დადეს და პირობა მომცეს, რომ 'შენთან არ მოსულიყვნენ. თვითონ გატეხეს ეს ფიცი და მოვიდნენ, მე ჩემს ფიცს ვიცავდი და არ მოვედი. ისინი ყველანი მოვიდნენ, მე ფიცის გამტეხი არა ვარ, ყველაზე ბოლს მოვედიო. მისი ძმა ანტონიკე ბეგიც მოვიდა, საპატიო ხალათი ჩააცვეს და წავიდა.

ხანმა ორმოცდაათამდე სექბანით თოფისმსროლელთა ალა რამაზან ალა ჰაკიშმაკს და, აგრეთვე, თემურ ალა — ანტონიკეს აახლა და გააგზავნა. ხანმა თავისი შვილი — უმცროსი ხან-ზადე — ანტონიკეს გადასცა და ათაბაგად დაუნიშნა. ჰაკიშმაკი ამ საქმის გამო ნაწყენი იყო და თქვა: რადგანაც ათაბაგი გახდა, შეიძლება ჩირქეზების გამგებლობა მოლიანად ანტონიკეს მისცესო და ჯარი დაძრა. თავის ძმას ანტონიკეს თავს დაესხა, ბრძოლა გაუმართა და იავარჰყო. ანტონიკემ ბაჰადირ გირეი ხანთან იჩიულა. ბაჰადირ გირეი ხანმა ისლამ ალა ერთი რაზმი თათართა ჯარით ჰაკიშმაკის დასაჭერად გაგზავნა. ჰაკიშმაკი აზოვის ბეგ სიავეუშ ფაშასთან გაიქცა. მან იგი ზემოხსენებულ ხანს არ გადასცა. როდესაც სიავეუშ ფაშამ ჰაკიშმაკზე ისლამ ალას მოახსენა, განსვენებული მუსტაფა ფაშას მითითებით ბრძანება იქნა გამოცემული.

ჰაკიშმაკი ბელნიერების დედაქალაქში გააგზავნეს, ფადიშაჰის ხელზე ამთხვევინეს. სულთან აჰმედ ხანის დროს მისთვის მიცემული სიგელით ჩირქეზთა მფლობელობა განაახლეს, სიგელი გაგზავნილ იქნა. ამასობაში ბაჰადირ გირეი ხანი გარდაიცვალა. როდესაც მეჰმედ გირეი ხანი გახდა, ვეზირი მოაქციინა, ალას შუამდგომლობით მას პატივისცემით მოექცა და მიიმხრო. მაგრამ როდესაც

ისლამ გირეი ხანი მოვიდა, ჰაკიშმაკი ხანს ეახლა, რომ თავისი ძმისთვის — ანტონიკესათვის დაესწრო და შური ეძია. ხანი ყირიმიდან დაიძრა და იგი თავის ვილაიეთში წაიყვანა, იქ წვეულებასა და პატივისცემას აპირებდა. რადგანაც ანტონიკე ჰკვიანი იყო, მან საიდუმლო მოქმედება დაიწყო. იგი ხანს დაპირდა თანადგომას, ქვეყნის გონიერებრივ მის მხარეზე დადგნენ.

ხანმა ძმებს შორის უთანხმოების მოსასპობად ჰაკიშმაკი მოკლა, ჩერქეზთა სამფლობელო მთლიანად ანტონიკეს მისცა და ანტონიკეს რჩევით ჰაკიშმაკის ქვეყანას შეესია, უამრავი ჩერქეზი დაატყვევა. ჩერქეზთა მელიქის ხელისუფლებას რომ გაუსწორდა, ანტონიკესგან უამრავი საჩუქარი მიიღო.

ამ ხანებში ამბავი მოვიდა კაფუდან ბექირ ფაშას გარდაცვალების შესახებ. რამაზანის თვეში³⁶⁶ იანიჩართა ქათობი მეკმედ ეფენდი გადააყენეს და მის ნაცვლად იანიჩართა ეფენდი გახდა არნაულ მეკმედ ეფენდი, რომელიც უწინ, სულთან მურად ხანის დროს, სილაჰდარობიდან ალეპოს ეიალეთში გადაიყვანეს. ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა. ორჯერ წმინდა დამასკოს ვალის თანამდებობაზე მყოფი ვეზირ აჰმედ ფაშა, რომელიც ფატმა სულთნის ნეულლე იყო, ისტანბულში ანგარიშგასაწევი ვეზირი იყო.

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა თ ე მ ვ ს მ მ ტ ი ო ლ ი ს³⁶⁷ ა მ ბ ე ბ ი

თათართა ხანის ამბავი და აზოვის მხარე

ადრე იყო გადმოცემული, რომ ამას წინათ ისლამ გირეი ხანი ყირიმის ხანი გახდა, მეკმედ გირეი ხანი გადააყენეს და როდოსში გაგზავნეს, ისლამ გირეი ხანმა გოზლევეის ემირი სულეიმან ჩელები და ჩერქეზთა ბეგი ჰაკიშმაკი მოკლა. შემდეგ მათ დაუპირისპირდა ვეზირად წოდებული მუინის ქეთხუდა სეფერ ალა კაფუ კულუს ჯართან ერთად. როდესაც მან განიზრახა მისი მოკვლა, ხანმა სეფერ ლაზი ალა დაიჭირა, მაგრამ იგი საპყრობილედან გაიქცა და თათრებში გაერია. რადგანც მან თათართა ტომსა და ხანს შორის განხეთქილება ჩამოაგდო, ამიტომ კაფუ კულუს ჯარსა და კარა თათართა შორის მტრობამ იჩინა თავი. ბოლოს ხანს ალყა შეემოარტყეს და მისი მონობისაგან განთავისუფლდნენ.

როდესაც დაზავების მომხრეებმა მშვიდობიანობის ჩამოგდება განიზრახეს, სუფერ დახის შეუთვალეს: თათართა ტომთაგან ხანის განსაკუთრებულ მორჩილებაში წყოფ ალა ოლლი ელიას ალას, ამჟამინდელ ვეზირ რამაზანს, ჭურთაზა ალას, მეიდან ყული ბეგს თუ ჩვენ გვაძლევენ, ჩაგვაბარონ, რათა ისინი აკეუწოთ და კვლავ ხანს დაემორჩილდეთ. რადგანაც მათი მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა გონივრულ ღონისძიებას, ამის ნება არ მისცეს. მაშინ თათრები დამოუკიდებლად შეიკრიბნენ, ურწმუნოებს თავს დაესხნენ, 30 000-ზე მეტი ტყვე წამოასხეს, ურის უღელტეხილზე გაჩერდნენ და აქ ყიღვა-გაყიღვა დაიწყეს, რის შესახებაც ცნობა მიიღეს. ამ დროს მოსკოვის ელჩი მოვიდა. ისინი იუწყებოდნენ: თათართა ჯარმა ჩვენი ქვეყანა იავარპყო, გაძარცვაო, მათ თათართა ხანს უჩივლეს.

ჭუმად ალ-ევეელის შუა რიცხვებში³⁶⁸ ჩრდილოეთიდან სწორა ცნობა მოვიდა, რომ მოსკოვის მეფემ 80 000-მდე უღვთო რუსი წეკობა და განზრახული აქვს თავს დაესხას აზოვის ციხესა და თათართა ხანსო. ანის განო 500 იანიჩარი გამოეყვანეს, სიფაპთა და სილაპდართა ბოლუქებიდანაც 500—500 კაცი დანიშნა, საზღვრების დასაცავად მთავარ დავთარდარ ვეზირ სუსა ფაშასთან ერთად ისინი კატარლებში ჩასვეს და გააგზავნეს. ბრძანება გამოვიდა ექვსი ბოლუქიდან ორი ბოლუქისა და ათი იანიჩართა ოდას მეთაურობით სოლისტრეს დასაცავად გაგზავნის შესახებ. ისინი თრამბლუსიდან გადაყენებულ ვეზირ ჰასან ფაშასთან ერთად გაიგზავნენ. თურმე აზოვის ციხის წინააღმდეგ მოსული ურჯულოების გასაღვენად უწინ სახელოვანი ხანის სარდალთან ერთად ურიცხვ ლაშქარი გაუგზავნიათ. ციხესთან ახლომდებარე ადგილებში ყოველი მხრიდან თავდასხმით დაიწყეს ბრძოლა. ალაჰის შემწეობით სარწმუნოების მტრები გაფანტეს. დასასრულ, ისინი გაიქცნენ იმ მხარისაკენ, საიდანაც ხსნის იმედი ჰქონდათ. 400-ზე მეტი ტყვე ჩაიგდეს და 800 კაცი ხმლით აკუწეს. როდესაც სახელოვანმა ხანმა ეს მომხდარი ამბავი მოახსენა ოსმალთა სახელმწიფოს, მისმა ხელმწიფურმა კეთილშობილებამ სიფაპიების ალა ჰამზა ფაშა-ზადეს ხელით ხანს საპატიო ხალათი და მოკვილი ხმლი გაუგზავნა.

ამ დროს დუბროვნიკიდან ავლონიაში მოიტანეს წერილი, რომელშიც იუწყებოდნენ, რომ 28 სამხედრო ნავით, ორი გემითა და რამდენიმე ხომალდით დასამიწებელი ურჯულოები კოთურად წოდებულ ნაპირს მიაღწენ, რომელიც მოჯანყე არნაულების ქვეყანაა. არნაუდთა მოჯანყეებისათვის 50000 ყურუმის მიცემით ისინი ხმელეთიდან და ზღვიდან რები ულ-ევეელის თვეში³⁶⁹ ავლონიას

შიადგნენ და აცნობეს, რომ განზრახული აქვთ თავდასხმა. ავლონი-ის ყადმი — ვარდარმა ბელგრადის ყადის წერილი და პეტრიცა გაუ-გზავნა, თოფის წამალსა და დანხარებას ითხოვდა. იმანაც დედაქა-ლაქში გააგზავნა და ეს ეითარება აცნობა.

ბ. IV, გვ. 224—226

ა თ ა ს ო რ მ ო ც დ ა თ ვ რ ა მ ე ბ ი წ ლ ი ს³⁷⁰ ა მ ბ ე ბ ი
ა ა ზ ა ა თ ა ა მ ა მ ბ ი

რები ულ-ახირის დასაწყისში³⁷¹ ყირიმის ხანისგან კაცი მოვი-და, უწინ სარი ყაპიშად წოდებულ ადგილებში მცხოვრებნი ოზის მდინარედ წოდებულ აკსუდან ნაეებით შავ ზღვაში გავიდნენ. სა-ნაპირო ადგილები იავარპყვეს და დიდი ვნება მზაყუნეს. კაზაკთა ტომები, რომლებიც ხოტინის ლაშქრობაში ბანაკებში შევიდნენ და ისლამის ჯართან ბრძოლა გამართეს, აქამდე პოლონეთის მეფას მორჩილებაში იყვნენ. რადგანაც მათ ვენეცია დაეხმარა, ახლა ერთი-ორი წელია. რაც იმათმა ნეფემ ზადრაში გაგზავნა, მაგრამ ულუფა და პროვიანტი არ მისცა. რადგანაც მათ წაუყენეს ძალიან საყურადღებო წინადადებები და მრავალგვარი შეურაცხყოფა მია-ყენეს, ზემოაღნიშნულმა ტომმა პოლონეთისგან პირი იქცია და მორჩილებაზე წინააღმდეგობის გაჩვევის შემდეგ ერთი-ორი თავ-კაცი — ბოიარები — ყირიმის ხანთან გაგზავნა. ამიერიდან ჩვენ თქვენ მიგენდობით. თქვენ მიერ წარმოებულ ომებში ისლამის სარ-წმუნოებისათვის მთელი ჩვენი არსებით სამსახურს გაგიწევთ. ჩვენ პოლონელებთან მთლიანად გავწყვიტეთ კავშირი, ჩვენი მძევლები ყველა წამოვიყვანეთ და ზემოხსენებული ხელშეკრულების დადე-ბას გთხოვთო.

ასეთი განცხადების შემდეგ წარჩინებულ ბოიარებს ხანმა დიდი პატივი სცა და ყოველგვარი პირობების დაცვით ხელშეკრულების დადების შემდეგ ვალდებულება იქისრა, რომ პოლონეთის წინააღ-მდეგ მოსალოდნელ ლაშქრობაში დანხარებას გაუწევდა, თათართა ჯართან ერთად დიდ თავდასხმებს ეოაწყობდა. მოსულ კაცს მო-ახსენა, რომ გადაწყვეტილია უახლოეს დროში პოლონეთზე გალა-შქრებაო.

შემდეგ თათართა ხანი ურჯულოებს თავს დაესხა. ორმოცი ათასზე მეტი ტყვე წაჰოასხა, ურწმუნო რუსთა ციხეები დაწვა და გაანადგურა. როდესაც დიდ ომს აწარმოებდა, მომხდარი დაპყრო-ბის შესახებ სამახარობლო ამბით მოსულ ხანის კაცს დიდვეზირმა

აჰმედ ფაშამ საპატრო ხალათი არ ჩააცვა; რუსი ჩვენ შეგვირიგდა, ხანი რატომ დაესხა თავს?, უთუოდ ის წამოყვანილ ტყვეებს აქეთ გამოაგზავნის, რათა დაზავების საფუძველზე გავათავისუფლოთო და საყვედურით საესე ბრძანებითა და წერილით ხანის კაფუ ქეთხულდა³⁷² ჯემშიდ ჩაუში კაფუჯი-ბაშისთან ერთად გააგზავნა.

ისინი წარსდგნენ ხანის წინაშე, როდესაც მას აცნობეს დიდვეზირის განრისხების ამბავი, ისლამ გირეი ხანს სრულებით არ შეუცვლია ნარი. ისლამ გირეიმ თქვა: ჩვენ ფადიშაჰის მონები ვართ, რუსი ქაფირები მოჩვენებით მშვიდობაზე აცხადებენ პრეტენზიას. სინამდვილეში ხელსაყრელი შემთხვევის გამონახვისთანავე თავიანთი ნავეებით გამოდიან და ანატოლიის სანაპიროებს ანადგურებენ. ამაზე სულთნის მთავრობას მოახსენეს. რამდენჯერმე მოგვეპართეს, აქ ორი ცარიელი ციხეა და შიგ თქვენ ჩააყენეთ ჯარისკაცები, თავიანთ სარგოს კვლავ ამ სანაპიროების თევზის პროდუქტებიდან მიიღებნო. ასეთი წინადადება შემოგვთავაზეს, მაგრამ სათანადო გულისხმიერება არ გამოიჩინეს.

ბოლოს უღვთო რუსმა ორივე ციხე დაიპყრო და მებრძოლი კაზაკებით გაავსო, შემდეგ კი ოცზე მეტი ციხე გააშენა. ამ წელს, კიდევ თუ შეძლეს, გადაწყვეტილი აქვთ აქერმანის ვილაიეთის მთლიანად დაკავება და მოლდავეთის დასაკუთრება. ბოლოს კაზაკთა 3000 ნავი დაწვეს და ჩვენთვის გზის მაჩვენებლები გახდნენ. როდესაც ჩვენ შეტევაზე გადავედით, უსიტყვოდ 40000 კაზაკი დაგვმორჩილდა. მათი დიდი გეტმანებით ურიცხვი ურჯულო დავატყვევეთ. იმათი პირობა მხოლოდ სიცრუე იყო. ღმერთმა თუ ინება: ჩემი სურვილი ისაა, რომ რუსეთის მეფეს, როგორც მოლდავეთისას, სასულთნოდან დავანიშნინებდიო, — დაასკვნა ისლამ გერეინი. ის უვიცი კაფუჯი-ბაში ეუბნება: თქვენ რატომ ამბობთ, რომ თან ჩვენ ფადიშაჰის მონები ვართ და თან მის ნებას არ ვასრულებთო. ამ დროს მას პასუხი გასცა თათართა ემირთაგან ერთ-ერთმა მირზამ. ფადიშაჰს ამ ამბებზე არავითარი ცნობები არ ჰქონდა. ურჯულოთა გაიძვერობა და სიცრუე თქვენ დაზავებად გაქვთ წარმოდგენილი, იმ წყეულებმა კი ქვეყანა დააქციეს. აქ 100000-ზე მეტი თათარია, რომლებიც არც მიწას ამუშავებენ და არც ვაჭრობენ. თავდასხმები რომ არ მოაწყონ, რით იცხოვრონო. ახლაც მისი აღმატებულება სულთანის 50000 თათართა ჯარით სალაშქროდ წავიდა. ფადიშაჰისადმი მონობა და მეგობრობა ეს არისო. ამის შემდეგ ორივე გემზე ავიდა და [დელაქალაქს] დაბრუნდა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა ზ ი

1 ჰიჯრის 1008 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით 1599 წლის 24.VII. იწყება და 1600 წლის 12. VII. ს. თავდება. ამ წლის ამბების გადმოცემისას მ. ნაიმა გვიყვება სიმონ ქართლის მეფის დატყვევების შესახებ. მ. ნაიმას თხზულებიდან ეს ადგილი თავის დროზე ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა აკად ს. ჭიქიამ. ნაიმას თხზულების აღნიშნული ადგილის თარგმნისას აკად. ს. ჭიქიას ხელთ მქონდა ნაიმას ორი სხვადასხვა გამოცემა, ასევე სტამბოლის წიგნსაცავებში არსებული ხელნაწერი ტექსტი და მის მიხედვით ურთიერთშეჯერების საფუძველზე დაადგინა თურქული ტექსტი და გამართა ქართული თარგმანი. ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ეს გამოქვეყნებული ნაწილი, როგორც თურქული ტექსტი. ასევე აკად. ს. ჭიქიასელი ქართული თარგმანი, პირდაპირ შეგვეტანა ამ გამოცემაში. ამასთანავე, არ იქნება ინტერესმოკლებული თუ აქვე, შემოკლებით, მოვიტანთ ამ პუბლიკაციისადმი აკად. ს. ჭიქიას მიერ დართულ შეაჯავლ ნაწილსა და სათანადო კომენტარებს, რომელიც ქართულ თარგმანს თან ახლავს:

„1929 წელს სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნსაცავში თურქულ ხელნაწერებზე მუშაობისას გადმოვიწერეთ ნაიმას „თარხის“ ამ წიგნსაცავში დაცული ნუსხიდან, სხვათა შორის, სიმონ მეფის მიერ გორის ციხის აღების ამბავი. შემდეგში მე შემთხვევა მქონდა ამ ხელნაწერიდან ამოღებული ცნობა შემეწამებინა დაბეჭდილი „თარხის“ პირველი ტომის სათანადო ადგილთან. ხელთ მქონდა, სახელდობრ, نعيمًا تاريخ-ს III გამოცემა (ჩემი ცალი, გვ. 222 და 241) და 1864 წლის IV გამოცემა (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ეგზემპლარი, გვ. 251). გაირკვა, რომ ორთავე გამოცემაში შერყენილადაა გაგებული და დაბეჭდილი, სხვათა შორის. ერთი სიტყვა, რომლითაც აზრი მახინჯდება ამ გამოცემათა ზემოთ ნაჩვენებ გვერდებზე თავდება ჰიჯრის 1009 წლის ამბები, რომელთა ბოლოში ნაიმა განსაკუთრებით შენიშნავს, რომ ქართლის მეფის სიმონის სტამბოლში „სამსახურპირივო დავალებით“ (თურქულად أَمُورًا ჩამოსვლა) - ფეხლექში“ „აჰა წლის“ (ე. ი. 1009 წლის) ამბებშია აღწერილი. ნაიმა ამ შენიშვნას იმითმაც აკეთებს, რომ თვითონ ეს ამბავი 1008 წლის ქვეშ აქვს მოქცეული. აქ ყურადღებას იქცევს أَمُورًا სიტყვა. საქმე ისაა, რომ როგორც ქვემოთ დავიხაზვთ. სიმონ მეფე მოულოდნელად თავს დაესხა გორის ციხეს, განდევნა იქიდან ოსმალთა ჯარი, შემდეგ კვლავ დაპარცხდა, დაატყვევეს და წაიყვანეს სტამბოლში. სინამდვილესთან შეუსაბამოა, რომ ამგვარად დაპატიმრებული მტერი სტამბოლში ჩასულიყო أَمُورًا სამსახურებრივი დავალებით.

ნამდვილად კი სტამბოლის უნივერსიტეტის წიგნსაცავში შენახული „თა-
რის“-ის იმ ნუსხაში, საიდანაც ეს ჩვენი ცნობა გადმოღებულია, სათანადო ად-
გილას წერია არა — **أورأس**, არამედ — **أسورأ**, რაც ნიშნავს დატყვევებით,
დატყვევებულად. ე. ი. ეს ადგილი ასე უნდა შესწორდეს: „ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო ს
შ მ ა რ თ ე ე ლ ო ს ს ი მ ო ნ ო ს ს ტ ა მ ბ ო ლ შ ი და ტ ყ ვ ე ე ბ უ-
ლ ა დ ჩ ა მ ო ს ე ლ ა“ და სხვა. იხ. ს. ჭიქია, ეპიზოდი XVI საუკუნის
საქართველოს ისტორიიდან (ნაიბას ერთი ცნობის განმარტება), მასალები სა-
ქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, თბ., გვ. 53—54).

2 **ჯაფარ ფაშა** — ეს უნდა იყოს ის ჯაფარ ფაშა, რომელზედაც **Sicili Osma-
ni**-ში შემდეგი ცნობაა მოცემული: ჯაფარ ფაშა ირანს მოსაზღვრე ვილაიე-
თების კარგ მცოდნედ ითვლებოდა. 988 (=1580—1581) წელს ფეოლოსის ბეგისა,
ხოლო 991 (=1583) წელს შირვანის ვალის თანამდებობა მიიღო. აქედან თავრი-
ზის ბეგლარ-ბეგად იქნა გადაყვანილი და შემდეგში ეეზირი გახდა. მოლდავეთის
საბეგოს ვილაიეთად რეორგანიზაციის შემდეგ იგი მოლდავეთის ვალის თანამდ-
ებობაზე დანიშნა. შემდეგ კვლავ თავრიზის ვალია. გარდაიცვალა 1009 (=1600—
1601) წელს (იხ. **مشاهير عثمانية** **سجل عثمانى** **ياهود** **كركنة** **مشاهير عثمانية**, 1311
(=1893—1894) წ. ტ. II, გვ. 71). მართალია, აქ ჯაფარ ფაშის ვანის ბეგლარ-ბე-
გობა არ იხსენიება, მაგრამ, ვფიქრობ, „სიჯილის“ ავტორს ეს გარემოება მხედ-
ველობიდან გამოჩნა. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ ჩვენს ტექსტში ის მეო-
რეჯერ ზართო ვანის ბეგლარ-ბეგად კი არა, „თავრიზისა და ვანის ბეგლარ-ბეგა-
და“ მოხსენებული.

3 **ქართველთა მმართველი სიმონი** — ქართლის მეფე სიმონ I (1556—1569);
(1578—1600). გარდაიცვალა სტამბოლში, იედი-კულუში, 1611 წელს.

4 **ფირმანი** — ხონთქრის ბრძანებათა და გადაწყვეტილებათა შემცველი წე-
რილობითი საბუთი.

5 **ალექსანდრე ხანი** — იგულისხმება სიმონ მეფის ძმა ალექსანდრე.

6 **რები ულ-ევეელი** — 1008 წლის რები ულ-ევეელის თეე მოდის 1599
წლის 21. IX-დან. 20. X-მდე. ქართული წყაროების მიხედვითაც სიმონმა გორის
ციხე 1599 წელს აიღო (იხ. ერისთავიანთ „დაუჯდომელი“, 19, და ქრ-ბი, II,
431. ვიოწმებ იე ჯავახიშვილის მიხედვით: ქართველი ერის ისტორია. IV, 280—
281) და სტამბოლშიც ამავე წლის IX—X-ში უნდა იყოს გამგზავრებული. თუ ეს
ასეა, ქათობ ჩელების ეს ამბავი რომ 1009 (=1600) წლის ქვეშ აქვს აღწერილი
სწორი არ უნდა იყოს.

7 **იედი კულე** — იედიკულე (ქართულად ზოგჯერ იედიკულა) — თურქუ-
ლად (იედი) შვიდი და არაბ.-თურქ. **القدس** (კულე) კოშკი (=შვიდი კოშკი,
შვიდკოშკა). ვინაიდან სიმონ ქართლის მეფემ, რომლის მეთაურობით ქართველა
ხალხი „42 წელიწადს ღირსეულად იცავდა დამოუკიდებლობისა და ეროვნული
თავისუფლების დროშას ირანისა თუ ოსმალეთის მოძალადეებისაგან“ (ნ. ბერძე-
ნიშვილი), ამ ციხეში დაამთავრა თავისი უკანასკნელი წლები, საჭიროდ მიმაჩნია
ამ ციხის შესახებ მოვიტანო აქ ზოგიერთი ცნობა.

ბიზანტიის დროიდან ქალაქ სტამბოლს შემოვლებული ჰქონდა მაღალი ციხე-
გალავანი, რომლის ნაშთები ახლაც არის და რომელზედაც ადგილ-ადგილ გაშენებუ-
ლი იყო ვამაგრებული კოშკები. მარმარილოს ზღვის მხარაზე, სტამბოლის გამაგრე-

ბულ ადგილთან XI—XII საუკუნეებში გაშენებული იყო 5 კოშკი, რომელიც მაშინ Pentapygion-ად („ხუთი კოშკი“) იყო ცნობილი. Hayat ansiklopedisi-ს მიხედვით, სტამბოლის ალემის შემდეგ სულთან მეჰმედ II-ის დროს აქვე გაშენდა კიდევ ორი კოშკი და ამიერიდან მას [და სტამბოლის ამ რაიონს] იედიყულუ-იედიყულა [შვიდი კოშკი] დაერქვა.

ოსმალთა ხელში იედიყულა ომიანობის დროს სათანადო მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ელჩების საპრობილედ გადაეცა. სიკვდილით დასასჯელი ვეზირები და მაღალი თანამდებობის პირებიც აქ მოყვავთ ხოლმე. სიკვდილით დასჯის ადგილი იმპერატორ ფეოდოსის მიერ გაშენებული თალის მარცხენა მხარეზე მდებარე მარმარილოს კოშკი იყო. სიკვდილმისჯილებს ჩააგდებდნენ ხოლმე ბნელ დილეგში. დასჯილთა თავებს ყრიდნენ ქვის სახურავიან კაში, რომელსაც სისხლის ჯას [kan kuyusu] ეძახდნენ.

რომელსაც 1768 წელს რუსეთ-თურქეთის პირველი ომი გამოცხადდა, დიდვეზირმა პაშამ ფაშამ რუსეთის ელჩი ობრეზხოვი და მისი ცხრა თანამშრომელი დაამწყვდია არა კოშკში ჩვეულებრივად, არამედ დილეგში, სადაც ელჩი მძიმე ავად გახდა. დილეგიდან ელჩი მხოლოდ დიპლომატიური კორპუსის ჩარევის შედეგად გამოიყვანეს. 1806 წელს რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის ელჩი იედიყულაში იგზავნებოდა, მეგრამ ხოთნქრის სასახლესთან ძლიერ დაახლოებული საფრანგეთის ელჩის სებასტიანის შუამდგომლობით ელჩს რუსეთში წასვლის ნება ღართეს. ამის შემდეგ ელჩები საერთოდ იედიყულაში არ დაუმწყვდევიათ. იედიყულაში იყო აგრეთვე დამწყვდეული და შემდეგ 1622 წელს სიკვდილით დასჯილი სულთანი ოსმან II (იხ. Hayat ansiklopedisi, სტამბოლი, 1936, ტ. X, გვ. 4513—4515). Z. M. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. III, Fas. XXIV, 1956, გვ. 614.

8 სულთან აჰმედი — აჰმედ I, რომელიც 1603—1617 წლებში სულთნობდა.

9 დედანში ნათქვამია: თუმც საქმე წამოვიდა „ცხენისა და აქლემის ტვირთი [ს სიმძიმე]ო“.

10 ჰეჰიმ ჩელები — შესაძლებელია ეს იყოს ის ჰეჰიმ ჩელები — حكيم جلیبی, რომელზედაც Sicil-i Osmani — ში (ტ. II, გვ. 239) წერია, რომ ის „ეზბერელია, მეჰმედ ფაშის მასწავლებელი და სულთან მურად III-ის თანამედროვე (1574—1595)“.

11 ათას ცხრა წლის აშავი — ჰიჯრის 1009 წელი ხედება ჩვენი წელთაღრიცხვის 1600 წლის 13. VII-დან 1601 წლის I. VII-მდე.

12 ეს ცნობა მ. ნაიშას „ისტორიის“ გამოცემებში არ არის შეტანილი, ხელნაწერიდან თარგმნა აკად. ს. ჭიქიამ. ნ. ნაიშას მიერ აქ დასახელებული „ფეზლუქე“ XVII საუკუნის ცნობილი თურქი ისტორიკოსისა და გეოგრაფის ქათიბ ჩელუბის („პაჯი კალფას“) (1609—1657) თხზულებაა, რომელშიც 1592—1654 წლების ამბების აღწერილი.

13 ათას თორმეტი წლის აშავი — ჰიჯრის 1012 წელი ხედება ჩვენი წელთაღრიცხვის 1603 წლის II. VI-დან 1604 წლის 29. V-მდე.

14 ღაზი ვირეი ხანი — ყირიმის თათართა ხანი ღაზი ვირეი ხანი (ბორა) (1588—1594). მეორეჯერ 1594—1608 წწ.

15 ხათაი პასან ფაშა — მის შესახებ ოსმალო სახელმწიფო მოხელეთა ბიოგრაფიულ კრებულში საკმაოდ დაწერილებითაა გადმოცემული. იქ ნათქვამია:

მეტსახელი საათში, სულთნის სასახლეში დაწინაურებით სამეფო ჩოხადარი (სასახლეში სულთნის სასამოსლო ნაწილის თანამშრომელი) გახდა. 992 წლის შაბანის თვეში (= 1584 წ. 8. VIII—5. IX) მეორე პირახორად დაინიშნა. 997 წ. (1588—1589) პირველი პირახორობა მიიღო. 999 წლის მუჰარემის თვეში (= 1590 წ. 30 X—29. XI) იანიჩართა აღას თანამდებობაზე დაინიშნეს. იმავე წლის რები ულ-ეველის თვეში (1590 წ. 28. XII—1591 წ. 26. 1.) რუმელიის ბეგლარბეგი გახდა. სამსახურიდან გადაყენების შემდეგ 1001 წ. (= 1592—1593) ჯიარბეჯირის ვალის თანამდებობა დაიკავა. 1002 წ. (= 1593, 1594) სამსახურიდან გადაყენების შემდეგ ვეზირი გახდა კუბენიშინის რანგით. 1010 წ. (= 1601—1602) დაინიშნა დიდვეზირის მოადგილედ. რადგანაც მის დროს ტრაპიზონიდან არასასიამოვნო ამბები მოდიოდა, 1011 წ. (= 1602—1603) სამსახურიდან გაათავისუფლეს და ტრაპიზონში გადაიყვანეს. 1012 წელს (= 1603—1604) დაინიშნა არზრუმის [მხარეში] მთავარსარდლად. ამავე წლის დასასრულს (= 1604 წ. IV—V.) გარდაიცვალა.

გვ. 127. ტ. II ... مشاهير عثمانیه (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიქიამ, თბ., 1964, გვ. 130).

18 სელამეთ გირეი — ყირიმის თათართა ხანი სელამეთ გირეი ხან I (1608—1610)

17 მეჰმედ გირეი — უფლისწული, შემდეგში ყირიმის თათართა ხანი მეჰმედ გირეი ხანი III (1622—1627)

18 შაჰინ გირეი — იგი ყირიმის თათართა ხანი არ გამნდარა, იგი არცაა შეყვანილი ყირიმის ხანების გენეალოგიურ ნუსხაში, არც უფლისწულებთანა მოხსენებული (იხ. Hasan Ortekin, *Kırım Hanlarının şeceresi*, İstanbul, 1938. ნაშრომისადმი დართული ნუსხები).

19 რუმელია — ოსმალეთის იმპერიის ევროპული ნაწილი, ევროპულ ნაწილში იყო რუმელიის სახელწოდების ვილაიეთიც.

20 ანატოლია — ოსმალეთის იმპერიის აზიური ნაწილი.

21 დელი ჰასანი — 1599—1603 წლებში ანატოლიაში გლეხთა აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. დაწერილებით იხ. А. С. Тверитинова, *Восстание Кара-Язылхан-Дели-Хасана в Турции*. М.-Л., 1946; А. Д. Новичев, *История Турции*. Л., 1963, გვ. 127—135.

22 რები ულ-ახირის ბოლო — 1603 წლის ოქტომბრის პირველი რიცხვები.

28 დავთარდარი — ოსმალეთის იმპერიის საფინანსო საქმეების განმგებელი. ქვეყნის ყოველგვარ საფინანსო საქმეებს პირველ ხანებში ერთი დავთარდარი განაგებდა. ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიულ ზრდასთან ერთად შემოიღეს ჭერ რუმელიისა და ანატოლიის დავთარდარების თანამდებობა, XVI ს-ის დასაწყისიდან კი ალემოს დავთარდარის თანამდებობაც გაჩნდა. XVI ს-ის მიწურულისათვის ყოველ ვილაიეთს თავისი დავთარდარი ყავდა და ადგილზევე აწარმოებდა საფინანსო საქმეებს. ცალკეული ვილაიეთების დავთარდარებს ხელმძღვანელობდა ბაშ-დავთარდარი, რომელიც უშუალოდ დიდვეზირს ექვემდებარებოდა და სახელმწიფო ხაზინასაც განაგებდა.

24 ფეჩოი, სიკეთარი, კობანი, მოჰაჯი — უნგრეთის ქალქებია.

25. შაჰ აბასი — იგულისხმება სეფიანთა ირანის მეთაური შაჰ აბას I (1587—1629). თითქმის მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე შაჰ აბას I სისხლისმღვრელ ომებს აწარმოებდა ოსმალეთის იმპერიასთან. ამ ომების ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები იყო, რის შედეგადაც განადგურდა ადგილობრივი მოსახლეობა, ეკონომიკა, კულტურა და სხვ. შაჰ აბას I ამ ომებით ცდილობდა დაებრუნებინა ის ტერიტორიები, რომელიც მისმა წინაპრებმა ოსმალეთს დაუთმეს, ამასთანავე ისწრაფოდა ქვეყნის ტერიტორიული გაფართოებისაკენ. შაჰ აბას I ქვეყნის შიგნით მთელი რიგი რეფორმები გაატარა და განამტკიცა ირანის სახელმწიფო ხელისუფლება. მის დროს ირანი საკმაოდ დაწინაურდა როგორც ეკონომიკურად, ასევე პოლიტიკურადაც და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მახლობელ აღმოსავლეთსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში.

26 ხალშაში — ირანის აზერბაიჯანის ქალაქი ურმიის ტბის აუზში.

27 ფადიშაჰი — იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის სულთანი მეჰმედ III (1595—1603).

28 ქეთხუდა — „ქეთხუდა — მამასახლისი, მოურავი. სასახლის, სახელმწიფო დაწესებულებების და სხვადასხვა სახეობის ჯარების მეთაურთა მოადგილეები, რომლებსაც ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალებოდათ (ხაზინის ქეთხუდა, გემსაშენის ქეთხუდა, დაეთრის ქეთხუდა, ჩაუშების ქეთხუდა“). (ევლია ჩელებს-„მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გორგი ფუთურიძემ. ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 165). მ. ზ. ფაქალინის განმარტებით, ქეთხუდა იყო დიდი სახელმწიფო მოხელეების საქმეების შემსრულებელი პირების სახელწოდება, მთ ხალხში „ქაჰასაც“ ეძახდნენ (M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. II. Fas. XII. 1951. İstanbul. გვ. 251, აგრეთვე გვ. 252—253). ა. ს. ტვერიტინოვას განმარტებით, ქეთხუდა იყო სიფაჰებისა და იანიჩრების ოფიცრების წოდება A. C. Тверитинова, Второй Трактат Кочибея. Учение записки Института востоковедения, VI, 1953, М.-Л., с. 265.

29 საღარი — იგივე სიფაჰსალარი. სპასალარი, სარდალი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ოსმალთა ლაშქრის სარდალი.

30 რები ულ-ევევლის შუა რიცხვები — 1603 წლის აგვისტოს მეორე ნახევარი.

31 კარნიარუქის ციხე — ციხე-სიმაგრე ვანის ტბის აუზში.

32 ისლამის ჯარი — ამ შემთხვევაში მ. ნაიმა გულისხმობს ოსმალეთის ლაშქარს.

33 ხორასანი — მნიშვნელოვანი ისტორიული ქალაქი მცირე აზაშში.

34 ქურთი ღაზი ბეგი — იგულისხმება ქურთისტანის ერთ-ერთი პრინციის, სალმასის განმგებელი ემირი, რომელიც განუდგა ოსმალთს სულთანს, თავი შეაქედრა შაჰ აბას I-ს და მოუწოდა გაეღაშქრა ოსმალეთის წინააღმდეგ. ქურთი ღაზი ბეგის მორჩილება შაჰ აბას I-სადმი და მისი წაქეზება ოსმალების წინააღმდეგ გახდა საფუძველი 1603 წლის გაზაფხულზე დაწყებული ირან-ოსმალეთის ომისა (История Азербайджана, Баку, 1958, т. II. с. 263—264).

სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელი ქურთი ღაზის ხანის შესახებ გადმოგვცემს: Некій Гази-хан, из племенн курдов, великий князь и правитель страны Маров, притесняемый османами, ибо османы хотели убить его и овладеть его княжеством, послал преданного ему человека по имени Авдал-хан к шаху (с просьбой) прийти спасти его, сам же он (обещал) быть на стороне шаха».

Другой князь из племени Маров, по имени Улама-оглы Гайбад-бек, не то чтобы других послать, — сам поехал к шаху». (Аракел Даврижеци, Книга Историй, Перевод с армянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян. М., 1973, с. 46).

35 მულქი მოურისი — პროფ. ვ. გაბაშვილის გამოკვლევით, „მულქი მოურისი ეწოდებოდა გარკვეულ პოლიტიკურ ტერიტორიულ ერთეულს, რომლის სათავეში ესა თუ ის დინასტია იდგა. ამ შედგენილი ტერიტორიით აღინიშნებოდა გარკვეულ დინასტიურ მფლობელობასთან დაკავშირებული გარკვეული ტერიტორია. ამას მოწმობენ მულქი მოურისის პარალელურად ნახმარი გამოთქმები: „სამკვიდრო სახელმწიფო“ (مملکت موروثی), „სამკვიდრო ქვეყანა“ (ولایت موروثی), „სამკვიდრო ოლქები“ (الکای موروثی), მულქი მოურისი ეწოდებოდა არა მართო მკვიდრე მთავრის ქვეყანას, არამედ თვითონ ირანის შაჰის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებსაც“ (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა). თბ., 1958, გვ. 258—259).

36 ზემოხსენებული წლის რები ულ-ახირის მე-19 დღე — 1603 წლის 24 ნოემბერი.

37 თულენგი და გოქ-დოლაქი — მ. ნიმაის მიხედვით, თულენგები და გოქ-დოლაქები რომელიღაც ტომის სახელია. გოქ-დოლაქებს იხსენიებს ევლია ჩელეზიცი. XVII საუკუნის შუა წლებისათვის, ევლიას გადმოცემით, „საქართველოში, თეიმურაზ ხანის სამფლობელოს ფარგლებში, თბილისის ხანისადმი დაქვემდებარებული დიდი სოფელია. მისი ქვეშევრდომები ქართველი აზნაურები, სომხები და გოქ-დოლაქები არიან“ (ევლია ჩელეზის „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 292). პროფ. გ. ფუთურიძის აზრითაც, გოქ-დოლაქები რომელიღაც ტომის სახელი უნდა იყოს. „მოგზაურობის წიგნის“ გადმოთურქულბულ გამოცემაში გამომცემელს სპარსელების ეპითეტად აქვს გაგებული — „გოქ-დოლაქი სპარსელები“ (ნაცვლად — „გოქ-დოლაქები, სპარსელები“. გვ. 209). ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ ასე: „ქოქდამზობილი“, „ქოქგამწყურალი“ (ევლია ჩელეზის „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 85).

38 არდებოლი — ირანის აზერბაიჯანის ერთ-ერთი ქალაქი, რომელიც თავრიზიდან აღმოსავლეთით 210 კმ-ზე მდებარეობს. არდებოლის შესახებ იხ. Dictionnaire universel d'histoire et Geographie par Ch. Samy-Bey Fraschery. Tome premier, Constantinople. 1889, გვ. 104.

39 სუფიანი — სუფიანი მდებარეობს სამხრეთ აზერბაიჯანში, მარანდსა და თავრიზს შორის.

40 სერასქერი — ოსმალეთის იმპერიის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

41 ალი ფაშა — ალი ფაშას ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობები მოცემული ოსმალ სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში. მისი მეტსახელი იყო ლალა. იგი ჭერ იანიჩართა ქათიბი იყო, შემდეგში სიფაჰიების ოლა გახდა. 1585 წელს დაინიშნა სულთან მეჰმედ III-ის (1595—1603) ლალად,

მისი უფლისწულობის პერიოდში (ლალა იყო თანამდებობა — შაჰებისა და ფაღვი-შაჰების შვილების აღმზრდელი). მეჰმედ III როგორც კი ავიდა ტახტზე, მან პირველი მირანზადის თანამდებობა მიიღო, შემდეგი კი ნახიჩევანისა და თავრიზის ბეგლარ-ბეგი გახდა. 1012. წ (1603—1604) ირანის წინააღმდეგ ლაშქრობას მეთაურობდა. პირველ ხანებში წარმატებებს აღწევდა, მაგრამ შემდეგ დამარცხდა და ბრძოლის ველზე დაეცა **سجل عثمانی یاخود تذکره مشایخ عثمانیه** (جلد 506)

იბრაჰიმ ფეჩევი გადმოგვცემს ალი ფაშას უკანასკნელ ბრძოლას ყიზილბაშებთან და მის ტყვედ ჩაუვარდას. იგი მას ზარხომ ალი ფაშად იხსენიებს და თავრიზის ბეგლარ-ბეგად თვლის. ამ ომში თავი გამოუჩენია ალი ფაშას, მაგრამ ბოლოს ტყვედ ჩაუვარდნია ყიზილბაშებს. რომლებმაც იგი სხვა ოსმალთა წარჩინებულებთან ერთად სიკედილით დასაჯეს. ალი ფაშას სიკედილით დასჯის შემდეგ მისი ქონება „მისივე ელჩის მეშვეობით ვაეჯუზენა სტამბოლში მის მეგვეიდრეებს. მაგრამ მთავარმა დაეთარღარმა ბაიი ფაშამ შარიათის მიხედვით [ეს ქონება] ხაზინას გადასცა“ (იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტო ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები ლაურთო სერგი ჩიქობა. თბ., 1964, გვ. 79—80). არაქველ თავროზელიც გვაძლევს ცნობებს ალი ფაშას საქმიანობის შესახებ. როდესაც იგი აღწერს მის უკანასკნელ ბრძოლებს ყიზილბაშებთან, აღნიშნავს, რომ «Али-паша, увидев поражение своей стороны, а также (то), что это действительно шах, взял с собой сына своего и явившись к шаху, пал к стопам его и молил даровать ему свободу. А шах благосклонно и милостиво принял его, держал с великими почестями при себе и повел с собою в Исфакан» (Арақел Даврижеши. Книга историй, перевод с армянского, предисловие и комментарий Л. А. Ханларян, М., 1973, стр. 49).

42 აღნიშნული თვის ოცდამეორე დღე — 1603 წლის 27 ნოემბერი.

43 ურწმუნოების ჭარი — იგულისხმება ყიზილბაშთა ლაშქარი. მ. ნაიმა ყიზილბაშთა ლაშქარს ყოველთვის ზიზლით იხსენიებს, მათ ურწმუნოებსა და საზიზღრებს უწოდებს. ამ შემთხვევაშიც მ. ნაიმა ოსმალთა ხელისუფალთა აპოლოგეტია, როგორც ოფიციალური ისტორიოგრაფი.

44 მორწმუნეთა ლაშქარი — მ. ნაიმა ოსმალეთის შეიარაღებულ ძალებს, ყიზილბაშთა ლაშქრისაგან განსხვავებით, მორწმუნეთა ლაშქარს ეძახის. ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ ოსმალთა ლაშქრობები მას მიაჩნია მორწმუნეთა ლაშქრის სამართლიან ბრძოლად ურწმუნოების წინააღმდეგ. იგი თავის „ისტორიაში“ მრავალგვარი ეპითეტებითა და სხვადასხვა ხერხებით ავინებს და წყევლავს ურწმუნოებს იხსენიებს როგორც ყიზილბაშთა ლაშქარს, ასევე მათ ცალკეულ მხედართმთავრებსა და შაჰებსაც.

45 მაჰმუდ ფაშა — მაჰმუდ ფაშას შესახებ ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში დაცულია ცნობები. მის მიხედვით, მას ჯერ სანჯაყბეგის — მირ-ლივას თანამდებობა ეკავა, 1007 წელს (1598—1599) სივანის ვალი გახდა. შემდეგ კი ერეენისა და ნახიჩევანის ვალის თანამდებობა ებოძა. სამსახურიდან გადაყენების შემდეგ 1011 წელს (1602—1603) ყიზილბაშებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩაუვარდა და სიკედილით დასაჯეს **سجل عثمانی یاخود تذکره**

(ტ. IV, გვ. 316... **مشایخ عثمانیه** ი. ფეჩევის მიხედვით, მაჰმუდ ფაშა ყო-

ზილბაშებთან ლაშქრობის დროს თავრიზის ბეგლარ-ბეგის ოსმან ფაშას ხელ-
ქვეითი იყო და მასთან ერთად ჩაუვარდა ტყვედ ყიზილბაშებს (იბრაჰიმ ფეჩევის
ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანიტურთ
ვამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჭიქიამ, თბ., 1964, გვ. 80).

46 ხალილ ფაშა — იბრაჰიმ ფეჩევის მიხედვით, ხალილ ფაშა მამულ ფა-
შასთან ერთად ჩაუვარდა ტყვედ შაჰ აბასს და სიკვდილით დასაჯეს (იბრაჰიმ ფე-
ჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 80). ოსმალთ სახელ-
მწიფო მოხელეთა ბიოგრაფიული კრებულის მიხედვით, ხალილ ფაშა ხონთქრის
სასახლეში გაიზარდა. ბოსტანჯი-ბაშის თანამდებობა ეკავა. ერთ ხანს იზმირში
გაგზავნეს და იქ მსახურობდა. შემდეგ ერთ-ერთი ვილაიეთის ბეგლარ-ბეგი იყო.
1012 წ. (1603—1604) ირანელებთან ომის დროს მოკლეს. შ. ნაიმა აშკარა შეცდო-
მას უშვებს, როდესაც ხალილ ფაშას ახალციხის ბეგლარ-ბეგად იხსენიებს. საქმე-
იმაშია, რომ ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებობდა ახალციხის საბეგლარ-ბეგო,
იგი უფრო მოგვიანებით — 1627 წელს შეიქმნა. ამიტომაცაა, რომ ოსმალთ სა-
ხელმწიფო მოხელეთა ბიოგრაფიულ კრებულში არაფერია ნათქვამი ხალილ
ფაშას ახალციხეში ბეგლარ-ბეგობის შესახებ. سجل عثمانی یاخود تز کره
გვ. 285. ტ. II. ... شاهبر عثمانیه

47 ვეჟილი — ვეჟილი იყო რწმუნებული, ზედამხედველი, მფარველი, დამ-
ცველი (გ. წერეთელი. არაბულ-ქართული ლექსიკონი. თბ., გვ. 292). პროფ.
ვ. გაბაშვილის განმარტებით, «ვეჟილი ეწოდებოდა შაჰის რწმუნებულს, რომელიც
შუამავლის როლს ასრულებდა შაჰსა და იმ ხელისუფალს შორის, რომლის კარ-
ზეც ის საგანგებო დავალებით იყო წარგზავნილი. შარდენის სიტყვით, ყველა
მმართველი და ოლქის სხვა დიდმოხელე მოვალე იყო თავის კარზე პყოლოდა-
აგენტი, რომელსაც ვეჟილს უწოდებდნენ. ვეჟილებს, ირანის სახელმწიფოს მოთ-
ხოვნისთანავე, უნდა მიეწოდებინათ საკირო ცნობები ხელისუფლების საგამეო
ოლქში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. ვეჟილის სამოხელეო ფუნ-
ქციაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ვეზირისა. მეთვალაყურე ვეზირის
მსგავსად ვეჟილსაც შაჰის ინტერესების დაცვა ევალებოდა. ვეჟილი იყო ირანის
შაჰის მოხელედ ირანის შაჰისავე მოხელესთან“ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეო-
დალური წყობილება XVI—XVII სს., თბ., 1958, გვ. 392—393).

48 ჭუმალ აღ-ვეველის შუა რიცხვები — 1603 წლის ოქტომბრის მეორე ნა-
ხევარი.

49 ვანის მხარე — ივლისსმებმა ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეული —
ვანის ვილაიეთი, რომლის ცენტრია ქალაქი ვანი. იგი მდებარეობს ვანის ტბის
სანაპიროზე.

50 ორღუბადი — დასახლებული პუნქტი თანამედროვე აზერბაიჯანში.
კერძოდ, ნახიჩევანის ასსრ-ს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ირანის
საზღვრებთან.

51 ჩირაქ ხულთანი — ყიზილბაშთა ლაშქრის ერთ-ერთი მხედართმთავარი,
რომელიც შაჰ აბასმა ვარკვეული რაოდენობის ლაშქრით ჭულფის ოსმალთაგან
გასანთავისუფლებლად გამოგზავნა. ჩირაქ ხულთანი არაქელ თავრიზელის თხუ-
ზულებაში ჩირაქ ბეგადაც არის მოხსენებული. იხ. არაქელ თავრიზელის დასახ.
ნაშრ., გვ. 50, 186.

52 ჭულბა — იგივე ჭულფა, რომელიც მდ. არაქსის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს და ცნობილი იყო თავისი სავაჭრო-სატრანზიტო ურთიერთობით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის. ჭულფის ვაჭრები გაცხოველებულ აღებ-მიცემობას ეწეოდნენ აბრეშუმით დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. შამ აბას I დიდად იყო დაინტერესებული ჭულფის ხელში ჩაგდებათ. თუ რა მძიმე დღეები ჩააყენა აბას I ჭულფის ადგილობრივ მოსახლეობა, როგორ მასიურად გარეკა ისინი ირანში, ამის შესახებ დაწვრთებით გადმოგვცემს არაქელ თაერზელი თავის „ისტორიაში“. იგი ჭულფას „ჭულად“ იხსენიებს (იხ. არაქელ თაერზელის დასახ. ნაშრ., გვ. 74—83 და სხვ. გვერდები. ჭულფის შესახებ იხ. აგრეთვე: Тер-Аветисян, Город Джуга, Тбилиси, 1937).

53 ალინჯას ციხე — ციხე-ქალაქი ნახიჩევანის მხარეში.

54 ჭუვანშირის ციხე — ციხე-სიმაგრე ნახიჩევანის მხარეში.

55 ხიზირ ფაშა ზადე მეჰმედ ფაშა — მის შესახებ ოსმალთა დიდმოხელეთა ბიოგრაფიულ კრებულში ნათქვამია: მეტსახელები: ემირ, შერიფ. ყიზილბაშების სეიიდთაგანი იყო. ოსმალეთში ჩამოსვლისას საფინანსო უწყების სამსახურში შევიდა. დაწინაურების შემდეგ დავთარდარობა მიიღო. 1000 წ. (1591—1592) მთავარი დავთარდარი გახდა. მომდევნო წელს სამსახურიდან გადააყენეს. 1003 წლის ზილ-კადას თვეში (1595 წ. 8. VII—6. VIII.) მეორეჯერ დაინიშნა დავთარდარად და 1004 წ. (1595—1596) კვლავ გაათავისუფლეს სამსახურიდან. შემდეგში ის დანიშნეს ეგვიპტეში ვალის თანამდებობაზე. ორი წლისა და ორი თვის შემდეგ, 1006 წლის ზილ-კადას თვეში (1598 წ. 5.VI—4.VII), კვლავ გადააყენეს სამსახურიდან. 1008 წ. (1599—1600) ვეზირის რანგით კუბენიშინი გახდა. 1010 წ. (1601—1602) ის დაინიშნა ერევანის ვალის თანამდებობაზე. ირანელებმა 1012 წ. (1603—1604) ერევანს ალყა შემოარტყეს და ერევანის ვალიმ ამ ალყას ერთ წელიწადს გაუწია წინააღმდეგობა და კარგი სახელი დატოვა. 1013 წ. (1604—1605) ტყვედ ჩაუვარდა ირანელებს და იქვე გარდაიცვალა.

გვ. 137—140. ტ. IV ... سجل عثمانی یاخود تذکرہ مشاہیر عثمانیہ

56 ჭუმად ალ-ვეველის 15 — 1603 წლის 21 ოქტომბერი.

57 ქურქჩი-ბაში — ერთ-ერთი ოსმალური გადასახადის — ქურქჩის, ანუ ქურქჩის აპკრეფი საფინანსო მოხელეების უფროსი, მეთაური. ქურქჩის გადასახადი განკუთვნილი იყო ოსმალეთის სამხედრო გალერებისათვის.

58 ჭუმად ალ-ვეველის 20 — 1603 წლის 26 ოქტომბერი.

59 მუთეფერია — მუთეფერიაკს შესახებ ფართოდ აქვს მსჯელობა პროფ. გ. ფუთურიძეს. მისი სიტყვით, მუთეფერიაკს „ნაწილი სულთნის პირად დაცვაში მსახურობდა. გარდა დაცვისა, მათ ევალებოდათ სულთნის სხვადასხვა ბრძანებების შესრულება. სასახლის ყველაზე მნიშვნელოვან და საპატიო სამსახურად ითვლებოდა. ბაიაზეთ I-ის დროს (1389—1402) 40 კაცი იყო. ძირითადად ვეზირების, ბეგლარბეგების, დავთარდარებისა და სხვათა წარჩინებულების შვილები იყვნენ. ისინი მხოლოდ სულთანსა და თავიანთ მეთაურს — მუთეფერიაკ-ბაშის ემორჩილებოდნენ. დროთა განმავლობაში მათი რიცხვი გაიზარდა. XVI საუკუნეში 430 იყო, XVII საუკუნეში — 630. 2. იანიჩართა კორპუსის მუთეფერიაკები. ისინი სოლაკებისა და მონადირეების (შიქარ) ბოლუქებში ითვლებოდნენ და მათ სამსახურს მეთვალყურეობდნენ. 3. მუთეფერიაკები ეწოდებოდათ, აგრეთვე, დიდვეზირების, ვეზირების, ბეგლარ-ბეგებისა და სანჯაყთა ბეგების ამაღში მყოფ ალებსაც. მათ ახლდნენ ლაშქ-

რობაში, ფაშების დროშები მიჰქონდათ, ბრძანებებს დანიშნულებს-სამებრ გადასცემდნენ“. (ველია ჩელების „მოკვაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კონენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. II. გამოკვლევა, კონენტარები. თბ., 1973, გვ. 153). მუთუფერიკას შესახებ იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri Ve Terimleri Sözlüğü. II. Fas. 1953, İstanbul, გვ. 637—638.

კოჩიბეი გორიჯელა შემდეგნაირად ახასიათებს მუთუფერიკებს: «...Мютеферрики есть слуги достойные наибольшего уважения, это старые слуги. Некоторые из них вышли из личных покоев, некоторые являются сыновьями пашей. Всего их 300—400 человек. Когда падишах выходит на счастливую прогулку по городу, — они шествуют впереди. Если среди них есть обладатели зема-метов, их называют гедикли... жалование их бывает: 100 акча, 80 акча и 40 акча (в день). Выходящие из личных покоев получают 60 акча. Если повелитель соизволит пройти по городу, — они шествуют впереди. Их начальником является мютеферрика-башин. Они получают свое жалование по малой счетной книге и в праздничные дни отдельно подходят целовать (пашу) руку. (А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибей, ... с. 266).

60 ზემოხსენებული თვის მეექვსე დღე — 1603 წლის 13 ოქტომბერი.

61 ზემოხსენებული თვის 24-ე დღე — 1603 წლის 30 ოქტომბერი.

62 რაიათი — მწარმოებელი საზოგადოება, გლეხი, ქვეყნდრომი, XV—XVII სს-ის ოსმალეთში რაიათი ეწოდებოდა გადასახადის გადამხდელ, უშუალო მწარმოებელ საზოგადოებას.

63 ფადიშაჰი — იგულისხმება ოსმალეთის სულთანი, საერთოდ, ამ შემთხვევაში სულთან აჰმედ I (1603—1617).

64 სივასი — ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის — სივასის ვილაიეთის ცენტრი.

65 ნუჰ ფაშა — ნუჰ ფაშას შესახებ გადმოცემულია ოსმალთა სახელმწიფო მონაცემთა ბიოგრაფიულ კრებულში. კერძოდ მასზე ნათქვამია: იგი 995 წელს (1586—1587) ყარაბაღისა და შემდეგ დიარბექირის დავთარდარი იყო, 1000 წელს (1591—1592) ეკიპროსის ლაშქრობაში იღებდა მონაწილეობას, 1001 წელს (1592—1593) სივასის ბეგლარ-ბეგი გახდა. 1002 წელს (1593—1594) მთავარი დავთარდარი გახდა. ამ თანამდებობიდან გადაუყენების შემდეგ 1005 წელს 1596—1597) ჯერ კონიის, შემდეგ ანატოლიის ვალი იყო. 1011 წელს 1602—1603) გახდა ვეზირი კუბენიშინის რანგი და ანატოლიის ლაშქრის სარდლად დაინიშნა. მომდევნო წელს იგი გადააყენეს აღნიშნული თანამდებობიდან და დარენდში გაგზავნეს, სადაც გარდაიცვალა კიდევ.

გვ. 576. ტ. IV. ... مشاهير عثمانیه سجل عثمانی یا خود تذکره

66. ჯუმად აღ-ახირის მეექვსე დღე — 1603 წლის 11 ნოემბერი.

67 ქემაჰა — თანამედროვე თურქეთში ქალაქ ერზინჯანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქი.

68 ერზინჯანი — ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის — ერზინჯანის ვილაიეთის ცენტრი.

69 ჯუმად აღ-ახირის მე-11 დღე — 1603 წლის 16 ნოემბერი.

70 ქაფანისთანი — ქაფანის ოლქი, რომელშიც შედიოდა ნახიჩევანი. ქაფანისთანის შესახებ იხ. არაქელ თავრიზელის დასახ. ნაშრ., გვ. 281.

71 მაქუ — ციხე-ქალაქი სამხრეთ აზერბაიჯანში. მაქუს აღწერა მოცემული აქვს ევლია ჩელების (იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. 1. ქართული თარგმანი. თბ., 1971, გვ. 214—216).

72 ვალაშეკრტი — შაჰს ედ-დინ სამის განმარტებით, ვალაშეკრა მოგზაურობს ჰამადანსა და ქერმანშაჰს შორის და საკმაოდ დასახლებულ ადამს წარმოადგენს. იხ.

شهر، سامی، قاموس الاعلام، تاریخ و جغرافیا لغاتنی، آلتنجی جلد 1، 4691، استانبول، 1316،

73 ზემოხსენებული თვის მე-12 დღე — 1603 წლის 17 ნოემბერი.

74 ზემოხსენებული თვის მე-17 დღე — 1603 წლის 22 ნოემბერი.

75 შურაგელის ციხე — შურაგელის ციხე ყარსსა და ბასიანს შორის მდებარე ქალაქია. ევლია ჩელები მონახულა შურაგელის ციხე და აღწერა იგი (იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. I. ქართული თარგმანი, თბ., 1971, გვ. 314—317).

76 იმამი — „მუსლიმთა რელიგიური თემის მეთაური, სულეერი იმამი, მეჩეთში ღვთისმსახურების ხელმძღვანელი. ასე ეწოდებოდა: 1. ზოგი მუსლიმური სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას. 2. შიიტების უზენაეს სასულიერო მეთაურს, 3. ისლამის ოთხი ძირითადი მიმდინარეობის (ჰანეფიტების, შაჩალიტების, მალიკიტების და შაფიტების) დამაარსებლებს“. (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბ., 1973, გვ. 145). იმამის შესახებ იხ. აგრეთვე: M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, I, İstanbul, 1951, გვ. 59.

77 კორუჯი-იაზი — კორუჯი, კორუჯუ — ტყის მცველი, მუველე. ასე ეწოდებოდათ ლაშქრობებში დაბერებულ იანიჩრებს, რომლებსაც ბოძოლა აღარ შეეძლოთ, მაგრამ არც პენსიაზე იყვნენ გასულნი. მკამედ II ფათიჰმედი (1451—1481) ლაშქრობაში მდიოდნენ, მაგრამ ბოძოლაში მონაწილეობას არ იღებდნენ და ბანაკის კარებს იცავდნენ. შემდეგში აღარც ლაშქრობაში მიჰყავდათ და სტამბოლისა და იანიჩართა ყაზარმების დაცვა ევალებოდათ. XVI საუკუნის ბოლოს 1000-მდე კორუჯი იყო, XVII საუკუნეში — მეტი. პენსიაზე გასულ იანიჩარს ოთურაკი ეწოდებოდა. კორუჯი ბაში — კორუჯიების მეთაური“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ, ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბ., 1973, გვ. 179 (იხ. აგრეთვე M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, II, fas. XIII, 1952. İstanbul. გვ. 296).

78 კაიმაკამი. — კაიმაკამი — მოადგილე, შემცველია — როდესაც დიდუზირი ლაშქრობაში გაუძღვებოდა ოსმალეთის ჭარს, მის მაგივრად სახელმწიფო საქმეების გასარიგებლად დედაქალაქში რჩებოდა სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელსაც ვეზირის ხარისხი ჰქონდა და ამ შემთხვევაში მას უწოდებდნენ

„რიქაბ კაიმაკამი“ („რიქაბ“—უზანგი). თუ ამ დროს სულთანიც ლაშქრობაში იყო, კაიმაკამს ეწოდებოდა „სტამბოლის კაიმაკამი“. თუ დიდევზირიცა და სულთანიც დიდი ხნით იყვნენ დედაქალაქიდან წასული, სულთანს ახლდა „რიქაბ კაიმაკამი“ და დედაქალაქში რჩებოდა სტამბოლის კაიმაკამი.

კაიმაკამი ეწოდებოდათ იმ მოხელეებსაც, რომლებიც გადაყენებული ბეგლარ-ბეგისა და სანჯაყ-ბეგების მაგივრად განაგებდნენ მიმდინარე საქმეებს, სანამ ახალი მმართველი ჩამოვიდოდა“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუფუჩიძემ, ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973, გვ. 146). იხ. აგრეთვე: M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. II. Fas. XII, 1951, İstanbul, გვ. 219—223.

79 ჩაუშ-ბაში — „ჩაუში — ბაიზეთ I ილდირიმის დროს (1389—1402) დაარსდა ჩაუშთა ორგანიზაცია. ჩაუშები სხვადასხვა დავალებებს ასრულებდნენ, იგზავნებოდნენ ელჩებად, ბრძანებები და განკარგულებები მიჰქონდათ პროვინციებში. სახელმწიფო დივანის სხდომას ემსახურებოდნენ. ყარის სარდლების განკარგულებებს გადასცემდნენ რაზმების მეთაურებს“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, გვ. 168). ჩაუშ-ბაშის ჩასახვა-განვითარებისა და მისი ისტორიის შესახებ იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. Fasik. IV. 1948. İstanbul, გვ. 336—339.

ჩაუშების შესახებ კონიბი გორიყელის „მეორე რისალეში“ ვკითხულობთ: «Ваших слуг чавушей имеется 500—600 человек. Этих также как владеющих землями, так и состоящих на жалование называют гедикли. Они становятся чавушами из ветеранов бостанджи, из которых выходят с жалованием в 60, 40, 20 акча. Нет закона брать (в чавуши) из султанского двора. Когда падишах отправляется на прогулку в город или в поход, они шествуют впереди с палицей на плечах. А когда султан прибывает в конак, они приветствуют его и хлопают в ладоши. Они стоят в Диване, скрестив на груди руки, на головах они носят колпак с перьями. Если возникает необходимость, их посылают в другие страны. Их начальником является чавуш-баш и от него они получают жалование. В ступать с ними в разговор (султану) обычаем не позволяет. (А. С. Тверитниова, Второй трактат Кочибейя..., стр. 231).

«Чавуши — категория личной султанской гвардии, стоящая на ступень ниже мютеферриков. Вместе с тем чавуш есть военное офицерское звание у сипахив и ялычар». (იქვე, გვ. 267).

80 მუფთი — „მუფთი — მუსლიმთა სასულიერო წოდების წარმომადგენელი ღვთისმეტყველი და სამართლისმცოდნე. განსაკუთრებით რთული იურიდიული საკითხების შესახებ წერილობითი დასკვნის — ფეთვის — შემდგენელი. მუფთობს შორის უპირველესი იყო შეიხ ულ-ისლამი და მასაც ხშირად მუფთს უწოდებდნენ“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“... ნაკვ. II, გვ. 154). მუფთის შესახებ იხ. აგრეთვე:

M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. II. Fasik. XVI, 1953, გვ. 599—601.

81 ყაზიასქერი — „შემდეგ II ფათიჰის დროს (1451—1481) ერთი ყაზიასქერი იყო. ამის შემდეგ ორი. რუმელიის ყაზიასქერი ოსმალეთის ევროპული ტერიტორიის

ყადებდა და, საერთოდ, მუსლიმანური სასულიერო წოდების საქმიანობას განაგებდა, ანატოლიის ყაზიასქერი — ოსმალეთის დანარჩენი ტერიტორიისას. ანატოლიის ყაზიასქერის თანამდებობას სტამბოლის ყადობიდან დაწინაურებული იღებდა, რუმელიის ყაზიასქერობას — ანატოლიის ყაზიასქერის თანამდებობიდან დაწინაურებული. შეიხ ულ-ისლამის თანამდებობაზე, წესით, რუმელიის ყაზიასქერს აწინაურებდნენ. დღიური ჯამაგირი 500 ახჩა ჰქონდათ, გარდა ამისა, მათ ეკუთვნოდათ იურიდიული აქტების შედგენისა და საბუთებზე ხელმოწერისათვის გათვალისწინებული გამოსაღები“ (ველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი...“, ნაკვ. II, გვ. 167). იხ. აგრეთვე: M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. II. fas. XII, 1951, İstanbul, გვ. 229—235.

კოჩიბეგი გორიჯელის მიხედვით, «Румелийский кадиаскер представляет всех кадиев, имеющих в Румелии. Анатолийский кадиаскер представляет всех анатолийских кадиев. Румелийские кадии не могут стать кадиями в Анатолии, равно как и анатолийские кадии не могут стать кадиями Румелии, а могут оставаться только в Анатолии» (А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея..., стр. 246).

82 ზილ-შიქეს თვე — 1 მაისიდან 30 მაისამდე.

83 მუჰარემის მეთე დღე — 20 ივნისი.

84 მუჰარემის თვის მეთერთმეტე დღე — 21 ივნისი.

85 ლევან ხანი — ლევან კახთა მეფე (1520—1574).

86 ალექსანდრე ხანი — კახთა მეფე ალექსანდრე II (1574—1605), ლევანის ძე.

87 გურგენი — ივულისხმება ქართლის მეფე გიორგი X (1600—1606), სიმონ I-ის ძე.

88 ულუმა — علم არაბ. — შრავლობითი რიცხ. სიტყვიდან „ალიმ“ — «علم». ასე ეწოდებოდა მუსლიმანთა უმაღლეს სასულიერო პირებს, ღვთისმეტყველებს, სიბრძნისმეტყველებს. ყურანის განმმარტებლები და მასწავლებლები მუსლიმანთა სასულიერო წოდების ძირითადი კატეგორია. ულუმას შესახებ იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. III. Fasik. XXIV, 1956, გვ. 544.

89 ფეთვა — „წერილობითი პასუხი ან გადაწყვეტილება, რომელსაც მუფთი შარიათის საფუძველზე ადგენდა მნიშვნელოვანი და რთული იურიდიული საკითხის შესახებ. ფეთვა უნდა შეედგინა შეიხ ულ-ისლამსაც (მთავარ მუფთის) ომის გამოცხადების, დაზავების, სულთნის ტახტზე ასვლის ან გადაყენებისა და სხვა სახელმწიფო საქმეების კანონიერების დასასაბუთებლად. ფეთვა კითხვა-პასუხის საბით დგებოდა“ (ველია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“... ნაკვ. II, გამოცეკვეა, კომენტარები, გვ. 164).

90 ჰასან ბეი-ზადე — ჰასან ბეი ზადე XVII ს-ის ოსმალთა ისტორიკოსია (?—1636). მისი ბიოგრაფიის შესახებ ცოტა რამ ვიცით. მას სასულიერო განათლება მიუღია და არაერთი მაღალი თანამდებობაც სქერია. იგი ავტორია ცნობილი ისტორიისა (تلخیص تاج التواریخ), რომელშიც გადმოცემულია ოსმალეთის ისტორია უძველესი დროიდან ვიდრე 1623 წლამდე. ჰასან ბეი-ზადეს თხზულება ჭერჭერობით გამოცემული არ არის, იგი ხელნაწერის სახით ინახება

თურქეთისა და ევროპის სხვადასხვა არქივსაცავებში. მის თხზულებას, როგორც წყაროს, უხვად იყენებდნენ მომდევნო ხანის ოსმალთა ისტორიკოსები და მათ შორის მუსტაფა ნაიმაყ (ჰასან ბეი-ზადეს შესახებ იხ. ნ. შენგელა, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, ვვ. 25—26.).

91 ხადიმ ჰასან ფაშა — მისი ბიოგრაფიის შესახებ საინტერესო ცნობებია მოცემული ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში. მაგრამ ჩანს, რომ მასში თარიღები არეულია და იგი ნაიმას თხზულებაში გადმოცემული ამბების ქრონოლოგიას არ ემთხვევა. ხადიმ ჰასან ფაშას შესახებ ცნობები არც იბრაჰიმ ფეჩევის თხზულებაში გადმოცემული ამბების ქრონოლოგიას ემთხვევა. სახელდობრ, ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მის შესახებ ვკითხულობთ: ჰასან ფაშა — მეტსახელი ხადიმი, სასახლის თეთრკანიანი საკურთხის იყო, შემდეგ მთავარი ხაზინადარი გახდა. 998 წლის ჭუმად ალავეჯის თვეში (=1590 წლის 8. III—6. IV.) ეკვიპტის ბეგლარ-ბეგად დაინიშნა. ორი წლისა და 10 თვის შემდეგ გადააყენეს, დააპატიმრეს და იელი კულეში ჩასვეს. განთავისუფლების შემდეგ ვეზირის წოდებით შირვანის, ხოლო შემდეგ თაგრიზის და განეროების, ისევე შირვანის ვალის თანამდებობაზე დაინიშნა. შემდეგ სხვადასხვა თანამდებობები ეკავა და 1007 წ. რები ულ-ევეჯის ოქტომბერში (1598 წ. 22. X.) დიდვეზირის თანამდებობა მიიღო. 1007 წლის რამაზანის მეექვსე დღეს (1599 წ. 2. IV) მოკლეს. მტარვალი კაცი იყო. დიდვეზირობის დროს ზოგიერთი წარჩინებული პირის მოსპობა განიზრახა და ეს გახდა მისი უბედურების მიზეზი.

ტ. II, გვ. 125 ... سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه

92 ჩაყალე-ზადე სინან ფაშა — ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მის შესახებ ნათქვამია: იგი ბოსნიელია, ფრანგი კაფუდანის ჩაყალეს შვილი... დროთა ვითარებაში ხელმწიფის სილაპდარი გახდა. 987 წელს (=1579—1580) — მირი ალემი, იმავე წლის რეჟების მესამე დღეს (1579 წ. 26. 8) იანიჩართა ალა, შემდეგ დიარბექირის ვალი. იყო ბუდინის, ვანის, არზრუმისა და ბაღდადის ვალის თანამდებობებზე. იღებდა მონაწილეობას ირანთან ლაშქრობაში. 995 წ. (=1586—1587), როდესაც ოსმან ფაშა გარდაიცვალა, ლაშქარში კაიმაკამად დაინიშნა. 999 წელს (1590—1591) კაფუდან დერია (საზღვაო აღმირალი) გახდა. 1003 წ. (1594—1595) გადააყენეს და კუბენიშინის რანგით ვეზირის თანამდებობა უბოძეს. 1005 წ. რები ულ-ევეჯის თვეში (=1596 წ. 23.X—22.XI) აღრის ლაშქრობაში დიდვეზირი გახდა. მაგრამ 40 დღეში გადააყენეს, ჭუმად ალ-ევეჯის თვეში (1596 წ. 21.XII—1597 წ. 20.I) შამის ვალი გახდა, შემდეგ კვლავ აღმირალის თანამდებობა უბოძეს. 1012 წ. (1603—1604) ირანთან ლაშქრობის დროს სარდლად დაინიშნა. 1014 წ. (=1605—1606) დიარბექირში გარდაიცვალა.

ტ. III, გვ. 111. ... سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه

93 ალაჟა ათლუ ჰასან ფაშა — მის შესახებ ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში ნათქვამია, რომ იგი წარმოშობით ალბანელია, ალაჟას პროვინციიდან იყო... 1012 წ. (1603—1604) არზრუმის ბეგლარ-ბეგი გახდა, შემდეგ შირვანის ვალის თანამდებობა უბოძეს. იგი მალე გარდაიცვალა.

ტ. II, გვ. 128. ... سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه

94 მუთესელიში — **متسلم** — ოსმალეთის იმპერიაში ვილაიეთის განმგებლის — ბეგლარ-ბეგის, ვალის მოადგილე. საერთოდ, ადმინისტრაციული მოხელე, რომელსაც პოლიტიკურის გარდა ეკონომიკური ფუნქციები ევალებოდა. მის მოვალეობას შეადგენდა პროვინციებში გადასახადების განაწილებისა და შეგროვების საქმე. მუთესელიში შესახებ იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, II, fas. XVI, 1953, İstanbul, გვ. 639.

95 შემახა — შირვანის სახანოს დედაქალაქი იყო, ამჟამად აზერბაიჯანის სსრ-ში შემავალი ქალაქი. შემახია ბაქოდან 110 კმ-ზე მდებარეობს.

96 მუღერისი — მუსლიმანურ სასულიერო სასწავლებელში — მეღრესეში მასწავლებელი. მუღერისის შესახებ იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, fas. XVI, 1953, İstanbul, გვ. 588.

97 ამირგუნე ხანი — შაჰ აბას I-ის ერთ-ერთი ცნობილი მხედართმთავართაგანი, რომლის სახელი უშუალოდ დაკავშირებულია ამიერკავკასიის ხალხებთან, კერძოდ, სომხებსა და ქართველებთან. იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში [1602—1625] იყო ერევნის ბეგლარ-ბეგი; სომეხი ისტორიკოსებიც მას დიდი სიმპათიებით მოიხსენიებენ [ზაქარია კანაკერცი, ქრონიკა, ტ. 1, გვ. 70], რამდენადაც მან ბევრი რამ გააქეთა შაჰ აბასის მიერ გავერანებული სომხეთის ეთილმოწყობისათვის. ისქანდერ მუნშიც მას დიდი პატივისცემით იხსენიებს. მისი სიტყვით, „... ამირგუნე-ხან სარე ასლანი, ერევნის ბეგლარ-ბეგი, აღჯა-ყოინ-ლუს ყაჯართა ელიდან არის... [თავისი] დიდი ჭკუით, გამოცდილებით [და] სათანადო კარგი სამსახურით გამგებლობისა და ხანობის ხარისხს შიღწეა და ჩოხუდ-საადის ამირთა ამირა გახდა. [მან] იმ საზღვრისპირეთში ოსმალებთან... ძლიერი ომები გადაიხადა და დიდი სახელი გაითქვა. იმ ვაჟაკობის საზღაურად, რომელიც მან საზღვრისპირეთში გამოიჩინა, „სარე ასლანის“ [„უეთელი ჭიქის“] საპატიო მეტსახელით დააჯილდოვეს და განადიდეს. ამ წელს დიპქრა საქართველოსთან ომში, რომელშიც ის ძღვეამოსილი ლაშქრის აენგარდის [უფროსი] იყო. ერთ ხანს ერევანში მკურნალობდა ჭრილობას. ამ წლის ბოლოს [=1625 წ. აგვისტო] ჭრილობამ კრუნჩხვა გამოიწვია და გარდაიცვალა“ [ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუტურჩიძემ. თბ., 1969, გვ. 136]. იხ. აგრეთვე:

ش. سامی، قاموس الاعلام تاريخ و جغرافيا لغاتنی، ایکنجی جلد، 1041. گ. 1306، استانبول،

98 აღჯაყალა — დ. მუსხელიშვილის აზრით, აღჯაყალა მდებარეობს ქვემო ქართლში, რომელიც ვაგის ციხის სახელწოდებით იყო ცნობილი XI—XIII საუკუნეებში, უფრო გვიან საუკუნეებში კი იგი აღჯაყალას სახელს ატარებს (იხ. დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა — ვაგის ციხე. „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული“. თბ., 1960).

99 თოფჩი-ბაში — ოსმალეთის რეგულარული ჯარის ერთ-ერთი სახეობის — „საარტილერიო კორპუსის“, მეზარბაზნეების უფროსი. თოფჩი-ბაშისა და, საერთოდ, ოსმალეთის იმპერიაში ზარბაზნეებისა და მეზარბაზნეების შესახებ იხ. ევლია ჩელეების „მოგზაურობის წიგნი“, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, 1973, თბ., გვ. 141—142. იხ. აგრეთვე: M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. Fas. XXII, 1955, გვ. 512. იხ. აგრეთვე კონიბეი გორიჯელის მეორე „რი-

საღვ. რომელშიც თოფჩი-ბაშის შესახებ ნათქვამია: «Количество ваших слуг топчу... 2—3 тысячи человек. Их обязанность — следить за состоянием пушек. Во время походов они тянут пушки, а их начальниками являются топчубаши, кетхуда, чавуши и чорбаджи. Они отливают пушки в артиллерийском арсенале, где и находятся их помещения и работа. Среди них имеются искусные мастера, в которых большая нужда на войне. Им, литейщикам и другим работникам арсенала жалование выплачивается в три месяца раз» (А. С. Тверитниова, Второй трактат Кочибей... стр. 234).

100 ქონეჭ სეფერ ფაშა — მის შესახებ ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მოკლედ აღმოცემული. კერძოდ, მასში ნათქვამია, რომ იგი იყო სეკან-ბაშის თანამდებობაზე, 1013 წელს (1604—1605) არზრუმის ბეგლარ-ბეგი გახდა, ირანელებს ყარსი წაართვა, 1014 წელს (1605—1606) რამდენიმე ფაშასთან ერთად ირანელების წინააღმდეგ იბრძოდა. ამ ომში დაიღუპა.

ტ. III, გვ. 50--51)... سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه

101 კარა კაშ ფაშა — მის შესახებ ოსმალთა სახელმწიფო მოღვაწეთა ბიოგრაფიულ კრებულში მოკლედ აღმოცემულია, რომ იგი ემირთავანი იყო, 1012 წ. (1603—1604) ჩილირის ბეგლარ-ბეგი გახდა. 1013 წელს (1604—1605) ირანელებთან ბრძოლის დროს ავანგარდის მოვალეობას ასრულებდა, ამ ომში გარდაიცვალა.

ტ. IV, გვ. 60) ... سجل عثمانی یاخود تذکره مشاهیر عثمانیه

102 ფეზლექე — ამ შემთხვევაშიც ივულისხმება ქათიბ ჩელების (1609—1657) თხზულება, რომელშიც ოსმალეთის ისტორიის 1592—1654 წლების ამბებია აღმოცემული.

103 მეშქედი — თანამედროვე ირანის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქთაგანი მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. 1970 წლის აღწერით მეშქედის მოსახლეობა 505,5 ათას კაცს შეადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით მეშქედს მესამე ადგილი უჭირავს მთელ ირანში თეირანისა (3378,0 ათასი კაცი) და ისპაჰანის (518,4 ათასი კაცი) შემდეგ.

მეშქედი ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხორასნის ვილაიეთის ერთ-ერთი ცენტრალური ქალაქია. [მეშქედის შესახებ იხ.: Современный Иран (справочник). М., 1975, გვ. 25].

104 ათას ცამეტი წელი — 1604 წლის 30. V-დან 1605 წლის 18. V-მდე.

105 აღრი — იგივე აღრის ვილაიეთი, რომელიც ირანს ესაზღვრება. იგი ყარსის, არზრუმისა და ვანის ვილაიეთებს შორის მდებარეობს. ვილაიეთის ცენტრალური ქალაქია კარაქოშე.

106 შაშ ი — იგივე დამასკო, იგივე სირია. ნაიშა და, საერთოდ, ოსმალთა ისტორიკოსები დამასკოს ან სირიის აღსანიშნავად ხმარობენ შაშ ი.

107 კაფუდანი — კაპიტანი (იტალიურიდან) — სამხედრო ხომალდის ან ხომალდებ-ჯგუფის მეთაური. XVII საუკუნის დასაწყისამდე სამხედრო ხომალდების მეთაურებს რეისი ეწოდებოდათ. შემდეგ იგი კაფუდანმა შეცვალა და რეისი სავაქრო ხომალდის უფროსს ან პატრონს ეწოდებოდა, (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“..., ნაქვ. II. გამოკლევა, კომენტარები, გვ. 147). კაფუდანის შესახებ იხ. ავ-

რეთვე : M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. 1951, İstanbul, გვ. 187.

108 სულთან მურად ხანი — ოსმალეთის იმპერიის სულთანი მურად III 1574—1595).

109 გასული წლის ზოდ-მაჩეს მე-16 დღე — 1604 წლის 16 მაისი.

110 უსქუდარი — იგივე სკუტარი, სტამბოლის აზიური ნაწილი. იხ. M. Z. Pakalın, დასახ. ნაწრ. III fas. XXIV, 1956, გვ. 560.

111 მუჰარემის მე-17 დღე — 1604 წლის 16 ივნისი.

112 სილაჰდარი — „სილაჰდარ-ალა (იგივე სილაჰდარი) — „საქურველთ-მტკირთველი“, სულთნის საცხოვრებელი პალატის მსახურთა უფროსის — ქსო-და-ბაშის შემდეგ პირველი მოხელე სასახლეში. ბიახზეთ I ილდირიმის დროს (1389—1402) შემოიღეს ეს თანამდებობა. სასახლის ცერემონიალსა და საზეიმო აღლუმებზე სულთნის მარჯვნივ მიდიოდა ცხენით და მარჯვენა მხარზე სულთნის ხმალი ჰქონდა გადებული. მასვე ებარა სულთნის ყოველგვარი სახის იარაღი, უვლიდა და ინახავდა, გამუდმებით ახლდა სულთანს და მის უერთგულეს პიროვნებად ითვლებოდა. მათ ვეზირებად, ბეგლარ-ბეგებად, იანიჩართა კორპუსის მეთაურებად, კაფუდან-ფაშებად აწინაურებდნენ“ (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, ... ნაკვ. II, გვ. 161). სილაჰდარის შესახებ იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. III. Fasik, XIX, İstanbul, 1954, გვ. 221—225.

ა. ტვერიტინოვას განმარტებით, სილაჰდარი იყო «Оруженосец», один из отрядов придворного кавалерийского войска сипахив» (А. С. Тверитникова, Второй трактат Кочибея..., стр. 267).

113 იანიჩართა ქეთხუდა — ქეთხუდა ნიშნავს მამასახლისს, შოურავს. ქეთხუდები იყვნენ სასახლის, სახელმწიფო დაწესებულებებისა და სხვადასხვა კატეგორიის ლაშქრის მეთაურთა მოადგილეები, რომელთა საქმიანობა ძირითადად სამეურნეო მხარეების მოვლას ითვალისწინებდა (მაგ., იყვნენ ხაზინის ქეთხუდები, დავთრის ქეთხუდები, ჩაუშების ქეთხუდები, იანიჩართა ქეთხუდები და სხვ.).

114 სამსუნჯიები — სამსუნჯიები იყვნენ იანიჩართა კორპუსის გარკვეული რაზმები, რომელთა უფლება-მოვალეობას შეადგენდა ძალების გაწვერთნა. მათ მიერ გაწვრთნილი ძალები ლაშქრობებში წლებდნენ მონაწილეობას. სამსუნჯიების შესახებ დაწვრილებით იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. III. Fasik. XIX, İstanbul, 1954, გვ. 112—113; 124—125.

115 იშითი — ძველი სახელწოდება ნიკომედია, ოსმალებმა საბოლოოდ დაიპყრეს 1337 წ. თანამედროვე თურქეთში კოჯაელის ვილაიეთის ცენტრი.

116 ბოლუქი — „ბოლუქი — [„ნაწილი“] — ბოლქი, ცხენოსანი და ქვეითი ჯარების ძირითადი ერთეული რეგულარულ და ირეგულარულ ლაშქარში. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იანიჩართა კორპუსის 6 ბოლუქი, რომელთაც ალა-ბოლუქლერი ეწოდებოდათ. ამათ შემდეგ — რეგულარული ცხენოსანი ჯარის ბოლუქები. მათი ორგანიზაცია და მეომართა რიცხვი სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო“ [ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“..., ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები, გვ. 134]. ა. ტვერიტინოვას განმარტებით, ბოლუქი იყო

სასახლის ჯარის—საფაპიების ერთ-ერთი ექვს დანაყოფთაგანი. იხ. ა. ტვერიტი-ნოვას დასახ. ნაშრ., გვ. 264, იხ. Pakalin, დასახ. ნაშრ. I, fas. II¹, 1947, გვ. 242.

117 ალთი ბოლუქის ალაები — ალთი ბოლუქის ალაების შესახებ ზუსტ განმარტებას იძლევა კონიბეი გორიჯელი. მისი სიტყვით: «У сипахиев имеется 6 ага и 6 белоюков. Старшим из них является ага сипахи-оглапов, которых называют сипахиями красного знамени. Вторым является ага сипахидаров, которых называют сипахиями серого знамени. Третьим является ага [сипахиев] зеленого знамени, которых называют улудфеджиани-йемини. Четвертым является ага сипахиев белого знамени, которых называют улудфеджиани-йесар. Пятым является ага сипахиев красного с зеленым знамени, которых называют гурейбай йесар. Каждый из них несет то знамя, к которому [белюк] принадлежит. [А. С. Тверитнинова, Второй трактат Кочибея... стр. 232].

118 დელი ჰასანი — გლეხთა აჯანყების მეთაური ოსმალეთში, ყარა იაზიჩის ძმა, ამ უკანასკნელის სიკვდილით დასჯის შემდეგ დელი ჰასანი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას 1602—1603 წლებში. საბოლოოდ აჯანყებულებს უღალატა, სულთნის ხელისუფლებას შეურიგდა და 1604 წელს სანჯაყ-ბეგი გახდა. დაწერილებით იხ. А. С. Тверитнинова, Восстание Кара-Языджи — Дели Хасана в Турции, М.—Т., 1946.

119 ჭუმად აღ-ახირის მე-15 დღე — 1604 წლის 9 ოქტომბერი.

120 კასიმის დღე — ნოემბრის მერვე დღე, როდესაც სახალხო კალენდრის მიხედვით იწყება ზამთარი.

121 რუმი — ბიზანტია, მცირე აზია, ანატოლია, ამ შემთხვევაში იგულისხმება ოსმალეთის იმპერია, ოსმალთა სახელმწიფო.

122 მანძილი — გზის საზომი ერთეული. იხ. ნ. ბერძენიშვილი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966, გვ. 117.

123 ალაჰ ვერდი ხანი — წარმოშობით ქართველი — უნდილაძე, შაჰ აბასის რეფორმების გამტარებელი, სახელგანთქმული სარდალი, ყულარ აღასი. მის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მისი მექვეიდრის — განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგის დაუდ ხან უნდილაძის შესახებ არის ცნობები ქართულ წყაროებში [ბერი ევანატაშვილი, არჩილის საისტორიო პოემა]. დაწერილებით იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958; კ. კუციია, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ სარბიელზე. „მაზლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები“, თბ., 1976.

124 ვანის ზღვა — იგულისხმება ვანის ტბა, რომელიც თანამედროვე თურქეთში ვანისა და ბითლისის ვილაიეთებს შუა მდებარეობს.

125 ადილქევანის ციხე — მნიშვნელოვანი დაბა თანამედროვე თურქეთის ერთ-ერთ პროვინციაში — ბითლისის ვილაიეთში, იგი ვანის ტბის სანაპიროზე მდებარეობს.

